

დევიდ გრებერი

დემოკრატიის პროექტი

ისტორია, კრიზისი, მოძრაობა



ანარქისტული ბიბლიოთეკა

www.a-library.org

© „რადარამი“, 2014. დევიდ გრებერი, დემოკრატიის პროექტი:
ისტორია, კრიზისი, მოძრაობა.

The Democracy Project, A History, A Crisis, A Movement.

Copyright © 2013 by David Graeber

მთარგმნელები: თეა მარგველაშვილი, ნათია მენაბდე

რედაქტორი: ნათია მენაბდე

ყდის დიზაინი: ლეონიდ მუჯირი

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the author and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



ISBN 978-9941-451-

ყველა უფლება დაცულია. „რადარამის“ ნერილობით ნებართვის გარეშე რაიმე ფორმით ამ პუბლიკაციის ან მისი რომელიმე ნაწილის რეპროდუქცია ან გავრცელება დაუშვებელია.

„რადარამის“ პუბლიკაციებში მოცემული ინტერპრეტაციები და დასკვნები მხოლოდ ავტორების მოსაზრებებს წარმოადგენს.

რადარამელებს

**ძვირფასო რადარამელებო! ჩვენი გამოცემების სერიას
კიდევ ერთი წიგნი შეემატა: დევიდ გრებერის „დემოკრატიის
პროექტი: ისტორია, კრიზისი, მოძრაობა.“**

დევიდ გრებერი ამერიკაში ცნობილია, როგორც ანთროპოლო-
გიის პროფესორი, ანარქისტი და რადიკალი აქტივისტი. მისი წიგნი,
„დემოკრატიის პროექტი“, კი ამერიკელებისათვის, და არა მარტო მათ-
თვის, ყველაზე აქტუალურ თემას – დამოკრატიას ეხება. მთავარი
შეკითხვა რომელსაც გრებერი ამ წიგნის მეშვეობით გვისვამს ასეთია:
შეგვიძლია თუ არა ვუნდოთ თანამედროვე პოლიტიკურ სისტემას
დემოკრატიული მაშინ, როცა მისი წყალობით მხოლოდ მდიდრები ხეი-
რობენ, ხოლო სხვა დანარჩენი ამერიკელები მათ ჩრდილში ექცევიან?
რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ – ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა – იმისათ-
ვის, რომ შევცვალოთ სამყარო?

თუ წიგნი მოგეწონებათ, ან არ მოგეწონებათ, ჩათვლით რომ საინ-
ტერესოა, აქტუალურია ან უბრალოდ გაგიჩნდებათ სურვილი გაუზი-
აროთ თქვენი შთაბეჭდილება დანარჩენ რადარამელებს, შემოუერთ-
დით ჩვენ ქსელს, გამოგზავნეთ მოკლე ტექსტური შეტყობინება ნო-
მერზე 9 1918 და გახდით კიდევ ერთი რადარამელი!

როგორ დაგვეკონტაქტოთ:

SMS

იმისათვის, რომ „რადარამს“ შემოუერთდეთ და შეიტყოთ ყველა
მნიშვნელოვანი ღონისძიებისა თუ სიახლის შესახებ, ნომერზე 9 1918
გამოგზავნეთ მძიმეებით გამოყოფილი შემდეგი ტექსტი: მოკლე კოდი
წიგნის სათაურის ნაცვლად (ამ შემთხვევაში №DP – Democracy Project)
სახელი, გვარი, სოფელი, რეგიონი ან უბანი და ქალაქი, (მაგალითად:
№DP, giorgi, maisuradze, kondwati, imereti). თქვენ მიიღებთ დადას-
ტურებას მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით. ქსელში ჩართვა უფა-
სოა. თუ ჩვენგან შეტყობინებების მიღება ან გამოგზავნა აღარ მოგიწე-
ბათ, მოგვწერეთ იმავე ნომერზე 9 1918: გაუქმება და თქვენი გვარი. მი-
იღებთ შეტყობინებას ქსელის დატოვების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ
ვერ დაგვიკავშირდებით SMS კოდის საშუალებით, გთხოვთ შეგვაცყოი-
ნოთ შეფერხების შესახებ ფეისბუქის ან იმეილის საშუალებით (იხილეთ
ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია ქვემოთ).

შეტყობინეთ ჩვენი წიგნების შესახებ თქვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომ მათაც ჰქონდეთ საშუალება, შემოუერთდნენ „რადარამის“ ქსელს და მონაწილეობა მიიღონ დიალოგში

რადარამის სერიის წიგნები – შეაგროვე ყველა მათგანი!!!

1. „სწრაფად წინ: ეთიკა და პოლიტიკა გლობალური დათბობის ეპოქაში“ – უილიამ ანთოლისი, სტროუბ ტალბოტი
2. „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“ – ჯოზეფ სტიგლიცი
3. „როცა ცდები“ – ქეთრინ შულცი
4. „ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში“ – ჯონათან უოტსი
5. „უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას“ – ტონი ჯატი.
6. „გარდატეხა: როგორ გავატაროთ ცვლილება, როცა ეს ასე რთულია,“ – ჩიპ და დენ ჰითი
7. „ბუმერანგი: მოგზაურობა ახალ მესამე სამყაროში“ – მაიკლ ლუისი
8. „როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო“ – ფრანკლინ ფოერი
9. „იშრომე ბევრი, იყავი კეთილი“ – ჯეი მათეუსი
10. „სირთულეები: ჩანაწერები არასრულყოფილი მეცნიერების შესახებ“ – ათულ გავანდე
11. „როგორ აღწევნა ბავშვები წარმატებას“ – პოლ ტაფი
12. „ღირსების კოდექსი“ – კვამე ენტონი აპია

„რადარამი“ არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც რეგულარულად გამოსცემს მსოფლიოში ცნობილ, გავლენიან, არამხატვრულ ჟანრის წიგნებს. „რადარამის“ წიგნები შეგიძლიათ მოიკითხოთ საქართველოს მასშტაბით ყველა ცენტრალურ ბიბლიოთეკასა თუ წიგნის მაღაზიებში. თუ გსურთ, რომ რადარამის წიგნები კიდევ სხვა ადგილას იხილოთ, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ და გაგვიზიარეთ თქვენი იდეები.

Facebook – www.facebook.com/Radarami

Web – www.radarami.org

Email – info@radarami.com

შინაარსი

წინასიტყვაობა (ნუცა ბათიაშვილი) 7

შესავალი 9

1. დასაწყისი ახლოსაა 23

2. რატომ გაამართლა ჩვენმა ძალისხმევამ? 81

3. „ხალხი იწყებს ფიქრს და აზროვნებას“:
დემოკრატიის ფარული ისტორია 187

4. როგორ სორცეილდება ცვლილებები 250

5. ჯადოს მოხსნა 319

შენიშვნები 355

წინასიტყვაობა

დევიდ გრებერის შესახებ უთქვამთ, რომ ის პროფესიით ანთროპოლოგია, მიდრეკილებით კი – რადიკალი. ეს კარგად ჩანს ამ წიგნში (ისევე, როგორც მის წინა ნაშრომში „ვალი: პირველი 5000 წელი“), რომელიც მოგვითხრობს აშშ-ში განხორციელებულ სამოქალაქო პროტესტის ფორმაზე – Occupy Wall Street-ზე („დაიკავე უოლსტრიტი“). ჩემი, როგორც ანთროპოლოგის, გადმოსახედიდან ეს წიგნი გამორჩეულია ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, ყველაზე მეტად კი იმიტომ, რომ მისი ავტორი წერს მოძრაობაზე, რომლის დამკვირვებელიც არის და მონაწილეც. მისი ანალიზი ერთსა და იმავე დროს გულისხმობს მკვლევრის კონცეპტუალიზაციასაც და იდეოლოგიურ აქტივიზმსაც.

ანთროპოლოგები ხშირად ვწერთ იმაზე (ან ვიკვლევთ იმას), რაც ჩვენ გვანუხებს, არა მარტო როგორც მკვლევრებს, არამედ, როგორც ადამიანებსა და მოქალაქეებს. ეს წიგნი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ზოგჯერ ჩვენს აკადემიურ საქმიანობასა და სოციალურ აქტივიზმს შორის ზღვარი პირობითიც აღარ არის, უბრალოდ, ნაშლილია და ავტორი ამას ბუნდოვანი ტერმინოლოგიით კი არ ფუთავს, არამედ საკუთარი ზნეობრივი პოზიციის ღერძად აქცევს.

დევიდ გრებერის, როგორც რადიკალი ანარქისტის, პოლიტიკური შეხედულებები მისი ნაშრომის ქვაკუთხედიანია. მისთვის სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, მავნებლობაა, რომელიც ადამიანის თავისუფლებას ჩარჩოში აქცევს, დემოკრატიას ზღვრებს უწესებს, რადგან სახელმწიფოს არსი სტრუქტურული ჩაგვრა და დომინანტი კლასის ძალაუფლების უზრუნველყოფაა. ეს წიგნი არის მცდელობა, ერთი მხრივ, გამოამჟღავნოს ის სიმახინჯეები, რომლებიც დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკურ და ფინანსურ სისტემას ახასიათებს და, მეორე მხრივ, Occupy Wall Street-ის მაგალითზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბოს „რადიკალური დემოკრატიისთვის“ ბრძოლის ხედვა. ამიტომ ეს ნაშრომი, ზოგადად, დემოკრატიის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ამერიკული პოლიტიკური დისკურსის ისტორიის კრიტიკული ანალიზიცაა და რადიკალური დემოკრატიისათვის ბრძოლის მეთოდების პრაქტიკული სახელმძღვანელოც.

„დემოკრატიის პროექტი“ 2013 წელს გამოიკა და მალევე იქცა პოპულარულ საკითხავ წიგნად როგორც ამერიკაში, ისე ბევრ სხვა ქვეყანაში. მისი წარმატება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ გრებერი არაჩვეულებრივად მარტივი ენით, ლალი თხრობით ახერხებს, თავისი მკითხველი გაათვითცნობიეროს ურთულეს და სპეციფიკურ სფეროებში, მაგალითად, ისეთი კომპლექსური სტრუქტურის დეტალებში, როგორიცაა დღევანდელი ფინანსური სისტემა.

რამდენადაც მხიბლავდა ასეთი წიგნისთვის წინასიტყვაობის დაწერის იდეა, იმდენად უხერხულობას მიქმნიდა პრინციპული უთანხმოება გრებერისა და ჩემს პოლიტიკურ პოზიციებს შორის (როგორც ადამიანი, მხარს ვუჭერ რესპუბლიკანიზმის იდეას და, ფისკალური თვალსაზრისით, მემარჯვენე თუ არა, ცენტრისტი მაინც ვარ); მაგრამ ჩემი პოლიტიკური რწმენისა და ავტორთან იდეოლოგიური ანტაგონიზმის მიუხედავად, ამ ტექსტმა ბევრი რამ მომცა, თუმცა კითხვა ისე დავასრულე, არც ანარქისტი გავმხდარვარ და არც კომუნისტი.

რატომ უნდა წაიკითხოთ ეს წიგნი? „დემოკრატიის სულისკვეთება არ არის მექანიკური რამ, რომლის მორგებაც ფორმების გაუქმებით შეიძლება. მისთვის აუცილებელია, რომ ცვლილება მოხდეს გულში“... – მაჰათმა განდის ეს სიტყვები ალბათ ყველაზე ზუსტად გამოხატავს გრებერის პოზიციის არსს და დემოკრატიული რევოლუციის მისეულ ხედვას. ეს წიგნი მოგაქცევთ დღევანდელი ამერიკის ყველაზე კრიტიკული დისკურსის ცენტრში და, ზოგადად, დაგაფიქრებთ იმაზე, რაც ყველა მოქალაქეობრივად მოაზროვნე ადამიანისთვის და თავისუფლების მოყვარული საზოგადოებისთვის პრიორიტეტულ საკითხებს უნდა წარმოადგენდეს: რა არის დემოკრატია? როგორი უნდა იყოს დემოკრატია? და როგორები უნდა ვიყოთ ჩვენ, რომ დემოკრატია ნახევრად რეალიზებულ ან პოლიტიკურად აბსტრაჰირებულ პროექტად კი არ დარჩეს, არამედ ცხოვრების წესად და ყოფიერების არსად იქცეს.

ნუცა ბათიაშვილი

შესავალი

2012 წლის 26 აპრილს Occupy Wall Street-ის („დაიკავე უოლ-სტრიტი“) ოცდაათამდე აქტივისტი ნიუ-იორკის ფედერალური ჰოლის კიბის საფეხურებზე, საფონდო ბირჟის მოპირდაპირე მხარეს შეიკრიბა.

თვეზე მეტ ხანს ვცდილობდით, ხელახლა გვეპოვა ფეხის მოსაკიდებელი ადგილი ქვემო მანჰეტენზე იმ ბანაკის გასაშლელად, რომელიც ექვსი თვის წინ ზუკოტის პარკიდან სასამართლოს ძალით აგვალეს. ახალი ბანაკის გაშლა თუნდაც ვერ მოგვეხერხებინა, უკიდურეს შემთხვევაში, იმედი გვქონდა, რომ ვიპოვიდით ადგილს რეგულარული შეხვედრებისათვის, ასევე ჩვენი ბიბლიოთეკისა და სამზარეულოს განსათავსებლად. ზუკოტის პარკის ყველაზე დიდი უპირატესობა ის იყო, რომ ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეეძლო, იქ მოვეძებნეთ, ჩვენთან მოსულიყო და სამომავლო აქციებსა და ღონისძიებებზე, ან, უბრალოდ, პოლიტიკაზე ესაუბრა; ახლა კი ამგვარი ადგილის უქონლობა დაუსრულებელ პრობლემებს გვიქმნიდა. მიუხედავად ამისა, ქალაქის მესვეურთა გადაწყვეტილებით, კიდევ ერთი ზუკოტი ჩვენ აღარასოდეს გვექნებოდა. როგორც კი ვიპოვიდით ადგილს, სადაც სრულიად კანონიერად შეგვეძლებოდა ჩვენი ცენტრის გახსნა, ისინი, უბრალოდ, ცვლიდნენ კანონებს და იქიდან გვაძევებდნენ. როდესაც იუნიონ სქუეარზე დამკვიდრება ვცადეთ, ქალაქის ხელმძღვანელობამ პარკის წესდება შეცვალა. როცა „ოკუპანტთა“ ჯგუფი ზედ უოლსტრიტის ტროტუარზე მოეწყო დასაძინებლად (იმ იურიდიული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც გარკვევით არის ნათქვამი, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ, ნიუ-იორკის ქუჩებში იძინონ, რაც პოლიტიკური პროტესტის ფორმაა), ქალაქის მმართველობამ ქვემო მანჰეტენი „უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზონად“ მიიჩნია, რომელზეც ეს კანონი არ ვრცელდებოდა.

საბოლოოდ, ფედერალური ჰოლის კიბეზე დავბინავდით, მარმარილოს ფართო საფეხურებზე, რომლებსაც ჯორჯ ვაშინგტონის ძეგლთან მივყავართ, და ვდარაჯობდით შესასვლელ კარს იმ შენობისა, რომელშიც 223 წლის წინ ხელი მოეწერა უფლებათა ბილს. ეს კიბე ქალაქის იურისდიქციაში არ შედიოდა. ეს იყო

ფედერალური მიწა ნაციონალური პარკების სამსახურის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში და აშშ-ის საპარკო პოლიციამ (რომელიც ალბათ კარგად ხვდებოდა, რომ მთელი ის ტერიტორია სამოქალაქო თავისუფლებებისადმი მიძღვნილ მონუმენტად ითვლებოდა) გვითხრა, რომ მას ჩვენ მიერ კიბის დაკავების სანინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, თუკი იქ დაძინებას არავინ დააპირებდა. საფეხურები იმდენად ფართო იყო, რომ რამდენიმე ასეულ ადამიანს დაიტევდა და თავდაპირველად მართლაც დაახლოებით ამდენი მოვიდა. მაგრამ ცოტა ხანში ქალაქის მესვეურნი გამოჩნდნენ და პარკის ადმინისტრაცია დაარწმუნეს, ასპარეზი მათთვის დაეთმო. მათ მთელი პერიმეტრი ფოლადის ბარიერებით შემოღობეს, ხოლო თავად საფეხურები ამგვარივე ბარიერებით ორ ნაწილად გაყვეს. ჩვენ მათ მაშინვე შევუჩიეთ სახელწოდება – „თავისუფლების გალიები“. ს.ი.დ.ტ. (სპეციალური იარაღისა და ტაქტიკის) დანაყოფები (SWAT) შესასვლელთან განთავსდნენ. თეთრპერანგიანი პოლიციის მეთაური ყურადღებით აკვირდებოდა ყველას, ვინც კი შესვლას ცდილობდა და ატყობინებდა მათ, რომ, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თითოეულ გალიაში ნებადართული იყო მხოლოდ ოცი ადამიანის ყოფნა. მიუხედავად ამისა, პატარა ჯგუფი მაინც ადგილზე დარჩა. „ოკუპანტები“ 24 საათის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ხალხის გარკვეულ რაოდენობას, მორიგეობდნენ, დღისით აწყობდნენ დისპუტ-სემინარებს, ერთვებოდნენ იმპროვიზებულ დებატებში უოლსტრიტის მოწყენილობისგან თავგაბეზრებულ მოვაჭრეებთან (რომლებიც შესვენების დროს შემოეხეტებოდნენ ხოლმე), ღამ-ღამობით კი მარმარილოს საფეხურებზე ფხიზლობდნენ. ცოტა ხანში დიდი ზომის პლაკატები აიკრძალა, შემდეგ კი – ნებისმიერი რამ, რაც მუყაოსგან იყო გაკეთებული. მერე უკვე აპატიმრებდნენ, ვინც კი ხელთ მოხვდებოდათ. პოლიციის მეთაურმა სცადა, განემარტა ჩვენთვის, რომ, თუ ყველას არა, რამდენიმე ჩვენგანის დაჭერას რაიმე საბაბით ნებისმიერ დროს შეძლებდა. მარტო იმ დღეს თავად ვიცავი მოწმე, როგორ დაადეს ბორკილები და წაიყვანეს ერთ-ერთი აქტივისტი „ხმაურის“ გამო, როდესაც ის სლოგანებს ხმამაღლა წარმოთქვამდა; მეორე კი, ერაციის ომის ვეტერანი, ხალხის თანდასწრებით უხამსად ქცევის ბრალდებით დააკავეს, საჯარო გამოსვლისას ოთხასოიანი სიტყვების გამოყ-

ენების გამო. ეს ყველაფერი შეიძლება იმიტომაც ხდებოდა, რომ ჩვენ ეს ღონისძიება დავაანონსეთ, როგორც „ხმამალალი პროტესტი“. პოლიციის ოფიცერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სწორედ „პირველი შესწორების“ (იგულისხმება შესწორება აშშ-ის კონსტიტუციაში – **First Amendment**, რომელიც სამოქალაქო თავისუფლებების გარანტიას იძლევა. რატიფიცირებულია 1791 წელს და უფლებათა ბილის ნაწილს წარმოადგენს. რედ.) „დაბადების“ ადგილზეც კი მას ჯერ კიდევ ჰქონდა ჩვენი დაპატიმრების უფლება, თუნდაც პოლიტიკური გამოსვლების გამო.

ჩემმა ერთმა მეგობარმა, სახელად ლოპიმ – მას ყველა ცნობდა, რადგან საპროტესტო დემონსტრაციებზე გიგანტური სამთვლიანი მოტოციკლით ცხადდებოდა, რომელზეც ფერადი ტრაფარეტი ეკრა წარწერით „იუბილე!“ (დღევანდელ გრებერმა თავის წინა წიგნში „ვალის პირველი 5 000 წელიწადი“ წამოაყენა ორიგინალური იდეა, ვალის იუბილე მისი საყოველთაო ანულირებით აღნიშნულიყო, რაც, სავარაუდოდ, ბიბლიას უკავშირდება. ძველი აღთქმის მიხედვით, ებრაელები ზეიმობდნენ იუბილეს, ანუ მოსეს მიერ დაწესებულ დღეს, რომელიც დგებოდა ყოველი შვიდი შვიდწლეულის შემდეგ. ეს წელი აღნიშნებოდა გაყიდული და დაგირავებული მიწების ყოფილი მფლობელებისათვის დაბრუნებით, მონებისა და პატიმრების გათავისუფლებით, ვალების გაუქმებით (ლევიტ. 25.10). ლოპის ჟესტი გამოხატავს სოლიდარობას მეგობრის იდეისადმი. რედ.), მოაწყო ღონისძიება, სახელწოდებით: „ხმამალლა გამოვთქვათ უკმაყოფილება იმის გამო, რაც უოლსტრიტზე ხდება: მშვიდობიანი შეკრება ფედერალური პოლის მემორიალური შენობის საფეხურებზე, იმ ადგილთან, სადაც „დაიბადა“ უფლებათა ბილი და რომელიც ახლა ჩაკეტილია 1%-ის ჯარის მიერ!“ (გამოთქმა „1%-ის ჯარი“ უკავშირდება დემონსტრანტთა პოლიტიკურ ლოზუნგს: „ჩვენ 99% ვართ!“ 99% გულისხმობდა ამერიკელ ხალხს, ხოლო 1%-ად მოიაზრებოდა აშშ-ის პოლიტიკური ელიტა. რედ.). ჩემდათავად, ხალხზე ზემოქმედების უნარი არასოდეს მქონია. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც Occupy-ს საქმიანობაში ვარ ჩართული, სიტყვითაც კი არ გამოვსულვარ. ასე რომ, იმედი მქონდა, იქ, ძირითადად, მონმის როლში მომიწევდა ყოფნა, მორალური და ორგანიზაციული მხარდაჭერის გაწევის მიზნით. ღონისძიების პირველი ნახევარი საათის განმავლობაში, ვიდრე

Occupy-ს წევრები სათითაოდ გადადიოდნენ წინა გალიაში ტროტუარზე სახელდახელოდ თავმოყრილი ვიდეოკამერების წინ, რომ ომზე, ეკოლოგიურ კატასტროფასა და მთავრობაში არსებულ კორუფციაზე ესაუბრათ, მე განაპირა მხარეს დავბორიალებდი და ვცდილობდი, პოლიციელებს გამოვლაპარაკებოდი.

„ე.ი. თქვენ ს.ი.დ.ტ. დანაყოფის წევრი ხართ, არა?“ ვკითხე ერთ პირქუშ ახალგაზრდას, რომელიც გვერდზე მოგდებული გრძელი შაშხანით გალიების შესასვლელს დარაჯობდა. „და რას ნიშნავს ეს ს.ი.დ.ტ.? სპეციალური იარაღი...“

„და ტაქტიკა,“ სწრაფად მომიჭრა, სანამ დანაყოფის თავდაპირველ სახელწოდებას წარმოვთქვამდი: „მოიერიშე ჯგუფი სპეციალური შეიარაღებით“ (Special Weapons Assault Team).

„გასაგებია. ჰოდა, იცით, რა მაინტერესებს: რა სახის სპეციალური იარაღის გამოყენებას ვარაუდობენ თქვენი მეთაურები ოცდაათი შეუიარაღებელი მოქალაქის წინააღმდეგ, რომლებიც ფედერალური პოლის კიბეზე მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობენ?“

„ეს, უბრალოდ, სიფრთხილის ზომებია“, მიპასუხა მან. ეტყობოდა, თავს უხერხულად გრძნობდა.

უკვე ორჯერ ავარიდე თავი ლოპის მიწვევას, სიტყვით გამოვსულიყავი, მაგრამ ის დაჟინებით მთხოვდა და, საბოლოოდ, გადავწყვიტე, რომ ჯობდა, რამე მეთქვა, თუნდაც მოკლედ. ასე რომ, კამერების წინ ადგილი დავიკავე, თვალი შევაველე ჯორჯ ვაშინგტონის ძეგლს, რომელიც ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის თავზე ცას გასცქეროდა, და იმპროვიზებას შევუდექი:

„ჩემი აზრით, სიმბოლურია, რომ დღეს აქ შევიკრიბეთ, იმ შენობის კიბეზე, სადაც ხელი მოეწერა უფლებათა ბილს. ეს სასაცილოა. ამერიკელთა უმეტესობას ჰგონია, რომ თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრობს, მსოფლიოს ყველაზე დიად დემოკრატიულ სახელმწიფოში. ისინი თვლიან, რომ სწორედ ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებელთა მიერ განსაზღვრული კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები გამოარჩევს ჩვენს ერს, გნებავთ, გვაქცევს იმად, რანიც ვართ დღეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყურს დაუფდებთ პოლიტიკოსებს, რომლებიც გვაძლევენ უფლებას, სხვა ქვეყნებში შევიჭრათ, თუკი ეს მოგვეპოიანება. მაგრამ, რაოდენ უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, კონსტიტუციის შემქმ-

ნელებს სულაც არ სურდათ კონსტიტუციაში უფლებათა ბილის შეტანა. სწორედ ამიტომაც ისინი „შესწორებები“. ისინი არ ყოფილა თავდაპირველ დოკუმენტში. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც სიტყვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების შესახებ ეს შთამბეჭდავი ფრაზები საბოლოოდ კონსტიტუციაში შევიდა, გახლავთ ის, რომ ისეთი ანტიფედერალისტები, როგორიც ჯორჯ მეისონი და პატრიკ ჰენრი იყვნენ, საბოლოო ვარიანტის ნახვისას იმდენად განრისხდნენ, რომ მისი რატიფიკაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ, თუკი ტექსტი არ შეიცვლებოდა და სხვა საკითხებთან ერთად მასში შეტანილი არ იქნებოდა სწორედ მობილიზაციის ასეთ პოპულარულ სახეობაში მონაწილეობის უფლება. ამან საშინლად დააფრთხო ფედერალისტები, რადგან კონსტიტუციური კონვენტის მოწვევის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ იმ საფრთხის არიდება, რომელსაც ისინი ხედავდნენ კიდევ უფრო რადიკალურ სახალხო მოძრაობებში. ეს უკანასკნელნი ფინანსების დემოკრატიზაციისკენ და ვალების ანულირებისკენაც კი მოუწოდებდნენ. მასობრივი სახალხო შეკრებები და სახალხო დებატები, რაც რევოლუციის დროს უკვე ნანახი ჰქონდათ, მათ ყველაზე ნაკლებად სურდათ. შედეგად, ჯეიმს მედისონმა შეკრიბა დაახლოებით ორას წინადადებაზე მეტი და მათ საფუძველზე შეადგინა ფაქტობრივი ტექსტი იმისა, რაც დღეისათვის უფლებათა ბილის სახელწოდებით არის ცნობილი.

ძალაუფლების მქონე ადამიანები ნებაყოფლობით არაფერს თმობენ. ამდენად, თუკი დღეს ჩვენ თავისუფლებებს ვფლობთ, ეს არა იმიტომ, რომ ისინი ჩვენი სახელმწიფოს დიდმა ბრძენმა დამაარსებლებმა გვაჩუქეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენნაირმა ადამიანებმა კატეგორიულად მოითხოვეს მათი ხორცშესხმა – სწორედ იმის კეთებით, რასაც დღეს ჩვენ ვაკეთებთ – ვიდრე ყველამ არ აღიარა, რომ მათ ეს უფლებები ჰქონდათ.

არც დამოუკიდებლობის დეკლარაციაში და არც კონსტიტუციაში არსად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა. და ამის მიზეზიც არსებობს. ისეთი ადამიანები, როგორიც ჯორჯ ვაშინგტონი იყო, დაუფარავად ეწინააღმდეგებოდნენ დემოკრატიას. ამიტომ ცოტა უცნაურია, რომ დღეს ჩვენ მისი ქანდაკების ქვეშ ვდგავართ. მაგრამ იგივე ეხებათ დანარჩენებსაც: მედისონი, ჰამილტონი, ადამსი... ისინი

გარკვევით წერდნენ, რომ ცდილობდნენ, შეექმნათ სისტემა, რომელსაც შეეძლებოდა, დემოკრატიის საფრთხე აერიდებინა. თუმცა ისინი ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ნამდვილად სურდათ დემოკრატია; სწორედ დემოკრატია შეუწყო ხელი რევოლუციას, რომელმაც მათ, უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლება მისცა. რა თქმა უნდა, ბევრი ჩვენგანი დღეს აქ ერთი მიზეზის გამო დგას – აღარ მიგვაჩნია, რომ დემოკრატიულ სისტემაში ვცხოვრობთ, ამ სიტყვის ნებისმიერი გასაგები მნიშვნელობით. მიიხედ-მოიხედეთ. ეს ს.ი.დ.ტ. დანაყოფი უკვე ყველაფერზე მეტყველებს. ჩვენი მთავრობა უკვე სხვა აღარაფერია, თუ არა ინსტიტუციონალიზებული მექრთამეობა და ერთ მშვენიერ დღეს ციხეში შეიძლება მხოლოდ იმის გამო ამოყოს თავი, თუ ამას ხმამაღლა იტყვიან. შეიძლება ამ ეტაპზე, ერთ ჯერზე, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთი-ორი დღით მოხვდეთ ციხეში, მაგრამ მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს სიტუაცია შეიცვალოს. თუმცა მისი წარმომადგენლები ჩვენს დაჭერას არც შეეცდებოდნენ, თავადაც რომ არ იყვნენ დარწმუნებულები ჩვენი ნათქვამის სიმართლეში. ამერიკის მმართველებს იმაზე მეტად არაფერი აშინებთ, რომ, ერთხელაც იქნება, დემოკრატია ამოხეთქავს. და თუკი ეს პერსპექტივა არსებობს, თუკი არსებობენ მემკვიდრეები იმ ადამიანებისა, რომლებსაც სურდათ ქუჩაში გამოსვლა უფლებათა ბილის მოთხოვნით, ეს, მეტწილად, ჩვენი დამსახურებაა“.

იმ წუთამდე, როცა ლოპიმ სცენაზე გასასვლელად მიბიძგა, არც კი დაფიქრებულვარ იმაზე, რომ Occupy Wall Street რაიმეთი უკავშირდებოდა ამერიკის ისტორიის რომელიმე დიდ ტრადიციას. მის საფუძველს უფრო მეტად ანარქიზმში, ფემინიზმში, ან სულაც „გლობალური სამართლიანობის მოძრაობაში“ უფრო ვეძიებდი. მაგრამ ახლა, როცა წარსულს თვალს ვავლებ, ვფიქრობ, რომ, რაც ვთქვი, სრული სიმართლე იყო. ნამდვილად არის რაღაც უცნაურად შეუსაბამო იმაში, თუ როგორ მოსაზრებას გვინერგავენ ამერიკულ დემოკრატიაზე. ერთი მხრივ, გამუდმებით გვიმეორებენ, რომ დემოკრატია არის იმ პოლიტიკოსების არჩევა, რომლებიც მთავრობაში უნდა მოვიდნენ. მეორე მხრივ კი, ყველამ კარგად ვიცით, რომ ამერიკელების უმეტესობას

უყვარს დემოკრატია, სძულს პოლიტიკოსები და საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი სწორედ მთავრობის იდეის მიმართ. როგორ შეიძლება ეს ყველაფერი სიმართლე იყოს? ცხადია, როცა ამერიკელები დემოკრატიაზე საუბრობენ, ისინი გულისხმობენ რაღაც გაცილებით უფრო დიდსა და ღრმას, ვიდრე, უბრალოდ, არჩევნებში მონაწილეობაა (მათი ნახევარზე მეტი თავსაც კი არ იწუხებს, რომ მივიდეს და ხმა მისცეს); ეს ალბათ ერთგვარი კომბინაცია უნდა იყოს პიროვნული თავისუფლებისა და ჯერჯერობით სრულიად არარეალიზებული მცნებისა, რომ თავისუფალ ადამიანებს, როგორც გონიერ, ზრდასრულ ინდივიდებს, უნდა შეეძლოთ, ერთად დასხდნენ და საკუთარი საქმეები თავად მოავარონ (ეს იდეალური ვარიანტია). და თუკი ეს ასეა, მაშინ სულაც არაა გასაკვირი, რომ მათ, ვინც ამჟამად ამერიკას მართავს, დემოკრატიული მოძრაობის ასე ეშინიათ. საბოლოოდ, დემოკრატიის იმპულსებმა ისინი შეიძლება სრულიად უსარგებლო გახადოს.

სავსებით შესაძლებელია, ვინმე შემენინააღმდეგოს და თქვას: ეს რომ სიმართლე იყოს, ამერიკელების უმეტესობა უარს იტყოდა ამ დემოკრატიული იმპულსის ყველაზე შორეულ პერსპექტივაზეც კი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ამაში არის სიმართლის მარცვალი. ამერიკელების უმეტესობა ანარქისტი არაა. რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ მათ არ მოსწონთ მთავრობა, ან, ხშირ შემთხვევაში, თავად მთავრობის იდეაც კი, ძალიან ცოტა თუ დაუჭერს მხარს მის დაშლას. თუმცა ეს იქნებ იმის გამოც იყოს, რომ მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ, რამ შეიძლება ჩაანაცვლოს ის. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკელებს ძალიან ადრეული ასაკიდან ასწავლიან, ჰქონდეთ უკიდურესად შეზღუდული პოლიტიკური ხედვა, ადამიანის შესაძლებლობებზე კი უაღრესად მცდარი, დამაკნინებელი წარმოდგენა ჩამოუყალიბდეთ. მათი უმეტესობისათვის დემოკრატია რაღაც აბსტრაქტულია, იდეალი, რაღაც, რაც მათ არასოდეს განუცდიათ ან განუხორციელებიათ; სწორედ ამიტომაც, რომ, როდესაც მათ პირველად მიიღეს მონაწილეობა საერთო-სახალხო შეკრებებში და გადანყვეტილების მიღების სხვა ჰორიზონტალურ ფორმებში (რომლებსაც ჩვენ Occupy-ში ვიყენებთ), ბევრმა მათგანმა სწორედ ის იგრძნო, რაც მე, პირველად რომ ჩავერთე Direct Action Network-ში (უშუალო მოქმედებების ქსელი), ნიუ-იორკში, ჯერ კიდევ 2000 წელს –

ერთი ხელის დაკვრით შეიცვალა მათი წარმოდგენა იმაზე, თუ რის მიღწევა შეიძლება პოლიტიკური გზით.

მაშასადამე, ეს წიგნი არ არის, უბრალოდ, Occupy-ს შესახებ. ეს არის წიგნი ამერიკაში დემოკრატიის შესაძლებლობების შესახებ. უფრო მეტიც, ეს არის წიგნი იმ რადიკალური წარმოდგენების ჩამოყალიბების შესახებ, რის საშუალებაც Occupy-მ მოგვცა.

საყოველთაო აღტაცება, რომელიც Occupy-ს მისი საქმიანობის საწყისი რამდენიმე თვის განმავლობაში ხვდა წილად, საკმარისია, შევადაროთ იმ განწყობას, რომელიც სუფევდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ. ეს შემოდგომა ორი კანდიდატის მონმე გახდა – ერთი, მოქმედი პრეზიდენტი დემოკრატიული პარტიიდან, *fait accompli* (მომხდარი ფაქტი) გახლდათ და პარტია თვლიდა, რომ ეს პოლიტიკოსი ხშირად ღალატობდა მას; მეორე კი იყო აშკარად ფულის ძალით თავს მოხვეული კანდიდატი რესპუბლიკელებიდან, რომელიც ნათელი მაგალითი იყო იმისა, რომ რესპუბლიკური პარტიისათვის ნებისმიერი კანდიდატი მისაღები იქნებოდა, რომელიც თავისი ენერგიის უმეტეს ნაწილს მილიარდერთა ინტერესებს მოახმარდა. საზოგადოება ხომ არჩევნებით მხოლოდ დროდადრო თუ დაინტერესდება, და ისიც მხოლოდ ტელევიზიით, ვინაიდან კარგად იცის, რომ მის ხმას, თუკი ის ამერიკელების იმ დაახლოებით 25%-ს არ წარმოადგენს, რომელიც „მერყევ შტატში“ (შტატი, რომელშიც საპრეზიდენტო არჩევნებისას ხმის მიცემის შედეგების პროგნოზირება ბოლო მომენტამდე ვერ ხერხდება, რადგან ძირითად პრეტენდენტებს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვთ. მთარგმ.) ცხოვრობს, მაინც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მათაც კი, ვისი ხმაც რამეს წყვეტს, არჩევანის გაკეთება, ძირითადად, იმ ორ პარტიას შორის უწევთ, რომლებიც მთავარ როლს შეასრულებენ პენსიების, ხანდაზმულთათვის ჯანმრთელობის დაზღვევისა და სოციალური დაზღვევის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ამ მსხვერპლის გაღება აუცილებლობას წარმოადგენს; ხელისუფლება კი, სამწუხაროდ, ისეთ რეალობას ქმნის, იმის შესაძლებლობა არც კი განიხილება, რომ ეს მსხვერპლი მდიდრებმა გაიღონ.

ახლახან Esquire-ში დაბეჭდილ ნერილში ჩარლზ პირსმა აღნიშნა, რომ ექსპერტების სატელევიზიო „სპექტაკლების“ წყალობით არჩევნების ციკლი ხშირად ხალხის უუფლებობის ერთგვარი სადომაზოხისტური დღესასწაულის სახეს იღებს და ძალიან ჰგავს იმ რეალითი შოუებს, რომლებშიც ასე გვიყვარს იმის ყურება, თუ როგორ იბრძვიან აგრესიული ბოსები თავიანთ ხელქვეითებს. ასეთ ვითომ თვითმმართველურ რესპუბლიკაშიც კი, ჩვენს თავს უფლება მივეცით, ოლიგარქიული ჩვევების ჭაობში ჩავძირულიყავით, თითქოსდა სხვაგვარი პოლიტიკის გატარება შესაძლებელი არც ყოფილიყო. ამ ჩვევებიდან კი ყველაზე აშკარა სწორედ მორჩილებაა. ჩვენ საკუთარი თავი შევაგუეთ იმას, რომ პოლიტიკოსები ჩვენზე ახდენენ გავლენას და არა ჩვენ – მათზე. სატელევიზიო ვარსკვლავები გვეუბნებიან, რომ პოლიტიკურ ვარსკვლავებს შორის დაიდება „დიდი გარიგება“ **(იგულისხმება ბარაკ ობამას ინიციატივა, რომლითაც მან კონგრესის ლიდერებს მიმართა. პოტენციური შეთანხმება გულისხმობდა აშშ-ის სახელმწიფო ვალის მაქსიმალური ზღვრის შემცირებას „ფისკალური ჩიხის“ თავიდან აცილების მიზნით. რედ.)** „ჩვენ“ კი ტაშს დავუკრავთ მათ ამ „რთული გადანყვეტილების“ ჩვენი სახელით მიღების გამო. სწორედ ასე მკვიდრდება პოლიტიკურ საზოგადოებაში ოლიგარქიული ჩვევები. თავდაპირველად ხალხს უნდა გაუფანტო იმის ილუზია, რომ მთავრობა სწორედ ამ საზოგადოების აზრის გამოხატულებაა, შემდეგ კი გააუქმო ან დააკნინო ძალაუფლების ნებისმიერი ცენტრი, რომელიც შენი სულისშემხუთველი ზეგავლენის გარეშეც შეძლებს არსებობას (მაგალითად, პროფკავშირები), და ბოლოს, სავსებით ცხადი გახადო ყველასთვის, თუ ვინ არის მთავარი. უფროსი მე ვარ, შეეგუეთ ამას!

სწორედ ასეთი პოლიტიკა შეგვრჩება ხელში, როცა დემოკრატიის შესაძლებლობები იგნორირებულია. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი მოვლენაა. კარგი იქნება, გავიხსენოთ, რომ იგივე თემა აქტუალური იყო 2011 წლის ზაფხულშიც, როცა ყველა პოლიტიკოსი ლაპარაკობდა ხელოვნურად შექმნილ კრიზისზე, რომელსაც „სახელმწიფო ვალის მაქსიმალური ზღვრის დადგენა“ და „დიდი გარიგება“ უცილობლად გამოიწვევდა (საუბარია ისევ ხანდაზმულთათვის ჯანმრთელობის დაზღვევისა და სოციალური დაზღვევის შემცირებაზე). შემდეგ კი, იმავე წლის სექტემბერში,

Occupy შეიქმნა, და, მასთან ერთად, ასობით ნამდვილი, ჭეშმარიტი პოლიტიკური ფორუმიც, სადაც უბრალო ამერიკელებს შეეძლოთ, ესაუბრათ რეალურ პრობლემებსა და სატკივარზე, ამ თემაზე ექსპერტთა ტრადიციული საუბრები კი შეწყდა. ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ Occupy-ს წევრებმა პოლიტიკოსებს რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები და წინადადებები წაუყენეს, არამედ იმის გამო, რომ მათ, უბრალოდ, მთელი სისტემის კანონიერების კრიზისი შექმნეს, რადგან აჩვენეს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი დემოკრატია.

რასაკვირველია, იგივე ექსპერტები Occupy-ს მკვდრად აცხადებდნენ იმის შემდეგ, რაც 2011 წლის ნოემბერში ზუკოტის პარკი მას ძალით დააცლევინეს. მაგრამ მათ არ ესმით, რომ თუკი ხალხის პოლიტიკური ჰორიზონტი ერთხელ გაფართოვდება, ეს ცვლილება პერმანენტული იქნება. ასობით ათას ამერიკელს (და, რასაკვირველია, არა მხოლოდ ამერიკელს, არამედ ბერძენს, ესპანელსა და ტუნისელსაც) ახლა უკვე თვითმმართველობის, კოლექტიური მოქმედებისა და ადამიანთა სოლიდარობის უშუალო გამოცდილება აქვს, რაც მათთვის თითქმის შეუძლებელს ხდის, დაუბრუნდნენ უწინდელ ცხოვრების წესს და მოვლენებს იმავე თვალთ შეხედონ. მაშინ, როცა მსოფლიოს პოლიტიკური და ფინანსური ელიტა ბრმად მიექანება 2008 წლის მასშტაბის ახალი კრიზისისაკენ, ჩვენ განვაგრძობთ შენობების, ფერმების, ჩამორთმეული სახლებისა და მუდმივი ან დროებითი სამუშაო ადგილების დაკავებას, ვაწყობთ გაფიცვებს საბინაო ქირის გადახდის გასაპროტესტებლად, ვატარებთ სემინარებს, მოვალეთა შეკრებებს და, ამგვარად, საფუძველს ვუყრით ჭეშმარიტად დემოკრატიულ კულტურას, ვნერგავთ ახალ უნარებს-ჩვევებსა და გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს პოლიტიკის სრულიად ახლებური გაგების დამკვიდრებას. მასთან ერთად აღორძინდება რევოლუციური წარმოდგენებიც, რომლებიც საყოველთაოდ მიღებული შეხედულებების თანახმად, დიდი ხანია, მკვდრად გამოცხადდა.

ყველამ, ვინც ამაში ჩართულია, კარგად იცის, რომ დემოკრატიული კულტურის შექმნა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ძირეულ მორალურ ტრანსფორმაციაზე ვსაუბრობთ. მაგრამ, ამავე დროს, ისიც კარგად გვესმის, რომ

ასეთი რამ ადრეც მომხდარა. აშშ-ში ყოფილა საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებსაც შედეგად ძირეული მორალური ტრანსფორმაცია მოჰყვა (პირველი, რაც მახსენდება, ფემინიზმი და აბოლიციონიზმი). მაგრამ ამ ყველაფერს დიდი დრო დასჭირდა. Occupy-ს მსგავსად, ეს მოძრაობებიც, ძირითადად, ოფიციალური პოლიტიკური სისტემის მიღმა მოქმედებდნენ, მოიცავდნენ უშუალო მოქმედებებსა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას და არასოდეს ეგონათ, რომ წარმატებას ერთ წელიწადში მიაღწევდნენ. ამკარაა, რომ მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მსგავსი ძირეული ცვლილებების განხორციელება სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს. და მაინც, უამრავი მიზეზი არსებობს, გვჯეროდეს, რომ ამერიკულმა საზოგადოებამ ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა (ეს, პირველ რიგში, ის საზოგადოებაა, რომელმაც Occupy-ს ასე სწრაფად განვითარების საშუალება მისცა), რაც სამომავლოდ ამგვარი დემოკრატიული პროექტის გრძელვადიანი აღორძინების რეალურ შესაძლებლობას გვისახავს.

სოციალური არგუმენტი, რომელსაც მოვიყვან, საკმაოდ მარტივია. იმ მოვლენამ, რომელსაც დღეს დიდ რეცესიას უწოდებენ (**იგულისხმება 2008 წელს დაწყებული ეკონომიკური კრიზისი. რედ.**) მხოლოდ და მხოლოდ დააჩქარა ათწლეულების განმავლობაში ისედაც სწრაფად მიმდინარე კლასობრივი სისტემის (**სოციალური სისტემა, რომელიც, ძირითადად, ეფუძნება ადამიანთა მატერიალურ შესაძლებლობებს და მათ მიერ მოპოვებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას, რაც განსაზღვრავს სოციალური მობილობის ხასიათს. რედ.**) ძირეული ტრანსფორმაცია. განვიხილოთ ორი სტატისტიკური მონაცემი: ამ წიგნის დაწერის დროისათვის ყოველი მეშვიდე ამერიკელი ვალის ამომღები სააგენტოს მიერ იდევნება. ამავე დროს, ერთ-ერთი უახლესი გამოკვლევით ვლინდება, რომ ამერიკელთა მხოლოდ უმცირესობა (45%) თვლის საკუთარ თავს „საშუალო კლასის“ (ფენის) წარმომადგენლად. ძნელი წარმოსადგენია, ამ ორ ფაქტს ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდეს. ამ ბოლო ხანს დიდი დისკუსიები იმართებოდა ამერიკული „საშუალო ფენის“ გაქრობის შესახებ, მაგრამ მათ მონაწილეთა უმეტესობას გამორჩა ის გარემოება, რომ „საშუალო ფენა“ ეკონომიკურ კატეგორიას მანამდეც არასოდეს წარმოად-

გენდა. ის ყოველთვის უფრო მეტად უკავშირდებოდა სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნებას, რომელიც, უბრალოდ, შემდეგი მოსაზრებიდან გამომდინარეობს: მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობს ადამიანი პოლიტიკოსებზე, ინსტიტუტები, რომლებთანაც მას ყოველდღიურად უწევს ურთიერთობა (როგორცაა პოლიცია, საგანმანათლებლო სისტემა, სამედიცინო კლინიკები და კრედიტების გამცემი დანესებულებებიც კი), ყოველთვის მის მხარეს არიან. მაშინ ძნელი წარმოსადგენია, როგორ იგრძნობს თავს საშუალო ფენის ნაწილად ადამიანი, რომელთანაც შეიძლება მივიდეს მავანი არაკორექტული რობოტი-კლერკი და მისი ოჯახის კუთვნილი სახლი ჩამოართვას.

სულ უფრო მეტი ამერიკელი მიიჩნევს, რომ ირგვლივ არსებული ინსტიტუციური სტრუქტურები სინამდვილეში მათ დასახმარებლად კი არაა შექმნილი, არამედ ბნელ და მტრულად განწყობილ ძალას განასახიერებენ. ეს ყველაფერი კი კაპიტალიზმის ფინანსიზაციის უშუალო შედეგია. ზემოაღნიშნული შეიძლება ცოტა უცნაურ განცხადებად მოგეჩვენოთ, რადგან ჩვენ მიჩვეულნი ვართ, ფინანსები ამგვარი ყოველდღიური პრობლემებისაგან რაღაც ძალიან დაშორებულ მოვლენად აღვიქვათ. ადამიანების უმეტესობას კარგად ესმის, რომ უოლსტრიტის მოგების უდიდესი ნაწილი უკვე დიდი ხანია, მრეწველობიდან და ვაჭრობიდან კი აღარ მოდის, არამედ აშკარა სპეკულაციისა და რთული ფინანსური ინსტრუმენტების შექმნის შედეგს წარმოადგენს. მაგრამ, როგორც წესი, ძირითადად, უკმაყოფილებას იმის თაობაზე გამოთქვამენ, რომ ეს არის, უბრალოდ, სპეკულაცია, ან რაღაც დეტალურად დამუშავებული ჯადოქრული ტრიუკების მსგავსი ქმედება, რომელიც უეცრად გააჩენს სიმდიდრეს – უბრალოდ, იტყვის, რომ ის არსებობს, და ის მართლაც გაჩნდება. ფაქტობრივად, ფინანსიზაცია თავიდანვე გამიზნული იყო, როგორც მთავრობისა და ფინანსური ინსტიტუტების ფარული გარიგება იმ მიზნით, რომ სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი ჩაფლულიყო ვალებში. და ეს ხდება ყველა დონეზე. გაჩნდა აკადემიური კვალიფიკაციის ახალი მოთხოვნები ისეთ პროფესიებზე, როგორცაა ფარმაცევტიკისა და მედიკალური სპეციალობა, რაც იძულებულს ხდის ყველას, ვისაც ამ სფეროში მუშაობა სურს, აილოს მთავრობის მხარდაჭერით გაცემული სტუდენტური

სესხები. ეს კი იმის გარანტიაა, რომ მომავალში მათ მიერ გამო-
მუშავებული ხელფასების საკმაოდ მსხვილი ნაწილი პირდაპირ
ბანკებში დაბრუნდება. უოლსტრიტის ფინანსურ მრჩეველებსა და
ადგილობრივ პოლიტიკოსებს შორის ფარული გარიგებები მუ-
ნიციპალიტეტების გაკოტრებას ან თითქმის გაკოტრებას იწვევს,
რის შედეგადაც პოლიციას სთხოვენ, გაამკაცროს გაზონების,
ნაგვისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ კანონის მოქმედე-
ბა სახლის მეპატრონეებისათვის. ჯარიმების სახით შემოსული
თანხები კი ბანკების შემოსავლებს გაზრდის. ნებისმიერ შემთხ-
ვევაში, მიღებული მოგების ნაწილი, ლობისტებისა და პოლიტი-
კურ საქმიანობათა კომიტეტების მეშვეობით, პოლიტიკოსებთ-
ან მიედინება. რაკი ადგილობრივი მთავრობის თითქმის ყველა
ფუნქცია ფინანსების ამოღების მექანიზმად იქცა და ფედერალ-
ური მთავრობაც გარკვევით ამბობს, რომ თავის მთავარ საქმი-
ანობად საფონდო ბირჟებზე მაღალი ფასების შენარჩუნებას და
ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელებთან ფულის ნაკადის
უნყვეტ შედინებას მიიჩნევს (რომ აღარაფერი ვთქვათ იმის გა-
რანტიის მიცემაზე, რომ არც ერთ ფინანსურ ინსტიტუტს, მიუხე-
დავად მისი ქმედებისა, არ გააკოტრებენ), სულ უფრო მეტად
გაურკვეველი ხდება, რა განსხვავებაა ფინანსურ ძალაუფლებასა
და სახელმწიფო ძალაუფლებას შორის.

სწორედ ამ ყველაფერს ვგულისხმობდით, როდესაც თავდა-
პირველად გადავწყვიტეთ, ჩვენი თავისათვის „99%“ გვენოდები-
ნა. ამ ქმედებით რაღაც თითქმის სრულიად უპრეცედენტო ჩავი-
დინეთ. ჩვენ ამერიკული პოლიტიკური დებატების ყურადღების
ცენტრში დავაბრუნეთ არა მხოლოდ კლასობრივი საკითხები,
არამედ კლასობრივი ძალაუფლების საკითხები. ვეჭვობ, რომ
ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ეკონომიკური სისტე-
მის ხასიათის თანმიმდევრული ცვლილებების გამო (ოფიციალურ
საიტებზე მას სულ უფრო ხშირად მოვიხსენიებთ „მაფიოზურ
კაპიტალიზმად“), რაც შეუძლებელს ხდის, წარმოიდგინო, ამერი-
კის მთავრობას რაიმე საერთო ჰქონდეს ხალხის ნებასთან, ან
თუნდაც ხალხის თანხმობასთან. ასეთ დროს, როგორიც ახლა
გვიდგას, დემოკრატიული იმპულსის გაღვიძება მხოლოდ რევო-
ლუციური სულისკვეთებით თუ შეიძლება.

პირველი

დასაწყისი ახლოსაა

2011 წლის მარტში მიკა უაითმა, კანადურ ჟურნალ Adbusters-ის რედაქტორმა, მთხოვა, დამენერა ერთსვეტიანი სტატია, თუ რამდენად შესაძლებელი იყო რევოლუციური მოძრაობის წამოწყება ევროპასა და ამერიკაში. მაშინ მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე, რომ, როდესაც რევოლუციური მოძრაობა მართლა იწყება, ეს ყველასთვის, მათ შორის, ორგანიზატორებისთვისაც, სიურპრიზია. ცოტა ხნით ადრე ამ საკითხზე საკმაოდ დიდხანს ვესაუბრე ეგვიპტელ ანარქისტს, სახელად დინა მაკრამ-ებეიდს, ტაჰირის მოედანზე. სწორედ ეს საუბარი გამომადგა სტატიის დასაწყისისთვის.

„სასაცილო ამბავია“, მითხრა ჩემმა ეგვიპტელმა მეგობარმა, „ამას იმდენი ხანი სჭირდება, ბოლოს გავიწყდება კიდევ, რომ შესაძლოა, გაიმარჯვო. ამდენი წლის მანძილზე ვაწყობდით საპროტესტო დემონსტრაციებს, შეკრებებს... და თუ მხოლოდ 45 ადამიანი მოვა, დეპრესიაში ვარდები; თუ 300 – ბედნიერი ხარ; შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, 500 000 მოდის და გაცდები: რაღაც ეტაპზე აღარც კი ფიქრობ, რომ შეიძლება ასეც მოხდეს.“

ჰოსნი მუბარაქის ეგვიპტე ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული საზოგადოება იყო მთელ დედამიწაზე – მთელი სახელმწიფო აპარატი იმაზე ჰქონდათ აწყობილი, რომ არასოდეს მომხდარიყო ის, რაც საბოლოოდ მოხდა. და ეს მაინც მოხდა.

მაშინ რატომ არ უნდა მოხდეს აქ?

სიმართლე გითხრათ, იმ აქტივისტთა უმეტესობა, რომლებსაც ვიცნობ, სწორედ ისეთი განწყობითაა, როგორიც ერთ დროს ჩემს ეგვიპტელ მეგობარს ეუფლებოდა – ჩვენ, უმეტესწილად, ცხოვრებას ვიწყობთ იმის ფიქრით, რომ რაღაც შესაძლებელია, მოხდეს, მაგრამ დარწმუნებულნი არ ვართ, რომ ეს რაღაც ოდესმე შეიძლება მართლა მოხდეს.

და უცებ მოხდა კიდევ.

რასაკვირველია, ჩვენს შემთხვევაში ეს არ იყო სამხედრო დიქტატურის დამხობა, არამედ მასობრივი მოძრაობის აფეთქება,

რომელიც უშუალო დემოკრატიას ეფუძნებოდა; ეს იყო შედეგი, რომელზეც დიდი ხანია, მისი ორგანიზატორები ოცნებობდნენ, რომლისაც დიდი ხანია, ემინოდათ მათ, ვისაც უმაღლესი ძალაუფლება უპყრია ქვეყანაში, და რაც ისეთივე სათუო იყო, როგორც ჰოსნი მუბარაქის ჩამოგდება.

ამ მოძრაობის ისტორია უკვე უამრავი წყაროს მიერ იქნა მოთხრობილი, Occupy Wall Street Journal-იდან დაწყებული, „ნამდვილი“ Wall Street Journal-ით დამთავრებული, განსხვავებული მოტივებით, პერსონაჟებით, მოსაზრებებით, სხვადასხვა სიზუსტით. მათ უმეტესობაში ჩემი პერსონის მნიშვნელობა მეტისმეტად გადაჭარბებით იყო შეფასებული. მე ვასრულებდი ბანაკებს შორის ხიდის როლს; მაგრამ ამ თავში ჩემი მიზანი არ გახლავთ ისტორიული ამბების დაფიქსირება; არც რაიმე ისტორიის დაწერას ვაპირებ. მინდა, გადმოგცეთ ის შეგრძნება, რომელიც შეიძლება დაგეუფლოთ ამგვარი ისტორიული დამთხვევების ცენტრში ცხოვრების დროს. ჩვენი პოლიტიკური კულტურა და, თუ გნებავთ, ყოველდღიური ცხოვრებაც კი, თითქოს გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ ამგვარი რამ, უბრალოდ, შეუძლებელია (მართლაც, არსებობს მიზეზი, გვჯეროდეს – ჩვენი პოლიტიკური კულტურა ისეა შექმნილი, რომ გვაიძულებს, სწორედ ასე ვიფიქროთ). შედეგს კი ჩვენს წარმოსახვაზე გამოგნებული ეფექტი აქვს. ისინიც კი, ვინც დინას და ჩემ მსგავსად, საკუთარი ცხოვრების უმეტეს ნაწილს, თავიანთ ფანტაზიასა და მისწრაფებებს წარმოსახვის ამგვარი აფეთქებების შესაძლებლობას უკავშირებენ, განცვიფრებულნი რჩებიან, როცა ეს აფეთქება რეალურად ხდება. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ წარმოსახვის ასეთი აფეთქებები, რომლებიც გარდაქმნას ემსახურება, მომხდარა, ხდება და კვლავაც მოხდება. ამგვარი მოვლენების ცენტრში ყოფნისას ვხვდებით, როგორ ფართოვდება ჩვენი ჰორიზონტი. ამგვარი მოვლენები დაგვაფიქრებს იმაზე, თუ კიდევ რა მიგვაჩნდა შეუძლებლად და სინამდვილეში შესაძლებელი ყოფილა; ხელახლა დაგვაფიქრებს იმაზე, რაც გვეგონა, რომ წარსულის შესახებ ვიცოდით. სწორედ ამიტომ ცდილობენ ძალაუფლების მქონე ადამიანები, ყველაფერი გააკეთონ საიმისოდ, რომ ხალხის ემოციებს ამოხეთქვის შესაძლებლობა არ მისცენ, ცდილობენ, წარმოსახვის ამგვარი აფეთქებები ანომალიად შე-

რაცხონ და არა იმ სახის მომენტებად, საიდანაც ყველაფერი წარმოიშვა, მათ შორის – მათი ძალაუფლებაც. ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი Occupy-ს ისტორიის გადმოცემა, თუნდაც მისი ერთი მოქმედი პირის თვალთახედვით. სწორედ Occupy-ს მიერ მონიჭებული შესაძლებლობების შეგრძნების შუქზე იძენს აზრს ყოველივე ის, რისი მოყოლაც მინდა.

როდესაც Adbusters-ისათვის სტატია დავწერე (რედაქტორებმა მას ასეთი სათაური შეურჩიეს: „ჯადოსნური ნაპერწკლის მოლოდინში“), ლონდონში ვცხოვრობდი და გოლდსმითსში, ლონდონის უნივერსიტეტში, ანთროპოლოგიას ვასწავლიდი. მეოთხე წელი იყო, რაც ამერიკის აკადემიიდან გამომაძევეს. იმ წელს აქტიურად ვიყავი ჩართული გაერთიანებული სამეფოს სტუდენტურ მოძრაობაში, რომელიც კონსერვატორული მთავრობის მიერ ბრიტანეთის სახელმწიფო განათლების წინააღმდეგ განურჩეველ თავდასხმებზე პროტესტის ნიშნად ჩამოყალიბდა. ვსტუმრობდი უნივერსიტეტების მიერ დაკავებულ ათობით ადგილს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვმონაწილეობდი ქუჩის აქციების ორგანიზებაში. Adbusters-მა კონკრეტული დავალება მომცა – დამენერა სტატია, რომელშიც განხილული იქნებოდა, შესაძლებელი იყო თუ არა, სტუდენტური მოძრაობა ფართო, ევროპის ან სულაც მსოფლიო მასშტაბის ამბოხების საწინდარი გამხდარიყო.

Adbusters-ის გულშემატკივარი დიდი ხანია, ვიყავი, მაგრამ მის შექმნაში წვლილის შეტანას, ის-ის იყო, ვინყებდი. მე უფრო ქუჩის აქციების კაცი ვიყავი, ისიც სოციალური თეორეტიკოსობისაგან თავისუფალ დროს. Adbusters, თავის მხრივ, იყო ჟურნალი „კულტურის ჯემერებისათვის“ (ინგლ. **Culture Jamming** – სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც კულტურისთვის წინააღმდეგობის, დაბრკოლების, შეფერხების წარმოქმნა, ხელის შეშლა. ეს არის ტაქტიკა, რომელსაც იყენებს ბევრი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლებიც პროტესტს უცხადებენ მომხმარებლურ იდეოლოგიას. ისინი მიზნად ისახავენ მედიაკულტურისა და მისი წამყვანი კულტურული ინსტიტუტების, მათ შორის სარეკლამო ბიზნესის, კომპრომეტაციას ხალხის თვალში; ილაშქრებენ კომერციული კულტურის პოლიტიკური ფონის წინააღმდეგ. ყოველივე ამისთვის იყენებენ ყალბ რეკლამას, შეთხზულ ახალ ამბებს, ირონიულ და

სატირულ კომენტარებს, იმიტირებული კომპანიების ლოგოებსა და პროდუქციის გამოგონილ ბრენდებს. კულტურის ჯემინგი ადამიანებზე იდეოლოგიურ ზეგავლენას ახდენს. ტერმინი, რომელიც კულტურის შარჟთან, კულტურის პაროდიასთან ასოცირდება, პირველად გამოიყენა ამერიკულმა ჯგუფმა, **Negativeland-მა 1984 წელს თავისი ალბომის რელიზის ტექსტში. (რედ.).** თავდაპირველად ის შეიქმნა სარეკლამო სფეროს მეამბოხე თანამშრომლების მიერ. ისინი ანტიპათიას გრძნობდნენ იმ ინდუსტრიის მიმართ, რომელშიც დასაქმებული იყვნენ. ამიტომ გადანყვითეს, მეორე მხარეს გადასულიყვნენ და თავიანთი პროფესიული უნარ-ჩვევები იმ კორპორაციული სამყაროს ანტირეკლამირებისათვის გამოეყენებინათ, რომლის რეკლამირებისათვისაც მათ წერთიდნენ. ყველაზე მეტად გაითქვეს სახელი, მაგალითად, მოდის ინდუსტრიის ანტირეკლამებით, რომლებშიც ბულიმიით დაავადებული მოდელები ტუალეტებში გულს ირევნენ. ამ სარეკლამო რგოლებს პროფესიონალური პროდუქციის ღირებულება ჰქონდა. ჯემერები ცდილობდნენ, განეთავსებინათ ეს სარეკლამო რგოლები მსხვილ ბეჭდურ გამოცემებსა და ქსელურ ტელემაუწყებლობაში (**აშშ-ის თითოეულ წამყვან ტელეკომპანიას 200-ზე მეტი სატელევიზიო სადგური აქვს. ამ ქსელის მეშვეობით მათი ტელემაუწყებლობა მთელ ქვეყანას მოიცავს. რედ.).** მათ ამ მცდელობას, რასაკვირველია, უარით უპასუხეს. Adbusters ყველა სხვა რადიკალურ ჟურნალს სჯობდა, მაგრამ ბევრი ანარქისტი მის ამ დახვეწილ, ირონიულ მიდგომას დიდ მნიშვნელობას სულაც არ ანიჭებდა. ამ ჟურნალისთვის წერა მაშინ დავიწყე, როცა ჯერ კიდევ 2008 წელს მიკა უაითი დამიკავშირდა და ერთსვეტიანი სტატიის დაწერა მთხოვა, 2011 წლის ზაფხულში კი გამოთქვა სურვილი, მათი, ასე ვთქვათ, მუდმივი კორექსონდენტი ვყოფილიყავი ბრიტანეთში.

ამ გეგმამ უკანა პლანზე გადაინაცვლა, როცა ერთწლიანმა შვებულებამ ამერიკაში დამაბრუნა. მშობლიურ ნიუ-იორკში 2011 წლის ივლისში ჩავედი. ვაპირებდი, მთელი ზაფხული მოგზაურობაში გამეტარებინა და მიმეცა ინტერვიუები ვალის ისტორიის შესახებ იმხანად გამოცემულ ჩემს წიგნთან დაკავშირებით. ვფიქრობდი ნიუ-იორკის აქტივისტურ ასპარეზზე დაბრუნებასაც, მაგრამ ჯერ კიდევ ვყოყმანობდი, რადგან ისეთი შთაბეჭ-

დილება შემექმნა, რომ ეს მოძრაობა ცოტათი ქაოსური იყო. აქტივიზმში სერიოზულად პირველად 2000-2003 წლებში ჩავერთე, როცა „გლობალური სამართლიანობის მოძრაობის“ (Global Justice Movement) საქმიანობამ ზენიტს მიაღწია. ეს მოძრაობა 1994 წელს მექსიკის შტატ ჩიაპასში ზაპატისტების ამბოხებით დაიწყო **(მექსიკურმა რევოლუციურმა ძალებმა, რომლებიც სოციალური და აგრარული რეფორმების გატარებას მოითხოვდნენ, სახელი დაირქვეს მექსიკელი რევოლუციონერის, ემილიანო ზაპატას (1879-1919) პატივსაცემად. რედ.)** და მასობრივი აქციებით შეერთებულ შტატებამდე მოაღწია (მათ გამო სიეტლში 1999 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეხვედრები ჩაიშალა). უკანასკნელი ხანებში ეს ის შემთხვევა იყო, როცა ჩემს მეგობრებს გაუჩნდათ შეგრძნება, რომ რაღაც გლობალური რევოლუციური მოძრაობა ყალიბდებოდა. ცხელი დღეები იდგა. სიეტლის მოვლენების კვალდაკვალ თითქოს ყოველდღე რაღაც ხდებოდა – პროტესტი, აქცია, Reclaim the Streets („ქუჩების დაბრუნება“, „აღდგენა“, „გაცოცხლება“ – მოძრაობა, რომელიც საჯარო სივრცის საზოგადოებრივ საკუთრებად მიჩნევის იდეას ემხრობა და გლობალიზაციის პროცესში კორპორაციული ძალების დომინირებას ეწინააღმდეგება. ამავ დროს, ეს სახელწოდება უფრო განზოგადებულადაც გამოიყენება, მაგალითად, ნებისმიერი პოლიტიკური აქციის მისამართით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ეს აქცია ზემოხსენებული მოძრაობის იდეალებს სულაც არ იზიარებდეს. მთარგმ.), ან აქტივისტთა მიერ გამართული წვეულება მეტროში, ანდა ათასი სხვაგვარად დაგეგმილი შეკრება. მაგრამ 9/11-ის ამბავმა ძალიან მძიმე დარტყმა მოგვაყენა; მისი შედეგების სრულად გააზრებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა **(იგულისხმება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი. რედ.)**. პოლიციელთა მხრიდან აქტივისტების მიმართ განხორციელებულმა სასტიკმა ძალადობამ წარმოუდგენელ ზღვარს მიაღწია; მაგალითად, როდესაც 2009 წელს სტუდენტთა მცირერიცხოვანმა შეუიარაღებელმა ჯგუფმა პროტესტის ნიშნად New School-ის სახურავი დაიკავა, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტმა ოთხი სხვადასხვა ტიპის ანტიტერორისტული რაზმი გამოიყენა, მათ შორის ვერტმფრენიდან თოკების საშუალებით ჩამოსმული კომანდოსები, რომლებიც

ათასგვარი ისეთი უცნაური იარაღით იყვნენ აღჭურვილნი*, სა-
მეცნიერო-ფანტასტიკურ წიგნებში რომ აღწერენ. ანტისაომარმა
და რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კონვენტის სანი-
ნაალმდეგო გამოსვლებმა ნიუ-იორკში კი, რაც არ უნდა პარა-
დოქსულად ჟღერდეს, სასიცოცხლო ძალა გამოაცალა საპრო-
ტესტო მოძრაობას: ანარქისტული ხასიათის „ჰორიზონტალური“
ჯგუფები, რომლებიც უშუალო დემოკრატიის პრინციპებს ეყრდ-
ნობა, ჩანაცვლა ომის სანიანალმდეგო უზარმაზარმა „ვერტი-
კალურმა“ კოალიციებმა, რომელთათვისაც პოლიტიკური ქმედ-
ებები, უბრალოდ, ტრაფარეტებით დემონსტრაციებზე გამოსვლას
გულისხმობს. ამასობაში ნიუ-იორკის ანარქისტული მოძრაობა,
რომელიც „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ შუაგულში
იმყოფებოდა, დაუსრულებელი პირადული კინკლაობებისგან და-
სუსტებული, წიგნების ყოველწლიური ბაზრობის მოწყობამდე
დაკნინდა.

„ნ აპრილის“ მოძრაობა

სანამ ზაფხულში ერთწლიანი შევებულებით ჩავიდოდი მშობ-
ლიურ ქალაქში, გაზაფხულზე, აპრილის ბოლოს, ცოტა ხნით
მოვინახულე ის და მაშინვე ხელახლა ჩავერთე ნიუ-იორკის აქ-
ტივისტურ მოძრაობაში. ჩემმა ძველმა მეგობარმა, პრია რედიმ,
ერთ დროს „ხეზე მჯდომარემ“ (ხეზე ჯდომა – გარემოს დამცვე-
ლი პირის პროტესტის სახეობა, როდესაც ის ზის ხეზე და იცავს
მას მოჭრისაგან. მთარგმ.) და ვეტერანმა ეკოაქტივისტმა, ეგვიპ-
ტური „ნ აპრილის“ ახალგაზრდული მოძრაობის ორი ფუძემდებ-
ლის გასაცნობად მიმიწვია. ისინი სიტყვით უნდა გამოსულიყვნენ
„ბრეხტის ფორუმზე“ – რადიკალური განათლების ცენტრში, რო-
მელიც ღონისძიებებს ხშირად უთმობდა თავისუფალ სივრცეს.

ეს ამაღელვებელი ამბავი იყო, რადგან „ნ-მა აპრილმა“ მნიშ-
ვნელოვანი როლი შეასრულა ეგვიპტის უკანასკნელ რევოლუცი-

* ვგულისხმობ New School-ის მეორე ოკუპაციას 2009 წელს. იქამდე, 2008 წელს, სტუ-
დენტებმა კაფეტერია დაიკავეს და გამარჯვებაც მოიპოვეს. მაშინ მათი რაოდენობა
უმნიშვნელო იყო, შესაბამისად, პოლიციას მკაცრი ზომებისთვის არ მიუძღრათავს. მეორე
„ოკუპაციას“ პოლიციელთა უზარმაზარი რაზმი მყისიერად დაუპირისპირდა.

აში. როგორც გაირკვა, იმ ეგვიპტელებს, რომლებიც ნიუ-იორკში წიგნის ტურზე იყვნენ ჩამოსულნი, რამდენიმე თავისუფალი საათი ჰქონდათ. მათ გადაწყვიტეს, დასხლტომოდნენ გამომცემლობის წარმომადგენლებს და თანამოაზრე აქტივისტებს შეხვედროდნენ. დაურეკეს მარისა ჰოლმსს, ანარქისტსა და რადიკალურად განწყობილ რეჟისორს, რომელიც ეგვიპტის რევოლუციის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებდა. როგორც ჩანს, ის ერთადერთი ნიუ-იორკელი აქტივისტი იყო, ვისი ტელეფონიც ამ ორმა იცოდა. მარისამაც ერთი დღით ადრე შეგვატყობინა ბრეხტის ფორუმის ღონისძიების შესახებ. საბოლოოდ, ოცი ადამიანი გამოვცხადდით ბრეხტის ფორუმის ბიბლიოთეკაში და ორი ეგვიპტელის მოსასმენად დიდ მაგიდას შემოვუსხედით. ერთი, აჰმედ მეიჰერი, ახალგაზრდა, მელოტი კაცი, უმეტესწილად ჩუმად იჯდა, რადგან ინგლისურის საექვო ცოდნა თავდაჯერებულობის საფუძველს არ აძლევდა. ის, როგორც ჩანს, მოძრაობის დამფუძნებელი გახლდათ. მეორე კი, უალიდ რაშიდი, უზარმაზარი, ლაჟღაჟა, ენაწყლიანი და სასაცილო, ჩემი აზრით, უფრო ორატორი იყო, ვიდრე სტრატეგი. ორივენი გვიამბობდნენ ისტორიებს, თუ რამდენჯერ დააპატიმრეს ისინი და რა პატარ-პატარა ხრიკებს მიმართავდნენ საიდუმლო პოლიციის გასაცურებლად.

„ჩვენ საკმაოდ კარგად ვიყენებდით ტაქსის მძღოლებს. ისე, რომ მათ ამის შესახებ არც კი იცოდნენ. იცით, ეგვიპტეში ასეთი ტრადიცია გვაქვს – ტაქსის მძღოლები სულ ლაპარაკობენ. გაუჩერებლად. მათ სხვაგვარად არ შეუძლიათ. ნამდვილ ამბავსაც კი ჰყვებიან ერთ ბიზნესმენზე, რომელმაც ტაქსი საკმაოდ შორ მანძილზე წასასვლელად აიყვანა და მგზავრობის ნახევარი საათის განმავლობაში მძღოლის ლაყობამ იმდენად დაქანცა, რომ სთხოვა, გაჩუმებულიყო. მძღოლმა გააჩერა მანქანა და უბრძანა, გადმოსულიყო. „როგორ ბედავ? ეს ჩემი ტაქსია! მე უფლება მაქვს, დაუსრულებლად ვილაპარაკო!“

ამიტომ ერთ დღეს, როცა გავიგეთ, რომ პოლიცია ჩვენი შეკრების დაშლას აპირებდა, ჩვენი ფეისბუქის გვერდზე გამოვაცხადეთ, რომ დღის სამ საათზე ტაჰირის მოედანზე შევიკრიბებოდით. ახლა, რასაკვირველია, ყველამ ვიცოდით, რომ გვითვალთვალებდნენ. ამგვარად, იმ დღეს თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ მოვალეობად მივიჩნიეთ, დაახლოებით დილის

ცხრა საათისთვის ტაქსით გვემგზავრა და მძღოლებთან საუბარში გვეთქვა: „იცით, გავიგე, რომ ტაჰირის მოედანზე დღეს, ორ საათზე, დიდი შეკრება იგეგმება“. და როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ამბავი რამდენიმე საათის შემდეგ ქაიროში ყველამ იცოდა. პოლიციის მოსვლამდე შეკრებაზე უკვე ათობით ათასი ადამიანი გამოცხადდა“.

როგორც გაირკვა, „ნ აპრილი“ სულაც არ იყო რადიკალური ჯგუფი. რაშიდი, მაგალითად ბანკში მუშაობდა. ის და უალიდი თავიანთი ხასიათით კლასიკური ლიბერალები იყვნენ. ეს ადამიანები ამერიკაში რომ დაბადებულიყვნენ, ბარაკ ობამას მომხრეები იქნებოდნენ. თუმცა ისინი ხელიდან დაუძვრნენ თანმხლებ პირებს, რომ ანარქისტებისა და მარქსისტების ჭრელ ჯგუფს შეხვედროდნენ; ფიქრობდნენ, რომ ეს ადამიანები მათი ამერიკელი კოლეგები იყვნენ.

„როდესაც ხალხში ცრემლსადენი გაზის ბალონები ისროლეს, შევნიშნეთ, რომ თითოეულ მათგანზე იყო წარწერა: „დამზადებულია აშშ-ში“, – გვითხრა რაშიდმა, – ეს ყოველმა ჩვენგანმა დაინახა. როგორც მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, ამერიკული იყო ის მონყობილობებიც, რომლებსაც ჩვენს სანამებლად იყენებდნენ, როცა დაგვაპატიმრეს. ასეთი რამ ადამიანს არასოდეს ავიწყდება“.

ოფიციალური საუბრის შემდეგ რაშიდმა და მეიჰერმა სურვილი გამოთქვეს, მდინარე ჰადსონი ენახათ, რომელიც იქვე, გზის გადაღმა იყო. ასე რომ, ექვსმა თუ შვიდმა შედარებით გაბედულმა ადამიანმა ჩვენი ჯგუფიდან უესტსაიდის გზატკეცილისაკენ ავიღეთ გეზი, სწრაფად მოძრავ მანქანებს შორის გავაღწიეთ და ხიდის ბურჯთან, უკაცრიელ ადგილას მივედით. მე ჩემს „ფლეშკაზე“ გადმოვწერე რამდენიმე ვიდეო, რომელთა გადმოცემაც რაშიდს უნდოდა ჩვენთვის – ზოგი ეგვიპტის მოვლენებს ასახავდა, ზოგი კი, ჩვენდა გასაკვირად, გადაღებული იყო სერბეთის სტუდენტთა ჯგუფ „ოტპორ!“-ის მიერ. ამ ჯგუფმა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მასობრივი საპროტესტო მოძრაობისა და არაძალადობრივი წინააღმდეგობის სხვადასხვა სახეობის ორგანიზებაში, რომელთა შედეგადაც დაემხო 2000 წლის ბოლოს სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმი. რაშიდის განმარტებით,

სერბეთის ჯგუფი „6 აპრილის“ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი შთაგონების წყარო იყო. ეგვიპტური ჯგუფის დამფუძნებლებს არამარტო მიმოწერა აკავშირებდათ „ოტპორ!“-ის ვეტერანებთან, ბევრი მათგანი ორგანიზაციის საქმიანობის საწყის ეტაპზე ბელგრადშიც კი ჩაფრინდა, რომ მშვიდობიანი წინააღმდეგობის მეთოდების შესახებ გამართულ სემინარებს დასწრებოდა. „6-მა აპრილმა“ „ოტპორ!“-ის ლოგო – მოღერებული მუშტიც კი გადმოიღო.

„თქვენ ხომ კარგად იცით, რომ „ოტპორ!“ თავდაპირველად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შეიქმნა?“ – ვკითხე მე.

მან მხრები აიჩეჩა. როგორც ჩანს, სერბული ჯგუფის წარმომავლობა სრულებით არ აინტერესებდა.

მაგრამ „ოტპორ!“-ის წარმომავლობა გაცილებით ჩახლართული იყო. რამდენიმე ჩვენგანმა მაშინვე ვცადეთ, აგვეხსნა, რომ, ფაქტობრივად, ტაქტიკა „ოტპორ!“-ისა და მრავალი სხვა ჯგუფისა, რომლებიც „ფერადი“ რევოლუციების ავანგარდში იდგნენ (ეს რევოლუციები, საბჭოთა იმპერიიდან მოყოლებული, ბალკანეთის ქვეყნებამდე, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით განხორციელდა), სწორედ იმ სტრატეგიას წარმოადგენდა, რომელიც ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ შესწავლის შედეგად შეითვისა. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ის ტაქტიკაც, იმ საღამოს მდინარე ჰადსონის ნაპირზე შეკრებილი ადამიანები რომ იყენებდნენ.

შეუძლებელია, აქტივისტებმა იცოდნენ, თუ რას ფიქრობს მეორე მხარე. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, კონკრეტულად, ვინ დგას მეორე მხარეს: ვინ გვითვალთვალეს, ვინ ახორციელებს ჩვენ წინააღმდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების ზომების კოორდინირებას, თუკი ასეთი რამ საერთოდ ხდება. მხოლოდ შეიძლება, დაახლოებით ივარაუდო. ჯერ კიდევ 1999 წელს, სწორედ მაშინ, როცა ავტორიტარიზმის საწინააღმდეგო ფართო გლობალური ქსელი პრაღიდან კანკუნამდე სავაჭრო სამიტების ჩასაშლელად შეკრებების ორგანიზებას შეუდგა და დეცენტრალიზებული უშუალო დემოკრატიისა და მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის საოცრად ეფექტურ მეთოდებს იყენებდა, ძნელი არ იყო,

შეგემჩნია, რომ აშშ-ის უსაფრთხოების აპარატის წარმომადგენლებმა დაიწყეს არამართო ამ ფენომენის შესწავლა, არამედ შეეცადნენ, დაედგინათ, შეძლებდნენ თუ არა თავად ისინი ამგვარი მოძრაობის ხელშეწყობას. მოვლენათა ამგვარი შემობრუნება უპრეცედენტო არ იყო. 1980-იან წლებში ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს რაღაც მსგავსი უკვე გაკეთებული ჰქონდა. მან გამოიყენა 1960-იანი და 1970-იანი წლების მთავრობის სანინალმდეგო მოძრაობის კვლევის შედეგები იმისთვის, რომ პარტიზანულ არმიებს ემუშავათ მთავრობის სანინალმდეგო ჯგუფების შექმნაზე, როგორიც იყო, მაგალითად, Contras ნიკარაგუაში. როგორც ჩანს, ისევ რაღაც ანალოგიური ხდებოდა. დაიწყო მთავრობის ფულის ჩადინება იმ საერთაშორისო ფონდებში, რომლებიც არაძალადობრივ ტაქტიკას უჭერდნენ მხარს და ამერიკელი ტრენერები (მათ შორის იყვნენ 1970-იანი წლების ანტიბირთვული მოძრაობის ვეტერანებიც კი) დახმარებას უწევდნენ „ოტპორ!“-ის მსგავსი ჯგუფების ორგანიზებას. ძალიან მნიშვნელოვანია, არ გადავაჭარბოთ ამგვარი ძალისხმევის ეფექტიანობის შეფასებისას. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ვერ შექმნის მოძრაობას არაფრისგან. მისმა მონდომებამ შედეგი გამოიღო საქართველოსა და სერბეთში, თუმცა სრული ფიასკო განიცადა ვენესუელაში. მაგრამ ჭეშმარიტი ისტორიული პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ იმ მეთოდისკამ, რომლის პიონერიც „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობა“ იყო, და რომელიც ასეთი წარმატებით გააგრძელა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მთელ მსოფლიოში, კერძოდ, იმ ჯგუფებში, რომლებსაც ამერიკა უჭერდა მხარს, სული შთაბერა იმ მოძრაობებსაც, რომლებმაც ამერიკის სატელიტი სახელმწიფოების კრახი გამოიწვია. ეს სწორედ უშუალო დემოკრატიული მოქმედების ტაქტიკის ძლიერების მანიშნებელია. თუკი მას ერთხელ მაინც მიუშვებ ნებაზე, ის უკვე უმართავი ხდება.

US UNCUT

(ამერიკა სახელმწიფო დაფინანსების შემცირების გარეშე)

იმ საღამოს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მარისასთან შეხვედრა იყო. ხუთი წლის წინ ის იმ სტუდენტ აქტივისტთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც სცადეს, 1960-იანი წლების აქტივისტური ჯგუფი Students for Democratic Society (SDS – „სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისათვის“) აღედგინათ, თუმცა ამ ჯგუფმა ძალიან ცოტა ხანს იარსება. ნიუ-იორკის აქტივისტთა უმეტესობა მის ორგანიზატორებს დღემდე „იმ შდშ-ის ბავშვებად“ მოიხსენიებს. ბევრი მათგანი მახეში აღმოჩნდა – წლების შემდეგაც კი კვირაში 50-60 საათს მუშაობდნენ, რომ სტუდენტური სესხი დაეფარათ. მარისა კი, რომელიც SDS-ის ოჰაიოს განყოფილებაში საქმიანობდა და მოგვიანებით გადავიდა ნიუ-იორკში, კვლავაც ძალიან აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. როგორც ჩანდა, ის მონაწილეობდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში, რომლებიც ნიუ-იორკის აქტივისტურ სფეროში ჩატარებულა. მარისა იმ ხალხის რიცხვს განეკუთვნება, რომლებსაც სათანადოდ ვერ აფასებენ – პატარა ტანის, მოკრძალებული ადამიანი, რომელიც დიდ თავყრილობებზე საკუთარ თავში ჩაიკეტება და ლამისაა, სულ გაქრეს. სინამდვილეში ის ერთ-ერთი უნიჭიერესი აქტივისტია, ვისაც კი ოდესმე შეხვედრივარ. როგორც მოგვიანებით აღმოვაჩინე, მას აქვს გასაოცარი უნარი, მყისიერად შეაფასოს სიტუაცია და გაერკვეს, რა ხდება, რა არის მნიშვნელოვანი და რა უნდა გაკეთდეს.

როცა ჰადსონის ნაპირას გამართული ჩვენი პატარა შეკრება დასრულდა, მარისამ მითხრა, რომ მეორე დღეს EarthMatters-ში, ისტ-ვილიჯში, შეხვედრა ეწყობოდა. შეკრებას ატარებდა ახალი ჯგუფი, რომელშიც იგი მუშაობდა. მას ერქვა US Uncut. ის, როგორც მარისამ ამიხსნა, ბრიტანული კოალიციის, UK Uncut-ის, მიზნად შეიქმნა (*UK Uncut არის მოძრაობა, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო დაფინანსების შემცირებას სხვადასხვა სფეროში და შემუშავებული აქვს ამ შემცირების სხვადასხვა ალტერნატივა*). *US Uncut* კი არის ანალოგიური ორგანიზაცია აშშ-ში, რომელიც ეწინააღმდეგება დიდი კორპორაციების მიერ გადასახადებისთვის კანონის ფარგლებში თავის არიდებას და

ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო დაფინანსების უსაფუძვლოდ და ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე შეკვეცას. მთარგმნ.) UK Uncut ტორების მთავრობის 2010 წლის მკაცრი ეკონომიის გეგმის წინააღმდეგ მასობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ორგანიზების მიზნით ჩამოყალიბდა. როგორც მარისამ თავიდანვე გამაფრთხილა, US Uncut-ის უმრავლესობას ლიბერალები წარმოადგენდნენ, და ანარქისტებიც ჰყავდათ, ოღონდ ბევრი არა; მაგრამ ალბათ სწორედ ეს ანიჭებდა მათ ერთგვარ მომხიბვლელობას: ნიუ-იორკის ფილიალში სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანი იყო თავმოყრილი – „რეალური“ ადამიანები, „არააქტივისტები“ – შუახნის დიასახლისები, ფოსტის თანამშრომლები. „მაგრამ ყველანი აღფრთოვანებული იყვნენ, რომ შეეძლოთ, ხორცი შეესხათ უშუალო მოქმედების იდეისთვის“.

ამ იდეას გარკვეული მიმზიდველობა ჰქონდა. UK Uncut-თან მუშაობის შესაძლებლობა არასოდეს მქონია, თუმცა, რასაკვირველია, შემთხვევით გადავყრივარ მის წარმომადგენლებს.

UK Uncut-ის ტაქტიკური სტრატეგია მარტივი და ბრწყინვალე იყო. კონსერვატორთა მთავრობის 2010 წლის მკაცრი ეკონომიის პაკეტთან დაკავშირებული უდიდესი სკანდალი შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: ტორებმა ერთი ამბავი ატყეს იმაზე, რომ საჭირო იყო სტუდენტთა გადასახადების გასამმაგება, სტუდენტთა ახალგაზრდული ცენტრების დახურვა, პენსიონერთათვის და შეზღუდული უნარის მქონე პირთათვის დახმარების შემცირება, რათა, როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, აენაზღაურებინათ ბიუჯეტის დეფიციტი; და ამ დროს არავითარი ინტერესი არ გამოუვლენიათ უდიდესი კორპორაციული კომპანიების მენილეების მიერ მილიარდობით ფუნტი სტერლინგის ოდენობით გადაუხდელი გადასახადების მიმართ. ეს ის სახელმწიფო შემოსავალი იყო, რომლის ამოღების შემთხვევაშიც ამ შემცირებათა უმეტესობა აუცილებელი საერთოდ აღარ გახდებოდა. უკ უნცუტ პრობლემას ასე წარმოაჩენდა: „კარგი, თუკი თქვენ აპირებთ, დახუროთ სკოლები და კლინიკები იმის გამო, რომ არ გინდათ, ფული მოსთხოვოთ ისეთ ბანკებს, როგორიცაა HSBC, ან ისეთ კომპანიებს, როგორიცაა Vodafone, მაშინ ჩვენ ამ კომპანიათა ფოიეებში ჩავატარებთ გაკვეთილებს და ვუმკურნალებთ

პაციენტებს“. UK Uncut-ის ყველაზე მნიშვნელოვანი აქცია 26 მარტს გაიმართა, ნიუ-იორკში ჩემს დაბრუნებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე, როდესაც სახელმწიფო დაფინანსების შემცირებისადმი პროტესტის ნიშნად გამართული მშრომელთა ნახევარმილიონიანი დემონსტრაციის შემდეგ დაახლოებით 250-მა აქტივისტმა ულტრათანამედროვე უნივერსალი Fortnum & Mason დაიკავა. Fortnum & Mason, ძირითადად, ცნობილი იყო იმით, რომ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ჩაითა და ორცხო-ბილებით ვაჭრობდა; ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, მისი ბიზნესი ყვაოდა, მაგრამ მალაზიის მფლობელებმა როგორღაც მაინც მოახერხეს, თავი აერიდებინათ 40 მილიონი ფუნტი სტერ-ლინგის ოდენობის გადასახადისათვის.

იმ დროისათვის მე სხვა ჯგუფთან ვმუშაობდი – Arts Against Cuts („ხელოვნება სახელმწიფო დაფინანსების შემცირების წინააღმდეგ“), რომელიც, ძირითადად, ხელოვანი ქალებისაგან შედგებოდა. ისინი დემონსტრაციის დღეს სტუდენტებს ასობით სალევავის ყუმბარით ამარაგებდნენ. სტუდენტებს შავი, კაპი-უშონიანი მაისურები ეცვათ, თავზე კი „შლემები“ და ბენდენები ეხურათ (აქტივისტთა ენაზე ამას „შავი ბლოკი“ ეწოდება)*. სალევავის ყუმბარები მანამდე არასოდეს მენახა და კარგად მახსოვს, რა გაოცებული დავრჩი მათი მცირე ზომებით, როცა ჩემმა მეგობრებმა ზურგჩანთები გახსნეს და ისინი მაჩვენეს. სალევავის ყუმბარები ნამდვილი ყუმბარები არცაა, არამედ პანანინა ბუშტები, რომლებიც კვერცხის ფორმისაა, ზომით მასზე ოდნავ დიდია, შიგნით ნახევარი წყალია, ნახევარი – წყალში ხსნადი სხვადასხვა

* არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ „შავი ბლოკი“ ერთგვარი შავ-ნელი ორგანიზაციაა ექსტრემისტული ანარქისტული იდეოლოგიითა და ტაქტიკით. სინამდვილეში ეს არის ტაქტიკა, რომელიც აქტივისტებს (როგორც წესი, ანარქისტებს), შეუძლიათ, ნებისმიერი დემონსტრაციის დროს გამოიყენონ. ეს გულისხმობს სახის დაფარვას, უნიფორმისებური შავი ტანსაცმლის ტარებას და იმგვარი მასის ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნება სურვილი და უნარი, საჭიროების შემთხვევაში საბრძოლო ტაქტიკა გამოიყენოს; ინგლისურენოვან სამყაროში ეს შეიძლება ბევრ რამეს ნიშნავდეს, მაგალითად, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ცოცხალი კედლის აღმართვას მკლავების გადაჭდობის გზით, ან ყურადღების მიპყრობის მიზნით კორპორაციული მალაზიების ფასადებისთვის ზიანის მიყენებას. ამ მეთოდებს რეგულარულად არ იყენებენ. ლონდონში შავი ბლოკის მოქმედება წლების მანძილზე არც კი დაფიქსირებულა, სანამ სტუდენტური მოძრაობის წევრებმა არ გადაწყვიტეს, ხსენებული აპრილის აქციის დროს ექსპერიმენტის სახით ეს მიდგომა გამოეყენებინათ. გარდა ამ პრეცედენტისა, სხვა შემთხვევა არ მახსოვს.

ფერის საღებავები. ამ ყუმბარების დადებითი მხარე ისაა, რომ შეგიძლია, ისინი ბეისბოლის ბურთებივით ესროლო ნებისმიერ სამიზნეს – იქნება ეს მაღაზიის ვიტრინა (რომელიც შენს გალიზიანებას იწვევს), გვერდით მიმავალი როლს-როისი, ლამბორჯინი თუ ბუნტის ჩასახშობად გამოყვანილი პოლიციელი. შედეგი კი მყისიერი და შთამბეჭდავია – ყველაფერი საღებავით დაიფარება, მაგრამ ამ გზით ვინმეს ფიზიკური ზიანის მიყენების უმცირესი საშიშროებაც კი არ ემუქრება.

იმ დღის გეგმა ასეთი იყო: სტუდენტები და მათი მოკავშირეები სამ საათზე მშრომელთა დემონსტრაციას უნდა გამოცალკევებოდნენ და, მცირე ჯგუფებად დაყოფილნი, ლონდონის ცენტრალურ სავაჭრო ნაწილში მიმოფანტულიყვნენ, გადაეკეტათ გზაჯვარედინები და გადასახადებისათვის თავის ამრიდებელი კომპანიების შესასვლელების ზემოთ მდებარე დიდი ბანერები საღებავის ყუმბარებით მოეხატათ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გავიგეთ, რომ UK Uncut-მა Fortnum & Mason დაიკავა და მამინვე იქით გავეშურეთ, რომ გვენახა, თუ რით შეიძლებოდა, დავხმარებოდით აქციის მონაწილეებს. მე სწორედ მაშინ მივედი, როცა პოლიციის საგანგებო დანაყოფები შესასვლელს ალყაში აქცევდნენ და აქციის დარჩენილი მონაწილეები, რომლებსაც სურდათ, თავი დაეღწიათ დაპატიმრებისთვის, უნივერსალის შესასვლელის თავზე მდებარე უზარმაზარი ბანერიდან გადმოსახტომად ემზადებოდნენ, რომ ირგვლივ შემოკრებილი დემონსტრანტების მკლავებში მოხვედრილიყვნენ. „შავი ბლოკი“ შეიკრიბა, და მას შემდეგ, რაც ჩვენს ხელთ დარჩენილი რამდენიმე ყუმბარაც ვისროლეთ, ხელი ხელს ჩავკიდეთ პოლიციელთა შესაჩერებლად, რომლებიც ცდილობდნენ, ქუჩები გაენმინდათ და მასობრივი დაპატიმრებები დაენწყით. რამდენიმე კვირის შემდეგ, უკვე ნიუ-იორკში, ისევ მტკიოდა იმ დღეს დაბეჭილი ფეხები, რადგან წვივებში მირტყეს (მახსოვს, მაშინ ვფიქრობდი კიდეც, ახლა კი მესმის, რატომ ეცვათ ძველ დროში მეომრებს სანწივეები-მეთქი – თუკი ფაროსანთა ორი საპირისპირო რიგი დადგება, ალბათ ყველაზე უპრიანია, მოწინააღმდეგეს დარტყმა წვივებში მიაყენო).

როგორც გაირკვა, US Uncut სულაც არ აპირებდა ასეთი უკიდურესი ზომების მიღებას. ის შეხვედრა, რომელიც ვახსენე,

ცნობილი ვეგეტარიანული გასტრონომის, EarthMatters-ის უკანა აივანზე ჩატარდა, ქვემო ისტ-საიდზე, იქ, სადაც თითქმის ისეთივე ძვირად ღირებული ბალახეულის ჩაი იყიდება, როგორც Fortnum & Mason-ში. აქ მართლაც ისეთი მრავალფეროვანი და არაორდინალური ხალხი ცხოვრობს, მარისა რომ მეუბნებოდა. მათ დაგეგმილი ჰქონდათ ისეთივე აქციის მოწყობა, როგორიც UK Uncut-მა Fortnum & Mason-ში ჩაატარა: მთელი ქალაქის მასშტაბით სკოლებში იხურებოდა კლასები იმ მოტივით, რომ ბიუჯეტში დეფიციტი იყო; პროტესტის ნიშნად ისინი აპირებდნენ, გაკვეთილები ჩაეტარებინათ ამერიკის ბანკის (Bank of America), იმ ფინანსური ბეჭემოთის ჰოლში, რომელიც გადასახადებს საერთოდ არ იხდიდა. ვინმე პროფესორის როლს შეასრულებდა და წაიკითხავდა ლექციას კორპორაციული გადასახადებისათვის თავის არიდებაზე, მარისა კი ამ ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდა და ვიდეოს ინტერნეტში ჩაუშვებდნენ. ისინი წუხდნენ, რომ არავინ ჰყავდათ ისეთი, ვინც პროფესორის როლს ითამაშებდა.

კვირადღისთვის ლონდონის რეისზე თვითმფრინავის ბილეთები უკვე ნაყიდი მქონდა და დაპატიმრების პერსპექტივა დიდად არ მხიბლავდა, მაგრამ ეს თითქოს ბედისწერა იყო და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მათ დახმარება შევთავაზე.

გაირკვა, რომ საქმე ძნელი სულაც არ იყო – US Uncut-ის „ოკუპაციის“ იდეა შემდეგში მდგომარეობდა: ბანკის ჰოლში უნდა დავბანაკებულიყავით, შემდეგ თავდაპირველი არეულობით გამოწვეული დაბნეულობით უნდა გვესარგებლა, „გაკვეთილი“ დაგვეწყო და, როგორც კი პოლიცია მოვიდოდა და დაპატიმრებით დაგვემუქრებოდა, მაშინვე გავცლოდით იქაურობას. ჩემი კარადის სიღრმეში რალაც ტვიდის პიჯაკის მსგავსი გამოვქექე, შევისწავლე ამერიკის ბანკის გადასახადების ისტორია (ერთი პიკანტური დეტალი ფურცელზე ჩავინიშნე, რომ გამემრავლებინა და აქციის დროს გამეგრცელებინა: 2009 წელს ამერიკის ბანკს 4,4 მილიარდი დოლარი მოგება ჰქონდა, მაგრამ ფედერალური გადასახადები საერთოდ არ გადაუხდია; მიუხედავად ამისა, მაინც მიიღო 1,9 მილიარდიანი საგადასახადო შეღავათი. და ეს მაშინ, როცა ლობირებაზე დაახლოებით 4 მილიონი დახარჯა. ეს ფული პირდაპირ იმ პოლიტიკოსების ჯიბეში წავიდა, რომლებმაც იმგვარი საგადასახადო კოდექსი შეიმუშავეს, რომ მისი დახმარე-

ბით ეს ყველაფერი შესაძლებელი გამხდარიყო) და სამოქმედოდ გამოვცხადდი. მარისამ ყველაფერი ფირზე ჩაწერა და მაშინვე ინტერნეტში ჩაუშვა. ჩვენი „ოკუპაცია“ დაახლოებით თხუთმეტ წუთს გაგრძელდა.

როდესაც ივლისში ნიუ-იორკში დავბრუნდი, ერთ-ერთი პირველი, ვისაც დავურეკე, მარისა იყო; მანაც Uncut-ის კიდევე ერთ აქციაში ჩამართო, რომელიც ბრუკლინში ტარდებოდა, საიდანაც კიდევე უფრო ჩქარა გამოვიქცეით.

16 Beaver Street (ბივერ სტრიტ 16)

ამის შემდეგ, იმავე თვეში, ჩემმა მეგობარმა, კოლინ ასპერმა დამიყოლია, 31 ივლისს ერთ შეხვედრას დავსწრებოდი, რომელსაც **16 Beaver Group** (16 ბივერის ჯგუფი) მასპინძლობდა.

16 Beaver ხელოვნების მუშაკთა სივრცეა, რომელმაც სახელწოდება მისამართის მიხედვით დაირქვა. ის ნიუ-იორკის საფონდო ბირჟიდან ერთი კვარტალის დაშორებით მდებარეობს. იქამდე მეგონა, რომ ეს იყო ადგილი, სადაც იტალიური ავტონომისტური თეორიის მომხრე მხატვრები (**ავტონომიზმი, როგორც თეორიული სისტემა, ჩაისახა იტალიაში XX საუკუნის 60-იან წლებში. მისი იდეა აერთიანებს მემარცხენე-რადიკალურ და ანარქისტულ ჯგუფებს. რედ.**) ატარებდნენ სემინარებს „კიბერმარქსის“ (იგულისხმება დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის დოცენტის, ნიკ დაიერ-ვიდეფორდის მონოგრაფია (1999 წ.), რომელშიც მარქსიზმი განხილულია თანამედროვე ეპოქასთან მიმართებით. რედ.) ან რადიკალური ინდური კინემატოგრაფის შესახებ, ანდა კამათობდნენ ვალერი სოლანასის „SCUM მანიფესტის“ სათაურში ჩადებული აზრის გარშემო (**ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ აბრევიატურა SCUM ცნობილი ფემინისტის წიგნის სათაურში იშიფრებოდა, როგორც Society For Cutting Up Men, ანუ „მამაკაცების განადგურების საზოგადოება“. წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, ეს ახსნა ლოგიკურად მიიჩნევა. რედ.**). კოლინმა ძალიან მთხოვა, კვირას მივსულიყავი, თუ მინდოდა, გავრკვეულიყავი, რა ხდებოდა ნიუ-იორკში. მეც დავეთანხმე, მაგრამ მერე ეს ამბავი თითქმის გადამავიწყდა, რადგან ის დილა ბრიტანელ არქეოლოგ მეგობართან ერ-

თად გავატარე. იგი კონფერენციაზე იყო ჩამოსული და ქალაქის ცენტრში, კომიქსების მაღაზიაში დიდხანს შევჩერდით, რომ მისი ბავშვებისათვის შესაფერისი წიგნები შეგვეჩერია. დაახლოებით 12:30-ისთვის კოლინისგან SMS მივიღე:

კ: მოდიხარ **16 Beaver**-ის ღონისძიებაზე?

დ: გამახსენე, სად არის? მოვალ.

კ: ოღონდ ხუთამდე, თუმცა უფრო გვიანაც რომ მოხვდეთ, შეიძლება.

დ: ახლავე წამოვალ.

კ: შესანიშნავია.

დ: შემახსენე, რაზე ისაუბრებენ.

კ: ცოტა-ცოტას ყველაფერზე.

ამ შეხვედრის მიზანი იყო, დამსწრეთათვის გაეცნო ესპანეთში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში არსებული მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის საწინააღმდეგო სხვადასხვა მოძრაობის საქმიანობა, რომელიც მსოფლიო მასშტაბებს იძენდა. ბოლოს უნდა გამართულიყო ღია დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა, მსგავსი მოძრაობა ჩვენთანაც ჩამოყალიბებულიყო.

დამაგვიანდა. როცა მივედი, დისკუსია ესპანეთსა და საბერძნეთზე უკვე დასრულებული იყო. გაოცებული დავრჩი, იმდენ ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი. საბერძნეთის შესახებ მოხსენებით ჩემი ძველი მეგობარი, მხატვარი ჯორჯია საგრი გამოსულიყო. დარბაზში რომ შევედი, ჩემი კიდევ უფრო დიდი ხნის მეგობარი, საბუ კოჰსო იაპონიაში ფუკუშიმას აფეთქების შემდეგ ჩამოყალიბებული ანტიბირთვული მობილიზაციის შესახებ საუბრობდა. ერთადერთი დისკუსია, ანუ უკანასკნელი, რომელსაც თავიდან ბოლომდე მოვუსმინე, ნიუ-იორკის შესახებ იყო და მან ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამიტოვა. მომხსენებელი გახლდათ დაგ სინგსენი, ბრუკლინის კოლეჯის ხელოვნებათმცოდნე, რომელსაც ხმის სასიამოვნო, მშვიდი ტემბრი ჰქონდა. ის მოგვითხრობდა კოალიციაზე „ნიუ-იორკელები ბიუჯეტის შემცირებების წინააღმდეგ“, რომელმაც ქვემო მანჰეტენზე, ქალაქის მერიის მოპირდაპირე ტროტუარზე პატარა ბანაკი მოაწყო. მას „ბლუმბერგის“ უწოდებდნენ (ქალაქის მერის, მაიკლ ბლუმბერგის გვარის

გამო). ეს იყო ერთგვარი იმედგაცრუების ამბავი. კოალიციამ საქმიანობა დაიწყო, როგორც ნიუ-იორკის პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ფართო ალიანსმა, რომელსაც მკვეთრად გამოსატყულები მიზანი ჰქონდა – ის აწყობდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობას ბლუმბერგის დრაკონული, მკაცრი ეკონომიის პრინციპებით შედგენილი ბიუჯეტის წინააღმდეგ. ეს თავისთავად უჩვეულო ამბავი იყო: როგორც წესი, პროფკავშირების ჩინოვნიკებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის არავითარი ფორმის გაგონება არ უნდათ (ყოველ შემთხვევაში, სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა, რომელიც თავიდან ბოლომდე განერილი და წინასწარ შეთანხმებული არაა; მაგალითად, თუ პოლიციასთან წინასწარ გარკვეული არ არის, როდის და რამდენი აქტივისტი უნდა დააპატიმრონ). ამჯერად კი ისეთმა პროფესიულმა კავშირებმა, როგორიც მასწავლებელთა გაერთიანებული ფედერაციაა, აქტიური როლი ითამაშეს ამ ბანაკის დაგეგმვაში, რაც, ნაწილობრივ, ქაიროში, ათენსა და ბარსელონაში ანალოგიური საპროტესტო ბანაკების მიერ მიღწეული წარმატებებით იყო შთაგონებული; მაგრამ შემდეგ დაფრთხნენ და თამაშს თითქმის ბანაკის მოწყობისთანავე გამოეთიშნენ. მიუხედავად ამისა, 40-50-მა ერთგულმა აქტივისტმა, რომელთა უმეტესობა ანარქისტი და სოციალისტი გახლდათ, ბანაკი დაახლოებით ოთხი კვირის მანძილზე შეინარჩუნა, ივნის-ივლისში. ვინაიდან აქცია ასეთი მცირერიცხოვანი გახდა, არც პოლიტიკური მოკავშირეები ჰყავდა და მის მიმართ არც მედია იჩენდა ყურადღებას, კანონის საწინააღმდეგო მოქმედება ყოველად გამოირიცხული იყო, რადგან ყველას მაშინვე დააპატიმრებდნენ და ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. მაგრამ მათ უპირატესობას ანიჭებდა ნიუ-იორკის კანონის ერთი პუნქტი, რომლის თანახმადაც, არაკანონიერად არ ითვლებოდა ტროტუარზე დაძინება პოლიტიკური პროტესტის ნიშნად, იმ პირობით, თუკი მოძრაობა არ ჩაიკეტებოდა და თუკი რაიმე სახის კონსტრუქციას (მაგალითად, დაქანებულსახურავიან ფარდულს ან კარავს) არ აღმართავდნენ. რასაკვირველია, კარვის ან რაიმე სახის კონსტრუქციის გარეშე, ძნელია, იმას, რაც გაკეთდა, „ბანაკი“ უწოდო. ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს პოლიციასთან კონტაქტის დასამყარებლად, მაგრამ მათი პოზიციები საკმარისად

მყარი არ იყო საიმისოდ, რომ მოლაპარაკებები გაემართათ. მათ აიძულებდნენ, ქალაქის მერიიდან უფრო და უფრო შორს გადაენაცვლებინათ და, საბოლოოდ, სულაც გააქრეს იქიდან.

სინგსენის განმარტებით, კოალიციის ასე სწრაფად დაშლის რეალური მიზეზი პოლიტიკა იყო. პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების უმეტესობა ქალაქის მუნიციპალურ საბჭოში მოკავშირეებთან თანამშრომლობდა, რომლებიც მერთან კომპრომისული ბიუჯეტის შესახებ მოლაპარაკებას ანარმოებდნენ. „მაღე აშკარა გახდა, რომ არსებობდა ორი პოზიცია,“ თქვა მან, „ზომიერი, რომელიც მზად იყო, დათანხმებოდა გარკვეული შემცირებების საჭიროებას და მიიჩნევდა, რომ ასე უკეთეს პოზიციაზე აღმოჩნდებოდა მოლაპარაკებების ჩასატარებლად, რათა ზარალი შემცირებინა, და რადიკალური – ბლუმბერგვილის ბანაკი, რომელიც არავითარი შემცირების აუცილებლობას არ აღიარებდა“. და რაკი დღის წესრიგში შეთანხმება დადგა, სამოქალაქო წინააღმდეგობის მხარდაჭერის ყველა ფორმა, ყველაზე მსუბუქიც კი, გაუჩინარდა.

სამი საათის შემდეგ მე, საბუ, ჯორჯია, კოლინი და ბლუმბერგვილის ბანაკის ორგანიზატორი რამდენიმე სტუდენტი რამდენიმე კვარტალის იქით ვისხედით, ლუდს ვწრუპავდით და ვცდილობდით, გაგვერკვია, თუ რას ვფიქრობდით ყოველივე ამაზე. განსაკუთრებით გამახარა ჯორჯიას ხელახლა ნახვამ. უკანასკნელად ერთმანეთს ეგზარქიაში, ათენის ერთ-ერთ რაიონში შევხვდით, რომელიც მდიდარია საზოგადოებრივი ცენტრებით, „ოკუპირებული“ პარკებითა და ანარქისტული კაფეებით. ქუჩის კუთხეში მდებარე კაფეში მთელი ღამე უზოს **(ბერძნული არაყი. რედ.)** სმასა და პლატონის Agape-ს თეორიის, ანუ საყოველთაო სიყვარულის არსის შესახებ კამათში გავატარეთ, რასაც დროდადრო საგანგებო დანიშნულების პოლიციის ბატალიონები გვანწყევტინებდნენ. ისინი დილამდე აქეთ-იქით დადიოდნენ, რომ თავი კომფორტულად არავის ეგრძნო. კოლინმა თქვა, რომ ეს ეგზარქიისათვის სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ზოგჯერ, გვითხრა მან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელი არცთუ დიდი ხნის წინ დაშავდა დემონსტრანტებთან შეხლა-შემოხლის დროს, პოლიციელე-

ბი აირჩევდნენ ერთ კაფეს, გადაუვლიდნენ, ვინც კი ხელში მოხვდებოდათ, და ამტვრევდნენ კაპუჩინოს აპარატებს.

აქ კი, ნიუ-იორკში, მალე იმის განხილვაზე გადავდით, თუ რა უნდა გვედონა, რომ ნიუ-იორკელი აქტივისტები უმოქმედობის მდგომარეობიდან გამოგვეყვანა.

„ყველაზე მთავარი, რამაც ბლუმბერგვილის შესახებ მოხსენებაში გამოიგონა, იყო ის, რომ ზომიერი პოზიციის მომხრენი მზად იყვნენ, თანხმობა განეცხადებინათ ბიუჯეტის გარკვეულ შემცირებებზე, მაშინ, როცა რადიკალებისათვის ნებისმიერი სახის შემცირება მიუღებელი იყო,“ გამოვთქვი ჩემი მოსაზრება. „ვეუსმენდი, თავს ვუქნევდი და უეცრად გავიაზრე: ერთი წუთით! რას ამბობს ეს კაცი? როგორ მივედით იქამდე, რომ რადიკალური პოზიცია ყველაფრის ზუსტად იმავე მდგომარეობაში დატოვებას გულისხმობს, რომელშიც ისინი რეალურად არიან?“

Uncut-ის საპროტესტო მოძრაობა და ინგლისის ოციოდ სტუდენტური „ოკუპაცია“ იმავე მახეში მოექცა. არადა, საკმაოდ მეზრძოლებიც იყვნენ – სტუდენტებმა დაარბიეს ტორების შტაბბინა, მერე კი თავდასხმის მიზნით სამეფო ოჯახის წევრებს ჩაუსაფრდნენ. მაგრამ ისინი რადიკალები არ ყოფილან. ყოველ შემთხვევაში, მათი გზავნილი: „შენწყვიტეთ დაფინანსების შემცირება!“ უბრალოდ, უკუჩვენებდა ინვესტიციას. აბა, რა ვქნათ, დაუბრუნდეთ 2009 წლის დაკარგულ სამოთხეს? თუ 1959 წლის? ან 1979 წლისას?

„და სიმართლე გითხრათ,“ დავძინე მე, „ცოტა არ იყოს, უხერხულია უზარმაზარი მაღაზიის წინ ნიღბიანი ანარქისტების ჯგუფის ყურება, რომელიც საღებავის ხელყუმბარებს საგანგებო დანიშნულების რაზმის მიმართულებით ისვრის და ყვირის: „გადაიხადეთ გადასახადები!“ (რასაკვირველია, მეც საღებავის ყუმბარებით შეიარაღებული ერთ-ერთი იმ რადიკალთაგანი გახლდით).

არსებობდა თუ არა გამოსავალი ამ ხაფანგიდან? ჯორჯია ალფრთოვანებული იყო იმ კამპანიით, რომელსაც Adbusters უწევდა რეკლამას, სახელწოდებით Occupy Wall Street. როდესაც მან რეკლამის ტექსტის შინაარსი გამაცნო, სკეპტიკურად განვწყვე. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ იქნებოდა, როცა ვინმე საფონდო ბირჟის დახურვას შეეცდებოდა. იყო კიდევაც ასეთი ფაქტები

1980-იან, 1990-იან წლებში, როცა ის თითქმის დახურეს კიდეც. ხოლო 2001 წელს არსებობდა გეგმა, რომლის მიხედვითაც უოლსტრიტის აქცია ვაშინგტონში, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიმდინარე აქციის კვალდაკვალ, შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ ამ დროს ჩვენ მიერ დაგეგმილი აქციის ადგილიდან სულ რაღაც სამი კვარტალის მოშორებით მოხდა 9/11 და იძულებული გავხდით, გეგმებზე უარი გვეთქვა. ჩემი ღრმა რწმენით, გრაუნდ ზეროს მახლობლად (ადგილი ნიუ-იორკში, სადაც 2011 წლის 11 სექტემბრამდე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორი ცათამბჯენი, ე. წ. ტყუპები იდგა. მთარგმ.) ათწლეულების განმავლობაში არავითარი აქცია არ უნდა ჩატარებულიყო – როგორც პრაქტიკული, ასევე სიმბოლური მოსაზრებით. და, რაც ყველაზე მთავარია, ჩემთვის მთლად ცხადი არ იყო, თუ რა შედეგი შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ამ მოწოდებას უოლსტრიტის დაკავების შესახებ.

სინამდვილეში არც არავინ იცოდა. მაგრამ ჯორჯიას ყურადღება მიიქცია ინტერნეტში განთავსებულმა კიდეც ერთმა რეკლამამ, რომელსაც „გენერალური ასამბლეა“ ეწოდებოდა (რეკლამის ტექსტი სიტყვების თამაშზეა აგებული: ინგლისურად გენერალ assembly საერთო-სახალხო შეკრებას ნიშნავს, General Assembly – გაეროს მთავარ სათათბირო, დირექტიულ და წარმომადგენლობით ორგანოს. აქაც და წიგნის სხვა ეპიზოდებშიც ამ სახით ავტორი მიანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ხალხის ნება. რედ.). ეს იყო საორგანიზაციო შეხვედრა, რომელზედაც უოლსტრიტის დაკავება უნდა დაგეგმილიყო; მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს.

როგორც ჯორჯიამ ამიხსნა, საბერძნეთში ყველაფერი სწორედ ასე დაიწყო: სინტაგმას მოედნისა და პარლამენტის შენობასთან მდებარე პლაზას დაკავებით და ჭეშმარიტად სახალხო შეკრების, ახალი აგორას ჩამოყალიბებით, რომელიც უშუალო დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნებოდა*.

* როგორც ირკვევა, მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის მთავარი დაპირისპირება ერთმა კონკრეტულმა ფრაზამ წარმოშვა: მარქსისტებს უნდოდათ სლოგანი „ნამდვილი დემოკრატია“; ხოლო ანარქისტები ესპანელი ინდიგნადოების (2011 წელს ესპანეთში დაწყებული მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მონაწილეები. ესპ. indignado ნიშნავს აღშფოთებულს. რედ.) მაგალითს მიჰყვებოდნენ და მოითხოვდნენ სლოგანს „უშუალო დემოკრატია“. ამ საკითხს კენჭი უყარეს და ანარქისტებმა გაიმარჯვეს.

ჯორჯიას თქმით, Adbusters რალაც სიმბოლური აქციის რეკლამას აკეთებდა. მის მესვეურებს სურდათ, ათეულობით ათასი ადამიანი უოლსტრიტზე მოეყვანათ, კარვები გაეშალათ და იქიდან წასვლაზე კატეგორიულად ეთქვათ უარი, ვიდრე მთავრობა ერთ ძირითად მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა. „ასამბლეა“ უნდა გამართულიყო აქციამდე, იმის გადასაწყვეტად, თუ კონკრეტულად რა მოთხოვნა უნდა წამოეყენებინათ: რომ ობამას შეექმნა კომიტეტი გლას-სტიგალის კანონის აღსადგენად (დიდი დეპრესიის პერიოდის კანონი, რომელიც ხელს უშლიდა კომერციული ბანკების ჩართვას საბაზრო სპეკულაციებში), თუ კონსტიტუციაში შესულიყო შესწორება იურიდიული პირის სტატუსის გაუქმების შესახებ, ანდა კიდევ სხვა რამ.

კოლინმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ Adbusters, ძირითადად, მარკეტინგიდან მოსული ადამიანებით იყო დაკომპლექტებული და მათი სტრატეგიაც მარკეტინგული თვალსაზრისით იყო განპირობებული: მოიფიქრე დასამახსოვრებელი, ადვილად აღსაქმელი სლოგანი, დარწმუნდი, რომ ის ზუსტად გამოხატავს, რა გინდა, და განუწყვეტლივ იმეორე ის. „მაგრამ რამდენად შეეფერება აზრის ასე მკაფიოდ გამოკვეთა საზოგადოებრივ მოძრაობას?“ დასძინა მან. ზოჯერ ხელოვნების ნიმუშის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე არ იცი, რის თქმა უნდა მის ავტორს. რა არის ცუდი იმაში, რომ ეს მეორე მხარეს დაუტოვო გამოსაცნობად? განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს გაძლევს საშუალებას, ისაუბრო უკმარისობის გრძნობაზე, რომელიც ყველას ეუფლება, მაგრამ მისი გამოხატვის საშუალება ჯერ ვერ უპოვიათ.

ჯორჯია დამეთანხმა. რატომ არ შეიძლება, თავად „ასამბლეა“ იქცეს გზავნილად, ღია ფორუმად, სადაც ადამიანები საკუთარ პრობლემებზე ისაუბრებენ და შემოგვთავაზებენ გამოსავალს, არსებული სისტემის ჩარჩოებისგან დამოუკიდებლად; ან ილაპარაკებენ, როგორ შევქმნათ ერთად სრულიად ახალი სისტემა. „ასამბლეა“ შეიძლება იქცეს მოდელად, რომელიც გავრცელდება მანამ, ვიდრე ამგვარი „ასამბლეები“ არ შეიქმნება ნიუ-იორკის ყველა რაიონში, ყველა კვარტალში, ნებისმიერ სამუშაო ადგილას.

სწორედ ეს იყო „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ ოცნების ზღვარიც. იმ დროისათვის ჩვენ ამას „კონტამინაციონიზმს“

ვუნოდებდით (**ინგლ. contamination – ინფექციის გავრცელება, სენის შეყრა. რედ.**). რაკი ჯერჯერობით ჩვენ რევოლუციურ მოძრაობას წარმოვადგენდით, უბრალო სოლიდარობის მოძრაობისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ რევოლუციური მოძრაობის მხარდამჭერი იყო, ჩვენი მთლიანი ხედვა ეფუძნებოდა რწმენას, რომ დემოკრატია გადამდებია, ან, უკიდურეს შემთხვევაში ისეთი, ასე ვთქვათ, „ულიდერო“ უშუალო დემოკრატია მაინც, რომლის განვითარებასაც ჩვენი ამდენი ძალიხმევა და ზრუნვა დასჭირდა. როცა ხალხი მას გაეცნობოდა, ნახავდა, როგორ უსმენენ ადამიანები ერთმანეთს და ერთობლივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიდიან გონივრულ გადაწყვეტილებამდე (რომ აღარაფერი ვთქვათ იმის ნახვაზე, როგორ აკეთებდა ამას ათასობით ადამიანი ერთ-ერთ საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩვენ მნიშვნელოვანი აქციების დაწყებამდე ჩავატარეთ), შეეცვლებოდა წარმოდგენა იმაზე, თუ რის მიღწევა შეიძლება პოლიტიკური გზით. ყოველ შემთხვევაში, ამ ყველაფერს ჩემზე სწორედ ასეთი ეფექტი ჰქონდა.

იმედი გვქონდა, დემოკრატიული პროცესები გავრცელდებოდა და ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნებს მოერგებოდა: აზრადაც არ მოგვსვლია, გვეფიქრა, რომ, მაგალითად, პუერტო-რიკოს ნაციონალისტთა ჯგუფი ნიუ-იორკში და რადიკალურ ვეგეტარიანელ ველოსიპედისტთა ჯგუფი სან-ფრანცისკოში უშუალო დემოკრატიის პრინციპებს ერთნაირი გზით აამოქმედებდნენ. და უმეტესწილად სწორედ ისე მოხდა, როგორც ვვარაუდობდით. ჩვენ უზარმაზარ წარმატებას მივალწიეთ თავად აქტივისტთა კულტურის ტრანსფორმირების საქმეში. „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ შემდეგ მმართველი კომიტეტებისა და მათი მსგავსი სტრუქტურების დღეები დასრულდა. აქტივისტური საზოგადოების თითქმის ყველა წევრი მივიდა პრეფიგურატიული (**ინგლ. prefiguration – პირველსახე. რედ.**) პოლიტიკის იდეამდე, რაც ნიშნავს შემდეგს: ის ორგანიზაციული ფორმები, რომლებსაც აქტივისტური მოძრაობა იღებს, ისეთ საზოგადოებას უნდა განასახიერებდეს, როგორის შექმნასაც ვესწრაფვით. პრობლემა ამ იდეების აქტივისტური გეგმებიდან გამოტანა და ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა იყო, იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც პოლიტიკური კამპანიის პირველად ორგა-

ნიზაციებში რაიმე სახით არ იყვნენ ჩართული. მედია სრულებით არ გვეხმარებოდა – შეიძლება გაცნობოდი ერთი წლის განმავლობაში მასმედიის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას და უმნიშვნელო წარმოდგენაც კი არ შეგქმნოდა იმაზე, რომ ეს მოძრაობა უშუალო დემოკრატიის პროპაგანდას ეწეოდა. ამგვარად, კონტამინაციონიზმს რომ „ემუშავა“, აუცილებლად უნდა მოგვეზიდა ხალხი. ეს კი საოცრად რთული აღმოჩნდა.

ვევარაუდობდით, რომ ამჯერად შეიძლება ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, ახლა საქმე არ ეხებოდა მესამე სამყაროს, რომელსაც ფინანსური კრიზისი და მკაცრი ეკონომიის ყოვლის გამანადგურებელი გეგმები ემუქრებოდა. ახლა კრიზისი ჩვენს ქვეყანაში იყო.

ყველამ პირობა დავდეთ, რომ ერთმანეთს „გენერალურ ასამბლეაზე“ შევხვდებოდით.

2 აგვისტო

ბოულინგ გრინი პატარა პარკია მანჰეტენის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, საფონდო ბირჟიდან სულ რამდენიმე კვარტალის დაშორებით. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ XVII საუკუნეში ჰოლანდიელი მოსახლეობა მას კეგლის სათამაშოდ იყენებდა. ახლა ეს გრინი (**ინგლ. green – მწვანე, სიმწვანე. რედ.**) შემოღობილია და მას ჩრდილოეთით საკმაოდ ვრცელი ქვაფენილი ესაზღვრება. კიდევ უფრო ჩრდილოეთით ნახევარკუნძულის ფორმის სამანქანე გზაა. მას ბრინჯაოს ხარის დიდი ფიგურა გადმოჰყურებს, რომელიც ფეხს მიწას ურტყამს. ამ ქანდაკებაში აშკარად დაგროვილია უღმობელი პოტენციური ექსტაზი, რომელსაც უოლსტრიტის ბინადრები, ეტყობა, იმ ბოხოქარი სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლოდ აღიქვამენ, კაპიტალისტურ სისტემას რომ მართავს (**დედანში ამ ეპიზოდში გამოყენებულია სიტყვათშეხამება animal spirit; იქვე, ფრჩხილებში, მითითებულია, რომ ეს ნეოლოგიზმი ჯონ მეინარდ კეინსს (ბრიტანელი ეკონომისტი, 1883-1946) ეკუთვნის. კეინსმა ამ ტერმინით (რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ცხოველური სული“, თანამედროვე ინგლისურში კი მან იდიო-**

მის დატვირთვა შეიძინა და ბობოქარ სიცოცხლისუნარიანობას, მჩქეფარე ენერგიას აღნიშნავს) გამოხატა ის ინსტინქტები, მიდრეკილებები და ემოციები, რომლებიც თითქოსდა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე და მართავს მას. რედ.). ბოულინგ გრინი საკმაოდ წყნარი პარკია, უცხოელი ტურისტებით სავსე, ხოლო გზისპირას მდგარი მოვაჭრეები ექვსი დუიმის ზომის ხარის ფიგურის ასლს ყიდნიან.

„გენერალური ასამბლეის“ დღეც დადგა. 4:30 იქნებოდა. შეხვედრაზე, რომელიც ოთხი საათისთვის იყო დანიშნული, ცოტათი უკვე ვიგვიანებდი, მაგრამ ამჯერად გამიზნულად. წრიული მარშრუტი ავირჩიე, რომელიც უოლსტრიტზე გადიოდა, რათა იქ განლაგებული პოლიციელების რაოდენობა დამედგინა. საქმე იმაზე უარესად იყო, ვიდრე წარმომედგინა. პოლიციელები ყველგან იყვნენ. უნიფორმიანი პოლიციელების ორი ჯგუფი აქეთ-იქით დაბორიანებდა და აღარ იცოდა, რა ეკეთებინა; ცხენოსან პოლიციელთა ორი რაზმი შემომავალ ქუჩებს კეტავდა; სკუტერებიანი პოლიციელები რკინის ბარიკადების გასწვრივ დაქროდნენ, რომლებიც 9/11-ის შემდეგ ააგეს, რომ თვითმკვლელი ტერორისტებისთვის ხელი შეეშალათ. და ეს ყველაფერი ერთ ჩვეულებრივ სამშაბათს, შუადღისას ხდებოდა!

როდესაც ბოულინგ გრინთან მივედი, უცნაური გრძნობა დამეუფლა, რაღაც იმედგაცრუებაზე მეტი. თავდაპირველად ეჭვიც კი შემეპარა, შეხვედრის ადგილი ხომ არ შემშლიამეთქი. ყველაფერი უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო. ორი სატელევიზიო კამერა სახელდახელოდ მოწყობილი სცენისაკენ მიემართათ, რომელიც გიგანტური ბანერებით, მეგაფონებითა და უამრავი წინასწარ დაბეჭდილი ტრაფარეტით იყო შემოფარგლული. ვიღაც მაღალი კაცი, მხრებზე ჩამოყრილი დრედებით (ბევრი წვრილი ნაწნავი. რედ.), მგზნებარე სიტყვით გამოდიოდა ბიუჯეტის შემცირების წინააღმდეგ. ორატორს დაახლოებით ოთხმოცამდე ადამიანი უსმენდა, რომლებიც მის წინ ნახევარწრეზე იდგნენ. უმეტესობა საკმაოდ მონყენილი ჩანდა და თავს უხერხულად გრძნობდა. მათ შორის სატელევიზიო ახალი ამბების ჟურნალისტებიც შევნიშნე; ოპერატორებს კა-

მერა უყურადღებოდ მიეტოვებინათ. ჯორჯიას განაპირა მხარეს მივაგენი, წარბშეკრული უყურებდა სცენაზე შეკრებილ ადამიანებს*.

„მოიცა, მოიცა, ეს რაა, WWP (მუშათა მსოფლიო პარტია. მთარგმ.)?“ ვკითხე მე.

„კი, ნამდვილად WWP არის“.

ქალაქში რამდენიმე წელი არ ვყოფილვარ და ერთბაშად მათი ცნობა გამიჭირდა. ანარქისტთა უმეტესობისათვის „მუშათა მსოფლიო პარტია“ (WWP) აქტივისტთა შორის ჩვენი უმთავრესი, დაუძინებელი მტერი იყო. პარტიაში აშკარად თეთრკანიანები ლიდერობდნენ, რომლებიც საჯარო შეკრებებზე, როგორც წესი, აფრო-ამერიკელებისა და ლათინური ამერიკის წარმომადგენლების უკან იდგნენ. ისინი, 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, ცნობილი იყვნენ ერთი და იმავე პოლიტიკით – დიდი „სახალხო ფრონტის“ კოალიციების შექმნით, როგორიც იყო, მაგალითად, International Action Center (IAC, საერთაშორისო მოქმედების ცენტრი) ან ANSWER (რომელიც შემდეგნაირად იშიფრება: Act Now to Stop War and End Racism – „იმოქმედე ახლავე, რათა შეაჩერო ომი და ბოლო მოუღო რასიზმს!“), რომლებიც ათობით ცალკეული ჯგუფისაგან შედგებოდა და დემონსტრაციებზე წარმოდგენილი იყვნენ ათასობით ადამიანით, რომლებიც წინასწარ დაბეჭდილი ტრაფარეტებით ცხადდებოდნენ. ამ კოალიციათა ჯგუფების წევრების უმეტესობას ხიბლავდა საბრძოლო რიტორიკა და ალბათ ულევო ფულის წყაროც, მაგრამ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა პოზიცია ეკავა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ეს პოზიციები ჯერ კიდევ ძველი ყაიდის მარქსიზმ-ლენინიზმის კარიკატურას წარმოადგენდა, თანაც იმდენად, რომ ბევრი ჩვენგანი ხანდახან ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ დეტალურად დამუშავებული და დაფინანსებული იყო, რაც ანეკდოტურ ამბავს ემსგავსებოდა: მაგალითად, WWP ჯერ კიდევ უჭერდა მხარს 1968 წელს საბჭოთა კავშირის შეჭრას

* კოლინც იქ იყო, მაგრამ თან დედა ახლდა, რომელიც ქალაქში გავლით იმყოფებოდა. როგორც მოგვიანებით შევითვქვე, დედამისი ისე შეწუხებულია, როცა სტალინისტიკით მოაზროვნე ადამიანებს უსმენდა, რომ კოლინმა თავი მოვალედ იგრძნო, კომპენსაციის მიზნით ის სამხატვრო გალერეაში წაეყვანა.

ჩეხოსლოვაკიაში და ჩინეთის ხელისუფლების მიერ დემოკრატიული პროტესტის ჩახშობას ტიანანმენის მოედანზე; ამავე დროს, პარტიის წევრები მიჰყვებოდნენ უკომპრომისო „ანტიმპერიალისტურ“ მიმართულებას, რომელიც არამარტო ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის მთავრობის ნებისმიერ ინტერვენციას ოკეანის გაღმა, არამედ მხარს უჭერდნენ ყველას, ვის მიმართაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა აშშ, ჩრდილოეთ კორეიდან დაწყებული, რუანდაში არსებული ჰუტუს ხალხის შეიარაღებული ფორმირებებით დამთავრებული. ანარქისტები მათ ხშირად „სტალინისტებად“ მოიხსენიებდნენ. ამ პარტიის წევრებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა არც კი განიხილებოდა; მათ არ აინტერესებდათ არც ერთ ისეთ კოალიციასთან ურთიერთობა, რომელსაც ისინი სრულად ვერ აკონტროლებდნენ.

ეს კატასტროფა იყო.

როგორ მოხდა, რომ WWP აქციის ცენტრში აღმოჩნდა? ჯორჯია ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ ორივემ კარგად ვიცოდით, რომ ვიდრე ეს ხალხი იქ იყო, ვერავითარი „ასამბლეა“ ვერ ჩატარდებოდა. და მართლაც, როცა რამდენიმე იქ მყოფს ვკითხე, რა ხდებოდა, მათ დამიდასტურეს, რომ ეს იყო მიტინგი, რომელსაც მოჰყვებოდა ხანმოკლე გამოსვლები მიკროფონით და შემდეგ – დემონსტრაცია უოლსტრიტზე, სადაც ლიდერები წარმოადგენდნენ წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების გრძელ ჩამონათვალს.

უშუალო დემოკრატიის პოლიტიკის ერთგულ აქტივისტებს (ჰორიზონტალებს, როგორც ჩვენს თავს ვუწოდებთ) ამგვარ მოვლენაზე, ჩვეულებრივ, ერთი რეაქცია გვაქვს – სასონარკვეთილება. და ჩემი პირველი რეაქციაც სწორედ ასეთი იყო. ასეთ მიტინგზე მისვლა, შეიძლება ითქვას, მახეში მოხვედრას ჰგავს. დღის წესრიგი უკვე მზადაა, მაგრამ გაურკვეველია, თუ ვინ შეადგინა ის. ხშირად იმის გარკვევაც კი შეუძლებელია, რას ეხება შეკრება, სანამ ამას მეგაფონიანი ადამიანი არ გამოაცხადებს. სცენისა და უამრავი დაბეჭდილი ტრაფარეტის დანახვამ და სიტყვა „დემონსტრაციის“ გაგონებამ ჩემში იმ ათასობით ქაოსური დღის მოგონება აღძრა, როცა რაზმის წევრებთან ერთად დემონსტრაციებზე მივბიჯებდი. ჩვენ ბრძოლის უნარდაკარგულ არმიას ვგავდით, რომელიც წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით მიიწევდა წინ; ხოლო საპროტესტო სვლის მარშლები (ასე უწო-

დებენ აშშ-ში პირებს, რომლებიც კოორდინაციას უწევენ საპროტესტო აქციის მსვლელობას. მათ სტიჟარდებსაც ეძახიან. ამ ადამიანების არსებობა აქციის მონაწილეთა შორის აგენტ-პროვოკატორების შეღწევის პრევენციას ემსახურება, რადგან მარშლების ერთ-ერთ ფუნქციას პოლიციასთან მოლაპარაკება წარმოადგენს. რედ.) პოლიციელებთან მოლაპარაკებებს მართავდნენ და ჩვენ, ყველას ფოლადის ბარიერებს მიღმა, დემონსტრანტებისთვის განკუთვნილ შემოფარგლულ ტერიტორიაზე გვერეკებოდნენ. ღონისძიებებზე შემოქმედებითობის, იმპროვიზაციის ადგილი არ რჩებოდა – სინამდვილეში ყველაფერი ისე დაეგეგმათ, რომ თვითგამოხატვა და თვითორგანიზება შეუძლებელი ხდებოდა. სკანდირებით წარმოსათქმელი ტექსტიც და წამოსაძახებელი სლოგანებიც კი ზემოდან იყო ნაკარნახევი.

თვალი მოვკარი ადამიანების ჯგუფს, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოსდა WWP-ის ლიდერთა ბირთვს ჰგავდა – მათი ამოცნობა ადვილია, იმიტომ რომ, ჩვეულებრივ, ისინი შუახნის თეთრკანიანები არიან, რომლებიც უმეტესწილად სცენის შორი-ახლო დგანან ხოლმე (ისინი, ვინც სცენაზე ჩნდება, როგორც წესი, ფერადკანიანები არიან).

ერთი ზორბა ტანის ინდივიდი დროდადრო გამოეყოფოდა ხოლმე მათ და ხალხის მასას უერთდებოდა.

„ჰეი,“, ვუთხარი მას, როდესაც გვერდით ჩამიარა, „იცი რა, იქნებ არ ღირს, დააანონსო „გენერალური ასამბლეის“ გამართვა, თუკი არ აპირებ, მართლა ჩაატარო ის.“

ამის თქმა ნაკლებად ზრდილობიანი ფორმითაც შეიძლებოდა. მან ზემოდან გადმოიხედა და მითხრა: „ასე, არა? და ამას სოლიდარობას ეძახით, ხომ? ორგანიზატორებს შეურაცხყოფა აყენებ. იცი, რას გეტყვი, თუ ასე არ მოგწონს, რატომ არ ნახვალ აქედან?“

ჩვენ ერთმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ. ცოტა ხანში მან იქაურობა დატოვა.

ვიფიქრე, წავალ-მეთქი, მაგრამ ვხედავდი, რომ დიდად არავის სიამოვნებდა, რაც იქ ხდებოდა. აქტივისტების ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, აქ ვერტიკალების ჯგუფი არ იყო შეკრებილი (ვერტიკალები ის ადამიანები არიან, რომლებსაც მოსწონთ

დემონსტრაციაზე გამოსვლა წინასწარ მომზადებული პლაკატებით და რომელიმე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორატორთა მოსმენა). აქ მყოფთა უმრავლესობას ჰორიზონტალები წარმოადგენდნენ (ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად ორგანიზების ანარქისტულ პრინციპებს, უშუალო დემოკრატიის არაიერარქიულ ფორმებს თანაუგრძნობენ). ბოლოს შევამჩნიე ერთი ახალგაზრდა კაცი, Industrial Workers of the World-ის (IWW, „მსოფლიოს ინდუსტრიული მშრომელები“) წევრი, Wobbly (**ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა მეტსახელი. რედ.**), შავი სათვალთა და IWW-ის შავი მაისურით, ასევე კოლეჯის რამდენიმე სტუდენტი ზაპატისტების ატრიბუტივით და კიდევ ერთი-ორი აშკარად მონარქისტო ტიპი. ჩემი ძველი მეგობრებიც ვნახე, მათ შორის საბუ კიდევ ერთ იაპონელ აქტივისტთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წელს, კვებეკის ქუჩის აქციებზე გავიცანი. ბოლოს მე და ჯორჯიამ ერთმანეთს გადავხედეთ და მივხვდით, რომ ორივენი ერთსა და იმავეს ვფიქრობდით: რატომ ვართ ასეთი თავაზიანები? ყოველთვის, როცა ვხედავთ, რომ ასეთი რამ ხდება, ჩვენ, უბრალოდ, ჩვენთვის ნავიბუზღუნებთ და შინ მივდივართ. რატომ? თუმცა, რაც იმნუთას ვთქვით, სინამდვილეში ასე უღერდა: „იცი რა? ამათი დედაც ვატირე, გამოცხადდა, რომ „გენერალური ასამბლეა“ ტარდება? მოდი, ჩვენ ჩავატაროთ“.

ასე რომ, მიგუახლოვდი თითქოს სრულიად უცხო ადამიანს, ახალგაზრდა კორეული წარმოშობის ამერიკელს, რომელიც სცენას უკმაყოფილოდ უცქერდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, ამ კაცს სახელად კრისი ერქვა, ანარქისტი გახლდათ და Food Not Bombs-ში („საკვები და არა ბომბები“) მუშაობდა. მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი არ ვიცოდი. ერთადერთი, რაც ვიცოდი, ის იყო, რომ ძალიან გაღიზიანებული ჩანდა.

„მისმინე,“ ვუთხარი მე, „იცი, რალაც უნდა გკითხო: თუ რამდენიმე ჩვენგანი გადაწყვეტს, ამ ხალხს გამოეყოს და ნამდვილი „გენერალური ასამბლეა“ მოაწყოს, შენ ამით დაინტერესდები?“

„რა, არის ვინმე, ვინც ამას აპირებს?“

„კი, მაგალითად, ჩვენ, აი, ახლა“.

„ეშმაკმა დალახვროს, თქვენ ოღონდ მითხარით, როდის.“

„სიმართლე გითხრათ“, გამოგვეხმაურა მის გვერდით მდგომი

ახალგაზრდა, რომლის სახელი და გვარიც, როგორც მოგვიანებით გავარკვიე, იყო მეტ პრესტო. ის, კრისის მსგავსად, მოგვიანებით Occupy Wall Street-ის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი გახდა. „უკვე წასვლას ვაპირებდი, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დარჩენა ღირდეს“.

ამგვარად, კრისისა და მეტის დახმარებით, მე და ჯორჯიამ თავი მოვუყარეთ რამდენიმე შედარებით აშკარად გამოკვეთილ ჰორიზონტალს და ოციოდე ადამიანისაგან პატარა წრე ჩამოვყალიბეთ პარკის გასასვლელთან, რაც შეიძლება, შორს მიკროფონებისგან. ძირითადი მიტინგის დელეგატები მაშინვე ჩვენთან მოვიდნენ და გვთხოვეს, მათთან დავბრუნებულიყავით.

დელეგატები WWP-ის წარმომადგენლები არ იყვნენ (ისინი, როგორც წესი, ამგვარ საქმეში განზე დგანან ხოლმე), არამედ ღილებიან პერანგებში გამოწყობილი ახალგაზრდები ნათელი სახეებით.

„შესანიშნავია“, ჩავჩურჩულე ჯორჯიას. „ეს ISO-ა“.

ISO „საერთაშორისო სოციალისტური ორგანიზაცია“ (International Socialist Organization). აქტივისტების სპექტრში WWP შეიძლება ანარქისტების საპირისპირო პოლუსზე იმყოფებოდეს, მაგრამ ISO-ს გამაღიზიანებლად შუალედური პოზიცია უჭირავს: რაც შეიძლება, ახლოს დგას ჰორიზონტალების ჯგუფთან, მაგრამ სინამდვილეში მას მაინც ვერ მივაკუთვნებთ. ისინი ტროცკისტები არიან და, ძირითადად, უშუალო მოქმედებას, უშუალო დემოკრატიას და სხვა ათასგვარ აღმავალ სტრუქტურას ემხრობიან, თუმცა მისი წევრების ძირითადი როლი ყველა სახის შეხვედრებზე ასე გამოიყურებოდა – ხელი შეეშალათ უფრო რადიკალური ელემენტებისათვის ღონისძიებების ზემოთ აღნიშნული პრინციპებით ჩატარებაში. ყველაზე სანყენი ISO-ს წევრებთან დაკავშირებით კი ის გახლდათ, რომ ისინი ცალკე, როგორც პიროვნებები, საკმაოდ კარგი ხალხი იყო. მათ უმეტესობას სასიამოვნო ახალგაზრდები, ძირითადად, სტუდენტები შეადგენდნენ, კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებდათ და, WWP-ისგან განსხვავებით, ხელმძღვანელობა (მიუხედავად უშუალო დემოკრატიისადმი გამოხატული თეორიული მხარდაჭერისა, მათ ძალიან დისციპლინირებული, კარგად ორგანიზებული, ზემოდან ქვემოთ მიმართული ხელმძღვანელობის სტრუქტურა

ჰქონდათ) ნებას აძლევდა მათ, ეთანამშრომლათ მრავალ კოალიციასთან, რომლებსაც ისინი არ აკონტროლებდნენ – ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი თვალი მათი გადმობირების შესაძლებლობაზე ეჭირათ. ისინი სწორედ ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებიც საქმეში ერევიან და შუამავლობას ცდილობენ.

„ჩემი აზრით, აქ რაღაც გაუგებრობაა“, მიმართა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ჩვენს ცალკე გამოყოფილ წრეს. „ეს ღონისძიება ერთი რომელიმე ჯგუფის მიერ ორგანიზებული არ არის. ეს არის ფართო სპექტრის კოალიცია პირველადი ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანებისა, რომლებიც ბლუმბერგის მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის იდეის ერთგულნი არიან. ჩვენ ვესაუბრეთ ორგანიზატორებს. ისინი ადასტურებენ, რომ „გენერალური ასამბლეა“ აუცილებლად შედგება, ოღონდ მას შემდეგ, რაც გამომსვლელები საუბარს დაასრულებენ“. ისინი სამნი იყვნენ, სამივენი – ახალგაზრდა და სასიამოვნო ადამიანები; შევნიშნე, რომ სამივე მათგანმა გამოიყენა ერთი და იგივე ფრაზა: „პირველადი ჯგუფებისა და ცალკეული ადამიანების ფართო სპექტრის კოალიცია“.

ჩვენ ბევრი აღარაფერი დაგვრჩენოდა. თუკი ორგანიზატორები „გენერალურ ასამბლეას“ გვპირდებოდნენ, ჩვენც, უკიდურეს შემთხვევაში, ამის გაკეთების შესაძლებლობა მაინც უნდა მიგვეცა. ასე რომ, მართალია, უხალისოდ, მაგრამ მაინც დავთანხმდით და ისევ შეკრებილ ხალხს დავუბრუნდით. ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ „გენერალური ასამბლეს“ იდეას იმ დღეს ხორც-შესხმა არ ეწერა. როგორც ჩანს, ორგანიზატორებს „ასამბლეა“ წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც მიკროფონით თავისუფლად გამოსვლა, რომლის დროსაც ნებისმიერ მსმენელს რამდენიმე წუთი ეთმობოდა ზოგადი პოლიტიკური მოსაზრების ან კონკრეტულ საკითხზე თავისი პოზიციის გამოსახატავად, ვიდრე წინასწარ დაგეგმილი დემონსტრაცია დაიწყებოდა.

ოცი წუთის შემდეგ ჯორჯიას გამოსვლის ჯერი დადგა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჯორჯია პროფესიით პერფორმანსის ხელოვნების სპეციალისტია. აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დახვეწილი საჯარო პირის იმიჯის შემუშავებას – თავისი არსით, ეს იყო „გიჟი ქალის“ იმიჯი. ასეთი ტიპის სახე ყოველთვის რომელიმე რეალური

პიროვნების ხასიათის ელემენტებს ეყრდნობა. ჯორჯიას შემთხვევაში მისი ახლო მეგობრები ბევრს მსჯელობდნენ, ვინ შეიძლება ყოფილიყო ასეთი პიროვნება და კონკრეტულად რომელი ნაწილი იყო მის იმიჯში დადგმული. რალა თქმა უნდა, ის ყველაზე იმპულსური ადამიანი გახლდათ, ვისაც კი ოდესმე შევხვედროდი; მაგრამ მას ჰქონდა არაჩვეულებივი უნარი, კონკრეტულ მომენტებში, კონკრეტულ ადგილას, ზუსტად მოერტყა მიზანში – ის ახერხებდა, თავს მოეყარა ყველა ვარაუდისთვის იმის შესახებ, რაც ხდებოდა. თავისი სამნუთიანი გამოსვლა (რეგლამენტი მეტს არ ითვალისწინებდა) ჯორჯიამ დაიწყო განცხადებით: „ეს არ არის „გენერალური ასამბლეა“! ეს არის მიტინგი, რომელიც პოლიტიკურმა პარტიამ მოაწყო. მას არაფერი აქვს საერთო „გენერალური ასამბლეის“ მსოფლიო მოძრაობასთან!“ მან მოიყვანა მრავალი მაგალითი ბერძნული და ესპანური „ასამბლეების“ პრაქტიკიდან, სადაც გამორიცხული იყო ორგანიზებული პოლიტიკური ჯგუფების მონაწილეობა. სიმართლე უნდა ვთქვა, რომ თავიდან ბოლომდე მისი გამოსვლისათვის არც მომისმენია, რადგან ვცდილობდი, მომეძებნა მიტინგის სხვა პოტენციური მოწინააღმდეგეები და დამერწმუნებინა ისინი, კვლავ ჩვენს ჯგუფს შემოერთებოდნენ, თუკი ცალკე შეკრებას გადავწყვეტდით. მაგრამ ყველა იქ მყოფის მსგავსად, კარგად მახსოვს მისი გამოსვლის კულმინაცია, როდესაც ჯორჯიას დრო ამოიწურა და მას შეეკამათება მოუხდა აფრო-ამერიკელ ქალბატონთან, რომელიც მანამდე WWP-ის სახელით გამოვიდა. ეს მოულოდნელი შელაპარაკებაც მან წამოიწყო.

„როგორც ვხედავ, წინა გამომსვლელის ჩარევა სრული უპატივცემულობის გამოხატულება გახლდათ. ეს სხვა არაფერია, თუ არა შეხვედრის ჩაშლის შეგნებული მცდელობა“.

„მაგრამ ეს ხომ შეხვედრა არ არის, ეს ჩვეულებრივი მიტინგია“.

„ჰმ! როგორც ვხედავ, წინა გამომსვლელის ჩარევა სრული უპატივცემულობის გამოხატულება გახლდათ. შეიძლება ვინმეს არ ეთანხმებოდეთ, მაგრამ ჩვენ, ყველანი, აქ ერთმანეთისაგან, სულ მცირე, ორ რამეს მოვითხოვთ: პატივისცემასა და სოლიდარობას. ხოლო რაც ბოლო მომხსენებელმა გააკეთა“...

„ერთი წუთით, თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ შეხვედრის „მიტაცება“ სოლიდარობისა და პატივისცემის ხელყოფა არ არის?“

უცებ მათ კამათში კიდევ ერთი WWP-ის მომხსენებელი აღ-
მაშფოთებელი მოჩვენებითი განცვიფრებით ჩაერია:

„წარმოუდგენელია, თქვენ, ეს-ესაა, საუბარი შეაწყვეტინეთ
შავკანიან ადამიანს!“

„რატომ არ უნდა შევანყვეტინო?“ იკითხა ჯორჯიამ, „მე თვი-
თონაც შავკანიანი ვარ“.

უნდა აღვნიშნო, რომ ჯორჯია ქერაა.

ყველას გაოცების შეძახილი აღმოხდა.

„ჰმ, ვინ ხართ?“*

„როგორც უკვე მოგახსენეთ, მეც შავკანიანი ვარ. გგონიათ,
ერთადერთი შავკანიანი აქ თქვენ ხართ?“

ჯორჯიას მისივე სიტყვებით გამოწვეულმა აურზაურმა დრო
მისცა, მოესწრო გამოცხადება, რომ ნამდვილი „გენერალური ასამ-
ბლეის“ ჩასატარებლად თხუთმეტ წუთში პარკის ჭიმქართან ხელახ-
ლა ვიკრიბებოდით. ამის შემდეგ კი ის სცენიდან ჩამოაბრძანეს.

ამ ყველაფერს ლანძღვა და შეურაცხყოფა მოჰყვა. დაახლოე-
ბით ნახევარსაათიანი არეულობის შემდეგ ჩვენ კვლავ შევკარით
წრე ბოულინგ გრინის მეორე მხარეს. ამ დროისთვის თითქმის
ყველა, ვინც კი მიტინგზე დარჩა, ჩვენთან მოვიდა. მივხვდით,
რომ ჩვენ გარშემო თითქმის ყველა ჰორიზონტალი შეიკრიბა:
არა მხოლოდ „მსოფლიოს ინდუსტრიული მშრომელები“ და ზა-
პატისტების მომხრეები, არამედ რამდენიმე ესპანელიც, რომ-
ლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ მადრიდის ინდიგნადოე-
ბთან; ერთი-ორი მემამოხე ანარქისტი, რომლებიც რამდენიმე
წლის წინ ბერკლის „ოკუპაციაში“ მონაწილეობდნენ; ოთხი-ხუთი
გაოცებული და დაბნეული სეირის მაყურებელი, რომლებსაც
არაფერი გაეგებოდათ, რა ხდებოდა, უბრალოდ, მიტინგის სანახ-
ავად მოსულიყვნენ; ამდენივე WWP-ის წევრი (მაგრამ არავინ
იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან), რომლებიც აშკარად

* ზედმეტია იმის თქმა, რომ ჯორჯიას განცხადება მომდევნო რამდენიმე კვირის განმ-
ვლობაში მისი მეგობრების განხილვის საგანს წარმოადგენდა. ბოლოს ასეთ დასკვნამ-
დე მივედით: ჯორჯია საბერძნეთიდანაა, რომელიც ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან
ქვეყნებს შორის, სადაც, იყო ქერა, შეიძლება ითქვას, უკვე დისკრიმინაციას ნიშნავს,
რადგან ბერძნები მიიჩნევენ, რომ ეს ადამიანი გაღარიბებული ალბანელი იმიგრანტია.
როდესაც მოგვიანებით თავად ჯორჯიას ვკითხეთ ამის შესახებ, ის დაჟინებით ამტ-
კიცებდა, რომ საკამათო არაფერი იყო. „დიახაც, შავკანიანი ვარ“, თქვა მან, თითქოს ეს
თავისთავად ცხადი უნდა ყოფილიყო.

აიძულეს, მოსულიყვნენ, რომ ჩვენთვის თვალყური ედევნებინათ. ახალგაზრდა კაცმა, ვილი ოსტერვაილმა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბარსელონაში ცხოვრობდა, როგორც სკვოტერი (**პირი, რომელიც ცარიელ სახლს ან რაიმე ტერიტორიას უკანონოდ იკავებს და იქ ცხოვრობს. რედ.**), სურვილი გამოთქვა, დაგვხმარებოდა.

ჩვენ მალევე დავადგინეთ, რომ წარმოდგენაც არ გვქონდა, რა უნდა გვეკეთებინა.

ერთი პრობლემა ის იყო, რომ Adbusters-მა უკვე დააანონსა აქციის დღე – 17 სექტემბერი. ეს კი ორი მიზეზის გამო გვაფერხებდა: პირველი ის, რომ ამ თარიღამდე სულ რაღაც ექვსი კვირა რჩებოდა. სიეტლში 1999 წლის ნოემბერში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეხვედრების ჩაშლის მიზნით ბლოკადებისა და უშუალო მოქმედებების ორგანიზებას წელიწადზე მეტი დასჭირდა. Adbusters-ს, როგორც ჩანს, ეგონა, რომ ჩვენ შეგვეძლო, შეგვეკრიბა ოცი ათასი ადამიანი და უოლსტრიტის შუაგულში კარვებით დაგვებანაკებინა, მაგრამ თუნდაც გვევარაუდა, რომ პოლიცია ამას დაუშვებდა (რაც არასოდეს მოხდებოდა), ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ორგანიზების პრაქტიკული გამოცდილება აქვს, კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ რაოდენობის ადამიანთა შეკრება სულ რაღაც რამდენიმე კვირაში შეუძლებელია. ამდენი ხალხის მოზიდვა, როგორც წესი, ითვალისწინებს მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობას, რისთვისაც სხვადასხვა ქალაქში მხარდამჭერი ჯგუფები და, რაც მთავარია, ავტობუსები უნდა გყავდეს. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, გულისხმობდა მრავალი სახის ღონისძიებას თანხების მოსაძიებლად, რადგან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი იყო, ფული არ გაგვაჩნდა (ან იქნებ გვქონდა კიდეც? ამბობდნენ, რომ Adbusters-ს ჰქონდა ფული. მაგრამ არც ერთი ჩვენგანი ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, რომ Adbusters უშუალოდ მონაწილეობდა ამ ყველაფერში. შეხვედრაზე მათი წარმომადგენელიც კი არ ყოფილა). გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებდა კიდეც ერთი გარემოება: უოლსტრიტზე 17 სექტემბერს მუშაობას ვერ ჩავშლიდით, რადგან ეს დღე შაბათი იყო. თუკი გვინდოდა, უშუალო ზეგავლენა მოგვეხდინა უოლსტრიტის დაწესებულებათა ხელმძღვანელ პირებზე (ან ჩვენი არსებობა შეემჩნიათ მაინც), რამე უნდა მოგვეფიქრებინა.

ნა, რომ ორშაბათს, დილის ცხრა საათამდე იქ ვყოფილიყავით. ამავე დროს, დარწმუნებულიც არ ვიყავით, რომ საფონდო ბირჟა იდეალური სამიზნე იქნებოდა. უბრალო ლოგიკით, და შეიძლება სიმბოლურადაც, ალბათ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევდით Federal Reserve-ის (იგულისხმება **Federal Reserve System – 1913 წელს შექმნილი დამოუკიდებელი ფედერალური სააგენტო, რომელიც აშშ-ის ცენტრალური ბანკის ფუნქციას ასრულებს; ასევე ცენტრალიზებულ კონტროლს უწევს ქვეყნის კომერციულ საბანკო სისტემას. რედ.**) ან Standard & Poor's-ის (სრული სახელწოდებაა **Standard & Poor's Financial Services – ამერიკული კომპანია, რომელიც ახორციელებს ფინანსური ბაზრების ანალიტიკურ კვლევას. რედ.**) ოფისების წინ. ეს შენობები ერთმანეთისგან სულ რაღაც რამდენიმე კვარტალითაა დაშორებული.

გადაწყვეტით, ეს პრობლემა განგვეხილა; ასევე გვემსჯელა ზოგადად არსებულ მოთხოვნებზე და დაგვეკომპლექტებინა სამუშაო ჯგუფები. ეს სტანდარტული ჰორიზონტალური პრაქტიკაა: ყველა წამოაყენებს სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის საჭირო იდეებს, ვიდრე სია არ შედგება (ჩვენს შემთხვევაში ოთხი ასეთი ჯგუფი შეიქმნა: იდეის გავრცელება/პროპაგანდა, კომუნიკაციები/ინტერნეტი, მოქმედება, პროცესი/ფასილიტაცია). შემდეგ ჯგუფები შედარებით მომცრო ჯგუფებად დაიყოფა ბრენსტორმის („ტვინის შტურმი“ – იდეების გენერაციის მეთოდი, პრობლემის გადაჭრის გზის ძიება კოლექტიური განხილვის მეშვეობით. მთარგმ.) ჩასატარებლად. შემდეგ, დაახლოებით ერთ საათში, ეს მცირე ჯგუფები ისევ ერთიანდება და თითოეულის წარმომადგენელი ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვარ ანგარიშს აკეთებს. მე პროცესის ჯგუფს შევუერთდი, რომელიც, ადვილი მისახვედრია, ანარქისტებისაგან შედგებოდა. მან გადაწყვიტა, ე. წ. მოდელი გამხდარიყო. მაშინვე დავთქვით, რომ ჯგუფი კონსენსუსის პრინციპით იმუშავებდა და, იმ შემთხვევაში, თუკი ჩიხში აღმოვჩნდებოდით, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იქნებოდა ხმების ორი მესამედი; რომ ყოველთვის გვეყოლებოდა ორი ფასილიტატორი, ქალი და კაცი – ერთი შეხვედრებს წარმართავდა, ხოლო მეორე „დაკომპლექტებაზე“ იმუშავებდა

(ანუ შეადგენდა სიას იმ ადამიანებისა, რომლებიც გამოსვლას მოითხოვდნენ); განვიხილეთ თემები: ხელით „სიგნალების გადაცემა“ და არასავალდებულო წინასაარჩევნო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ანუ ე.წ. „სიცხის გაზომვა“*.

როცა ჩვენი პატარა ჯგუფები კვლავ გაერთიანდა, უკვე დაღამებული იყო. სამუშაო ჯგუფების უმეტესობამ მხოლოდ დროებითი, პირობითი გადაწყვეტილებები მიიღო. მოქმედების ჯგუფმა სამოქმედო გეგმის შესაძლო ვარიანტები წამოაყენა, მაგრამ მათი მთავარი გადაწყვეტილება შემდეგი იყო: მომდევნო კვირაში კიდევ ერთხელ შევკრებილიყავით და სამოქმედო ტერიტორია დაგვეთვალიერებინა. კომუნიკაციის ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, შეედგინათ მეილების სია და მოეწყოთ კიდევ ერთი შეხვედრა ვებგვერდის განხილვის მიზნით (მათი უპირველესი ამოცანა იყო, გამოეკვლიათ, რაც უკვე არსებობდა – მაგალითად, ვინ შექმნა Twitter-ის გვერდი, სახელწოდებით Occupy Wall Street, რადგან შეხვედრაზე ასეთი ადამიანები თითქოს არსად გამოჩენილან; რა საერთო ჰქონდა Adbusters-ს მათთან (თუკი ჰქონდა რაიმე საერთო) და რას საქმიანობდა ეს ხალხი). პროპაგანდის ჯგუფმა გადაწყვიტა, ხუთშაბათისთვის დაენიშნა შეხვედრა ფლაერების დიზაინზე სამუშაოდ, ასევე იმის მოსაფიქრებლად, თუ როგორ უნდა დაგვეხასიათებინა საკუთარი თავი, განსაკუთრებით – ჩვენამდე არსებულ ბიუჯეტის შემცირების მონინააღმდეგე კოალიციასთან მიმართებით. პროპაგანდის ჯგუფის რამდენიმე წევრს, მათ შორის ჩემს მეგობარ ჯასტინს, რომელსაც კვებეკიდან ვიცნობდი, პროფკავშირებში მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ. ამიტომ დარწმუნებული იყვნენ, რომ მათაც დააინტერესებდნენ. ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ, სამშაბათს, 7:30-ზე, ჩაგვეტარებინა კიდევ ერთი „გენერალური ასამბლეა“ (რომელიც, როგორც ვიმედოვნებდით, უფრო მასშტაბური იქნებოდა) ახლომდებარე ირლანდიის შიმშილობის მემორიალთან (**მემორიალი მანჰეტენზე, რომელიც ეძღვნება ირლანდიის დიდ შიმშილობას (1845-1852). მან მილიონამდე ირლანდიელი იმსხვერპლა. რედ.**).

* კონსენსუსის ამ ინსტრუმენტთა მოქმედების სპეციფიკა განხილული იქნება წიგნის მე-4 თავში.

მიუხედავად მიღებული გადანყვეტილებების სავარაუდო, დროებითი ხასიათისა (ვინაიდან არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცოდით, ჩვენი საქმიანობა უკვე არსებულ ძალისხმევას ეფუძნებოდა, თუ რაიმე სრულიად ახალს ვქმნიდით), ჩვენს გუნდს ალტყინებული განწყობა დაეუფლა. მივიჩნევდით, რომ დემოკრატიული ძალების ჭეშმარიტი გამარჯვების მომსწრენი გავხდით, ძალებისა, რომლებმაც ორგანიზების გაცვეთილ საშუალებებზე გადაჭრით თქვეს უარი. ნიუ-იორკში ასეთი გამარჯვება თითქმის უპრეცედენტო იყო. დანამდვილებით არავინ იცოდა, რა შედეგი ექნებოდა ყოველივე ამას, მაგრამ მაშინ გამარჯვებაზე ფიქრი მაინც ძალიან გვსიამოვნებდა.

როცა ყველამ შინისკენ გავწიეთ, უკვე თერთმეტი საათი იქნებოდა. სასწრაფოდ მარისასთან დავრეკე. „ვერც კი წარმოიდგენ, რა მოხდა“, ვუთხარი მე, „ამაში აუცილებლად უნდა ჩაერთო“.

„99 პროცენტი“

ვისგან: დევიდ გრებერი<david@anarchisms.org>

თემა: გამარჯობა! პატარა შეკითხვა

თარიღი: 3 აგვისტო, 2011 12:46:29 AM CDT

ვის: მიკა უაითს<micah@adbusters.org>

გამარჯობა, მიკა,

დღეს ყველაზე უცნაური დღე მქონდა. დაახლოებით 80 ადამიანი 4:30-ზე დიდი ხარის სკულპტურასთან, ბოულინგ გრინის მახლობლად შევიკრიბეთ, რადგან შევიტყვეთ, რომ „გენერალური ასამბლეა“ უნდა გამართულიყო, სადაც დაიგეგმებოდა 17 სექტემბრის აქცია, სახელწოდებით... (**იგულისხმება Occupy Wall Street. რედ.**). მოკლედ, იცით, რაზეც ვლაპარაკობ. მივედით და აღმოვაჩინეთ, რომ ფაქტობრივად, არავითარი შეკრება არ ტარდებოდა. იქ იყვნენ მსოფლიოს მშრომელთა პარტიის ორატორები, იყო მიკროფონები, ტრაფარეტები – ჩვეულებრივი მიტინგი მიმდინარეობდა, რასაც ხანმოკლე საპროტესტო გამოსვლები და

დემონსტრაცია უნდა მოჰყოლოდა. საერთოდ, ამგვარ ღონისძიებებს ხალხი უნდობლობას უცხადებს და ტოვებს, მაგრამ ამჯერად რამდენიმე ჩვენგანმა... გადაწყვიტეთ, მიგვეფურთხებინა ამ ყველაფრისთვის, შევკრიბეთ ჰორიზონტალები, რომლებიც იქ მისული საზოგადოების 85% აღმოჩნდა, განვცალკევდით, ჩავატარეთ საყოველთაო შეკრება, შევექმენით სტრუქტურისა და პროცესის სამუშაო ჯგუფები და ნამდვილ საორგანიზაციო მუშაობას შევუდექით. ეს რაღაც პატარა სასწაულის მსგავსი იყო და ამ ცვლილებით უზომოდ ბედნიერები დავმორდით ერთმანეთს.

თუმცა ერთი შეკითხვა წარმოიშვა: „რა საერთო აქვს რეალურად Adbusters-ს ამ პროცესთან? არსებობს თუ არა რაიმე დაშვებითი რესურსი? თუ ეს მხოლოდ მოწოდება იყო?“ პირობა დავდე, რომ ამის გარკვევას შევეცდებოდი...

დევიდი

ეს წერილი იმ საღამოს, ძილის წინ გავგზავნე. დილით კი ასეთი პასუხი მივიღე:

გამარჯობა, დევიდ,

დიდი მადლობა, მომხდარის შესახებ ინფორმაცია რომ მომანოდეთ. მოხარული ვარ, რომ იქ იყავით და ბოდიშობა არავისთან დაგიწიეთ.

მდგომარეობა ასეთია...

Adbusters-ში უკვე რამდენიმე თვეა, ვმსჯელობთ უოლსტრიტის „ოკუპირების“ იდეის შესახებ. 7 ივნისს ჯემერებს ჩვენს ხელთ არსებულ 90000 მეილზე დაუუგზავნეთ მოკლე ინფორმაცია ამ იდეის გაცნობის მიზნით. გამოხმაურება უმეტესწილად დადებითი იყო და გადაწყვიტეთ, ამ იდეისთვის ხორცი შეგვესხა. ჩვენი ჟურნალის ბოლო ნომერი, რომელიც, ეს-ესაა, კიოსკებში უნდა დარიგდეს (Adbusters N97 – პოსტანარქიზმის პოლიტიკა), შეიცავს ორგვერდიან პოსტერს 17 სექტემბერს უოლსტრიტის დაკავების მოწოდებით. ამერიკული გამოცემის გარეკანზე ასევე დაბეჭდილია Occupy Wall Street-ის სარეკლამო პატარა სურათი. ეს იქნება ერთგვარი მცდელობა, მომდევნო რამდენიმე თვის მანძილზე „ოკუპაციის“ შესახებ სიტყვა მივანვდინოთ მსოფლიოს ინგლისურენოვან მოსახლეობას...

ამ ეტაპზე, ჩვენი შეზღუდული რესურსებისა და შტატების გათვალისწინებით, Adbusters-ის როლი შეიძლება მხოლოდ მემის (meme – ესაა კულტურული ინფორმაციის ერთეული, იდეა, სიმბოლო, ქცევის მანერა ან სახე, სტილი, რომელიც შეგნებულად ან ქვეცნობიერად გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს მეტყველების, წერის, რიტუალების, ჟესტების და ა.შ. მეშვეობით. ის გენის კულტურულ ანალოგად მიიჩნევა. ტერმინი ეკუთვნის ინგლისელ ბიოლოგს, რიჩარდ დოუკინსს (დაიბ. 1941 წ.). მემაღ შეიძლება ჩაითვალოს ასევე ინტერნეტის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, ვიდეო, რაიმე სახის ტექსტი, მაგალითად, ცალკეული ფრაზა, სლოგანი და ა. შ. რედ.) გავრცელება ყოფილიყო, იმის იმედით, რომ ადგილობრივი აქტივისტები შეძლებდნენ ძალების მოკრებას და ამ იდეას რეალობად აქცევდნენ, როგორც, მაგალითად, ესპანური მოდელის შემთხვევაში, როცა ყველაფერი ხალხმა გადანყვიტა, და არა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა. ის „გენერალური ასამბლეა“, რომელსაც თქვენ ესწრებოდით, მოაწყო დამოუკიდებელმა ჯგუფმა. ეს ის ჯგუფია, რომელიც No Cuts NYC and Bloombergville-ის („არავითარი შემცირებები ნიუ-იორკსა და ბლუმბერგვილში!“- სახელმწიფო დაფინანსების შემცირების გასაპროტესტებლად მოწყობილი ბანაკი, რომელმაც დაახლოებით ორ კვირას იარსება) უკან იდგა. ჩემი საკონტაქტო პირი იყო „დაგ სინგ-სენი“ ამ ჯგუფიდან. არაფერი ვიცი არც დაგის და არც იმის შესახებ, თუ რატომ მიისაკუთრა „ასამბლეა“ „მშრომელთა მსოფლიო პარტიამ“; არც ის ვიცი, თავიდანვე ასე იყო დაგეგმილი თუ არა... მიკა

Adbusters-ის ხალხმა მხოლოდ იდეა შემოაგდო. მათ ეს ადრეც ბევრჯერ გაუკეთებიათ და ამისგან არაფერი გამოსულა; მაგრამ ახლა უამრავმა სხვადასხვა სახის ჯგუფმა, რომლებსაც ერთმანეთთან აშკარად არაფერი აკავშირებდათ, ეტყობა, იდეის მითვისება სცადა. სინამდვილეში კი ჩვენ მოგვინია ყველაფრის ორგანიზება. მეორე დღისთვის ჩვენი პატარა ჯგუფის მეილების ელექტრონული სია მზად იყო და ყველამ, ვინც თავდაპირველ შეკრებას ესწრებოდა, დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ ვინ ვიყავით, რა გვეწოდებინა ჩვენი თავისთვის და რის გაკეთებას ვცდილობდით სინამდვილეში. ყველაფერი ისევ ერთი კონკრეტული მოთხოვნის

შესახებ საკითხის დასმით დაიწყო. თავიდან არსებობდა რამდენიმე იდეა – ვალების ანუღირება, ნებართვის წესების გაუქმება და შეკრების თავისუფლების ლეგალიზება, იურიდიული პირის სტატუსის გაუქმება – მაგრამ საბოლოოდ მეტ პრესტომ, რომელიც, კრისტან ერთად, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ბოულ-ინგ გრინზე შემოგვიერთდა, პრაქტიკულად, მთელ ამ კამათს ბოლო მოუღო. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ არსებობს ორი სახის მოთხოვნები: პირველი – ესაა რეალური მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც შესაძლებელია, როგორც იყო, მაგალითად, Adbusters-ის მიერ გლას-სტიგალის კანონის აღდგენის საკითხის შემსწავლელი კომიტეტის შექმნის მოთხოვნა, რომელიც ამ საინიციატივო ჯგუფის პირველი საჯარო მოწოდებების დროს გაჟღერდა. შესაძლოა, შესანიშნავი იდეა იყო, მაგრამ ღირდა კი ძალადობისა და დაპატიმრების რისკის წინაშე დადგომა მხოლოდ იმისთვის, რომ ვიღაცას კომიტეტი შეექმნა? კომიტეტებს პოლიტიკოსები სწორედ მაშინ ქმნიან, როდესაც, ჩვეულებრივ, ქმედითი ზომების მიღებას არ აპირებენ. არსებობს ასევე მოთხოვნები, რომლებსაც აყენებ, მაგრამ კარგად იცი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა შესაძლოა, მათ იწონებდეს, ისინი არსებული პოლიტიკური სისტემის პირობებში მაინც არასოდეს შესრულდება. ასეთია, მაგალითად, კორპორაციული ლობირების გაუქმება. მაგრამ იყო კი ჩვენი ამოცანა ახალი პოლიტიკური სისტემის ხედვის შემოტანა? თუ გვინდოდა რაღაც სხვა, კერძოდ, შეგვექმნა გზა, რომლის დახმარებითაც ამას ნებისმიერი შეძლებდა? ყოველ შემთხვევაში, რას წარმოვადგენდით ჩვენ საიმისოდ, რომ ხელისუფლებისთვის ახალი პოლიტიკური სისტემის იდეა შეგვეთავაზებინა? ჯერჯერობით – მხოლოდ პატარა ჯგუფს, რომელიც შეკრებაზე მოვიდა. თუკი ჩვენ, ყველანი, დავინტერესდით „გენერალური ასამბლეების“ მოწყობის იდეით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ განვიხილავდით, როგორც ფორუმს ამერიკელთა იმ აბსოლუტური უმრავლესობისათვის, რომელიც მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ დებატებს და, შესაბამისად, საკუთარი იდეებისა და ხედვის განვითარების საშუალება არ ჰქონდა.

ამით საკითხი თითქმის ყველა ჩვენგანისათვის გადაწყვეტილი იყო. მაგრამ ახლა კიდევ ერთი პრობლემის წინაშე დავდექით:

კონკრეტულად როგორ, რა სახით გამოგვეხატა ამერიკელთა ის აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ დებატებს? ვის მოვუწოდებდით ჩვენთან შემოერთებისაკენ? დაჩაგრულთ? გარიყულთ? ხალხს? ყველა ძველი ფრაზა გაცვეთილი და უადგილო გვეჩვენებოდა. როგორ მოგვექცია ეს ყველაფერი ერთიან ჩარჩოში ისე, რომ თავისთავად ცხადი ყოფილიყო, რატომ მივიჩნევდით ხმის უფლების მოთხოვნის უპირველეს გზად უოლსტრიტის დაკავებას.

იმ ზაფხულს ვალის თაობაზე ინტერვიუებს ძალიან ხშირად ვიძლეოდი, რადგან ახალდაწერილი მქონდა წიგნი ვალის შესახებ და დროდადრო მიწევდა ურთიერთობა CNN-თან, TheWall Street Journal-თან და New York Daily News-თანაც კი (რაც, ძირითადად, გამოიხატებოდა იმაში, რომ ემონანილეობდი პოლემიკაში მათ ბლოგებზე – სატელევიზიო შოუებსა და ბეჭდურ გამოცემებს იშვიათად ვწყალობ). ასე რომ, ვცდილობდი, თვალყური მედევნებინა დებატებისთვის აშშ-ის ეკონომიკის შესახებ; ყოველ შემთხვევაში, მაისიდან მაინც, როდესაც ეკონომისტმა ჯოზეფ სტიგლიცმა Vanity Fair-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით „1%-ის შესახებ, 1%-ის მიერ და 1%-ისათვის“. გაზეთებსა და ეკონომიკურ ბლოგებში დიდი გამომხაურება მოჰყვა სტიგლიცის მიერ ხაზგასმულ ფაქტს, რომ მოსახლეობის 1-2%-მა მიიტაცა ეროვნული დოვლათის სულ უფრო მზარდი წილი, მაშინ, როცა დანარჩენის შემოსავალი ან სტაგნაციას განიცდიდა, ან, რეალური გამოთვლით, დღითიდღე მცირდებოდა.

სტიგლიცის არგუმენტებში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კავშირი სიმდიდრესა და ძალაუფლებას შორის: ამ 1%-ს სწორედ ის ადამიანები წარმოადგენდნენ, რომლებიც ქმნიდნენ წესებს პოლიტიკური სისტემის ასამოქმედებლად. ამგვარმა წესებმა ეს სისტემა ლეგალიზებულ მექრთამეობაზე დაფუძნებულ მოვლენად აქცია.

სიმდიდრე წარმოშობს ძალაუფლებას, რომელიც წარმოშობს კიდევ უფრო მეტ სიმდიდრეს. ანაბრებისა და სესხების სკანდალის დროს, 1980-იან წლებში (სკანდალისა, რომლის მასშტაბებიც დღევანდელი სტანდარტებით უკვე ღიმილს იწვევს), ბანკირ ჩარლზ კიტინგს კონგრესის კომიტეტმა დაუსვა შეკითხვა, რეალურად, საკმარისი იყო თუ არა „გავლენის“ საყიდლად ის 1,5

მილიონი, რომელიც მან მნიშვნელოვან არჩევით თანამდებობებზე მყოფ რამდენიმე ოფიციალურ პირს გაუზიარა. „ვიმედოვნებ, რომ საკმარისი იყო“, უპასუხა მან. დღესდღეობით პირადი და პოლიტიკური შესანიშნავ ალიანსშია. თითქმის ყველა ამერიკელი სენატორი და პალატის წარმომადგენელი სწორედ ამ მმართველი 1%-ის წევრი ხდება, როდესაც ხელისუფლებაში მოდის. ისინი თანამდებობას სწორედ 1%-ის ფულით ინარჩუნებენ და კარგად იციან, რომ თუკი ამ 1%-ს მოემსახურებიან, მათ ისევ ეს 1% დააჯილდოებს, როცა ისინი ამ თანამდებობებს დატოვებენ.

სწორედ ეს 1% ფლობდა ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების აბსოლუტურ უმრავლესობას და კამპანიების დაფინანსების უდიდესი წილიც სწორედ ამ 1%-დან მოდიოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1% წარმოადგენდა მოსახლეობის ზუსტად იმ ნაწილს, რომელსაც შეეძლო, თავისი სიმდიდრე პოლიტიკურ ძალაუფლებად ექცია, შემდეგ კი პოლიტიკური ძალაუფლება კიდევ უფრო მეტი სიმდიდრის დაგროვებისათვის გამოეყენებინა. უცებ გამიელვა: თუკი, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1% იყო, ფაქტობრივად, ის, რასაც ჩვენ „უოლსტრიტად“ მოვიხსენიებდით, ჩვენი პრობლემის გადაჭრის გზაც გამოიკვეთა – ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც ხმები წაართვეს და პოლიტიკურ სისტემას ჩამოაშორეს? რატომ მოვუწოდებდით მათ, მოსულიყვნენ მაინცდამაინც მანჰეტენის ფინანსურ რაიონში და არა, მაგალითად, ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში? თუკი უოლსტრიტი იმ 1%-ს წარმოადგენს, მაშინ დანარჩენი ეყოფილვართ ჩვენ.

ვისგან: დევიდ გრებერი<david@anarchisms.org>

თემა: Re:[17 სექტემბრის განხილვა] Re:[17 სექტემბერი]

Re: „ოკუპანტთა“ ერთი კონკრეტული მოთხოვნა?

თარიღი: 4 აგვისტო 2011 4:25:38PM CDT

ვის: september17@googlegroups.com

რას იტყვით სახელწოდებაზე „99%-ის მოძრაობა“?

ორივე პარტია ქვეყანას მართავს ამერიკელთა იმ 1%-ის სახელით, რომელმაც ეკონომიკური ზრდის შედეგების უმეტე-

სი ნაწილი მიიღო; მხოლოდ ამ ადამიანებმა შეძლეს, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ საკუთარი ქონება სრულად აენაზღაურებინათ; ისინი აკონტროლებენ პოლიტიკურ სისტემას; ისინი აკონტროლებენ მთელი ქვეყნის ფინანსებს.

ამრიგად, თუ ორივე პარტია 1%-ს წარმოადგენს, მაშინ ჩვენ წარმოვადგენთ დანარჩენ 99%-ს, რომლის არსებობაც, საქმის არსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ბალანსის შედგენისას არ გაუთვალისწინებიათ.

დეკიდი

მეორე დღეს, პარასკევს, 5 აგვისტოს, ჩვენ პროპაგანდის ჯგუფს შევხვდით ქალაქის ცენტრში, მწერალთა გილდიის ოფისთან, სადაც ჩემი ძველი მეგობარი, ჯასტინ მოლინო მუშაობს. 99%-ის იდეა თითქოს ყველას მოსწონდა. თუმცა არსებობდა რამდენიმე მოსაზრებაც, რომელთა თანახმადაც, სიფრთხილე გვმართებდა: შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ვილაცამ უკვე სცადა, ჩაეტარებინა კამპანია მსგავსი სახელწოდებით – „დანარჩენი 98%“. რასაკვირველია, ჩვენი იდეა სრულიად ორიგინალური არ იყო. ვინმეს, რა თქმა უნდა, შესაძლოა, უკვე ეფიქრა დაახლოებით ამ კუთხით და დაახლოებით ამავე პერიოდში. მაგრამ, როგორც გაირკვა, ჩვენ ერთადერთი ვიყავით, ვინც მოახერხა, ამ ყველაფრისთვის სათანადო დროს და სათანადო ადგილას მოეყარა თავი. ცოტა ხანში ჯორჯია, ლუისთან და ბეგონიასთან, ორ ესპანელ ინდიგნადოსთან ერთად, ჩვენს პირველ ფლაერს ამზადებდა, რომელიც რეკლამას უწევდა სამშაბათის „გენერალურ ასამბლეას“. ამ შეხვედრას უკვე გ.ა.-დ მოვიხსენიებდით.*

* ცნობისთვის (ისტორიაში რომ დარჩეს): რაკი სლოგანის „ჩვენ 99% ვართ!“ წარმოშობის საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია, სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ეს უფრო კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი გახლდათ. ჩემგან წამოვიდა „99%“, ბეგონიამ და ლუისმა დაამატეს „ჩვენ“, ბოლო სიტყვა კი იყო ზმნა „ვართ“, რომელიც Food Not Bombs-იდან მოსულ კრისის ეკუთვნოდა – მან ერთი თვის შემდეგ შექმნა გვერდი Tumblr-ზე, სახელწოდებით „ჩვენ 99% ვართ!“

შეკრებები

შემდეგ გ.ა.-ზე მარისა მოვიდა. სწორედ აქ გაგვიჩნდა ტრეინინგის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების იდეა. ჩვენი ჯგუფი, ძირითადად, ახალგაზრდა აქტივისტებისაგან შედგებოდა, რომლებმაც პირველი გაკვეთილი ბლუმბერგვილში გაიარეს. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ კონსენსუსის მიღწევისა და უშუალო მოქმედების იდეით, მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორის გამოცდილება მათგან ძალიან ცოტას თუ ჰქონდა. პროცესი თავდაპირველად სრულიად ქაოსური იყო – ძალიან ბევრ მონაწილეს ისიც კი არ ესმოდა, რომ ბლოკი (ეს არის იგივე ვეტო, რომელსაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ) სრულიად განსხვავებულია „წინააღმდეგ“ ხმის მიცემისაგან და თვით ფასილიტატორებიც კი, რომლებსაც, წესით, შეკრების წარმართვა ევალებოდათ, ხშირად შემოთავაზებული წინადადების განხილვას იწყებდნენ არა იმის გამოკითხვით, ჰქონდა თუ არა ვინმეს შეკითხვები ან შენიშვნები რომელიმე საკითხის დასაზუსტებლად, არამედ, უბრალოდ, ამბობდნენ: „მოკლედ, ასეთი წინადადება გვაქვს. ვინმე ხომ არ აპირებს მის დაბლოკვას?“ რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, როგორ გვჭირდებოდა დემოკრატიული პროცესების შესახებ ტრეინინგის ჩატარება, ქუჩაში მოქმედების ძირითადი უნარ-ჩვევების დეფიციტიც გვანუხებდა: აუცილებელი იყო ტრეინინგის ჩატარება იურიდიულ თემებზე – სხვა თუ არაფერი, ასე ყველას ეცოდინებოდა, როგორ ემოქმედა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ჩვენგანს დააპატიმრებდნენ (და ზოგიერთ ჩვენგანს აუცილებლად დააპატიმრებდნენ კიდევც, მიუხედავად იმისა, ჩავიდნენ რაიმე არაკანონიერს თუ არა). ამას გარდა, გვჭირდებოდა კიდევ ერთი ტრეინინგი სამედიცინო საკითხებზე, რათა წარმოდგენა გვქონოდა, როგორ მოვექცეულიყავით, თუკი ჩვენ გვერდით ვინმე დაშავდებოდა. ასევე აუცილებლობას წარმოადგენდა ტრეინინგი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ, რომ გვესწავლებინა, როდის და როგორ ჩაეჭიდათ ხელები ჯაჭვის შესაკვრელად, როდის დაძრულიყვნენ ნელა, დამორჩილებოდნენ თუ არ დამორჩილებოდ-

ნენ ბრძანებებს. მომდევნო რამდენიმე კვირის უმეტესი ნაწილი ჩემი ძველი მეგობრების ძებნას მოვანდომე, რომლებსაც Direct Action Network-იდან (უშუალო მოქმედების ქსელიდან) ვიცნობდი. ზოგიერთი მათგანი იმალებოდა, ზოგიერთი ჩამოშორდა ამ საქმეს, ზოგიერთი გადაიღალა და თავი დაანება, ზოგმა სამსახური იპოვა, ან სულაც ფერმაში გადავიდა საცხოვრებლად და ორგანულ მეურნეობას უძღვებოდა; ვარწმუნებდი მათ, რომ ეს არ იქნებოდა კიდევ ერთი წარუმატებლობისთვის განწირული წამოწყება; რომ ამჯერად ყველაფერი რეალური იყო; ვთხოვდი, ჩვენს კამპანიას შემოერთებოდნენ და საკუთარი ცოდნა, გამოცდილება ახალბედებისთვის გაეზიარებინათ. ყოველივე ამან საკმაოდ დიდი დრო წამართვა, მაგრამ თანდათანობით ბევრმა მათგანმა დაბრუნება გადაწყვიტა.

იმ პირველ გ.ა.-ზე, რომელიც ირლანდიის შიმშილობის შემორიკლთან ჩატარდა, გადაწყდა, რომ შემდეგი შეკრებები გაიმართებოდა ტომპკინსის მოედნის პარკში, ისტ-ვილიჯში. ის უოლსტრიტის მიმდებარე, შედარებით დაუსახლებელ ტერიტორიაზე კი არ მდებარეობს, არამედ „ნამდვილი“, „დასახლებული“ ნიუ-იორკის შუაგულში. ეს ის ადგილი იყო, საიდანაც, ჩვენი რწმენით, ადგილობრივი შეკრებების ტრადიცია თანდათანობით სხვა ადგილებშიც გავრცელდებოდა. მე და მარისამ თანხმობა განვაცხადეთ, 13 აგვისტოსთვის დაგეგმილი პირველი ასეთი შეხვედრის ფასილიტატორები ვყოფილიყავით, რადგან მარისას კონსენსუსის პროცესის წარმართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. ამ მხრივ ის იმდენად ძლიერი იყო (ყველა დანარჩენს თავდაპირველად საკუთარი თავის რწმენა აკლდა), მომდევნო ოთხი ასეთი შეხვედრის ფასილიტაციის პროცესში მონაწილეობის მიღება მოუწია. ის ჩამოყალიბდა ქალად, რომელმაც თავი მოუყარა ყველაფერს: თითქმის ყველა სამუშაო შეკრებას ესწრებოდა, უწევდა კოორდინაციას, სახავდა გეგმებს. ძალიან გამიკვირდებოდა, მის გარეშე, საერთოდ, რამე რომ მომხდარიყო.

მომდევნო რამდენიმე კვირის მანძილზე თანდათანობით გვემაც გამოიკვეთა. გადავწყვიტეთ, რომ გვინდოდა, გვქონოდა დაახლოებით ისეთი შედეგი, როგორსაც მიაღწიეს ათენში,

ბარსელონასა და მადრიდში, სადაც ათასობით ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელთა უმეტესობისათვის ნებისმიერი სახის პოლიტიკური მობილიზება სრულიად ახალი რამ იყო, სურდა, მათ ქვეყანაში არსებული მთელი კლასის მიმართ პროტესტის ნიშნად ღია სივრცე დაეკავებინა. ჩვენი იდეაც ასეთი იყო – მსგავსი საჯარო სივრცის „ოკუპირება“ ნიუ-იორკის „გენერალური ასამბლეის“ შექმნის მიზნით, რომელიც, თავისი ევროპელი ბიძაშვილების მსგავსად, შეძლებდა, ჭეშმარიტი უშუალო დემოკრატიის მოდელი გამხდარიყო და დაპირისპირებოდა იმ გახრწნილ ფარსს, რომელიც ამერიკის მთავრობამ „დემოკრატიად“ წარმოგვიდგინა. უოლსტრიტის აქცია უნდა ყოფილიყო გარდამავალი ეტაპი ამგვარი ასამბლეების მთელი ქსელის შექმნის გზაზე.

ასე გამოიყურებოდა ჩვენი გეგმები, მაგრამ შეუძლებელი იყო იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ რა მოხდებოდა 17-ში. Adbusters გვიმტკიცებდა, რომ მის ვებგვერდზე ჩვენ 900000 მომხრე (ე.წ. **follower. რედ.**) გვყავდა. მათ კიდევ 20000 ადამიანს მოუწოდეს, ქუჩაში გამოსულიყვნენ. ეს, რასაკვირველია, არ მოხდებოდა, მაგრამ მაინც რამდენი ადამიანი მოვიდოდა სინამდვილეში? უფრო მეტიც, რა უნდა გვეთქვა მათთვის, როდესაც შეიკრიბებოდნენ? ყველამ კარგად ვიცოდით, რის წინაშეც ვიდექით. ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში თანამშრომელთა რაოდენობა 40000-ს აღწევდა. მერი ბლუმბერგი ხშირად აცხადებს, ქალაქი ნიუ-იორკი რომ დამოუკიდებელი ქვეყანა იყოს, მისი პოლიცია, მრავალრიცხოვნების მხრივ, მსოფლიოში მეშვიდე არმია იქნებოდაო*. თავის მხრივ, უოლსტრიტი ალბათ პოლიციის მიერ ყველაზე უფრო დაცული ერთადერთი საჯარო სივრცე იყო მთელ პლანეტაზე. საერთოდ, შევძლებდით კი საფონდო ბირჟასთან რაიმე სახის აქციის გამართვას? რა თქმა უნდა, მისი მთლიანად გადაკეტვა, თუნდაც მხოლოდ ცოტა ხნით, არც კი განიხილებოდა. ალბათ ნებისმიერ სიტუაციაში, განსაკუთრებით – 9/11-ის შემდეგ შემოღებული ახალი უსაფრთხოების ზომების პირობებში, მით უმეტეს, მხოლოდ ექვსი კვირის ვადაში, ყოველივე ამის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა.

* თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასე არ არის. ამ რაოდენობით ის, სავარაუდოდ, 37-ე ადგილს თუ დაიკავებდა: ნიუ-იორკი ალბათ ტუნისის წინ იქნებოდა და პორტუგალიის შემდეგ.

სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე და მიელების საშუალებით გიჟურ იდეებს გვანვდიდნენ. სავარაუდოდ, პოლიციელები რიცხობრივად ძალიან დიდი განსხვავებით დაგვჯაბნიდნენ. იქნებ როგორმე მოგვეხერხებინა, რომ იქ უზარმაზარი რაოდენობის პოლიციელთა ყოფნა მათივე სანინაალმდეგოდ გამოგვეყენებინა და ისინი სასაცილო მდგომარეობაში ჩაგვეყენებინა? ერთი იდეა ასეთი იყო: უნდა გამოგვეცხადებინა „კოკაინის ბლოკადა“: შეგვეკრა ცოცხალი ჯაჭვი საფონდო ბირჟის მიმდებარე ტერიტორიის ირგვლივ და გამოგვეცხადებინა, რომ უოლსტრიტზე კოკაინის არც ერთ მომხმარებელს არ შევუშვებდით, თუკი ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდნენ („სამი დღის მერე კი – არც ერთ ალკოჰოლიკს!“). მეორე, უფრო პრაქტიკული იდეა შემდეგში მდგომარეობდა: უნდა შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა მოედნების „ოკუპაციის“ მონაწილეებთან ურთიერთობას საფრანგეთში, საბერძნეთში, გერმანიასა და ახლო აღმოსავლეთში; უნდა დამყარებულიყო ერთგვარი ინტერნეტკავშირი. შემდეგ კი როგორმე რეპორტაჟი პროექტორის საშუალებით ასახულიყო საფონდო ბირჟის კედელზე, რის საშუალებითაც გამომსვლელებს ყოველი ასეთი „ოკუპირებული“ ადგილიდან შეეძლებოდათ, პირდაპირ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები უოლსტრიტის საქმოსნების შესახებ. თუკი რაღაც ამის მსგავსს მოვახერხებდით, ჩვენი აზრით, ეს დიდ დახმარებას გაგვინევდა გრძელვადიანი მოძრაობის ჩამოყალიბებაში: ეს იქნებოდა კონკრეტული მიღწევა პირველივე დღეს და აქცევდა აქციას მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც ერთგვარ ისტორიულ მოვლენად, თუნდაც „მეორე დღე“ საერთოდ აღარ ყოფილიყო. ამგვარი მცირე გამარჯვებები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა; გინდა, როცა ყველაფერს მორჩები, ყოველთვის შეგეძლოს, თქვა, რომ გააკეთე რაღაც ისეთი, რაც მანამდე არავის გაუკეთებია. მაგრამ იმდენად შეზღუდული ვიყავით ფინანსურადაც და დროშიც, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა.*

* მოგვიანებით სხვადასხვა „ოკუპაციის“ ორგანიზატორებმა მოახერხეს შენობების კედლებზე მასშტაბური გამოსახულების პროექტირებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების შეძენა, მაგრამ ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტმა მიიჩნია, რომ ნებართვის გარეშე ამგვარი ქმედება საკუთრების ხელყოფას წარმოადგენდა და ამის გაკეთება აკრძალა.

გულწრფელად რომ ვთქვა, ბევრი ჩვენგანისთვის, ვეტერანებისთვის, ყველაზე დიდი საზრუნავი ამ ცხელი კვირების განმავლობაში იყო იმის უზრუნველყოფა, რომ პირველ, საწყის ღონისძიებას სრული ფიასკო არ განეცადა. გვინდოდა, დარწმუნებული ვყოფილიყავით იმაში, რომ ყველა ის ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა, რომლებიც ასეთ მასშტაბურ აქციაზე პირველად მოვიდოდნენ, არ ეცემათ, არ დაეპატიმრებინათ და მათთვის ფსიქოლოგიური ტრავმა არ მიეყენებინათ; მედია კი, ჩვეულებრივ, პირიქით, არეულობის მოლოდინში იყო. აქციის დაწყებამდე შიდა კონფლიქტებიც უნდა მოგვეგვარებინა.

ნიუ-იორკის ანარქისტთა ბირთვმა, რომელსაც იოლად ვერაფერს მოაწონებდი, უარი თქვა მოძრაობაში მონაწილეობაზე, ფაქტობრივად, დაგვცინა კიდეც და ზურგს უკან „რეფორმისტები“ გვინოდა. უფრო კომუნიკაბელური, ა ანარქისტები (ანარქიზმმა უამრავ ფილოსოფიასა და მოძრაობას დაუდო სათავე. მათ შორისაა *A* და ა ანარქიზმი. *A* ანარქიზმი იდეოლოგიური ანარქისტების გამომხატველი ტერმინია, ხოლო ა ანარქიზმი – მათი „მეთოდოლოგიური“ კოლეგებისა; იმ ადამიანებისა, რომლებისთვისაც „ანარქიზმი არის მოქმედების გზა, ისტორიული მიმართულება არალეგიტიმური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დევიდ გრებერი ამ ტერმინის ალტერნატიულ გამოყენებას გვთავაზობს, იყენებს რა მას იმ ჯგუფებისა და მოძრაობების გამოსახატავად, რომლებიც მოქმედებენ დეცენტრალიზაციის, ნებაყოფლობითი გაერთიანებების, ორმხრივი დახმარების, ქსელური მოდელის ანარქისტული პრინციპების მიხედვით. მთარგმ.), როგორიც, ვარ, მაგალითად, მე, უმეტეს დროს იმის უზრუნველყოფას ვანდომებდით, რომ ჩვენ შორის არსებულ ვერტიკალებს არაფერი შეექმნათ ისეთი, რაც, შესაძლოა, ფორმალური ხელმძღვანელობის სტრუქტურა გამხდარიყო; ეს კი, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, დამარცხების გარანტია იქნებოდა.

WWP („მშრომელთა მსოფლიო პარტია“) აქციის ორგანიზებას ადრევე გამოეთიშა, მაგრამ ISO-ს („საერთაშორისო სოციალისტური ორგანიზაცია“) რამდენიმე სტუდენტი და მათი მხარდამჭერები გამუდმებით მოითხოვდნენ უფრო მეტ ცენტრალიზაციას. ერთ-ერთი ყველაზე მეტად სადავო საკითხი, სხვა უამრავთან

ერთად, იყო პოლიციასთან მოლაპარაკებისა და ე.წ. მარშლების საკითხი. ვერტიკალები, ბლუმბერგვილის გამოცდილებიდან გამომდინარე, აცხადებდნენ, რომ პრაქტიკულ აუცილებლობას წარმოადგენდა ორი ან სამი კარგად მომზადებული (ტრენინგ-გავლილი) შუამავლის არსებობა პოლიციელებთან მოლაპარაკების გასამართავად, ასევე საჭირო იყო მარშლები, რომლებიც ამ ინფორმაციას აქციის მონაწილეებს მიაწვდიდნენ. ჰორიზონტალები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ფუნქციების ასეთი განაწილება უცილობლად გადაიზრდებოდა ლიდერობის სტრუქტურაში, ბრძანებების გაცემაში. პოლიცია ყოველთვის ცდილობს ლიდერთა დადგენას; თუკი მათ ვერ იპოვის, ამგვარ ლიდერთა სტრუქტურას თავად შექმნის შუამავლებთან უშუალო მოლაპარაკების გზით და შემდეგ შუამავლებს (და მარშლებს) მოსთხოვს, რომ მისი ნება აღასრულონ. ეს საკითხი ხმის მიცემის გზით გადაწყდა, უფრო სწორად, წინასწარი კენჭისყრით – როდესაც ფასილიტატორი სთხოვს საზოგადოებას, თითის აწევით (როცა გადაწყვეტილებას მხარს უჭერ), თითის დაწევით (როცა გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგები) ან გვერდზე გაწევით (როცა ხმის მიცემისაგან თავს იკავებ, ან ვერ ხვდები, როგორ მოიქცე) გამოხატოს თავისი მოსაზრება, რათა შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა იმაზე, თუ რას ფიქრობს ხალხი ამა თუ იმ საკითხზე, ანუ ღირს თუ არა გადაწყვეტილების მიღება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდა, რომ არ ღირდა. ორ მესამედზე მეტი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ საჭირო არ იყო პოლიციელებთან ურთიერთობისთვის და აქციის წარმართვისთვის კონკრეტული პირების (შუამავლები-სა და მარშლების) გამოყოფა. ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაადასტურა ჩვენი ერთგული დამოკიდებულება ჰორიზონტალურობის პრინციპებისადმი.

დაპირისპირება მოჰყვა აგრეთვე სხვადასხვა რადიკალური ჯგუფის მონაწილეობასაც, ლინდონ ლარუმის (**ამერიკელი ეკონომისტი და პოლიტიკური აქტივისტი, დისიდენტი, რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის დამაარსებელი, რომლებიც ცნობილია ლარუმის მოძრაობის სახელით; რვაჯერ მიიღო მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. დაიბ. 1922 წელს. რედ.**) მომხრეებით დაწყებული, ერთი ქალით დამთავრებული, რომელიც წარმოად-

გენდა გაურკვეველ (და, შესაძლოა, სულაც არარსებულ) ჯგუფს სახელწოდებით US Day of Rage („ამერიკის მრისხანების დღე“). ეს ქალი გამუდმებით ბლოკავდა პროფესიულ კავშირებთან კონტაქტის დამყარების ნებისმიერ მცდელობას, რადგან მიაჩნდა, რომ დისიდენტური „ჩაის სმის მოძრაობის“ წევრები უნდა მოგვეზიდა (Tea Party Movement – კონსერვატორულ-ლიბერტარიანული პოლიტიკური მოძრაობა აშშ-ში, რომელიც წარმოიშვა 2009 წელს. სახელწოდება მოდის „ბოსტონის ჩაის სმისგან“ (1773 წ.). მას ხანდახან სხვაგვარადაც შიფრავენ: Tax Enough Already! („გვეყო გადასახადები!“) რედ.). გარკვეულ ეტაპზე გ.ა.-ს დებატები იმდენად დაიძაბა, რომ ქრისტიულადიური ნიშნების დამატება მოგვიხდა: ჩვენ ვიყენებდით ნიშანს „პირდაპირი პასუხისათვის“, ორივე ხელს ვიქნევდით ზევიდან და ქვევით და პირიქით. ამ დროს ყველა თითი გაშლილი უნდა ყოფილიყო. ეს ნიშანი იმ შემთხვევაში გვჭირდებოდა, როდესაც ვინმეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა მოსაწოდებელი (მაგალითად: „არა, აქცია სამშაბათს კი არ არის, არამედ ხუთშაბათს!“). ეს ადამიანი სთხოვდა ფასილიტატორს, ნება მიეცა, რომ სიტყვით გამომსვლელთა შორის გზა გაეკვლია და ყველაფერი განემარტა. ცოტა ხანში კიდევ ერთი სიგნალის გამოყენებაც მოგვიხდა, რომელიც ნიშნავდა: „ჯგუფმა უნდა იცოდეს, რამდენად მიუღებელია ჩემთვის აქ გამოთქმული ბოლო მოსაზრება“. ბოლოს იქამდეც მივედით, რომ ეს ყველაფერი სანახაობად იქცა – მიწაზე მსხდარი ზოგიერთი სქელშუბლა კონსერვატორი საჩვენებელ თითს ერთმანეთს დაუსრულებლად უქნევდა (თითქოს გაცხარებულ კამათში იყვნენ ჩართული), სანამ მათ ვინმე არ გააჩერებდა.

იძულებული გავხდი, შემეთავაზებინა, საერთოდ აღარ გამოგვეყენებინა ეს „უშუალო პასუხი“ და ის ერთი აწეული თითით შეგვეცვალა, რომელიც ნიშნავდა „ინფორმაციის მიწოდებას“ (დაბეჯითებით შემოიძლია, ვთქვა, რომ ეს ჩემი მოგონილი არ არის და ალბათ სადღაც მქონდა ნანახი). ამან, რაც არ უნდა უცნაური იყოს, მაშინვე მოულო ბოლო კამათს და ჩვენი დებატების ხარისხიც გააუმჯობესა.

ის დღე

ზუსტად არ ვიცი, როდის და როგორ მიიღო ტაქტიკის სამუშაო ჯგუფმა გადაწყვეტილება, მაგრამ თავიდანვე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ პარკი უნდა დაგვეკავებინა. ეს, რეალურად, ერთადერთი პრაქტიკული ვარიანტი იყო.

აქაც, ისევე, როგორც ეგვიპტეში, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ, რაც არ უნდა გვეთქვა, ან რაც არ უნდა მიგვეწერა ჩვენს მონაცემთა ბაზაში არსებულ მეილებზე, პოლიციისათვის ყველაფერი ცნობილი იქნებოდა. აქციის დღემდე რამდენიმე კვირით ადრე ტაქტიკის ჯგუფმა ადგილმდებარეობა შეარჩია – ჩეიზ პლაზა (Chase Plaza), საკმაოდ დიდი ტერიტორია ჩეიზ მანჰეტენ ბანკის (Chase Manhattan Bank) შენობის წინ, საფონდო ბირჟიდან ორი კვარტალის დაშორებით, სადაც სივრცეს პიკასოს მშვენიერი სკულპტურა ავსებს. ეს ადგილი, თეორიული თვალსაზრისით, ნებისმიერ დროს ღია იყო საზოგადოების ფართო მასებისათვის; იმ მასალებშიც, რომლებსაც პროპაგანდისათვის ვიყენებდით, მითითებული გვქონდა, რომ 17 სექტემბერს იქ „გენერალური ასამბლეა“ ჩატარდებოდა. ჯგუფის წევრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქალაქის მესვეურები ამ ტერიტორიას გადაკეტავდნენ. 16 სექტემბერს მთელი საღამო ბრუკლინში, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტრეინინგზე გავატარე, რომელსაც ლისა ფიტინი, „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ კიდევ ერთი ვეტერანი და სტაჟიანი ორგანიზატორი უძღვებოდა, რომელიც მშრომელთა ჯგუფებისათვის კიდევ უფრო შემოქმედებითი ტაქტიკის სწავლებაში დაოსტატებულიყო. შუალამე იქნებოდა, როცა რამდენიმე ჩვენგანი – მე, მარისა, ლისა და მაიკ მაკგუაიერი, გაჩეჩილი, წვერიანი ვეტერანი ანარქისტი, რომელიც ბალტიმორიდან ახალი ჩამოსული იყო – უოლსტრიტზე შევჩერდით, რომ იქაურობა დაგვეზვერა. რა თქმა უნდა, აღმოვაჩინეთ, რომ პლაზა შემოეღობათ და ის, ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე, განუსაზღვრელი ვადით იყო დაკეტილი ხალხისთვის.

„არა უშავს“, თქვა მარისამ. „დარწმუნებული ვარ, ტაქტიკის ჯგუფს სათადარიგო გეგმების მთელი სერია ექნება მომზადებული“. მან არ იცოდა, ეს რა სახის გეგმები იყო (იმ ეტაპზე ის მხო-

ლოდ ტრეინინგის ჯგუფთან და ინტერნეტში ვიდეოების პირდაპირი ტრანსლაციის ჯგუფში მუშაობდა), მაგრამ ღრმად სწამდა, რომ ასეთი გეგმები მართლაც არსებობდა. ცოტა ხანს აქეთ-იქით ვიხეტიალეთ, სხვადასხვა ღია სივრცის „სიცოცხლისუნარიანობაზე“ ვიმსჯელებთ და ბოლოს მეტროთი წავედით შინ.

მეორე დღის გეგმის თანახმად, ბოულინგ გრინში, ხარის მონუმენტთან, დაახლოებით შუადღისთვის უნდა მოგვეყარა თავი, მაგრამ ოთხი ჩვენგანი ერთი-ორი საათით ადრე შევიკრიბეთ. მე ცოტა ხანს აქეთ-იქით დავხეტიალედი, ჩემი აიფონით სურათებს ვუღებდი პოლიციელებს, რომლებიც საფონდო ბირჟასთან ბარიკადებს აგებდნენ, და ამ სურათებს Twitter-ზე ვტვირთავდი. ამას კი ყოვლად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. Occupy Wall Street-ის თნიტერ-ის ოფიციალური გვერდიდან (რომელიც, როგორც გაირკვა, მონრეალის პატარა ტრანსგენდერული ჯგუფის მიერ იყო შექმნილი და მომსახურებასაც ის უწევდა) სწრაფად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მე ადგილზე ვიყავი და, შესაბამისად, ინფორმირებული გახლდით, თუ რა ხდებოდა იქ. რამდენიმე საათის განმავლობაში ჩემი გვერდით დაახლოებით 2000 ადამიანი (**follower. რედ.**) დაინტერესდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შევნიშნე, რომ საკმარისი იყო, ჩემს გვერდზე რაიმე ახალი ინფორმაცია დამედო, ათ წუთში ვილაც მას ბარსელონაში ესპანურ ენაზე თარგმნიდა და მთელ ესპანეთში ავრცელებდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რამდენად დიდი იყო მსოფლიოს ინტერესი იმის მიმართ, რაც იმ დღეს ჩვენთან ხდებოდა.

და მაინც, ყველაზე დიდ გამოცანად რჩებოდა, თუ რამდენი ადამიანი მოვიდოდა. რაკი საკმარისი დრო არ გვქონდა, ტრანსპორტირების საკითხი რამენაირად მოგვეგვარებინა, ამიტომ შეიძლებოდა, მხოლოდ გვევარაუდა; უფრო მეტიც, დარწმუნებული ვიყავით, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძალიან ბევრი ადამიანი მოვიდოდა, ჩვენ სხვა გზა არ გვექნებოდა, სადმე უნდა დავზანაკებულიყავით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს გეგმით გათვალისწინებული; ჩვენ კი არავითარი ადგილი არ გავაჩნდა ამ ხალხის განსათავსებლად.

თუმცა თავდაპირველად ეს თითქოს დიდი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, რადგან ვფიქრობდით, რომ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი ვიქნებოდით. თანაც, მოსულთაგან ძალიან ბევრი

აშკარად უცნაურად გამოიყურებოდა – მახსოვს ათიოდე თეთრ მანტიაში გამოწყობილი ახალგაზრდა „პროტესტის კაპელანი“ (Protest Chaplains), რომლებიც რადიკალების ჰიმნებს მღეროდნენ; მათგან ათიოდე იარდის მოშორებით იდგა გუნდი, რომელიც დაახლოებით იმდენივე მომღერლისაგან შედგებოდა. ისინი ლინდონ ლარუშის მიმდევრები იყვნენ, კარგად დამუშავებულ კლასიკურ ნაწარმოებებს ასრულებდნენ და „კაპელანებს“ კონკურენციას უწევდნენ. უსახლკარო, მანანალა ბავშვების პატარ-პატარა გუნდები (შეიძლება ისინი სულაც ჩამოძონძილი აქტივისტები ყოფილიყვნენ) დროდადრო გამოჩნდებოდნენ და მწყობრად მიაბიჯებდნენ ხარის მონუმენტის ირგვლივ, პოლიციის მიერ აგებული ბარიკადების გარშემო; ამ ხარს კი უნიფორმიანი პოლიციელების რაზმი გულმოდგინედ და გამუდმებით დარაჯობდა.

შევატყვე, რომ ჩვენი რიცხვი თანდათანობით გაიზარდა. როდესაც რევერენდ ბილიმ, რადიკალური პერფორმანსის ცნობილმა ოსტატმა, ბოულინგ გრინ პარკის სამხრეთ ბოლოში მდებარე ამერიკელი ინდიელების მუზეუმის კიბის საფეხურიდან ქადაგება დაიწყო, ჩვენ, სულ მცირე, უკვე ათასამდე ადამიანი მაინც ვიქნებოდით. უცებ ვილაცამ რუკა მომაჩვენა. მასზე 15 სხვადასხვა ნომერი იყო აღნიშნული. თითოეული მათგანი შეესაბამებოდა პარკს, რომელიც იქიდან ფეხით სავალ მანძილზე მდებარეობდა. ისინი, შესაძლოა, გ.ა.-ს გასამართავად გამოგვდგომოდა. დაახლოებით 2:30-ზე გავრცელდა ხმა, რომ ყველანი N5 პუნქტთან უნდა მივსულიყავით.

ეს იყო ზუკოტის პარკი.

როცა ზუკოტის პარკში მივედით, უკვე აშკარა იყო, რომ იმდენი ხალხი გვყავდა (სულ მცირე, 2000 ადამიანი), უკვე აღარ ვიცოდით, საერთოდ, როგორ შევძლებდით „გენერალური ასამბლეის“ გამართვას. ვილაც (როგორც თქვეს, ის სტუდენტური ორგანიზაციიდან იყო, არა ნიუ-იორკელი) პარკის გარშემო ჩარიგებული ქვის სკამებიდან ერთ-ერთზე შედგა და გამოაცხადა, რომ ყველანი ოცდაათკაციან ჯგუფებად უნდა დავყოფილიყავით და დაახლოებით ერთი საათი დაგვეთმო ბრეინსტორმისთვის – წამოგვეყენებინა იდეები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება, ან გვემსჯელა ნებისმიერ

სხვა თემაზე, რომელიც, მონაწილეების აზრით, სასიცოცხლო პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენდა. ეს საკმაოდ კარგი აზრი გამოდგა. ცოტა ხანში მთელი პარკი პატარა წრეებისაგან შემდგარ ლაბირინთს დაემსგავსა, რამაც პროცესის სამუშაო ჯგუფს (რომელიც საჩქაროდ ისევ შეიკრიბა) საშუალება მისცა, კიდევ ერთი გეგმა დაესახა.

ეს დღე ჭეშმარიტად საუკუნის ურთიერთთანამშრომლობა იყო. საბედნიეროდ, ამ დროისთვის უკვე გვეყვდა გამოცდილი მოხალისეები – მარინა სიტრინი, „უშუალო მოქმედების ქსელის“ კიდევ ერთი აქტივისტი, რომელსაც მე თავიდანვე მივმართე, რომ იურიდიულ საკითხებზე ტრეინინგის ჩატარებაში დაგვხმარებოდა; მარისა, ნიჭიერი ახალგაზრდა იურისტი ამინ ჰუსეინი, მეტი და ლისა ფიტიანი. ჩვენ სწრაფად გამოვყავით ორი ძირითადი ფასილიტატორი, ორი სათადარიგო (მე ერთ-ერთი სათადარიგო ფასილიტატორი ვიყავი), ერთი მდივანი, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებებს ჩაიწერდა, და ერთი ადამიანი ხალხის განწყობის მონიტორინგისათვის, რომელიც ხალხში ივლიდა და დააკვირდებოდა, ყველას კარგად ესმოდა თუ არა, ხომ არ შეიმჩნეოდა უკმაყოფილების, იმედგაცრუების ან მოწყენილობის ნიშნები, რისთვისაც ყურადღება უნდა მიგვექცია.

გადავწყვიტეთ ასევე, გიგანტური წრე შეგვეკრა. ერთმა ახალგაზრდა ესპანელმა ქალმა, რომელიც ჩვენს დასახმარებლად ჩამოფრინდა, აგვისხნა (მოგვიანებით მას ჯორჯიაც დაეთანხმა), რომ ეს უაღრესად სულელური შეცდომა იყო. რეალურად, შეუძლებელია, ამდენი ხალხის შუაგულში მდგარი ფასილიტატორების ხმა ყველას თანაბრად სწვდებოდა, თუნდაც ისინი მთელი ხმით ყვიროდნენ. ყველაზე სწორი იქნებოდა, ნახევარწრეები შეგვეკრა, შემდეგ მათ შორის გასასვლელები გაგვეკეთებინა, რათა ორატორებს შეძლებოდათ წინ გადანაცვლება, რომ ხალხს მათთვის უკეთ მოესმინა. როცა ამას მივხვდით, უკვე ძალიან გვიანი იყო.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც ხალხის ჯგუფი ისევ წრედ შევეკარით, პირველი რამდენიმე წუთი იმაზე ფიქრს მოვანდომეთ, როგორ მიგვეწვდინა ხმა ყველასათვის ერთსა და იმავე დროს. რამდენიმე სხვადასხვა სახის მეგაფონი შევაგროვეთ, მათგან სამი ერთად შევეკარით და სახელდახელოდ შევაკონინეთ უცნაური

მოწყობილობა, რომელიც სამ მხარეს იყო მიმართული. მაგრამ ამას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. საბოლოოდ, მივედით დასკვნამდე, რომ ისევ „ადამიანი-მიკროფონის“ მეთოდისთვის უნდა მიგვემართა. ეს იყო კიდევ ერთი ხერხი, რომელსაც ბევრი ჩვენგანი კარგად იცნობდა „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ დღეებიდან.

ზუსტად არავინ იცოდა, როგორ წარმოიშვა თავდაპირველად „ადამიანი-მიკროფონის“ იდეა. ეს საკმაოდ ნაცნობი ხერხი იყო კალიფორნიელი აქტივისტების უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ 1999 წლის ნოემბერში სიეტლში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სამიტის ჩასაშლელად გამართული აქციების დროსაც. გარკვეულწილად, გასაკვირია, რომ იქამდე ის არავის გამოუყენებია – ეს ხომ შესანიშნავი გამოსავალია იმ საყოველთაოდ გავრცელებული პრობლემის შემთხვევაში, რომლის წინაშეც ადამიანთა დიდი თავყრილობები ალბათ ათასწლობით იდგნენ. შეიძლება მას კაცობრიობის ისტორიის უფრო ადრეულ პერიოდში იყენებდნენ, მაგრამ ამის შესახებ არასდროს არაფერი თქმულა, რადგან მათი გამოყენების აუცილებლობა თავისთავად ცხადი იყო. ეს ხერხი საკმაოდ მარტივია. ერთი ადამიანი ლაპარაკობს ხმამაღლა და დაახლოებით ყოველი ათი ან ოცი სიტყვის შემდეგ აკეთებს პაუზას. როდესაც ის ჩერდება, ყველა, ვინც სმენადობის არეალში იმყოფება, იმეორებს მის ნათქვამს, რომელიც ორჯერ უფრო შორს ვრცელდება, ვიდრე სხვა შემთხვევაში. ეს არამარტო პრაქტიკულია, არამედ, ჩვენი დაკვირვებით, საკმაოდ საინტერესო და საფუძვლიანი დემოკრატიული შედეგიც აქვს. პირველ რიგში, გამორიცხავს ფუჭსიტყვაობას – ყველა კარგად ხვდება, რომ უსარგებლო თემებზე არ უნდა შეჩერდეს, როცა ათასობით ადამიანი ელოდება, მისი ნათქვამი სიტყვასიტყვით რომ გაიმეოროს; და მეორე: რაკი ნებისმიერს შეუძლია, ილაპარაკოს, რაც ყველამ უნდა გაიმეოროს, ეს აიძულებს მონაწილეებს, ყურადღებით მოუსმინონ დანარჩენებს.

თუმცა იმ მომენტისთვის ჩვენ ასეთ ფილოსოფიურ ქვეტექსტებს იმდენად არ ჩავლრმავებოვართ, რამდენადაც გადაუდებელ პრაქტიკულ საკითხებს. სულ მცირე, ათასი პოლიციელით გარშემორტყმულ პარკში ორი ათასი ადამიანი ვიყავით შეკრებილი. სკაუტებმა დაადასტურეს, რომ ცხენები, სკუტერები, დაპატიმ-

რებულების გადასაყვანი მანქანები (დედანში წერია **paddy wagons**, რაც რუსული **черный ворон**-ის შესატყვისია. რედ.) და საზოგადოებრივი არეულობების წინააღმდეგ საბრძოლველი აღჭურვილობა ხალხის დასანახად იყო თავმოყრილი ახლომდებარე ტერიტორიაზე. თეთრპერანგიანი პოლიციელები (ანუ მაღალჩინოსნები) ყველას, ვინც კი, მათი აზრით, გარეგნულად ლიდერს ჰგავდა, ეკითხებოდნენ, თუ რა გეგმები გვქონდა. საკმაოდ გაგვიმართლა იმ თვალსაზრისით, რომ მაშინაც კი, თუკი ვინმე დააპირებდა, შუამავლის როლი ეთამაშა, მაინც ვერ მოახერხებდა, ჩვენი გეგმების შესახებ რამე ეთქვა.

შეკრება საკმაოდ გვიანამდე გაგრძელდა. საჭიროდ არ მივიჩნიეთ, გამოგვეცხადებინა, რომ „ასამბლეის“ შემდეგ რაიმე კონკრეტული სამოქმედო გეგმა გვქონდა – ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ გვინდოდა, გადაწყვეტილება სხვების მაგივრად მიგვეღო, და ნაწილობრივ იმის გამოც, რომ გვსურდა, დავრწმუნებულიყავით შემდეგში: „გენერალური ასამბლეის“ უპირველესი მიზანი იმის გადწყვეტა იქნებოდა, თუ რისი გაკეთება გვინდოდა ყველას მომავალში (ეს ვამჯობინეთ აბსტრაქტული თეორიული არგუმენტების მოყვანას). ამან ხელი შეუწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესის გაგრძელებას. უამრავი გეგმა წამოაყენეს და განიხილეს; მათი უმეტესობა უარყვეს. პოლიცია გამუდმებით ავრცელებდა ხმებს იმის თაობაზე, რომ იგეგმებოდა ჩვენი დაშლა – ჯერ ითქვა, რომ პარკს საღამოს 10 საათისთვის განმენდნენ, შემდეგ – 10:30-ისთვის, ბოლოს კი 11 საათი დასახელდა. ხალხი კი დაბეჯითებით უგულებელყოფდა ამ ინფორმაციას, ან ამბობდა, რომ შეხვედრას ჯერ კიდევ აგრძელებდა. ცოტა ხანში ორი მოსაზრება გამოიკვეთა – ერთი, შედარებით დიდი ჯგუფი ემხრობოდა პარკის დაკავებას და ოპერაციების მუდმივ სამოქმედო ბაზად მის გამოყენებას, როგორც ეგვიპტეში ტაჰრირის მოედნის, ათენში სინტაგმას მოედნის, ან ბარსელონაში პლაცა დე კატალუნიას შემთხვევაში. მეორე, უფრო მომცრო, მაგრამ არანაკლებ კატეგორიული ჯგუფი კი მიიჩნევდა, რომ მწყობრი ნაბიჯით უნდა წავსულიყავით პირდაპირ უოლსტრითისაკენ და, თუ შევძლებდით, საფონდო ბირჟის მოპირდაპირე ტერიტორია დაგვეკავებინა. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი იქ დაბანაკება, პრაქტიკულად, უკანონოც არ იქნებოდა.

ბლუმბერგვილის დადგენილების თანახმად, კანონით დასაშვები იყო ტროტუარზე დაძინება, როგორც პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის ფორმა, იმ პირობით, თუკი დატოვებული იქნებოდა გასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის. ერთი-ორმა უშიშარმა ადამიანმა რამდენიმე კვირით ადრე სცადა, ნიადაგი მოესინჯა კიდეც და საფონდო ბირჟის წინ საძილე ტომრები მიიტანა. ისინი მაშინვე დააპატიმრეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ დაჟინებით მოითხოვეს სასამართლოს წინაშე წარდგომა, მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი, რომ ამ ადამიანების ქმედება კანონიერი იყო, მათი დაპატიმრება კი – არა. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ასეთი პრეცედენტის არსებობის პირობებში პოლიცია ვეღარ გაბედავდა ჩვენს დაპატიმრებას ისეთივე ქმედების გამო და იმავე ადგილას. დანარჩენები კი მიუთითებდნენ, რომ, თუკი ქალაქი მხოლოდ ამგვარი აქციების დროს პოლიციელთათვის დამატებითი დროის ანაზღაურების დაფინანსებისათვის დაახლოებით მილიონ დოლარს იხდიდა, კიდეც ოცი ან ოცდაათი ათასის გადახდაზეც არ იტყოდა უარს, რათა უკანონო დაპატიმრების საქმეები განხილულიყო. უდავოდ, ყველა შემთხვევაში დაგვაპატიმრებდნენ.

როცა ჯგუფი ერთსულოვანია, გადანყვევტილებას ხმის მიცემით კი არ იღებს, არამედ მუშაობს შეთანხმების მიღწევაზე, ან, უკეთეს შემთხვევაში – ყველასათვის მისაღებ შემოქმედებით სინთეზზე. აქაც ასე იყო. გადამწყვეტი მომენტი დადგა მაშინ, როდესაც მაიკმა, ვეტერანმა ანარქისტმა ბალტიმორიდან, შემდეგი წინადადება წამოაყენა:

„როგორც ვხედავ, ორი ძირითადი პოზიცია არსებობს“, თქვა მან.

„როგორც ვხედავ, ორი ძირითადი პოზიცია არსებობს“, გაიმეორა ხალხმა.

„ან უნდა დავრჩეთ პარკში, ან უოლსტრიტისაკენ უნდა დავიძრაოთ“.

„ან უნდა დავრჩეთ პარკში, ან უოლსტრიტისაკენ უნდა დავიძრაოთ“.

„ჩვენ არ ვიცით, მოგვცემენ თუ არა იქ ღამით დარჩენის საშუალებას“.

„ჩვენ არ ვიცით, მოგვცემენ თუ არა იქ ღამით დარჩენის საშუალებას“.

„აშკარაა, რომ, რაც პოლიციას ყველაზე ნაკლებად სურს, ეს არის ჩვენი წასვლა უოლსტრიტისაკენ“.

„აშკარაა, რომ, რაც პოლიციას ყველაზე ნაკლებად სურს, ეს არის ჩვენი წასვლა უოლსტრიტისაკენ“.

„ასე რომ, მე გთავაზობთ შემდეგს“...

„ასე რომ, მე გთავაზობთ შემდეგს“...

„ჩვენ გავავრცელებთ ხმას, რომ ვაპირებთ მოედნის დაკავებას“...

„ჩვენ გავავრცელებთ ხმას, რომ ვაპირებთ მოედნის დაკავებას“...

„და თუ პოლიცია შეეცდება ჩვენს გაყვანას, მაშინვე გავემართებით უოლსტრიტისაკენ“.

„და თუ პოლიცია შეეცდება ჩვენს გაყვანას, მაშინვე გავემართებით უოლსტრიტისაკენ“.

დაახლოებით ნახევარსაათიანი გაცხარებული დისკუსიის, განმარტებებისა და წინადადებების წამოყენების შემდეგ მოვუწოდეთ ხალხს, მაიკის შემოთავაზება მიგველო. იქ შეკრებილებმა გადანწყიტეს, სწორედ ასე მოქცეულიყვნენ.

მოვლენების შემდგომი განვითარება (სულ რაღაც რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩამოყალიბდა მოძრაობა, რომელიც გავრცელდა რვაას ქალაქში და გამოიწვია რადიკალური ოპოზიციური ჯგუფების მიერ ორგანიზებული მხარდამჭერი აქციები ისეთ შორეულ ადგილებშიც კი, როგორიც ჩინეთია) ყველაზე მეტად იმ ახალგაზრდების დამსახურებაა, რომლებმაც სიმტკიცე გამოიჩინეს და უარი განაცხადეს იქიდან წასვლაზე, მიუხედავად პოლიციის მიერ გატარებული დაუსრულებელი რეპრესიული ღონისძიებებისა (რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, აშკარად უკანონო იყო). ისინი ემსახურებოდა პარკში გაუსაძლისი პირობების შექმნას, რაც მისი ბინადრების დემორალიზებას გამოიწვევდა და აიძულებდა მათ, უარი ეთქვათ თავიანთ პროექტზე – მაგალითად, აქტივისტებს თავსხმა წვიმების დროს ნება არ მისცეს, კომპიუტერებზე ბრეზენტის გადაეფარებინათ. ბოლოს კი ხელკეტებისა და წინაკის აეროზოლის გამოყენებით ტერორისტული აქტები განახორციელეს. მაგრამ შეუპოვარი აქტივისტები მანამდეც გმირულად უძლებდნენ ასეთ პირობებს, 1990-იან

წლებში ტყეების დასაცავად მოწყობილი ბანაკებიდან მოყოლებული, არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელ ბლუმბერგვილის ჩათვლით, მაგრამ მსოფლიო, უბრალოდ, ყურადღებას არ აქცევდა მათ.

არ შემეძლო, საკუთარი თავისთვისაც არ დამესვა შეკითხვა, რომელიც ჩემს ეგვიპტელ მეგობარ დინას ანუხებდა მუბარაქის მთავრობის დამხობის შემდეგ:

რა შეიცვალა ამჯერად? ბოლოს და ბოლოს, ახლა სწორი გზით წავედით?

მეორე

რატომ გაამართლა ჩვენმა ქალისხევაემ?

არც ერთი ჩვენგანი მზად არ იყო იმისთვის, რაც მერე მოხდა. საკმაოდ გვაკვირვებდა ის ფაქტიც, რომ პოლიციამ მაშინვე არ აყარა „ოკუპანტები“. ჩვენ ველოდით, რომ შემუშავებული იქნებოდა შემდეგი გეგმა: ასობით სპეცდანიშნულების რაზმის პოლიციელს, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ ცხენოსნები და ვერტმფრენები, იმავე საღამოს მოგვისევდნენ. ასეთი იყო ხელწერა ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტისა, რომლის ჩვეულებრივი სტრატეგიაა პროტესტის მონაწილეთა დარბევა მრავალრიცხოვანი ძალის გამოყენებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ვიღაცამ გადაწყვეტილება მიიღო, თავი შეეკავებინათ.

ამას, ერთი მხრივ, მივანერდით იმ გარემოებას, რომ სიტუაცია, იურიდიული თვალსაზრისით, ბუნდოვანი იყო: მაშინ, როცა საზოგადოებრივი პარკები ლამის 12 საათზე იკეტება, ზუკოტის პარკი კერძოა და საზოგადოებრივის ერთგვარ ჰიბრიდს წარმოადგენდა, რომლის მფლობელიც საინვესტიციო კომპანია Brookfield Office Properties გახლავთ. ამგვარი „კერძო მფლობელობაში მყოფი საზოგადოებრივი ქონება“ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია ოცდაოთხი საათის განმავლობაში, თუმცა, ჩვენი გამოცდილებით, ამგვარი კანონის არსებობას ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებდნენ, თუკი

ჩვენს დაშლას მაინც გადაწყვეტდნენ; ეს კანონი ერთგვარი ლელვის ფოთლის როლს მაინც ასრულებდა. მაგრამ რაში სჭირდებოდათ თუნდაც ეს ლელვის ფოთოლი?

ამის ნაცვლად, პოლიციის სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, გამუდმებული წვრილმანი შეურაცხყოფა და შევიწროება იყო, რათა ჩვენთვის ცუდი პირობები შეექმნათ, რაც, მათი აზრით, ბოლოს და ბოლოს, წასვლას გვაიძულებდა. „არავითარი კარგები!“ გადაიზარდა აკრძალვაში „არავითარი ბრეზენტები!“, გათიშეს ელექტროენერგია, წაგვართვეს გენერატორები; ნებისმიერი სახის ტერიტორიული გაფართოება უკანონოდ იქნა მიჩნეული. ჩვენ ირგვლივ პნევმატური ჩაქურჩის გამოყენებით იდუმალებით მოცული კონსტრუქციების აგება დაიწყო. პარკში დაძინების გამო არავინ დაუპატიმრებიათ, მაგრამ პროტესტის მონაწილეებს აგრძნობინეს, რომ მათი დაჭერა, შეიძლება ითქვას, ნებისმიერი სხვა მიზეზით შეიძლებოდა: პირველივე დღეს, როდესაც აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფმა დემონსტრაცია გამართა ახლომდებარე ამერიკის ბანკის ფილიალთან და იქ სლოგანებს სკანდირებდა, ორი მონაწილე იმის გამო დააპატიმრეს, რომ მათ ყელზე ბენდენები ეკეთათ – ეს გააკეთეს შენიღბვის შესახებ XVIII საუკუნის დროინდელი საკმაოდ ბუნდოვანი კანონის საფუძველზე, რომელიც კოლონიურ ნიუ-იორკში მიიღეს ირლანდიელი შარაგზის ყაჩაღების წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ არც ერთ მათგანს ბენდენა არ ეკეთა, როგორც ნილაბი, და დაპატიმრებაც აშკარად უკანონო იყო, რასაკვირველია, არავის აინტერესებდა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ, საერთო ჯამში, საკითხს რომელი მხრიდან შეხედავდით. მეორე დღეს პოლიციამ უფრო მეტად ასწია ფსონები – მან კიდევ ორი მონაწილე იმის გამო დააკავა, რომ ისინი ტროტუარზე ცარცით წერდნენ სლოგანებს. როდესაც იქ მყოფებმა პოლიციელს მიუთითეს, რომ ნიუ-იორკში ტროტუარებზე ცარცით წერა უკანონოდ არ ითვლება, მისი პასუხი ასეთი იყო: „ჰო, ვიცი“.

პარკი დღისით კვლავაც ათასობით ადამიანს მასპინძლობდა, ღამით კი იქ ასობით აქტივისტი რჩებოდა. ჩამოყალიბდა ერთგვარი თემი თავისი ბიბლიოთეკით, სამზარეულოთი, უფასო სამედიცინო კლინიკით, პირდაპირი ტრანსლაციის ვიდეოჯგუფებით, ხელოვნებისა და გასართობი ღონისძიებების მომწყობი კომიტეტებით, სანიტარიული ჯგუფებით და ა.შ. ცოტა ხანში

32 სხვადასხვა სახის სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა, დაწყებული ალტერნატიული ვალუტის ჯგუფიდან, დამთავრებული ესპანურენოვანი კოკუსით (ინგლ. caucus – პოლიტიკური პარტიის წევრთა კრება, რომელზეც წამოაყენებენ კანდიდატებს მომავალი არჩევნებისთვის, ან შეიმუშავენ პარტიის კურსს. რედ.). „გენერალური ასამბლეები“ ყოველდღე, დღის სამ საათზე იმართებოდა ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ბანაკები თანდათან მთელ ამერიკაში წარმოიშვა. ისინიც ქმნიდნენ „გენერალურ ასამბლეებს“ და ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ჟესტიკულაციური სიგნალები, ასევე უშუალო დემოკრატიის სხვა სამოქმედო საშუალებები, დაფუძნებული შეთანხმებაზე. სულ რაღაც ერთ-ორ კვირაში, სულ მცირე, ასი, ხოლო ერთ თვეში, სავარაუდოდ, ექვსასი ასეთი „საოკუპაციო“ ბანაკი შეიქმნა: „დაიკავე პორტლენდი“, „დაიკავე ტუსკალუზა“, „დაიკავე ფენიქსი“, „დაიკავე ცინცინატი“, „დაიკავე მონრეალი“.*

„ოკუპანტები“ არამარტო ყოვლად მშვიდობიანი ქმედებებით გამოირჩეოდნენ, თავდაპირველად მათი ტაქტიკა, თუ თავად ბანაკის გაშლას არ ჩავთვლით, უმეტესწილად, მხოლოდ მარშირებით შემოიფარგლებოდა. თუმცა მოგვიანებით მათ გააფართოეს თავიანთი არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მასშტაბები, როცა 2 ოქტომბერს ბრუკლინის ხიდის ცნობილი ბლოკადა მოაწყვეს. აქ კი უკვე საქმეში ჩვეული სისატიკით ჩაერთო ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტი. ეს გასაკვირი არც იყო: მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეები ნიუ-იორკში, ისევე, როგორც დანარჩენ ამერიკაში, სრულიად კანონიერ, მაგრამ ნებართვის გარეშე მოწყობილ ღონისძიებებზეც კი ყოველთვის ელიან, რომ მათ ფიზიკურად გაუსწორდებიან – მაგალითად, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ტროტუარს მიღმა აღმოჩნდებოდა, არათუ დაპატიმრება ელოდა, არამედ შეიძლება იქვე მდგარ მანქანაზე მთელი ძალით მიენარცხებინათ, ან თავი ბეტონზე ერტყმევინებინათ. ხელკეტებს თავისუფლად იყენებდნენ დემონსტრანტების საცემრად, რომლებიც პოლიციელებს წინააღმდეგობას არ უწევდნენ. ეს ყველაფერი სტანდარტული რეჟიმია და ჩვენ, საპროტესტო ღონისძიებების

* დანამდვილებით ძნელია, ითქვას, რამდენად ზუსტია ციფრი 600 – ვფიქრობ, ეს, ფორმალურად, სწორი უნდა იყოს, თუმცა შედარებით მომცრო „ოკუპაციების“ რიცხვი, სავარაუდოდ, მხოლოდ ერთი-ორ ადამიანს მოიცავდა.

ვეტერანები, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავდით. ამ შემთხვევაში უპრეცედენტო იყო ის, რომ ზოგიერთმა წამყვანმა ტელეარხმა, თავდაპირველად კაბელურმა მედიამ, მაგალითად, MSNBC-მა (Microsoft and National Broadcasting Company), მერე კი სხვა ქსელურმა ტელევიზიებმაც შენიშნეს ჩვენი აქცია და საინფორმაციო გადაცემებში სიუჟეტებიც კი მიუძღვნეს მას. ნაწილობრივ, ეს იმის გამო მოხდა, რომ ტელეფონით გადაღებული ვიდეოკადრები, რომლებიც პოლიციის ძალადობას ასახავდა, ინტერნეტში ვირუსული გზით გავრცელდა; ცოტა ხანში ვიდეოკადრებმა დააფიქსირა ტონი ბოლონია, პოლიციელი, რომელმაც წინაკის სპრეი შეასხურა ბარიკადების უკან მოხვედრილ ორ ახალგაზრდა ქალს, რის შემდეგაც ნელი ნაბიჯით, თითქოს სეირნობსო, იქაურობა დატოვა. ის ლამის საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი გახდა. წინათ ასეთი ვირუსული ვიდეო მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ვერასოდეს მოხვდებოდა.

შედეგად, ჩვენი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. უფრო მეტიც, პროფკავშირებმაც დაგვიჭირეს მხარი* და შეხვედრებიც უფრო მრავალრიცხოვანი გახდა – დღის განმავლობაში ზუკოტის პარკში მიტინგებსა და დემონსტრაციებზე შეკრებილ ადამიანთა რიცხვი რამდენიმე ათასიდან ათობით ათასზე ავიდა. მთელ ამერიკაში ათასობით ადამიანი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მოექდებნა გზა ჩვენს დასახმარებლად; მოგვდიოდა უფასო პიცა წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით. ოკუპანტთა სოციალური ღიაპაზონიც გაფართოვდა: ხალხის მასა, რომელსაც თავდაპირველად თითქმის სულ თეთრკანიანები შეადგენდნენ, მალე უფრო მრავალფეროვანი გახდა და უკვე რამდენიმე კვირაში ჩვენს დემონსტრაციებს შემოუერთდნენ როგორც აფრო-ამერიკელი პენსიონერები, ისე ომის ვეტერანები ლათინური ამერიკიდან. ისინი დრედებიან თინეიჯერებთან ერთად საჭმელს დაატარებდნენ. შედგა ასევე სატელიტური „გენერალური ასამბლეაც“ ესპანურ ენაზე. უფრო მეტიც, უბრალო ნიუ-იორკელებმა, რომელთა ათასობით წარმო-

* პროფკავშირების მხარდაჭერა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ყოფილიყო განპირობებული მედიის ყურადღებით – მანამდე, ზაფხულის განმავლობაში, ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი შედგა შედარებით რადიკალურად განწყობილი პროფკავშირების აქტივისტთა ალიანსის შესაქმნელად, მაგრამ პროფკავშირების ლიდერებმა გადაწყვიტეს, 17 სექტემბრის ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

მადგენელი საბოლოოდ, სულ მცირე, ცნობისმოყვარეობის გამო მაინც გვესტუმრა, ძალიან დიდი მხარდაჭერა გამოხატეს: ერთ-ერთი გამოკითხვის თანახმად, მათი უმრავლესობა არათუ ემხრობოდა ამ პროტესტს, ქალაქის მოსახლეობის 86% მხარს უჭერდა პროტესტის მონაწილეთა უფლებას, შეენარჩუნებინათ ბანაკი. მთელ ქვეყანაში, ამერიკის თითქმის ყველა ქალაქში, მოქალაქეთა არაერთგვაროვანმა ჯგუფებმა კარვების გაშლა დაიწყეს; შუახნის კლერკები ყურადღებით უსმენდნენ პანკ როკერებსა და ქადაგად დავარდნილ ქალებს, რომლებიც ლექციებს კითხულობდნენ კონსენსუსის მიღწევისა და ფასილიტაციის ხელოვნებაზე, ან კამათობდნენ იმაზე, თუ რა ფორმალური განსხვავება იყო სამოქალაქო დაუმორჩილებლობასა და უშუალო მოქმედებას შორის, ანდა საუბრობდნენ სანიტარიის ორგანიზების ჰორიზონტალურ გზებზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველად, რაც თავი გვახსოვდა, ამერიკაში წარმოიშვა ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობა ეკონომიკური სამართლიანობისათვის. უფრო მეტიც, ოცნება კონტამინაციონიზმზე, დემოკრატიის ინფექციისებურად გავრცელებაზე, ჩვენდა გასაოცრად, ახდენას იწყებდა. როგორ?

ვფიქრობ, საკმაოდ დრო გავიდა საიმისოდ, რომ უკვე შეგვიძლია, ამ კითხვის ზოგიერთი პასუხის მთლიანობაში თავმოყრა დავიწყოთ.

შეკითხვა N1

რატომ აისახა Occupy Wall Street ამერიკულ მედიაში ასე განსხვავებულად, თითქმის ყველა სხვა მანამდე მემარცხენე საპროტესტო მოძრაობებთან შედარებით (რაც 1960 წლიდან დღემდე განხორციელებულა)?

დიდი დისკუსია გამოიწვია იმან, თუ რატომ მოექიდნენ ნაციონალური მედიასაშუალებები **Occupy**-ს ასე განსხვავებულად, მანამდე საპროტესტო ღონისძიებებთან შედარებით (თუ გადავხედავთ ნებისმიერს, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე). განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო

სოციალურ მედიაში ასახულ ამბებს, ან შეიძლება ეს სულაც ბალანსის ხელშესახები საჭიროებით იყო გამოწვეული, რათა სულ რამდენიმე წლის წინ შედარებით მცირერიცხოვანი „ჩაის სმის მოძრაობის“ მიმართ გამოვლენილი გადაჭარბებული ყურადღების კომპენსირება მოეხდინათ. ეჭვგარეშეა, რომ ამ ფაქტორებმა გარკვეული როლი ითამაშა; და მაინც, მედიას Occupy-ს საპროტესტო აქციები თავდაპირველად თითქოს სერიოზულად არც მიუღია, რასაც ვერ ვიტყვით მის მიერ 1999 წელს „გლობალიზაციის საწინააღმდეგო მოძრაობის“ შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე: „დაბნეული ბავშვების თავყრილობა, რომელსაც გარკვეული წარმოდგენაც კი არა აქვს, რისთვის იბრძვის“. The New York Times, გაზეთი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ისტორიულ მოვლენათა აღწერაზე, „ოკუპაციის“ შესახებ პირველი ხუთი დღის განმავლობაში აბსოლუტურად არაფერს წერდა. მეექვსე დღეს კი მან „დედაქალაქის“ განყოფილებაში გამოაქვეყნა გაზეთის შტატიანი კორესპონდენტის, ჯინია ბელაფანტეს მონინავე, სახელწოდებით: „ნადირობა უოლსტრიტზე, როცა სამიზნე სწორად არ გაქვს შერჩეული“. ჩვენს აქციას ავტორი ახალ ამბად ასაღებდა. ის სასაცილოდ იგდებდა მოძრაობას, როგორც, უბრალოდ, პროგრესივიზმის პანტომიმურ ფარსს, რომელსაც გამოკვეთილი მიზანი არ ჰქონდა.

და მაინც, მედიის საბოლოო გადაწყვეტილება, სერიოზულად მოჰკიდებოდა საპროტესტო აქციებს, კარდინალური მნიშვნელობისა იყო. Occupy Wall Street ალბათ პირველია 1950-იანი წლების სამოქალაქო უფლებების დამცველი მოძრაობის შემდეგ, რომელიც შეფასდა, როგორც წარმატება ამერიკაში განდისეული ტაქტიკის დანერგვის საქმეში. ესაა მოდელი, რომელიც დამოკიდებულია მედიის მხრიდან გარკვეულ თანაგრძნობაზე. განდისეული არაძალადობრიობა გულისხმობს გასაოცარი მორალური კონტრასტის შექმნას: ის ბოლომდე აშიშვლებს პოლიტიკური სისტემისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ძალადობას იმის ჩვენებით, რომ თვით მშვიდობიანი (არაძალადობრივი) იდეალისტების ჯგუფის პირისპირ მდგარი „წესრიგის დამცველი ძალები“ უწყყმანოდ მიმართავენ დაუნდობელ ფიზიკურ ანგარიშსწორებას სტატუს-კვოს დასაცავად. ეს კონტრასტი კი, უდავოდ, მხოლოდ მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუკი გავრცელდება ინფორმაცია იმის

შესახებ, რაც ხდება. სწორედ მედიის პასიურობის გამო წარსულში განდის ტაქტიკა სრულიად უშედეგო აღმოჩნდა აშშ-ში. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, წამყვანი ამერიკული მედიასაშუალებები უარს აცხადებდნენ, რაიმე სახის პროტესტის შესახებ ინფორმაცია ისეთი სახით გაევრცელებინათ, რომელიც ხალხს აფიქრებინებდა, რომ ამერიკის პოლიცია, ასრულებდა რა ბრძანებებს, მონაწილეობდა „ძალადობაში“ – მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას აკეთებდა ის.*

ყოველივე ამის ცხადი მაგალითი იყო, თუ როგორ მოექცნენ „ხეზე მსხდომებს“ და მათ მომხრეებს, რომლებიც 1990-იან წლებში წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთით მრავალწლოვან ტყეებს იცავდნენ. აქტივისტებმა განდისეულ კლასიკურ არაძალადობრივ კამპანიას მიმართეს – ისხდნენ ხეებზე; მშენებლობის მესვეურები კი რისკზე მიდიოდნენ და ჭრიდნენ ამ ხეებს. პროტესტის მონაწილეები იძულებული ხდებოდნენ, საკუთარი „შესაძლებლობები შეეზღუდათ“ – ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი ერთმანეთს ჯაჭვით გადაებმებოდნენ, ან ბუღდოზერზე, ანდა რაიმე სხვა მოწყობილობაზე მიეჯაჭვებოდნენ, ისე, რომ მათი ადგილიდან დაძვრა ძალიან ძნელი იყო, თანაც ამ დროს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდათ. როდესაც ერთი ხეზე მჯდომი მოკლეს და პოლიციამ უარი თქვა მკვლელობის გამოძიების დაწყებაზე, აქტივისტები ირგვლივ შემოერთყნენ მკვლელობის ადგილს, რათა მტკიცებულებების განადგურებისათვის ხელი შეეშალათ. ამის პასუხად პოლიციელებმა ბამბის ტამპონებზე დაასხურეს კაიენის (ქალაქი, საფრაგეთის გვიანის ადმინისტრაციული ცენტრი. რედ.) წინაკის კონცენტრატი (რომელიც ასევე წინაკის სპრეის სახელითაა ცნობილი) და აქტივისტებს პირდაპირ თვალის გუგებზე წაუსვეს იმ დოზით, რომ მაქსიმალური ფიზიკური ტკივილი გამოეწვია. მაგრამ, როგორც ჩანს, პაციფისტთა წამება და მკვლელობა საკმარისი არ აღმოჩნდა ამერიკული მედიის დასარწმუნებლად, რომ პოლიციელთა მოქმედება ნამდვილად შეუსა-

* მართლაც, როგორც აღვნიშნე, თითქმის წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მათ ეს გაეკეთებინათ, რადგან ამერიკელი ჟურნალისტები სიტყვა „ძალადობას“ განმარტავენ, როგორც „უფლებამოსილების გარეშე ძალის გამოყენებას“. აქვე შეიძლება დავამატოთ, რომ განდიმ წარმატებას ნაწილობრივ იმიტომ მიაღწია, რომ მისი სკოლის დროინდელი მეგობარი უკვე ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი იყო.

ბამო იყო; ადგილობრივმა სასამართლოებმაც მიუთითეს, რომ თვალეზში წინაკის კონცენტრატის შესხურება მისაღები ტაქტიკა გახლდათ. ის წინააღმდეგობრიობა, რომელიც განდისეული ტაქტიკით უნდა გამოაშკარავებულიყო, მასმედიაში გაშუქებისა და იურიდიული რეაგირების გარეშე, უბრალოდ, დაიკარგა. აქტივისტებს ხოცავდნენ და აწამებდნენ, მაგრამ განდისეული მიზანი – „საზოგადოების შეგნების ამაღლება“ მიღწეული ვერ იქნა (რამენარი ფორმით მაინც). მაშასადამე, ისევ განდის სიტყვებით რომ ვთქვათ, პროტესტი „ჩავარდა“. მომდევნო წელს სხვა აქტივისტებმა დაგეგმეს „საკუთარი შესაძლებლობების შეზღუდვის“ კამპანია სიეტლში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეხვედრების ბლოკადის განხორციელების მიზნით. ტყის დაცვის კამპანიის ვეტერანებმა გააფრთხილეს ისინი (როგორც გაირკვა, მართლებიც აღმოჩნდნენ), რომ პოლიცია, უბრალოდ, იერიშს მიიტანდა მათზე და აწამებდა, ვინც მიჯაჭვული იქნებოდა, იქ მყოფი მედია კი საკუთარ არსს ბოლომდე გამოავლენდა. და მართლაც ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. თავის მხრივ, ტყის დამცველ აქტივისტთა დიდმა ნაწილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ცნობილი „შავი ბლოკის“ შექმნაში, რომელმაც, მას შემდეგ, რაც ეს ნაწინასწარმეტყველები შეტევები დაიწყო, კორპორაციების ოფისების ფანჯრების ჩამსხვრევის კარგად გათვლილი კამპანია ჩაატარა – ქმედება, რომელიც მედიამ შემდგომში პოლიციის მიერ არაძალადობრივ აქტივისტებზე ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, ცრემლსადენი გაზითა და წინაკის სპრეის გამოყენებით თავდასხმის გასამართლებლად გამოიყენა. „შავი ბლოკის“ მონაწილეებმა მაშინვე მიუთითეს, რომ მედია მაინც ყველა შემთხვევაში მოუძებნიდა გამართლებას პოლიციელთა ქმედებას. რამდენიმე ფანჯრის ჩამსხვრევას არავინ დაუშავებია, საკითხისთვის ყურადღების მისაქცევად კი საკმაოდ წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა.

ასეთი იყო მდგომარეობა 9/11-ის ინციდენტამდეც კი, რომლის შემდეგაც პოლიციის მიერ არაძალადობრივი პროტესტის მონაწილეებზე თავდასხმებმა კიდევ უფრო სისტემატური და ინტენსიური სახე მიიღო, როგორც, მაგალითად, ნიუ-იორკში, New School-ის დაკავების დროს და მრავალ სხვა შემთხვევაშიც. თუმცა Occupy-ის შეკრებების დაგეგმვისას ჩვენ მაინც განდისეული

მიდგომის გამოყენება გადავწყვიტეთ. და ამჯერად ამან როგორ-
ღაც გაამართლა.

საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ
შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი სოციალური მედიის ზრ-
დამ შეასრულა: მაშინ, როცა სიეტლში აქტივისტები ძალიან
ხშირად იყენებდნენ ინტერნეტტექნოლოგიების საშუალებით
გავრცელებულ პარტიზანულ რეპორტაჟებს, 2011 წლისთვის
სატელეფონო კამერებმა, Twitter-მა, Facebook-მა და YouTube-
მა ყველგან შეაღწია, რამაც უზრუნველყო ამგვარი ფოტოების,
სიუჟეტებისა და, ზოგადად, ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება
მილიონობით ადამიანისათვის. ტონი ბოლონიას ქმედება,
როდესაც მან დრო იხელთა და ბარიკადებს მიღმა მიმწყვდეული
ორი ახალგაზრდა ქალის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყ-
ენა, მთელი ქვეყნის მასშტაბით უსწრაფესად აისახა ეკრანებზე
(უამრავი სატელეფონო კამერით გადაღებული და ინტერნეტში
ატვირთული ვიდეოებიდან ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარუ-
ლია, რომელიც მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ნახა). რასაკ-
ვირველია, ძნელია, უარყო, რომ სოციალურმა მედიამ ამ საქმე-
ში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, მაგრამ ეს მაინც ვერ ხსნის,
თუ რატომ დათმეს ჩვეული ამბლუა ძირითადად საინფორმაციო
საშუალებებმა, ანუ რატომ არ წარმოადგინეს მხოლოდ პოლი-
ციის ოფიციალური პოზიცია.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი შეასრუ-
ლა საერთაშორისო კონტექსტმა. ინტერნეტის ფუნქციონირების
კიდევ ერთი შედეგი ის გახლავთ, რომ აშშ აღარ არის ისეთი
განცალკევებული კუნძული, როგორიც ის მანამდე იყო. ამ პრო-
ტესტთან მიმართებით მედიის საერთაშორისო გამოხმაურება
ამერიკული ვერსიისაგან თავიდანვე მკვეთრად განსხვავდებოდა.
საერთაშორისო პრესაში პროტესტის მონაწილეთა იგნორირების,
უგულებელყოფის ან განტევების ვაცად წარმოჩენის არავითარი
მცდელობა არ ყოფილა. ინგლისურენოვანი სამყაროს მედი-
ასაშუალებები, მაგალითად, The Guardian ინგლისში, Occupy-ს
მონაწილეთა მოქმედების წინაპირობებისა და მისწრაფებების
შესახებ თითქმის პირველივე დღიდანვე დეტალურ სიუჟეტებს
აქვეყნებდნენ. კატარის სატელევიზიო სატელევიზიო ქსელის,
Al Jazeera-ს ჟურნალისტები სწრაფად გამოჩნდნენ მოქმედების

ადგილზე, რათა ნიუ-იორკშიც იგივე როლი შეესრულებინათ, რაც ქაიროსა და დამასკოში. ეს ის ტელევიზიაა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „არაბული გაზაფხულის“ დადგომაში, რადგან თავისი ეთერით უშვებდა რიგითი აქტივისტების მიერ სოციალურ მედიაში გავრცელებულ ვიდეოებსა და სხვა მტკიცებულებებს, რომლებიც სახელმწიფოს ძალადობის ფაქტებს ასახავდა (ისინი საყოველთაო მსჯელობის საგანს წარმოადგენდა). ამას მოჰყვა სტატიები გაზეთებში, თითქმის ყველგან, გარდა ამერიკისა. ყოველივე ამან კი, თავის მხრივ, არამარტო ხელი შეუწყო მსგავსი „ოკუპაციების“ ტალღის აგორებას ისეთ შორეულ ადგილებშიც კი, როგორიცაა ბაია (**Bahia – ბრაზილიის ერთ-ერთი შტატი. რედ.**) ან კვაზულუ-ნატალი (**KwaZulu Natal – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პროვინცია. რედ.**); ასევე ბიძგი მისცა თანადგომის გამომხატველი საპროტესტო აქციების ჩატარებას ისეთ ნაკლებად მოსალოდნელ ადგილებში, როგორიც ჩინეთია. ისინი მოაწყვეს მემარცხენე სახალხო ჯგუფებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეგობრულ პოლიტიკას უოლსტრიტის მიმართ. მათ მიმდინარე მოვლენების შესახებ უცხოეთის ახალი ამბების ინტერნეტსამსახურების მეშვეობით შეიტყვეს.

2 ოქტომბერს, ბრუკლინის ხიდის ბლოკადის დღეს, OWS-მა ორმოცდაათი ჩინელი ინტელექტუალისა და აქტივისტის მიერ ხელმოწერილი წერილი მიიღო:

„უოლსტრიტის რევოლუციის“ ვულკანისებური ამოფრქვევა მსოფლიოს ფინანსური იმპერიის გულში გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 99% ჩაგრული და ექსპლუატირებულია – მნიშვნელობა არა აქვს, განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრობენ ისინი თუ განვითარებადში. მთელი მსოფლიოს ხალხი ხედავს, როგორ ითვისებენ მის სიმდიდრეს და ართმევენ უფლებებს. ეკონომიკური პოლარიზაცია დღეს ყველა ჩვენგანისათვის საერთო საფრთხეს წარმოადგენს. სახალხო და ელიტარულ მმართველობებს შორის კონფლიქტი ყველა ქვეყანაში თვალსაჩინოა. თუმცა დღესდღეობით სახალხო დემოკრატიული რევოლუცია აწყდება რეპრესიებს არა მარტო საკუთარი მმართველი კლასის მხრიდან, არამედ მსოფლიო ელიტის მხრიდანაც, რომელიც გლობალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა. „უოლსტრიტის რევოლუციას“

გაუსწორდა არა მხოლოდ აშშ-ის პოლიცია, ის ჩინეთის ელიტის მიერ ორგანიზებული მედიაბლოკადისგანაც ზარალდება...

მეამბოხე სულის ნაპერწკლები ყველა ჩვენგანშია მიმოფანტული და მისი აალებისთვის ნიავის ერთი ნამოქროლებაც კი საკმარისი იქნება. კვლავ დადგა სახალხო დემოკრატიის უდიდესი ერა, რომელმაც ისტორია უნდა შეცვალოს!

ამგვარ ენთუზიაზმს ერთადერთი სარწმუნო ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ – დისიდენტმა ჩინელმა ინტელექტუალებმა, ისევე, როგორც ხალხის უმეტესობამ მთელ მსოფლიოში, კარგად დაინახეს, თუ რა მოხდა ზუგოტის პარკში. ეს იყო ნაწილი წინააღმდეგობის იმ ტალღისა, რომელმაც მთელ მსოფლიოს გადაუარა. რასაკვირველია, გლობალურმა ფინანსურმა აპარატმა და ძალაუფლების მთელმა სისტემამ, რომელსაც ეს აპარატი ეფუძნებოდა, ტორტმანი დაიწყო 2007 წლიდან, როცა ისინი კოლაფსისმაგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველა ძლიერ საპასუხო სახალხო რეაქციას ელოდა. იყო თუ არა ტუნისისა და ეგვიპტის ამბოხებები ამის დასაწყისი? თუ ისინი მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონული მნიშვნელობის მოვლენებად უნდა შეფასებულიყო? შემდეგ საპროტესტო გამოსვლები სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. როდესაც ტალღამ „მსოფლიოს ფინანსური იმპერიის შუაგულს“ დაარტყა, უკვე აღარავინ უარყოფდა, რომ რაღაც ეპოქალური მნიშვნელობის ამბები ხდებოდა.*

საერთაშორისო მღელვარება მყისიერად აისახებოდა სოციალურ მედიაში, რის გამოც მითი აშშ-ის მასმედიის შესახებ შეიძლება, თვალის დახამხამებაში საპნის ბუშტივით გამსკდარიყო. მაგრამ ეს მიზეზი საკმარისი არაა იმის ასახსნელად, თუ რამ გამოიწვია სინამდვილეში მისი ასეთი შემობრუნება: მაგალითად, რატომ დაიწყო CNN-მა, ბოლოს და ბოლოს, „ოკუპაციის“ შესახებ სიუჟეტების გაშვება ახალი ამბების მთავარ ბლოკში? აშშ-ის მედიათმცემი ხომ საქვეყნოდ შეირცხვინა თავი იმით, რომ „დაასკვნა“:

* მახსოვს, 2000 წელს ერთი ტაივანელი ქალი იხსენებდა, თუ როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა თვალს ადევნებდა წინა წელს სიეტლში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეხვედრების ჩაშლის მიზნით ორგანიზებულ საპროტესტო აქციას. „ყოველთვის მივიჩნევდი, რომ ამერიკაში უნდა ყოფილიყვნენ წესიერი ადამიანები, რომლებიც შეეცდებოდნენ, ებრძოლათ იმის წინააღმდეგ, რასაც მათი ქვეყანა დანარჩენ მსოფლიოს უკეთებს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთები აუცილებლად იქნებოდნენ. მაგრამ ჩემი თვალთმცემი ისინი იქამდე არასოდეს მენახა“.

ჩრდილოეთ ამერიკის მოვლენები, რომლებსაც თითქმის ყველა ადამიანი მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად მიიჩნევს, თურმე თავად ამერიკელებისათვის ნაკლებად საინტერესო ყოფილა. ეს გარკვეულწილად სიმართლესაც შეესაბამება, როცა საქმე მემარცხენეებს ეხება. მუმიია აბუ-ჯამალის სახელი ყველასათვის ნაცნობია საფრანგეთში, მაგრამ მას ნაკლებად იცნობენ აშშ-ში (მუმიია აბუ-ჯამალი (ნამდვილი სახელია უესლი კუკი, დაიბ. 1954 წელს) – აფრო-ამერიკელი პოლიტიკური აქტივისტი, „შავი პანტერების პარტიის“ წევრი, რომელიც შავკანიანი მოსახლეობის უფლებებისათვის იბრძოდა. 1981 წლიდან სამუდამო პატიმრობაშია მკვლელობის ბრალდებით. რედ.). კიდევ უფრო გასაკვირია ის ფაქტი, რომ ნოამ ჩომსკის პოლიტიკური ნაშრომები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წამყვან გაზეთებსა და ჟურნალებში განიხილება, ამერიკის გარდა (აბრამ ნოამ ჩომსკი (დაიბ. 1928 წ.) – ამერიკელი ლინგვისტი, პოლიტიკური პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და თეორეტიკოსი; ცნობილია თავისი რადიკალურ-მემარცხენე შეხედულებებით. რედ.).

ოცი წლის წინ (და ჩნდება ეჭვი, რომ, სავარაუდოდ, მედიაშეცდომით ასე დაასკვნა) ზემოთ აღნიშნული თემა ამერიკაში ალბათ ყველასათვის სულერთი იქნებოდა. ვფიქრობ, როდესაც მომავალში Occupy Wall Street-ის ისტორია დაინერება, ის ყურადღება, რომელიც მან მედიის მხრიდან მოიპოვა, მეტწილად ალბათ ცოტა ხნის წინ „ჩაის სმის მოძრაობის“ მემარჯვენე პოპულისტების მიმართ გამოვლენილი უპრეცედენტო ყურადღების ლოგიკურ გაგრძელებად ჩაითვლება. მედიის მიერ „ჩაის სმის მოძრაობის“ მასობრივად გაშუქების შემდეგ ალბათ გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ მინიმალური ძალისხმევა მაინც იყო საჭირო ბალანსის მისაღწევად. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც მედიის მიერ მოვლენების ობიექტურ ასახვას შეუწყო ხელი, ისეთი ჭეშმარიტად მემარცხენე-ცენტრისტული მედიის არსებობა გახლდათ, როგორიც იყო, მაგალითად, MSNBC. ამ ტიპის მედიასაშუალებებს სურდათ, ჩასჭიდებოდნენ Occupy Wall Street-ს, რამდენადაც ფიქრობდნენ, რომ ის შესაძლოა, „ჩაის სმის მოძრაობის“ მემარცხენე ფრთისმაგვარ პარტიაში გადაზრდილიყო. ეს უკანასკნელი კი პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენს, იღებს დაფინანსებას, ჰყავს კანდიდატები და კანონით დადგენილი გეგმის

შესაბამისად მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, ამით შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოება: როგორც კი სრულიად ნათელი გახდა, რომ მოძრაობა ამ მიმართულებით წასვლას არ აპირებდა, მედიის მხრიდან დაინტერესება ისევე უეცრად გაქრა, როგორც გაჩნდა.

და მაინც, ვერც ერთი ზემოთ მოყვანილი არგუმენტი ვერ ახსნის, როგორ გავრცელდა მოძრაობა ასე სწრაფად ამერიკის ტერიტორიაზე (ნამყვან მედიასაშუალებებში მის შესახებ სიუჟეტების გაშვებამდეც კი), მათ შორის ისეთ ადგილებშიც, სადაც Al Jazeera არც კი მაუწყებლობს.

შეკითხვა 2

რატომ გავრცელდა მოძრაობა ასე სწრაფად მთელ ამერიკაში?

„ოკუპაციის“ ადრეულ პერიოდში მარისა ჰოლმისი ლოჯისტიკის საკითხებისა და ფასილიტაციის ტრენინგის ორგანიზებაში მონაწილეობდა, ხოლო თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ბანაკის თანამებრძოლებთან ინდივიდუალური ვიდეოინტერვიუების ჩანერას ანდომებდა. მას სულ ერთი და იმავე ისტორიის მოსმენა უწევდა: „ყველაფერი გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა! ბევრს ვმუშაობდი, ბევრითად ვსწავლობდი, კოლეჯში მოვეწყვე. ახლა უმუშევარი ვარ, თანაც ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე და 20 000 დოლარიდან 50 000 დოლარამდე ვალით“. ბანაკში მყოფთა ნაწილი მყარი საშუალო ფენის ოჯახიდან იყო, უფრო მეტნი კი შედარებით ხელმოკლე ოჯახების შვილები იყვნენ, რომლებმაც ნიჭისა და მიზანდასახულობის დახმარებით გაიკვლიეს გზა კოლეჯისკენ. ისინი ახლა ვალში იყვნენ სწორედ იმ ფინანსური ინდუსტრიის წინაშე, რომელმაც მსოფლიოს ეკონომიკა დაანგრია. შესაბამისად, ისინი მოხვდნენ შრომის ბაზარზე, რომელიც სამუშაო ადგილებისაგან თითქმის დაცლილი იყო. ამგვარი ისტორიები პირადად მე ძალიან მხვდებოდა გულზე, რადგან ზაფხულის უმეტესი ნაწილი ვალის ისტორიის შესახებ ლექციების კითხვაში გავატარე. ვცდილობდი, ჩემი, როგორც ავ-

ტორის, ცხოვრება განცალკევებული ყოფილიყო ჩემი, როგორც აქტივისტის, ცხოვრებისაგან, მაგრამ ეს უფრო და უფრო რთული ხდებოდა, რადგან ყოველთვის, როცა ახალგაზრდების მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გამოსვლას დავასრულებდი, ბოლოს რამდენიმე მათგანი აუცილებლად მოდიოდა ჩემთან და სტუდენტური სესხების სანინალმდეგო მოძრაობის წამოწყების პერსპექტივების შესახებ მისვამდა კითხვას. ჩემი ნაშრომის ერთ-ერთი თემა ის მძაფრი ემოციებია, რომლებსაც იწვევს ვალი გამსესხებელში, უფრო მეტად კი – მსესხებელში: სირცხვილის, დამცირებისა და აგრესიული აღშფოთების შეგრძნება იმის გამო, რომ, ფაქტობრივად, გეუბნებიან: შენ წაგებული ხარ იმ თამაშში, რომელიც შენთვის არავის დაუძალებია. რაღა თქმა უნდა, ნებისმიერი, ვისაც არ სურს, მთელი ცხოვრება ჭურჭლის მრეცხავად ან გამყიდველად იმუშაოს – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰქონდეს ისეთი სამსახური, რომელსაც არავითარი სიკეთე არ მოაქვს მისთვის; როცა იცის, რომ მოულოდნელმა ავადმყოფობამ მას შეიძლება მთელი ცხოვრება დაუნგრიოს – მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამერიკაში, უმაღლესი განათლების გარდა, სხვა არჩევანი არა აქვს. ეს გულისხმობს, რომ ცხოვრებას ვალით იწყებ, რაც, ნიშნავს, რომ ისე გეპყრობიან, თითქოს ყველაფერი უკვე წაგებული გაქვს.

ზოგიერთი ისტორია, რომლებსაც წიგნის ტურის დროს ვისმენდი, გამორჩეული იყო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ნაღვლიანი ახალგაზრდა ქალი. წიგნის მაღაზიაში (რომელშიც რადიკალი ავტორების წიგნები იყიდებოდა) სიტყვით გამოსვლა რომ დავასრულე, ის მოვიდა ჩემთან და თავისი ცხოვრების ისტორია გამაცნო: მიუხედავად იმისა, რომ ხელმოკლე ოჯახიდან იყო, მან მიაღწია რენესანსის ლიტერატურის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს Ivy League კოლეჯში (იგულისხმება დარტმუთის კოლეჯი ქ. ჰანოვერში, ნიუ-ჰემპშირის შტატში. ის ერთ-ერთია იმ რვა უძველეს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელს შორის, რომლებიც ე.წ. „სუროს ლიგაში“ (Ivy League) ერთიანდება. მათგან შვიდს უნივერსიტეტის სტატუსი აქვს, დარტმუთის სასწავლებელი კი უმაღლესი საფეხურის კოლეჯია, ანუ senior college. რედ.). და რა მიიღო შედეგად? მას 80 000 დოლარი ვალი ჰქონდა, სამსახურის ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავდა, გარდა იმისა,

რაიმე დროებით სამუშაოს თუ იშოვიდა, რომლის ანაზღაურებაც ბინის ქირის გადასახდელადაც კი არ ეყოფოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სესხის დასაფარავი ყოველთვიური თანხის შეტანაზე. „და იცით, რის გაკეთება მიხდება?“ მკითხა მან, „ესკორტ-მომსახურებას ვუნევ კლიენტებს (ესკორტ-მომსახურება გულისხმობს სააგენტოში დაქირავებული ქალის თანხლებას სხვადასხვა სახის შეხვედრაზე, დასვენებისას ან სხვა ადგილებში, რაც ემსახურება კლიენტისთვის შესაბამისი იმიჯის შექმნას. ხშირ შემთხვევაში ის ფარული პროსტიტუციის ერთგვარ შირმას წარმოადგენს. რედ.). ეს, შეიძლება ითქვას, ერთადერთი საშუალებაა, იმდენი ფული ვიშოვო, იმედი ვიქონიო, რომ ამ მდგომარეობას თავს დავალწევ. ცუდად არ გამიგოთ, წუთითაც არ ვნანობ იმ წლებს, რომლებიც მაგისტრატურის კურსზე გავატარე, მაგრამ, დამეთანხმებით, ცოტათი პარადოქსული მდგომარეობაა“.

„დიახ“, ვუთხარი მე, „რომ აღარაფერი ვთქვათ მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების ფუჭად ხარჯვაზე“.

ამ ქალის ამბავმა ალბათ ჩემზე ასე იმიტომ იმოქმედა, რომ ის ჩემს ცხოვრებას დაუეკავშირე. ხშირად მიფიქრია, რომ მე წარმოვადგენ ამერიკის მუშათა კლასის იმ უკანასკნელ თაობას, რომელმაც მართლა ყველაფერი გააკეთა, რომ აკადემიურ ელიტაში მოხვედრილიყო, მხოლოდ და მხოლოდ დაუღალავი შრომისა და ინტელექტუალური მიღწევების ფასად (ჩემს შემთხვევაშიც, ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა). ამ ქალის ისტორიამ ჩემთვის ცხადყო, რომ ვალი არა მხოლოდ უდიდეს მატერიალურ გაჭირვებას იწვევს, არამედ ზნეობრივ დეგრადაციასაც. ბოლოს და ბოლოს, ყველამ კარგად ვიცით, რა ტიპის ხალხი სარგებლობს ხშირად ძვირად ღირებული ესკორტ-მომსახურებით ნიუ-იორკში. 2008 წლის შემდეგ იყო მომენტი, როდესაც უოლსტრიტის ბინადართა დანახარჯები კოკაინსა და სექსუალურ მომსახურებაზე თითქოსდა როგორღაც უნდა შემცირებულიყო; მაგრამ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნილებებზე დანახარჯებმა ისევ სწრაფად და მკვეთრად იმატა, როგორც მანქანებსა და ძვირფასეულობაზე. ეს ქალი, არსებითად, იმ ზომამდე მივიდა, რომ ვალის გადასახდელად ერთადერთი გზა დარჩა: უნდა დაეკმაყოფილებინა სწორედ იმ ადამიანების სექსუალური ფანტაზიები, რომლებმაც მას

ფული „ასესხეს“; რომელთა ბანკებიც, სიმართლე თუ გინდათ, ამ ქალის ოჯახის მიერ გადასახადების სახით გაცემულმა დოლარებმა იხსნა ფინანსური კრიზისიდან. მეტიც, ეს კონკრეტული შემთხვევა უჩვეულოდ დრამატული მაგალითია მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული ტენდენციის ფონზე. ვალის გამო ცენტის გარეშე დარჩენილი სასონარკვეთილი ქალებისათვის, რომლებიც კოლეჯებში სწავლობენ (და არ დაგავიწყდეთ, რომ დღესდღეობით ამერიკაში უმაღლესი განათლების მაძიებელთა უმეტესობას ქალები წარმოადგენენ), სხეულის გაყიდვა უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენს, რადგან ისინი სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ, რომ დიპლომი ან ესა თუ ის სამეცნიერო ხარისხი მიიღონ. და ასეთი ადამიანების რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. არსებობს ვებგვერდები, რომლებიც სპეციალიზებულია ასაკოვანი მდიდარი „მამილოებისთვის“ იმ გოგონების შერჩევაზე, რომლებიც სტუდენტური და სასკოლო სესხების გადასახდელად დახმარებას ეძებენ. ერთ-ერთი მათგანის მენეჯერის შეფასებით, მის საიტზე დარეგისტრირებულია დაახლოებით 280 000 სტუდენტი გოგონა. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია პროფესიონალის მსურველი. უმეტესობა ჯანდაცვაში, განათლებასა და სოციალურ მომსახურებაში მოკრძალებული კარიერის შექმნას ესწრაფვის.³

ჩემს მეხსიერებაში შემონახული სწორედ ასეთი ამბების საფუძველზე დავწერე სტატია The Guardian-ისათვის, იმის თაობაზე, თუ რატომ გავრცელდა Occupy-ს მოძრაობა ასე სწრაფად ამერიკაში. ეს სტატია, ჩემი ჩანაფიქრით, ნაწილობრივ აღწერითი ხასიათის, ნაწილობრივ კი პროგნოზების შემცველი უნდა ყოფილიყო:

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ამერიკელთა ახალი თაობის შეუპოვარ თვითდამკვიდრებას, თაობისა, რომელიც მოუთმენლად ელის, როდის დაასრულებს განათლებას, და ამ დროს მას არც რაიმე სახის სამუშაოს პოვნის გარანტია აქვს და არც მომავალი, თანაც კისერზე უზარმაზარი ვალი ადევს, რომელსაც არავინ შეარჩენს. რამდენადაც ვიცი, მათი უმეტესობა მუშების ან სხვა ტიპის მწირი მატერიალური შესაძლებლობების მქონე ოჯახებიდანაა; ესენი არიან ბავშვები, რომლებმაც გააკეთეს ის, რაც მიზნად დაისახეს – ისწავლეს, ჩააბარეს კოლეჯში და ახლა არამარტო ისჯებიან ამის გამო, არამედ დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი არიან – ისინი შეეჯახნენ ცხოვრებას, რომელიც მათ

ეპყრობა, როგორც ვალის არაკეთილსინდისიერ გადამხდელებს. განა გასაკვირია, ამ ახალგაზრდებს სათქმელი ჰქონდეთ ფინანსური მაგნატებისათვის, რომლებმაც მათ მომავალი მოპარეს?

სწორედ ისე, როგორც ევროპაში, აქაც ვხედავთ კოლოსალური სოციალური კრახის შედეგებს. Occupy-ს წევრები სწორედ იდეებით აღსავსე ადამიანები არიან, რომელთა ენერგიასაც ჯანსაღი საზოგადოება ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად უნდა მიმართავდეს. ამის ნაცვლად კი მათ იმისთვის იყენებს, რომ მთელი სისტემა დაანგრეოს.⁴

მოძრაობა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი გახდა და მასში, სტუდენტებისა და ახლახან კურსდამთავრებულთა გარდა, სხვაც ბევრი გაერთიანდა, მაგრამ, ვფიქრობ, Occupy-ს მონაწილეთა უმეტესობისათვის ვალი და წართმეული მომავალი აქტიური მოქმედების ძირითად მოტივს წარმოადგენდა. ეს ცხადყოფს კიდევაც, თუ რა განასხვავებს Occupy-ს „ჩაის სმის მოძრაობისგან“, რომელსაც ასე ხშირად ადარებენ. დემოგრაფიული თვალსაზრისით, „ჩაის სმის მოძრაობა“, ძირითადად, შუახნის ასაკის ადამიანებს აერთიანებს, რომლებმაც უკვე მოიკიდეს ფეხი ცხოვრებაში. 2010 წელს ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვის თანახმად, მათი 78% ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული იყო, აქედან ნახევარზე მეტი – ორმოცდათხუთმეტ წელს ზევით.⁵ ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ აქვთ ამ ორი მოძრაობის წევრებს დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრებები ვალის შესახებ. მართალია, ორივე ჯგუფი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მხრიდან მსხვილი ბანკებისათვის დახმარებას კრიზისის დაძლევაში, მაგრამ, „ჩაის სმის მოძრაობის“ მონაწილეთა შემთხვევაში, ეს მეტწილად რიტორიკა იყო. „ჩაის სმის მოძრაობას“, რეალურად, სათავე დაუდო ვირუსული გზით გავრცელებულმა ვიდეომ, რომელიც ჩაწერილია 2009 წლის 19 თებერვალს. მასზე აღბეჭდილია CNBC-ის რეპორტიორი რიკ სანტელი, რომელიც ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟის შენობიდან საუბრობდა და ეხებოდა მითქმა-მოთქმას იმის თაობაზე, რომ ამერიკის მთავრობას, შესაძლოა, ვალებში ჩავარდნილი სახლების მეპატრონეებისთვის დახმარება აღმოეჩინა. „ჩვენ უნდა გავიღოთ ფინანსები დაზარალებულთა იპოთეკური ვალების დასაფარავად?“ გამქირდავი ტონით კითხულობდა სანტელი და დასძენდა: „ეს ამერიკა! აბა, რომელ თქვენგანს სურს, იპოთეკური ვალი გადაუხადოს

მეზობელს, რომელსაც რამდენიმე აბაზანა აქვს და გადასახადებს ვერ იხდის?“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩაის სმის მოძრაობას“ საფუძველი ჩაუყარა ადამიანთა იმ ჯგუფმა, რომელსაც საკუთარი თავი, სულ მცირე, კრედიტორებად მაინც წარმოედგინა.

მათგან განსხვავებით, Occupy იყო და არის, არსებითად, პროგრესული ახალგაზრდების მოძრაობა – შორსმჭვრეტელი ადამიანებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც, საკუთარი გზით მიმავალნი, მოულოდნელად უხეშად შეაჩერეს. ისინი წესების მიხედვით თამაშობდნენ, თან ხედავდნენ, რომ ფინანსურმა კასტამ სრულებით ვერ შეძლო წესების მიხედვით თამაში და დაანგრია მსოფლიოს ეკონომიკა თაღლითური გარიგებებით; ამ კასტის გადარჩენა შესაძლებელი გახდა მთავრობის მხრიდან სასწრაფო და საფუძვლიანი ჩარევის შედეგად, ამის მერე მან მეტი ძალაუფლება მოიპოვა და კიდევ უფრო მოწინებით ეპყრობიან, ვიდრე მანამდე; ამ დროს თავად ეს ახალგაზრდები „ჩამოაქვეითეს“ და, აშკარად, მუდმივ დამცირებასა და შეურაცხყოფაში ცხოვრება მიუსაჯეს. ამიტომ ირჩევენ ისინი ყველაზე უფრო რადიკალურ პოზიციას, რაც კი ოდესმე ამერიკაში თაობებს გამოუხატავს: პირდაპირი მოწოდება მმართველი კლასის პოლიტიკის წინააღმდეგ, არსებული პოლიტიკური სისტემის სრული რეკონსტრუქცია, კაპიტალიზმის არამხოლოდ რეფორმირების, არამედ მისი სრული დემონტაჟის მოთხოვნა (ყოველ შემთხვევაში, ბევრი მათ გზავნილს ასე აღიქვამდა).

ის, რომ რევოლუციურ მოძრაობას ამგვარი სიტუაცია წარმოშობს, ახალი სულაც არ არის. საუკუნეების მანძილზე რევოლუციური კოალიციები ყოველთვის ერთგვარ ალიანსს წარმოადგენდა – ერთი მხრივ, ესენი იყვნენ ექიმების, ადვოკატების, მასწავლებლების შვილები, რომლებიც თავიანთი მშობლების ფასეულობებს უარყოფდნენ, და, მეორე მხრივ, მშრომელთა მასებიდან გამოსული ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებმაც შეძლეს, მოიპოვებინათ ბურჟუაზიული განათლება მხოლოდ იმისთვის, რომ მისულიყვნენ დასკვნამდე: ბურჟუაზიული განათლების მიღება სინამდვილეში არ ნიშნავს, რომ შენ ბურჟუაზიული წრის წევრი გახდი. ეს მოდელი ისევ და ისევ მეორედობდა ერთი ქვეყნიდან მეორეში: ჩუოუ ენლაის მაო ძედუნი დახვდა,

ჩე გევარას – ფიდელ კასტრო. ამერიკის შეერთებული შტატების მეამბოხე ძალებთან ბრძოლის ექსპერტებმა დიდი ხანია, კარგად იციან, რომ რევოლუციური მღელვარების მაუწყებელი უტყუარი ნიშანი ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევართა და კოლეჯების გაღარიბებულ კურსდამთავრებულთა რიცხვის ზრდა გახლავთ. ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებშიც ენერგია ფეთქავს, ბლომად აქვთ თავისუფალი დრო, ბევრი მიზეზი გასაბრაზებლად და კარგად იცნობენ რადიკალური აზროვნების ისტორიას. აშშ-ის შემთხვევაში ამ ცვალებად ელემენტებს შეგვიძლია დავამატოთ სტუდენტური სესხების სისტემის მძარცველური ხასიათი, რის გამოც ასეთი ახალგაზრდა, იმედის მომცემი რევოლუციონერები ბანკებს თავიანთ უპირველეს მტრად მიიჩნევენ; ისინი აცნობიერებენ ასევე როლს ფედერალური მთავრობისა, რომელიც სტუდენტური სესხების პროგრამას ახორციელებს; რომელიც უზრუნველყოფს, რომ ამ სესხების გადახდა ყოველთვის აღემატებოდეს მოვალეობის ძალებს, ბანკის გაკოტრების შემთხვევაშიც კი; რომელიც საშუალებას აძლევს საბანკო სისტემას, მაქსიმალურად აკონტროლოს ამ ახალგაზრდების მომავალი ცხოვრების ყველა ასპექტი. n+1-ის **(ამერიკული ჟურნალი, რომელშიც იბეჭდება სტატიები სოციალურ, პოლიტიკურ თემებზე, ესეები, წერილები ხელოვნებაზე, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, წიგნების მიმოხილვა. გამოდის ნიუ-იორკში. რედ.)** ერთ-ერთი ავტორი, მალკოლმ ჰარისი, რომელიც ხშირად წერს ამერიკაში თაობათა შორის განხეთქილების შესახებ, ამბობს:

„დღესდღეობით სტუდენტურ სესხს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის ფუნქცია აქვს. გარდა იმისა, რომ მას გვერდს ვერ აუვლი ბანკის გაკოტრების შემთხვევაშიც კი, ამ ტიპის სესხს არა აქვს ვადა და აღმასრულებლებს შეუძლიათ, დააყადაღონ ხელფასი, სოციალური დახმარებები და უმუშევართა შემწეობაც კი. როდესაც მსესხებელი ვეღარ იხდის ვალს, საგარანტიო სააგენტო საჭირო ფინანსებს ფედერალური მთავრობისგან იღებს და ამის შემდეგ მოქალაქისთვის ნებისმიერი ხელმისაწვდომი თანხის ჩამოჭრის უფლება ეძლევა, რომ ამ სახით მან ვალი დააბრუნოს (მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოებს ზარალის ანაზღაურება უკვე მიღებული აქვთ), სააგენტოებს ეძლევათ ფინანსური სტიმული, ყოფილ სტუდენტებს სამარის კარამდე სდიონ“.⁶

ასევე გასაკვირი არ უნდა იყოს ისიც, რომ, როდესაც 2008 წელს დიდი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რომელსაც ჩვენ დღემდე ვებრძვით, ახალგაზრდები ყველაზე მძიმე დღეში აღმოჩნდნენ. ფაქტობრივად, ამ თაობის მომავალი, ეკონომიკური კოლაფსის დადგომამდეც კი, არსებითად, უპერსპექტივო იყო. აშშ-ის ისტორიაში 1970-იანი წლების ბოლოს დაბადებულთა თაობა პირველია, ვინც დადგა რეალობის წინაშე, ცხოვრების უფრო დაბალი დონე ჰქონოდა, ვიდრე მის მშობლებს. 2006 წლისთვის ეს თაობა ეკონომიკურად გაცილებით უარეს მდგომარეობაში იყო (თითქმის ყოველ ასპექტში), ვიდრე მათი მშობლები ამავე ასაკში: ისინი იღებდნენ უფრო დაბალ ხელფასებსა და დაბალ კომპენსაციებს, უფრო მეტად იყვნენ ვალეებში ჩაფლულნი და ახლა კი გაცილებით მეტი შანსი აქვთ, უმუშევარი დარჩნენ, ან ციხეში მოხვდნენ. მათ, ვინც უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სამუშაო ძალად იქცა, შეუძლიათ, იმედი იქონიონ, რომ, თავიანთ მშობლებთან შედარებით, ბევრად დაბალანაზღაურებად სამსახურს თუ იპოვიან, რომელიც მათ ალბათ გაცილებით ნაკლებ სოციალურ დახმარებას მოუტანს (1989 წელს უმაღლეს-დამთავრებულთა თითქმის 63,4%-მა იპოვა სამსახური, რომელიც მათ ჯანდაცვას უზრუნველყოფდა; ახლა კი, ოცი წლის შემდეგ, ეს რიცხვი უკვე 33,7%-ია). ადრე უმაღლესი განათლების მქონე პირები უკეთეს სამსახურებს პოულობდნენ, რადგან სამუშაო ადგილები მრავლად იყო; მაგრამ იმის გამო, რომ უმაღლესი განათლების ღირებულება აშშ-ში თანდათანობით იზრდება და ნებისმიერი პროდუქტის ფასს აღემატება (ქვეყნის არსებობის მანძილზე ეს უპრეცედენტო სიტუაციაა), ამ თაობის სულ უფრო მეტი ნაწილი ამთავრებს უნივერსიტეტსა და კოლეჯს ვალის უზარმაზარი ოდენობით, რაც მას აზარალებს. 1993 წელს მათგან თითქმის ნახევარმა სწავლა ვალით დაასრულა. ახლა ეს მონაცემი ორი მესამედია, ანუ ვალი აქვს თითქმის ყველას, გარდა სწორედ იმ ფინანსური ელიტის წარმომადგენლებისა.

ამ ყველაფრის უშუალო შედეგი იყო ის, რომ თითქმის განადგურდა, რაც თავად კოლეჯში სწავლის პერიოდის ყველაზე მეტ ფასეულობას წარმოადგენდა. ეს ოთხი წელიწადი ერთ დროს ამერიკელთა ცხოვრებაში ჭეშმარიტი თავისუფლების ერთადერთ ხანად მიიჩნეოდა – დრო, რომელიც შეგეძლო, გამოგეყენებინა

არა მარტო სიმართლის, სილამაზის შეცნობისათვის, ფასეულობათა არსის გააზრებისათვის, არამედ ცხოვრების სხვადასხვა შესაძლებლობაც მოგვსინჯა. ახლა ეს ყველაფერი ბაზრის უღმობელ ლოგიკას დაექვემდებარა. თუკი ოდესღაც უნივერსიტეტები თავს უძველესი იდეალის განსახიერებად მიიჩნევდნენ, რომლის თანახმადაც, სიმდიდრის ჭეშმარიტი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანს მთელი თავისი შესაძლებლობები და დრო ცოდნის დასაუფლებლად, მსოფლიოს შესაცნობად გამოეყენებინა, ახლა ცოდნის მიღების ერთადერთი გამართლება სიმდიდრის მოპოვებაში დახმარება გახდა. მათ, ვინც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ კოლეჯი არა მარტო კარგად გათვლილი ინვესტიციაა, მათ, ვისაც, ნიგნების (რადიკალური ლიტერატურის) მაღაზიაში მომუშავე ჩემი მეგობრის მსგავსად, ეყო გამბედაობა, თავისი ნვლილი შეეტანა ახალგაზრდობისთვის ინგლისური რენესანსის ნატიფი პოეზიის გაცნობაში (მიუხედავად შრომის ბაზრის არასტაბილურობისა), ამის კეთება მსხვერპლის გაღების ფასად უხდებოდათ.

ასე რომ, პირველ ეტაპზე საკმაოდ მარტივი ახსნა შეიძლება მოეძებნოს იმ გარემოებას, თუ რატომ გავრცელდა ჩვენი მოძრაობა ქვეყნის მასშტაბით: ესენი იყვნენ ამერიკელი ახალგაზრდები, რომლებსაც დრო თავზე საყრელად ჰქონდათ, რასაც ემატებოდა ბევრი მიზეზი, რომ გაბრაზებული ყოფილიყვნენ (მათგან ყველაზე შემოქმედებით, იდეალისტური განწყობის მქონე და ენერგიულ ნაწილს ყველაზე მეტი მიზეზი ჰქონდა გასაბრაზებლად). თუმცა ეს შეიძლება ითქვას იმ მონაწილეებზე, რომლებიც აქციაში თავიდან ჩაერთნენ. ის რომ მოძრაობაში გადაზრდილიყო, მოსახლეობის უფრო დიდი სექტორი უნდა მოგვეზიდა. ძალიან მალე ასეც მოხდა.

ამ შემთხვევაშიც რალაც განსაკუთრებული მომსწრენი გავხდით. სტუდენტებისა და სპონსორების შემდეგ ყველაზე სწრაფად აქციებს მუშათა კლასი შემოუერთდა. ეს შეიძლება არც გაგვიკვირდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოძრაობა ყურადღებას ეკონომიკურ უთანასწორობაზე ამახვილებდა; მაგრამ, არსებითად, ასე იყო. ისტორიულად, მათ, ვისაც კი სახალხო მოძრაობის ორგანიზებაში აშშ-ის მასშტაბით წარმატება მოუპოვებია, ამის გაკეთება, ძირითადად, მემარჯვენეთა დახმარებით შეძლეს, და აქცენტი გააკეთეს უფრო პროფესორებზე, ვიდრე პლუტოკრატებზე. „ოკუპაციამდე“ რამდენიმე კვირით ადრე ბლოგები გაივსო მოწოდებებით

სტუდენტური ვალების შემცირების შესახებ, რომლებსაც იქვე ქედ-მალური წუნუნით უგულბელყოფდნენ განებივრებული ელიტის წარმომადგენლები.⁷ უნდა ითქვას, რომ ადრეულ წლებში ვალებში ჩავარდნილი კოლეჯის კურსდამთავრებულის მიძიმე მდგომარეობა, ნაკლებად სავარაუდოა, ის საკითხი ყოფილიყო, რომელიც, ვთქვათ, New York City's Transit Worker's Union-ის (ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის) წევრთა გულებად მიეღწია. მაგრამ ამჯერად ასე მოხდა. ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის (TWU) ლიდერები არა მარტო ერთ-ერთი პირველები იყვნენ, ვინც „ოკუპაციას“ ყველაზე დიდი ენთუზიაზმით შემოუერთდა (მათ გვერდით იყვნენ კავშირის რიგითი წევრებიც, რომლებიც აქტიურად გვიჭერდნენ მხარს), ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს სასამართლოშიც კი უჩივლეს ბრუკლინის ხიდის ბლოკირების დროს Occupy Wall Street-ის აქტივისტთა მასობრივი დაპატიმრებებისათვის მათი ავტობუსების გამოყენების გამო*. ამას უკვე მესამე საკანძო კითხვამდე მივყავართ:

შეკითხვა N 3

როგორ იმოქმედა ასე ამერიკის მუშათა კლასზე განათლებამიღებული, მაგრამ ვალებში ჩავარდნილი ახალგაზრდობის პროტესტმა (ასეთი რამ ხომ არ მომხდარა 1967-ში, ან 1990-შიც კი)?

ამ კითხვას ნაწილობრივ პასუხს სცემს ის ფაქტი, რომ სტუდენტებსა და მუშებს შორის გამყოფი ზოლი ნაწილობრივ ნაშლილია. სტუდენტთა უმეტესობა კოლეჯში სწავლის გარკვეულ ეტაპზე ანაზღაურებად სამუშაოს იწყებს. უფრო მეტიც, მაშინ, როცა

* უნდა აღინიშნოს, რომ აქ გარკვეული როლი სხვა ფაქტორებმაც ითამაშა. TWU, ისტორიული თვალსაზრისით, აფრო-ამერიკელთა კავშირია, ხოლო ანტიინტელექტუალური სახალხო მოძრაობა შეერთებულ შტატებში არის მოვლენა, რომელშიც მხოლოდ თეთრკანიანები მონაწილეობენ და მას არ იზიარებენ ფერადკანიანები ან ორგანიზაციები, რომლებიც ამ უკანასკნელთ წარმოადგენენ. მაგრამ OWS-ს მხარი დაუჭირა ძალიან ბევრმა ისეთმა პროფესიულმა კავშირმაც, რომლებშიც, უმეტესწილად, თეთრკანიანები არიან გაერთიანებული.

კოლეჯში მოწყობილთა რაოდენობა ამერიკაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა, კურსდამთავრებულთა რიცხვი იგივე დარჩა; ლარიბი მუშების რიგები ახლა დღითიდღე იცვება იმ ახალგაზრდებით, რომლებმაც სასწავლებლები მიატოვეს, რადგან სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლეს, მაგრამ ჯერ კიდევ იხდიან იმ პერიოდის საფასურს, როდესაც ლექციებს ესწრებოდნენ და, ჩვეულებრივ, კვლავაც ოცნებობენ, რომ ოდესმე სწავლის დასრულებას შეძლებენ; არიან ასევე სტუდენტები, რომლებიც ჯერ კიდევ ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ სწავლა გააგრძელონ – ერთმანეთს უთავსებენ მუშაობასა და სწავლას.⁸

როდესაც The Guardian-ისათვის სტატია დავწერე, დისკუსიის განყოფილება, როგორც წესი, სავსე იყო უპატივცემულობის გამომხატველი კომენტარებით, რომლებიც სხვის ხარჯზე მცხოვრებ განებივრებულ ბავშვებს ეკუთვნოდა. ერთი კომენტარის ავტორს აეკვიატებინა, რომ ზოგიერთ დემონსტრანტ ქალს, რომელთა სახეებიც პრესის ფურცლებმა უკვდავყო, ვარდისფერი თმა ჰქონდა. ეს ადასტურებდა, რომ ზემოხსენებული „კომენტატორები“ პრივილეგირებულ პირობებში ცხოვრობდნენ, „რეალური“ ამერიკელებისაგან განცალკევებით. ერთი რამ ცხადი იყო – მათ არასოდეს გაუტარებიათ დიდი ხანი ნიუ-იორკში. ისევე, როგორც 1960-იანი წლების სტილი – გრძელი თმა, მარიხუანას მოსაწევი ჩიბუხები, დახეული მაისურები – ჰიპებთან ასოცირდებოდა, 1980-იანი წლების ამერიკაში (უმეტესად პატარა ქალაქებში) მცხოვრები მუშათა კლასის წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის (რომელთაც ბედმა გაუღიმა და სამუშაო ჰქონდათ) ამავე წლების პანკების მოძრაობის სტილი – ვარდისფერი თმა, ტატუირება, პირსინგი – ერთგვარი უნიფორმა გახდა. ასეთი იმიჯი იმავე როლს თამაშობს დღეს ამერიკის უდიდეს ქალაქებში არამყარი, არასტაბილური სამუშაოს მქონე ხალხისთვის. საკმარისია, მიმოიხედოთ და დააკვირდეთ ადამიანებს, რომლებიც კლიენტებს ყავას უმზადებენ, მიაქვთ ამანათები ან ავეჯის გადაზიდვაზე მუშაობენ.

ერთი მიზეზი, რის გამოც ძველი, 1960-იანი წლების დროინდელი ანტიპათია ჰიპებსა და „ყვითელჩაფხუტიანებს“ შორის **(Hard hats – ესაა მეტსახელი ამერიკაში მშენებლობაზე მომუშავე ადამიანებისა, რომლებიც გამოირჩევიან კონსერვატიზმით ყველა**

საკითხში, მათ შორის – პოლიტიკურშიც. გადატანითი მნიშვნელობით, ასე მოიხსენიებენ ნებისმიერ მუშას, რომელიც ვერ იტანს ე.წ. „გრძელთმიან ინტელიგენტებს“. რედ.) არასაიმედო ალიანსში გადაიზარდა, ისიცაა, რომ კულტურული ბარიერები გადაილახა; ნაწილობრივ – იმის გამოც, რომ მუშათა კლასის შემადგენლობა შეიცვალა, მისი ახალგაზრდა ელემენტები კი უფრო ადვილად შეიძლება გაიხლართონ უმაღლესი განათლების სისტემაში, რომელიც დღითიდღე უფრო ექსპლუატატორული ხასიათისა ხდება და ფუნქციას თანდათან კარგავს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ არის კიდევ ერთი, უფრო მეტად არსებითი ელემენტი – ეს თავად კაპიტალიზმის ცვალებადი ბუნებაა.

ბოლო წლების განმავლობაში ბევრს საუბრობენ კაპიტალიზმის ფინანსიზაციაზე; ზოგიერთი ვერსიით, მას „ყოველდღიური ყოფის ფინანსიზაციად“ მოიხსენიებენ. აშშ-სა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ამ პროცესს დეინდუსტრიალიზაციაც დაერთო: აშშ-ის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა უკვე ექსპორტი კი აღარ არის, არამედ იმ პროდუქციის მოხმარება, რომლის უმეტესი ნაწილიც ოკეანის გადაღმა იწარმოება; რომლის საფასურსაც სხვადასხვა სახის ფინანსური მანიპულაციებით ვიხდით. ეს შეგვიძლია ვთქვათ ეკონომიკის გაბატონებულ, ე.წ. FIRE სექტორზე (FIRE – Finance, Insurance, Real Estate – ფინანსები, დაზღვევა, უძრავი ქონება). მაგალითად, აშშ-ის საერთო კორპორაციული მოგების მარტო ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული წილი, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, გასამმაგდა:

1965	1970	1975	1980	1985	1990	1995	2000	2005
13%	15%	18%	17%	16%	26%	28%	30%	38%

თუმცა ეს ცხრილი სათანადოდ ვერ გამოხატავს რეალობას, რადგან მასში მხოლოდ საფინანსო კომპანიების მონაცემებია შეტანილი. ბოლო ათი წლის განმავლობაში თითქმის ყველა მწარმოებელი საფინანსო ბიზნესში გადავიდა და მათი მოგებაც სწორედ ამით აიხსნება. 2008 წლის ფინანსური კატასტროფის დროს ავტოინდუსტრიის კოლაფსი სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ ისეთი კომპანიები, როგორიცაა Ford, General Motors, ამ

დროისათვის (უკვე წლების მანძილზე) მთელ თავიანთ მოგებას იღებდნენ არა მანქანების წარმოებით, არამედ მათი ფინანსირებით. ისეთი კომპანიაც კი, General Electric, თავისი მოგების ნახევარს საფინანსო განყოფილებიდან იღებს. ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ 2005 წლისთვის საერთო კორპორაციული მოგების 38% საფინანსო კომპანიებიდან იქნა მიღებული, რეალური ციფრი ალბათ ბევრად გაიზრდებოდა, თუკი ვიანგარიშებდით ფინანსური ოპერაციებიდან მიღებულ მოგებასაც იმ კომპანიებისა, რომელთა ბიზნესიც ოფიციალურად ფინანსებს არ უკავშირდება. და ამ დროს მთელი მოგების მხოლოდ 7 ან 8% მოდის მრეწველობიდან.*

როდესაც 1953 წელს General Motors-ის პრეზიდენტმა, ჩარლზ ერვინ უილსონმა წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: „რაც კარგია General Motors-ისთვის, კარგია ამერიკისთვის“, გარკვეულ წრეებში ეს განცხადება კორპორაციული ქედმაღლობის მწვერვალად მიიჩნიეს. წარსულს თუ თვალს გადავავლებთ, უფრო ადვილი მისახვედრი გახდება, თუ რას გულისხმობდა ის სინამდვილეში. იმ დროისთვის ავტოინდუსტრიას უზარმაზარი მოგება მოჰქონდა; იმ ფულიდან, რომელიც General Motors-ის მსგავს კომპანიებსა და მათ მმართველებთან მიედინებოდა, ლომის წილი გადასახადების სახით სახელმწიფო ხაზინაში მიდიოდა (რეგულარული კორპორაციული გადასახადის განაკვეთი პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის დროს 52% იყო, ხოლო პირადი გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი, მაგალითად, კორპორაციათა მმართველებისთვის – 91%). მაშინ სახელმწიფოს შემოსავლების ძირითად ნაწილს კორპორაციული გადასახადები შეადგენდა. დიდი კორპორაციული გადასახადები კომპანიების მმართველებს უბიძგებდა, უფრო მაღალი ხელფასები გადაეხადათ (რატომ არ უნდა გაენაწილებინათ მოგება თანამშრომლებისათვის და ამ გზით მაღლიერი და ერთგული ხელქვეითების კონკურენტული უპირატესობა მაინც მოეპოვებინათ, თუკი მთავრობას ეს ფული მაინც უნდა წაეღო?); მთავრობა გადასახადების სახით შემოსულ თანხებს ხიდების, გვირაბებისა და გზატკეცილების მშენებლობისათვის იყენებდა.

* ფორმალურად, ეს ციფრი 12,5%-ია, მაგრამ მასში შედის მწარმოებელი ფირმების საფინანსო განყოფილების ციფრები, როგორც „სანარმოო“ მოგება და არა ფინანსური.

ეს სამშენებლო პროექტები კი, თავის მხრივ, არა მხოლოდ ავტოინდუსტრიისათვის იყო სასარგებლო, ისინი ქმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს და მთავრობის კონტრაქტორებს შესაძლებლობას აძლევდა, გაემდიდრებინათ პოლიტიკოსები, რომლებიც ნადავლს მსხვილი ქრთამებისა და ე.წ. „ატკატების“ სახით ანანილებდნენ. შედეგები, შესაძლოა, ეკოლოგიური თვალსაზრისით, კატასტროფული ყოფილიყო (ეს განსაკუთრებით ცხადი გახდებოდა გარკვეული ხნის შემდეგ), მაგრამ იმ დროს კორპორაციის წარმატებას, გადასახადებსა და ხელფასებს შორის ურთიერთკავშირი უწყვეტი კეთილდღეობისა და განვითარების უზრუნველყოფის უტყუარ საშუალებად მიიჩნეოდა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ კი ჩვენ უკვე ამკარად განსხვავებულ ეკონომიკურ სამყაროში ვხვდებით. მოგებამ, რომელიც მრეწველობიდან უნდა შემოსულიყო, იკლო. ხელფასები და შელავათები სტაგნაციას განიცდის ან მცირდება; ინფრასტრუქტურა ინგრევა. მიუხედავად ამისა, 1980-იან წლებში, როდესაც კონგრესმა გააუქმა კანონი, რომელიც მევახშეობას კრძალავდა (რითაც დაამკვიდრა სახელმწიფოს ახალი მოდელი, რომელშიც აშშ-ის სასამართლოები და პოლიცია იძულებულს ხდის ადამიანს, აიღოს სესხები, რომელთა წლიური პროცენტი შესაძლოა 300-ამდეც კი ავიდეს; ეს ისეთი გარიგებაა, რომლის მსგავსის დადებაც მანამდე ორგანიზებულ დანაშაულად მიიჩნეოდა), მან, ასევე, თითქმის ნებისმიერ კორპორაციას მისცა საშუალება, საფინანსო ბიზნესში ჩართულიყო. სიტყვები „საშუალება მისცა“ ბოლო წინადადებაში შესაძლოა, ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ იმ ლექსიკამ, რომელსაც ამ პერიოდის აღწერისათვის ვიყენებთ, შესაძლოა, ადვილად დაგვაბნიოს. მაგალითად, ჩვეულებრივ, ფინანსებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე როდესაც ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს „დერეგულაცია“, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფო განზე დგება და ბირჟაზე კორპორაციების თამაშში არ ერევა (**ინგლ. deregulation – რეგულირების შეწყვეტა. ტერმინი აღნიშნავს ქვეყნის ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხის შემცირებას. ამ პოლიტიკის ინიციატორი იყო ჯ. კარტერის ადმინისტრაცია. რედ.**). თუმცა ეს სიმართლეს სრულებით არ შეესაბამება. მთავრობამ ნებისმიერ კორპორაციას დართო ნება, ფინანსური

სერვისის ინდუსტრიის ნაწილი გახდეს, რითაც მათ ფულის მიწოდების მოცულობის გაზრდის უფლება მისცა (**ინგლ. create money – ფულის მიწოდების მოცულობის გაზრდა ანგარიშების გახსნისა და კრედიტების გაცემის გზით. რედ.**). ეს იმიტომ, რომ, საერთოდ, ბანკები და სხვა ტიპის ფულის გამსესხებლები, არ გასცემენ იმ ფულს, რომელიც უკვე აქვთ. ისინი ფულის მიწოდების მოცულობას სესხის გაცემით ზრდიან (ამ მოვლენას გულისხმობდა ჰენრი ფორდი თავის ცნობილ ფრაზაში – ის აღნიშნავდა, რომ, თუკი ამერიკელი ხალხი ოდესმე მიხვდებოდა, როგორ ხორციელდება საბანკო ოპერაციები, „რევოლუცია არ დააყოვნებდა“. ფედერალური რეზერვი ზრდის ფულის მიწოდების მოცულობას და სესხად აძლევს მას ბანკებს, რომლებსაც შეუძლიათ, გაასესხონ მათ რეზერვში არსებულ ყოველ ერთ დოლარზე ათი დოლარი. ამგვარად, ფედერალური რეზერვი, ფაქტობრივად, საშუალებას აძლევს მათ, თავის მხრივ, გაზარდონ ფულის მოცულობა). მართალია, საავტომობილო კომპანიების საფინანსო განყოფილებები შეზღუდულნი იყვნენ, გაეზარდათ ფულის მიწოდების მოცულობა (რომელიც უკან დაუბრუნდებოდათ, რაც საშუალებას მისცემდა მათ, თავიანთი გამოშვებული მანქანები ეყიდათ), მაგრამ ამგვარი სისტემა საშუალებას აძლევდა მათ, მიეღოთ მსუყე მოგება პროცენტებიდან, მოსაკრებლებიდან და ჯარიმებიდან; საბოლოოდ, ამ საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულმა მოგებამ ავტომობილების წარმოებიდან მიღებულ მოგებას ბევრად გადააჭარბა.* ამავდროულად, ისეთი კორპორაციები, როგორიცაა General Motors, General Electric და სხვები, უმსხვილესი ბანკების მსგავსად, უმეტეს შემთხვევაში, არავითარ ფედერალურ გადასახადს არ იხდიან. რაკილა მათი მოგება პირდაპირ ხელისუფლებაში მიდიოდა, მას ქრთამის სახით პირდაპირ პოლიტიკოსებს აძლევდნენ (ქრთამს კი სახელი გადაერქვა და „კორპორაციული ლობირება“ ეწოდა), რათა დაერწმუნებინათ ისინი, განეხორციელებინათ შემდგომი ცვლილებები კანონმდებლობაში (რომლებსაც ხშირად თავად კომპანიები შეიმუშავებდნენ), რითაც გაუადვილებოდათ მათი საკრედიტო სისტემის მახეში მოხვედრილი მოქალაქეების-

* თუკი ამ ფასებს ფარულ ინფლაციად არ აღვიქვამთ (როგორც ამას ბევრი მიიჩნევს), რასაც, თავის მხრივ, მთავრობის პოლიტიკა უწყობს ხელს.

გან ფულის ამოღება. ხოლო ვინაიდან ქვეყნის შიდა შემოსავლების სამსახური (IRS) ველარ იღებდა საკმარის შემოსავალს კორპორაციული გადასახადებისაგან, ხელისუფლებაც სულ უფრო მეტ ძალისხმევას ახმარდა ამ ფულის ამოღებას უშუალოდ მოქალაქეთა პირადი შემოსავლებიდან; ანდა, ახლა უკვე ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შემთხვევაში, ახორციელებდა თითქმის ანალოგიურ კამპანიას მოსაკრებლებისა და ჯარიმების გაზრდის გზით.

თუკი 1950-იან წლებში კორპორაციებსა და მთავრობას შორის არსებული ურთიერთობა ცოტათი მაინც წააგავდა ლეგენდარულ „თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმს“, რომელსაც, წესით, ამერიკა უნდა ეფუძნებოდეს, ამჟამინდელი სისტემის შემთხვევაში, ძნელი სათქმელია, საერთოდ, რატომ ვიყენებთ სიტყვა „კაპიტალიზმს“.

ჯერ კიდევ კოლეჯში ვისწავლე, რომ კაპიტალიზმი არის სისტემა, რომელშიც კერძო ფირმები მოგებას ნახულობენ სხვების დაქირავებით პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვისათვის; მეორე მხრივ, ის სისტემები, რომლებშიც მსხვილი მოთამაშეები, მარტივად რომ ვთქვათ, პირდაპირ ართმევდნენ ქონებას სხვებს ძალისა და მუქარის გამოყენებით, ფეოდალიზმად მოიხსენიებოდა.* ამ განმარტების თანახმად, ის, რასაც ჩვენ „უოლსტრიტს“ ვუწოდებთ, სულ უფრო მეტად ემსგავსება კლირინგის პალატას, რომელიც ვაჭრობისა და ფეოდალური გადასახადების საქმეებს აგვარებს, ანდა, უფრო უხეშად რომ ვთქვათ, თაღლითობასა და გამომძალველობას, მაშინ, როცა საქმიანობის არეალი იმ მრეწველი კაპიტალისტებისა, რომლებიც 1950-იანი წლების პრინციპებს მიჰყვებიან, სულ უფრო მეტად იზღუდება და მოიცავს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ინდოეთი, ბრაზილია ან კომუნისტური ჩი-

* ანალოგიურად, სოციოლოგიის თეორეტიკოსი მაქს ვებერი ამტკიცებდა, რომ, მაგალითად, რომაული სამყაროს „ავანტიურისტ სამხედროთა... გადასახადის ამკრეფთა, სპეკულანტთა, მევახშეთა და სხვათა“ „უფუნური პოლიტიკური კაპიტალიზმი“ ისტორიულ ჩიხს წარმოადგენდა, რადგან უაღრესად პარაზიტული იყო სახელმწიფოს მიმართ და მას არაფერი ჰქონდა საერთო ინდუსტრიული კაპიტალიზმის გონივრულ, მიზანშეწონილ ინვესტირებასთან. ვებერის ლოგიკით, თანამედროვე გლობალური კაპიტალიზმი, რომელშიც სპეკულანტები, ვალუტით მოვაჭრენი და სახელმწიფო შეკვეთებზე მომუშავე კონტრაქტორები ბატონობენ, უკვე დიდი ხანია, დაუბრუნდა ამ ჩიხს და მის აბსურდულ სახეობად იქცა.

ნეთი. რა თქმა უნდა, აშშ-ს კვლავაც აქვს ინდუსტრიული ბაზა, განსაკუთრებით იარაღის, სამედიცინო აპარატურისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოებაში. თუმცა, თუ სამხედრო პროდუქციის წარმოებას არ ჩავთვლით, მრეწველობის როლი ბოლოდროინდელი კორპორაციული მოგების შექმნაში სულ უფრო მცირდება.

2008 წლის კრიზისმა ცხადყო, რომ მთავრობას არამარტო სურდა, ფულის ბეჭდვის უფლება მიეცა ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც „მეტისმეტად დიდნი იყვნენ საიმისოდ, რომ გაკოტრებულიყვნენ“, არამედ სურდა, თავად გაეზარდა ფულის მოცულობა უზარმაზარი მასშტაბით, რომ მათი კრიზისიდან გამოყვანა შეძლებოდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი პრობლემებს შეუქმნიდნენ საკუთარ თავს კორუფციაში ჩართვით ან „იდიოტური“ სესხების გაცემით. ამან საშუალება მისცა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც ამერიკის ბანკია, ეს „ახალგამომცხვარი“ ფული სწორედ იმ პოლიტიკოსებისათვის გაენაწილებინათ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მათ კრიზისიდან გამოყვანას; ამგვარად, მათ შეინარჩუნეს უფლება, ჰყოლოდათ საკუთარი ლობისტები; ისინი, თავის მხრივ, სწორედ ისეთ კანონებს შექმნიდნენ, რომლებიც, სავარაუდოდ, „ბიზნესის რეგულირებას“ განაპირობებდნენ. და ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა მათ ლამის გაანადგურეს მსოფლიო ეკონომიკა. სრულიად გაუგებარია, რატომ არ უნდა მიიჩნეოდნენ ამგვარი ფირმები ფედერალური მთავრობის ნაწილად, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მოგებას ისინი თვითონ იტოვებენ.

გამოდის, რომ რიგითი ადამიანების შემოსავლების უზარმაზარი ნაწილი, ფარული გადასახადებისა და, განსაკუთრებით, ჯარიმების სახით, ამ მძარცველური სისტემის „გამოკვებას“ ხმარდება. მახსოვს, ერთხელ Macy's-ს (**უნივერსალური მაღაზიების ქსელი ნიუ-იორკში. რედ.**) გამყიდველმა Macy's-ს გადახდის ბარათის შექმნაზე დამიყოლია, რომ 120-დოლარიანი Rey-Ban-ის სათვალე მეყიდა. სანამ ქვეყნიდან ხანგრძლივი დროით გავემგზავრებოდი, წარვადგინე გადახდის ქვითარი ბარათზე დაფიქსირებული დავალიანების დასაფარავად, მაგრამ, როგორც ჩანს, დაახლოებით 2,75 დოლარით ნაკლები დავითვალე. როდესაც რამდენიმე თვის შემდეგ დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ გადახდის დაგვიანების

გამო რაღაც ჯარიმისმაგვარი 500 დოლარი დამგროვებოდა. ჩვენ ჩვევად არ გვაქვს, ასეთი ციფრები დავითვალოთ, რადგან ისინი თითქოს ვალი კი არაა, ცოდვის საზღაურია: მათი გადახდა იმიტომ გინევს, რომ რაღაც არასწორად გააკეთე (ჩემს შემთხვევაში, ცუდად გამოვითვალე მათემატიკური ჯამი და დამავიწყდა, მეთხოვა, ქვითარი ჩემს საზღვარგარეთის მისამართზე გადმოგზავნათ). ფაქტობრივად, მთელი სისტემა ისეა აწყობილი, რომ ჩვენ ასეთი შეცდომები დავუშვათ, რადგან, ზოგადად, კორპორაციული მოგება დამოკიდებულია სწორედ ამაზე.

საშუალო ამერიკელის შემოსავლის რა ნაწილი იყრის თავს საფინანსო მომსახურების ინდუსტრიაში, პროცენტების, ჯარიმების, მოსაკრებლების, ტექნიკური მომსახურების საფასურის, ზედნადები ხარჯების დაზღვევის, უძრავი ქონების მაკლერთა საკომისიოს და სხვ. სახით? ეჭვგარეშეა, ამ ინდუსტრიის ქომავი დაიწყებს მტკიცებას, რომ ამ თანხის ნაწილი კანონიერი მომსახურების საფასურია (მაგალითად, უძრავი ქონების მაკლერის საკომისიო), მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ამ თანხის გადახდა იმ ადამიანებსაც ეკისრებათ, რომლებმაც თავად იპოვეს ბინა, რომლის ყიდვასაც აპირებენ. უძრავი ქონების სექტორმა ისეთი კანონები მოგვასხია თავს, რომლებიც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის ბინის შეძენას, თუ ზემოთ აღნიშნულ გადასახადს არ გადაიხდი. სხვა თუ არაფერი, ის ფაქტი ნამდვილად უდავოა, რომ ასეთი გადასახადები უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მასობრივად გაიზარდა, ისე, რომ მომსახურების სფერო შესამჩნევად არც გაფართოებულა და არც გაუმჯობესებულა.

საშუალო ამერიკული ოჯახის შემოსავლის რა ნაწილი ჟონავს მისი ბიუჯეტიდან და ჩაედინება ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში? რაოდენობრივი მონაცემები, უბრალოდ, ხელმისაწვდომი არაა (თავად ეს ფაქტი უკვე მრავლისმეტყველია, იმიტომ რომ ამგვარი მონაცემები თითქმის სხვა ყველაფრის შესახებ ხელმისაწვდომია). თუმცა შეგვიძლია, გარკვეული წარმოდგენა მაინც შევიქმნათ. ფედერალური რეზერვის „ფინანსურ ვალდებულებათა კოეფიციენტი“ გვაუწყებს, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საშუალო ამერიკულმა ოჯახმა თავისი შემოსავლის დაახლოებით 18% დახარჯა სესხების დაფარვასა და მსგავსი ვალდებულებების შესრულებაზე. ეს არაადეკვატუ-

რი მონაცემია მრავალი თვალსაზრისით (ის მოიცავს ძირითადი თანხის გადასახადებსა და უძრავი ქონების გადასახადებს, მაგრამ მასში არ შედის ჯარიმები და მოსაკრებლები), მაგრამ ზოგადი შეფასებისათვის მაინც საკმარისია.

ამ დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ამერიკელთა უმრავლესობის მიერ გამომუშავებული ყოველი ხუთი დოლარიდან ერთ დოლარი მაინც სხვადასხვა ფორმით პირდაპირ უოლსტრიტს მისდის (აქ „უოლსტრიტში“ იგულისხმება მისი ფართოდ გავრცელებული გაგება; ეს ერთგვარი კოდური სიტყვაა მთლიანად ფინანსური სექტორის აღსანიშნავად). მაგრამ, რა თქმა უნდა, „საშუალო ამერიკელი“, რეალურად, არც არსებობს. ფინანსური ინდუსტრიის მიერ ყველა ერთნაირად არც იძარცვება. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ამ ფულის უმეტესობას, უბრალოდ, ფინანსურ კომპანიათა მმართველები იჯიბავენ (მთელი ეს ბანკირთა ბონუსები და ა. შ.), გარკვეული თანხა კი ხელახლა გადანაწილდება დივიდენდების სახით. თუმცა ეს ყველას არ მოუწევს. კრიზისამდე არსებობდა მოსაზრება, რომ გარიგებაში ყველა მონაწილეობდა; რომ კაპიტალიზმი გახდა სახალხო ბიზნესი, რომელშიც ყველა ამერიკელი მონაწილეობდა თავისი კაპიტალდებანდებებითა და საპენსიო ანგარიშებით. ეს ძალიან გაზვიადებული წარმოდგენა იყო და კრიზისის შემდეგ, როცა 401(k)-მ უზარმაზარი ზარალი განიცადა **(401(k) – ესაა აშშ-ის საგადასახადო კოდექსის მუხლი. მისი ნომრის მიხედვით მოიხსენიებენ დაგროვებით საპენსიო გეგმას, რომელიც ამ მუხლში ჩამოყალიბებულ საგადასახადო სქემას ეფუძნება. რედ.)**, ხოლო მსხვილი ინვესტორების მდგომარეობა სწრაფად გამოსწორდა, ასე უკვე არავინ აღარ ფიქრობდა. ვერავინ უარყოფს, რომ მოგების სისტემა კვლავაც ისეთია, როგორიც იყო: ეს არის ფულის ხელახალი გადანაწილება მათზე, ვინც სათავეში დგას. საბოლოოდ, მოგებულნი რჩებიან ისევ მდიდარი ამერიკელები, მნიშვნელობა არა აქვს, საქმიანობენ თუ არა ისინი ფინანსურ სექტორში. უამრავი დანარჩენი ადამიანის შემოსავლის გარკვეული ნაწილი კი სახელმწიფო ხაზინაში მიედინება.

მეორე მხრივ, ამ ფინანსური კვებითი ჯაჭვის **(გრებერი ფინანსური ურთიერთობების გამოსახატავად ბიოლოგიურ ტერმინს იყენებს „კვებითი ჯაჭვი“ გულისხმობს მცენარეების, ცხოველების, სოკოებისა და მიკროორგანიზმების გარკვეული სახეობების ურთი-**


ერთდამოკიდებულებას, რომელიც ემყარება პრინციპს: საკვები – მომხმარებელი. ორგანიზმების თანმიმდევრობა უზრუნველყოფს ნივთიერებათა და ენერგიის ეტაპობრივ გადატანას წყაროდან მომხმარებელში. რედ.) ქვედა რგოლის პოზიციაზე მყოფთ ყოველთვის არაპროპორციულად, არათანაზომიერად მეტის გადახდა უწევთ (და ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ, რა კრიტერიუმებითაც არ უნდა მივუდგეთ მას, იქნება ეს რასა, სქესი, ასაკი თუ დასაქმების სახეობა). მაგალითად, 2004 წელს თვრამეტიდან ოცდაოთხ წლამდე ახალგაზრდები იძულებულნი იყვნენ, თავიანთი შემოსავლების 22% სესხების დასაფარავად გადაეხადათ (ეს მოიცავს ძირითადი თანხის პროცენტებს, მაგრამ არა საბანკო მომსახურების გადასახადებს, შენატანებსა და ჯარიმებს). აქედან მეხუთედმა თავისი შემოსავლის დაახლოებით 40% გადაიხადა. კიდევ უფრო უარესი იყო ოცდახუთიდან ოცდაათობმეტ წლამდე ასაკის მოსახლეობის მდგომარეობა (ეს სწორედ ის კონტინგენცია, რომლის მდგომარეობაზეც სტუდენტურმა სესხებმა ძლიერი გავლენა იქონია): მათ საკუთარი შემოსავლების, საშუალოდ, მეოთხედი დახარჯეს ვალების გადახდაზე. ყველა ეს მონაცემი ასახავს ახალგაზრდა ამერიკელების მდგომარეობას მთლიანობაში, მათი განათლების მიუხედავად. აღარაფერს ვამბობთ ამერიკული ოჯახების დაახლოებით 22%-ის ხვედრზე, რომელთა მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მათ ჩვეულებრივ (ტრადიციულ) სესხებზე საერთოდ არ მიუწვდებათ ხელი და იძულებული ხდებიან, ლომბარდებს, ავტოლომბარდებსა და ე.წ. payday loan-ების (მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხი მცირე თანხაზე, მაღალი პროცენტით, მომდევნო თვის ხელფასის უზრუნველყოფით. ინგლ. payday loan – სიტყვასიტყვით – ხელფასის დღის სესხი. რედ.) ოფისებს მიმართონ, სადაც მათი წლიური საპროცენტო განაკვეთი 800%-ს აღწევს.

ასეთი იყო მდგომარეობა ჯერ კიდევ კრიზისამდე.

2008 წლის შემდეგ ამერიკაში ყველა, ვისაც კი ვალის შემცირების რაიმე საშუალება ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, შეეძლო, თავისი შემოსავლების ნაწილი უოლსტრიტზე გადაესროლა, სასწრაფოდ ასეც მოიქცა – ისინი ან ელვის სისწრაფით იხდიდნენ საკრედიტო ბარათების დავალიანებას, ან უარს ამბობდნენ,

გადაეხადათ იპოთეკური სესხები, რომელთა სანაცვლოდ გირაოდ ჩადებული უძრავი ქონება ლიკვიდურობას კარგავდა (ე.წ. underwater mortgage).

ქვემოთ მოცემული გრაფიკი (ვერტიკალურ ხაზზე მოცემულია სუფთა, ე. წ. განკარგავადი შემოსავლების პროცენტულობა, ხოლო ჰორიზონტალურზე – შინამეურნეობების ვალის მომსახურების კოეფიციენტი) დაგეხმარებათ, უკეთ დაინახოთ, რამდენად მკვეთრი იყო ეს ცვლილება:



ამავე დროს, გარკვეული ტიპის სესხების გაცემის პირობები იმგვარადაა შემუშავებული, რომ, რეალურად, ადამიანს შესაძლებლობებს უზღუდავს. მაგალითად, თუ იპოთეკური სესხის პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება მაინც შესაძლებელია (თუმცა ადვილი არაა)*, სტუდენტური სესხის შემთხვევაში ეს შეუძლებელია; ფაქტობრივად, რამდენიმე თვეც რომ ჩააგდოთ და გადასახადი ვერ გადაიხადოთ, ძირითად თანხაზე, სავარაუდოდ, დაგემატებათ ჯარიმები ათასობით დოლარის ოდენობით. ამის შედეგად, სტუდენტური სესხის დავალიანება თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება და ამ ვალის მთლიანი მოცულობა (ჯამური დავალიანება) მკვეთრად აჭარბებს საკრედიტო ბარათზე არსებული თუ ყველა სხვა ფორმის სესხის თანხას:

* თუმცა იპოთეკური სესხების განსაცვიფრებლად დაბალი პროცენტული მაჩვენებლები ხელახლა მართლაც განიხილებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო პროგრამები, სავარაუდოდ, ამ პროცესის ხელშეწყობისათვის განხორციელდა.

ჯამური დავალიანება და მისი შემადგენლობა

იპოთეკა	რევოლვირებადი (განახლებადი) სესხი	ავტოსესხი	საკრედიტო ბარათი	სტუდენტური სესხი	სხვა
72%	5%	6%	6%	8%	3%

*2011 წლის მესამე კვარტალის ჯამი: 11,656 ტრილიონი დოლარი

სტუდენტების გარდა, კიდევ ერთი ჯგუფს, რომელიც ვალის მახეში მოექცა, სამუშაოს მქონე უღარიბესი ადამიანები წარმოადგენენ (ყველაზე მეტად – მუშა ქალები და ფერადკანიანი მოსახლეობა), რომელთა ისედაც სტაგნაციის მდგომარეობაში მყოფი შემოსავლების საკმაოდ დიდი წილი კვლავაც საფინანსო მომსახურების ინდუსტრიას მიაქვს. მათ ხშირად „სუბპრაიმერებსაც“ (ინგლ. **subprime** – სუბსტანდარტული, სტანდარტულისგან განსხვავებული; ამ ტერმინით აღინიშნება კრედიტი, რომელსაც გასცემენ არცთუ ისე უმნიშვნელო საბანკო ისტორიის მქონე მსესხებელზე. მისი საპროცენტო განაკვეთი ჩვეულებრივზე რამდენიმე პუნქტით მაღალია. რედ.) უწოდებენ, რადგან ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც, სავარაუდოდ, სუბსტანდარტული იპოთეკური სესხის მიღებაზე მოაწერეს ხელი (ან მოატყუეს და შეცდომაში შეიყვანეს). ისინი მკვეთრად ცვალებადი, ე.წ. „ფეთქებადი“ სუბსტანდარტული იპოთეკური სესხის მსხვერპლნი გახდნენ და ახლა აღმასრულებელთა მხრიდან დევნის საშიშროების წინაშე დგანან; მათი მანქანები სხვების საკუთრებაში გადავიდა. მათ ყველაზე მეტად აზარალებს ის, რომ იძულებულნი არიან, აიღონ ე.წ. **payday loan**-ები გადაუდებელი საჭიროებისათვის, როგორცაა, მაგალითად, ჯანდაცვა, რადგან ეს სწორედ ის ამერიკელები არიან, რომელთაც, ნაკლებად სავარაუდოა, ჰქონდეთ მნიშვნელოვანი შეღავათები ჯანდაცვაზე. ასეთი სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 300%-ია.

ამ ორი კატეგორიის ამერიკელები (ანუ ის ადამიანები, რომლებსაც სწავლასა და მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება უწევთ) – მუშათა კლასი და უნივერსიტეტის ან კოლეჯის კურსდამთავრებულები, რომლებიც დაბალანაზ-

ლაურებად სამუშაოს ასრულებენ და კაბალური სტუდენტური სესხების დაფარვა უხდებათ – ფაქტობრივად, თავიანთი შემოსავლების უფრო მეტ წილს უოლსტრიტს უხდიან, ვიდრე გადასახადების სახით – სახელმწიფოს.

ჯერ კიდევ სექტემბერში, „ოკუპაციის“ დაწყებამდე, კრისმა (Food Not Bombs-ის აქტივისტმა, რომელიც აგვისტოში ბოულინგ გრინზე პირველი დემოკრატიული წრის მოწყობაში დაგვეხმარა) Tumblr-ზე შექმნა გვერდი სახელწოდებით „ჩვენ ვართ 99%“, რომლის მხარდამჭერებსაც შეეძლოთ, აეტიკრთათ თავიანთი ფოტოები და გამოექვეყნებინათ მოკლედ აღწერილი რეალური ამბები, რომლებიც თავს გადახდენოდათ. წინამდებარე წიგნის დაწერის დროისთვის იქ ამგვარ ისტორიებს უკვე 125 გვერდზე მეტი ეჭირა. მათი ავტორები ამა თუ იმ რასის, ასაკის, სქესის (და კიდევ მრავალი მახასიათებლით განსხვავებული) ადამიანები არიან.

ამ ცოტა ხნის წინ ზემოთ აღნიშნულ ისტორიებზე დაყრდნობით შედგა ინტერნეტ-დისკუსია „99%-ის იდეოლოგიის“ შესახებ. ეს ყველაფერი კი მაიკ კონკზალის, ბლოგ Rortybomb-ის შემქმნელის (მაიკ კონკზალი – **რუზველტის ინსტიტუტის თანამშრომელი, რომელიც ფინანსური რეფორმის, უმუშევრობის, ეკონომიკის პროგრესული ხედვის საკითხებზე მუშაობს. რედ.**) სტატისტიკური ანალიზით დაიწყო. ის შეეცადა, დაედგინა ამ html (**ჰიპერტექსტის მონიშვნის ენა ვებგვერდების შესაქმნელად. რედ.**) ტექსტებში ყველაზე ხშირად გამოყენებული 25 სიტყვა. გაირკვა, რომ ყველაზე ხშირად იყენებდნენ სიტყვა „სამსახურს“, მეორე ადგილზე იყო სიტყვა „ვალი“, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებებს, სახლს, საკვებს, ჯანდაცვას, განათლებას, ბავშვებს უკავშირდებოდა („სამსახურისა“ და „ვალის“ შემდეგ ყველაზე პოპულარული სიტყვები იყო: „მუშაობა“, „კოლეჯი“, „გადახდა“, „სტუდენტი“, „სესხი“, „შესაძლებლობა“, „სკოლა“ და „დაზღვევა“). თვალში მოგხვდებოდათ, რომ ამ ჩამონათვალში ნახსენები არ იყო სახალხო მოხმარების საქონელი. ქვეტექსტების გასაზრებლად კონკზალმა მიმართა ჩემს წიგნს ვალის შესახებ:

„ანთროპოლოგ დევიდ გრებერს ისტორიკოს მოზეს ფინლის სიტყვები მოჰყავს, რომელმაც დაადგინა: „წინა ეპოქების უცვ-

ლედი რევოლუციური პროგრამა, რომელიც ვალების გაბათილებასა და მიწების ხელახალ გადანაწილებას მოიცავდა, მუშათა კლასის კი არა, გლეხობის დევიზია“. განვიხილოთ ეს შემთხვევები. ამ განცხადებათა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მოთხოვნას შემდეგი ფორმით: (1) გაგვათავისუფლეთ ამ ვალების ტყვეობიდან და (2) მოგვეცით მხოლოდ მინიმუმი, რომ არსებობა შევძლოთ და წესიერად ვიცხოვროთ (ან, ინდუსტრიამდელი ლექსიკა რომ გამოვიყენოთ: „მოგვეცით მიწა!“). ფინლის განმარტებით, ეს გლეხების მოთხოვნებია, და არა მუშათა კლასისა“. ¹⁰

კონკვალმა შენიშნა, რომ დროთა განმავლობაში ხალხის თვალსაწიერი დავიწროვდა: ჩვენ აღარ გვესმის მოთხოვნები, რომლებიც შეეხება სამუშაო ადგილების დემოკრატიული პრინციპით განაწილებას, შრომის ღირსებას (**ინგლ. dignity of labour – კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ყველა სახის სამუშაო თანაბარ პატივისცემას იმსახურებს. რედ.**), ან თუნდაც ეკონომიკურ სამართლიანობას. კაპიტალიზმის ამ ახალი, ფეოდალიზებული ფორმით გათელილნი, შუა საუკუნეების გლეხების მდგომარეობამდე არიან დასულნი და აღარაფერს ითხოვენ, გარდა იმისა, რომ ჰქონდეთ საშუალება, საკუთარი ცხოვრება თავად მოიწონ. მაგრამ, როგორც მალევე სხვებმაც აღნიშნეს, აქ, გარკვეულწილად, საქმე გვაქვს პარადოქსთან, რადგან, საბოლოო ჯამში, თვალსაწიერი კი არ შევიწროვებულა, გაფართოვდა. კაპიტალიზმის მომხრეების არგუმენტი ყოველთვის ასეთი იყო: როგორც ეკონომიკური სისტემა, ის, რა თქმა უნდა, უზარმაზარ უთანასწორობას წარმოშობს, მაგრამ მისი ზოგადი ზემოქმედების შედეგი არის სწრაფვანებისმიერი, თითქოს არაფრით გამორჩეული ადამიანის კიდევ უფრო მეტი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისაკენ. ჩვენ მივედით იმ წერტილამდე, როცა მსოფლიოს უმდიდრეს კაპიტალისტურ ქვეყანაშიც კი სულ უფრო იზრდება მოსახლეობის ის ნაწილი, რომლისთვისაც სისტემა ვერ უზრუნველყოფს სიცოცხლის მინიმალურ უსაფრთხოებას, ან თუნდაც ცხოვრების საარსებო მინიმუმს. ვერ გავექცევით დასკვნას, რომ ერთადერთი გზა, რომლითაც შევძლებთ, დავიბრუნოთ ცხოვრება, რომელშიც ადამიანის პიროვნული ღირსება ოდნავ მაინც დაფასდება, არის სრულიად ახალი სისტემის შემოღება. ¹¹

პირადად მე მთელი ეს დისკუსია შეიძლება კონკრეტული მაგალითების მეშვეობით სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად გამომადგეს. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი ანალიზი, თავისთავად, არაფერს გამოავლენს, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მივანიჭებთ პირველხარისხოვან მნიშვნელობას. როდესაც Tumblr-ის გვერდი პირველად ჩავიკითხე, ჩემზე ძალიან იმოქმედა იმან, რომ ქალების მხრიდან გამოხმაურებები ჭარბობდა; თანაც ისინი ითხოვდნენ, ჰქონოდათ არა ღირსეული ცხოვრების, არამედ სხვაზე ზრუნვის საშუალება. ეს უკანასკნელი აშკარა იყო ორ ასპექტში. პირველი: ფაქტია, რომ ბევრი მათგანი, ვინც გადანყვიტა, თავისი ამბავი მოეთხრო, მუშაობდა ან სურდა, ემუშავა ისეთ სამსახურში, რომელიც სხვებზე ზრუნვას გულისხმობდა – ეს იყო ჯანდაცვა, განათლება, თემთან მუშაობა, სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა და ა.შ. ამ ამბების მთელი სიმწვავე იმ პარადოქსს უკავშირდება, რომელიც არავის უხსენებია: დღესდღეობით ამერიკაში იმგვარი სამსახურის პოვნა, რომელიც სხვებზე ზრუნვის საშუალებას იძლევა, ჩვეულებრივ, ნიშნავს იმას, რომ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდები, შეიძლება წესიერად საკუთარ ოჯახზეც ვეღარ იზრუნო. ეს, რასაკვირველია, უკვე მეორე ასპექტია. სიღარიბესა და ვალს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვინც თავის ცხოვრებას სხვებთან ურთიერთობაზე აგებს: ეს ნიშნავს, რომ საკუთარი ქალიშვილისათვის დაბადების დღეზე საჩუქარს ვერ ყიდულობ; ან ხედავ, რომ მას დიაბეტის სიმპტომები უვითარდება, შენ კი არ გაქვს საშუალება, ექიმს გაასინჯო; ანდა, დედა შეიძლება ისე გარდაგეცვალოს, რომ ვერასოდეს შეძლო, ერთი-ორი კვირით შევბუღება აიღო და ის სადმე დასასვენებლად წაიყვანო, თუნდაც ერთხელ მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

ოდესღაც ამერიკაში ოჯახის მარჩენალი იყო მამაკაცი, სანი-მუშო, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მუშათა კლასის წარმომადგენელი, რომელიც საავტომობილო ან ფოლადის სამსხმელო ქარხანაში მუშაობდა. ახლა კი ამ ფუნქციას უმეტესად მარტოხელა დედა ასრულებს, რომელიც მასწავლებლად ან მედდად მსახურობს. მამაკაცებთან შედარებით, ალბათ უფრო მეტი ქალი შედის კოლეჯში, ალბათ უფრო მეტი ამთავრებს მას და ალბათ უფრო მეტი შეიძლება გაღარიბდეს. ეს ის სამი ელემენ-

ტია, რომლებიც კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პოლიტიკურ შეგნებას. პროფკავშირების როლი ჯერ კიდევ მცირეა: პროფკავშირის წევრთა მხოლოდ 45%-ია ქალი, მაგრამ თუ მიმდინარე ტენდენციები შენარჩუნდა, რვა წელიწადში ქალები უმრავლესობაში იქნებიან. შრომის ეკონომიკის სპეციალისტის, ჯონ შმიტის დავირვებით, „უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე პროფკავშირებში ქალთა რიცხვის მკვეთრი ზრდის მომსწრენი გავხდით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათში გაერთიანების სურვილი მომსახურების სექტორის მუშაკებმაც გამოთქვეს“. „მოსაზრება, თითქოს პროფკავშირები მხოლოდ 50 წლის თეთრკანიანი მამაკაცებისათვისაა, სწორი არ არის“, აცხადებს ის.

გარდა ამისა, შეხედულებების ეს თანხვედრა სამუშაოს ცნების სწორედ ჩვენეული გააზრების თანდათანობით შეცვლას იწვევს. ჩემი აზრით, კონკრეტული შეცდა, როცა თქვა, რომ ეს 99% შრომის ღირსებაზე საერთოდ აღარ ფიქრობს. სწორედ რომ პირიქით, ეს ადამიანები აფართოებენ მნიშვნელოვანი სამუშაოს ცნების ტრადიციულ გაგებას და მასში გულისხმობენ ყველაფერს, რასაც არა ჩვენთვის, არამედ სხვებისთვის ვაკეთებთ.

შეკითხვა 4

რატომ თქვა უარი მოძრაობამ, წამოეყენებინა მოთხოვნები, ან დაპირისპირებოდა არსებულ პოლიტიკურ სისტემას? რატომ გახადა ამ უარმა მოძრაობა გაცილებით მიმზიდველი და არა პირიქით?

შეიძლება გვეფიქრა, რომ ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები თავიანთი პრობლემების დაუყოვნებლივ, პრაგმატულად გადაჭრას მოისურვებდნენ. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო საოცარია ფაქტი, რომ ისინი შეუერთდნენ იმ მოძრაობას, რომელიც საერთოდ უარს ამბობდა, პირდაპირ არსებული პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის მიემართა.

რასაკვირველია, ამან ძალიან განაცვიფრა კორპორაციული მედიის წარმომადგენლები, იმდენად, რომ მათ უარი განაცხადეს,

ელიარებინათ ის, რაც პირდაპირ მათ თვალწინ ხდებოდა. თავდაპირველად საშინელება იყო – ჯინია ბელაფონტეს მიერ The Times-ში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ყველა სახის მედიასაშუალებებში დაუსრულებელი აურზაური ატყდა – ისინი Occupy-ს არასერიოზულობაში ადანაშაულებდნენ, რადგან მან უარი თქვა, კონკრეტული მოთხოვნების ჩამონათვალი წამოეყენებინა. თითქმის ყოველთვის, როდესაც წამყვანი მედიასაშუალებების ჟურნალისტებს Occupy Wall Street-ის შესახებ ინტერვიუს ვაძლევ, ვისმენ ერთსა და იმავე სენტენციას სხვადასხვა ფორმულირებით:

როგორ აპირებთ შედეგის მიღწევას, თუკი არ გინდათ ლიდერთა სტრუქტურის შექმნა ან მოთხოვნათა ჩამონათვალის შედგენა? და რა არის მთელი ეს ანარქისტული ნონსენსი-კონსენსუსი – გაფარჩხული თითები? ვერ ხვდებით, რომ ეს რადიკალური ენა ხალხს დაგაშორებთ? ამ გზით ვერასოდეს შეძლებთ ნამდვილი ამერიკელების გულებადმე მისვლას.

როდესაც სვამ კითხვებს: ა) რატომ ამბობს უარს Occupy Wall Street ლიდერობის სტრუქტურის შექმნაზე? და ბ) რატომ არ წამოვაცენეთ კონკრეტული პოლიტიკის პროგრამა? ეს ნიშნავს, რომ წამოჭრი ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვა ფორმით: რატომ არ გვაქვს კონტაქტი არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურასთან, რომ, საბოლოოდ, მისი ნაწილი გავხდეთ?

ვინმემ რომ სამახსოვრო ალბომი შეადგინოს, რომელშიც შეიტანდა ყველა დროის ყველაზე ცუდ რჩევებს, ამგვარი რჩევა ალბათ მასში საპატიო ადგილს დაიკავებდა. 2008 წლის ფინანსური კატასტროფის შემდეგ დაუსრულებლად ცდილობდნენ, ეროვნული მოძრაობა ამერიკის ფინანსური ელიტის მიერ წარმოებული ძარცვა-გლეჯისათვის დაეპირისპირებინათ, თანაც იმ მიდგომების გამოყენებით, რომლებსაც ამ ტიპის ჟურნალისტები გვთავაზობდნენ. ყველა მათგანი წარუმატებელი აღმოჩნდა. უმეტესობა ძალიან ცუდად დამთავრდა.* მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოჩნდა მოძრაობა, რომელიც გადაჭრით ამბობდა უარს, ტრადიციული გზით ევლო, რომელიც უარყოფდა არსებულ

* ამის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია უფრო ადრე, 2011 წლის 14 ივნისს, ჯგუფ Empire State Rebellion-ის მოწოდება ზუკოტის პარკის დასაკავებლად ფედერალური რეზერვის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, ბენ ბერნანკეს გადადგომის მოთხოვნით. ამ აქციაზე მხოლოდ ოთხი კაცი მივიდა.

პოლიტიკურ სისტემას, როგორც თავისი არსით უზნეოს, რომელიც მოუწოდებდა ამერიკული დემოკრატიის სრულად განახლებისაკენ, „ოკუპაციები“ ძალიან მალე მთელ ქვეყანას მოედო. აშკარაა, რომ მოძრაობა წარმატებული აღმოჩნდა არა „იმის მიუხედავად“, რომ მასში ანარქისტული ელემენტი იდო, არამედ სწორედ ამ ფაქტორის გამო.

a ანარქისტებისათვის (როგორიც თავადაც გახლდით, ანუ ისეთი ადამიანებისათვის, რომლებსაც დიდ კოალიციაში მუშაობა სურთ იქამდე, სანამ თანამშრომლობა ჰორიზონტალურ პრინციპებზე იქნება აგებული) ეს ფორმა სწორედ ის იყო, რაზედაც ამდენი ხნის განმავლობაში ვოცნებობდით. ათწლეულების განმავლობაში ანარქისტული მოძრაობის წევრები ჩვენი შემოქმედებითი ენერგიის უმეტეს ნაწილს ეგალიტარული (ის, რაც თანასწორობას, თანასწორუფლებიანობას უკავშირდება. რედ.) პოლიტიკური პროცესების განვითარებას ვახმარდით, რომლებსაც რეალური შედეგი ჰქონდა. საუბარია უშუალო დემოკრატიის ისეთ ფორმებზე, რომლებიც ნებისმიერ თვითმმართველ საზოგადოებაში იმუშავებს, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. მთელი ეს პროექტი იმ რწმენას ეფუძნებოდა, რომ თავისუფლება გადამდებია. ყველამ კარგად ვიცოდით ერთი რამ – პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, საშუალო ამერიკელი დაგერწმუნებინა იმაში, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება შეიძლება ჩამოაყალიბო ორატორული გამოსვლების საშუალებით. მაგრამ მათთვის ამის დემონსტრირება შეიძლებოდა. როცა შენი თვალთ ნახავ, რომ ათასი, ან ორი ათასი ადამიანი იღებს კოლექტიურ გადაწყვეტილებას თვითონ, ლიდერთა სტრუქტურის გარეშე, და მისთვის მოტივაციას მხოლოდ მორალური ნორმები და სოლიდარობა წარმოადგენს, – მართლა შეგეცვლება უმთავრესი შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს სინამდვილეში პოლიტიკა და, აქედან გამომდინარე, ადამიანის ცხოვრება. ჯერ კიდევ „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ დღეებში ჩვენ მივიჩნევდით, რომ თუკი შევძლებდით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც შეიძლება, მეტი ადამიანისათვის გაგვეცნო უშუალო დემოკრატიის ეს ახალი ფორმები, უშუალო დემოკრატიის ტრადიციები, საფუძველი ჩაეყრებოდა ახალ, გლობალურ დემოკრატიულ კულტურას. მაგრამ, როგორც

ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ აქტივისტთა გეტოებიდან გამოღწევა ცი ვერ შევძელით; ამერიკელთა უმეტესობამ ვერც კი გაიგო, რომ უშუალო დემოკრატია ჩვენი მოძრაობისთვის დამახასიათებელი ასეთი მნიშვნელოვანი შტრიხი იყო, რომელიც სხვებისგან გამოგვარჩევდა; მედიამ მათი ყურადღება გადაიტანა „შლემებიანი“ ახალგაზრდების იმიჯზე, რომლებიც ვიტრინებს ამსხვრევდნენ; რეპორტიორები გამუდმებით ამტკიცებდნენ, რომ მთელი ამ დისკუსიების საგანი იყო დადებითი და უარყოფითი მხარეები იმისა, რასაც ისინი დაჟინებით მოიხსენიებდნენ „თავისუფალ ვაჭრობად.“ 2003 წლის შემდეგ, როცა ომის საწინააღმდეგო მოძრაობებმა ასიათასობით ამერიკელის მობილიზება შეძლო, ამერიკაში აქტივიზმი შენელდა და ის იერარქიული კოალიციების ძველებურ ვერტიკალურ პოლიტიკას, ქარიზმატულ ლიდერებსა და ტრანსპარანტებიან დემონსტრაციებს დაუბრუნდა. მაგრამ ბევრმა უდრეკი სულის ადამიანმა ჩვენ შორის მაინც შეინარჩუნა ურყევი რწმენა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ საკუთარი ცხოვრება სწორედ ამ პრინციპს მივუძღვენით – რომ მთავარია რწმენა, რომელსაც ვერაფერი მოერევა. მაგრამ ამავე დროს ჩვენ, შეიძლება ითქვას, ვერ შევნიშნეთ ერთი რამ – უკვე აღარც გვჯეროდა, რომ შესაძლოა, მართლა მოგვეპოვებინა გამარჯვება.

და მოგვიანებით ასეც მოხდა. როდესაც ბოლოს ზუკოტის პარკში მივედი, მანამდე, ვიდრე იქიდან გამოგვაცივებდნენ, და ვუყურებდი, როგორ იყენებდა მასობრივი შეკრებების დროს

* ტერმინი „თავისუფალი ვაჭრობა“, „თავისუფალი ბაზრისა“ და „თავისუფალი წარმოების“ მსგავსად, აშკარად პროპაგანდისტულია. სინამდვილეში მოძრაობა უპირისპირდებოდა პლანეტის მასშტაბით მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ეფექტური ადმინისტრაციული ბიუროკრატის წარმოშობას – ამის მაგალითია საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვ., რომლებიც ევროპის კავშირისა (იგულისხმება 1992 წელს დადებული მასტრიხტის შეთანხმება, რომლის საფუძველზე და ევროპის თანამეგობრობის ბაზაზე შეიქმნა ევროპის კავშირი – ევროპის 12 ქვეყნის ეკონომიკური ასოციაცია. რედ.) და NAFTA-ს (ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. 1992 წელს მას ხელი მოაწერეს კანადის, აშშ-ისა და მექსიკის პირველმა პირებმა. რედ.) მსგავსი ხელშეკრულებების დადების შედეგად შეიქმნა – თითქოსდა, გლობალური ვაჭრობის ხელშეწყობისა და რეგულირების მიზნით; ან, უფრო ზუსტად, მოძრაობა მიიჩნევდა, რომ ამ ორგანოების არსებობა, დემოკრატიული თვალსაზრისით, უცნაური იყო და ისინი ფინანსური იმპერიალიზმისა და გლობალური ძარცვა-გლეჯის შირმას წარმოადგენდნენ. ჩემს მოსაზრებებს ამ მოძრაობის შესახებ შეგიძლიათ, გაეცნოთ ჩემს ნაშრომში: Direct Action: An Ethnography (Oakland: AK Press 2009).

ჩვენს ყველა ძველ ჟესტების ნიშანს ადამიანების მრავალ-ფეროვანი ჯგუფი, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა-გან შედგებოდა (შუახნის მშენებლებიდან დაწყებული, ახალგაზ-რდა მხატვრებით დამთავრებული), ჩემმა ძველმა მეგობარმა, „ხეზე მჯდომარე“ ეკონარქისტმა პრიამ, რომელიც ახლა პარკში ვიდუდოკუმენტალისტის მოვალეობას ასრულებდა, გამიმხილა: „დროდადრო საკუთარ თავს ვჩქმეტ, რათა დავრწმუნდე, რომ ეს ყველაფერი სიზმარი არ არის.“

მაშასადამე, საკვანძო შეკითხვა ასე ჩამოყალიბდება: მთა-ვარი ის კი არაა, თუ რატომ დაიწყო საბოლოოდ უოლსტრიტის სანინალმდეგო მოძრაობა (სიმართლე გითხრათ, 2008 წლის კო-ლაფსის შემდეგ ბევრს უკვირდა, თუ რატომ არ დაიწყო ამგვარი რამ) არამედ ის, თუ რატომ მიიღო მან ეს ფორმა? პასუხი თა-ვისთავად ცხადია. ერთი რამ, რაც ამერიკაში ყველა იმ ადამიანს აერთიანებს, რომლებიც პოლიტიკურ ფენას (მემარცხენეს თუ მემარჯვენეს) არ მიეკუთვნებიან, არის ანტიპათია პოლიტიკოსთა მიმართ. განსაკუთრებით „ვაშინგტონი“ აღიქმება საფუძველშივე გახრწნილ უცხო სხეულად, რომლის ძალაუფლება და გავლენა საპნის ბუშტს ჰგავს. 2008 წლიდან მოყოლებული, თითქმის შეუ-ძლებელი გახდა იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ ვაშინგტონი მოწოდებულია, უოლსტრიტის ინტერესებს ემსახუროს. თუმცა ეს მაინც ვერ ხსნის, თუ რატომ მოიზიდა ამდენი ადამიანი მოძ-რაობამ, რომელიც აბსოლუტურად უარყოფდა ნებისმიერი სახის არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს.

ჩემი აზრით, პასუხი კვლავაც მთელ თაობას მოიცავს. ზუ-კოტის პარკის პირველი „ოკუპანტების“ საუბარს თავიანთ გა-ნათლებაზე, ფინანსურ და სამსახურებრივ მდგომარეობაზე რე-ფრენად გასდევდა აზრი: „მე წესიერად ვცხოვრობდი. ვაკეთებდი სწორედ იმას, რასაც ყველა მოელოდა ჩემგან და ნახეთ, ამან სადამდე მიმიყვანა!“ ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ამ ახალ-გაზრდების პოლიტიკურ გამოცდილებაზეც.

ოცდახუთ წლამდე ამერიკელების უმეტესობის პირველი შეხება პოლიტიკასთან 2006 და 2008 წლებს უკავშირდება, როდესაც წინა წლებთან შედარებით ორჯერ მეტი ახალგაზრ-და მივიდა არჩევნებზე და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ

ხმა მისცა დემოკრატებს. ბარაქ ობამას წინასაარჩევნო კამპანია საგულდაგულოდ იყო დაგეგმილი, რომ პროგრესული ახალგაზრდობის სიმპათია მოეპოვებინა, და ის მართლაც შთამბეჭდავი შედეგებით დასრულდა. ძნელი არაა იმის გახსენება, რომ ბარაქ ობამა არამარტო „ცვლილებების“ მომტან კანდიდატად დასახელდა, ის უხვად იყენებდა ფრაზებს, რომლებსაც რადიკალური სოციალური მოძრაობების ლექსიკიდან სესხულობდა („დიახ, ჩვენ ეს შეგვიძლია!“ გადმოღებული იყო United Farm Workers-ის წარმომადგენლის, სესარ ჩავესის სიტყვებიდან **(სესარ ესტრადა ჩავესი (1927-1993) – ცნობილი ამერიკელი უფლებადამცველი, აშშ-ის ნაციონალური გმირი, აშშ-ის „სოფლის მეურნეობის მუშაკთა ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, წარმოშობით მექსიკელი. რედ.);** „თავად გახდი ცვლილება!“ – ამ გამოთქმას ხშირად განდის მიაწერენ). ობამას თემის ორგანიზების გამოცდილება ჰქონდა და მემარცხენე „ახალი პარტიის“ (New Party) წევრი გახლდათ, რის გამოც ის ერთ-ერთი იყო ბოლო დროის იმ რამდენიმე კანდიდატთაგან, რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ ისინი სოციალური მოძრაობიდან მოვიდნენ და არა კულისებს მიღმა გამართული მოლაპარაკებების საფუძველზე და მაქინაციების საშუალებით, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. უფრო მეტიც, მისი წინასაარჩევნო კამპანია, რომელშიც მოსახლეობის ფართო მასები მონაწილეობდნენ, უფრო მეტად საზოგადოებრივ მოძრაობას ნააგავდა; ახალგაზრდა მოხალისეებს კი არ ავალებდნენ, აგიტაციის მიზნით ტელეფონზე ერეკათ ან კარდაკარ ევლოთ, არამედ სტიმულს აძლევდნენ, შეექმნათ მყარი, სიცოცხლისუნარიანი ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნების შემდგომაც დიდხანს გააგრძელებდნენ მუშაობას პროგრესული მიზნების მისაღწევად – მხარს დაუჭერდნენ გაფიცვებსა და ბოიკოტებს, შექმნიდნენ ე.წ. საკვების ბანკებს **(ესაა ადგილი, სადაც აგროვებენ საკვებს ღარიბი და უმწეო მოსახლეობისთვის. რედ.);** ორგანიზებას გაუწევდნენ ადგილობრივ გარემოს დაცვით კამპანიებს. ყოველივე ამან, იმ ფაქტთან ერთად, რომ ობამა პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტი გახდებოდა, ახალგაზრდებს გაუჩინა იმის განცდა, რომ მოვლენები, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ, ამერიკის ისტორიაში ქვეყნის მართლად გარდამტეხ მომენტს წარმოადგენდა და დიდ ცვლილებებს მოასწავებდა.

უდავოა, რომ იმ ახალგაზრდების უმეტესობა, რომლებიც ობამას საარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართული, ან მხარს უჭერდნენ მას, კარგად ჯერ თავადაც ვერ გარკვეულიყვნენ, თუ რამდენად დიდი გარდაქმნა მოჰყვებოდა ყოველივე ამას. მაგრამ ისინი მზად იყვნენ ძირფესვიანი ცვლილებებისათვის თავად ამერიკის დემოკრატიის სტრუქტურაში. გვახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ქვეყანაში, სადაც „მისალები“ პოლიტიკური მოსაზრება ისეთ ვიწრო ჩარჩოშია მოქცეული **(დედანში გამოყენებულია მეტაფორა „გიჟის პერანგი აცვია“, რაც, კონტექსტის გათვალისწინებით, შეესაბამება „პროკრუსტეს სარეცელს“.** რედ.), ვერც პოლიტიკოსი და ვერც მედიაექსპერტი ვერაფერს იტყვიან ისე, რომ არ „ჩამოწერონ“ და ფანატიკოსად არ მონათლონ. ამიტომ ამერიკის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი საკუთარ პოზიციას ხმამაღლა არც კი აფიქსირებს. წარმოდგენა რომ შეგვექმნას, თუ რამდენად დაშორდა ერთმანეთს „მისალები“ მოსაზრება და ამერიკელი ამომრჩევლების რეალური განწყობა, განვიხილოთ რასმუსენის *(იგულისხმება სკოტ რასმუსენის (დაიბ. 1956 წ.), ამერიკელი პოლიტიკის ანალიტიკოსის, მიერ დაარსებული კომპანია Rasmussen Reports, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კვლევას ახორციელებს. მთარგმ.)* მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგები. მათგან ერთი 2008 წლის დეკემბერში ჩატარდა, ობამას არჩევიდან ძალიან მალე, ხოლო მეორე – 2011 წლის აპრილში.

ამერიკელთა საკმაოდ დიდ ნაწილს დაუსვეს კითხვა, თუ რომელ ეკონომიკურ სისტემას უჭერდნენ მხარს – კაპიტალიზმს თუ სოციალიზმს. 2008 წელს 15% თვლიდა, რომ შეერთებული შტატებისათვის უმჯობესი იქნებოდა სოციალისტური სისტემის შემოღება; სამი წლის შემდეგ ეს რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ყოველი მეხუთე ასე მიიჩნევდა. კიდევ უფრო საკვირველ მონაცემებს იძლეოდა სტატისტიკა, რომელიც ასაკობრივ კლასიფიკაციას ეყრდნობოდა: რაც უფრო ახალგაზრდა იყო რესპონდენტი, მით უფრო ეწინააღმდეგებოდა იდეას, დარჩენილი ცხოვრება კაპიტალისტურ სისტემაში გაეტარებინა. თხუთმეტიდან ოცდახუთ წლამდე ამერიკელთა შორის უმრავლესობას მაინც კაპიტალიზმი ერჩია: მათი რიცხვი 37% იყო, ხოლო სოციალიზმის მომხრეებისა – 33% (დანარჩენ 30%-ს არჩევანის გაკეთება გაუჭირდა). მოდი, დავუკვირდეთ ზემოაღნიშნულ

სურათს. ეს ნიშნავს, რომ ამერიკელი ახალგაზრდების თითქმის ორ მესამედს უნდა, განიხილოს მთლიანად კაპიტალისტური სისტემის გაუქმების იდეა. ეს მართლაც უჩვეულოა იმ ქვეყანაში, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობას არც კი უნახავს, რომ რომელიმე პოლიტიკოსი, ექსპერტი, ტელეგადაცემის წამყვანი თუ მოწვეული სტუმარი, პრინციპში, ეწინააღმდეგებოდეს კაპიტალიზმის იდეას, ან იყენებდეს ტერმინ „სოციალიზმს“ რაიმე კონტექსტში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უნდა, მის მიმართ თავისი შემწყნარებლური და დამცინავი დამოკიდებულება გამოხატოს. ცხადია, სწორედ ამ მიზეზის გამო ძნელია, ზუსტად განსაზღვრო, კონკრეტულად რას გულისხმობენ ახალგაზრდები, როდესაც ამბობენ, რომ „სოციალიზმი“ ურჩევნიათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არ არის ეკონომიკური მოდელი, რომელსაც ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო ეფუძნება. მაშ, რომელი ქვეყნის? შვედეთის? კანადის? ამის თქმა შეუძლებელია. მეორე მხრივ, ამას დიდი მნიშვნელობა არცაა აქვს. შესაძლოა, ბევრმა ამერიკელმა არც კი იცოდეს, რას უნდა გულისხმობდეს ცნება „სოციალიზმი“, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი რამ იცის კაპიტალიზმის შესახებ. და თუ სოციალიზმი მათთვის რაიმეს ნიშნავს, ეს არის „სხვა რაღაც“, ან, უკეთ რომ ვთქვათ, „რაღაც, სულერთია რა, ოღონდ ეს არა“. მეორე გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რამდენად უკიდურეს ზღვრამდეა მისული სიტუაცია: რესპონდენტებს სთხოვეს, არჩევანი გაეკეთებინათ კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის. ათიდან ერთმა ამერიკელმა განაცხადა, რომ ამჟამად არსებულ ეკონომიკურ სისტემას საბჭოთა სტილის სისტემა ერჩია.

2008 წელს ახალგაზრდა ამერიკელების 68%-მა მისცა ხმა ობამას, ხოლო 30%-მა – მაკკეინს. ობამამ ხმების დაახლოებით ორი მესამედის უპირატესობით გაიმარჯვა.

საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ უმეტესობა ახალგაზრდა ამერიკელებისა, რომლებმაც ხმა ობამას მისცეს, იმაზე ცოტათი მეტს მაინც მოელოდნენ, ვიდრე მიიღეს. მათ ეგონათ, რომ მხარი დაუჭირეს, ფიგურას, რომელიც ცვლილებებს განახორციელებდა. ბევრი მართლა ელოდა სისტემის ფუნდამენტურ გარდაქმნას, ოღონდ არ იცოდნენ, კონკრეტულად როგორ უნდა წარმართულიყო ეს პროცესი. რა უნდა ეგრძნოთ ახალგაზრდა ამერიკელ ამომრჩევლებს, როდესაც აღმოაჩინდნენ, რომ სინამდვილეში მათ ზომიერი კონსერვატორი აირჩიეს?

ძირითადი პოლიტიკური ტენდენციების ფონზე ეს განცხადება შეიძლება გაზვიადებადაც ჩაითვალოს, მაგრამ სიტყვა „კონსერვატორს“ მე მხოლოდ მისი პირდაპირი მნიშვნელობით ვიყენებ. ამ აზრით ახლა მას იშვიათად თუ გაიგონებ. დღესდღეობით „კონსერვატორი“, ძირითადად, „მემარჯვენე რადიკალს“ ნიშნავს, ყოველ შემთხვევაში, ამერიკაში ასეა. დიდი ხნის მანძილზე ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობა იყო შემდეგი: „ადამიანი, რომლის მთავარი პოლიტიკური ამოცანა არის არსებული ინსტიტუციური სტრუქტურების დაცვა სტატუს-კვოს შენარჩუნების მიზნით“. ეს კი სწორედ ისეთი პოლიტიკოსია, როგორიც ობამა აღმოჩნდა. მისი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძალისხმევა ემსახურებოდა მუქარით შენარჩუნებას ისეთი ინსტიტუციური სტრუქტურებისა, როგორიცაა: საბანკო სისტემა, საავტომობილო ინდუსტრია და ჯანმრთელობის დაზღვევის ინდუსტრიაც კი. როცა ობამა ჯანდაცვის სისტემის რეფორმის განხორციელებისაკენ მოუწოდებდა, მისი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ მოგებაზე ორიენტირებულ კერძო სადაზღვევო კომპანიებზე დაფუძნებული არსებული სისტემა, ეკონომიკური თვალსაზრისით, სიცოცხლისუნარიანი არ იყო, დიდხანს ვერ გაძლებდა და აუცილებელი გახდებოდა გარკვეული სახის ცვლილებები. რა გამოსავალს გვთავაზობდა ის? კანონიერებისა და მდგრადობის მიმართულებით სისტემის ჭეშმარიტად რადიკალური (ან თუნდაც ლიბერალური) რესტრუქტურიზაციის ნაცვლად მან აღადგინა რესპუბლიკელების მოდელი, რომელიც მათ პირველად 1990 წელს წამოაყენეს, როგორც კლინტონისეული უნივერსალური ჯანდაცვის გეგმის კონსერვატიული ალტერნატივა. იმ მოდელის დეტალები ისეთი მემარჯვენე კვლევითი ინსტიტუტების მიერ იქნა შემუშავებული, როგორიც იყო, მაგალითად, Heritage Foundation (ფონდი „მემკვიდრეობა“ – აშშ-ის სტრატეგიული კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო პოლიტიკის ფართო სპექტრის კვლევებს; ხასიათდება კონსერვატორული მიმართულებით. რედ.). პირველად მას ხორცი შეასხა მასაჩუსეტსის რესპუბლიკელმა გუბერნატორმა. მის „მიმზიდველობას“, არსებითად, კონსერვატორულობა განაპირობებდა: ის ვერ ქმნიდა კანონიერ და მოსახერხებელ ჯანდაცვის სისტემას; სამაგიეროდ, უზრუნველყოფდა, შენარჩუნებულიყო არსებული უსამართლო და არამდგრადი, მოგებაზე ორიენტირებული

სისტემა იმ ფორმით, რომელიც, სულ მცირე, კიდევ ერთ თაობის არსებობის მანძილზე გაძლებდა.

იმ კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც აშშ-ის ეკონომიკა იყო 2008 წელს, როდესაც ობამა ხელისუფლებაში მოვიდა, შეუპოვარი, გმირული ძალისხმევა სჭირდებოდა ისტორიულ კატასტროფაზე იმგვარ რეაგირებას, რომ ყველაფერი არსებული ფორმით შენარჩუნებულიყო, მეტნაკლებად მაინც. ობამამ სწორედ ეს მოახერხა, რის შედეგადაც სტატუს-კვო ყველა კუთხით ნამდვილად ხელუხლებლად შენარჩუნდა. სისტემის არც ერთი ნაწილი არ შერყეულა. არ მომხდარა ბანკების ნაციონალიზაცია, არ დაშლილა ინსტიტუციები, რომლებიც „მეტისმეტად დიდნი იყვნენ საიმისოდ, რომ გაკოტრებულიყვნენ“, არ შესულა მნიშვნელოვანი ცვლილებები საფინანსო კანონმდებლობაში, არაფერი შეცვლილა საავტომობილო ან რომელიმე სხვა ინდუსტრიის სტრუქტურაში, არ განხორციელებულა ცვლილებები კანონებში შრომის, ნარკოტიკების ან ექვმიტანილზე კონტროლის შესახებ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, განათლების, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სამხედრო სფეროებში, და, რაც ყველაზე უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია, მიუხედავად კანდიდატის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხალხისთვის მიცემული დაპირებებისა, ფულმა შეინარჩუნა ადრინდელი როლი პოლიტიკურ სისტემაში. ქვეყნის ხაზინიდან მასობრივად გაიცა თანხები, ფინანსური, საწარმოო და ჯანდაცვის სფეროები რომ კრახისგან გადაერჩინათ, რის სანაცვლოდაც მათ თავიანთ პრაქტიკაში მხოლოდ მინიმალური ცვლილებების განხორციელება მოსთხოვეს.

„პროგრესული საზოგადოება“ ამერიკაში წარმოდგენილია მემარცხენეთა მომხრე ამომრჩევლებითა და აქტივისტებით, რომლებსაც სჯერათ, რომ დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობა ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების საუკეთესო გზაა. ჩემი აზრით, მათი განწყობის უკეთ გააზრებისათვის უნდა გავეცნოთ ლიბერალურ ბლოგ Daily Kos-ზე გამართულ დისკუსიებს. ობამას პრეზიდენტობის პირველი ვადის მესამე წლისათვის მრისხანება (და შეიძლება ითქვას, სიძულვილიც კი) მის მიმართ, ასახული ამ ბლოგზე, ყოველგვარ ზღვარს გადადიო-

და.* მას გამუდმებით სდებდნენ ბრალს თაღლითობაში, სიცრუეში, რესპუბლიკელებთან საიდუმლო გარიგებაში; აღნიშნავდნენ, რომ მან „ორპარტიული კომპრომისის“ საბაბით განზრახ გაუშვა ხელიდან მის ხელთ არსებული ყველა შანსი, პროგრესული ცვლილებები განეხორციელებინა. ამ დებატებისას გამოვლენილი ძლიერი სიძულვილი შესაძლოა, გასაკვირი იყოს, მაგრამ, ამავე დროს, სავსებით გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ ერთ გარემოებას – ამ ადამიანებს გულმხურვალედ სჯეროდათ, რომ შეერთებულ შტატებში არჩევნების გზით პროგრესული პოლიტიკის გატარება შეიძლებოდა. რაკი ობამამ ამის გაკეთება ვერ შეძლო, ხალხს ისლა დარჩენოდა, დაესკვნა, რომ ნებისმიერი ამგვარი პროექტი განწირული იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ვარსკვლავებს ამერიკის პოლიტიკურ ცაზე შეიძლებოდა, ოდესმე კიდევ ჰქონოდათ ისეთი ხელსაყრელი განლაგება, როგორიც 2008 წელს? იმ წელს არჩევნები ისე წარიმართა, რომ დემოკრატებს კონგრესის ორივე პალატის გაკონტროლების შესაძლებლობა მიეცათ; დემოკრატიული პარტიის კანდიდატი „ცვლილების“ პლატფორმით მოვიდა ხელისუფლებაში მაშინ, როდესაც ეკონომიკური კრიზისი ისეთ ფაზაში შევიდა, რომ რადიკალური ზომების მიღება გარდაუვალი იყო. ამ პერიოდში რესპუბლიკელთა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უკიდურესი დისკრედიტაცია განიცადა და ხალხი ისე ბრაზობდა ქვეყნის ფინანსურ ელიტაზე, უმეტესობა მზად იყო, მხარი დაეჭირა მის წინააღმდეგ მიმართული თითქმის ნებისმიერი პოლიტიკისათვის. იმ დროს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების თანახმად, ამერიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა იპოთეკართა დახმარების პროგრამას, მაგრამ არა იმ ბანკების კრიზისიდან გამოყვანას, „რომლებიც მეტისმეტად დიდები იყვნენ საიმისოდ, რომ გაკოტრებულიყვნენ“ (რა უარყოფითი გავლენაც არ უნდა მოეხდინა ამას ეკონომიკაზე). ამ შემთხვევაში კი ობამას პოზიცია არათუ სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა, არამედ, ფაქტობრივად, უფრო კონსერვატორული,

* მდგომარეობა ცოტათი შეიცვალა, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის სამზადისი დაიწყო (**იგულისხმება ობამას მეორე წინასაარჩევნო პერიოდი. რედ.**), რადგან საკანონმდებლო საკითხებში კონკრეტული პრობლემების ნაკლებობა შეიმჩნეოდა და იგრძნობოდა რესპუბლიკელთა გამარჯვების აშკარა საფრთხე; მაგრამ ვეჭვობ, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ძალიან ბევრმა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანმა საერთოდ შეწყვიტა წინასაარჩევნო პოლიტიკისთვის თვალყურის დევნება.

ვიდრე ჯორჯ უოლკერ ბუშისა: დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის, ბარნი ფრენკის ზეწოლით, ბუშის ადმინისტრაცია, რომელიც უკვე ტოვებდა თეთრ სახლს, დათანხმდა, TARP-ის პროგრამაში (*The Troubled Asset Relief Program* – აშშ-ის მთავრობის პროგრამა ფინანსური სექტორის გასაძლიერებლად. ის წარმოადგენდა 2008 წლის სუბსტანდარტული იპოთეკური კრიზისის დასაძლევად მიმართული ღონისძიებების შემადგენელ ნაწილს. მთარგმ.) შეეტანა იპოთეკური სესხების ნაწილობრივი ჩამოწერა იმ პირობით, თუკი ამას ობამა დაამტკიცებდა. ობამამ გადაწყვიტა, არ დაემტკიცებინა. მნიშვნელოვანია, ეს გვახსოვდეს, რადგან შემდეგ გავრცელდა მითები, თითქოს ობამას იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ის რადიკალური სოციალისტი იყო და მეტისმეტად შეტოპა; სინამდვილეში დაუძლურებულმა და დაკნინებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ აღორძინება მხოლოდ იმიტომ შეძლო, რომ ობამას ადმინისტრაციამ უარი თქვა იდეოლოგიური ალტერნატივის შექმნაზე და ამის ნაცვლად რესპუბლიკელთა ეკონომიკური მიდგომების უმეტესობა გადმოიღო.

და მაინც, არავითარი რადიკალური ცვლილება არ განხორციელებულა; უოლსტრიტმა კიდევ უფრო დიდი გავლენა მოიპოვა პოლიტიკურ პროცესებზე, „პროგრესულ“ ნაწილს ამომრჩეველთა თვალში ჩირქი მოეცხო, რადგან ის ასოცირდებოდა, არსებითად, კონსერვატორულ, კორპორაციებისადმი კეთილგანწყობილ პოზიციასთან, და, რაკი რესპუბლიკური პარტია ერთადერთი ძალა აღმოჩნდა, რომელსაც რაიმე სახის რადიკალური პოზიციის დაჭერა სურდა, პოლიტიკურმა ცენტრმა მემარჯვენეებისაკენ გადაინაცვლა. ცხადია, თუკი პროგრესული ცვლილებები 2008 წელს არჩევნების გზით ვერ განხორციელდა, მათი გატარება სრულიად შეუძლებელი ყოფილა. ამერიკელი ახალგაზრდების დიდი უმრავლესობაც, როგორც ჩანს, სწორედ ამ დასკვნამდე მივიდა.

ციფრები თავად მეტყველებენ. 2008 წელს იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ, სამჯერ მეტი იყო ოთხი წლის წინანდელთან შედარებით, ბარაქ ობამას არჩევადან ორი წლის შემდეგ კი ის 60%-ით დაეცა. ეს არ მომხდარა იმის გამო, რომ ახალგაზრდა ამომრჩეველებმა პოზიციები შეიცვალეს (მათში, ვინც არჩევნებზე გამოცხადდა, დემოკრატების მხარდამჭერთა რაოდენობა პროცენტული თვალსაზრისით იგივე იყო,

რაც მანამდე), არამედ იმიტომ, რომ მათ საერთოდ აიღეს ხელი ამ პროცესზე,* რითაც საშუალო ასაკის „ჩაის სმის მოძრაობის“ წევრების უმრავლესობას არჩევნების პროცესის მართვისა და გაკონტროლების საშუალება მისცეს, და ობამას ადმინისტრაციაც, შესაბამისად, მორჩილად გადაიხარა მარჯვნივ.

ამგვარად, როგორც სამოქალაქო, ისე ეკონომიკურ საკითხებში ახალგაზრდა თაობას ყველანაირი საფუძველი ჰქონდა, ეფიქრა, რომ მან დადგენილი წესების თანახმად გააკეთა ყველაფერი, ისე, როგორც საჭირო იყო, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო. ობამამ ამ ადამიანებს სწორედ ის წაართვა, რის მიცემასაც დიდი რიხით ჰპირდებოდა – იმედი, იმედი იმისა, რომ ინსტიტუციური საშუალებებით რაიმე სახის მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების მომსწრენი გამხდარიყვნენ, რომლებიც მათ ცხოვრებას დაეტყობოდა. თუკი სურდათ მათ წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება, თუკი სურდათ, ამერიკაში ნებისმიერი ტიპის დემოკრატიული გარდაქმნა ენახათ, სხვა გზებისათვის უნდა მიემართათ.

შეკითხვა 5

რატომ ჰქონდა მოძრაობას ასე მკვეთრად გამოხატული რევოლუციური ხასიათი?

უკვე ყველაზე რთულ შეკითხვამდე მივედით. უკვე ნათელია, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც OWS-მა წარმატებას მიაღწია, სწორედ მისი რადიკალურობა იყო. არსებითად, მასში განსაკუთრებით ღირებული ისაა, რომ OWS არ ყოფილა, უბრალოდ, სახალხო, ან თუნდაც, უბრალოდ, რადიკალური მოძრაობა, არამედ სხვა რამ – ეს იყო რევოლუციური მოძრაობა. ის ანარქისტებმა და რევოლუციონერმა სოციალისტებმა წამოიწყეს – და პირველი შეხვედრების დროს, როცა მისი ძირითადი თემები და პრინციპები ჩამოყალიბების პროცესში იყო, რევოლუციონერი სოციალისტები უფრო მეტად კონსერვატორულ დაჯგუფე-

* ტიპური მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ილინოისში 2010 წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ოცდაათი წელს გადაცილებულ ამომრჩეველთა 54%-მა, ხოლო იმ ამომრჩეველთა რაოდენობამ, რომელთა ასაკიც ოცდაათი წელს ქვემოთ იყო, მხოლოდ 23% შეადგინა.

ბას წარმოადგენდნენ. ხელისუფლების მომხრენი ყოველთვის ცდილობდნენ, მიეჩქმალათ ეს საწყისი მონაცემები. მემარჯვენე კომენტატორები ხშირად გესლიანად აღნიშნავენ: უბრალო ამერიკელებს „რომ გაეგოთ“, თუ ვინ იყვნენ OWS-ის დანაშაულის ინიციატორები, მაშინვე მკვეთრად შეეცვლებოდათ განწყობა და დაიშლებოდნენ. სინამდვილეში ყველანაირი საფუძველი გვაქვს, გვჯეროდეს, რომ ამერიკელებს (პოლიტიკური სპექტრის რომელ მხარესაც არ უნდა იდგნენ ისინი) არამხოლოდ იმაზე მეტად სურთ რადიკალური გადაწყვეტილებების განხორციელება, ვიდრე ამას მედიასა და ოფიციალური აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მქონე პირები (ე. წ. opinion maker-ები) აღიარებენ; OWS-ის მიმზიდველობის ძირითადი მიზეზი სწორედ მისი ყველაზე უფრო რევოლუციური ასპექტებია – ის არ ცნობს არსებული პოლიტიკური ინსტიტუტების კანონიერებას, სურს, ეჭვქვეშ დააყენოს ჩვენი ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური პრინციპები. ცხადია, ყოველივე ეს წარმომბობს შეკითხვებს, რომლებსაც საკითხის სიღრმისკენ მივყავართ: „ვინ არიან სინამდვილეში ეს ადამიანები, რომლებიც „ქმნიან“, აყალიბებენ გაბატონებულ მოსაზრებას?“ „რას ემსახურებიან მასმედიის წამყვანი საშუალებები?“ აშშ-ში პატივს სცემენ მოსაზრებებს, რომლებსაც გამოთქვამენ ჟურნალისტები, განსაკუთრებით, ტელეჟურნალისტები, გაზეთების მიმომხილველები და პოპულარული ბლოგერები, რომლებიც ისეთ დიდი ვებგაზეთებისთვის წერენ, როგორიცაა The Atlantic და The Daily Beast. ეს ადამიანები საკუთარ თავს მოყვარულ სოციოლოგებად წარმოგვიდგენენ, რომლებიც ამერიკელი ხალხის პოზიციებსა და განწყობას მიმოიხილავენ. მათი განცხადებები იმდენად უცნაური, მცდარი და დამაბნეველია, რომ სურვილი გიჩნდება, საკუთარ თავს დაუსვა შეკითხვა, თუ რა ხდება სინამდვილეში. ერთი მაგალითი მახსენდება: როცა 2000 წელს ჯორჯ უოლკერ ბუშისა და ალ გორის არჩევნების შედეგები სასამართლოში გასაჩივრდა, გავლენის მქონე ექსპერტებმა და პოლიტიკურმა კომენტატორებმა მაშინვე დააფიქსირეს უკიდურესი პოზიცია, რომ „ამერიკელ ხალხს“ არ მოსწონდა გაწეული პროცესი და სურდა, საკითხი როგორმე სასწრაფოდ გადაწყვეტილიყო (მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის სასარგებლოდ გადაწყდებოდა ის). მაგრამ მალე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა გამოავლი-

ნა, რომ სინამდვილეში ამერიკელ ხალხს სწორედ რომ საპირისპირო რამ სურდა: აბსოლუტურ უმრავლესობას საკმაოდ კეთილგონივრული სურვილი ჰქონდა, გაეგო, თუ ვინ მოიგო რეალურად არჩევნები, რამდენი ხანიც არ უნდა დასჭირვებოდა ამის გარკვევას. თუმცა ამას ექსპერტებზე სრულებით არ უმოქმედა. ისინი მაშინვე გადაერთნენ „სხვა არხზე“ და განაცხადეს, რომ ის, რაც მათ ადრე თქვეს, შესაძლოა, ჯერჯერობით სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მაგრამ ძალიან მალე აუცილებლად ასე იქნებოდა (რასაკვირველია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათი მსგავსი ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენენ (opinion maker-ები), კვლავ დაუსრულებლად გააგრძელებდნენ ამ შეხედულების სხვებისთვის თავზე მოხვევას).

ისინი საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებების იგივე „დისტრიბუტორები“ არიან, რომლებმაც 2008 და 2010 წლის არჩევნების შედეგები დამახინჯებულად წარმოგვიდგინეს. 2008 წელს, ეკონომიკური კრიზისის დროს, ჩვენ ვნახეთ, როგორი დამარცხება იგემეს რესპუბლიკელების იმედგაცრუებულმა ამომრჩევლებმა და როგორ წარმოიშვა ახალგაზრდა ამომრჩეველთა ტალღა, რომელიც რადიკალურ ცვლილებებს მემარცხენეებისაგან მოელოდა. როდესაც ამგვარი ცვლილებები არ განხორციელდა და ფინანსური კრიზისიც გაგრძელდა, ახალგაზრდობა და პროგრესული ამომრჩევლები სულით დაეცნენ და ჩამოყალიბდა შუახნის უკმაყოფილო ამომრჩეველთა მოძრაობა, რომელიც კიდევ უფრო რადიკალურ ცვლილებებს მემარჯვენეებისაგან მოითხოვდა. „საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებებს“ თუ დავეყრდნობით, რადიკალური ცვლილებების მოთხოვნათა ეს სერია გამოკვეთილი ეკონომიკური კრიზისის ფონზე იმ მოსაზრების დასტურად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკელები მერყევი ცენტრისტები არიან. ფაქტობრივად, თანდათანობით აშკარა ხდება, რომ მედიას აღარა აქვს ფუნქცია, ამერიკელებს უთხრას, თუ როგორ იფიქრონ; მან უნდა დაარწმუნოს სულ უფრო მეტად გაბრაზებული და გაუცხოებული საზოგადოების წევრები, რომ მეზობლები მათ დასკვნებს არ იზიარებენ. ლოგიკა დაახლოებით ისეთივეა, როგორსაც მიმართავდნენ, რომ ამომრჩევლები მესამე პარტიის ვარიანტის უსარგებლობაში დაერწმუნებინათ: იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მესამე პარტიის წარმომადგენელი (ანუ კონკურენტი არჩევნებში) ისეთ შეხედულებებს გამოთქვამს,

რომლებსაც ამერიკელთა უმეტესობა იზიარებს, მოსახლეობას გამუდმებით აფრთხილებენ, ფუჭად არ დახარჯოს თავისი ხმა იმ კანდიდატზე, რომელიც, მართალია, ხალხის პოზიციას გამოხატავს, მაგრამ მას ხმას მაინც არავინ მისცემს.* ძნელია, გაიხსენო უფრო ნათელი მაგალითი იმისა, რომ, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ენამ გიყივლოს და შენი წინასწარმეტყველებაც ამიტომ ახდეს. შედეგი კი გაბატონებული იდეოლოგიაა – ისეთი კონსერვატორული ცენტრიზმი, რომელიც მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ზომიერება და სტატუს-კვოს შენარჩუნება. ამ იდეოლოგიას სინამდვილეში არავინ იზიარებს (გარდა, რასაკვირველია, თავად ექსპერტებისა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველას ჰგონია, რომ, თვითონ არა, მაგრამ სხვა დანარჩენი მისი მიმდევარია.

ალბათ მიზანშეწონილი იქნება, დავსვათ შეკითხვა, თუ როგორ მივედით აქამდე. როგორ გაჩნდა ასეთი უზარმაზარი ნაპრა-ლი ამდენი ამერიკელის მსოფლმხედველობასა (აქ იგულისხმება ახალგაზრდობაც, რომლის უმეტესობა მზადაა, მთლიანად კაპიტალისტური სისტემის გაუქმებაზე იფიქროს) და იმ მოსაზრებებს შორის, რომლებიც მათ სახალხო ფორუმებზე შეიძლებოდა გამოთქმულიყო? რატომ ხდება, რომ ის ისტორიები, რომლებიც „ჩვენ ვართ 99%“-ის Tumblr-ის გვერდზე ჩნდება, ვერასდროს აღწევს ტელევიზიამდე, თუნდაც „რეალითი“ გადაცემებამდე (ან, უფრო ზუსტად – განსაკუთრებით ამ გადაცემებამდე). როგორ შეიძლება, რომ იმ ქვეყანაში, რომელიც თავის თავს დემოკრატიულს უწოდებს, მივედით იმ მდგომარეობამდე, როცა (როგორც „ოკუპანტები“ ხაზგასმით აღნიშნავდნენ) პოლიტიკურ ელიტას საუბარიც კი არ სურს იმ საკითხებსა და პოზიციებზე, რომლებიც რიგითი ამერიკელებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დაგვჭირდება მოვლენების განხილვა უფრო ფართო ისტორიული რაკურსით.

* მსმენია, რომ ამ ხრიკს ხშირად იყენებდნენ რალფ ნეიდერის (დაიბ. 1934 წელს; ამერიკელი ადვოკატი და პოლიტიკური აქტივისტი. ოთხჯერ მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში. რედ.) მიმართ: წინასაარჩევნო კამპანიისას მისი პოზიცია თითქმის არ განუხილავთ და არც დაუხასიათებიათ; იყო, უბრალოდ, გაფრთხილებები იმის შესახებ, რომ ნეიდერისათვის ხმის მიცემა რესპუბლიკელთა კანდიდატისათვის ხმის მიცემას ნიშნავდა. მოგვიანებით კი მისი პოზიცია ამერიკელი ხალხის 2,7%-ის თვალსაზრისის გამოხატულებად მიიჩნიეს (ეს ის პროცენტული მაჩვენებელია, რომელიც მან 2000 წელს მოიპოვა).

მოდით, ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ და კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ფინანსიზაციის საკითხს, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენ წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან იმგვარ ეკონომიკაზე გადავდით, რომლის სიმძიმის ცენტრსაც ფინანსური მომსახურების განევა წარმოადგენს. ჩემი დაკვირვებით, ამ მომსახურებათა უმეტესობას ძნელია, „მომსახურება“ უწოდო. ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ (კარტერისა და რეიგანის პრეზიდენტობის დროს), პოლ ვოლკერმა, საკმაოდ ლაკონიურად ასახა რეალობა, როდესაც აღნიშნა, რომ ერთადერთი „ფინანსური ინოვაცია“, რომლისგანაც მოსახლეობამ ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე სარგებელი ნახა, ბანკომატები იყო. ჩვენ ცოტათი იმაზე მეტი გვინდა, ვიდრე გადასახადების ამოღების დახვეწილი სისტემაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს სასამართლო, ციხეები, ასევე პოლიციისა და მთავრობის მონდომება, რომ კორუპციებს ფულის მოცულობის გაზრდის შესაძლებლობა მიეცეთ.

როგორ მუშაობს ფინანსირებული ეკონომიკა საერთაშორისო დონეზე? საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებით, აშშ-ის წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან (რომელსაც ის წარმოადგენდა 1950, 1960 და 1970-იან წლებში, როცა ქვეყანა დანარჩენ მსოფლიოს აწვდიდა სახალხო მოხმარების საქონელს, როგორიც იყო, მაგალითად, მანქანები, ჯინსები და ტელევიზორები) გარდაიქმნა ამავე ტიპის პროდუქციის წმინდა იმპორტიორად და ფინანსურ მომსახურებათა ექსპორტიორად. მაგრამ თუკი ეს „მომსახურებები“ სინამდვილეში „მომსახურებები“ კი არაა, არამედ მთავრობის მიერ დაფინანსებული საკრედიტო შეთანხმებები, რომელთა განხორციელებასაც სასამართლო და პოლიცია უზრუნველყოფს, მაშინ რატომ უნდა დაინტერესდნენ ზემოთ ხსენებული შეთანხმებებით ისინი, ვინც პასუხს არ აგებს აშშ-ის კანონების წინაშე (ანუ არ არიან აშშ-ის იურისდიქციაში)?

პასუხი კი ისაა, რომ ისინი, სხვადასხვა კუთხით თუ შევხედავთ, ნამდვილად არიან აშშ-ის იურისდიქციაში. სწორედ აქ შევხებივართ იმ „ტერიტორიაზე“, რომელსაც, ფაქტობრივად, საჯარო განხილვებისთვის ტაბუ ადევს. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი ფაქტები:

- აშშ შეიარაღებულ ძალებზე ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე დედამიწაზე არსებული ყველა ქვეყანა ერთად. ის ინახავს, სულ მცირე, ორნახევარ მილიონ ჯარისკაცს ქვეყნის გარეთ არსებულ 737 სამხედრო ბაზაზე, პარაგვაიდან დაწყებული, ტაჯიკეთით დამთავრებული, და ისტორიაში ცნობილი ნებისმიერი სამხედრო ძალაუფლების მქონე სახელმწიფოსგან განსხვავებით, ინარჩუნებს შესაძლებლობას, მიმართოს გამანადგურებელი ძალები დედამიწის ნებისმიერ კუთხისაკენ.

- აშშ დოლარი გლობალური ვაჭრობის ვალუტას წარმოადგენს და 1970-იანი წლებიდან მან ჩაანაცვლა ოქრო, როგორც გლობალური საბანკო სისტემის სარეზერვო ვალუტამ.

- ამასთან, 1970-იანი წლებიდან აშშ მუდმივად მზარდ სავაჭრო ბალანსის დეფიციტს განიცდის, რადგან საზღვარგარეთიდან ამერიკაში შემოსული პროდუქციის ღირებულება მკვეთრად აჭარბებს ღირებულებას იმ პროდუქციისა, რომლის ექსპორტსაც ამერიკა ეწევა.

ეს ფაქტები, ცალკე აღებულიც კი, მოწმობს, რომ მათ შორის კავშირი არსებობს. და მართლაც, თუკი მათ ისტორიული რაკურსით შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ საუკუნეების მანძილზე მსოფლიო სავაჭრო ვალუტას ყოველთვის სამხედრო ძალაუფლების მქონე გაბატონებული სახელმწიფოს ფული წარმოადგენდა და ასეთ ქვეყნებში გაცილებით მეტი სიმდიდრე შემოედინებოდა საზღვარგარეთიდან, ვიდრე გაედინებოდა.* მიუხედავად ამისა, საკმარისია, ვინმემ სიტყვა დაძრას კავშირზე აშშ-ის სამხედრო ძალაუფლებას, საბანკო სისტემასა და გლობალურ ვაჭრობას შორის, მას, სავარაუდოდ, ზედაც არავინ შეხედავს, როგორც გიჟს, ყოველ შემთხვევაში, რესპექტაბელურ წრეებში მაინც.

ეს – ამერიკაში. ჩემი გამოცდილებით, მის გარეთაც რომ გაიხედოთ, (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს კონკრეტული წრეებში), თვით ამერიკის ისეთ ერთგულ მეგობარ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა გერმანია, არავინ კამათობს იმაზე, რომ სწორედ

* მე ცოტათი ვამარტივებ კიდევ საკითხს. იმპერიული სახელმწიფოები, როგორც იყო, მაგალითად, ბრიტანეთის იმპერია ან აშშ-ის ომისშემდგომი სისტემა, დროთა განმავლობაში ინდუსტრიული ზესახელმწიფოებიდან ფინანსურ ზესახელმწიფოებად გარდაიქმნება. რასაც ახლა ვამბობ, განსაკუთრებით ნათელი ხდება ბოლო ფაზებში. ამ თემას ქვემოთ განვიხილავ.

ამერიკის სამხედრო ძლიერებამ შექმნა მსოფლიოს ფინანსური არქიტექტურა, რომელსაც დღემდე უმაგრებს მხარს. ეს ნაწილობრივ იმიტომ, რომ აშშ-ის ფარგლებს გარეთ ხალხი ფლობს გარკვეულ ცოდნას ისტორიის შესაბამისი მონაკვეთის შესახებ: მათ, მაგალითად, კარგად იციან, რომ ამჟამინდელი ფინანსური სამყაროს არქიტექტურა, რომელშიც აშშ-ის ხაზინის გრძელვადიანი ობლიგაციები ძირითადი სარეზერვო ვალუტის ფუნქციას ასრულებს, ბაზრის მუშაობის შედეგად, სპონტანურად კი არ წარმოშობილა, არამედ 1944 წელს, ბრეტონ-ვუდსის (**Bretton Woods – მთის კურორტი ნიუ-ჰემპშირის შტატში. რედ.**) კონფერენციაზე, მოკავშირე სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნა. საბოლოოდ, აშშ-ის გეგმამ გაიმარჯვა, მიუხედავად მწვავე წინააღმდეგობისა ბრიტანეთის დელეგაციის მხრიდან, რომელსაც ჯონ მეინარდ კეინსი* ხელმძღვანელობდა. „ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების“ (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) მსგავსად, რომლებიც ამავე კონფერენციაზე სისტემის მხარდასაჭერად დაარსდა, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღეს იმ სამხედრო ძალებმა, რომლებმაც შექმნეს ინსტიტუციური ჩარჩოები; სწორედ მათ ფარგლებში ჩამოყალიბდა ის, რასაც ჩვენ „გლობალურ ბაზარს“ ვუწოდებთ.

მაშ, როგორ მუშაობს იგი?

სისტემა უსაშველოდ ჩახლართულია. დროთა განმავლობაში ის შეიცვალა კიდევ. ცივი ომის დროს, მაგალითად, ამ სისტემის ამუშავების შედეგი (გარდა იმისა, რომ აშშ-ის მოკავშირეები მხარს უჭერდნენ პენტაგონს) იყო იაფი ნედლეულის უწყვეტი შემოდინება აშშ-ში მისი სანარმოო ბაზის მოსამარაგებლად. ეკონომისტი ჯოვანი არიგი, დიდი ფრანგი ისტორიკოსის, ფერნანდ ბროდელის მოსაზრებაზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ დაახლოებით ბოლო ხუთასი წლის განმავლობაში იმპერიები სწორედ

* „საერთაშორისო ვალუტის, სახელად „ბანკორის“, კეინსიეული მოდელი, სრულიად განსხვავებულ სქემამდე მიგვიყვანდა, რომელშიც საერთაშორისო სავალუტო (ფულადი) სისტემა, სახელმწიფო სამხედრო ვალის მონეტიზაციის ნაცვლად, დაფუძნებული იქნებოდა სავაჭრო ბალანსის აქტიური სალდოს ციკლის განმეორებაზე. ახლო წარსულში, 2008-2009 წლებში, დომინიკ სტრაუს-კანმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მაშინდელმა ხელმძღვანელმა, რამდენჯერმე ხელახლა წამოსწია წინა პლანზე ეს იდეა.

ამ სქემით ვითარდებოდა: თავიდან ისინი არსებობდნენ, როგორც ინდუსტრიული სახელმწიფოები, მაგრამ მერე თანდათანობით გარდაიქმნებოდნენ „ფინანსურ“ სახელმწიფოებად, რომელთა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა საბანკო სექტორზეა დამოკიდებული. 13 პრაქტიკული თვალსაზრისით კი, ეს ნიშნავს, რომ იმპერიების ძლიერება სულ უფრო მეტად ეფუძნება აშკარა გამოძალვას – თუკი მართლა არ გჯერა, რომ მსოფლიოს ქვეყნები ამერიკასაც ისევე უგზავნიან მთელ თავიანთ სიმდიდრეს, როგორც 1890-იან წლებში უგზავნიდნენ დიდ ბრიტანეთს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აღფრთოვანებულნი არიან მისი დახვეწილი ფინანსური ინსტრუმენტებით (ნამყვანი ეკონომისტები ცდილობენ, სწორედ ეს აზრი ჩაგვინერგონ). სინამდვილეში ამერიკა ახერხებს, შეინარჩუნოს ქვეყანაში სახალხო მოხმარების იაფი საქონლის შემოდინების ტენდენცია (მიუხედავად ექსპორტის მოცულობის შემცირებისა) იმ გზით, რასაც ექსპერტები „სენიორაჟს“ უწოდებენ (ესაა **ხაზინის შემოსავალი, მიღებული ფულის ემისიის შედეგად. მას წარმოშობს განსხვავება ფულადი ერთეულის ნომინალსა და მისი დამზადების ღირებულებას შორის. ეს ფინანსური ტერმინი ისტორიას უკავშირდება. ადრე ის ნიშნავდა სასყიდელს, რომელსაც ახდევინებდა ზარაფხანა დამკვეთს მისი მეტალისაგან ოქროსა და ვერცხლის მონეტების მოჭრისათვის. რედ.**). ასე ჟღერს ის ეკონომიკის რთულ, გაუგებარ ენაზე, ისე კი ნიშნავს შემდეგს: „ეკონომიკური უპირატესობა, რომელსაც მოიპოვებ იმის წყალობით, რომ წყვეტ, რას წარმოადგენს ფული“.

ჩემი აზრით, გარკვეული მიზეზის გამო, ეკონომისტთა უმეტესობა თავს იზღვევს და სურს, ამგვარი თემები რთული ეკონომიკური ტერმინებით შეფუთოს, რათა მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ვერაფერი გაიგოს. სინამდვილეში სისტემა სწორედ იმის საპირისპიროდ მუშაობს, რასაც საზოგადოებას წარმოუდგენენ. მრავალ სერიოზულ საჯარო მსჯელობაში დეფიციტის შესახებ ფულს განიხილავენ, როგორც რაღაც თავისთავად არსებულ, ამონურვად სუბსტანციას, როგორიცაა, მაგალითად, ნავთობი. ითვლება, რომ ის მხოლოდ იმ რაოდენობითაა, რომელიც მთავრობამ მხოლოდ გადასახადების ამოღების მეშვეობით უნდა მოიპოვოს, ან სადმე ისესხოს. რეალურად კი, მთავრობა ფედ-

ერალური რეზერვის საშუალებით ზრდის ფულის მოცულობას იმით, რომ სესხულობს მას.

აშშ-ის დეფიციტი, რომელიც, ძირითადად, ქვეყნის სამხედრო ვალისაგან შედგება, მის ეკონომიკას მძიმე ტვირთად სულაც არ აწევბა და სწორედ ისაა სისტემის მამოძრავებელი ძალა. სწორედ ამიტომ აშშ-ის სამხედრო ვალი ყოველთვის არსებობდა (გარდა ენდრიუ ჯექსონის პრეზიდენტობის ხანმოკლე და უკიდურესად წარუმატებელი პერიოდისა 1820-იან წლებში). ამერიკული დოლარი, რომელიც მიმოქცევაშია, არსებითად, სახელმწიფო ვალია, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სამხედრო ვალი. ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში გვარწმუნებს ცენტრალურ საბანკო სისტემაზე დაკვირვება, ყოველ შემთხვევაში, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ 1694 წელს ინგლისის ბანკის (Bank of England) დაარსების ფაქტი. აშშ-ის თავდაპირველი ეროვნული (სახელმწიფო) ვალი რევოლუციური ომის ვალი იყო და ჯერ კიდევ მაშინ მწვავე დებატები გაიმართა, მოეხდინათ თუ არა მისი მონეტიზაცია, ანუ გაეუქმებინათ ვალი ფულის მიწოდების მოცულობის გაზრდის გზით. ჩემი დასკვნა იმის თაობაზე, რომ აშშ-ის დეფიციტი თითქმის მთლიანად სამხედრო დანახარჯების გამო არსებობს, ეყრდნობა გამოთვლას, რომლის მიხედვითაც, რეალური სამხედრო ხარჯები ფედერალური ხარჯების დაახლოებით ნახევარს წარმოადგენს (ამაში უნდა შევიდეს არა მარტო პენტაგონის ხარჯები, არამედ ის თანხაც, რომელიც ხმარდება ომებს, ბირთვულ არსენალს, სამხედრო საჭიროებას, დაზვერვის სამსახურს და ვალის მომსახურების (სახელმწიფო ვალის პროცენტების გადახდა. რედ.) ის ნაწილიც, რომელსაც სამხედრო სესხები წარმოშობს), რაც, რასაკვირველია, საკამათო საკითხია.*

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება, არსებითად, სისტემის ინტერნაციონალიზაციას გულისხმობდა, ანუ აშშ-ის ხაზინის გრძელვადიანი ობლიგაციების (ძირითადად, აშშ-ის სამხედრო ვალის) ქცევას საერთაშორისო ფინანსური სისტემის საფუძვლად. ცივი ომის დროს აშშ-ის სამხედრო

* ეს ისტორია უფრო ვრცლად მაქვს განხილული ჩემს წიგნში „ვალი: პირველი 5000 წელიწადი“, რომელშიც, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, აღნიშნულია რომ სამხედრო ხარჯების ზრდისა და უცხოეთის ქვეყნების ვალის ზრდის დიაგრამები სრულიად შეუბაძება ერთმანეთს.

პროტექტორატებს, როგორც იყო, მაგალითად დასავლეთი გერმანია, უნდა შეესყიდათ ამგვარი სახაზინო ობლიგაციები უზარმაზარი რაოდენობით, თუმცა არ იცოდნენ, რაში უნდა გამოეყენებინათ ისინი; არსებითად, ეს თანხა ხმარდებოდა, აშშ-ის ბაზების დაფინანსებას, რომლებიც გერმანიის მიწაზე იყო განლაგებული (ეკონომისტი მაიკლ ჰადსონი აღნიშნავს, რომ 1960-იანი წლების ბოლოს, მაგალითად, აშშ, ფაქტობრივად, დაემუქრა დასავლეთ გერმანიას, რომ ქვეყნიდან თავის ჯარებს გაიყვანდა, თუ გერმანიის ცენტრალური ბანკი შეეცდებოდა მისი სახაზინო ობლიგაციების განაღდებას ოქროთი¹⁴). როგორც ჩანს, მსგავსი შეთანხმებები არსებობს დღეს იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან (**ირანი, ერაყი, კუვეიტი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ომანი. რედ.**). ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვსაუბრობთ ისეთ რამეზე, რომელიც იმპერიულ ხარკის აკრეფის სისტემას ჰგავს – უბრალოდ, რაკი ამერიკას არ მოსწონს, როდესაც მას „იმპერიად“ მოიხსენიებენ, ხარკი, რომელსაც ის ხელშეკრულებების საფუძველზე აკისრებს სხვა ქვეყნებს, „ვალის“ სამოსში გადაცმული გვევლინება. იქ, სადაც აშშ სამხედრო კონტროლს არ ახორციელებს, ურთიერთობები უფრო დახვეწილია: ავილოთ, მაგალითად, აშშ-ისა და ჩინეთის ურთიერთობა. 1990-იანი წლებიდან ჩინეთის მიერ გრძელვადიანი სახაზინო ობლიგაციების მასობრივი შესყიდვა ავტომატურად გაგრძელებული შეთანხმების ნაწილია, რომლის თანახმადაც, ჩინეთი აშშ-ს უზომო რაოდენობით იაფფასიან სახალხო მოხმარების საქონელს აწვდის, თანაც კარგად იცის, რომ ამერიკისაგან მის საფასურს ვერასოდეს მიიღებს. აშშ, თავის მხრივ, თანახმაა, თვალი დახუჭოს ჩინეთის მხრიდან ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის სისტემატურ უგულებელყოფაზე.

ამკარაა, რომ ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა გაცილებით კომპლექსურია და, როგორც სხვა ნაშრომშიც აღვნიშნე, სავარაუდოდ, ეფუძნება ჩინეთის უძველეს პოლიტიკურ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც, ეს ქვეყანა მილიტარისტულ უცხოურ სახელმწიფოებს, რომლებიც მისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ, უხვად ამარაგებდა სიმდიდრით, რათა მათთან გარკვეული დამოკიდებულება ჩამოეყალიბებინა. მაგრამ ვფიქრობ, ჩინეთის

ნება, მიიღოს ურთიერთობის არსებული ფორმა, უმარტივად შეიძლება აიხსნას – მის ლიდერებს მარქსისტული სკოლა აქვთ გავლილი, ანუ აღიარებენ ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებს; მათთვის რეალური მატერიალური ინფრასტრუქტურა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ზედნაშენი. ისინი ფინანსური ინსტრუმენტების წვრილმან დეტალებს, უდავოდ, ზედნაშენად თვლიან; ანუ მიიჩნევენ, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, ისინი მაინც მიიღებენ გზატკეცილებს, ჩქაროსნული მატარებლების სისტემებს, მაღალტექნოლოგიურ ქარხნებს, თანაც თანდათანობით გაზრდილი რაოდენობით; მსგავსი რამ ამერიკას სულ უფრო ნაკლებად ემატება, ან სულაც კარგავს იმას, რაც აქვს. ვერ უარყოფ, რომ ჩინელებმა რაღაც სარგებელი მართლაც მიიღეს.

აქვე ხაზი უნდა გაუვსვა ერთ გარემოებას: ვერ ვიტყვით, თითქოს ამერიკას საერთოდ აღარ ჰქონდეს საწარმოო ბაზა – ის კვლავ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სამედიცინო და საინფორმაციო ტექნოლოგიების და, რაც მთავარია, მაღალტექნოლოგიური საომარი იარაღის უპირველესი მწარმოებელია. მე უფრო იმის თქმა მინდა, რომ სამეწარმეო სექტორი, მოგების თვალსაზრისით, ბევრს ველარაფერს ქმნის. 1%-ის სიმდიდრე და ძალაუფლება სულ უფრო მეტად ეფუძნება ფინანსურ სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად დამოკიდებულია აშშ-ის სამხედრო ძალაუფლებაზე საზღვარგარეთ, ისევე, როგორც შინ – სასამართლოების ძალაუფლებაზე (და, შესაბამისად, სააღსრულებო სააგენტოებზე, შერიფებსა და პოლიციაზე). Occupy-ს წრეებში 1%-ს, უბრალოდ, „მაფიოზურ კაპიტალიზმად“ მოვიხსენიებდით, რითაც ხაზს ვუსვამდით სამორინეებში (რომლებშიც თამაშები „ჩანყობილია“) მისი წარმომადგენლების ხშირ სტუმრობას, აზარტულ თამაშებში მონაწილეობას, განგსტერულ მევეახშეობას (**ავტორი საუბრობს ე.წ. loan-sharking-ზე, რომელიც ხორციელდება დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ; ისინი იძლევიან მოკლევადიან სესხს ძალიან მაღალი პროცენტით, ხოლო ვალს იბრუნებენ კრიმინალების დახმარებით, წამების, დასახიჩრებისა და მოკვლის მუქარით. რედ.**), გამომძალველობასა და პოლიტიკური ელიტის სისტემურ კორუფციას.

შეიძლება ასეთმა სისტემამ დიდხანს იარსებოს? რასაკვირველია, არა. ვერც ერთი იმპერია ვერ გაძლებს სამუდამოდ, ხოლო

აშშ-ის იმპერია ამ ბოლო ხანს საკმაოდ დიდ წნეხს განიცდის (ამას უკვე მისი აპოლოგეტებიც კი აღიარებენ).

ამის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი „მესამე სამყაროს დავალიანების კრიზისის“ დასასრულია. დაახლოებით მეოთხედ საუკუნეზე მეტია, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა, მოქმედებდნენ რა ისეთი საერთაშორისო სააგენტოების საშუალებით, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ისარგებლეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ღარიბი ქვეყნების დაუსრულებელი ფინანსური კრიზისით და თავს მოახვიეს მათ საბაზრო ფუნდამენტალიზმის თეორია, რაც უცილობლად გულისხმობდა სოციალური მომსახურების შემცირებას, სიმდიდრის უმეტესი ნაწილის მოსახლეობის 1%-ზე გადანაწილებას და ეკონომიკის სფეროში „ფინანსური მომსახურების“ ინდუსტრიის შეღწევას. ეს დღეები უკვე წარსულს ჩაბარდა. მესამე სამყარომ შეტევას გაუძლო და კონტრშეტევაც განახორციელა: გლობალურმა სახალხო მღელვარებამ (რომელიც მედიამ „გლობალიზაციის სანინალმდეგო მოძრაობად“ მონათლა) ასეთი პოლიტიკა საყოველთაო განხილვის საგნად აქცია, რის გამოც 2002 თუ 2003 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ფაქტობრივად, გამოაძევეს აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, ხოლო 2005 წლისათვის მან გაკოტრების ზღვარს მიაღწია. 2007 და 2008 წლის ფინანსური კრიზისის გამო (რომელიც მაშინ დაიწყო, როცა აშშ-ის სამხედრო ძალები ერაყსა და ავღანეთში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ) მთელ მსოფლიოში მწვავე დისკუსიის საგანი პირველად გახდა საკითხი – უნდა დარჩენილიყო თუ არა დოლარი საერთაშორისო სარეზერვო ვალუტად. ამავე დროს იმ ფორმულას, რომელიც მსხვილმა სახელმწიფოებმა ერთ დროს მესამე სამყაროს ქვეყნებში გამოიყენეს – როცა გამოაცხადეს ფინანსური კრიზისი, შეადგინეს ეკონომისტთა, როგორც თავად აღნიშნავდნენ, ნეიტრალური საბჭო სოციალურ მომსახურებათა შესამცირებლად, გადაანაწილეს კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე უმდიდრეს 1%-ზე და უზრუნველყვეს ეკონომიკაში ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის შეღწევა კიდევ უფრო მეტი ძარცვის მიზნით – ახლა უკვე „შინ“ მიმართავენ, ირლანდიიდან და საბერძნეთიდან ვისკონსინამდე და ბალტიმორამდე. თავის მხრივ, კარს მომდგარ კრიზისზე გამოხმაურებას წარმოადგენს დემოკრატი-

ული ამბოხების ტალღა, რომელიც შუა აღმოსავლეთში, აშშ-ის სატელიტი სახელმწიფოებიდან დაიწყო და სწრაფად ვრცელდება ჩრდილოეთით, მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდილო ამერიკაში.

აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო ახლოს იყო ამბოხების ტალღა ძალაუფლების ცენტრთან, „მსოფლიოს ფინანსური იმპერიის გულთან“ (როგორც მას ჩვენმა ჩინელმა მეგობრებმა უწოდეს), მით უფრო რადიკალური გახდა მოთხოვნები. არაბეთის საპროტესტო გამოსვლებში ჩართული იყო ყველა ჯურის ადამიანი, პროფკავშირის მარქსისტი წევრებიდან დაწყებული, კონსერვატორი თეოლოგებით დამთავრებული, მაგრამ მათ საფუძველში იდო კლასიკური ლიბერალური მოთხოვნა სეკულარული, კონსტიტუციური რესპუბლიკისა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი არჩევნების ჩატარება და დაცული იქნებოდა ადამიანის უფლებები. საბერძნეთში, ესპანეთსა და ისრაელში „ოკუპანტები“ ხშირად პრინციპული ანტიიდეოლოგიურობით არ გამოირჩეოდნენ – თუმცა ზოგიერთი მათგანი უფრო რადიკალური იყო, ვიდრე დანარჩენები (მაგალითად, ანარქისტებმა განსაკუთრებული როლი ითამაშეს ათენში). ისინი ამტკიცებდნენ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე – კორუფციასა და მთავრობის ანგარიშვალდებულებაზე – ამახვილებდნენ ყურადღებას და, აქედან გამომდინარე, მათი მხედველობის არეში მთელი პოლიტიკური სპექტრი ექცეოდა. აშშ-ში კი ჩვენ დავინახეთ რევოლუციონერთა მიერ წამოწყებული მოძრაობა, რომელმაც უშუალო გამონევის წინაშე ეკონომიკური სისტემის არსი დააყენა.

ნაწილობრივ ეს, უბრალოდ, იმიტომ მოხდა, რომ ამერიკელები ვერავის ვერაფერს გადააბრალებდნენ. ეგვიპტელები, ტუნისელები, ესპანელები, ბერძნები კარგად ხედავენ, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ – იქნება ეს დიქტატურა, რომელსაც ამერიკა უჭერს მხარს, თუ მთავრობები, რომლებიც აბსოლუტურად ექვემდებარებიან ფინანსური კაპიტალისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპების ბატონობას – მათ გარე ძალებმა მოახვიეს თავს და იმიტომ მისი მოშორებაც, სავარაუდოდ, თავად საზოგადოების რადიკალური გარდაქმნის გარეშეც შესაძლებელი იყო. ამერიკელებს კი ამგვარი ფუფუნება არა გვაქვს. ეს ჩვენს თავს თვითონვე მოუწევთ.

ანდა, თუკი ეს ასე არაა, ხელახლა მთლიანად უნდა გავიაზროთ საკითხი: ვინ ვართ „ჩვენ“? „99%“-ის იდეა ამის გასაკეთებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

რევოლუციური მოძრაობების მიზანი არ არის მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნა. ჭეშმარიტი რევოლუცია ყოველთვის საღ აზრზე დაყრდნობით უნდა მოქმედებდეს. შეერთებულ შტატებში კი ეს სრულიად შეუძლებელი იყო. შევეცდები, აგიხსნათ.

ზემოთ უკვე მივუთითე, რომ აშშ-ის მედია თითქმის აღარ ცდილობს ამერიკელების დარწმუნებას, რომ არსებულ პოლიტიკურ სისტემას ენდონ; ის ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ ამ სისტემას ყველა ენდობა. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ დონეზე. თუ უფრო ჩავუღრმავდებით, არსებობს ფუნდამენტური მოსაზრებები იმაზე, თუ რა არის პოლიტიკა, ან როგორი შეიძლება, ყოფილიყო ის; რა არის საზოგადოება, როგორები არიან, ძირითადად, ადამიანები და რა სურთ მათ ამ ცხოვრებისაგან. ამ თემებზე აბსოლუტური კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელია. ადამიანთა უმრავლესობას ამგვარ საკითხებზე უამრავი ურთიერთსაინანაღმდეგო მოსაზრება აქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიმძიმის ცენტრი მაინც არსებობს. არის მრავალი მოსაზრება, რომლებიც უფრო სიღრმეში უნდა ვეძიოთ.

თითქმის მთელ მსოფლიოში ადამიანები საუბრობენ ამერიკაზე, როგორც პოლიტიკური ცხოვრების ნაცადი, საიმედო ფილოსოფიის სამშობლოზე, რაც, სხვა დანარჩენთან ერთად, იმასაც გულისხმობს, რომ ჩვენ, ძირითადად, ეკონომიკური „ქმნილებები“ ვართ: რომ დემოკრატია არის ბაზარი, თავისუფლება კი არის საბაზრო პროცესებში მონაწილეობის უფლება; რომ ჭარბი მომხმარებლის მუდმივად მზარდი სამყაროს შექმნა ქვეყნის წინსვლის ერთადერთი საზომია. მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ამას „ნეოლიბერალიზმად“ იცნობენ და აღიქვამენ, როგორც მრავალთაგან ერთ-ერთ ფილოსოფიას, რომლის ღირსებასაც და ნაკლსაც საჯარო დებატები შეადგენს. ამერიკაში, რეალურად, სიტყვებს არ ვიყენებთ. ამგვარ საკითხებზე მხოლოდ პროპაგანდისტული ტერმინებით ვსაუბრობთ: „თავისუფლება“, „თავისუფალი ბაზარი“, „თავისუფალი ვაჭრობა“, „თავისუფალი წარმოება“, „ცხოვრების ამერიკული სტილი“. შეიძლება მსგავს ცნებებზე ვინმეს გაეცი-

ნოს კიდეც (ამერიკელები ხშირად ასეც იქცევიან), მაგრამ თუკი მათ საფუძვლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებთ, საჭირო გახდება, ხელახლა გავიაზროთ, თუ რას ნიშნავს, იყო ამერიკელი. ეს ნამდვილად რევოლუციური პროექტია და, თანაც, უაღრესად რთული. ქვეყნის მმართველმა ფინანსურმა და პოლიტიკურმა ელიტამ მთელი თავისი „ფიშკები“ იდეოლოგიურ თამაშზე დადო; მისმა წარმომადგენლებმა ძალიან დიდი დრო და ენერგია დახარჯეს, რომ შეექმნათ სამყარო, რომელშიც კაპიტალიზმის იდეის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება უფრო შეუძლებელია, ვიდრე კაპიტალიზმის ისეთი ფორმის შექმნა, რომელიც მართლა სიცოცხლისუნარიანი იქნება. შედეგი კი ასეთია: მაშინ, როცა ჩვენი იმპერია და ეკონომიკური სისტემა იხრჩობა, ბორძიკობს და ყველა სიმპტომი გვიდასტურებს, რომ სულ მალე გზა ხსნილი გვექნება, ჩვენი უმეტესობა გაოგნებულია და ვერც კი წარმოუდგენია, რომ კიდეც რაღაც სხვა სისტემა შეიძლება არსებობდეს.

შეიძლება ვინმე შემედავოს: განა Occupy Wall Street-მა არ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ ფულის როლი პოლიტიკაში? განა პირველ ფლავორშივე არ იყო აღნიშნული, რომ „ორივე პარტია ქვეყანას იმ 1%-ის სახელით მართავს“, რომელმაც, არსებითად, „შეისყიდა“ არსებული პოლიტიკური სისტემა? ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ ეწინააღმდეგებიან „ოკუპანტები“ არსებული პოლიტიკური სტრუქტურის შიგნით მუშაობის იდეას. მაგრამ ვინმე ისევ შეიძლება შემეკამათოს, რომ ბევრგან მსოფლიოში პოლიტიკაში ფულის როლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება რეფორმიზმის კვინტესენციაა; მხოლოდ ქვეყნის კარგი მართვის პრინციპს შეარჩევნ, ყველა სხვა დანარჩენი კი თავის ადგილზე დარჩება. თუმცა ამერიკის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. ჩემი აზრით, ზემოთ აღნიშნული მიზეზი ყველაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს ქვეყანა და რად იქცა ის.

შეკითხვა N 6

რატომ ხდება, რომ პოლიტიკაში ფულის როლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ამერიკაში, არსებითად, რევოლუციურ აქტად აღიქმება?

გავლენის ყიდვის უკან დგას პრინციპი, რომ ფული არის ძალაუფლება, ხოლო ძალაუფლება, არსებითად, ყველაფერია. ეს ის მოსაზრებაა, რომელიც ჩვენი კულტურის ძალიან ბევრ ასპექტზე ვრცელდება. მექრთამეობა გახდა, როგორც ფილოსოფოსები იტყოდნენ, ონტოლოგიური პრინციპი: ის, ძირითადად, განსაზღვრავს, თუ როგორ აღვიქვამთ რეალობას. შესაბამისად, ამის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ნიშნავს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენო ყველაფერი.

სიტყვა „მექრთამეობა“ სრულიად გააზრებულად ვახსენე – ვიმეორებ, რომ ლექსიკა, რომელსაც ვიყენებთ, უაღრესად მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ ჯორჯ ორუელმა შეგვახსენა, ხომ იცით, კორუფციულ პოლიტიკურ სისტემაში ცხოვრობთ, და ისინი, ვინც მას იცავს, ყველაფერს სათანადო სახელს ვერ დაარქმევენო. ამ სტანდარტებით, თანამედროვე შეერთებული შტატები უჩვეულოდ კორუმპირებულია. ჩვენ ვინარჩუნებთ იმპერიას, რომელსაც „იმპერიას“ ვერ უწოდებ, ვიღებთ ხარკს, რომელსაც „ხარკად“ ვერ მოიხსენიებ, მას ეკონომიკური იდეოლოგიის ტერმინებით (მაგალითად, „ნეოლიბერალიზმი“) ამართლებენ, რომლებსაც ვერაფერს მიუსადაგებ. საჯარო დებატების ყველა ასპექტი გაჯერებულია ევფემიზმებითა და კოდური სიტყვებით. ეს სიმართლეს შეესაბამება არა მხოლოდ მემარჯვენეებთან მიმართებით (მაგალითისთვის, შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი სამხედრო ტერმინი, როგორიცაა „თანმდევი ზარალი“; სამხედრო სფერო თავიდან ბოლომდე უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატია, ასე რომ, იქ ბევრ ბუნდოვან, გაუგებარ ტერმინს წააწყდებით), იგივე შეგვიძლია ვთქვათ მემარცხენეებზეც. განვიხილოთ გამოთქმა: „ადამიანის უფლებების დარღვევა“. ერთი შეხედვით, ამ სიტყვების მიღმა თითქოს ბევრი არაფერი იმალება. ბოლოს და ბოლოს, რომელი საღად მოაზროვნე ადამიანი იქნება ამ უფლე-

ბათა დარღვევის მომხრე? აშკარად, არც ერთი. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც რალაც უსიამოვნო შეგრძნება დაგეუფლება, რომელიც თანდათან გიძლიერდება; ის განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა ინგლისურ ენაში ვინწყებთ რაიმე სხვა სიტყვების ძიებას, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა იმავე (ტერმინებით გადმოცემული) მოვლენის აღწერა ჩვეულებრივად. შევადაროთ შემდეგი წინადადებები:

• „ვიტყოდი, რომ, ჩვენი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, ზოგჯერ აუცილებელია, საქმიანი ურთიერთობა გქონდეს და მხარიც კი დაუჭირო რეჟიმებს, რომლებსაც საეჭვო რეპუტაცია აქვს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით“.

• „ვიტყოდი, რომ, ჩვენი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, ზოგჯერ აუცილებელია, საქმიანი ურთიერთობა გქონდეს და მხარიც კი დაუჭირო რეჟიმებს, რომლებიც აუპატიურებენ, აწამებენ და ხოცავენ ადამიანებს“.

რასაკვირველია, მეორე გაცილებით მძიმე შემთხვევაა. ნებისმიერი, ვინც კი ამას მოისმენს, აუცილებლად იკითხავს: „ნუთუ ეს სტრატეგიული ამოცანები მართლა ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა? ანდა: „რას გულისხმობს, ზოგადად, ეს სტრატეგიული ამოცანები?“ საერთოდაც, ამ „უფლებებს“ რალაც ოდნავ ჩივილის მსგავსი ჟღერადობა აქვს. დაახლოებით ისე ისმის, როგორც „რაიმეზე ოფიციალური უფლების მიცემა“ – თითქოს წამების მსხვერპლნი რაიმეს ითხოვდნენ, თანაც გამაღიზიანებელი ფორმით, როდესაც მათდამი მოპყრობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

ჩემი აზრით, ის, რასაც მე „გაუპატიურების, წამებისა და მკვლელობის“ ტესტს ვუწოდებ, ძალიან გამოსადეგია. ის საკმაოდ მარტივია. როდესაც რაიმე სახის პოლიტიკურ ორგანიზაციასთან უნდა დაიჭირო საქმე, რომელიც წარმოდგენილია მთავრობის, საზოგადოებრივი მოძრაობის, პარტიზანული არმიის თუ ნებისმიერი სხვა ორგანიზებული ჯგუფის სახით, და ცდილობ, გადაწყვიტო, გმობის ღირსია ის თუ მხარდაჭერისა, პირველ რიგში, სვამ შეკითხვას: „ხომ არ ხოცავენ, აუპატიურებენ ან აწამებენ ისინი ხალხს, ან სხვებს ხომ არ უბრძანებენ ამის ჩა-“

დენას?“ თითქოს თავისთავად ცხადი შეკითხვაა, მაგრამ გაგიკვირდებათ – მას იშვიათად (ან, უკეთ რომ ვთქვათ, შერჩევით) სვამენ. ან შეიძლება გასაკვირი იყოს მხოლოდ მანამდე, ვიდრე მას დავსვამთ, შემდეგ კი (როცა ამ საკითხს წამოვჭრით) აღმოვაჩენთ, რომ საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებები მსოფლიო პოლიტიკის ძალიან ბევრი საკითხის შესახებ მაშინვე თავდაყირა დადგება. მაგალითად, 2006 წელს ბევრმა ადამიანმა აშშ-ში შეიტყო, რომ მექსიკის მთავრობამ ფედერალური ჯარები გამოიყვანა სახალხო ამბოხების ჩასახშობად, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული კავშირის მიერ იქნა ორგანიზებული სამხრეთის შტატის, ოაქსაკას გუბერნატორის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო, როგორც კორუმპირებული მოხელე. აშშ-ის მედიაში ამ საკითხს ერთსულოვნად აძლევდნენ დადებით შეფასებას, როგორც წესრიგის აღდგენას; ბოლოს და ბოლოს, ამბოხებულები „ძალადობას მიმართავდნენ“, ქვებსა და მოლოტოვის კოქტეილებს ისროდნენ (თუმცა მათ ქვები და მოლოტოვის კოქტეილები ამბოხების ჩასახშობად გამოყვანილ პოლიციის კარგად შეიარაღებულ დანაყოფს ესროლეს და მნიშვნელოვანი ზიანი არავისთვის მიუყენებიათ). რამდენადაც ვიცი, არავის უთქვამს, რომ მეამბოხეებმა გააუპატიურეს, აწამეს ან მოკლეს ვინმე; არც არავის იმათგან, ვინც რაიმე იცის ამ მოვლენის შესახებ, სერიოზული მსჯელობის საგნად არ უქცევია ის ფაქტი, რომ მექსიკის მთავრობის ერთგულმა ძალებმა ამბოხის ჩახშობისას გააუპატიურეს, აწამეს და დახოცეს მრავალი ადამიანი, თუმცა ამგვარი ქმედებები, მეამბოხეთა მიერ ქვების სროლისაგან განსხვავებით, არ შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც „ძალადობრივი“, აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მათ არავინ აღწერს, როგორც გაუპატიურებას, წამებას ან მკვლელობას. ამის ნაცვლად მათზე ან საერთოდ არაფერს ამბობენ, ან ლაპარაკობენ „ადამიანის უფლებათა დარღვევის ბრალდებაზე“, ანდა, მათ დასახასიათებლად იყენებენ რაიმე მსგავს არაფრისმთქმელ იურიდიულ ტერმინებს.*

* კიდევ უფრო საოცარი მაგალითი: წლების მანძილზე და არცთუ ისე დიდი ხნის წინა პერიოდამდე სომალელი პირატები არასოდეს აუპატიურებდნენ, აწამებდნენ ან ზოცავდნენ ვინმეს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს: მათი შესაძლებლობა, იმოქმედონ, როგორც პირატებმა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაარწმუნებენ პოტენციურ მსხვერპლს, რომ შეუძლიათ, ასე მოიქცნენ.

აშშ-ში ყველაზე მეტად ტაბუირებულია, ზოგადად, ლაპარაკი კორუფციაზე. ერთ დროს პოლიტიკოსებისათვის ფულის მიცემა მათ პოზიციაზე გავლენის მოხდენის მიზნით „მექრთამეობად“ ითვლებოდა და უკანონო იყო. ეს ფარული, თუმცა საკმაოდ გავრცელებული მოქმედება ფულთი სავსე ჩანთებით სიარულსა და კონკრეტული მოთხოვნის შესრულებას გულისხმობდა: ცვლილებას კანონმდებლობაში ქალაქის ტერიტორიის ფუნქციონალურ ზონებად დაყოფის შესახებ, მშენებლობის თაობაზე კონტრაქტის გაფორმებას, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული სარჩელის გამოხმობას. ახლა კი ქრთამის მოთხოვნას სახელი გადაერქვა და „სახსრების მოძიება“ ეწოდა, ხოლო თავად მექრთამეობას – „ლობირება“. ბანკებს იშვიათად უხდებათ, კონკრეტული თხოვნით მიმართონ პოლიტიკოსებს, რომლებიც ბანკების მიერ მათი კამპანიის დაფინანსებაზე არიან დამოკიდებულნი. ისინი ბანკის ლობისტებს აძლევენ მითითებას, გააკეთონ მონახაზი, თუ როგორი უნდა იყოს, ან სულაც თავად შექმნან ის კანონმდებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, მათი ბანკების საქმიანობას უნდა „არეგულირებდეს“. დღესდღეობით „მექრთამეობა“ ჩვენი მმართველობის სისტემის საფუძველს წარმოადგენს. არსებობს რამდენიმე რიტორიკული ხრიკი, რომლებსაც იყენებენ, რომ ამ საკითხზე საუბარს თავი აარიდონ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე უმნიშვნელო შემთხვევა (რომლებსაც, რეალურად, ფული ტომრობით მოაქვს, რაც ზონებად დაყოფის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის საზღაურია) კვლავაც უკანონოდ მიიჩნიონ, რათა შეეძლოთ, გამუდმებით ამტკიცონ, რომ ნამდვილი „მექრთამეობა“ პოლიტიკური მოთხოვნების შესრულების სანაცვლოდ ფულის აღების რაღაც სხვა ფორმაა. აქვე უნდა აღვნიშნო: პოლიტოლოგები, ჩვეულებრივ, ირწმუნებიან, რომ ფული „ქრთამი“ არ არის, თუ ვერ მტკიცდება, რომ მან კანონმდებლობის რომელიმე კონკრეტული ელემენტის მიმართ პოლიტიკოსის პოზიცია შეცვალა. ამ ლოგიკით, თუკი პოლიტიკოსი იხრება იქით, რომ მხარი დაუჭიროს ბილს, მიიღებს ფულს, შემდეგ გადაიფიქრებს და ხმას მის წინააღმდეგ მისცემს – ეს მექრთამეობა ყოფილა; ხოლო თუკი ის თავის მოსაზრებას ბილის შესახებ მხოლოდ იმაზე დაკვირვების მიხედვით ჩამოაყალიბებს, თუ ვინ მისცემს მას ფულს ამისთვის,

ან თუნდაც დონორის ლობისტებს შეუქმნის პირობებს, რომ ეს ბილი დონორის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინონ – ეს მექრთამეობად არ ჩაითვლება. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ამგვარ განსხვავებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქვეშაური მიზნისათვის. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ვაშინგტონში უბრალო სენატორმა ან კონგრესმენმა თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ დაახლოებით \$10,000 უნდა მოიზიდოს კვირაში, თუკი სურს, რომ კიდევ ერთხელ აირჩიონ – ეს ის თანხაა, რომელსაც ისინი ექსკლუზიურად იღებენ უმდიდრესი 1%-დან.* საბოლოო ჯამში, არჩეული თანამდებობის პირები, სავარაუდოდ, თავიანთი დროის 30%-ს ქრთამების გამოძალვაზე ხარჯავენ.

ეს ყველაფერი უკვე ითქვა და განხილულ იქნა – მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე ამ მოვლენის საკუთარი სახელით მოხსენიებას კვლავაც ტაბუ ადევს. უფრო იშვიათად აღინიშნება შემდეგი გარემოება: მას შემდეგ, რაც დაეთანხმები პრინციპს, რომ გავლენის ყიდვა სავსებით მისაღებია, რომ, არსებითად, ცუდი არაფერია იმაში, თუ ადამიანებს ფულს გადაუხდი (არა, უბრალოდ, საკუთარ თანამშრომლებს, არამედ ნებისმიერ იმ ადამიანს, რომელსაც სახელი და ძალაუფლება აქვს), რომ ის თქვან ან გააკეთონ, რაც შენ გინდა, შენთვის საზოგადოებრივი ცხოვრების მორალი სულ სხვანაირი გახდება. თუკი შესაძლებელია სახელმწიფო მოხელის მოქრთამვა, რომ უკეთესი, უფრო მოსახერხებელი პოზიცია დავიკავოთ, რატომ არ უნდა მოვქრთამოთ სწავლულები? მეცნიერები? ჟურნალისტები? პოლიცია? „ოკუპაციის“ პირველ დღეებში უამრავი ამგვარი კავშირი გამოვლინდა: მაგალითად, გაირკვა, რომ ფინანსურ კვარტალში მყოფ ბევრ უნიფორმიან პოლიციელს, რომლებიც იქ, თითქოსდა, იმისთვის უნდა ყოფილიყვნენ, რომ ყველა მოქალაქე თანაბრად დაეცვათ, სამუშაო საათების დიდი ნაწილისათვის ხელფასს არა

* ფაქტობრივად, საარჩევნო კამპანიებში შენატანების 80%-ზე მეტი უმდიდრესი 0,5%-იდან მოდის, ხოლო 60% – უმდიდრესი 0,1%-იდან. აქედან ყველაზე მსხვილი ნაწილი ფინანსური სექტორიდან შემოედინება. შემდეგ მოდის ბიზნესკომპანიები და იურიდიული ფირმები, მათ შემდეგ კი – ჯანდაცვის სფეროს ლობისტები (ანუ ფარმაცევტული კორპორაციები და ჯანმრთელობის მართვის ორგანიზაცია), ბოლოს კი მედია და ენერგეტიკის სექტორი (ფედერალური საარჩევნო კომისიის, პოლიტიკაზე ზემოქმედების მექანიზმების კვლევის ცენტრის, სახალხო კამპანიების პროექტის „ფულის ფერი“ მონაცემებით).

ქალაქი, არამედ უშუალოდ უოლსტრიტის ფირმები უხდიდნენ.¹⁵ ანალოგიურად, New York Times-ის ჟურნალისტს, რომელმაც პატივი დაგვდო და „ოკუპაციას“ ოქტომბრის დასაწყისში ესტუმრა, არ დაუმაღლავს, რომ „უმსხვილესი ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა“ დაურეკა და სთხოვა, მისულიყო და ადგილზე გაერკვია, ხომ არ ემუქრებოდა ეს საპროტესტო აქცია „მის პირად უსაფრთხოებას“. ¹⁶ აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ამგვარი კავშირები, ზოგადად, არსებობს, არამედ ის, რომ დაინტერესებულ მხარეთა არც ერთ წარმომადგენელს აზრადაც არ მოსდის, რომ ამაში შეიძლება რამე დასამალი იყოს.

იგივე ითქმის სამეცნიერო-კვლევითი სფეროს გრანტებზე, რომლებიც ობიექტურად არასოდეს გაიცემოდა. რის კვლევა უნდა ჩატარდეს, ამას სახელმწიფო სააგენტოები და მდიდარი ფილანტროპები წყვეტენ და ამ პროცესს თვითონვე აფინანსებენ. ყოველ შემთხვევაში, მათ საკუთარი კონკრეტული მოსაზრებები აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის საკითხების დასმა არის მათთვის მნიშვნელოვანი და როგორი პასუხები იქნებოდა მათთვის მისაღები. მაგრამ 1970-იანი წლებიდან, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების აღმასვლასთან ერთად, იმ დისციპლინებში, რომლებსაც ყველაზე მეტი გავლენა აქვს პოლიტიკაზე (განსაკუთრებით ეკონომიკას), სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მკვლევართა „დაქირავება“, რომ ისინი, უბრალოდ, მიკერძოებული პოლიტიკური პოზიციის გამართლებაში დაგეხმარონ. 1980-იანი წლებისათვის საქმე იმდენად შორს წავიდა, პოლიტიკოსებს უკვე ღიადად, საჯარო ფორუმებზე სურდათ იმის აღიარება, რომ მათთვის ეკონომიკური კვლევები წარმოადგენდა საშუალებას, გაემართლებინათ ყოველივე ის, რაშიც ხალხის დარწმუნებას ცდილობდნენ. კარგად მახსოვს, რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს რამდენად განმაცვიფრა ტელევიზიით მოსმენილმა ასეთმა დიალოგმა:

მთავრობის ჩინოვნიკი: ჩვენთვის ძირითადი პრიორიტეტია კაპიტალის ზრდით წარმოშობილ მოგებაზე დანესებული გადასახადის შემცირება ეკონომიკის სტიმულირების მიზნით.

ჟურნალისტი: მაგრამ რას იტყვით უკანასკნელი ეკონომიკური კვლევების შედეგების პასუხად, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამგვარი „გაჟონის“ ეკონომიკა (Trickle-down – ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვითაც, უმჯობესია, ბიზნესს აყვავების

საშუალება მიეცეს და მსხვილი ბიზნესმენების დოვლათი თანდათანობით „გაჟონავს“, გააღწევს დაბალი და საშუალო შეძლების მქონე ფენების მოსახლეობამდე, რომელიც ასევე მიიღებს სარგებელს ეკონომიკური აქტივობის ზრდისგან; მიიჩნევა, რომ ასეთ მიდგომას უფრო მეტი შედეგი მოაქვს, ვიდრე უშუალო სოციალური დოტაციების გაცემას. (რედ.), რეალურად, არ ამართლებს. ეს ხომ სრულებით არ იძლევა სტიმულს, რომ მდიდარი ფენის მიერ დაფინანსებული კვლევები გაგრძელდეს?

მთავრობის ჩინოვნიკი: დიახ, ეს მართალია. ჯერ კიდევ არ არის გააზრებული, თუ, რეალურად, რა ეკონომიკური სარგებელი მოაქვს გადასახადების შემცირებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკა, როგორც დისციპლინა, იმისთვის არ არსებობს, რომ განსაზღვროს, თუ რა არის საუკეთესო პოლიტიკა. პოლიტიკის შესახებ ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული შეხედულება გვაქვს. ეკონომისტები იმისთვის არსებობენ, რომ მეცნიერული თვალსაზრისით დამაჯერებელი მოტივები წარმოგვიდგინონ იმ საქმესთან დაკავშირებით, რის გაკეთებაც უკვე გადწყვეტილი გვაქვს. სინამდვილეში ამ სფეროს წარმომადგენლებს სწორედ ამისთვის უხდიათ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეკონომისტების შემთხვევაში, ეს უშუალოდ მათი მოვალეობაა. თანაც, ეს კარგა ხანია, ასე ხდება, მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ მათი სპონსორები სულ უფრო მეტად მონდომებულნი არიან, თავად აღიარონ ეს.

ამ ინტელექტუალური მმართველობის ფუნქციონირების კიდევ ერთი შედეგი ისაა, რომ ნამდვილი პოლიტიკური დებატების გამართვა სულ უფრო შეუძლებელი ხდება, რადგან ისინი, ვინც განსხვავებულ პოზიციებზე დგას, სრულიად სხვადასხვა რეალობაში ცხოვრობენ. თუკი მემარცხენეები დაჟინებით მოითხოვენ ამერიკაში სიღარიბისა და რასიზმის პრობლემების შესახებ დებატების გაგრძელებას, მათი ოპონენტები კიდევ ერთხელ ვალდებულიად ჩათვლიან თავს, კონტრარგუმენტები წამოაყენონ (მაგალითად – რომ რასიზმი და სიღარიბე მათ მსხვერპლთა მორალური სისუსტის შედეგია). ახლა უკვე ალბათ იმის მტკიცებასაც მოჰყვებიან, რომ რასიზმი და სიღარიბე, უბრალოდ, აღარ არსებობს. მაგრამ იგივე ხდება მეორე მხარესაც. თუკი ქრისტიან მემარჯვენეს სურს ამერიკის „კულ-

ტურული ელიტის“ ხანგრძლივ ძალაუფლებაზე მსჯელობა, მარცხენა მხარეს მყოფნი, როგორც წესი, ირწმუნებიან, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება; როცა ლიბერტარიანელ მემარჯვენეს უნდა, დააყენოს შეერთებული შტატების მილიტარიზმსა და ფედერალური რეზერვის პოლიტიკას შორის ისტორიული კავშირის არსებობის საკითხი (რაც სავსებით რეალურია), ლიბერალი თანამოსაუბრე მას, უბრალოდ, ისე შეხედავს, როგორც შეთქმულების თეორიით შეპყრობილ გიჟს.

დღესდღეობით ცნებებს „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ ამერიკაში რესპუბლიკელთა და დემოკრატთა მიმართ იყენებენ. ესაა ის ორი პარტია, რომლებიც, ძირითადად, 1%-ის შიგნით არსებულ სხვადასხვა ფრაქციას წარმოადგენენ, ანდა (თუკი ძალიან გულუხვნი ვიქნებით) – შეერთებული შტატების მოსახლეობის 2 ან 3%-იან ზედაფენას. უოლსტრიტი კი, რომლის გავლენაც ორივე მათგანზე ვრცელდება, როგორც ჩანს, მათ შორის თანაბრადაა გადანაწილებული. რესპუბლიკელები წარმოადგენენ აღმასრულებელ დირექტორთა ძირითად ნაწილს, განსაკუთრებით სამხედრო და მოპოვებითი მრეწველობის სფეროებში (ენერგეტიკა, სამთამადნო მრეწველობა, ხე-ტყის წარმოება), და თითქმის ყველა საშუალო რანგის ბიზნესმენს; დემოკრატები – უმაღლეს ემელონებს „პროფესიონალურ-მენეჯერული ფენისა“ (როგორც მათ პუბლიცისტმა და აქტივისტმა, ბარბარა ერენრაიხმა უწოდა) – უმდიდრეს ადვოკატებს, ექიმებს, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მომუშავე პირებს, ასევე თითქმის ყველას, ვინც აკადემიურ წრეებსა და გართობის ინდუსტრიაში საქმიანობს. ფაქტობრივად, სწორედ მათგან მოდის ამ ორი პარტიის ფული და ეს უკანასკნელნიც აღარაფერს აკეთებენ, გარდა ფულის მოზიდვისა და ხარჯვისა. ამ ყველაფერში გასაოცარი ისაა, რომ კაპიტალიზმის ფინანსიზაციის ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ამ მთავარ დამფინანსებელთაგან თითოეულმა საკუთარი თეორია შეიმუშავა იმის შესახებ, თუ რატომ არის რეალობის შესაქმნელად ფულისა და ძალაუფლების გამოყენება, თავისი არსით, უდავოდ მისაღები, რადგან ფული და ძალაუფლება ერთადერთია, რაც რეალურად არსებობს.

განვიხილოთ ავადსახსენებელი ციტატა ბუშის ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირის განცხადებიდან, რომელიც მან აშშ-ის ერაყში შეჭრიდან ცოტა ხნის შემდეგ New York Times-ის კო-

რესპონდენტთან საუბრისას გააკეთა:

ადმინისტრაციის წარმომადგენელი ამბობდა, რომ მის-
ნაირი ადამიანები (იგულისხმება ჟურნალისტი რონ ზიუსკინდი,
რომელსაც ის ესაუბრებოდა. რედ.) „ცხოვრობენ საზოგადოე-
ბაში, რომელსაც ჩვენ „რეალობაზე დაფუძნებულს“ ვუწოდებთ“
(**reality-based community – აშშ-ში ამ სტატიის გამოქვეყნების
შემდეგ არაფორმალური ტერმინი გახდა, „რწმენაზე დაფუძნებუ-
ლი საზოგადოების (faith-based community) საპირისპიროდ. „რწ-
მენაში“ მოიაზრება, ძირითადად, იდეოლოგია. რედ.)**, ანუ, მისი
განმარტებით, ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც „სჯერათ,
რომ გადაწყვეტილებები ხილული რეალობის გონივრული კვლე-
ვის შედეგად მიიღება“... „სამყარო ასე დიდი ხანია, აღარ არის
მოწყობილი“, განაგრძობდა ის, „ჩვენ ახლა იმპერია ვართ და
როდესაც ვმოქმედებთ, თავად ვქმნით საკუთარ რეალობას“.17

ამგვარი გამონათქვამები ბაქიაობად აღიქმება და ეს კონკრე-
ტული ფრაზა უფრო სამხედრო ძალაუფლებას ეხება, ვიდრე ეკო-
ნომიკურს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ზემო ეშელონებში მყოფი
ხალხისთვის არაოფიციალურ საუბარში ისეთ სიტყვებს, როგორი-
ცაა „იმპერია“, ტაბუ აღარ ადევს, მეტიც – აშშ-ის ეკონომიკა და
სამხედრო ძალაუფლება, ძირითადად, იდენტურ ცნებებად მიიჩ-
ნევა. და მართლაც, როგორც კორესპონდენტიც შემდეგ განმარ-
ტავს, ამგვარი ლექსიკის მიღმა კარგად დამუშავებული თეოლო-
გია დგას. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ქრისტიანმა მემარ-
ჯვენეებმა (რომლებიც ჯორჯ უოლკერ ბუშთან დაახლოებული
პირების ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ) ის, რასაც მაშინ
„მიწოდების ეკონომიკას“ უწოდებდნენ (**supply-side economics –
მიმდინარეობა ეკონომიკასა და ეკონომიკის პოლიტიკაში, რომლის
თანახმადაც, ინფლაციასთან საბრძოლველად აუცილებელია საქონ-
ლის ადეკვატური მიწოდება, ხოლო მისი წარმოების სტიმულირები-
სათვის – კაპიტალდაბანდებათა და შრომის მწარმოებლურობის
ზრდის ტემპის დაჩქარება. ეს თეორია, რომელიც ეკონომიკის გან-
ვითარების მთავარ ბერკეტად გადასახადების შემცირებას მიიჩნევს,
ცნობილია „რეიგანომიკის“ სახელითაც, რადგან მას მიმართავდნენ
რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზებისას. რედ.)**, შეიძლე-
ბა ითქვას, პირდაპირი გაგებით, რელიგიურ პრინციპად აქციეს.
ამ მიმართულების აზროვნების უდიდესი ცოცხალი სიმბოლო აღ-

ბათ კონსერვატორი სტრატეგი ჯორჯ გილდერი იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფედერალური რეზერვის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ფულის მიწოდების მოცულობის გაზრდას და შემდგომ უშუალოდ ბიზნესმენებისთვის მის გადაცემას შემოქმედებითი იდეების განსახორციელებლად, ფაქტობრივად, იყო ღმერთის მიერ არაფრისაგან, მხოლოდ მისი გონების ძალით სამყაროს შექმნის გამეორება ადამიანის დონეზე. ეს მოსაზრება ფართოდ გავრცელდა „ტელეგანგელისტებში“ (**იგულისხმება სატელევიზიო რელიგიური ქადაგებები. რედ.**), როგორც იყო, მაგალითად, პატ რობერტსონი, რომელიც მიწოდების ეკონომიკას „ფულის მიწოდების მოცულობის გაზრდის პირველ ჭეშმარიტად ღვთიურ თეორიად“ მოიხსენიებდა. გილდერი უფრო შორს წავიდა და ამტკიცებდა, რომ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები საშუალებას მოგვცემდა, დაგვეძლია ძველი მატერიალისტური ცრურწმენები და კარგად გაგვეცნობიერებინა, რომ ფული, ისევე, როგორც ძალაუფლება, სინამდვილეში რწმენას უკავშირდება – ჩვენი იდეებისა და პრინციპების შემოქმედებითი ძალის რწმენას.¹⁸ სხვებმა კი, როგორც, მაგალითად, ბუშის ადმინისტრაციის ანონიმური წევრი გახლდათ, რწმენის პრინციპი სამხედრო ძალაზეც განავრცეს და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს. ორივე მიმართულება აღიარებს მჭიდრო კავშირს ფულსა და ძალაუფლებას შორის (ისევე, როგორც მემარჯვენე ერეტიკოსები, აინ რენდის (**ნამდვილი სახელი და გვარია ალისა როზენბაუმი (1905-1982) – ამერიკელი მწერალი და ფილოსოფოსი, წარმოშობით რუსი ებრაელი. რედ.**) მატერიალისტი მიმდევრები და რონ პოლის (**დაიბ. 1935 წ. – ამერიკელი პოლიტიკოსი, წარმომადგენელთა პალატის წევრი, „ჩაის სმის მოძრაობის“ მონაწილე. რედ.**) ტიპის ლიბერტარიანელები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან როგორც ფულის მიწოდების მოცულობის გაზრდის არსებულ სისტემას, ასევე მის კავშირს სამხედრო ძალაუფლებასთან).

ლიბერალთა ეკლესია არის უნივერსიტეტი, სადაც ფილოსოფოსებსა და „რადიკალურ“ სოციალურ თეორეტიკოსებს თეოლოგების ადგილი უჭირავთ. ეს შეიძლება სრულიად განსხვავებულ სამყაროდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ამავე პერიოდში აკადემიურ მემარცხენე წრეებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვა, ბევრი კუთხით, უცნაურად ჰგავს მას. საკმარისია, გადავხედოთ

1980-იანი წლების საოცარ აღმასვლას და ფრანგი პოსტსტრუქტურალისტი თეორეტიკოსის, მიშელ ფუკოს (1926-1984), როგორც მფარველი წმინდანის, აშკარად უცვლელ სტატუსს, განსაკუთრებით კი მის მოსაზრებას, რომ ინსტიტუციური ცოდნის ფორმები – მედიცინა, ფსიქოლოგია, ადმინისტრაციული თუ პოლიტიკური მეცნიერებები, კრიმინოლოგია, ბიოქიმია თუ სხვა – ძალაუფლების ფორმებსაც წარმოადგენენ და თავად ქმნიან იმ რეალობას, რომელსაც შეისწავლიან. ეს თითქმის იგივეა, რაც გილდერის თეოლოგიური მოსაზრებები მიწოდების ეკონომიკის მიმართ ღრმა რწმენაზე, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ უკანასკნელის ხედვა პროფესიონალებისა და მენეჯერების ფენას ეყრდნობა, რომელიც ლბერალური ელიტის ბირთვს წარმოადგენს. 1990-იანი წლების ეკონომიკური ბუშტების ბუმის დროს (ასე მოიხსენიებენ სიტუაციას, როცა ვაჭრობენ საქონლის დიდი პარტიებით, რომლებსაც ე.წ. სამართლიანი ფასებისგან აბსოლუტურად განსხვავებული, უზომოდ გაზრდილი ფასები ადევს. რაც შეეხება ბირჟას, აქ ამ შემთხვევაში გამძაფრებული აუიოტაჟია, რომელსაც ხალხის ოპტიმისტური განწყობა იწვევს. საბოლოოდ, აქციების ფასები მკვეთრად ეცემა. რედ.) აკადემიურ წრეებში წარმოიშვა ახალი თეორიული მიდგომების უსასრულო ნაკადი – პერფორმანსის (ტერმინი, მისი საყოველთაოდ გავრცელებული მნიშვნელობისგან განსხვავებით, გულისხმობს სამუშაოს შესრულების ხარისხს, ეფექტიანობას. რედ.) თეორია, მოქმედ პირთა ქსელის თეორია, არამატერიალური შრომის თეორიები – რომლებიც ერთ საკითხზე თანხმდებიან: რეალობა არის ის, რისი ყოფიერებაში შემოტანაც შესაძლებელია, თუკი სხვებს დაარწმუნებ მის არსებობაში.* ცხადია, გასართობი სფეროს რომელიმე პასუხისმგე-

* საინტერესოა, რომ პოსტსტრუქტურალისტურ თეორიას ყოველთვის ჰქონდა უცნაური ჩავარდნები ეკონომიკასთან, უფრო მეტად კი სამხედრო ძალებთან მიმართებით. თუმცა, როდესაც მიშელ კალონი, მოქმედების ქსელის თეორიის ერთ-ერთი შემოქმედი, ეკონომიკას ჩაუღრმავდა, როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადა, რომ ეკონომისტები მეტწილად თვითონ ქმნიან იმ რეალობას, რომლის შესწავლაც მიზნად აქვთ დასახული. ეს სრული სიმართლეა, მაგრამ კალონი სრულიად უგულვებელყოფს მთავრობის მხრიდან იძულების როლს ამ პროცესში. ასე რომ, რეალობის შემქმნელი ძალების მემარცხენე მხარე უგულვებელყოფს სწორედ იმ ელემენტებს (ფული და იარაღის ძალა), რომლებსაც მემარჯვენეები ანალიზის მთავარ ობიექტად მიიჩნევენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მემარჯვენეების მსგავსად, რომლებსაც თავიანთი კორექტივები შეაქვთ მატერიალისტურ შეხედულებებში, მემარცხენეებიც ინარჩუნებენ ამგვარ დამოკიდებულებას მარქსიზმის მიმართ.

ბელი მუშაკი შეიძლება დეტალურად არ იცნობდეს მიშელ ფუკოს ნაშრომებს (უმეტესობას შეიძლება არც კი სმენია მის შესახებ, თუკი კოლეჯში მათი ძირითადი სპეციალობა ლიტერატურა არ იყო); არც ეკლესიის მრევლის უბრალო წევრი, მაგალითად, ნავთობის კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ერკვევა ალბათ გილდერის თეორიებში ფულის მიწოდების მოცულობის გაზრდის შესახებ, მაგრამ ორივე მათგანი, როგორც აღვნიშნე, იმგვარი აზროვნების თეოლოგიურ აპოთეოზს წარმოადგენს, როგორიც ე.წ. 1%-შია გავრცელებული; ისინი მიეკუთვნებიან ინტელექტუალურ სამყაროს, რომელშიც ისეთი სიტყვებიც კი, როგორიცაა „ქრთამი“ ან „იმპერია“, საჯაროდ არ განიხილება, მაგრამ, ამავე დროს, ყველაფრის საფუძვლად ითვლება.

თუკი იმ ქვედა საფეხურზე მდგომი 99%-ის რაკურსიდან შევხედავთ, რომელსაც სხვა გზა აღარ დარჩენია, გარდა იმისა, რომ ერთ ან მეორე რეალობაში იცხოვროს, ამგვარი აზროვნება ცინიზმის ყველაზე ინტენსიურ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს – ესაა ცინიზმი თითქმის მისტიკურ სიბრტყეში. რასაც რეალურად ვხედავთ, ესაა ძალაუფლების მქონეთა მხრიდან საკუთარი კერძო გამოცდილებისა და ხედვის თავად რეალობის ბუნებასთან აღრევის გაბატონებული ტენდენცია – ბოლოს და ბოლოს, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციიდან თუ შევაფასებთ, ფულს მართლაც შეუძლია, შექმნას ყველაფერი, ხოლო ჰოლივუდის პროდიუსერის ან საავადმყოფოს მენეჯერის ხედვით, ერთადერთი, რაც მართლა არსებობს, ეს არის ურთიერთ-კავშირი ცოდნას, ძალაუფლებასა და სამუშაოს შესრულების ხარისხს, ეფექტიანობას შორის.

აქ საქმე გვაქვს ერთ ამაზრზენ პარადოქსთან. ამერიკელთა უმრავლესობისთვის თავად მექრთამეობის პრინციპი კი არ არის პრობლემა (მიუხედავად იმისა, რომ, მათი აზრით, ის საზიზღრობაა და მიიჩნევენ, რომ პოლიტიკოსები განსაკუთრებით საშინელი ხალხია), არამედ ის, რომ ეს 1% ალებულ ქრთამს საზოგადოების ფართო მასებზე აღარ ავრცელებს, როგორც ამას ადრე აკეთებდა. ბოლოს და ბოლოს, მშრომელთა კლასის მოქრთამვა, მაგალითად, ახლად შექმნილი სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილის ქვედა მიმართულებით გადანაწილების გზით (როგორც ეს 1940-იან, 1950-იან, 1960-იან და 1970-იან წლებში იყო მიღებული) –

სწორედ ისაა, რაც ამ ორივე პარტიის ძირითად ამომრჩევლებს უკვე აღარ სურთ. ამის ნაცვლად, როგორც რესპუბლიკელებმა, ასევე დემოკრატებმა, როგორც ჩანს, თავიანთ აქტივისტთა ბაზა იმ ამომრჩეველთაგან ჩამოაყალიბეს, რომელთა მისწრაფებების ოდესმე განხორციელების მცირეოდენი სურვილიც კი არ ჰქონიათ: მაგალითად, აქ იგულისხმება კონსერვატორი ქრისტიანები, რომლებიც ალბათ ვერასდროს ელირსებიან აბორტის კანონსაწინააღმდეგო ქმედებად გამოცხადებას, ანდა პროფესიული კავშირები, რომლებიც ასევე ვერასოდეს მოესწრებიან იმ იურიდიული ბარიერების მოხსნას, რომლებიც ხელს უშლის მათ ორგანიზებას.

თავდაპირველი შეკითხვა ასე ჟღერდა: რატომ მიიჩნევა პოლიტიკაში ფულის როლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება აშშ-ში აუცილებლად რევოლუციურ საკითხად? პასუხი ასეთია: იმიტომ რომ, მექრთამეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძემდებლური პრინციპი გახდა. მთავრობისა და ფინანსური წრეების ინტერესების კავშირზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ფული ძალაუფლებად გარდაიქმნება, შემდეგ კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდი ფულის საშოვნელად გამოიყენება, ორივე პოლიტიკური პარტიის დონორთა ძირითადი ჯგუფებისათვის იმდენად ბუნებრივი გახდა, რომ უკვე ისინიც მას რეალობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად აღიქვამენ.

როგორ ვებრძოლოთ მას? პრობლემა ისაა, რომ ასეთ უკიდურეს ცინიზმზე დამყარებული პოლიტიკური სისტემის დაცინვას აზრი არა აქვს – გარკვეული თვალსაზრისით, ამან შეიძლება საქმე კიდევ უფრო გააფუჭოს. ამჟამინდელი სატელევიზიო ახალი ამბები შეიძლება დავყოთ შოუებად, რომლებიც აცხადებენ, რომ სიმართლეს გვეუბნებიან – მათი უმეტესობა ეწევა ან ზომიერი მემარჯვენე (CNN) ან უკიდურესი მემარჯვენე (FOX) იდეების პროპაგანდას, ხოლო უმეტესად სატირული (The Daily Show) ან, გარკვეული თვალსაზრისით, პერფორმატიული (MSNBC) გამოშვებების დროის უდიდესი ნაწილი იმის შეხსენებას ეთმობა, რამდენად კორუმპირებული, ცინიკური და არაკეთილსინდისიერია სინამდვილეში CNN და FOX. ეს სრული სიმართლეა, მაგრამ აღნიშნული გარემოება, საბოლოო ჯამში, მხოლოდ კიდევ უფრო განამტკიცებს იმ აზრს, რომ თანამედროვე მედიის ძირითადი

ფუნქცია (ეს ზემოთ ვახსენე კიდევ) შემდეგი შინაარსის გზავნილის მიწოდებაა: შეიძლება შენ საკმარისად ჭკვიანი ხარ და ხვდები, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების ცინიკური თამაშია, მაგრამ დანარჩენი ამერიკა მაინც მასხრად აგდებულ ცხვრის ფარად რჩება.

ეს ყველაფერი არის მახე. ჩემი აზრით, თუკი მისგან თავის დაღწევა გვინდა, მაგალითი იმათგან კი არ უნდა ავიღოთ, ვისაც მემარცხენეებად მივიჩნევთ, არამედ პოპულისტი **(ტერმინის გავრცელებული მნიშვნელობისაგან განსხვავებით, მოცემულ კონტექსტში იგულისხმება ფართო მასების ინტერესების დამცველი მოძრაობის წევრები. რედ.)** მემარჯვენეებისაგან, რადგან სწორედ მათ აღმოაჩინეს უმთავრესი სუსტი წერტილი მთელ ამ სისტემაში: სინამდვილეში ძალიან ცოტა ამერიკელი თუ იზიარებს 1%-ის ყოვლისმომცველ ცინიზმს.

პროგრესული მემარცხენეების მუდმივი უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამერიკის მუშათა კლასის ამდენი წარმომადგენელი ხმას აძლევს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგ, როცა აქტიურად უჭერს მხარს რესპუბლიკელ კანდიდატებს; ისინი კი პირობას დებენ, რომ იმ პროგრამებს შეკვეცენ, რომლებმაც ამომრჩევლების ოჯახები სათბობით უნდა მოამარაგოს, მათი შვილების სკოლები განაახლოს და ასაკოვანი ადამიანების ჯანმრთელობის დაზღვევის პრივატიზება განახორციელოს. გარკვეულწილად, ხალხის არჩევანს თავისი მიზეზი აქვს – ის ნასუფერალი, რომელიც დემოკრატიულ პარტიას სურს, თავის „ბაზას“ დაუყაროს, იმდენად უბადრუკია, რომ მისი შემოთავაზება შეურაცხმყოფელია: განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისეთ არგუმენტებზე მიდგება საქმე, როგორსაც ბილ კლინტონი ან ობამა იყენებენ: „ჩვენ არ ვაპირებთ, თქვენთვის ვიბრძოლოთ, ან რატომ უნდა ვიბრძოლოთ? ჩვენს პირად ინტერესებში ეს სულაც არ შედის, როცა ისედაც ვიცით რომ თქვენ სხვა არჩევანი მაინც არ გაქვთ, გარდა იმისა, რომ ჩვენ მოგვცეთ ხმა“. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი იყოს საიმისოდ, რომ ხალხმა საერთოდ თავი აარიდოს ხმის მიცემას (და მართლაც, ამერიკელ მშრომელთა უმეტესობამ დიდი ხანია, ხელი აიღო საარჩევნო პროცესში მონაწილეობაზე), ამით მაინც ვერ აიხსნება, თუ რატომ უნდა მისცე ხმა მეორე მხარეს.

ერთადერთი, რითაც ამის გამართლება შეიძლება, არის არა ის, რომ ისინი, ცოტა არ იყოს, ვერ გარკვეულან, თუ რას ნიშნავს ეს „საკუთარი ინტერესები“, არამედ ის, რომ მათ აღაშფოთებს იდეა: პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა „საკუთარი ინტერესებისათვის“ ბრძოლა. მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის რიტორიკა, რომ სახელმწიფო ვალის სავალალო შედეგებისაგან ჩვენი შვილების დასაცავად „მსხვერპლი ყველამ უნდა გავიღოთ“, შესაძლოა, ცინიკური სიცრუეც იყოს, ანუ 1%-ისათვის კიდევ უფრო მეტი სიმდიდრის გადანაწილების საშუალება, მაგრამ ამგვარი მონოდებები, ყოველ შემთხვევაში, რიგით ადამიანებს უნერგავს გარკვეულ რწმენას, რომ მათ კეთილშობილური საქციელის ჩადენა შეუძლიათ. მაშინ, როცა ბევრი ამერიკელის ირგვლივ სინამდვილეში არაფერია ისეთი, რაც იმსახურებს, რომ „საზოგადოება“ უნოდო, ეს არის ის მცირედი, რის გაკეთებაც მათ სხვებისთვის შეუძლიათ.

როგორც კი გავიაზრებთ, რომ ამერიკელთა უმეტესობა ცინიკოსი სულაც არ გახლავთ, გაცილებით გაგვიადვილდება გაგება, თუ რატომ იზიდავს ხალხს მემარჯვენე ფრთის პოპულიზმი. ის საკმაოდ ხშირად რასიზმის, სექსიზმისა და ჰომოფობიის ყველაზე ამაზრზენი ფორმებითაა გარშემორტყმული. მაგრამ მათ უკან დგას გულწრფელი აღშფოთება იმის გამო, რომ კეთილი საქმის კეთების საშუალებას არ გაძლევენ.

ავიღოთ პოპულისტ მემარჯვენეთა ყველაზე უფრო ნაცნობი შეძახილები მიტინგების დროს – მათში ჭარბობს „კულტურული ელიტის“ სიძულვილი და „ჩვენი ჯარების მხარდაჭერის“ მუდმივი მონოდება. ერთი შეხედვით, თითქოს მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. სინამდვილეში მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ. შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მშრომელ ამერიკელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ნავთობის მაგნატებსა და ჯანმრთელობის დაზღვევის ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებზე მეტად შემომწყრალია 1%-ის იმ ნაწილზე, რომელიც კულტურის ინდუსტრიაში მუშაობს, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, მათ მიერ საკუთარი მდგომარეობის ობიექტურ, რეალისტურ შეფასებას წარმოადგენს: კონდიციონერების შემკეთებელმა ნებრასკიდან კარგად იცის, რომ ნაკლებად სავარაუდოა, მისი შვილი ოდესმე მსხვილი კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორი

გახდეს, მაგრამ ეს მაინც, ასე თუ ისე, შესაძლებელია; მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია, ის ოდესმე საერთაშორისო მასშტაბის ადამიანის უფლებათა დამცველი ან The New York Times-ის თეატრალური კრიტიკოსი გახდეს. სრულიად აშკარაა, რომ თუკი გსურს შეიქმნა კარიერა, რომელსაც მხოლოდ ფულის გამო არ ირჩევ – კარიერა ხელოვნებაში, პოლიტიკაში, სოციალურ უზრუნველყოფასა თუ ჟურნალისტიკაში, ანუ იმ სფეროებში, სადაც ცხოვრება არა ფულის ძიებას, არამედ სხვა ღირებულებებს – ჭეშმარიტებას, მშვენიერებას, ქველმოქმედებას უნდა მიუძღვნა, შენი დამქირავებლები პირველი ერთი ან ორი წლის განმავლობაში ფულს, უბრალოდ, არ გადაგიხდიან. როცა კოლეჯი დავამთავრე, აღმოვაჩინე, რომ უხელფასო სტაჟირების აუღებელი ბასტიონი ამგვარ კარიერას მარად მიუწვდომელს ხდის ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელსაც არ შეუძლია, რამდენიმე წლის განმავლობაში იხადოს ბინის ქირა და თავისუფლად იცხოვროს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ნიუ-იორკი ან სანფრანცისკო – რაც მყისიერად გამორიცხავს რაიმე შანსს მუშათა კლასის წარმომადგენელთა შვილებისთვის. პრაქტიკული თვალსაზრისით, ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ ეს დახვეწილი ინტელექტუალები (სულ უფრო მეტად „ენდოგამიური“, პრივილეგირებული ფენა) ამერიკის მუშათა კლასის უმეტესობას არამხოლოდ გაუთლელ ბრიყვებად აღიქვამენ, რაც თავისთავად აღმაშფოთებელია, არამედ შექმნილი აქვთ საკმაოდ დახვეწილი სისტემა, რათა მათი შვილები ფლობდნენ მონოპოლიას საქმიანობის ყველა იმ სფეროზე, რომელთა წყალობითაც ადამიანს ექნება შესაძლებლობა, შესაფერი შემოსავალიც ჰქონდეს და უანგარო, კეთილშობილურ მიზნებსაც ემსახურებოდეს. თუკი კონდიციონერების შემკეთებლის ქალიშვილი მოისურვებს, ისეთი კარიერა შეიქმნას, რომლის მეშვეობითაც შეძლებს, უფრო მაღალ იდეალებს ემსახუროს, ვიდრე თავის გატანაა, მის წინაშე მხოლოდ ორი რეალისტური არჩევანი იქნება: იმსახუროს ადგილობრივ ეკლესიაში, ან წავიდეს ჯარში.

დარწმუნებული ვარ, სწორედ ზემოთ აღნიშნულს უკავშირდება ჯორჯ უოლკერ ბუშის განსაკუთრებული მიმზიდველობისა და პოპულარობის საიდუმლო, პოლიტიკოსისა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახიდან იყო: ის საუბრობდა და მოქ-

მედებდა იმ ადამიანით, რომელიც ჯარისკაცებთან გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე პროფესორების გარემოცვაში. პოპულიستي მემარჯვენეების მებრძოლი ანტინტელექტუალიზმი არ არის მხოლოდ პროფესიონალურ-მენეჯერული ფენის ძალაუფლების დაგმობა (რომელსაც, როგორც ამერიკის მუშათა კლასის წარმომადგენელთა უმეტესობა მიიჩნევს, შესაძლოა, უფრო მეტი გავლენა ჰქონდეს მათ ცხოვრებაზე, ვიდრე კორპორაციების ხელმძღვანელ პირებს). ეს არის პროტესტი სხვა ფენის წინააღმდეგაც; ეს უკანასკნელი, მათი აზრით, ცდილობს მონოპოლიზებას საშუალებებისა, რომლებიც შესაძლებლობას გიქმნის, ცხოვრება, მატერიალური პირადი ინტერესების გარდა, სხვა რამესაც მიუძღვნა.

ლიბერალები გაოცებულნი არიან იმით, რომ თურმე საკუთარი პირადი ინტერესის წინააღმდეგ მოქმედებენ, რაკი უარს ამბობენ იმ ცოტაოდენი მატერიალური ნასუფრალის მიღებაზე, რომელსაც მათ დემოკრატი კანდიდატები სთავაზობენ. როცა ამას ხედავ, გრჩება შთაბეჭდილება, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია, ვიდრე გეგონა.

რესპუბლიკური პარტიის რაკურსიდან თუ შევხედავთ, მისი წარმომადგენლები მოტყუებულნი რჩებიან, როცა თეთრკანიანი მუშათა კლასის პოპულიზმზე აკეთებენ გათვლას. ამით რესპუბლიკელები სამუდამოდ ამბობენ უარს დემოკრატიული პარტიის ძირითად მხარდამჭერთა გარკვეული ნაწილის გადმობირებაზე. ესენი არიან: აფრიკელი ამერიკელები, ლათინური ამერიკის წარმომადგენლები, იმიგრანტები და მეორე თაობის იმიგრანტები, რომელთათვისაც (მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა მორწმუნე ქრისტიანია და, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებულ ძალებში მათი შვილები ჭარბი რაოდენობით არიან წარმოდგენილი) ამგვარი ანტინტელექტუალური პოლიტიკა მართლაც რომ წყევლაა. შეიძლება სერიოზულად წარმოვიდგინოთ, რომ აფრო-ამერიკელი პოლიტიკოსი, ჯორჯ უოლკერ ბუშის მსგავსად, ანტინტელექტუალური კარტით ითამაშებდა და წარმატებას მოიპოვებდა? ამგვარი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა. დემოკრატიული პარტიის ძირითად ელექტორატს სწორედ ის ადამიანები შეადგენენ, რომლებიც არამარტო უფრო მკაფიოდ აღიქვამენ საკუთარ თავს საზოგადოებისა და კულტურის

ნაწილად, არამედ, რაც მთავარია, მათთვის განათლება თავისი არსით ჯერ კიდევ ფასეულობას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამერიკული პოლიტიკა ჩიხში შევიდა.

ახლა დავფიქრდეთ ყველა იმ ქალზე (უმეტესწილად თეთრკანიან ქალებზე), რომლებმაც თავიანთი ამბები „ჩვენ ვართ 99%“-ის გვერდზე გამოაქვეყნეს. ამ გადასახედიდან ისინი მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური კულტურის ცინიზმის წინააღმდეგ ანალოგიური პროტესტის გამოხატულებად აღიქმება. თუმცა მათ მოთხოვნას აბსოლუტური მინიმუმის სახე აქვს – შეგეძლოს, შენი ცხოვრება სხვებზე ზრუნვას, მათ სწავლებასა და დახმარებას მიუძღვნა, ისე, რომ იძულებული არ გახდე, ამას მსხვერპლად შესწირო საკუთარ ოჯახზე ზრუნვის შესაძლებლობა.* ბოლოს და ბოლოს, განა მონოდება „მხარი დაუჭიროთ ჩვენს სკოლის მასწავლებლებსა და მედებს!“ ნაკლებად ლოგიკურია, ვიდრე მონოდება „მხარი დაუჭიროთ ჩვენს ჯარებს!“? და ნუთუ შემთხვევითია ის ფაქტი, რომ ამდენი ყოფილი ჯარისკაცი და ერაყისა და ავღანეთის ომის ვეტერანი შეუერთდა ადგილობრივ „ოკუპაციებს“?

მთელი უოლსტრიტის დასანახად შეკრებითა და თემის შექმნით, რომელიც ფულს არ იყენებდა, თანაც ეფუძნებოდა არა მხოლოდ დემოკრატიის, არამედ ორმხრივი ზრუნვის, სოლიდარობისა და მხარდაჭერის პრინციპებს, „ოკუპანტებმა“ რევოლუციური გამოწვევის წინაშე დააყენეს არა მარტო, ზოგადად, ფულის ძალაუფლება, არამედ ფულის როლი იმის განსაზღვრაში, თუ როგორი უნდა იყოს ცხოვრება თავისი არსით. ეს იყო ძლიერი დარტყმა არა მხოლოდ თავად უოლსტრიტისათვის, არამედ სწორედ ცინიზმის პრინციპისათვის, რომლის მკაფიო განსახიერებასაც უოლსტრიტი წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, იმ კონკრეტულ მომენტში თავად სიყვარული გახდა უკიდურესად რევოლუციური აქტი.

* თავის პატარა ესეში, სახელწოდებით „ქალები, მკაცრი ეკონომიის პოლიტიკა და დაუსრულებელი ფემინისტური რევოლუცია“ (Occupy! N3, n+1, 2011 წლის ნოემბერი, გვ. 32-34), სილვია ფედერიჩი სწორედ ამ მიმართულებით მიდის, როდესაც მიუთითებს, რომ ფემინიზმის ძირითადი ნაკადი სწორ გზას ასცდა, რადგან ყურადღებას, ძირითადად, ქალებისათვის შრომის ბაზარზე მონაწილეობის გარანტიის მიცემაზე ამახვილებს (რაც, არსებითად, სოციალური, დისკრიმინაციული შეზღუდვებისაგან მათ გათავისუფლებად მიაჩნია), და არა იმაზე, რასაც ის, ცოტათი უხერხული მარქსისტული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „რეპროდუქციის სფეროს“ უწოდებს.

ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ არსებული სისტემის მცველებმა ზუსტად ამოიცნეს, რა იყო ეს, და მასზე ისეთი რეაქცია ჰქონდათ, თითქოს სამხედრო პროვოკაციის წინაშე იდგნენ.

შეკითხვა 7

რატომ განიცადა მოძრაობამ კრაზი 2011 წლის ნოემბერში, ძალიან მალე მას შემდეგ, რაც ბანაკები ძალის გამოყენებით დაშალეს?

2011 წლის ნოემბერში, როცა მოძრაობის ბანაკები ძალის გამოყენებით დაშალეს, მედიამ მაშინვე გადმოსცა ინფორმაცია, რომ Occupy Wall Street-მა ფუნქციონირება შეწყვიტა.

იმ ვერსიის თანახმად, რომელიც ძალიან მალე აშშ-ის მედიაში დამკვიდრდა, ჯერ კიდევ ბანაკების დაშლამდე საქმე ისედაც უარესობისკენ მიდიოდა. სავარაუდოდ, ის, რაც თავდაპირველად იდეალისტური ექსპერიმენტი იყო, კრიმინალებმა, ნარკომანებმა, უსახლკარო და შეშლილმა ადამიანებმა მოიცვეს; ჰიგიენის ნორმები დაირღვა; სექსუალური ძალადობა ეპიდემიასავით გავრცელდა. ცნობილი ფოტო შარვალჩახდილი უსახლკარო, უთვისტომო ადამიანისა, რომელიც, ეტყობა, ზუკოტის პარკის მახლობლად, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის მანქანასთან მოსასაქმებლად ემზადებოდა, წინაკის აეროზოლიანი ტონი ბოლონიას ასევე გახმაურებულ ვიდეოს დაუპირისპირეს და ყველგან აფრიალებდნენ იმის სადემონსტრაციოდ, თუ რამდენად დამძიმდა მდგომარეობა (არავითარი მტკიცებულება არ არსებობდა, რომ ეს ადამიანი Occupy-ს წევრი იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა). ამ ბრალდებათა უმეტესობა მაშინვე გაქარწყლდება, როგორც კი მათ უფრო კარგად დავუკვირდებით. ასე მაგალითად, გაუპატიურებების „ეპიდემიის“ შესახებ განცხადებების მიუხედავად, ასობით ოკუპანტთაგან სექსუალური ძალადობის ბრალდება, საერთო ჯამში, მხოლოდ ორ ადამიანს წაუყენეს. როგორც რებეკა სოლნიტი აღნიშნავდა, აშშ-ში ქალების მიმართ სექსუალური ძალადობის ყველაზე მაღალი

მაჩვენებელია მსოფლიოს ქვეყნებს შორის, მაგრამ მედია ამას მორალურ კრიზისად რატომღაც ვერ აღიქვამს. თუმცა Occupy-ს შესახებ ახალ ამბებში გაშვებულ სიუჟეტებში მთავარი ის კი არ იყო, რომ აქტივისტებმა შეძლეს, ამერიკის ყველაზე საშიში ქალაქის შუაგულში შეექმნათ ისეთი გარემო, რომელშიც ქალების მიმართ ძალადობის მაჩვენებელი, აშკარად, მკვეთრად შემცირდა, არამედ სკანდალი იმის გამო, რომ მათ ამგვარი ინციდენტები მთლიანად ვერ აღმოფხვრეს.

უფრო მეტიც, სოლნიტი კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდის შესახებ ამგვარ ინფორმაციას ავრცელებს:

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სანამ ოკლენდში ბანაკი არსებობდა, დანაშაული 19%-ით შემცირდა. ამ სტატისტიკას ქალაქი გულმოდგინედ მალავდა. „ეს შეიძლება ჩვენი განცხადების საპირისპიროდ მეტყველებდეს, რომლის თანახმადაც, Occupy-ს მოძრაობის უარყოფითი ზეგავლენით იმატა დანაშაულთა რიცხვმა ოკლენდში“, – ნათქვამია პოლიციის შეფის მიერ მერისთვის გაგზავნილ მეილში, რომელიც მოგვიანებით ადგილობრივმა ახალი ამბების არხმა, KTVU-მა, მოიპოვა და გაავრცელა, რასაც ხმაური მოჰყვა. ყურადღება მიაქციეთ: Occupy იმდენად დიდი ძალა იყო სწორედ თავისი არაძალადობრიობის გამო, რომ ოკლენდში არსებული გამუდმებული დანაშაულისა და ძალადობის პრობლემების გადაჭრასაც კი ახერხებდა, უბრალოდ, იმის საშუალებით, რომ ხალხს აძლევდა იმედს, საკვებს, საუბრის საშუალებას, ასწავლიდა სოლიდარობას.¹⁹

იმის თქმაც ზედმეტია, რომ არსად უძლოდა საგაზეთო სტატიებს ხმაურიანი სათაურები, მაგალითად, ასეთი: „ძალადობრივი დანაშაული მკვეთრად მცირდება ოკუპაციის პერიოდში!“, ხოლო პოლიცია, მისივე სტატისტიკური მონაცემების მიუხედავად, კვლავაც ამტკიცებდა, რომ მდგომარეობა სწორედ რომ საპირისპირო იყო.

ზოგიერთ ბანაკში მართლაც იჩინა თავი შიდა პრობლემებმა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამის მიზეზი პოლიციელთა ნაკლებობა იყო – ფაქტობრივად, ოცდაოთხი საათის განმავლობაში, კვირაში შვიდი დღის მანძილზე, ბანაკები გარშემორტყმული იყო პოლიციელებით და, თეორიულად, ეს ადგილები მთელ ამერიკაში ყველაზე უსაფრთხო უნდა ყოფილიყო; მაგრამ პოლიციამ თავისი

შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი გააკეთა ამ პრობლემების შესაქმნელად. მაგალითად, უსახლკარო ყოფილ პატიმართა უმეტესობა, რომლებმაც ზუკოტის პარკში დაიდეს ბინა, როგორც ამბობდნენ, ამ ტერიტორიაზე რიკერს აილენდიდან (საპატიმროების კომპლექსი ნიუ-იორკში, ამავე სახელწოდების კუნძულზე, ისტ-რივერის სრუტეში. მთარგმ.) გათავისუფლების შემდეგ ავტობუსებით მოიყვანეს პოლიციელებმა და უთხრეს, რომ მათთვის პარკში უზრუნველყოფილი იქნებოდა უფასო საკვები და თავშესაფარი. ეს საყოველთაოდ გავრცელებული ტაქტიკაა. საბერძნეთში თითქმის ყველა, ვისაც კი ვესაუბრე და ვინც სინტაგმას მოედანზე საყოველთაო შეკრებებში მონაწილეობდა, ჰყვებოდა ამბებს ჯობის ქურდებსა და ნარკოდილერებზე, რომლებსაც პოლიციამ აცნობა, რომ მათ წინააღმდეგ დევნა არ განხორციელდებოდა, თუკი ისინი თავიანთ ხელობას საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ გამოიყენებდნენ. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამგვარი ზენოლის ფონზე ეს ბანაკები შედარებით უსაფრთხო ადგილებს წარმოადგენდა და ისინი არ მოუცავს ჰობსისეულ ქაოსს (თომას ჰობსი (1588-1679) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ცნობილია თავისი ნაშრომებით პოლიტიკურ ფილოსოფიაში. მას ყველაზე მეტად აშინებდა ქაოსით მოცული საზოგადოება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლის, ოჯახისა და საკუთრების უსაფრთხოებას. რედ.), თუმცა მედია და მუნიციპალური მთავრობა გამუდმებით საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

მაშ, რა ხდებოდა იქ სინამდვილეში?

ვფიქრობ, პირველ რიგში, უნდა გავიაზროთ, რომ ეს ყველაფერი იზოლირებულად არ მომხდარა. ეს თემა გლობალურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ Occupy არის ჩრდილოამერიკული ვარიანტი დემოკრატიული ამბოხებისა, რომელიც 2011 წლის იანვარში ტუნისში დაიწყო და იმავე წლის დასასრულისათვის ხელისუფლების არსებული სტრუქტურები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ყველგან.

ძნელი წარმოსადგენია ხელისუფლების არსებული სტრუქტურები შეშფოთებულნი არ ყოფილიყვნენ მოვლენათა ამგვარი განვითარებით, ან არ ეცადათ დაკანონებული წესრიგის წინაშე მდგარი საფრთხის შეჩერება და აშკარაა, რომ ისინი ასეც მოქცნენ. ფაქტობრივად, აშშ-ის მთავრობა არის ცენტრი პოლი-

ტიკური, ადმინისტრაციული და „უსაფრთხოების“ მთელი იმ მექანიზმებისა, რომლებიც უკანასკნელი თაობების არსებობის მანძილზე, მეტწილად, სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ ამგვარ საფრთხეს აღუდგეს წინ, უზრუნველყოს, რომ ამგვარი სახალხო ამბოხებები ან საერთოდ არ მოხდეს, ან დიდი ცვლილებები არ გამოიწვიოს და სიმშვიდე სწრაფად აღდგეს. ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარებაში აშშ-ის როლი გამოიხატა იმაში, რომ მან დაუშვა, ზოგიერთი დემოკრატიული მოძრაობა მთავრობებს ძალის გამოყენებით ჩაეხშოთ (ბაჰრეინი ამის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია); სხვა შემთხვევებში მოძრაობის ნეიტრალიზებას მისი წევრების სხვადასხვა კომიტეტში შეყვანით, ჰუმანიტარული დახმარებებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ცდილობდნენ. ევროპაში განხორციელდა მთელი სერია ქმედებებისა, რომლებსაც სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ფინანსურ გადატრიალებებს მდიდართა მხარდამჭერი პოლიტიკური ელიტის დახმარებით – ჩრდილოეთის ქვეყნებმა იტალიასა და საბერძნეთში, ფაქტობრივად, გააძევეს არჩეული მთავრობა და მკაცრი ეკონომიის პრინციპებით შედგენილი ბიუჯეტების შეტანის მიზნით ამ სახელმწიფოებს თავს მოახვიეს „ნეიტრალური ტექნოკრატები“, რასაც თან ახლდა პოლიციის თანდათანობით სულ უფრო მეტად დახვეწილი სპეცოპერაციები მათ წინააღმდეგ, ვინც მოედნებზე სახალხო შეკრებებში მონაწილეობდა. აშშ-ში კი, ორთვიანი ყოყმანის შემდეგ პოლიციამ დაიწყო ბანაკების საგან ქალაქების სისტემატური განმენდა, რისთვისაც ხშირად უზარმაზარ სამხედრო ძალას იყენებდა და, რაც მთავარია, აშკარად აგრძნობინა „ოკუპანტებს“, რომ, ამ დროიდან მოყოლებული, მოქალაქეთა ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც ბანაკების აღდგენას შეეცდებოდა, მაშინვე ფიზიკური თავდასხმის ობიექტი გახდებოდა.

აშშ-ის მთავრობა ყოველთვის ცდილობდა იმის ხაზგასმას, რომ ეს ქმედებები კოორდინირებული არ ყოფილა. ალბათ უნდა დავიჯეროთ, რომ ასობით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დამოუკიდებლად გადანწყვიტა, იძულებით დაეშალა ადგილობრივი ბანაკები ერთსა და იმავე დროს, ყველგან ერთი და იმავე საბაბით (სანიტარიული ნორმების დაცვის მიზნით), ერთი და იმავე ტაქტიკით; ისევე, როგორც ყველამ, ერთმანეთის მს-

გავსად, გადაწყვიტა, აღარ დაეშვა რაიმე სახის ბანაკის ხელახლა მოწყობა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი „ოკუპანტები“ ამის გაკეთებას კანონის ფარგლებში შეეცდებოდნენ. ეს, რასაკვირველია, აბსურდია. ჯერ კიდევ 1999, 2000 და 2001 წლებში „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ ჩახშობის მცდელობები აშკარად კოორდინირებული იყო, ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის მთავრობამ დაამატა უსაფრთხოების ბიუროკრატიის კიდევ რამდენიმე ფენა გამოკვეთილი მიზნით – მათ ევალებოდათ საპასუხო ღონისძიებების კოორდინირება ნებისმიერ რამეზე, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხედ აღიქმებოდა. თუკი ისინი, ვინც სათავეში ედგა ამგვარ ინსტიტუტებს, მშვიდად ისხდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ დიდი, სწრაფად მზარდი და პოტენციურად რევოლუციური მოძრაობის უეცარ წარმოშობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოდის, რომ ეს პირები თავიანთ სამუშაოს არ ასრულებდნენ.

როგორც მოქმედებდნენ ისინი? რა თქმა უნდა, არ ვიცით და, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს ვერაფერს შევიტყობთ ამის შესახებ. ათწლეულები დაგვჭირდა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების დაცვისა და სამშვიდობო მოძრაობის ჩასახშობად განხორციელებული ძალისხმევის ხასიათი ზედმიწევნით შეგვესწავლა. მიუხედავად ამისა, ძნელი არაა, აღვადგინოთ ძირითადი კონტურები იმისა, თუ რა უნდა მომხდარიყო. სინამდვილეში არსებობს გარკვეულწილად სტანდარტული ტაქტიკა, რომელსაც თითქმის ყველა მთავრობა იყენებს დემოკრატიული მოძრაობის ჩასახშობად და ეს კონკრეტული შემთხვევაც, აშკარაა, რომ, ძირითადად, ინსტრუქციის მიხედვით წარიმართა. აი, როგორ ხდება ეს: თავდაპირველად უნდა სცადო მორალური ავტორიტეტის განადგურება იმ რადიკალური ძალებისა, რომლებიც, ფაქტობრივად, მართავენ მოძრაობას; ამას მოახერხებ, თუ საზოგადოებას მათ დაუხატავ მოძალადეებად, რომლებიც ზიზღს იმსახურებენ (ყოველ შემთხვევაში, პოტენციურად მაინც). შემდეგ უნდა სცადო, რომ შემოაცალო მათ საშუალო ფენის მოკავშირეები კარგად გათვლილი დათმობებითა და შიშის მომგვრელი ისტორიებით; ან თუკი მართლაც რევოლუციური სიტუაცია გარდაუვალია, გამიზნულად შექმნა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პრეცედენტი

(ცნობილია, რომ მუბარაქის მთავრობაც სწორედ ასე მოიქცა ეგვიპტეში, როცა გამოუსწორებელი დამნაშავეები გაათავისუფლა ციხეებიდან და მოხსნა პოლიციის დაცვა უბნებში, სადაც საშუალო ფენის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, რათა ისინი დაერწმუნებინა, რომ რევოლუცია მხოლოდ ქაოსისკენ უბიძგებს ქვეყანას). ამის შემდეგ უკვე თავდასხმაც შეგიძლია.

2000 წელს საკმაოდ დიდი დრო მოვანდომე იმას, რომ დოკუმენტურად დამემტკიცებინა, თუ როგორ „იმუშავა“ ზემოთ აღნიშნულმა პირველმა ეტაპმა სიეტლში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეხვედრების ჩაშლის მიზნით გამართული საპროტესტო მოძრაობის კვალდაკვალ. იმ დროს აქტივისტურ მემკვიდრეობასთან ხშირად ვთანამშრომლობდი და უამრავ უცნაურ განცხადებას ვაწყდებოდი, რომლებიც უეცრად გამოჩნდებოდა ხოლმე ჰორიზონტზე; ისინი, აშკარად, სხვადასხვა სახის ოფიციალური წყაროდან მოდიოდა, თანაც – ყველა ერთსა და იმავე დროს. მაგალითად, 2000 წლის ზაფხულში იყო ერთი კვირა, როდესაც უეცრად ყველამ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თითქოს გლობალიზაციის საწინააღმდეგო პროტესტის ყველა მონაწილე სინამდვილეში მდიდართა შვილები იყვნენ და სატრასტო ფონდებს ფლობდნენ (**ტრასტი – ურთიერთობების სისტემა ზოგად სამართალში, რომლის დროსაც თავის საკუთრებას მფლობელი გადასცემს ე.წ. ნდობით მმართველს (ან მეურვეს), მაგრამ მართვის შედეგად მიღებულ შემოსავალს ინაწილებენ შემოსავლის ბენეფიციარები. რედ.**). ამის შემდეგ მალე გავრცელდა ხმა უკიდურესად ძალადობრივი ქმედებების შესახებ, რომლებიც სიეტლის საპროტესტო აქციის მონაწილეებს მიენერებოდა – მოლოტოვის კოქტილების, ქვებისა და განავლის სროლა; შურდულებისა და შარდით, ქლორით ან მჟავით სავსე წყლის თოფების გამოყენება; ძალაყინებით ტროტუარების მონგრევა პოლიციელებისთვის სასროლი მასალის მოსამარაგებლად. მალე ამგვარი აგრესიული ტაქტიკის შესახებ გაფრთხილებები რეგულარულად ჩნდებოდა გაზეთებში სავაჭრო სამიტების წინ, ხშირად – ავტორიტეტული ექსპერტების განცხადებებზე დაყრდნობით, რომლებსაც ადგილობრივი პოლიციელების გასაწვრთნელად გზავნიდნენ. ეს განცხადებები ქმნიდა აჩრდილების შიშით გამოწვეულ პანიკურ განწყობას – მიუხედავად იმისა, რომ თავად სიეტლის

საპროტესტო აქციების დროს აზრადაც არავის მოსვლია, ეს გაეკეთებინა. როდესაც მსგავსი ამბები The New York Times-ში გამოჩნდა, ადგილობრივი უშუალო მოქმედების ქსელის წევრებმა, მათ შორის მეც, რედაქციის შენობის პიკეტირება მოვანწყვეთ და გაზეთის მესვეურებიც იძულებულნი გახდნენ, უკან ნაელოთ თავიანთი სიტყვები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სიეტლის პოლიციაში დარეკეს და იქაც დაუდასტურეს, რომ არავითარი სამხილი არ არსებობდა, რომ ამ ტიპის ტაქტიკა მართლა გამოიყენეს. მაგრამ ასეთ ისტორიებს ისევ ნააწყდებოდით ხოლმე. ძნელია, ზუსტად დავადგინოთ, რა ხდებოდა, მაგრამ ჩვენ მიერ მოპოვებული მწირი მტკიცებულებებით შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა არასაუნწყებო დაცვის კომპანიები (რომლებიც პოლიციასთან ერთად მოქმედებდნენ), მემარჯვენე სამეცნიერო ცენტრები და, შესაძლოა, პოლიციის გარკვეული ტიპის სადაზვერვო დანაყოფებიც. ძალიან მალე მობილიზაციის აუცილებლობის წინაშე მდგარი ქალაქების პოლიციის შეფებმაც ისეთივე ისტორიების შეთხზვა დაიწყეს, რომლებიც რამდენიმე დღის მანძილზე საგაზეთო სტატიების ხმაურიან სათაურებში აისახებოდა, ვიდრე ჩვენ შევძლებდით, დაგვემტკიცებინა, რომ ძალადობა არასდროს მომხდარა, მაგრამ ამ დროისთვის მთლიანად ეს თემა, რასაკვირველია, უკვე მედიის ახალი ამბების ყურადღების ღირსად აღარ მიიჩნეოდა.

როდესაც ისტორიის მონაკვეთის ხედვა ასე მახინჯდება, ნათლად იკვეთება მოვლენათა ტიპური განვითარების გარკვეული სქემა. ყველაზე თვალში საცემია ფეკალიებისა და უნიფორმიანი ადამიანების მუდმივად ერთ კონტექსტში მოხსენიება. არ მახსოვს დემოკრატიული საპროტესტო ღონისძიების მონაწილეთა მიმართ პოლიციის მხრიდან განხორციელებული ცილისწამების არც ერთი შემთხვევა, რომ, სულ მცირე, ერთხელ მაინც არ ყოფილიყო ნახსენები დემონსტრანტების მიერ განავლის სროლის ფაქტი ან ამგვარი განზრახვა მაინც. სავარაუდოდ, ეს ყველაფერი 1960-იანი წლების საპროტესტო აქციების მონაწილეთა იმიჯს უკავშირდება (რომელიც წარმატებით გამოიყენა პოლიციამ) – ისინი სახეში აფურთხებდნენ ომიდან დაბრუნებულ ვეტერანებს. ეს იმიჯი მყარად არის გამჯდარი ხალხის წარმოსახვაში, თუმცა არ არსებობს არავითარი სამხილი, რომ მსგავსი

რამ მართლა მოხდა. მაგრამ 1970-იანი წლებშიც კი სენსაციური ამბები ჰიპების შესახებ, რომლებიც განავალს ისროდნენ, მემარ-ჯვენე მედიისათვის ძირითადი თემა გახდა და ყოველთვის ხელახლა წამოიწყო ნინა პლანზე (რასაკვირველია, დოკუმენტუ-რი სამხილების გარეშე) სწორედ მაშინ, როდესაც უნიფორმიან ქალებსა და მამაკაცებს მშვიდობიან დემონსტრანტებზე შეტე-ვას უბრძანებდნენ. სამოყვარულო ვიდეოკამერებზე აღბეჭდილია ათასობით პოლიციელი, როდესაც ისინი „ოკუპანტებს“, ჟურნალ-ისტებსა და შემთხვევით გამვლელებს სცემენ. არასდროს არავის დაუფიქსირებია „ოკუპანტი“, რომელიც ნეხვს ისვრის.

ექსკრემენტების თემაზე ხაზის გასმა ასეთი ეფექტური იმ-იტომია, რომ ის, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ორ მიზანს ემსახურება. პირველი – ეს არის ზემოქმედება რიგითი პოლ-იციელების გონებასა და გრძნობებზე, რომლებიც თავდაპირ-ველად, ასე თუ ისე, როგორც ადამიანები, თანაუგრძნობდნენ Occupy-ს. ახლა მათ პირდაპირ მოსთხოვს, ხელკეტებით გას-წორებოდნენ მშვიდობიან იდეალისტებს*. იანვარსა და თებერ-ვალში, როდესაც რეპრესიებმა მართლაც სისტემატური ხასიათი მიიღო, აქტივისტებს დაპატიმრებისას შესაძლებლობა მიეცათ, ხანგრძლივად ესაუბრათ პოლიციელებთან. მათი დარწმუნება იმაში, რომ „ოკუპანტები“ საჯარო მოხელეებს ექსკრემენტებს რეგულარულად არ ესროდნენ, შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეორე ეფექტი, რასაკვირველია, გახლავთ აქტივისტთა მორალური ავტორიტეტის განადგურება ხალხის თვალში: მათ ხატავდნენ მოძალადეებად, რომლებიც ზიზღს იმსახურებდნენ. პოლიციის მანქანასთან ჩაკუზული უსახლკარო კაცის ფოტო, ეტყობა, მათ მთავარ მიზანს ძალიან ნაადგა. მეორე მიზანთან დაკავშირებით პრობლემა შეიქმნა (განსაკუთრებით ნიუ-იორკში) – უბრალოდ, არ არსებობდა რეალური საფუძველი, მოსახლეობა

* როგორც ადრე აღვნიშნე, იმის მტკიცება, თითქოს გლობალიზაციის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა შორის ბევრნი „სატრასტო ფონდების მფლობელთა შვილები იყვნენ“, კარგად იყო მოფიქრებული, რათა სასურველი ეფექტისთვის მიეღწიათ: ეს იყო საშუალება, რომ პოლიციელებისთვის ეთქვათ: „ნუ გგონიათ, რომ, ამ სავაჭრო სამიტის დაცვით, ფაქტობრივად, იმ „ფულის ტომრებს“ იცავთ, რომლებსაც თქვენც სძულხ-ართ და ყველა თქვენნაირიც. იფიქრეთ იმაზე, რომ მათი თავნება შვილების კარგად მიბერტყვის შესაძლებლობა გეძლევათ (მაგრამ ზედმეტიც არ მოგივიდეთ და ვინმე არ მოკლათ, რა იცი, ვისი შვილი შეიძლება აღმოჩნდეს).“

დაერწმუნებინათ, რომ თითქოს აქტივისტები პოლიციას დაესხნენ თავს. ასე რომ, ამის ნაცვლად ამტკიცებდნენ, თითქოს პოლიცია იძულებული გახდა, ჩარეულიყო და აქტივისტები ერთმანეთის მიმართ ძალადობისაგან დაეცვა.

სინამდვილეში კი ეს იყო იმ სიმბოლური სტრატეგიის გაგრძელება, რომელიც, სავარაუდოდ, მოძრაობის საწყის ეტაპზე შემუშავდა, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება თავს იმტვრევდა, მოეფიქრებინა საბაბი, რომელიც ხელს შეუწყობდა, კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეულიყო ქმედება იმ მოქალაქეებისა (ეს იყო, ძირითადად, საშუალო ფენა), რომლებიც კარვებს დგამდნენ. მართლაც, როგორ უნდა გაემართლებინათ ამბოხების ჩასახშობად განვრთნილი, კბილებამდე შეიარაღებული პოლიციის დანაყოფის გაგზავნა მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, არღვევდნენ არა კანონს, არამედ მხოლოდ მუნიციპალური წესდების ზოგიერთ მუხლს ბანაკების გაშლის შესახებ. გამოსავალი თავიდანვე აშკარა იყო – სანიტარია. ბანაკები სიბინძურესთან უნდა გაიგივებულიყო (რასაკვირველია, ამ დროს ხელისუფლების ორგანოებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იქ არსებულ სანიტარიულ ჯგუფებს, რომლებიც ზოგჯერ გადაჭარბებული გულმოდგინებითაც კი ცდილობდნენ სისუფთავის დაცვას). „ოკუპაციის“ უკვე მეორე თუ მესამე კვირას აქტივისტებს ისეთი მოშორებული ქალაქებიდან, როგორიცაა ოსტინი (ტექსასის შტატი) და პორტლენდი (ორეგონის შტატი), ატყობინებდნენ, რომ, ვინაიდან ქალაქის მმართველობა შეშფოთებული იყო ჰიგიენური მდგომარეობის გამო, აუცილებელი იქნებოდა ბანაკების მთლიანად დასუფთავება ყოველდღიურად, განსაკუთრებული წესით (როგორც გაირკვა, ამგვარ დასუფთავებას დღეში ოთხი ან ხუთი საათი მაინც სჭირდებოდა). „ბინძური ბუნაგი“ ადვილად შეიძლება გამოეცხადებინათ „ძალადობის, დანაშაულისა და დეგრადაციის კერად“. რასაკვირველია, როცა ბანაკებს ძალის გამოყენებით ილებდნენ, ქალაქის მერები თავიანთ ქმედებას კრიმინალისგან ნებისმიერი ადამიანის, მათ შორის დაბანაკებულების, დაცვის მოტივით ამართლებდნენ, მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში ოფიციალურ მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავების ჯგუფებისათვის იქ შეღწევის შესაძლებლობა უნდა მიეცათ.

ზემოთ თქმულიდან ვერც ერთი მიზეზი ვერ იძლევა პირდაპირ პასუხს, თუ რატომ ჩაკვდა თითქოს მოძრაობა ასე სწრაფად მას შემდეგ, რაც ბანაკები ძალის გამოყენებით დაშალეს, მაგრამ ისინი საჭირო კონტექსტს წარმოგვიდგენს.

პირველი, რასაც აქ ხაზი უნდა გავუსვათ, არის ის, რომ ჩვენ გარეგნულ ნიშნებზე ვსაუბრობთ. იმის თქმა, რომ მოძრაობა „თითქოს ჩაკვდა“, სულაც არ ნიშნავს, რომ ის მართლა ჩაკვდა. უდავოა, რომ ბანაკებზე თავდასხმებმა, „ოკუპანტთა“ თავშესაფარი ნაგებობების, სამზარეულოების, ბიბლიოთეკებისა და კლინიკების განადგურებამ და, ამის შედეგად, ძალიან ბევრ ქალაქში ლტოლვილი აქტივისტების დასახლებათა შექმნამ (რომელთაგან ძალიან ბევრმა სახლი და სამსახური მიატოვა, რომ ბანაკებს შეერთებოდა, მერე კი ისინი უეცრად ქუჩაში აღმოჩნდნენ, ან ეკლესიების სარდაფებს აფარებდნენ თავს; ბევრს ფიზიკური ტრავმა ჰქონდა მიღებული, ან ცდილობდა, დაპატიმრებით, დაშავებებით, ციხეში ყოფნით და ქონების დაკარგვით გამონეულ მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს გამკლავებოდა), რასაკვირველია, მოძრაობის აქტიურობაზე უარყოფითი გავლენა იქონია. თავდაპირველად სრული არეულობა გამეფდა. ყველანი ერთმანეთს სდებდნენ ბრალს; აღშფოთებამ ადამიანის რასით, სოციალური ფენითა და სქესით, რაც „ოკუპაციის“ შთამბეჭდავ დღეებში თითქოს არავის ახსოვდა, ერთბაშად იჩინა თავი. მოულოდნელად ყველამ ფულის თაობაზე დაიწყო დავა; ნიუ-იორკში ამ მოძრაობასთან დაკავშირებით დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი შემოვიდა; რამდენიმე თვეში ეს თანხა მთლიანად დაიხარჯა ასობით საკუთარ სახლს მონყვეტილი ადამიანის საცხოვრებლით უზრუნველყოფასა და ტრანსპორტის ხარჯებზე (ეკლესიები ფულს არ გვთხოვდნენ). ზოგიერთი ორგანიზაციული ფორმა, როგორიც იყო, მაგალითად, „გენერალური ასამბლეა“, რომელმაც ასე გაამართლა ბანაკებში, ახალი სიტუაციისთვის სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა. როცა ზამთარი დადგა, ქალაქების უმეტესობაში „გენერალური ასამბლეები“ დაიშალა, თუმცა გადაუდებელი პრაქტიკული მიზნების მქონე მსხვილ ჯგუფებს (ნიუ-იორკში უშუალო მოქმედებების სამუშაო ჯგუფი და სხვადასხვა სახის თავისებური „ასამბლეები“ იკრიბებოდა ისეთი კონკრეტული პროექტების განსახილველად, როგორიც იყო,

მაგალითად, საპირველმადისო მობილიზაცია) იგივე ბედი ეწიათ.

თუკი წარსულს თვალს გადავავლებთ, „გენერალური ასამბლეების“ მოდელის კრახი გასაკვირი აღბათ არც უნდა იყოს: ბევრი ჩვენგანი, ვისაც მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის გამოცდილება გვქონდა, ამ წამოწყებას თავიდანვე რალაც გიჟურ იდეად მიიჩნევდა. ჩვენ ყოველთვის ვვარაუდობდით, რომ ნებისმიერი რეალური მასშტაბის შეხვედრისათვის და, მით უმეტეს, შეხვედრისათვის, რომელიც ათასობით ადამიანის მონაწილეობით გაიმართებოდა, კონსენსუსის მოდელი (უფრო ზუსტად – **გადანყვეტილების მიღება კონსენსუსის, შეთანხმების მეთოდით. რედ.**) იმუშავებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ერთგვარ „წარმომადგენელთა საბჭოს“ მოდელს შევქმნიდით, როცა ყველანი განანილდებოდნენ ჯგუფებში, თითოეულ ჯგუფს ეყოლებოდა დროებითი „წარმომადგენელი“ და მხოლოდ მას შეეძლებოდა წინადადებების შეთავაზება, დისკუსიებში მონაწილეობის მიღება (თუმცა ბალანსი ყოველთვის შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო უფრო მცირე ჯგუფებად დაყოფით, სადაც ყველას შეეძლებოდა, ერჩია თავისი წარმომადგენლისათვის, რა უნდა ეთქვა, და, საჭიროების შემთხვევაში, შეეცვალა კიდეც ის). წარმომადგენელთა საბჭოს მოდელი საკმაოდ კარგად მუშაობდა 1999-2003 წლების მასობრივი მობილიზაციის პერიოდში. „გენერალური ასამბლეის“ მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე (თუკი ის, საერთოდ, ამართლებდა, და ის ნამდვილად ამართლებდა) იკვეთებოდა მაშინ, როცა აუცილებელი ხდებოდა უშუალო კომუნიკაციის შენარჩუნება. არც ერთ ჩვენგანს დიდად არ გაგვივირვებია, რომ ბანაკების აღებიდან ძალიან მალე ფუნქციონირება შეწყვიტა „გენერალურმა ასამბლეებმა“.*

ის, რამაც სინამდვილეში შეანელა პროცესები და ბევრი ადამიანი დაარწმუნა იმაში, რომ მოძრაობამ მარცხი განიცადა, იყო რამდენიმე ფაქტორის სამწუხარო თანმიმდევრობა: პოლიციის ტაქტიკის უეცარი ცვლილება, რამაც აქტივისტებისთვის შეუძლებელი გახადა, შეექმნათ რაიმე სახის თავისუფალი საჯარო

* ნიუ-იორკის უბედურება ის იყო, რომ, როდესაც წარმომადგენელთა საბჭოს მოდელი შემოიღეს, იგი აღქმულ იქნა, როგორც იერარქიული, განხეთქილების შემომტანი სტრუქტურა დაძაბულ, კონფლიქტურ მომენტში. ამჟამად ნიუ-იორკში ცდილობენ, აღადგინონ წარმომადგენელთა საბჭოს მოდელი უფრო დემოკრატიული ფორმით.

სივრცე ამერიკის ქალაქებში ისე, რომ მათ დაუყოვნებლივ ფიზიკურად არ გასწორებოდნენ; ჩვენი სრული უგულებელყოფა ლიბერალი მოკავშირეების მიერ, რომლებმაც არც კი მოინდომეს, ეს ახალი პოლიტიკა საჯარო განხილვის საგნად ექციათ; მოულოდნელი იგნორირება მედიის მხრიდან, რის წყალობითაც ამერიკელთა უმეტესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ეს ყველაფერი, საერთოდ, ხდებოდა. ზუკოტის პარკის მსგავსი საჯარო სივრცის შენარჩუნება უამრავ პრობლემას უკავშირდებოდა და ბოლოს ძალიან ბევრმა ორგანიზატორმა ცოტათი ამოისუნთქა, რაკი აღარ მოუხდებოდათ დროის ხარჯვა ქალაქის ფუნქციონალურ ზონებად დაყოფის ეკვივალენტის შექმნაზე ზრუნვაში და შეეძლებოდათ, კონცენტრირება მოეხდინათ უშუალო მოქმედებებისა და რეალური პოლიტიკური კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე. ისინი მალე მიხვდნენ, რომ საქმის კეთება გაცილებით რთული გახდა ერთი კონკრეტული ცენტრის გარეშე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს ექნებოდა საშუალება, მისულიყო ნებისმიერ დროს და მოძრაობაში ჩართულიყო, მხარდაჭერა გამოეხატა ან, უბრალოდ, გაეგო, თუ რა ხდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ცენტრის ხელახლა დაარსების მცდელობები სისტემატურად ჩიხში შედიოდა. შედეგი ვერ გამოიღო ჩვენმა მონდომებამ, დაგვერწმუნებინა მესვეურები ერთ დროს ჩვენი მოკავშირე, ქვემო მანჰეტენზე მდებარე სამების ტაძრისა, მიეცათ ოკუპანტებისთვის ტაძრის მფლობელობაში უძრავი ქონების სახით არსებული ვრცელი მიტოვებული ნაკვეთით სარგებლობის უფლება. შემდგომში მათ კიდევ ბევრმა სთხოვა, ისეთმა ადამიანებმაც კი, როგორიც დესმონდ ტუტუ (**დაიბ. 1931 წ. კეიპტაუნის ანგლიკანური ეკლესიის არქიეპისკოპოსი, აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. რედ.**) იყო, მაგრამ ამაოდ. ამ ადგილის მშვიდობიანად დაკავების მიზნით დემონსტრაციას რამდენიმე ეპისკოპოსი გაუძღვა. ისინი მაშინვე დააპატიმრეს და მათი მონაწილეობის ამბავი მედიის ახალ ამბებში რატომღაც არც კი მოხვედრილა. თავდაპირველი „ოკუპაციის“ მეექვსე თვისთავზე, 17 მარტს, ყოფილმა „ოკუპანტებმა“ იმპროვიზებული შეკრება მოაწყვეს ზუკოტის პარკში. ერთ საათში მათ პოლიცია დაესხა თავს, რის შედეგადაც რამდენიმე აქტივისტი სერიოზულად დაშავდა და საავადმყოფოში მოხვდა; ერთი ნაწილი მათ

გამოეყო და იუნიონ სეჟუარზე საძილე ტომრებით მოეწყო. ეს საზოგადოებრივი პარკია და ამიტომ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ის მუდამ ღია იყო. რამდენიმე დღეში იქ გაჩნდა მაგიდები Occupy-ს ლიტერატურით და დაიწყო სამზარეულოსა და ბიბლიოთეკის მოწყობაც. ამ მოვლენებს ქალაქის მმართველობა გამოეხმაურა განცხადებით, რომ, იმ დღიდან მოყოლებული, პარკი ღამის თორმეტ საათზე უნდა დაკეტილიყო, რასაც მოჰყვა ე.წ. „შუალამის გაძევების წარმოდგენა“, როდესაც ამბოხების ჩამხშობი ასობით პოლიციელი ყოველ საღამოს, თერთმეტ საათზე იკრიბებოდა და შუალამისას პარკიდან აძევებდა ბანაკის ბინადრებს თავიანთი საძილე ტომრებიანად. წესდება „არავითარი ბანაკები!“ ისეთი აგრესიულობით ხორციელდებოდა, რომ აქტივისტებს პლედების გადაფარების გამოც კი აპატიმრებდნენ. როგორც ერთხელ თავადაც შევესწარი, ერთ-ერთი მათგანი ტროტუარზე იძულებით გადაჰყავდათ და ხელებს უგრეხდნენ იმის გამო, რომ ძაღლის მოსაფერებლად დაიხარა (როგორც პოლიციის მაღალჩინოსანმა განმარტა, ამ დროს საპროტესტო აქციის მონაწილე მეტისმეტად ახლოს იყო მიწასთან).

ამ პერიოდში დაპატიმრებების დროს განხორციელებული ძალადობის დონე მკვეთრად გაიზარდა. ყველაზე მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დროსაც კი დემონსტრაციის იმ მონაწილეებს, რომლებიც ტროტუარს შემთხვევით გადასცდებოდნენ, ან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნებოდა, თითქოს ისინი ამის გაკეთებას აპირებდნენ, მაშინვე იჭერდნენ და თავს ბეიტონზე ახლევიანებდნენ. პოლიცია დაშინების ახალი, უცნაური ტაქტიკის გამოყენებაზე გადავიდა, რომლის ნაწილიც, სავარაუდოდ, უცხოეთიდან შემოვიდა. მაგალითად, როდესაც ეგვიპტეში რევოლუციონერებმა ხელახლა სცადეს ტაჰრირის მოედნის „ოკუპირება“ 2011 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, პოლიციამ ამის პასუხად საპროტესტო აქციის მდებრობითი სქესის მონაწილეების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის სისტემატური კამპანია წამოიწყო. დაკავებულ ქალებს არამარტო სცემდნენ, არამედ ტანსაცმელს აგლეჯდნენ და ჩხრეკდნენ. ამას ხშირად განგებ აკეთებდნენ მათი მამრობითი სქესის თანამებრძოლების თვალწინ. როგორც ეგვიპტელმა მეგობრებმა ამიხსნეს, ეს ორმაგ მიზანს ისახავდა: აქტივისტი ქალების მაქსიმალურ ტრავმირებას და, ამავე დროს, მათ და-

საცავად აქტივისტი მამაკაცების პროვოცირებას ძალადობისკენ. ანალოგიურად, როცა მარტში ნიუ-იორკში სცადეს, „ოკუპაცია“ ხელახლა განეხორციელებინათ, პოლიციელთა მხრიდან საპროტესტო აქციის მონაწილე ქალებზე ინტენსიური სექსუალური თავდასხმების მომსწრენი გავხდით – ასეთი რამ მანამდე ძალიან იშვიათად თუ მომხდარა. ერთ ქალს შევხვდი, რომელმაც მიამბო, რომ ხუთმა პოლიციელმა მას მკერდზე სტაცა ხელი, როცა აქტივისტებს სალამოს იუნიონ სქუეარიდან მიერეკებოდნენ (ამ დროს მეორე პოლიციელი ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა ქალს); მეორე ქალმა იყვირა და „გარყვნილი“ უწოდა პოლიციელს, როცა ეს უკანასკნელი მიეაღერსა. ამის გამო კანონის დამცველებმა ეს ქალი პოლიციის ხაზს მიღმა გადაათრიეს და ხელები მაჯვებში გადაუმტვრიეს. თუმცა, როცა Occupy-ს ერთი ცნობილი წარმომადგენელი გამოჩნდა პროგრამაში Democracy Now! (ყოველდღიური ანალიტიკური პროგრამა ჩრდილო ამერიკაში, რომელსაც გადასცემს რადიო-, ტელე-, სატელევიზიო და კაბელური ტელევიზიების არხების 1000-ზე მეტი ქსელი. რედ.) მთელ მკერდზე ხელის ფორმის სილურჯეებით, მედიის სხვა საშუალებებმა, უბრალოდ, უარი თქვეს ამ მოვლენის გაშუქებაზე. სამაგიეროდ, ახალი წესები თავშეყრის შესახებ (რომელთა თანახმადაც, დიდ საპროტესტო აქციაზე მოსულ ნებისმიერ ადამიანს, რამდენად მშვიდობიანიც არ უნდა ყოფილიყო პროტესტის გამოხატვის ეს ფორმა, კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ამას შეიძლება დაპატიმრება ან საავადმყოფოში მოხვედრა მოჰყოლოდა), უბრალოდ, „ახალ ნორმებად“ მიიჩნეოდა, ხოლო პოლიციის ძალადობის რომელიმე კერძო შემთხვევას ახალ ამბებში მოხვედრის ღირსადაც არ თვლიდნენ. ეს მედიასაშუალებები, თავიანთი მოვალეობისამებრ, პატიოსნად აცხადებდნენ, თუ როგორ თანდათან მცირდებოდა ამგვარ დემონსტრაციებზე მისული ხალხის რიცხვი, რომელიც, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მალე, უმეტესწილად, მხოლოდ აქტივისტთა იმ ბირთვით შემოიფარგლებოდა, რომელიც მზად იყო, ცემა და პატიმრობა ეწვნია. ამ ხალხში სრულებით აღარ იყვნენ ბავშვები და მოხუცები, რომლებიც ჩვენს ადრეულ აქციებს ესწრებოდნენ და ჰუმანურ ელფერს მატებდნენ მათ. მედია აღნიშნავდა, რომ დემონსტრაციებზე ხალხის რაოდენობა შემცირდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, თუ რა იყო ამის გამომწვევი მიზეზები.

ამრიგად, შეკითხვა ასეთია: როგორ შეიცვალა ეს წესები და რატომ არავის გაუპროტესტებია, როცა აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება, ფაქტობრივად, გააუქმეს (ბოლოს და ბოლოს, ის ხომ შეკრების თავისუფლებას ეხებოდა)? ყველა გამოცდილმა აქტივისტმა კარგად იცის, რომ ქუჩაში შეკრების წესებს პირდაპირი კავშირი აქვს, იმასთან, თუ როგორი ხარისხი და შედეგი ექნება ამ შეკრებებს.

ერთი მიზეზი, რის გამოც Occupy-მ თავდაპირველად მედიის დიდი ყურადღება მიიპყრო (უმეტესობა ნაწრთობი აქტივისტებისა, რომლებსაც ვესაუბრე, ერთსულოვნად აცხადებდა, რომ ასეთი რამ მათ არასოდეს უნახავთ), იყო ის, რომ ამდენმა წამყვანმა აქტივისტურმა ჯგუფმა ასე სწრაფად დაუჭირა მხარი ჩვენს წამოწყებას. აქ ვგულისხმობ განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთას ქმნიან: მაგალითად, MoveOn.org ან Rebuild the Dream. ამგვარ ჯგუფებს Occupy-ს წარმოშობამ დიდი სტიმული მისცა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათი უმეტესობა ალბათ თვლიდა, რომ საარჩევნო პოლიტიკისა და ორგანიზების იერარქიული ფორმების პრინციპული უარყოფა, უბრალოდ, გარდამავალი, დროებითი ფაზა იქნებოდა, ერთგვარი „ბავშვური ასაკი“ მოძრაობისა, რომელიც მალე მომწიფდებოდა და „ჩაის სმის მოძრაობის“ მსგავს რალაც მემარცხენე დაჯგუფებაში გადაიზრდებოდა. მათი გადასახედიდან, ბანაკები შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ უკვე ყურადღებას უფანტავდა ხალხს. მათი რეალური საქმიანობა ალბათ მაშინ დაიწყებოდა, როცა ჰცცუპუკ გახდებოდა ერთგვარი გამტარი ახალგაზრდა აქტივისტებისათვის, გაუძღვებოდა მათ კანონით ნებადართული კამპანიებისაკენ და, საბოლოოდ, პროგრესული კანდიდატებისათვის ხმის მისაცემად ხალხის არჩევნებზე გამოცხადების უზრუნველყოფის მიზნით გამართულ ღონისძიებებამდე მიიყვანდა. მათ გარკვეული დრო დასჭირდათ იმის გასააზრებლად, რომ მოძრაობის ძირითადი ნაწილი თავის პრინციპებს საკმაოდ სერიოზულად ეკიდებოდა. ასევე სრულიად აშკარაა ისიც, რომ ბანაკების ძალის გამოყენებით დაშლის შემდეგ არა მარტო ასეთმა ჯგუფებმა, არამედ უფრო ლიბერალურმა ორგანიზაციებმაც სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღეს, სრულიად საპირისპირო გზა აერჩიათ.

რადიკალების ხედვით, ეს ღალატის უკიდურესი ფორმა იყო. ჩვენ თავიდანვე გამოვხატეთ ერთგულება ჰორიზონტალური პრინციპებისადმი. სწორედ ეს პრინციპები შეადგენდა იმის საფუძველს, რის გაკეთებასაც ჩვენ ვცდილობდით. ამავე დროს, კარგად გვესმოდა, რომ ჩვენნაირი რადიკალური ჯგუფები და მათი ლიბერალი მოკავშირეები ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ. რადიკალების მოწოდება რევოლუციური ცვლილებების შესახებ ლიბერალ მემარცხენეებში ანთებს ცეცხლს, რომლის შუქზეც თავად ლიბერალთა მიერ შემოთავაზებული რეფორმები უფრო საფუძვლიან ალტერნატივად წარმოჩნდება. ჩვენ მათთვის მაგიდასთან ადგილს მოვიპოვებთ, ისინი კი პატიმრობისგან გვიხსნიან. ამ შემთხვევაში ლიბერალურმა ორგანიზაციებმა იმედები ვერ გაამართლეს და თავიანთი მოვალეობა ვერ შეასრულეს. ჭცუჰ-პე-მ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია იმაში, რომ საყოველთაო განხილვის საგნად სულ სხვა თემები ქცეულიყო, კერძოდ: ფინანსური წრეების ძალაუფლება, პოლიტიკური პროცესების კორუმპირებულობა და სოციალური უთანასწორობა. ეს ყველაფერი ხელს აძლევდა ლიბერალურ ორგანიზაციებს, რომლებიც მანამდე უშედეგოდ ცდილობდნენ ამ საკითხების წინა პლანზე წამოწევას. მაგრამ როდესაც ტაზერები **(სპეციალური იარაღი, რომელსაც პოლიცია დამნაშავეების წინააღმდეგ იყენებს. გარეგნულად ელექტროფარანს ჰგავს. მისი საშუალებით 5 მეტრის მანძილიდან მსხვერპლს ესვრიან 15000 ვოლტის სიმძლავრის ორ პატარა ისარს, რაც ადამიანის დროებით პარალიზებას იწვევს. რედ.)**, ხელკეტები და SWAT დანაყოფები გამოჩნდა, ეს უკანასკნელნი, უბრალოდ, გაუჩინარდნენ და ჩვენ ბედის ანაბარა დაგვტოვეს.

თუკი წარსულს თვალს გადავაგვლებთ, ეს შეიძლება გარდაუვალიც მოგვეჩვენოს, მაგრამ ადრე მოვლენები ასე არ ვითარდებოდა. უდავოა, რომ საზოგადოებრივი მოძრაობების ჩახშობა ძალადობრივი მეთოდებით ახალი სულაც არაა. საკმარისია, გავიხსენოთ ე.წ. წითელი პანიკა **(Red Scare – რეპრესიების კამპანია აშშ-ში „წითლების“ (კომუნისტების) წინააღმდეგ 1918-20 წლებში. რედ.)**, რეაქცია მუშათა რადიკალურ მოძრაობებზე, როგორცაა, მაგალითად, მსოფლიოს ინდუსტრიული მშრომელები (IWW), რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკელ ინდიელთა მოძრაობისა და შავკანიანი რადიკალების წინააღმდეგ მიმართულ ნამ-

დვილ პოლიტიკურ მკვლევლობათა კამპანიაზე 1960-იან წლებსა და 1970-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ თითქმის ყოველთვის მსხვერპლნი ან მუშები იყვნენ, ან ფერადკანიანები. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა შედარებით მსუბუქი მეთოდური რეპრესია საკმაოდ დიდი რაოდენობის საშუალო ფენის თეთრკანიანების წინააღმდეგ არის მიმართული (**როგორც, მაგალითად, მაკარტიზმის ეპოქაში (პოლიტიკური რეაქციის პერიოდი აშშ-ში 1950-54 წლებში, როცა პროგრესულ და ლიბერალურ მოღვაწეთა დევნის კამპანიას სათავეში ედგა სენატის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გამდიიების დარგში, ჯოზეფ მაკარტი. რედ.)**), ან დემონსტრანტი სტუდენტების დარბევისას ვიეტნამის ომის დროს), ეს უმაღლვე ნაციონალური მასშტაბის სკანდალად გადაიქცევა ხოლმე. სწორი არ იქნება, Occupy Wall Street-ს საშუალო ფენის თეთრკანიანთა მოძრაობა ვუნოდოთ (ის გაცილებით მრავალფეროვანი იყო), მაგრამ უდავოა, რომ მასში ძალიან ბევრი საშუალო ფენის თეთრკანიანი ადამიანი მონაწილეობდა. თუმცა მთავრობას ბევრი არ უყოყმანია და მათ თავს დაესხა, ხშირად სამხედრო ტაქტიკასაც კი იყენებდა, ასევე მიმართავდა ფორმებს, რომლებსაც მხოლოდ ტერორისტულ ძალადობას თუ ვუნოდებთ (თუკი „ტერორიზმს“ განვსაზღვრავთ, როგორც დაპინების მიზნით მოქალაქეებზე თავდასხმას, რასაც მათი მხრიდან პოლიტიკურ მიზნებზე უარის თქმა მოჰყვება). მესმის, რომ ეს განცხადება შეიძლება საკამათოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ გავიხსენოთ, მაგალითად, როგორ დაუშინა ლოს-ანჯელესის პოლიციამ რეზინის ტყვიები (მას აშკარა მიზანი ამოძრავებდა – ჭკუა ესწავლებინა მოქალაქეებისათვის და გაეფრთხილებინა ისინი, რომ Occupy-სთან დაკავშირებულ ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება აუცილებლად მიიყვანდა მათ ფიზიკურად დაშავებამდე) ცარცით „შეიარაღებულ“ დემონსტრანტებს, რომლებიც სრულიად კანონიერ, ნებადართულ „სამხატვრო მსვლელობაში“ (art walk) მონაწილეობდნენ; ძნელია, იპოვო არგუმენტი, თუ რატომ არ შეიძლება მივუსადაგოთ სიტყვა „ტერორი“ მათ ქმედებას.

რა შეიცვალა? ერთი პასუხი ასეთია: ეს იყო პირველი ამერიკული საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც 9/11-ის შემდეგ წარმოიშვა. შეცვალა თუ არა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ ნესები?

უნდა ვაღიარო – პირველი „ოკუპაციისას“, გარკვეულწილად, გაკვირვებული დავრჩი, რომ 9/11-თან დაკავშირებულ ემოციურ ფონს ჩვენთვის პრობლემა არ შეუქმნია. ზუკოტის პარკი უოლსტრიტიდან ორი კვარტალით იქნება დაშორებული, ასევე მხოლოდ ორი კვარტალი აშორებდა მას Ground Zero-ს. მახსოვს, ველოდით, რომ ათასგვარი სახის მკრეხელობასა და ტერორისტული აქტის მსხვერპლთა მიმართ უპატივცემულობას დაგვაბრალებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. თუმცა საბოლოოდ მაინც აღმოჩნდა, რომ 9/11-მა შეუმჩნევლად შეცვალა ის საფუძველი, რომელზეც ჩვენ ვმუშაობდით. დიახ, არსებობდა ვიწრო სარკმელი, რომელშიც თითქოს მართლაც მუშაობდა განდის ფორმულა – ხელისუფლების დელეგიტიმაცია ზედმინევნით მშვიდობიანი (არაძალადობრივი) ქმედებებით და მსოფლიოსათვის იმის ჩვენება, რომ, ამის მიუხედავად, მაინც რამდენად სასტიკია სახელმწიფოს რეაქცია. მაგრამ სარკმელი მეტისმეტად ვიწრო იყო. საკმარისი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ბანაკების ძალის გამოყენებით დაშლის შემდეგ ლიბერალურმა ორგანიზაციებმა სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღეს, ეს ძალადობა საყოველთაო განხილვის საგნად არ ექციათ. აქ უნდა დაისვას შეკითხვა: როგორ უნდა შერჩენოდეთ მათ ეს ყველაფერი – რატომ ვერ გააოგნა ძალადობამ ისინი იმდენად, რომ ხელისუფლებისთვის პასუხი მოეთხოვათ? ვფიქრობ, სწორედ აქ ვლინდება 9/11-ის ფსიქოლოგიური ზეგავლენის ნამდვილი შედეგები.

ტერორისტული თავდასხმების კვალდაკვალ ჩვენ ამერიკული პოლიციის მილიტარიზაციის მომსწრენი გავხდით. მილიარდები გამოიყო „ანტიტერორისტული“ აღჭურვილობისა და პოლიციის განყოფილებების წვრთნებისთვის ისეთი მწირი ბიუჯეტის მქონე მუნიციპალიტეტებში, როგორიცაა, მაგალითად, დეიტონი (ოჰაიოს შტატი), რომლებსაც აშკარად არ ემუქრებოდა ტერორიზმის არავითარი საფრთხე. ეს გვეხმარება, ავხსნათ უცნაური და სწრაფი რეაგირება ჩვენს ბევრ ქმედებაზე, როცა აქტივისტები ცდილობდნენ, დაეკავებინათ ბანკის მიერ ჩამორთმეული სახლი ნიუ-ჯერსიში, ანდა, როდესაც გვინდოდა, სიტყვით გამოვსულიყავით მანჰეტენზე, ფედერალური პოლის კიბეზე და იქ კბილებამდე შეიარაღებულ SWAT რაზმებს ვაწყდებოდით. სხვა დროს უფლებამოსილების ასეთი გადაჭარბება მრისხანებას გამოი-

წვევდა. 2012 წელს კი ამგვარმა ქმედებამ სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა. რამ გამოიწვია საშუალო ფენის ლიბერალების ასე იოლად შეგუება პოლიციის მილიტარიზაციასთან? ძირითადად, იმან, რომ ისინი აბსოლუტურად, დაბეჯითებით უარყოფდნენ ყველაფერს, რასაც შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ძალადობა საპროტესტო აქციის მონაწილეების სახელით. მაშინაც კი, როცა პოლიციამ წინასწარ დაგეგმილი თავდასხმა განახორციელა მშვიდობიან დემონსტრანტებზე, მაგალითად, პირდაპირ თავში დაუმიზნა ცრემლსადენი გაზის ბალონები დემონსტრანტებს (როგორც ეს ოკლენდში არაერთხელ ხდებოდა) როგორც მედია, ისე ლიბერალი მომომხილველები, უპირველეს ყოვლისა, სვამდნენ კითხვას: რომელიმე „ოკუპანტს“ ხომ არ ჰქონია ამგვარ თავდასხმაზე რაიმე სახის რეაქცია, გარდა პასიური წინააღმდეგობისა? იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დემონსტრანტები ფეხს ჰკრავდნენ ცრემლსადენი გაზის ბალონს პოლიციელთა მიმართულებით, უკვე აღარ იტყოდნენ, რომ: „პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა დემონსტრანტებს“; ან: „საზღვაო ფლოტის ვეტერანი მძიმე მდგომარეობაშია იმის გამო, რომ ცრემლსადენი გაზის ბალონი თავში ესროლეს“, არამედ ასე: „დემონსტრანტები პოლიციასთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ“.

ისტორიული თვალსაზრისით, ბედის ირონია იყო ის, რომ განდისა და მარტინ ლუთერ კინგის სულების გამოხმობა გახდა ძირითადი საშუალება ამერიკის საზოგადოების მილიტარიზაციის (რაც ბოლო ხანებში დაფიქსირდა) გასამართლებლად. ამას ისეთი ფორმით აკეთებდნენ, რომელიმე ცოცხალი რომ ყოფილიყო და ეს ენახათ ან მოესმინათ, განცვიფრდებოდნენ და შეძრწუნდებოდნენ. Occupy უალრესად არაძალადობრივი მოძრაობაა. ის შეიძლება ამერიკის ისტორიაში ამ მასშტაბის მოძრაობებს შორის ყველაზე მშვიდობიანი მოძრაობაც კი იყოს, იმის მიუხედავად, რომ არ ყოფილა არავითარი მშვიდობის კოდექსები, მარშლები ან ოფიციალური სამშვიდობო პოლიცია. შემოდგომაზე, სულ მცირე, ხუთასი „ოკუპაცია“ განხორციელდა, რომელთა მონაწილეებიც სრულიად სხვადასხვა ფილოსოფიის ადამიანები იყვნენ, დაწყებული ევანგელისტებიდან, დამთავრებული რევოლუციონერი ანარქისტებით; ათასობით დემონსტრაცია და ღონისძიება მოეწყო და ყველაზე „ძალადობრივი“ აქტები, რომლებიც მათ

მონაწილეებს მიეწერება, იყო ვიტრინის ჩამსხვრევის ოთხი-ხუთი შემთხვევა, პრაქტიკულად, იმაზე ნაკლები, რაც შეიძლება არცთუ ისე ხმაურიან კანადური ჰოკეის მატჩს მოჰყვეს. ისტორიული თვალსაზრისით, ეს უდიდესი მიღწევაა. მაგრამ ოდესმე მიუციათ მისთვის ასეთი შეფასება? ამის ნაცვლად, ეს რამდენიმე ვიტრინა მორალური კრიზისის მანიშნებლად აქციეს. ბანაკების დაშლის კვალდაკვალ, როცა ამერიკელებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, სრულად გაეაზრებინათ, რაც მოხდა – მასობრივი დაპატიმრებები, ცემა, სახლებისა და ბიბლიოთეკების სისტემატური განადგურება – ამის ნაცვლად, ლიბერალური ბლოგების სივრცეში დომინირებდა გამოხმაურებები New York Times-ის ყოფილი ჟურნალისტის და იმ დროისათვის OWS-ის მხარდამჭერის, კრის ჰეჯსის სტატიაზე „Occupy-ს სიმსივნე“. ამ სტატიაში ის ამტკიცებდა, რომ ოკლენდში ვიტრინების ჩამსხვრევის რამდენიმე შემთხვევა სინამდვილეში ძალადობრივი და ფანატიკური ანარქისტული ფრაქციის, „შავი ბლოკის“ ნამოქმედარი იყო; ამიტომ მოძრაობას, პირველ რიგში, ამგვარი ელემენტები უნდა გამოეპყარა და გაეძევებინა, რადგან ისინი პოლიციას საბაბს აძლევდნენ. იმ ფაქტმა, რომ აქ არც ერთი განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა („შავი ბლოკი“ სინამდვილეში ჯგუფი კი არ არის, არამედ ფორმირება, და ალბათ „ოკუპაციების“ 95%-ში ისინი არც კი უნახავთ), თითქოს კიდევ უფრო მეტი საბაბი მისცა ყველას საკამათოდ. ცოტა ხანში ლიბერალი მიმომხილველები საბოლოოდ მივიდნენ მოსაზრებამდე, რომ Occupy-სთვის რეალური პრობლემა იყო არა რომელიმე ნამდვილად მომხდარი ფიზიკური ძალადობის აქტი (რომლებიც, ძირითადად, პოლიციის მხრიდან განხორციელდა), არამედ ის ფაქტი, რომ ოკუპაცია შეიცავდა ისეთ ელემენტებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავად არ სჩადიოდნენ ძალადობრივ ქმედებას, შესაძლებლად მიიჩნევდნენ ქონების დაზიანების შემთხვევების გამართლებას. არსებულ შეუსაბამობაზე წარმოდგენა რომ შეგვექმნას, ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ნიუ-იორკში მარტშიც კი არ ცხრებოდა კამათი კაფეს ერთადერთი ვიტრინის გამო. ის ოკლენდში, ნოემბრის დემონსტრაციისას, შეიძლება ჩაემსხვრია (ან შეიძლება არ ჩაუმსხვრევია) აქტივისტს, რომელიც „შავ ბლოკთან“ ასოცირდებოდა. 17 მარტს ნიუ-იორკშიც ჩაიმსხვრა ერთი ვიტრინა, რაც

პირველად დაუკავშირდა OWS-ს, მაგრამ ამაზე კრინტიც არავის დაუძრავს – ეს იყო ქვემო მანჰეტენის ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინა, რომელიც ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის ოფიცერმა აქტივისტის თავით ჩაამსხვრია.

იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად შეუსაბამო და არასწორია განდის ფილოსოფიის მოხმობა სახელმწიფოს ძალადობის გასამართლებლად, შეგვიძლია თავად განდის სიტყვები და მოქმედება გავიხსენოთ. ანარქისტების უმეტესობისათვის განდი წინააღმდეგობრივი ფიგურაა. ერთი მხრივ, მისი ფილოსოფია ტოლსტოისა და კროპოტკინის ანარქიზმს ეყრდნობა, მეორე მხრივ კი, ის ერთგვარ მაზოხისტურ პურიტანიზმსაც მოიცავს და სტიმულს აძლევს ისეთი პიროვნების კულტს, რომლის თანამონაწილეობამ შეიძლება მხოლოდ სერიოზული ზიანი მოუტანოს ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეს. ის ნამდვილად გამობდა ნებისმიერი სახის ძალადობას, მაგრამ, ამავე დროს, ამტკიცებდა, რომ უსამართლო სოციალური სისტემისადმი პასიური მორჩილება კიდევ უფრო უარესი იყო. მახსენდება ნიუ-იორკში, New School-ში გამართული OWS-ის კონფერენცია ბანაკების დაშლის შემდგომ პერიოდში, რომელზედაც ლიბერალი პაციფისტები გამუდმებით შეახსენებდნენ საზოგადოებას: განდი იმდენად შორს წავიდა, რომ „დროებით შეწყვიტა თავისი კამპანია „წადით ინდოეთიდან!“, როდესაც ძალადობის შემთხვევა დაფიქსირდა“. მაგრამ მათ არ აღუნიშნავთ, რომ აღნიშნულ ინციდენტში მონაწილეობდნენ თავად განდის მიმდევრები, რომლებმაც ნაწილებად დაჩეხეს ოცდაორი პოლიციელი და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს მათ. ადვილი მისახვედრია, რომ თუკი, მაგალითად, მონაწილეები აქციებისა „დაიკავე კლივლენდი!“ (Occupy Cleveland!) ან „დაიკავე დენვერი!“ (Occupy Denver!) პოლიციელებს დახოცავდნენ და ნაწილ-ნაწილ დაჭრიდნენ, ჩვენი მოძრაობაც მაშინვე შეჩერდებოდა, მიუხედავად იმისა, გვეყოლებოდა თუ არა ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ამისკენ მოგვიწოდებდა. იმ სამყაროში, სადაც ამგვარი რამ შესაძლებელია, ის აზრი, რომ თავად განდიც კი რამდენიმე ჩამსხვრეული ვიტრინის გამო აღელდებოდა, ნამდვილი სიგიჟეა. სინამდვილეში, როგორც პოლიტიკოსი, განდი მუდმივად ეწინააღმდეგებოდა მოთხოვნას, დაეგმო ისინი, ვინც ანტიკოლონიური ბრძოლის უფრო მილიტარისტულ

ფორმებს ამჯობინებდა, ანუ ისინი, ვინც მის მოძრაობას არ ეკუთვნოდა. მაშინაც კი, როცა საქმე პარტიზანების მიერ პოლიციის განყოფილებებზე თავდასხმასა და მატარებლების აფეთქებას ეხებოდა, იგი ყოველთვის აღნიშნავდა: მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სწორ მიდგომად არაძალადობრივ ფორმებს მიიჩნევდა, ისინი მაინც კარგი ადამიანები იყვნენ, რადგან ცდილობდნენ, ის გაეკეთებინათ, რასაც, მართებულად თვლიდნენ. ის ყოველთვის ამბობდა, რომ უსამართლობასთან არაძალადობრივი დაპირისპირება, მორალური თვალსაზრისით, უკეთესია, ვიდრე ძალადობრივი; ხოლო უსამართლობასთან ძალადობრივი დაპირისპირება, მორალური თვალსაზრისით, სჯობს საერთოდ არაფრის კეთებას.²⁰

ისლა დაგვრჩენია, ვისურვოთ, რომ ის ადამიანები, რომლებიც განდის სახელით ლაპარაკობენ, ხანდახან მაინც იქცეოდნენ მის მსგავსად.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შეჩერდა თუ არა მაინც მოძრაობა? სრულებითაც არა. ჩვენ დაახლოებით ექვსიდან რვა თვემდე დაგვჭირდა, რომ ფეხი მოგვეკიდებინა აბსოლუტურად ახალ და გამძაფრებული ფიზიკური მტრობის გარემოში, პრესის მხრიდან თანაგრძნობის გარეშე. იყო, არსებითად, სრულიად ახალი კამპანიები: „დაიკავე ბანკის მიერ ჩამორთმეული სახლები!“, „დაიკავე ფერმები!“; საბინაო გადასახადების სანინაალმდეგო გაფიცვები, საგანმანათლებლო ინიციატივები. ტარდებოდა უამრავი ტრეინინგი ქუჩაში მოქმედების ახალი ტაქტიკის შესახებ და ახლებურად კეთდებოდა აქცენტი დრამისა და კომედიის არსზე, რაც, ნაწილობრივ, ემსახურებოდა აქტივისტების სულიერი სიმტკიცის შენარჩუნების უზრუნველყოფას რეპრესიების შემთხვევაში. მაგრამ უმეტესად ვეძიებდით ახალ კავშირებს.

მას შემდეგ, რაც ლიბერალებმა, ფაქტობრივად, მიგვატოვეს, ჩვენთვის შემდეგი ეტაპი გახდა კავშირის განმტკიცება მათთან, ვისაც ყოველთვის ჩვენს ჭეშმარიტ მოკავშირეებად მივიჩნევდით: ეს იყო პროფკავშირები, სათემო ორგანიზაციები, იმიგრანტთა მემარჯვენე ჯგუფები. ნიუ-იორკში Occupy-ს პირველი ჭეშმარიტად უდიდესი ინიციატივა ბანაკების დაშლის შემდეგ იყო საპირველმაისო „საყოველთაო გაფიცვის“ დაგეგმვაში მონაწილეობა (გაფიცვა მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა მოწყობილიყო). ეს

ყოველთვის სარისკო მოქმედებაა, რადგან კარგად ვიცოდით, რომ ვერ შევძლებდით საყოველთაო გაფიცვის ორგანიზებას მისი ტრადიციული გაგებით, მედია კი აუცილებლად გააშუქებდა მას, როგორც წარუმატებელ მცდელობას. მაგრამ როცა მილიონობით ადამიანი მთელ ქვეყანაში ქუჩაში გამოვიდა ახალი ინიციატივების შემუშავებისათვის საჭირო ფორუმის შექმნის მიზნით, ეს უკვე საკმაოდ დიდ გამარჯვებას ჰგავდა. როდესაც ნიუ-იორკში შევძელით ქალაქში თითქმის ყველა პროფესიული კავშირის (მათ შორის Teamsters-ის (სატვირთო მანქანების მძღოლების პროფკავშირი) და Central Labor Council-ის (მუშათა ცენტრალური საბჭო) ხელმძღვანელობა დაგვერწმუნებინა, მხარი დაეჭირათ მონოდებისთვის „რევოლუციური გარდაქმნის“ შესახებ, საბოლოო შედეგებმა თვალი აგვიხილა. როგორც აღმოჩნდა, მაგალითად, პროფკავშირების ბიუროკრატია ზემოდან ზენოლის მიმართ მეტისმეტად დამყოლია საიმისოდ, რომ ქმედობაუნარიანი მოკავშირეები ეძიოს. ისევე, როგორც ბლუმბერგვილში, აქაც პროფკავშირების ლიდერები დაგვემვის საწყის ეტაპზე ენთუზიაზმით საუბრობდნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეის შესახებ, მაგრამ ბოლო წუთებში თავი შეიკავეს: ქალაქის ეტაპობრივად პარალიზების ამბიციური გეგმა მათ უბრალო, ოფიციალურად ნებადართულ დემონსტრაციამდე დაიყვანეს, რომელზეც პროფკავშირების რიგითი წევრები არც კი გამოჩენილან, რადგან ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან თავდასხმის ემინოდათ.

მაისის შუა რიცხვებისათვის Occupy Wall Street-ის ორგანიზატორთა უმეტესობა მივიდა დასკვნამდე, რომ უკეთესი იქნებოდა, გვერდზე გადაგვედო ალიანსის შექმნის იდეა და საკუთარ ბაზაზე გვეფიქრა. რა იყო ის საკითხები, რომლებსაც უშუალო გავლენა ჰქონდა „ოკუპანტთა“, ჩვენი ოჯახებისა და მეგობრების რეალურ, ყოველდღიურ პრობლემებზე? როგორ უნდა გავგენია ორგანიზება კამპანიებისთვის, რომ ამას უშუალოდ ხსენებული პრობლემების მოგვარებაზე სასიკეთოდ ემოქმედა? გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ყოველკვირეული ღია ფორუმები, რომელთაგან თითოეულს თავისი თემა ექნებოდა (მაგალითად, კლიმატის ცვლილება (იგულისხმება გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული პრობლემები. რედ.), ვალი, პოლიცია, საპატიმროები) რაც გვიჩვენებდა, თუ რომელი იყო უფრო აქტუალური.

ვალის ფორუმი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ყველა დანარჩენი დაჩრდილა. სწრაფად შეიკრიბა ერთად მოვალეთა ლოკალური „ასამბლეები“. თითოეულმა მოძრაობას ასობით ახალი მონაწილე, ახალი პროექტები და იდეები შესძინა. ამ წიგნის დაწერის დროისთვის ახლად წარმოქმნილი კამპანია Strike Debt („გაფიცვა ვალის წინააღმდეგ“) – ასევე კამპანიები: Invisible Army („უხილავი არმია“) Rolling Jubilee (ვალის იუბილეს აღნიშვნა ვალის შესყიდვის კამპანიით), Debt Resistor’s Operations Manual (რჩევები ვალის გადახდის მოწინააღმდეგეებს), და People’s Bailout (ხალხის გამოყვანა კრიზისიდან) – აშკარად, მოძრაობის ყველაზე საინტერესო და მზარდი არეალებია. Occupy თავის ფესვებს უბრუნდება.

რასაკვირველია, კვლავ რჩება უამრავი კითხვა. არის თუ არა მართლაც შესაძლებელი ვალის გადახდის მოწინააღმდეგეთა მასობრივი მოძრაობის ორგანიზება ამერიკაში? როგორ დავძლიოთ სირცხვილისა და გარიყულობის გრძნობა, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ვალს? ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ ჩამოვაყალიბოთ საფუძველი დემოკრატიული მხარდაჭერისა და სახალხო ფორუმების შესაქმნელად მილიონობით ამერიკელისათვის (ზოგიერთი შეფასებით, დაახლოებით 6-დან ერთი ადამიანისათვის), რომლებიც, შეიძლება ითქვას, უკვე ახორციელებენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას ფინანსური კაპიტალიზმის მიმართ მისი წარმომადგენლების ვალის გადახდაზე უარის თქმით? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ასე მარტივი არ არის. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იმ დროისათვის, როდესაც ეს წიგნი გამოვა, ალბათ ზოგიერთ ქალაქში ახალი კამპანიები იქნება წარმოქმნილი, რომლებიც კიდევ უფრო ძლიერი შთაგონების წყარო გახდება.

საზოგადოებრივი მოძრაობებისათვის ერთი წელი არაფერია. ის აქტივობები, რომელთა მიზნები კანონის ფარგლებში ეტევა და შეიძლება მაშინვე შესრულდეს, ისევე სწრაფად ქრება, როგორც წარმოიქმნება; ამერიკაში იმ მოძრაობებს, რომლებმაც წარმატებით აიღეს გეზი საზოგადოების მნიშვნელოვანი მორალური გარდაქმნის განხორციელებაზე (აბოლიციონისტებიდან დაწყებული, ფემინიზმით დამთავრებული), გაცილებით მეტი დრო დასჭირდა რეალური შედეგების მისაღწევად, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს შედეგები გაცილებით სერიოზული და მტკიცე იყო. ერთ

წელიწადში Occupy-მ შეძლო როგორც პრობლემის განსაზღვრა (ეს იყო ზედაფენის ძალაუფლების სისტემა, რომელმაც ეფექტურად გააერთიანა ფინანსები და მთავრობა), ასევე მისი გადაჭრის გზის შემუშავებაც – ჭეშმარიტად დემოკრატიული კულტურის შექმნა. ამას, სავარაუდოდ, დიდი დრო დასჭირდება, რომ გაამართლოს, მაგრამ შედეგები ეპოქალური მნიშვნელობის იქნება.

მესამე

„ხალხი იწყებს ფიქრს და აზროვნებას“: დემოკრატიის უარული ისტორია

როცა საზოგადოებრივი მოძრაობების შეფასებებს ეცნობი, რომლებიც აშკარა კონსერვატორების მიერ არის დაწერილი, ხშირად უცნაური კმაყოფილება გეუფლება; განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ლიბერალებს ეხება, რომლებმაც, საერთოდ, ადვილად იციან განაწყენება; ისინი არაპროგნოზირებადნი არიან, რადგან, როგორც თავად აცხადებენ, რადიკალური მოძრაობების იდეებს – დემოკრატიას, ეგალიტარიზმს, თავისუფლებას – იზიარებენ, მაგრამ ასევე როგორღაც ირწმუნებენ თავს, რომ, საბოლოო ჯამში, ამ იდეალებთან მიახლოება შეუძლებელია. ამიტომ ისინი ერთგვარ მორალურ საფრთხეს ხედავენ ნებისმიერ ადამიანში, რომელსაც განზრახული აქვს, ზემოხსენებული პრინციპები რეალობად აქციოს. ეს „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ დღეებში შევნიშნე. ზოგიერთი, ვინც „ლიბერალური მედიის“ სახელით გამოდიოდა, თითქოს თავს იცავდა, თანაც გესლიანად დაგვცინოდა, როგორც ეს მემარჯვენეებს ჩვენზე საუბრისას სჩვევიათ. როცა მოძრაობის შესახებ მათი კრიტიკული წერილები წავიკითხე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მედიის მრავალი ცნობილი წარმომადგენელი, რომლებმაც კოლეჯში 1960-იან წლებში ჩააბარეს, თავს ყოფილ სტუდენტ რევოლუციონერად მიიჩნევდა, მხოლოდ იმის გამო, რომ იმ თაობასთან ასოცირდებოდა. რაც შეეხება მათ სამუშაოს, მასთან მიმართებით ისინი საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდნენ. თავს ირწმუნებდნენ, რომ, მართალია, ამ-

ჟამად ისტებლიშმენტიცისთვის მუშაობდნენ, მაგრამ ნამდვილად არ გაყიდულან, რადგან მათი ადრინდელი რევოლუციური ოცნებები უკიდურესად არარეალური იყო; ამჟამად კი აბორტის ლეგალიზაციისა თუ ერთსქესიანთა ქორწინებისთვის ბრძოლა რადიკალურია იმდენად, რამდენადაც – რეალურად შესაძლებელი. თუ რადიკალი ხარ, ყოველ შემთხვევაში, კონსერვატორებთან დაკავშირებით შენი პოზიცია გარკვეული გაქვს – ისინი შენი მტრები არიან. თუ მათ სურთ, გაგიგონ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო გაიადვილონ შენი მოძრაობის ჩახშობა ძალმომრეობის გზით. აქედან გამომდინარე, ყველაფერი უფრო ნათელი ხდება. ეს ნიშნავს იმასაც, რომ მათ ხშირად მართლა უნდათ, გაგიგონ.

Occupy Wall Street-ის საწყის პერიოდში მემარჯვენეების მხრიდან გახსნილ ცეცხლს მეთიუ კონტინენტის ესეს სახე ჰქონდა, რომელიც დაიბეჭდა The Weekly Standard-ში, სახელწოდებით „ანარქია აშშ-ში: ამერიკაში არსებული არეულობის მიზეზები“.¹ კონტინენტი ამტკიცებდა, რომ „როგორც მემარცხენეებმა, ისე მემარჯვენეებმა, შეცდომა დაუშვეს, როცა ჩათვალეს, რომ Occupy Wall Street-ის უკან მყოფი ძალები დემოკრატიული პოლიტიკითა და მისი პრობლემების გადაჭრით იყვნენ დაინტერესებული“. სინამდვილეში მათ ბირთვს ანარქისტები წარმოადგენდნენ, რომლებიც უტოპიურ სოციალისტურ სამოთხეზე ოცნებობდნენ, ისეთივე უცნაურზე, როგორიც შარლ ფურიეს (1772-1837) „ფალანგები (ფურიეს უტოპიური თეორიის მიხედვით, ესაა ერთობლივ შრომაზე დაფუძნებული თემები, კომუნები. რედ.) ან 1840-იანი წლების New Harmony-ს („ახალი ჰარმონია“) თავისუფალი სიყვარულის კომუნებია (იგულისხმება ინგლისელი ფილოსოფოსის, სოციალისტისა და პედაგოგის, რობერტ ოუენის (1771-1858) მიერ ინდიანის შტატში დაარსებული მწარმოებლური თემი. რედ.). ავტორი თანამედროვე ანარქიზმის მიმდევართა, ძირითადად, ნოამ ჩომსკისა და ჩემი ციტირებით აგრძელებს:

„ამ პერმანენტულ ამბოხებას გარკვეულ პროგნოზირებად შედეგებამდე მიყვავართ. დემოკრატიული პოლიტიკის ლეგიტიმურობის უარყოფით ანარქისტები ძირს უთხრიან თავიანთ შესაძლებლობას, გავლენა მოახდინონ ადამიანების ცხოვრებაზე. ისინი არ ცნობენ არავითარ მოძრაობას საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით; არავითარ დებატებს ბუშის საგადასახადო გა-

ნაკვეთების შესახებ; ანარქისტებს სწამთ, რომ ამერიკაში არც ხელფასებია მისაღები და, რა თქმა უნდა, არც გადასახადები. დევიდ გრებერი, ანთროპოლოგი და Occupy Wall Street-ის წამყვანი ფიგურა, ამას ამგვარად აყალიბებს: „ყველაზე უკეთესი, რაც პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობით შეიძლება იქნეს მიღწეული, არის ზიანის შეზღუდვა; პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის დაშვებაც კი აზარალებს იდეას, რომლის თანახმადაც, ხალხმა საკუთარი საქმეები თავად უნდა მოაგვაროს“. მიზეზი იმისა, თუ რატომ არა აქვს Occupy Wall Street-ს სამოქმედო პროგრამა, არის ის, რომ ანარქიზმი არ ითვალისწინებს სამოქმედო პროგრამას. ერთადერთი, რის გაკეთებაც ანარქისტს შეუძლია, არის მაგალითის ჩვენება, ან არსებული სისტემის განადგურება ძალადობის გზით“.

ეს პუნქტი ტიპურია: ის პრობლემის არსის ლოგიკურ წვდომას უთავსებს კარგად გათვლილ ცილისწამებებსა და ინსინუაციებს, რომელთა მიზანია ძალადობის წახალისება. ეს მართალია, რომ ანარქისტებმა, როგორც ვთქვი, უარი განაცხადეს პოლიტიკურ სისტემასთან თანამშრომლობაზე, მაგრამ იმიტომ, რომ თავად სისტემა იყო არადემოკრატიული – ის აშკარა ინსტიტუციური მექანიზმების სისტემამდე დაეცა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა იძულება, ძალის გამოყენება. ჩვენ გვინდოდა, ეს ფაქტი გამოგვეჩვენებინა როგორც აშშ-ში, ისე სხვაგანაც. სწორედ ეს გააკეთა OWS-მა, თანაც ისე, რომ პოლიტიკური განცხადებები არასოდეს უფრიალებია. იმის თქმა, რომ ჩვენ არ გვაქვს სამოქმედო გეგმა, არის აბსურდი; იმის მტკიცება, რომ ჩვენ სხვა არჩევანი არ გავაჩნია, თუ საბოლოოდ ძალადობას არ მივმართეთ, არის განცხადება (მიუხედავად „ოკუპანტების“ გულმოდგინე მცდელობისა, არაძალადობრივი მეთოდებით ემოქმედათ), რომელსაც მხოლოდ მაშინ აკეთებს ვინმე, როცა სასონარკვეთილი ცდილობს, თვითონვე მოუძებნოს გამართლება ძალადობას.

სტატიის ავტორი სწორი გზით მიდიოდა თანამედროვე გლობალური ანტიკაპიტალისტური ქსელების წარმოშობის კვლევისას, რასაც ის 1994 წლის ზაპატისტურ ამბოხებასთან მიჰყავდა; ასევე სწორად აღნიშნავდა, რომ ეს ქსელები სულ უფრო მზარდი ანტიავტორიტარული პოლიტიკით ხასიათდება, ეწინააღმდეგებიან ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ძალის მეშვეობით და იყენებენ

ინტერნეტს. კონტინენტი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ორ ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე ვითარდებოდა ინტელექტუალური, ფინანსური, ტექნოლოგიური და სოციალური ინფრასტრუქტურა, რათა ძირი გამოეთხარა გლობალური კაპიტალიზმისათვის, და ჩვენ ამის უკანასკნელი გამოვლინების შუაგულში ვიმყოფებით... „ოკუპანტების“ კარვების ქალაქები თვითმმართველური, თემური, ეგალიტარული და ქსელურია. ისინი უარს ამბობენ ყოველდღიურ პოლიტიკაზე; ამკვიდრებენ ბოჰემიანიზმსა (**პირობითობას მოკლებული, არაშაბლონური, არატრადიციული ქცევა. რედ.**) და სამოქალაქო ხელისუფლებასთან კონფრონტაციას. კარვების ქალაქები წარმოადგენს პოსტ-მოდერნულ დროში გადმოტანილ „ფალანგს“ და New Harmony-ს, რომლებიც ჩვენი თანამედროვე ქალაქების ცენტრში აღმოცენდა. ბანაკებში შეიძლება ბევრი აქტივისტი სულაც არ იყოს. ისინი შეიძლება სულელურად, გროტესკულადაც კი გამოიყურებოდნენ. მათ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ „სამოქმედო გეგმის“ შემუშავებისა და სხვადასხვა „პოლიტიკის“ დანერგვის იდეებს. შეიძლება არ დაეთანხმონ იმას, რაც უნდათ, ან როცა უნდათ. ისინი შეიძლება ზამთრის დადგომასთან ერთად გაუჩინარდნენ და ლიბერალებს, რომელთა სკვერებიც მათ „ოკუპირებული“ აქვთ, შეიძლება მოთმინება დააკარგვინონ. მაგრამ უტოპისტები და ანარქისტები კვლავ გამოჩნდებიან... „ოკუპაცია“ იქამდე გაგრძელდება, სანამ ადამიანებს სჯერათ, რომ ქონებრივი უთანასწორობა არასამართლიანია და დედამიწაზე ადამიანებს შორის ძმობის დამყარება შესაძლებელია“.

ალბათ ხვდებით, თუ რატომ შეიძლება ანარქისტები ასეთ მსჯელობაში გულწრფელობას, პატიოსნებას ხედავდნენ, რაც მათ „უცნაურ კმაყოფილებას“ ანიჭებს. ავტორი არ მალავს თავის სურვილს, ჩვენ, ყველანი, ციხეში გვიხილოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უნდა, რომ სამართლიანად შეაფასოს, თუ ვის რა წილი უდევს საქმეში.

თუმცა The Weekly Standard-ის სტატიაში იკვეთება ერთი ძალიან მცდარად ჩამოყალიბებული თემა – „დემოკრატიის“ განზრახ გაიგივება ე.წ. „ყოველდღიურ პოლიტიკასთან“, ანუ ლობირებასთან, თანხების მოზიდვასთან, საარჩევნო კამპანიების მოსაწყობად მუშაობასთან და ამერიკის არსებულ პოლიტიკურ

სისტემაში კიდევ სხვა ტიპის მონაწილეობასთან. საწყისი პირობა არის ის, რომ ავტორი მხარს უჭერს დემოკრატიას, ხოლო „ოკუპანტები“ მის წინააღმდეგ გამოდიან, რაკი არსებულ სისტემას უარყოფენ. სინამდვილეში კონსერვატორული ტრადიცია, რომელიც საფუძვლად უდევს The Weekly Standard-ის მსგავსი ჟურნალების დაარსებას და განაპირობებს მათ სიცოცხლისუნარიანობას, უკიდურესად არადემოკრატიულია. ამ ჟურნალების სტატიების გმირები, პლატონიდან დაწყებული, ედმუნდ ბიორკით დამთავრებული, თითქმის ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებიც, პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგებოდნენ დემოკრატიას; მათ მკითხველებს ჯერ კიდევ უყვართ ასეთი განცხადებები: „ამერიკა არ არის დემოკრატია, ის რესპუბლიკაა“. უფრო მეტიც, კონტინენტის მიერ გაკეთებული დასკვნები – რომ ანარქისტების მიერ ინსპირირებული მოძრაობები არის არასტაბილური, უნესრიგო, საფრთხეს უქმნის ქონებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ კანონით დადგენილ წესრიგს, და აუცილებლად მიგვიყვანს ძალადობამდე – სწორედ ის არგუმენტებია, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ კონსერვატორები თავად დემოკრატიის წინააღმდეგ.

სინამდვილეში OWS არის ანარქისტების მიერ ინსპირირებული, მაგრამ სწორედ ამ მიზეზის გამო ის მისდევს ამერიკული სახალხო დემოკრატიის ტრადიციას, რომელსაც ყოველთვის შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ კონტინენტის მსგავსი კონსერვატორები. ანარქიზმი არ ნიშნავს დემოკრატიის (ან თუნდაც დემოკრატიის ამა თუ იმ ასპექტის) უარყოფას, რომელიც, ისტორიულად, ამერიკელების უმრავლესობისათვის მისაღები და მოსაწონი იყო. ანარქიზმი უფრო მეტად არის ამ ძირითადი დემოკრატიული პრინციპების მიყვანა ლოგიკურ შედეგებამდე. ამის დანახვა იმიტომაც ძნელდება, რომ სიტყვა „დემოკრატიის“ მნიშვნელობაზე ყოველთვის დაუსრულებლად კამათობდნენ: მაგალითად, უმრავლესობა ამერიკელი ექსპერტებისა და პოლიტიკოსებისა ახლა ამ ტერმინს ხელისუფლების იმ ფორმის გამოსახატავად იყენებს, რომლის მკაფიო მიზანი შემდეგია – უზრუნველყოს, რომ არასოდეს მოხდეს ის, რასაც ჯონ ადამსმა „დემოკრატიის საშინელებები“ უწოდა.²

როგორც წიგნის დასაწყისშიც აღვნიშნე, ბევრ ამერიკელს წარმოდგენა არა აქვს, რომ არც დამოუკიდებლობის დეკლარაციაში და არც კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ შეერთებული შტატები დემოკრატიაა.* სინამდვილეში, უმრავლესობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ფუძემდებლური დოკუმენტების შედგენაში მონაწილეობდნენ, უყუყუანოდ დაეთანხმა მეჩვიდმეტე საუკუნის პურიტანიზმის მქადაგებელ ჯონ უინთროპს (1588-1649 – **ინგლისელი იურისტი, ამერიკის სახელმწიფო მოღვაწე. რედ.**), რომელიც წერდა, რომ „ცივილიზებული ერების უმეტესობისათვის დემოკრატია ქვეყნის მართვის ყველაზე უღიმღამო და უარეს ფორმად ითვლება.“³

ამერიკის სახელმწიფოს ფუძემდებელთა უმრავლესობამ თუკი რაიმე იცოდა დემოკრატიის თემაზე, ყველაფერი თუკი-დიდეს „ისტორიის“ ტომას ჰობსისეული ინგლისური თარგმანიდან, პელოპონესის ომის შესახებ ისტორიკოსის შეფასებებიდან შეიტყო. როგორც ჰობსმა მკითხველებს განუმარტა, მან ამ პროექტს ხელი იმისთვის მოჰკიდა, რომ ისინი დემოკრატიის საფრთხეების შესახებ გაეფრთხილებინა. ამის გამო ამერიკის „მამები“ ამ სიტყვას იმ მნიშვნელობით იყენებდნენ, რომლითაც ძველი ბერძნები, თვლიდნენ რა, რომ დემოკრატია თემურ თვითმმართველობას გულისხმობს, რომელიც ათენის აგორას მსგავსი სახალხო შეკრებების მეშვეობით ხორციელდება. ეს იყო ის, რასაც ახლა „უშუალო დემოკრატია“ ვუწოდებთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ მმართველობის სისტემა „საყოველთაო შეკრებების“ მეშვეობით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ შეკრებებს ყოველთვის უნდა ემუშავა მხოლოდ უმრავლესობის მმართველობის პრინციპით – 51%-49%. მაგალითად, ჯეიმს მედისონმა (1751-1836, **აშშ-ის მეოთხე პრეზიდენტი, პოლიტიკის თეორეტიკოსი, აშშ-ის კონსტიტუციისა და ფუფლებათა ბილის ერთ-ერთი შემქმნელი. რედ.**) „ფედერალისტის ჩანაწერებში“ (სამი ავტორის, მათ შორის მედისონის, მიერ დანერილი 85 სტატიის კრებული, რომელიც მიზნად ისახავდა აშშ-ის კონსტიტუციის რატიფიკაციის მხარდაჭერას. რედ.) ნათელყო, თუ რატომ მიაჩნდა, რომ ამგვარი

* იგივე ითქმის თავდაპირველად ჩამოყალიბებული ცამეტივე შტატის კონსტიტუციებზეც, რომლებიც რევოლუციის შემდეგ შეიქმნა.

ათენური დემოკრატიის დამყარება არა მხოლოდ შეუძლებელი იყო მისი დროის დიდ ქვეყნებში (რადგანაც ის თავისი არსის გამო ვრცელ გეოგრაფიულ არეალში ვერ იმუშავებდა), არამედ არასასურველიც კი იყო. მისი აზრით, ისტორიამ აჩვენა, რომ უშუალო დემოკრატიის ნებისმიერი სისტემა აუცილებლად გადაიზრდებოდა ფრაქციულობაში, დემაგოგიაში და, საბოლოოდ, წესრიგისა და კონტროლის აღდგენის მიზნით ძალაუფლებას რომელიმე დიქტატორი ჩაიგდებდა ხელში:

„წმინდა დემოკრატია – მასში ვგულისხმობ საზოგადოებას, რომელიც მცირერიცხოვანი მოქალაქეებისგან შედგება; რომელიც იკრიბება და თავად ახორციელებს მართვას – არ გააჩნია საშუალება, თავიდან აიცილოს ზიანი, რომელსაც მას მოწინააღმდეგე ფრაქცია მიაყენებს... აქედან გამომდინარე, ამგვარი დემოკრატიები ყოველთვის ტურბულენტობისა და უთანხმოების ასპარეზს წარმოადგენდა; ითვლებოდა პირად უსაფრთხოებასთან თუ საკუთრების უფლებებთან შეუთავსებლად; როგორც წესი, ისინი დიდხანს ვერ ძლებდა და მათ ყოველთვის ძალის გამოყენებით ამხოზდნენ“.⁴

ყველა იმ ადამიანის მსგავსად, რომლებსაც ამერიკის სახელმწიფოს ფუძემდებელი „მამების“ სახელით ვიცნობთ, მედისონი ამტკიცებდა, რომ მისთვის მისაღები ხელისუფლების ფორმა – „რესპუბლიკა“, უდავოდ, სრულიად განსხვავებული იყო:

„დემოკრატიის დროს ადამიანები იკრიბებიან და თავად ახორციელებენ ქვეყნის მართვას; რესპუბლიკის დროს ისინი იკრიბებიან და მართვას თავიანთი წარმომადგენლებისა და აგენტების საშუალებით ახორციელებენ. დემოკრატია, შესაბამისად, შემოიფარგლება მცირე ზომის ტერიტორიით. რესპუბლიკური მმართველობა კი შეიძლება დამყარდეს დიდ რეგიონში“.⁵

ის ხედვა, რომ რესპუბლიკები „წარმომადგენლების“ საშუალებით იმართებოდა, ერთი შეხედვით, ახლა შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, ვინაიდან ტერმინი „რესპუბლიკა“ მათ ძველი რომიდან ისესხეს, ხოლო რომში სენატორებს არ ირჩევდნენ; ისინი არისტოკრატები იყვნენ და თავიანთი ადგილები დაბადებიდან, მემკვიდრეობით ერგოთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი სინამდვილეში ვინმეს „წარმომადგენლები და აგენტები“ კი არ იყვნენ, არამედ საკუთარ თავს წარმოადგენდნენ. თუმცა წარმომადგენლობითი ორგანოების იდეა იყო ის, რაც ფუძემდებელმა „მამებმა“

რევოლუციის დროს მემკვიდრეობით მიიღეს ბრიტანელებისაგან: ახალი ქვეყნის მმართველები იყვნენ სწორედ არჩეული პირები, რომლებსაც ქონების მფლობელმა ინდივიდებმა მისცეს ხმა კონტინენტალური კონგრესის მსგავს ორგანოში მოსახვედრად (ის ბრიტანეთში შეზღუდულ თვითმმართველობას გულისხმობდა, რომელიც მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა). რევოლუციის შემდეგ მათ მაშინვე თავად აიღეს ხელში ძალაუფლება, როგორც მეფე ჯორჯ III-ს ჰქონდა. შესაბამისად, მოქმედებას წარმომადგენლობითი ორგანოებისა, რომლებიც მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ, ახლა ხალხის მმართველობა წარმართავდა, როგორი შეზღუდულიც არ უნდა ყოფილიყო ის.

ამგვარ ორგანოებში დელეგატების არჩევის წესი სიახლით არ გამოირჩეოდა. ინგლისში ეს ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ხდებოდა. XV საუკუნისთვის დადგენილ ნორმად იქცა, რომ საკუთრების მქონე ადამიანებს უფლება ჰქონოდათ, თავიანთი საპარლამენტო წარმომადგენლები საკუთარი ხმების ადგილობრივი პერიფისათვის გაგზავნის (ჩვეულებრივ, ნაჭდევებიან ჯოხებზე აკეთებდნენ ნიშნულს) საშუალებით აერჩიათ. იმ დროში ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ სისტემას რაიმე საერთო ჰქონდა „დემოკრატიასთან“.⁶ ითვლებოდა, რომ არჩევნები მონარქისტული სახელისუფლებო სისტემების გაგრძელება იყო, რადგან წარმომადგენლებს მართვის არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნდათ. ისინი არაფერს მართავდნენ, არც ერთობლივად და არც ცალ-ცალკე; მათ მეფის სუვერენული ხელისუფლების წინაშე უნდა ელაპარაკათ მათი რაიონის მცხოვრებთა სახელით (ანუ „წარმოედგინათ“ ისინი), მიეცათ რჩევა, წარედგინათ საჩივრები და, რაც მთავარია, გადაეცათ თავიანთი საგრაფოს გადასახადები. ამრიგად, ვინაიდან წარმომადგენლებს არ ჰქონდათ არავითარი ძალაუფლება და არჩევნებში კონკურენციაც იშვიათი იყო, არჩეული წარმომადგენლების სისტემა, უდავოდ, შუა საუკუნეებში გაბატონებული თანხმობის იურიდიული პრინციპების შესაბამის ფორმად ითვლებოდა: მიიჩნეოდა, რომ ვინაიდან ბრძანებები, როგორც წესი, ზევიდან მოდიოდა, ხოლო რიგით ადამიანებს არავითარი წვლილი არ შეჰქონდათ პოლიტიკის განსაზღვრაში, იმავე ადამიანებს ვერ დაავალდებულებდნენ, დამორჩილებოდნენ ბრძანებებს, რომლებსაც ისინი, ფართო გაგებით, არ ეთანხმებოდნენ. მართალია,

ინგლისის სამოქალაქო ომის შემდეგ პარლამენტმა დაიწყო თავისი უფლებების დაცვა და ხმის უფლების მოპოვება გადასახადებიდან შემოსული შემოსავლების განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებისას, შექმნა რა, როგორც მას „მამებმა“ უწოდეს, „შეზღუდული მონარქია“, ამერიკული იდეა, რომლის თანახმადაც, ხალხს ჭეშმარიტად ქვეყნის მართვის უფლებით აღჭურვილი წარმომადგენლებისთვის ხმის მიცემით შეეძლო, რეალურად ჰქონოდა სუვერენული ძალაუფლება (რომლის მსგავსსაც ერთ დროს მეფეები ფლობდნენ), ნამდვილად ინოვაციას წარმოადგენდა და დაუყოვნებლივ მიიჩნიეს კიდევ ასეთად.⁷

ამერიკის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის „ხალხის“ სახელით მიმდინარეობდა და ყველა პოლიტიკოსი, რომლებიც ამინდს ქმნიდნენ, ხვდებოდა, რომ რაღაც მომენტში კონსულტაციები უნდა გაემართათ „მთელი ხალხის წარმომადგენელ ორგანოსთან“, რათა თავიანთი რევოლუცია ლეგიტიმური გაეხადათ – მაგრამ კონსტიტუციის ძირითად მიზანს იმის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, რომ კონსულტაციის ეს ფორმა უკიდურესად შეზღუდული ყოფილიყო, რათა ყოველივე ამას „დემოკრატიის საშინელებები“ არ გამოენვია. იმ დროს განათლებულ ხალხში არსებობდა ზოგადი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყველა ჩვენთვის ცნობილ საზოგადოებაში სხვადასხვა დოზით არსებობდა ხელისუფლების სამი საწყისი პრინციპი: მონარქია, არისტოკრატია და დემოკრატია. ამერიკელი პოლიტიკოსები ეთანხმებოდნენ ანტიკური ხანის პოლიტიკის თეორიტიკოსებს, რომლებმაც დაადგინეს, რომ რომის რესპუბლიკა ამ პრინციპების ყველაზე სრულყოფილ ბალანსს წარმოადგენდა. რესპუბლიკურ რომს ჰყავდა ორი კონსული (სენატის მიერ არჩეული), რომლებიც მონარქის ფუნქციას ასრულებდნენ, სენატორების უცვლელი ჯგუფი პატრიციების ფენიდან და, ბოლოს, სახალხო კრებები შეზღუდული უფლებამოსილებით. ეს კრებები ირჩევდნენ მაგისტრატებს **(პირები სახელმწიფო თანამდებობებზე ძველ რომში. რედ.)** არისტოკრატ კანდიდატებს შორის და ასევე ორ ტრიბუნს, რომლებიც პლებების ფენის ინტერესებს წარმოადგენდნენ; ტრიბუნებს ხმის მიცემის ან სენატში შესვლის უფლებაც კი არ ჰქონდათ (ისინი შესასვლელთან, გარეთ ისხდნენ), მაგრამ მათ შეეძლოთ, ვეტო დაედოთ სენატორების გადაწყვეტილებაზე.

ამერიკის კონსტიტუცია მსგავსი ბალანსის მიღწევის მიზნით შეიქმნა. მონარქის ფუნქციას შეასრულებდა სენატის მიერ არჩეული პრეზიდენტი; იგულისხმებოდა, რომ სენატი წარმოადგენდა მდიდარი არისტოკრატიის ინტერესებს, ხოლო კონგრესი – დემოკრატიულ ელემენტს. ამ უკანასკნელის კომპეტენცია უმეტესწილად უნდა შემოფარგლულიყო თანხის მოზიდვითა და ხარჯვით, რადგან, ბოლოს და ბოლოს, რევოლუცია ეფუძნებოდა პრინციპს: „არ არსებობს გადასახადები წარმომადგენლობის გარეშე!“ (ლოზუნგი, რომელიც ამერიკის რევოლუციის დროს გამოხატავდა ჩრდილო ამერიკაში ბრიტანელი კოლონისტების ძირითად პრეტენზიას მეფის ხელისუფლებისა და კოლონიური ადმინისტრაციის მიმართ. კოლონისტებს არ ჰყავდათ წარმომადგენელი ბრიტანეთის პარლამენტში, რის გამოც ვერ ახერხებდნენ რეალიზებას თავიანთი უფლებებისა, რომლებიც მათ უფლებათა ბილმა მიანიჭა. რედ.). სახალხო კრებები საერთოდ გაუქმდა. ამერიკულ კოლონიებში, რა თქმა უნდა, არ იყო შთამომავლობითი არისტოკრატია. მაგრამ წამყვანი პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ, სამაგიეროდ, დროებითი მონარქისა და დროებითი წარმომადგენლების არჩევით ისინი შეძლებდნენ შეექმნათ ის, რასაც ზოგჯერ დაუფარავად მოიხსენიებდნენ, როგორც ერთგვარ „ნატურალურ“ არისტოკრაციას. ის განათლებული და შეძლებული ფენებისგან შედგებოდა და ისეთივე ჯანსაღ ინტერესს იჩენდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმართ, როგორსაც, მათი აზრით, ციცირონისა და ცინცინატის დროინდელი რომის სენატი.

ვფიქრობ, ღირს, ამ საკითხზე შევჩერდეთ. როცა ამერიკის სახელმწიფოს დამფუძნებლები „არისტოკრატიაზე“ ლაპარაკობდნენ, ისინი ამ ტერმინს მეტაფორულად არ იყენებდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ აყალიბებდნენ ახალ პოლიტიკურ ფორმას, რომელშიც გაერთიანებული იყო დემოკრატიული და არისტოკრატიული ელემენტები. ევროპის მთელი ისტორიის მანძილზე არჩევნები განიხილებოდა (თავის დროზე ამას არისტოტელეც ამტკიცებდა), როგორც საჯარო მოხელეების შერჩევის არისტოკრატიული, ყველაზე უფრო ტიპური ფორმა. არჩევნებზე ხალხი, როგორც წესი, მცირერიცხოვან პროფესიონალ პოლიტიკოსებს შორის (რომლებიც ამტკიცებენ, რომ, სხვებზე მეტად კომპეტენტურნი და განათლებულნი არიან) შეარჩევს ერთს, რო-

მელიც, მათი აზრით, საუკეთესოა (ეს არის ის, რასაც ნიშნავს სიტყვასიტყვით „არისტოკრატია“ – „საუკეთესოთა მმართველობა“). არჩევნები იყო საშუალება, რომლითაც დაქირავებულ მებრძოლთა ჯარები ირჩევდნენ თავიანთ მეთაურებს, ან დიდგვაროვნები მეტოქეობას უწევდნენ ერთმანეთს თავიანთი მომავალი ხელქვეითების მხარდასაჭერის მოსაპოვებლად. დემოკრატიული მიდგომა (რომელსაც ინტენსიურად იყენებდნენ ანტიკურ სამყაროშიც და რენესანსის დროინდელ ქალაქებშიც, როგორიცაა, მაგალითად, ფლორენცია) იყო ლატარია, ან, როგორც მას ხანდახან უწოდებდნენ ხოლმე – „კენჭისყრა“. არსებითად, პროცედურა ასე გამოიყურებოდა: თავს მოუყრიდნენ სახელებს თემის იმ წარმომადგენლებისა, რომლებსაც უნდოდათ, ემსახურათ საჯარო სამსახურში და მათი ცოდნის, გამოცდილების გადამონების შემდეგ იღებდნენ ამ ადამიანების სახელებს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ეს იმის გარანტიას იძლეოდა, რომ ყველა კომპეტენტურ და დაინტერესებულ მხარეს თანაბარი შანსი ჰქონოდა, საჯარო თანამდებობა დაეკავებინა. ამ პროცესს ასევე მინიმუმამდე დაჰყავდა ფრაქციულობა, რადგან საარჩევნო ოლქში მოგების მიზნით დაპირებების მიცემას აზრი არ ჰქონდა, თუკი არჩევა კენჭისყრით უნდა მომხდარიყო (არჩევნები კი, პირიქით, გასაგები მიზეზების გამო, ხელს უწყობდა ფრაქციებად დაყოფას). გაკვირვებას იწვევს შემდეგი ფაქტი: უშუალოდ საფრანგეთისა და ამერიკის რევოლუციებამდე არსებულ თაობებში, მონტესკიესა და რუსოს მსგავს განმანათლებელ მოაზროვნეებს შორის ცხარე კამათი მიდიოდა არჩევნებისა და ლატარიის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, 1770-1780-იან წლებში კი ახალი რევოლუციური კონსტიტუციების შექმნელები არც კი მსჯელობდნენ ლატარიის გამოყენებაზე. ერთადერთი, რაშიც მათ ლატარიის პრინციპი აღმოაჩინეს, იყო ნაფიც მსაჯულთა სისტემა, და ის უცვლელად დატოვეს, ძირითადად, იმიტომ, რომ ეს ტრადიცია მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული ინგლისური საერთო სამართლისგან (**ინგლ. common law – საერთო, ანუ პრეცედენტული სამართალი – სამართლის სისტემა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მოსამართლეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ქვეყნის ტრადიციებს, ადათ-წესებს, დანერჩილ კანონებთან შედარებით (განსხვავებით სტატუტორული სამართლისგან). რედ.**).

ნაფიც მსაჯულთა სისტემა ც კი სავალდებულო იყო და არა ნე-
ბაყოფლობითი; ნაფიც მსაჯულებს რეგულარულად აუწყებდნენ
(და დღემდე ასე ხდება), რომ მათ როლს წარმოადგენდა არა
კანონის სამართლიანობის განხილვა, არამედ მტკიცებულების
შემცველი ფაქტების შეფასება.

არ უნდა გამართულიყო არავითარი შეკრებები. არ უნდა
მომხდარიყო კენჭისყრა. სახელმწიფოს ფუძემდებელი „მამები“
ამტკიცებდნენ, რომ უზენაესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნოდა
(თუკი ის კიდევ ერთ რევოლუციას არ მოაწყობდა და ხელში
იარაღს არ აიღებდა), ოღონდ მას შეეძლო ამ ხელისუფლების
რეალიზება საუკეთესოთა ფენის წევრებს შორის არჩევანის
გაკეთებით; საუკეთესოებს კი მათ იმიტომ უწოდებდნენ, რომ
იყვნენ როგორც კარგად მომზადებული იურისტები, ისე პრივი-
ლეგირებული ფენის წარმომადგენლები; გამოირჩეოდნენ მეტი
გონიერებით და შეეძლოთ, იმაზე უკეთ ჩასწვდომოდნენ ხალხ-
ის ნამდვილ ინტერესებს, ვიდრე თვითონ ხალხი. რაკი „ხალხი“
ასევე უნდა დამორჩილებოდა კანონებს, მიღებულს იმ საკანონ-
მდებლო ორგანოს მიერ, რომელსაც ეს ახალი, „ნატურალური“
არისტოკრატია ედგა სათავეში, ხალხის ხელისუფლების ცნების
ამერიკის სახელმწიფოს ფუძემდებლებისეული გაგება სინამდ-
ვილეში დიდად არ დაშორებია ძველ, შუასაუკუნეობრივი წარ-
მოდგენას, რომლის თანახმადაც, ზემოდან წამოსულ ბრძანებებს
უნდა დაემორჩილო.

თუკი ჯონ ადამსის ნაშრომებს ან „ფედერალისტის ჩანაწერებს“
გაეცნობით, შეიძლება გაგიკვირდეთ, საერთოდ, რატომ ხარჯა-
ვდნენ ასეთი ავტორები ამდენ დროს ათენური სტილის უშუალო
დემოკრატიის შესახებ მსჯელობაზე. ბოლოს და ბოლოს, ეს იყო
პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ორი ათას წელზე მეტი ხანია,
აღარ უარსებია და არც ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურ-
ას მისი აღდგენისთვის მხარი გამოკვეთილად არ დაუჭერია.

აი, სად გვჭირდება უფრო ფართო პოლიტიკური კონტექს-
ტის განხილვა. შესაძლოა, XVIII საუკუნის ჩრდილოატლანტიკურ
სტრუქტურებში არ ყოფილიყო დემოკრატია, მაგრამ ნამდვილად
იყვნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს „დემოკრატებს“

უწოდებდნენ. ამერიკაში ამის ალბათ ყველაზე ცნობილი ნიმუში არის თომას პეინი (1737-1809, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. რედ.). იმ დროს, როცა კონტინენტალურმა კონგრესმა ინგლისის სამეფო ტახტთან ურთიერთობების განწყვეტაზე ფიქრი დაიწყო, ტერმინი ერთგვარ აღორძინებას განიცდიდა ევროპაში, სადაც პოპულისტები არისტოკრატების მართვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და უფრო და უფრო ხშირად უწოდებდნენ თავიანთ თავს „დემოკრატებს“ – პირველ ყოვლისა, ამას, ძირითადად, ეპატაჟისტების აკეთებდნენ, ზუსტად ისე, როგორც ჰომოსექსუალისტების უფლებათა დამცველმა მოძრაობამ გამომწვევად მიითვისა სიტყვა queer (ინგლ. – უცნაური, ექსცენტრიკული, სხვანაირი. ამ სიტყვით დღეს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს მოიხსენიებენ. რედ.). უმეტეს შემთხვევაში ისინი მცირერიცხოვანი დემაგოგები იყვნენ და არა ინტელექტუალები; მხოლოდ რამდენიმე მათგანმა წარმოადგინა განსახილველად ქვეყნის მართვის კარგად დამუშავებული თეორია. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა დიდგვაროვანთა და საეკლესიო პრივილეგიების წინააღმდეგ გამართულ კამპანიებსა და ისეთი ძირითადი პრინციპების დასაცავად წამოწყებულ მოძრაობებში იყო ჩართული, როგორიცაა კანონის წინაშე თანასწორობა. როცა რევოლუცია იფეთქებდა, ასეთი ადამიანები თავიანთ ადგილს პოულობდნენ მასობრივ შეხვედრებსა და შეკრებებში, რომლებსაც მსგავსი სიტუაციები ყოველთვის წარმოშობს (მაგალითად, შეკრებები ახალი ინგლისის მუნიციპალიტეტებსა თუ საფრანგეთის რევოლუციის „ქვეგანყოფილებებში“). მრავალი მათგანი ამგვარ შეკრებებში ახალი პოლიტიკური სისტემის⁸ სტრუქტურის პოტენციურ შემადგენელ ელემენტს ხედავდა. რამდენადაც, არჩევითი ორგანოებისაგან განსხვავებით, მასობრივ შეხვედრებზე ხმის მიცემისას ქონებრივი შეზღუდვები არ არსებობდა, აქ ბევრად უფრო რადიკალურ იდეებს განიხილავდნენ.

იმ წლებში, რომლებსაც შემდეგ მალევე მოჰყვა ამერიკის რევოლუცია, პატრიოტები ხშირად მიმართავდნენ მასობრივ მიტინგებს (რომელსაც ორი ტერმინით გამოხატავდნენ: mob და mobility), რათა მოეწოდებინათ ხალხისთვის ისეთი მასობრივი

ქმედებებისკენ, როგორიც „ბოსტონის ჩაის სმის მოძრაობა“ იყო. ზოგჯერ ამას შემამოფოთებელი შედეგები მოჰყვებოდა. მაგალითად, 1774 წლის 19 მაისს გაიმართა მასობრივი მიტინგი ნიუ-იორკში, რომელზეც უნდა ემსჯელათ გადასახადების გადახდის მიმართ ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, რაც იქნებოდა საპასუხო რეაქცია ბრიტანეთის მთავრობის მიერ ბოსტონის ნავსადგურის დახურვაზე (მიტინგი, სავარაუდოდ, დღევანდელი ზუკოტის პარკის მახლობლად შედგა). საფიქრებელია, რომ სწორედ აქ დაიბადა იდეა კონტინენტალური კონგრესის მოწვევის თაობაზე. ჩვენ ხელთ გვაქვს გოვერნერ მორისის (1752-1816, ამერიკის სახელმწიფო მოღვაწე, აშშ-ის სახელმწიფოს ერთ-ერთი დამფუძნებელი „მამა“. რედ.) ჩანაწერი ამის შესახებ, რომელსაც მაშინ ნიუ-ჯერსის მთავარი მოსამართლის პოსტი ეჭირა. ის იყო ოჯახიდან, რომელიც იმ დროს ახლანდელი ბრონქსის (ნიუ-იორკის ხუთი რაიონიდან (ბოროდან) ერთ-ერთი. რედ.) უმეტეს ტერიტორიას ფლობდა. მორისი აღწერს, თუ როგორ მოუხდათ უბრალო ხელოსნებსა და ვაჭრებს (რომლებმაც ერთი დღით გაითავისუფლეს თავი სამუშაოდან) წვრილ მემამულეებთან და მათ მხარდამჭერებთან ხანგრძლივ დებატებში ჩაბმა, სადაც განიხილებოდა, „თუ როგორი ფორმები უნდა ჰქონოდა ჩვენს მთავრობას მომავალში და არისტოკრატიულ პრინციპებზე უნდა ყოფილიყო იგი დამყარებული თუ დემოკრატიულზე“. თუ წვრილი მემამულეები მსჯელობდნენ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ექნებოდა ინგლისის არსებული (უკიდურესად კონსერვატორული) კონსტიტუციის მოქმედების გაგრძელებას, ყასბები და ხაბაზები მათ გრაკხუსისა და პოლიბიუსის არგუმენტებით პასუხობდნენ.

„მე აივანზე ვიდექი, ჩემგან ხელმარჯვნივ ჩამწკრივებული იყვნენ საკუთრების მფლობელი ადამიანები, რამდენიმე ღარიბ ხელქვეითთან ერთად, ხოლო მეორე მხარეს იდგა ყველა ვაჭარი და სხვები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ღირდა, ყოველდღიურ სამუშაოს მოსცდენოდნენ და ქვეყნის საკეთილდღეოდ იქ მდგარიყვნენ.

ინგლისის კონსტიტუციის სულისკვეთებას ჯერ კიდევ შერჩენოდა მცირედი ზეგავლენა მარცხნივ მდგარ ხალხზე, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო. მართალია, მისი დარჩენილი მოქმედი მუხლები მდიდრებს ამჯერად უპირატესობას აძლევდა, მაგრამ თუ

კონსტიტუციას ამ სახით შეინარჩუნებდნენ, მათ სამსახურებიდან უნდა გაეყარათ ყველა სკოლის მასწავლებელი და მხოლოდ საკუთარი ცოდნის იმედად უნდა დარჩენილიყვნენ. ეს კი შეუძლებელი იყო.

ხალხი იწყებს ფიქრს და აზროვნებას. საბრალო ქვეწარმავლები! მათ გაზაფხულის დილა დაუდგათ, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ზამთრის დროინდელი კანი მოიცილონ, მზის სხივებს ეფიცებიან, და სანამ შუადღე დადგება, კბენას დაიწყებენ, დარწმუნებულნი იყავით ამაში. წვრილი მემამულეები შიშობენ ამის გამო“.⁹

ასევე ეშინოდა მორისსაც, რომელმაც, მოვლენებიდან გამომდინარე, დაასკვნა, რომ სრული დამოუკიდებლობა ბრიტანეთისგან ძალიან ცუდი აზრი იყო. „მე შიშითა და ძრწოლვით ვუყურებ ამას, ჩვენ ყველაზე უარესი ბატონობის – მემამბოხე ბრბოს ბატონობის – ქვეშ მოვექცევით“, ამბობდა ის.

თუმცა ეს დასკვნა არცთუ ისე გულწრფელი ჩანდა. მორისის ჩანაწერი ცხადყოფდა, რომ მას უგუნურ ვნებებს აყოლილი „ხალხის“ კი არ ეშინოდა, პირიქით, ეშინოდა, რომ ამდენი ნიუიორკელი ხელოსანი და ვაჭარი, აშკარად, არა მხოლოდ შესანიშნავად შეძლებდა კლასიკური კომერციული რეკომენდაციების მიცემას, არამედ მოახერხებდა გააზრებული, საფუძვლიანი არგუმენტების ჩამოყალიბებასაც დემოკრატიის სასარგებლოდ. ხალხი იწყებს ფიქრს და აზროვნებას. რაკი მისთვის აღარ არსებობდა არავითარი შეზღუდვა და განათლება ხელმისაწვდომი იყო, მიზნის მისაღწევ ერთადერთ საშუალებად ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობა რჩებოდა.

მორისმა წერილი დაასრულა იმის აღნიშვნით, რომ წვრილმა მემამულეებმა კომიტეტი მდიდრებით დააკომპლექტეს, რათა უბრალო ადამიანები მოეტყუებინათ, რომ თითქოს ისინიც გულის სიღრმეში პატივს სცემდნენ ხალხის ინტერესებს. ნიუიორკის საკუთრების მფლობელთა ფენის უმრავლესობისაგან განსხვავებით, მორისი შემდგომში მაინც რევოლუციონერების მხარეს გადავიდა და ამერიკის კონსტიტუციის საბოლოო პროექტის შედგენაზე მუშაობა გააგრძელა, თუმცა საკონსტიტუციო

კონვენტზე მის ყველაზე მნიშვნელოვან წინადადებათაგან ზოგიერთი, როგორიც იყო, მაგალითად ის, რომ სენატორებად მთელი სიცოცხლის ვადით უნდა დანიშნულიყვნენ, მისმა კოლეგა დელეგატებმაც კი მეტისმეტად კონსერვატორულად მიიჩნიესდა, საბოლოო ჯამში, არ მიუღიათ.

რევოლუციური ომის შემდეგაც კი ძნელი იყო დემოკრატიის ჯინის ბოთლში ჩაბრუნება. მობილიზაციები, მასობრივი მიტინგები და სახალხო ამბოხებები გრძელდებოდა. რევოლუციამდელი პერიოდის მსგავსად, ამ საპროტესტო აქციების უმეტესობაც აქცენტს აკეთებდა ვალზე. გაცხარებული დებატები იმართებოდა იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო რევოლუციური ომით გამოწვეულ დავალიანებასთან დაკავშირებით. ხალხი მოითხოვდა დაეშვათ ინფლაციის საშუალებით მისი ნეიტრალიზება და ვალუტა დაემყარებინათ ფასიან ქალაქებზე, რომლებსაც საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ მყოფი ადგილობრივი „სასოფლო-სამეურნეო ბანკები“ გამოუშვებდნენ. კონტინენტალურმა კონგრესმა საპირისპირო მიდგომა გამოავლინა, გაიზიარა რა მდიდარი ფილადელფიელი ვაჭრის, რობერტ მორისის (არავითარი კავშირი არა აქვს გოვერნერთან) რჩევა, რომ სრულად უნდა აენაზღაურებინათ გადახდილი თანხა იმ მდიდარი ბირჟის საქმოსნებისთვის, რომლებმაც ვალი ამორტიზებული (შემცირებული) ღირებულებით შეისყიდეს. იგი ამბობდა, რომ ეს გამოიწვევდა სიმდიდრის „იმათ ხელში მოხვედრას, ვისაც მისი ყველაზე პროდუქტიულად გამოყენება შეეძლო“; ამავე დროს, ინგლისის ბანკის მოდელის მიხედვით ერთი დიდი ცენტრალური ბანკის შექმნა საშუალებას მისცემდა სახელმწიფო ვალს, მიმოქცევაში ყოფილიყო, როგორც „კომერციის ახალი საშუალება.“¹⁰ სახელმწიფოს სამხედრო ვალის ვალუტის საფუძვლად გამოყენების სისტემა ნაცადი და აპრობირებული იყო, და ფორმა, რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის სახით ახლაც გვაქვს, გარკვეულწილად წააგავს კიდევ მას, მაგრამ რესპუბლიკის არსებობის ადრეულ ეტაპზე პატიოსანი, მიამიტი ფერმერებისათვის, რომლებსაც, ფაქტობრივად, ამ ვალის უნდა გადახდა მოუწიათ, შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა. რევოლუციური ომიდან დაბრუნებულ ათასობით ვეტერანს ხშირად ე.წ. „შერიფის ფურგონები“ აკითხავდა, რომ მათი ყველაზე უფრო ღირებული ნივთები წაეღოთ. ამას კი შედეგად

მოჰყვა სახალხო მობილიზაციის ტალღები და, სულ მცირე, ორი დიდი ამბოხება, ერთი – დასავლეთ მასაჩუსეტსში და მეორე – პენსილვანიის სოფლებში; ზოგიერთ კვარტალში მოწოდებებიც კი გაისმოდა, შემოეღოთ კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, უბრალო ხალხის ნაცვლად, ქონებას უმსხვილეს ბირჟის საქმოსნებს ჩამოართმევდნენ.*

ადამისი, მედისონის თუ ჰამილტონის მსგავსი ადამიანებისთვის ამგვარი პროექტები შემაშფოთებლად ჰგავდა ანტიკური ეპოქის რევოლუციურ მოძრაობებს, რომლებიც მოუწოდებდნენ ვალების გაუქმებისა და მიწების ხელახალი გადანაწილებისკენ. ამ მოძრაობებმა მათთვის მაშინვე ცხადყო, რომ უმრავლესობის მართვის პრინციპი ამერიკას არასოდეს გამოადგებოდა. მაგალითად, ჯონ ადამსი ამბობდა:

„თუკი ყველაფერი ხმათა უმრავლესობით გადაწყდება, რვა თუ ცხრა მილიონი, რომელსაც საკუთრება არ გააჩნია, არასოდეს იფიქრებს, ხელში ჩაიგდოს უფლებები იმ ერთი თუ ორი მილიონისა, რომელიც ქონებას ფლობს?“

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუქმდეს ვალები; გადასახადების მთელი სიმძიმე უნდა დაეკისროს მდიდრებს, ხოლო დანარჩენებმა, საერთოდ, არ უნდა გადაიხადონ არავითარი გადასახადი; და ბოლოს, მოთხოვნილ უნდა იქნეს და კენჭი ეყაროს ყველაფრის თანაბრად გაცოფას. რა შედეგი მოჰყვება ამას? უამრავი უსაქმური, უზნეო, თავშეუკავებელი ადამიანი მიეცემა უკიდურეს

* ეს მღელვარებები ისტორიაში ცნობილია, როგორც შეიზის ამბოხება, და დაციწვითაც მოიხსენიება, როგორც ვისკის ამბოხება, თუმცა მეორე სახელწოდება განზრახ მოიგონა ალექსანდერ ჰამილტონმა, რომელსაც, ტერი ბოუტონის სიტყვებით რომ ვთქვათ, სურდა, ეს ამბოხება მთვრალი სოფლელების მიერ ატეხილ აყალმაყალად გაესაღებინა და არ ჩათვლილიყო ის მოქალაქეთა მიერ უფრო მეტად დემოკრატიული კონტროლის მოთხოვნად. იხ. Bouton, *Taming Democracy: "The People", The Founders and the Troubled Ending of the American Revolution* (Oxford: Oxford University Press, 1977). ამ თემაზე უამრავი კვლევა ჩატარდა ამ ბოლო ხნის განმავლობაში: აღსანიშნავია ვუდი ჰოლტონის *Unruly Americans and the Origin of the Constitution* (New York: Hill & Wang, 2007); William Hoglensis *The Whiskey Rebellion* (New York: Simon & Schuster, 2006) და *Founding Finance: How Debt, Speculation, Foreclosures, Protests, and Crackdowns Made US a Nation* (Austin: University of Texas Press, 2012). ამ სფეროს კვლევის ტრადიციას სათავე დაუდო ჩარლზ ბერდის ცნობილმა ნიგნმა *An Economic Interpretation of the Constitution of the United States* (New York: McMillan, 1913), რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის კონსტიტუციის თითქმის ყველა შემოქმედი ობლიგაციების მფლობელი გახლდათ; ამ ავტორის დასკვნები კიდევ უფრო დახვეწა შემდგომმა კვლევამ.

გარყვნილებას, თავაშვებულობას, გაყიდის და დახარჯავს მთელ თავის წილს და შემდეგ ხელახლა მოითხოვს ქონების ნაწილს იმ ხალხისა, რომელმაც მისგან შეიძინა. როგორც კი საზოგადოებაში დაუშვებენ მოსაზრებას, რომ ქონება არ არის ღვთიური კანონებივით წმინდა, რომ არ არსებობს კანონის ძალა და მართლმსაჯულება, რომელიც მას დაიცავს, იმ მომენტიდან ანარქია და ტირანია დაისადგურებს“.¹¹

მედისონისთვისაც რესპუბლიკური მთავრობა მხოლოდ იმიტომ არ იყო უპირატესი, რომ მას შეეძლო, ემოქმედა ფართო გეოგრაფიულ არეალში; მთავრობა, რომელიც ფართო გეოგრაფიულ არეალში იმოქმედებდა, მართლაც საუკეთესო ვარიანტი იყო, რადგან „ქალაქის ფულის, ვალების გაუქმების, საკუთრების თანაბრად განაწილების ან ნებისმიერი სხვა მცდარი ან უბედურების მომტანი პროექტით გამოწვეული მძვინვარება“ მოსალოდნელი იყო ადგილობრივ დონეზე, და ძლიერი ცენტრალური მთავრობა შეძლებდა, მას სწრაფად აღდგომოდა წინ.

მაშასადამე, ეს იყო ის, რაც ამგვარი ადამიანებისთვის, როგორც ჩანს, ათენური დემოკრატიის კომპარტან იყო გაიგივებული: თუკი ფერმერების, ხელოსნებისა და ვაჭრების შეკრებები და მასობრივი მიტინგები მუნიციპალიტეტებში (რომლებიც წლების განმავლობაში დაიხვეწა და რევოლუციის საფუძველიც გახდა) ინსტიტუტებად გადაიქცეოდა და ოფიციალურ, კანონით მინიჭებულ სტატუსს მიიღებდა, მაშინ „ვალების გაუქმება და... საკუთრების თანაბრად განაწილება“ იქნებოდა ის მოთხოვნები, რომლებსაც, სავარაუდოდ, ისინი წამოაყენებდნენ. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მესვეურებს აშინებდათ თავანწყვეტილი ღრეობის, შფოთისა და უდისციპლინობის საფრთხე. მაშინ მონუმენტური ხატება რესპუბლიკელებისა, რომლებმაც რომი დიდებამდე მიიყვანეს, და, რომლებსაც ამერიკის „მამები“ მისაბამ მაგალითად თვლიდნენ, მასების ვულგარული ვნებების გამო უარყოფილი უნდა ყოფილიყო. ადამისი კიდევ ერთი მრავლისმეტყველი ციტატა ათენის შესახებ: „მისი დემოკრატიული კონსტიტუციის ფუნქციონირების მთელი დროის მანძილზე მთელ ქვეყანაში ბატონობდა თავქარიანობა, მხიარულება, მერყეობა, თავაშვებული ცხოვრება, თავშეუკავებლობა, გარყვნილება და ტრადიციების, ადათ-წესების მიმართ უპატივცემულობა“.¹³ დოქტორი ბენჯამინ

რუში, ექიმი და Philadelphia's Sons of Liberty-ს (ფილადელფიის თავისუფლების შვილები) ერთგული მიმდევარი, თვლიდა, რომ ტრადიციების „დემოკრატიულ“ შესუსტებას შეიძლება დაუსვა დიაგნოზი, როგორც ერთგვარ დაავადებას – ის გულისხმობდა, კერძოდ, იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვებოდა „ცვლილებებს კვების რეჟიმში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვევებში და, ზოგადად, ტრადიციებში, რასაც იწვევდა ვალების სრული გაუქმება გაუფასურებული ქალაქის ფულის საშუალებით“:

„თავისუფლებისადმი გადაჭარბებულმა ლტოლვამ, რომელიც ომის წარმატებული დასასრულით იყო შთაგონებული, მრავალ ადამიანს ჩამოუყალიბა შეხედულებები და ქცევები, რომელთა აღმოფხვრაც შეგნებაზე ზემოქმედებით, ან შეზღუდვა მთავრობის მიერ შეუძლებელია... მძლავრმა ზეგავლენამ, რომელსაც ეს შეხედულებები შეერთებული შტატების მრავალი მოქალაქის წარმოდგენებზე, ვნებებსა და მორალზე ახდენდნენ, ჩამოაყალიბა სიგიჟის სახეობა, რომელსაც, გავებდავ, დავარქვა ანარქია“.¹⁴

აქ ნიშანდობლივია „გაუფასურებული ქალაქის ფულის“ ხსენება. ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც ფედერალისტები აიძულა, მოეწვიათ საკონსტიტუციო კონვენტი, პირველ რიგში, იყო არა მხოლოდ მყარი ფულის (ინგლ. **hard money** – **იგულისხმება ის თანხები, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიების ჩასატარებლად პოლიტიკურ პარტიებს მისდის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, ბიზნესის მხარდამჭერი ასოციაციებიდან და ა.შ. რედ.**) პოლიტიკის წინააღმდეგ ამბოხებებისა და არეულობების მოწყობის საფრთხე, რომლის შეჩერებაც სამხედრო ძალის საშუალებით შეიძლებოდა, არამედ საშიშროება იმისა, რომ „დემოკრატიულ“ ძალებს შესაძლოა, დაეკავებინათ შტატის სახელმწიფო თანამდებობები და დაეწყოთ საკუთარი ვალუტის ბეჭდვა – როგორც ჯორჯ ვაშინგტონმა, იმ დროისთვის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა ამერიკაში, ისე თომას ჯეფერსონმა, ამგვარი სქემების მეშვეობით თავიანთი პირადი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს. ეს არის სწორედ ის, რაც უკვე დაიწყო პენსილვანიაში, სადაც უარყოფილ იქნა ქონებრივი ცენზი ხმის მიცემისას და მალე მის თვალწინ ჩამოყალიბდა სახალხო საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელმაც 1785 წელს ჯერ გააუქმა რობერტ მორისის ცენტრალური ბანკის წესდება, ხოლო შემდეგ დაიწყო

სქემის შემუშავება სახელმწიფო კრედიტის სისტემის შესაქმნელად. ეს უნდა განხორციელებულიყო ქალაქის ფულის მეშვეობით, რომელიც იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ დროთა განმავლობაში გაუფასურებულიყო, გაეთავისუფლებინა მოვალეები და ხელი შეეშალა ბირჟის საქმოსნებისათვის. სახალხო ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი, კვაკერი მქადაგებელი ჰერმან ჰასბენდი (რომელსაც რუშის მსგავსი ადამიანები „ალეგეინელ (ალეგეინი – ქალაქი პენსილვანიის შტატში, რომელიც 1907 წელს შეუერთდა პიტსბურგს. რედ.) გიჟად“ მოიხსენიებდნენ) საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ამგვარი ღონისძიებები გამართლებული იყო, რადგან უზარმაზარი ქონებრივი უთანასწორობა ხელს უშლიდა თავისუფალ ადამიანებად დაბადებულ მოქალაქეებს, მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკაში.* როდესაც ამერიკის სახელმწიფოს ფუძემდებლები, მათ შორის მორისიცი, 1787 წელს ფილადელფიაში შეიკრიბნენ, განზრახული ჰქონდათ, წინ აღდგომოდნენ დამლუპველი ზეგავლენის გავრცელებას. ყრილობაზე გამართული დებატების თავისებურებებს ჩავწვდეთ, შეგვიძლია განვიხილოთ ვირჯინიის მაშინდელი გუბერნატორის, ედმუნდ რენდოლფის შესავალი სიტყვა. არც პენსილვანიაში და არც მის ფარგლებს გარეთ, სხვა შტატების კონსტიტუციები არ შეიცავდა საკმარის გარანტიებს „ხალხის მიერ ძალაუფლების ხელში აღების“ წინააღმდეგ:

„ჩვენთვის მთავარი საშიშროება ჩვენი კონსტიტუციების დემოკრატიული ნაწილებიდან მომდინარეობს. ესაა მაქსიმა, რომელიც, მიმაჩნია რომ უდავოა: ძალა ხელისუფლებისა, როდესაც მართვის სადავეები ხალხს უპყრია ხელთ, ნთქავს სხვა საშუალებებს. არც ერთ კონსტიტუციას არ გააჩნია საკმარისი მექანიზმები დემოკრატიის გასაკონტროლებლად. ვირჯინიის უსუსური სენატი ილუზორულია. მერილენდს უფრო ძლიერი სენატი ჰყავს, მაგრამ უკანასკნელმა მღელვარებამ ამ შტატში დაგვანახვა, რომ იგი საკმაოდ ძლიერი არ ყოფილა. ნიუ-იორკისა და მასაჩუსეტსის კონსტიტუციებით დადგენილი დემოკრატიის მაკონტროლე-

* ჰასბენდი მოითხოვდა მიწის საკუთრების შედარებით თანაბარ გადანაწილებასაც იმ მოტივით, რომ ქონებრივი უთანასწორობა დემოკრატიულ მონაწილეობას შეასუსტებდა. ასევე მოითხოვდა, რომ საარჩევნო ოლქები მცირე ყოფილიყო, რომ წარმომადგენლებს თავიანთ ამომრჩევლებთან რეგულარულად ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონოდათ. სავარაუდოდ, ადამისი სწორედ მის ამ შენიშვნებს გულისხმობდა, როდესაც ხმათა უმრავლესობის პრინციპით გადაწყვეტილების მიღების საფრთხეებზე საუბრობდა.

ბელი საშუალებები ჯერ კიდევ შედარებით გამძლე ბარიერს წარმოადგენს დემოკრატიისათვის, თუმცა, როგორც ჩანს, ისინიც არასაკმარისია“.*

კანადელმა პოლიტოლოგმა, ფრენსის დიუპიუი-დერიმ შეადგინა ზუსტი გეგმა, თუ როგორ იყენებდნენ სიტყვა „დემოკრატია“ წამყვანი პოლიტიკური ფიგურები აშშ-ში, საფრანგეთსა და კანადაში XVIII-XIX საუკუნეებში და ყველა შემთხვევაში ზუსტად ერთი და იგივე მოდელი აღმოაჩინა. როცა ეს სიტყვა პირველად გავრცელდა 1770-1800 წლებში, ის გამოიყენებოდა მხოლოდ შერცხვენისა და შეურაცხყოფის აღსანიშნავად. ფრანგ რევოლუციონერებსაც თითქმის ისევე სძაგდათ „დემოკრატია“, როგორც მათ ამერიკელ კოლეგებს. მას განიხილავდნენ, როგორც ანარქიას, ხელისუფლების ნაკლოვანებას და ბობოქარ ქაოსს. დროთა განმავლობაში, ზოგიერთებმა ხშირად ამ სიტყვის ერთგვარი პროვოკაციის სახით გამოყენება დაიწყეს: მაგალითად, როდესაც რობესპიერმა გაგანია ტერორის დროს საკუთარი თავი დემოკრატად მოიხსენია, ანდა, როცა 1800 წელს თომას ჯეფერსონმა (რომელსაც თავის ადრეულ ნაშრომებში სიტყვა „დემოკრატია“ არასოდეს უხსენებია**, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამის არჩევნებში კონკურენციას უწევდა, როგორც რადიკალი; რომელიც თანაუგრძნობდა ვალის გამო მოწყობილი ამბოხებების ორგანიზატორებს და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური ბანკის სქემებს) გადანყვიტა, თავისი პარტიისთვის სახელი გადაერქმია და მისთვის „დემოკრატიული რესპუბლიკელები“ ეწოდებინა.

* ეს პასაჟი ეპიგრაფად უძღვის უილიამ ჰოგლენდის „ვისკის აჯანყებას“. მასში ხაზგასმულია, თუ რამდენად ფრთხილად იქნა შედგენილი საბოლოო დოკუმენტი, რომ თავიდან აეცილებინა დემოკრატიის ამოქმედება.

** ჯეფერსონის შრომების თორმეტ ტომში სიტყვა „დემოკრატია“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება (!) და ისიც მხოლოდ სემუელ ვონ პუფენდორფის სიტყვების ციტირებისას, სადაც ის შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესახებ საუბრობს. რასაკვირველია, ამერიკის სახელმწიფოს ფუძემდებლებს შორის ჯეფერსონი ყველაზე ახლოს იდგა უშუალო დემოკრატიის დაცვასთან თავისი ცნობილი თეორიით ქვეყნის ათასობით „ადმინისტრაციულ რაიონად“ დაყოფის შესახებ, რომლებიც იმდენად პატარა უნდა ყოფილიყო, რომ საზოგადოებრივი ჩართულობა უზრუნველყო; ეს საშუალებას მისცემდა მოქალაქეებს, შეენარჩუნებინათ სახალხო მობილიზაცია იმ ფორმით, როგორიც რევოლუციის პერიოდში დადასტურდა; მაგრამ ამ რაიონებსაც კი ის პატარა რესპუბლიკებად მოიხსენიებდა.

თუმცა ხალხის მეტყველებაში ტერმინის დამკვიდრებას მაინც გარკვეული დრო დასჭირდა.

1830-1850 წლებში აშშ-სა და საფრანგეთში პოლიტიკოსებმა დაიწყეს საკუთარი თავის გაიგივება დემოკრატებთან, ხოლო „დემოკრატია“ საარჩევნო რეჟიმის აღსანიშნავად იყენებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სახელის გადარქმევას არც საკონსტიტუციო ცვლილება ედო საფუძვლად და არც გადანყვეტილების მიღების პროცესის გარდაქმნა. შეერთებულ შტატებში ასე პირველად შეიცვალა მნიშვნელობა ტერმინმა. ენდრიუ ჯექსონი იყო პირველი საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელმაც თავი „დემოკრატად“ წარადგინა; ეს იყო იარლიყი, რომლითაც, მისი აზრით, დაიცავდა „პატარა ადამიანების“ ინტერესებს (კერძოდ, ფერმერებისას – შუა დასავლეთის მცირე ტერიტორიაზე და შავი მუშებისას – აღმოსავლეთის დიდ ქალაქებში) ძლიერთაგან (ბიუროკრატებისგან და პოლიტიკოსებისგან – ვაშინგტონში და პრივილეგიებული ფენის წარმომადგენლებისგან – დიდ ქალაქებში).¹⁵

ჯექსონი კენჭს იყრიდა, როგორც პოპულისტი. ის კვლავ ილაშქრებდა ცენტრალური საბანკო სისტემის წინააღმდეგ, რომლის დროებითი დემონტაჟიც მან მოახერხა. დიუპიუი-დერის თქმით, „ჯექსონმა და მისმა მომხრეებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ მიერ სიტყვა „დემოკრატიის“ გამოყენება ძალიან ჰგავდა იმას, რასაც დღეს პოლიტიკურ მარკეტინგს უწოდებენ“; ეს, თავისი არსით, ცინიკური ოინი იყო, მაგრამ ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, რომ ათი წლის განმავლობაში ყველა პოლიტიკური პარტიის ყველა კანდიდატი საკუთარ თავს „დემოკრატად“ მოიხსენიებდა. რაკი მსგავსი რამ მოხდა ყველგან – საფრანგეთში, ინგლისში, კანადაში – სადაც კი არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმდენად ხელმისაწვდომი გახდა, რომ ხმის მიცემა უამრავ რიგით მოქალაქეს შეეძლო, ამის გამო თვით „დემოკრატიის“, როგორც ტერმინის, მნიშვნელობაც შეიცვალა, თანაც იმდენად, რომ თვით საგულდაგულოდ დამუშავებულ რესპუბლიკურ სისტემასაც კი, რომელიც სახელმწიფოს ფუძემდებლებმა მკვეთრად გამოხატული მიზნით შექმნეს – რომ დემოკრატიის საფრთხეები შეეჩერებინა – თავიდან დაარქვეს სახელი და მას „დემოკრატია“ უწოდეს, რომელიც იმას აღნიშნავდა, რა მნიშვნელობითაც ჩვენ მას დღემდე ვიყენებთ.

ცხადია, მაშინ სიტყვა „დემოკრატია“ რიგითი ამერიკელებისთვის სხვა რამეს აღნიშნავდა, ისევე, როგორც რიგითი ფრანგებისა და ინგლისელებისთვის, ხოლო პოლიტიკური ელიტის წევრებისთვის სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. სახელდობრ, რას ნიშნავდა ის? ჩვენს ხელთ არსებული წყაროების შეზღუდული ბუნებიდან გამომდინარე, ვერ ვიგებთ, მაგალითად, რა არგუმენტები უნდა წამოეყენებინა ნიუ-იორკელმა ხალხს, როცა მან „დაიწყო ფიქრი და აზროვნება“ – ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ. მაგრამ, ვფიქრობ, შეგვიძლია, ზოგიერთი ძირითადი პრინციპი აღვადგინოთ.

უპირველეს ყოვლისა, როცა განათლებული ფენების წევრები საუბრობდნენ „დემოკრატიაზე“, ისინი გულისხმობდნენ ხელისუფლების სისტემას, რომელიც წარსულს, კერძოდ კი, ანტიკურ სამყაროს, უკავშირდებოდა. რიგითი ამერიკელები კი, როგორც ჩანს, პირიქით, განიხილავდნენ მას, როგორც დღეს ვიტყვით, ბევრად უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ ჭრილში: „დემოკრატია“ იყო თავისუფლება, თანასწორობა, უბრალო ფერმერისა თუ ვაჭრის შესაძლებლობა, საკუთარი თავის პატივისცემით, პიროვნული ღირსების გრძნობით მიემართა მასზე „უკეთესებისათვის“ – ეს იყო, გარკვეულწილად, სამყაროს უფრო ფართო დემოკრატიული აღქმა, რომელიც მალე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს ისეთ უცხოელ დამკვირვებლებზე, როგორიცაა ალექსის დე ტოკვილი, როცა ისინი ორი თაობის შემდეგ ისაუბრებენ „ამერიკაში დემოკრატიის“ შესახებ. ძნელი იქნება, აღვადგინოთ ამ აღქმის მასაზრდოებელი ფესვები, ისევე, როგორც რეალური წინაპირობები ბევრი იმ პოლიტიკური ინოვაციისა, რომლებმაც XVIII საუკუნის დიდი რევოლუციები წარმოშვა. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი იქ არაა, სადაც ვეძებთ.

ერთი მიზეზი, რის გამოც ასე გვიძნელდება დემოკრატიის შესახებ წარმოდგენებისა და მათ მიერ შთაგონებული ორგანიზებისა და გადანაცვლების მიღების ყოველდღიური ფორმების ისტორიის აღდგენა, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მივეჩვიეთ, ამბავი რაღაც განსაკუთრებულად გადმოვცეთ. ეს არის ამბავი, რომელიც, რეალურად, პირველი მსოფლიო ომის კვალდაკვალ მოხდა, მაშინ, როცა შეერთებული შტატებისა და ევროპის ზოგიერთმა უნივერსიტეტმა საჯაროდ განაცხადა, რომ დემოკრა-

ტია განუყოფელი ნაწილი იყო იმისა, რასაც ისინი „დასავლურ ცივილიზაციას“ უწოდებდნენ. თავად მოსაზრება, რომ არსებობდა რაღაც, რასაც „დასავლური ცივილიზაცია“ ერქვა, მაშინ შედარებით ახალი იყო: ვაშინგტონის ან ჯეფერსონის დროს ეს გამოთქმა უშინაარსო იქნებოდა. ისტორიის ამ ახალი ვერსიის მიხედვით, რომელიც მალე ამერიკელი კონსერვატორების სახარებად იქცა, და რომელსაც ყველა ნაბოძებად მიიჩნევს, დემოკრატია წარმოადგენს ხმის მიცემაზე დამყარებულ ინსტიტუციური სტრუქტურების კომპლექტს, რომელიც პირველად ანტიკურ ათენში „გამოიგონეს“ და შემდეგ როგორღაც გრანდიოზულ ტრადიციად იქცა, რომელმაც საბერძნეთიდან იმოგზაურა რომსა და შუა საუკუნეების ინგლისში, გადავიდა რენესანსის დროის იტალიაში და შემდეგ საბოლოოდ დაიდო ბინა ჩრდილო ატლანტიკის ტერიტორიაზე. ახლა აქ მისი მშობლიური კერაა. ეს ის ფორმულირება გახლავთ, რომლის დახმარებითაც ცივი ომის ყოფილ მონაწილეებს, როგორიცაა, მაგალითად, სემუელ ჰანტინგტონი (1927-2008, **ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი. რედ.**) შეუძლიათ, ამტკიცონ, რომ ჩვენ ახლა ჩართული ვართ „ცივილიზაციათა ომში“ თავისუფალ და დემოკრატიულ დასავლეთთან, რომელიც ამაოდ ცდილობს, ყველა დანარჩენს თავს მოახვიოს თავისი ფასეულობები. ისტორიული თვალსაზრისით, ეს საკითხის მიკერძოებული, ცალმხრივი გაშუქების ნათელ მაგალითს წარმოადგენს. მთელ ამ მსჯელობას არავითარი აზრი არა აქვს. პირველ რიგში, ერთადერთი, რაც ვოლტერს, მედი-სონსა და გლედსტონს ანტიკური საბერძნეთის მოსახლეობასთან აკავშირებდათ, იყო ის, რომ ისინი ანტიკური საბერძნეთის ლიტერატურაზე იყვნენ გაზრდილი. მაგრამ, თუკი დასავლური ტრადიცია, უბრალოდ, ინტელექტუალური მიმართულებაა და სხვა არაფერი, მაშინ როგორ შეიძლება, მას დემოკრატიული ვუნდოთ? ფაქტობრივად, არც ერთი ჩვენამდე მოღწეული ძველი ბერძენი ავტორი არ ყოფილა დემოკრატიის მხარდამჭერი, და, სულ მცირე, 2400 წლის მანძილზე, ფაქტობრივად ყველა ავტორი, რომელიც დღეს „დასავლურ ცივილიზაციასთან“ არის გაიგივებული, ცალსახად ანტიდემოკრატიული იყო. თუკი ვინმეს ეყოფა გამბედაობა და ამ საკითხზე მიუთითებს, კონსერვატორები, ჩვეულებრივ, თემას შეცვლიან და იტყვიან, რომ „დასავლეთი“

წარმოადგენს კულტურულ ტრადიციას, რომლის უნიკალურმა სიყვარულმა თავისუფლებისადმი უკვე პოვა ასახვა შუა საუკუნეების ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა Magna Carta (ინგლისის მეფის, ჯონ უმინაწყლოს მიერ 1215 წელს მიერ ხელმოწერილი „თავისუფლების დიდი ქარტია“, რომელიც, სხვა აქტებთან ერთად, ინგლისის საკონსტიტუციო პრაქტიკის საფუძვლად ითვლება. რედ.), და მხოლოდ რევოლუციების ხანას ელოდა, რომ ამოეხეთქა. ეს ცოტა უფრო დამაჯერებლად ჟღერს. ყოველ შემთხვევაში, ამით აიხსნება ხალხის აღტაცება დემოკრატიით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შეერთებული შტატები და საფრანგეთი, ელიტის მხრიდან საყოველთაო უკმაყოფილების ფონზეც კი. მაგრამ თუ ამ მიდგომას დავეთანხმებით და ვიტყვით, რომ „დასავლეთი“ მართლაც ღრმა კულტურული ტრადიციას, მაშინ ამ გავრცელებული ვერსიის დანარჩენ ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირი ირღვევა. ერთი მხრივ, როგორ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დასავლური ტრადიცია საბერძნეთში იწყება? ბოლოს და ბოლოს, თუ კულტურის კრიტერიუმებით ვისაუბრებთ, ადამიანები, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს და ყველაზე მეტად გვანან ძველ ბერძნებს, რა თქმა უნდა, თანამედროვე ბერძნები არიან. მაგრამ უმრავლესობა იმ ხალხისა, რომელიც ხოტბას ასხამს „დასავლურ ტრადიციას“, საბერძნეთს დასავლეთის ნაწილად აღარც კი განიხილავს – ეს ქვეყანა აშკარად ჩამორჩება განვითარების თვალსაზრისით დაახლოებით ჩვ.წ. 600 წლიდან, როდესაც ქრისტიანობა მიმართულებებად დაშლის მცდარ გზას დაადგა.

ფაქტობრივად, „დასავლეთი“ ამჟამინდელი შინაარსობრივი დატვირთვით შეიძლება თითქმის ყველაფერს გულისხმობდეს. მისი გამოყენება შესაძლებელია ინტელექტუალური ტრადიციის, კულტურული ტრადიციის, პოლიტიკური ძალაუფლების ადგილმდებარეობის („დასავლური ინტერვენცია“) და რასობრივი კუთვნილების აღსანიშნავადაც კი („ავღანეთში აღმოჩენილი სხეულები, როგორც ირკვევა, დასავლეთის მცხოვრებლებისა იყო“). ეს მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მომენტში, რა კონტექსტში იყენებენ მას.

მაშინ გასაკვირი არაა, თუ რატომ რეაგირებენ ასე გაშმაგებით ამერიკელი კონსერვატორები, როცა ვინმე ამერიკას პირველობაში ეცილება, როგორც „დასავლური ცივილიზაციის“ შემო-

ქმედს, რადგანაც „დასავლური ცივილიზაცია“ წარმოადგენს, არსებითად, იმას, რაც თავად ამერიკელებმა შეთხზეს. არათანმიმდევრულობის მიუხედავად, ის ერთადერთ სიცოცხლისუნარიან იდეად შეიძლება ჩაითვალოს იმათ შორის, რომლებიც მათ ოდესმე მოუფიქრებიათ. თუ გვინდა, რომ მართლა გავერკვეთ დემოკრატიის ნამდვილ ისტორიაში, მაშინ ყველაფერი ეს განზე უნდა გადავდოთ და დავიწყოთ ნულიდან. თუ დასავლეთ ევროპას არ განვიხილავთ, როგორც რაღაც განსაკუთრებულად გამორჩეულ მხარეს, მაშინ მართლა რას ვხედავთ XVI, XVII და XVIII საუკუნეებში?

პირველ რიგში, ვხედავთ ჩრდილო ატლანტიკურ სამეფოთა ჯგუფს, რომლებიც თანდათან შორდებოდნენ ქვეყნის მართვაში ხალხის მონაწილეობის ადრეულ ფორმებს და თითქმის ყოველთვის აყალიბებდნენ უფრო და უფრო ცენტრალიზებულ, აბსოლუტისტურ მთავრობებს. არ დაგავიწყდეთ, რომ იმ დრომდე ჩრდილოეთ ევროპა ერთგვარ ჭაობს წარმოადგენდა. ამ პერიოდის განმავლობაში ევროპული სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები ფართოვდებოდა ყველა მიმართულებით – საზღვარგარეთთან ვაჭრობის პროექტებით, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ტერიტორიების დაპყრობითა და კოლონიზაციით, გარდა ამისა, თვალს მოგჭრიდათ ახალი, უცხო და უჩვეულო პოლიტიკური იდეების უთავბოლო სიჭარბე. ევროპელი ინტელექტუალების უმრავლესობა ამ იდეების გაცნობის შემდეგ დაინტერესდა მათი გამოყენებით, რათა უფრო ძლიერად ცენტრალიზებული მონარქიების მოდელები შეექმნათ: მაგალითად, გერმანელი სწავლული ლაიბნიცი, რომლის შთაგონების წყაროსაც ჩინეთი წარმოადგენდა, თავისი კულტურული ერთგვაროვნების, ნაციონალური საგამოცდო საბჭოებისა და გონივრულად აწყობილი სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის გამო; ანდა მონტესკიე, რომელსაც ცნობისმოყვარეობას სპარსეთის მაგალითი აღუძრავდა. დანარჩენები (მაგალითად, ჯონ ლოკი, ან ბევრი სხვა ინგლისელი პოლიტიკის ფილოსოფოსი, რომლებიც ასე მოსწონდათ ფუძემდებელ „მამებს“) მოხიბლულნი იყვნენ ჩრდილოეთ ამერიკაში ისეთი საზოგადოებების აღმოჩენით, რომლებიც ბევრად უფრო ეგალიტარული და გაცილებით ინდივიდუალისტური იყო, ვიდრე ამას ევროპელები ოდესმე წარმოიდგენდნენ.

ევროპაში უხვად ჰქონდათ ტრაქტატები და არგუმენტები ამ ახლად აღმოჩენილი სოციალური შესაძლებლობების მნიშვნელობის, მათი პოლიტიკური და მორალური შედეგების შესახებ. ამერიკულ კოლონიებში ეს არ იყო, უბრალოდ, ინტელექტუალური განსჯის ობიექტი. ჩრდილოეთ ამერიკის პირველი ევროპელი კოლონისტები არა მარტო პარადოქსულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან უშუალო კავშირი უნდა დაემყარებინათ მკვიდრ მოსახლეობასთან და ახალ გარემოში თავის გადარჩენის მიზნით იძულებული იყვნენ, მათი ბევრი ჩვეულება შეესწავლათ, ამავე დროს, დევნიდნენ და მეტწილად ანადგურებდნენ მათ. ამ პროცესში (ყოველ შემთხვევაში, როგორც პირველი კოლონისტების თემთა ლიდერების სკანდალური ჩანაწერებიდან ვიგებთ) თავად ისინი, და განსაკუთრებით კი მათი შვილები, თანდათანობით უკვე ისე იქცეოდნენ, როგორც ინდიელები.

ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამერიკულ დემოკრატიაზე აბორიგენტთა საზოგადოებების ზეგავლენის შესახებ წამოწყებული დებატებისას ხშირად მხედველობიდან გამორჩებათ ხოლმე ის ღრმა კულტურული ტრანსფორმაცია, რომელიც ამ პროცესს მოჰყვა. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ თემაზე ცხარე დებატები იმართება. სამეცნიერო ლიტერატურაში მას, ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ, როგორც „დებატებს აბორიგენტთა ზეგავლენის შესახებ“. მეცნიერებს, რომლებმაც ისინი წამოიწყეს, ისტორიკოსებს, დონალდ გრინდს (თავადაც წარმოშობით ინდიელს) და ბრიუს იოჰანსენს, გაცილებით დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავდათ, მაგრამ პოლემიკა თემას გასცდა და ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ გაგრძელდა: წარმოადგენდა თუ არა თავდაპირველად ამერიკის კონსტიტუციის გარკვეული ელემენტების, კერძოდ, მისი ფედერალური სტრუქტურის, შთაგონების წყაროს „ჰოდენოშაუნის ექვსი ერის ლიგა“ (the League of Six Nations of the Haudenosaunee), ანუ „იროკეზები“ **(XVI საუკუნეში დაარსებული კავშირი, ლიგა, რომელიც მოიცავდა ინდიელთა ტომებს – მოჰაუკებს, ონიდას, ონონდაგას, კაიუგას, სენეკას; მას მოგვიანებით შეუერთდა ტუსკარორას ტომი. რედ.)**. ეს დებატი 1977 წელს დაიწყო, როცა გრინდმა მიუთითა, რომ კოლონიების ფედერაციად ჩამოყალიბების იდეა, როგორც ჩანს, პირველად ონონდაგას ელჩის, კანასატეგოს, მიერ იყო შეთავაზებული 1744

წელს ლანკასტერის ხელშეკრულების დადების მიზნით გამართული მოლაპარაკებების დროს. ექვს კოლონიასთან ცალ-ცალკე მოლაპარაკებით რომ დაიღალა, მან შუაზე გადაამტვრია ისარი, რათა ერვენებინა, თუ რა ადვილი იყო მისი გატეხა, შემდეგ აიღო ექვსი ისრის შეკვრა და თანამოსაუბრეებს იმავეს გაკეთება სთხოვა (ეს შეკვრა დღესაც არის გამოსახული შეერთებული შტატების სახელმწიფო ემბლემაზე, თუმცა ისრების რაოდენობა ცამეტამდე გაიზარდა). ბენჯამინ ფრანკლინმა, რომელიც მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, შემდგომში შესთავაზა კოლონიებს, მიეღოთ ფედერალური სისტემა, თუმცა პირველ ეტაპზე ამ იდეამ წარმატება ვერ მოიპოვა.

გრინდი პირველი არ ყოფილა, ვინც ივარაუდა, რომ „იროკეზების“ ფედერალურ ინსტიტუციებს შესაძლოა, გარკვეული ზეგავლენა ჰქონოდა ამერიკის კონსტიტუციაზე. მსგავსი იდეები XIX საუკუნეშიც წამოუყენებიათ ხოლმე, მაგრამ მაშინ განსაკუთრებულ საფრთხეს ან რაიმე ღირსშესანიშნავს ამაში ვერავინ ხედავდა. ეს საკითხი 1980-იან წლებში კიდევ ერთხელ წამოსწიეს წინა პლანზე, რამაც მრისხანების წამდვილი აფეთქება გამოიწვია. კონგრესმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც აღიარებდა ჰოდენოშაუნის წვლილს, ხოლო კონსერვატორები ეწინააღმდეგებოდნენ ყველანაირ წინადადებას, რომელიც კონსტიტუციის ფუძემდებლებზე, „დასავლური ცივილიზაციის“ ტრადიციის გარდა, სხვა ზეგავლენას გულისხმობდა. თითქმის ყველა წარმოშობით ინდიელმა მეცნიერმა მიიღო ეს მოსაზრება, რომელიც კანონპროექტში იყო გამოთქმული, მაგრამ ისინი ასევე ხაზს უსვამდნენ, რომ ეს იყო, უბრალოდ, ერთი ნიმუში გაცილებით ყოვლისმომცველი პროცესისა, რომლის დროსაც კოლონიტები თავისუფლებისმოყვარე აბორიგენტთა საზოგადოებების ჩვეულებების გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამავე დროს, როგორც ანთროპოლოგები (წარმოშობით არაინდიელები, რომლებიც შეისწავლიდნენ „ექვს ერს“), ისე ამერიკის კონსტიტუციის ისტორიკოსები, მოითხოვდნენ, რომ აქცენტი მხოლოდ საკონსტიტუციო საკითხზე გაკეთებულიყო და განხილვის გარეშე, გადაჭრით უარყოფდნენ არგუმენტს. ეს გულისხმობდა მტკიცებას: მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ფუძემდებელთაგან ბევრი იღებდა მონაწილეობას ჰოდენოშაუნის ფედერაციასთან

ხელშეკრულების დადების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში, და ის იყო ერთადერთი ფედერალური სისტემა, რომელთანაც თითოეულ მათგანს უშუალო ურთიერთობა აკავშირებდა, ამ გამოცდილებას არავითარი როლი არ უთამაშია მათი აზროვნების პროცესში, როდესაც მათ თვითონ დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეექმნათ ფედერალური სისტემა.

ერთი შეხედვით, უჩვეულო განცხადებაა. მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ „ფედერალისტის ჩანაწერების“ ავტორები, როდესაც ღიად განიხილავენ სხვადასხვა სახის ფედერალური სისტემის უპირატესობებს და უარყოფით მხარეებს, არასოდეს ახსენებენ სისტემას, რომელიც მათ საკუთარი თვალთა ნახეს, ისინი საუბრობენ იმაზე, რომლის შესახებაც მხოლოდ წაუკითხავთ: „მსაჯულთა წიგნის“ დროინდელ იუდეის ორგანიზაციებზე, აქაველთა კავშირზე, შვეიცარიის კონფედერაციაზე, ნიდერლანდების გაერთიანებულ პროვინციებზე. როცა ისინი აბორიგენებს ეხებოდნენ, ჩვეულებრივ, მათ „ამერიკელ ველურებს“ უწოდებდნენ, და ხანდახან ხოტბასაც ასხამდნენ, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების ნიმუშებს, და სწორედ ამ მიზეზის გამო მათი პოლიტიკური გამოცდილება აღნიშნული საკითხთან მიმართებით აბსოლუტურად შეუსაბამო იყო. მაგალითად, ჯონ ადამსი მათ ძველ გოთებს ადარებდა, რომლებიც, მისი აზრით, უჩვეულონი იყვნენ, რადგან შეეძლოთ, მხარი დაეჭირათ ქვეყნის მართვის გარკვეულწილად დემოკრატიული სისტემისთვის, თანაც ისე, რომ აგრესიულ არეულობაში არ ჩაეთრიათ ის. ადამსმა დაასკვნა, რომ ამის გაკეთება ორივე ამ ხალხს (გოთებს და ამერიკის აბორიგენებს) შეეძლო, რადგან ისინი ძალიან დაქსაქსულები და ზარმაცები იყვნენ საიმისოდ, რომ დიდძალი ქონება დაეგროვებინათ, და, აქედან გამომდინარე, არც ინსტიტუციების შექმნას საჭიროებდნენ სიმდიდრის დასაცავად.

თუმცა მთელი ეს დებატები კონსტიტუციის შესახებ მეორეხარისხოვანი იყო. ეს პროცესი ემსახურებოდა იმის წარმოჩენას, თუ რა ნაკითხი და განათლებული იყვნენ მიწათმფლობელი ზედაფენები, როგორ არგუმენტებსა და მინიშნებებს მიიჩნევდნენ ისინი შესაფერისად საჯარო დებატებში გამოყენებისთვის. მაგალითად, ცხადია, რომ ფუძემდებლებმა კარგად იცოდნენ კანასატეგოს ისრების მეტაფორის შესახებ (ბოლოს და ბოლოს, მათ

ხომ ისრების გამოსახულება თავიანთი ახალი რესპუბლიკის ემბლემაზეც კი დაიტანეს), არც ერთ მათგანს, არასოდეს, გაკვრი-თაც კი არ უხსენებია ის თავიანთ პუბლიცისტურ წერილებში, საჯარო გამოსვლებში თუ დებატებში. ნიუ-იორკელმა ყასებმა და ფორნების ხელოსნებმაც კი იცოდნენ, რომ ზედაფენების წარმომადგენლებთან კამათისას თავიანთი არგუმენტები უამრავი კლასიკური გამოთქმით უნდა დაემშვენებინათ.

თუ დემოკრატიის შესახებ არსებული წარმოდგენების იმ საფუძვლების შესწავლა გვინდა, რომლებმაც რიგითი ნიუ-იორკელები სიმპათიით განაწყო, პირველ რიგში, დემოკრატიული მმართველობის იდეის მიმართ, ან თუ გვსურს, გავარკვიოთ, თუ სინამდვილეში სად მიიღო ხალხმა კოლექტიურად გადაწყვეტილების მიღების უშუალო, პრაქტიკული გამოცდილება (რასაც შესაძლოა, გავლენა მოეხდინა მათ მიერ დემოკრატიის აღქმაზე), ამისათვის მხოლოდ განათლებულ მიწათმფლობელთა სასტუმრო ოთახებში შეხედვა არ კმარა. ფაქტობრივად, ჩვენ უკვე აღმოვჩნდით ისეთ ადგილებში, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება მართლაც გასაოცრად მოგვეჩვენოს. 1999 წელს ერთ-ერთმა წამყვანმა თანამედროვე ისტორიკოსმა, ევროპული დემოკრატიის მკვლევარმა, ჯონ მარკოფმა გამოაქვეყნა ესე სახელწოდებით: „სად და როდის გამოიგონეს დემოკრატია?“ შემდეგი პასაჟი სწორედ ამ ნაშრომიდანაა: „ის, რომ ლიდერობა არა მხოლოდ ზემდგომი ორგანოს მიერ შეიძლება იქნას ნაბოძები, არამედ შესაძლებელია, მოგანიჭოს იმ ადამიანთა თანხმობამაც, რომელთა წინამძღოლიც ხარ, სავარაუდოდ, თანამედროვე ატლანტიკური სამყაროს ადრეული პერიოდის მეკობრეთა გემების ეკიპაჟების გამოცდილებას წარმოადგენდა. მეკობრეების ეკიპაჟები არა მხოლოდ ირჩევდნენ თავიანთ კაპიტნებს, არამედ კარგად იცნობდნენ მათ კონკურენტ ძალასაც (ზემდეგი მესაქისა და გემის საბჭოს სახით); ასევე ინდივიდსა და კოლექტივს შორის სახელმწიფოებო ურთიერთობებს (რაც დასტურდება გემის ეკიპაჟის წევრებთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების ფორმით, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა ნადავლის წილებსა და კომპენსაციის ტარიფებს სამუშაოზე მიღებული ფიზიკური დაზიანებებისთვის)“.¹⁶

ეს შენიშვნა ძალიან ზედაპირულია, მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, ავტორს მაინც ძალიან მრავლისმეტყველი მაგალითი მოჰყავს. თუკი XVIII საუკუნის მეკობრეთა გემების ორგანიზაციული სტრუქტურა არის ნიმუში, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, გამოდის, რომ ის საოცრად დემოკრატიული ყოფილა.¹⁷ კაპიტნები არა მხოლოდ არჩევით ხდებოდნენ, არამედ ისინი, ჩვეულებრივ, ინდიელთა ომების სარდალთა მსგავსადაც მოქმედებდნენ: დევნის ან ბრძოლის დროს სრული ძალაუფლება ენიჭებოდათ, ხოლო ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ეკიპაჟის რიგით წევრად მოიაზრებოდნენ. გემები, რომელთა კაპიტნებსაც უფრო მეტი უფლებამოსილება ჰქონდათ მინიჭებული, ასევე ითხოვდნენ, რომ ეკიპაჟს ჰქონოდა უფლება, ნებისმიერ დროს მოეშორებინა ასეთი კაპიტანი სიმხდალის, სისასტიკის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო. ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი ძალაუფლება ენიჭებოდა საერთო კრებას, რომელიც ხშირად ყველაზე უმნიშვნელო საკითხებსაც კი უმრავლესობის მიერ ხელის აწევის მეშვეობით აგვარებდა.

ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ მეკობრეთა წარმომავლობას. ისინი, ძირითადად, მემამბოხეები იყვნენ, მეზღვაურები, რომლებიც ხშირად თავდაპირველად იძულებით მუშაობდნენ ატლანტიკის ოკეანის საპორტო ქალაქებში; ისინი აუჯანყდნენ ტირან კაპიტნებს და „მთელ მსოფლიოს გამოუცხადეს ომი“. ეს ადამიანები ხშირად კლასიკური სოციალური ბანდიტები ხდებოდნენ, შურს იძიებდნენ იმ კაპიტნებზე, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებდნენ თავიანთ ეკიპაჟებს, ზოგს ათავისუფლებდნენ, ხოლო მათ, ვისაც არავინ უჩიოდა, აჯილდოებდნენ კიდევ. ეკიპაჟის შემადგენლობა ხშირად არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი იყო. მარკუს რედიკერის წიგნის, „ყველა ერის არამზადების“ (Villains of All Nations) თანახმად, „Black Sam Bellamy-ს ეკიპაჟი 1717 წელს უამრავი ერის ნაზავს წარმოადგენდა – მოიცავდა ბრიტანელებს, ფრანგებს, ჰოლანდიელებს, ესპანელებს, შვედებს, ინდიელებს, აფრო-ამერიკელებს, და ოციოდე აფრიკელს, რომლებიც მონათა გემიდან გაეთავისუფლებინათ.“¹⁸ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებსაც, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი გამოცდილებით მაინც ეცოდინებოდათ უშუალო დემოკრატიული ინსტიტუტების ძალიან ფართო სპექტრის შესახებ, შვედური „თინგებიდან“ (საბ-

ჭოები) დაწყებული, აფრიკული სოფლის შეკრებებითა და ინდიელთა ფედერალური სტრუქტურებით დამთავრებული; მათ ხომ უცებ მოუხდათ, სრულიად მოუმზადებლად მოეფიქრებინათ თვითმმართველობის ერთგვარი მოდელი, სახელმწიფო სტრუქტურების აბსოლუტური არარსებობის პირობებში. მეკობრეთა გემები შესანიშნავ კულტურათაშორის სივრცეს წარმოადგენდა ექსპერიმენტისთვის. იმ დროს არსად, მთელ ატლანტიკურ სამყაროში, არ არსებობდა უფრო ხელსაყრელი საფუძველი ახალი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისათვის.

მოახდინა თუ არა XVIII საუკუნის ადრეულ ეტაპზე ატლანტიკის ოკეანის მეკობრეთა გემებზე დაგროვილმა დემოკრატიულმა გამოცდილებამ პირდაპირი ან ირიბი ზეგავლენა ჩრდილოატლანტიკური სამყაროს დემოკრატიული კონსტიტუციების განვითარება-დახვეწაზე 60-70 წლის შემდეგ? შესაძლებელია. ეჭვგარეშეა, რომ XVIII საუკუნის უბრალო ნიუ-იორკელი ხელოსანი ან ვაჭარი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ატარებდა ნავსადგურის ბარებში, ლუდის კათხით ხელში, და მეკობრეების ისტორიებს ისმენდა. სენსაციური ამბები მეკობრეთა შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული და მათ შესახებ, სავარაუდოდ, მედისონისა და ჯეფერსონის მსგავს ადამიანებსაც ექნებოდათ წაკითხული, ბავშვობაში მაინც. მაგრამ შეუძლებელია დაზუსტებით იმის გარკვევა, აიღეს თუ არა ასეთმა ადამიანებმა რაიმე იდეა ამ ისტორიებიდან; თუკი ამ ამბებმა რაიმე სახის შთაბეჭდილება მოახდინეს მათზე, მაშინ ეს იქნებოდა უკანასკნელი ზეგავლენა, რომელსაც ისინი საჯაროდ აღიარებდნენ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობდა ერთგვარი ფართო დემოკრატიული არაცნობიერი, რომელიც ამერიკული რევოლუციის ბევრი იდეისა და არგუმენტის მიღმა მოიხაზრება, იმ იდეებისა, რომელთა წარმომავლობა რიგით მოქალაქეებსაც კი უხერხულობას უქმნიდა, რადგან ისინი ასე მკაფიოდ ასოცირდებოდა ველურობასა და კრიმინალთან. მეკობრეები ამის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენენ. უფრო მნიშვნელოვანი ჩრდილოამერიკულ კოლონიებში იყო **ფრონტირის (იგულისხმება ე.წ. ველური დასავლეთი, რომელიც მოიცავდა ახლანდელი ჩრდილო და სამხრეთ დაკოტის, მონტანის, ვაიომინგის, კოლორადოს, კანზასის, ნებრასკის, ოკლაჰომისა და ტექსასის შტატების ტერიტო-**

რიებს, სადაც XIX საუკუნის დასაწყისში ინტენსიურად დაიწყეს გადასახლება აღმოსავლეთიდან. რედ.) საზოგადოებები. თუმცა ის ადრეული კოლონიები გაცილებით ჰგავდა მეკობრეთა გემებს, ვიდრე წარმოგვიდგენია. ველური დასავლეთის თემები შეიძლება ისე კომპაქტურად დასახლებული არ ყოფილიყო, როგორი სიმჭიდროვეც იყო მეკობრეთა გემებზე, ან მათ, შესაძლოა, მუდმივი თანამშრომლობა სულაც არ სჭირდებოდათ, მაგრამ ისინი კულტურათაშორისი იმპროვიზაციის სივრცეს წარმოადგენდნენ, და ისევე, როგორც მეკობრეთა გემები, მეტწილად სახელმწიფოს კანონის მოქმედების მიღმა იმყოფებოდნენ. ეს ბოლო ხანია, რაც ისტორიკოსებმა დაიწყეს იმის დოკუმენტურად მტკიცება, თუ როგორ გადაჯაჭვულნი იყვნენ ერთმანეთზე კოლონისტებისა და აბორიგენების თემები საწყის პერიოდში.¹⁹ კოლონისტებმა შეითვისეს ინდიელების სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ტანსაცმელი, მედიკამენტები, ჩვეულებები და ომის წარმართვის წესები. ისინი ჩართული იყვნენ ვაჭრობაში, ხშირად გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, ზოგჯერ ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წლების მანძილზე ტყვეებივით ცხოვრობდნენ ინდიელთა თემებში, ვიდრე საკუთარ სახლებს დაუბრუნდებოდნენ, თუმცა სწავლობდნენ მათ მშობლიურ ენას, წეს-ჩვეულებებს და სხვ. ისტორიკოსები, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებდნენ იმ გამუდმებულ შიშზე, რომელიც კოლონიური თემებისა და სამხედრო გააერთიანებების ლიდერებს ჰქონდათ, რომ მათი ხელქვეითები ისევე შეითვისებდნენ ინდიელებისგან თანასწორობისა და ინდივიდუალური თავისუფლებისადმი დამოკიდებულებას, როგორც თავად ისწავლეს ტომაჰავკის, ვამპუმისა (ნიჟარების ყელსაბამი, რომელსაც ჰქონდა სამკაულის, ფულის, ცერემონიების ატრიბუტის ფუნქცია. რედ.) და კანოეს გამოყენება.

ამას მოჰყვა კულტურული ტრანსფორმაცია, რომელმაც გავლენა იქონია კოლონისტების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე. მაგალითად, პურიტანები მიიჩნევდნენ, რომ ბავშვების აღზრდაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ფიზიკურ დასჯას: როზგი იყო საჭირო იმისათვის, რომ ბავშვებისთვის ესწავლებინათ ძალაუფლების მნიშვნელობა, მოედრიკათ მათი

ნებისყოფა (პირველქმნილი ცოდვით შეღავათი); მათი აზრით, როგორც ცხენს ან სხვა ცხოველს სჭირდება გახედნა, ზუსტად ისეთი აუცილებელია როზგი ზრდასრულთა ცხოვრებაში, რათა ცოლები და მოსამსახურეები დისციპლინას მიეჩვიონ. ინდიელთა უმრავლესობა კი პირიქით, თვლიდა, რომ ბავშვების ცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. 1690-იან წლებში ბოსტონის ცნობილი კალვინისტი მღვდელი კოტონ მათერი, რომელიც მეკობრეების წინააღმდეგ ილაშქრებდა და მათ კაცობრიობის უბედურებასა და სასჯელს უწოდებდა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ მისი თანამოაზრე კოლონისტები სწორ გზას ააცდინა „ახალი სამყაროს“ თავისუფალმა, მოშველულმა ატმოსფერომ და ადგილობრივი მოსახლეობის ყველაფრისადმი უზრუნველმა, უდარდელმა დამოკიდებულებამ: ისინი მოექცნენ, როგორც მან უწოდა, „ინდიანიზაციის“ ზეგავლენის ქვეშ, რაკი უარს ამბობდნენ თავიანთი შვილების ფიზიკურ დასჯაზე, რითაც ძირს უთხრიდნენ დისციპლინის, იერარქიისა და დადგენილი ნორმების, წესების დაცვის იმ პრინციპებს, რომლებსაც უნდა ემართა ურთიერთობები პატრონსა და მოსამსახურეს შორის, მამაკაცსა და ქალს შორის, ახალგაზრდასა და მოხუცს შორის:

„მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინგლისელი პლანტატორები ამ ქვეყანაში თავად უძღვებოდნენ საკუთარ ოჯახებს, და თან არც დისციპლინა და სიმკაცრე აკლდათ, აქაურმა ატმოსფერომ მაინც შეუწყო ხელი ჩვენს ინდიანიზაციას. ხალხი იმდენად მოდუნდა, რომ ხელი აიღო წესების დაცვაზე და მთლად გამოვიდა მწყობრიდან. ბავშვებისადმი ეს სუფელური შემწყნარებლობა კი ქვეყნის ტოტალურ უბედურებად იქცა, რასაც, სავარაუდოდ, ბევრი სავალალო შედეგი მოჰყვება“.²⁰

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენადაც კოლონისტებს შორის გაღვივება დაიწყო ინდივიდუალისტურმა, შემწყნარებლურმა, თავისუფლებისმოყვარე სულმა, ადრეული ხანების პურიტანმა მამებმა ეს პირდაპირ ინდიელებს, ანუ „ამერიკელებს“ დააბრალეს (იმ დროს მათ ჯერ კიდევ ასე მოიხსენიებდნენ, რადგან კოლონისტები მაშინ ჯერ ისევ ინგლისელებად თვლიდნენ თავს და არა ამერიკელებად). „ზეგავლენის შესახებ გამართულ

დებატებთან“ დაკავშირებული ერთ-ერთ პარადოქსი ის გახლდათ, რომ, ფედერალურ სისტემაზე „იროკეზების“ ზეგავლენის გარშემო ატეხილი მთელი ამ აჟიოტაჟის ფონზე, კოლონიებში მცხოვრებმა ჩვეულებრივმა ინგლისელებმა და ფრანგებმა მხოლოდ მას შემდეგ ჩათვალეს თავი „ამერიკელებად“, თავისუფლებისმოყვარე ახალი ტიპის ადამიანებად, როცა გაიაზრეს, რომ სულ უფრო ემსგავსებოდნენ ინდიელებს. გრინდი და იოჰანსენიც სწორედ ამის ხაზგასმას ცდილობდნენ.

ის, რის თქმაც შეიძლებოდა ბოსტონის მსგავს ქალაქებზე, კიდევ უფრო მეტად შეეფერებოდა ველურ დასავლეთს, განსაკუთრებით იმ თემებს, რომლებიც ხშირად მეპატრონეებს გამოქცეული მონებისა და მოსამსახურეებისაგან შედგებოდა (ეს უკანასკნელნი „ინდიელები გახდნენ“ და აბსოლუტურად კოლონიური ხელისუფლების კონტროლის მიღმა იმყოფებოდნენ);²¹ ან კუნძულ-ანკლავებზე, სადაც გათავისუფლებული მონების, მეზღვაურების, გემების მეძავეების, რენეგატების, ამორალისტებისა და მემამოხეების ჭრელი კრებული ცხოვრობდა, რომელსაც ისტორიკოსები, პიტერ ლინბო და მარკუს რედიკერი „ატლანტიკის პროლეტარიატს“ უწოდებდნენ. ისინი თანამედროვე რასიზმის აღმოცენებამდე დაფუძნდნენ ჩრდილოატლანტიკური სამყაროს საპორტო ქალაქებში და, სავარაუდოდ, პირველად მათგან წამოვიდა ამერიკის (და არა მხოლოდ ამერიკის) რევოლუციის დემოკრატიული იმპულსები.²² მათერის მსგავსი ადამიანებიც დაეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებას: იგი ხშირად წერდა, რომ ველური დასავლეთის დასახლებებზე ინდიელების შეტევები ღვთის სასჯელი იყო ამგვარი ხალხისთვის, რადგან მათ მიატოვეს თავიანთი კანონიერი პატრონები და ისე ცხოვრობდნენ, როგორც ინდიელები.

თუ ისტორიული წყაროები ჭეშმარიტებას ღალადებენ, მაშინ მრჩება შთაბეჭდილება, რომ დემოკრატიული სულის (და სავარაუდოდ, მრავალი დემოკრატიული ინსტიტუტის) ნამდვილი საწყისი სწორედ იმპროვიზაციის იმ სივრცეებში ძევს, რომლებიც ხელისუფლებისა და ორგანიზებული ეკლესიების კონტროლის მიღმა არსებობდნენ. შემოძლია დავამატო, რომ მათ შორის არის თავად ჰოდენოშაუნიც. ლიგა (კავშირი) პირველად ჩამოყალიბდა (უცნობია, ზუსტად როდის) ხელშეკრულების სახით

სენეკას, ონონდაგას, კაიუგას, ონეიდასა და მოჰაუკს შორის (მეექვსე ტომი, ტუსკარორა, მას მოგვიანებით შეუერთდა), და მის მიზანს უთანხმოების დროს შუამდგომლობის განევა და მშვიდობის დამყარება წარმოადგენდა. მაგრამ XVII საუკუნეში, მისი გაფართოების პერიოდში, ის ხალხის საოცარ ნაზავად გადაიქცა, რომლის უმეტეს ნაწილს სხვა ადგილობრივ ერებთან ომის დროს წამოყვანილი ტყვეები, დატყვევებული კოლონისტები და დეზერტირები შეადგენდნენ. ერთი იეზუიტი მისიონერი XVII საუკუნეში, გაცხარებული იროკეზებისა და ფრანგების ომების დროს ჩიოდა, რომ თითქმის შეუძლებელი იყო, სენეკას ტომისთვის მისივე ენაზე ექადაგა, რადგან იქ ბევრი თავისუფლად ვერ ფლობდა ამ ენას! XVIII საუკუნეშიც კი, მაგალითად, კანასატეგოს, ელჩს, რომელმაც პირველად შესთავაზა კოლონისტებს ფედერაცია, მშობლები ონონდაგას ტომიდან ჰყავდა, ხოლო სვატანე, ჰოდენოშაუნის მეორე მთავარი შუამავალი კოლონისტებთან ამავე პერიოდში, ფაქტობრივად, ფრანგი გახლდათ – ყოველ შემთხვევაში, მისი მშობლები კვებეკელი ფრანგები იყვნენ. ყველა ცოცხალი სტრუქტურის მსგავსად, ლიგაც მუდმივად იცვლებოდა, ვითარდებოდა და, უდავოა, რომ მისი საბჭოს სტრუქტურის გონივრული წყობა და შთამბეჭდავი ღირსებაც სწორედ კულტურათა, ტრადიციებისა და გამოცდილების ამგვარი შემოქმედებითი ნაზავის შედეგი იყო.

რატომ ამტკიცებენ კონსერვატორები, რომ დემოკრატია ანტიკურ საბერძნეთში „გამოიგონეს“ და შემდეგ ის როგორღაც მემკვიდრეობით გადაეცა, როგორც თვითონ უწოდებენ, „დასავლურ ცივილიზაციას“ (მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ფაქტი ამის საპირისპიროს ამტკიცებს)? საბოლოოდ, ეს არის ის, რასაც მდიდრები და ძლევამოსილები ოდითგანვე აკეთებდნენ – სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება. ეს იგივეა, რომ საკუთრების უფლება სასწორზე დადო. საკუთრების უფლება კი დაცული უნდა იყოს. ამიტომ, თუკი ოდესმე ვინმე ამარტია სენის **(დაიბ. 1933 წ. ინდოელი ეკონომისტი. რედ.)** მსგავსი გამოჩნდება, ვინც მკაფიოდ გამოხატავს თვალსაზრისს, რომ დემოკრატია ასევე იოლად შეიძლება სამხრეთ აფრიკის ან ინდოეთის სოფლის საბჭოებში აღმოვაჩინოთ (როგორც მან ახლახან გააკეთა), ამას მაშინვე მოჰყვება აღშფოთებული გამოსმაურებების ტალღა კონ-

სერვატორულ ჟურნალებში და ვებგვერდებზე, რომლებიც დაინყებენ იმის მტკიცებას, რომ ეს ადამიანი ვერ ჩასწვდა არსებითს, ყველაზე მნიშვნელოვანს.

საერთოდ, ყველა ერთსულოვნად აღიარებს, რომ ცნებები – სიმართლე, თავისუფლება, დემოკრატია – ძალიან კარგია, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ვერავინ შეთანხმდება იმის განსაზღვრაზე, თუ ზუსტად რას წარმოადგენს თითოეული მათგანი. მაგრამ როგორც კი დასვამთ კითხვას, თუ რატომ მოსწონს ამერიკელების უმრავლესობას ის, ან, ზოგადად, ხალხის უმეტესობას – დემოკრატიის იდეა, საყოველთაოდ მიღებული შეხედულება ამის შესახებ არა მხოლოდ ნაწილებად დაიშლება, არამედ სრულიად უადგილოც გახდება.

დემოკრატია არ გამოუგონიათ ანტიკურ საბერძნეთში. თვითონ სიტყვა „დემოკრატია“ სწორედ აქ გამოიგონეს, მაგრამ, ძირითადად, იმ ადამიანებმა, რომლებსაც დიდად არ მოსწონდათ ის. სინამდვილეში დემოკრატია არც არასოდეს „გამოუგონიათ“; არც რომელიმე კონკრეტული ინტელექტუალური ტრადიციიდან წარმოშობილა. ის, რეალურად, მთავრობის მოდელიც კი არ არის. დემოკრატია, თავისი არსით, წარმოადგენს მხოლოდ რწმენას, რომ ადამიანები იმთავითვე თანასწორნი არიან და უნდა მიეცეთ უფლება, ნებისმიერი ხელსაყრელი საშუალების გამოყენებით, ეგალიტარიზმის პრინციპებით წარმართონ თავიანთი ერთობლივი საქმეები. ამ ყველაფერს დაემატება გულმოდგინე მუშაობა, რაც ამ პრინციპებზე დამყარებულ სისტემას დაამკვიდრებს ცხოვრებაში.

ამ გაგებით, დემოკრატია ისეთივე ძველია, როგორიც ისტორია, და როგორც ადამიანის აზროვნების უნარი. სავარაუდოდ, შეუძლებელია, ის ვინმეს მფლობელობაში ყოფილიყო. ვფიქრობ, თუ მავანი მოისურვებდა, შეძლებდა, პოლემიკა წამოეწყო საკითხზე, რომ დემოკრატია წარმოიშვა სწორედ მაშინ, როცა ჰომინიდებმა, უბრალოდ, შეწყვიტეს ერთმანეთის დაშინება და განუვითარდათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები საერთო პრობლემების ერთობლივად მოგვარებისთვის. მაგრამ ასეთი ვარაუდი არ გამოგვადგება; საქმე ისაა, რომ დემოკრატიულ შეკრებათა არსებობა შეიძლება ყველა დროსა და ადგილას დადასტურდეს, ბალის სეკათი დაწყებული (ბალი – ხალხი ინდონეზიაში, კუნძულ ლომბოკზე; სეკა – სოფლური დასახლების ტიპი ინდონეზიაში).

„სეკა“ თარგმანში ასე უღერს: „იცხოვრო, როგორც ერთმა“. რედ.), ბოლივიის აილუთი დამთავრებული (აილუ – თემის ტრადიციული ფორმა ანდებში, კერძოდ, ბოლივიასა და პერუში. რედ.), რომლებიც მრავალფეროვან ფორმალურ პროცედურებს მიმართავენ და ყოველთვის მოულოდნელად აღმოცენდებიან იქ, სადაც კი ადამიანთა დიდი ჯგუფი შეიკრიბება კოლექტიური გადანყვეტილების მისაღებად, იმ პირობით, რომ თითოეულ მონაწილეს სიტყვის თანაბარი უფლება ექნება.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დემოკრატიის ისტორიაზე საუბრისას პოლიტოლოგებს უადვილდებათ, ყურადღება არ მიაქციონ ამგვარ ადგილობრივ ასოციაციებსა და შეკრებებს, იმაში მდგომარეობს, რომ მათ უმრავლესობაში საქმე ხმის მიცემამდე არც კი მიდიოდა. მოსაზრებამ, რომ დემოკრატია მხოლოდ ხმის მიცემის საკითხია (ამერიკის სახელმწიფოს ფუძემდებლებიც ასე თვლიდნენ), შესაძლოა, ვინმეს აფიქრებინოს, რომ იგი ინოვაცია და ერთგვარი კონცეპტუალური აღმოჩენაა: თითქოს წინა ეპოქებში არასოდეს მომხდარიყოს, რომ შემოთავაზების მხარდაჭერის გადამოწმების მიზნით ეთხოვათ ხალხისთვის, ხელის აწევით, თიხის ნატეხზე რალაცის ამოკანვრით, ანდა დიდი მოედნის ერთ მხარეს დადგომით გამოეხატათ თავიანთი პოზიცია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ხალხისთვის ცნობილი იყო, თუ როგორ უნდა დაეთვალიათ ხმები, არსებობს საფუძვლიანი მიზეზი, რატომაც არ მიმართავდნენ ისინი ამ მეთოდს, როგორც ჯგუფური გადანყვეტილებების მიღების საშუალებას. კენჭისყრა ინვეს განხეთქილებას. თუ თემს არ გააჩნია მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც აიძულებს თავის წევრებს, დაემორჩილონ კოლექტიურ გადანყვეტილებას, მაშინ ალბათ საჯარო დისკუსიების ციკლის მოწყობა იქნება ყველაზე დიდი სისულელე, რომელშიც ერთი მხარე აუცილებლად დამარცხებული აღმოჩნდება; ეს არა მხოლოდ ხელს შეუწყობდა ისეთი გადანყვეტილებების მიღებას, რომლებსაც თემის მთელი 49% კატეგორიულად შეენიანაღმდეგებოდა, არამედ მაქსიმალურად გაზრდიდა წყენას საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს დარწმუნებას, წინააღმდეგობის მიუხედავად, წინსვლა განაგრძოს. კონსენსუსის მიღწევის, ორმხრივი შეგუებისა და კომპრომისის ძიების პროცესი, რომლის დროსაც

ისეთი კოლექტიური გადანაცვეტილება მიიღწევა, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, კატეგორიულად არავინ შეენინაალმდეგება, ყველაზე მეტად შეეფერება სიტუაციებს, სადაც ისინი, ვინც მიღებულ გადანაცვეტილებას ხორცი უნდა შეასხას, მოკლებულნი არიან ცენტრალიზებულ ბიუროკრატიას, კერძოდ, სისტემური იძულების საშუალებებს. ეს საშუალებები, საჭიროების შემთხვევაში, აიძულებდა გაბრაზებულ უმცირესობას, დამორჩილებოდა იმ გადანაცვეტილებებს, რომლებსაც ის სულელურად, შეურაცხმყოფელად ან არასამართლიანად მიიჩნევდა.

ისტორიული თვალსაზრისით, წარმოდგენელია, იპოვო ერთად ეს ორივე ელემენტი. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, სწორედ ეგალიტარულ საზოგადოებებს არ ჰქონდათ სამხედრო ან პოლიციური აპარატები, რომელთა გამოყენებით აიძულებდნენ ხალხს, გაეკეთებინათ ის, რაც მათ არ სურდათ (ვგულისხმობ მთელ ამ სეკებსა და აილუებს, რომლებსაც ზემოთ შევხებით); იქ, სადაც იძულების საშუალებები არსებობდა, ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანების აზრებიც, ასე თუ ისე, მნიშვნელოვანი იყო.

მაშინ სად ვხვდებით ხმის მიცემას, ანუ კენჭისყრას? ზოგჯერ საზოგადოებებში, სადაც საჯარო შეჯიბრებები, როგორც სანახაობები, ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა – როგორიცაა ანტიკური საბერძნეთი (ძველი ბერძნები ყველაფერში აწყობდნენ შეჯიბრებას) – მაგრამ, უმეტესწილად, სიტუაციებში, სადაც ყველა, ვინც მონაწილეობას იღებს შეკრებაში, არის შეიარაღებული ან, სულ მცირე, განვრთნილია იარაღის გამოყენებაში. ანტიკურ სამყაროში კენჭისყრა ხდებოდა, ძირითადად, არმიებში. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული არისტოტელეს: ბერძნული სახელმწიფოს სტრუქტურა, აღნიშნავდა იგი, დიდად არის დამოკიდებული სამხედრო ძალის მთავარ იარაღზე: თუ ეს კავალერიაა, მაშინ უნდა ველოდეთ არისტოკრატიას, თუ მძიმე ქვეითი ჯარია, მაშინ ხმის უფლება გავრცელდება იმ მდიდარ მამაკაცებზე, რომელთაც აქვთ იმის შესაძლებლობა, ჰქონდეთ საომარი აღჭურვილობა, თუ იგი მსუბუქად შეიარაღებული ჯარების, მშვილდოსნების, მეშურდულების ან სამხედრო-საზღვაო ფლოტისგან შედგება (როგორც ათენში), მაშინ შესაძლოა, იყოს დემოკრატია. ანალოგიურად, რომშიც ხმათა უმრავლესობის პრინციპით იმართებოდა სახალხო შეკრებები

ასკაციან სამხედრო შენაერთებში; მათ ცენტურიები ეწოდებოდა. ინსტიტუტს საფუძვლად ედო ლოგიკური პოზიცია: თუ კაცი შეიარაღებული იყო, მისი მოსაზრებები უნდა გაეთვალისწინებინათ. უძველესი სამხედრო შენაერთები ხშირად თავიანთ ოფიცრებს თვითონ ირჩევდნენ. გასაგებია, თუ რატომ ჰქონდა აზრი უმრავლესობის პრინციპით კენჭისყრას სამხედრო შენაერთებში მაშინაც კი, როცა ხმები ასე გადანაწილდებოდა: 60/40; ორივე მხარე შეიარაღებული იყო; თუ საქმე ბრძოლამდე მივიდოდა, მალევე ნათელი გახდებოდა, თუ ვინ გაიმარჯვებდა. ამ მოდელს მეტ-ნაკლები სიხშირით მთელი ისტორიის მანძილზე იყენებდნენ: მაგალითად, 1600-იან წლებში, ექვსი ერის საბჭოები (რომელთა ძალისხმევა, პირველ რიგში, მშვიდობის დამყარებას ემსახურებოდა) მოქმედებდნენ კონსენსუსის მეთოდით, ხოლო მეკობრეთა ხომალდები, რომლებიც საომარ ოპერაციებს ახორციელებდნენ, მიმართავდნენ კენჭისყრას ხმათა უმრავლესობის პრინციპით.

ყოველივე ეს მნიშვნელოვანია, რადგან გვიჩვენებს, რომ საფუძველს სულაც არ ყოფილა მოკლებული XVIII საუკუნის შეძლებული პატრიოტების (**Patriots – ასე უწოდებდნენ იმ კოლონისტებს, რომლებიც ბრიტანეთის გავლენის წინააღმდეგ აჯანყდნენ და 1776 წელს აშშ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. რედ.**) შიში „არისტოკრატთა“ გადასახედიდან – როცა ისინი „დემოკრატიის“ კომმარულ სურათზე დაფიქრდებოდნენ, მაშინვე წარმოიდგენდნენ, როგორ იღებდა გადაწყვეტილებებს შეიარაღებული მოსახლეობის უმრავლესობა ხელის აწევის საშუალებით.

დემოკრატია აუცილებლად ხმათა უმრავლესობის პრინციპზე დამყარებული კენჭისყრით არ განისაზღვრება; ის უფრო კოლექტიური განხილვის პროცესია, რომელიც სრულ და თანასწორუფლებიან მონაწილეობას ემყარება. დემოკრატიული შემოქმედებითობა კი, თავის მხრივ, სავარაუდოდ, მაშინ ვითარდება, როცა არსებობს ძალიან განსხვავებული ტრადიციების მქონე მონაწილეების მრავალფეროვანი კრებული, რომელსაც თავისი საერთო საქმეების მოწესრიგების მიზნით აუცილებლად სჭირდება ახალი გზებისა და საშუალებების მოფიქრება, მანამდე არსებული ტოტალური მმართველობისგან დამოუკიდებლად.

დღევანდელ ჩრდილოეთ ამერიკაში ანარქისტები (ანუ პოლიტი-

კური ფილოსოფიის მომხრეები, რომლებიც, ზოგადად, ნებისმიერი სახის მთავრობას ეწინააღმდეგებოდნენ), ძირითადად, არიან ისინი, ვინც აქტიურად ცდილობს, განავითაროს და მხარი დაუჭიროს ზემოაღწერილის მსგავს დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ანარქისტის გაიგივება დემოკრატიის ამგვარ გაგებასთან ისტორიისკენ მიგვაბრუნებს. 1550 წელს, ან 1750 წელსაც კი, როცა ორივე ტერმინი სალანძღავ, შეურაცხმყოფელ სიტყვებად ითვლებოდა, ისინი უატორები ხშირად იყენებდნენ „დემოკრატია“ „ანარქიის“ ნაცვლად, ან, შესაბამისად, „დემოკრატს“ „ანარქისტის“ მაგივრად. ზოგიერთი რადიკალი უკვე დემონსტრაციულად ახსენებდა ტერმინს საკუთარ თავთან მიმართებით. მაგრამ მაშინ, როცა „დემოკრატია“ თანდათან გახდა ის, რისთვისაც, ყველა მიხვდა, რომ მხარი უნდა დაეჭირა (თუმცა ვერავინ თანხმდებოდა, ზუსტად რას წარმოადგენდა დემოკრატია), „ანარქიამ“ საპირისპირო დატვირთვა მიიღო და ბევრისთვის ძალადობისა და არეულობის სინონიმად იქცა.

მაშ, რა არის ანარქიზმი?

არსებითად, ტერმინი მნიშვნელობა, უბრალოდ, შემდეგია: „მმართველების გარეშე“. ისე, როგორც დემოკრატიის შემთხვევაში, აქაც ანარქიზმის ისტორიის ორ განსხვავებულ ვერსიაზე შეიძლება ვისაუბროთ. ერთი მხრივ, შეგვიძლია, გადავხედოთ ისტორიას სიტყვისა „ანარქიზმი“, რომელიც პიერ-ჟოზეფ პრუდონმა შემოიღო 1840 წელს და XIX საუკუნის ბოლოს ევროპის პოლიტიკურმა მოძრაობამ აიტაცა, ხოლო სანამ მთელ მსოფლიოში გავრცელდებოდა, განსაკუთრებით მტკიცედ დამკვიდრდა რუსეთში, იტალიასა და ესპანეთში; მეორე მხრივ კი, შეგვიძლია, განვიხილოთ იგი, როგორც უფრო ფართო პოლიტიკური მსოფლალქმა.

ანარქიზმის განმარტების ყველაზე მარტივი გზა, ერთ-ერთი გაგებით, არის განცხადება, რომ ის წარმოადგენს პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს, ჩამოაყალიბოს ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოება; ეს გაგება „თავისუფალ საზოგადოებას“ განსაზღვრავს, როგორც წარმონაქმნს, რომელშიც ადამიანები მხოლოდ ისეთ ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან, რომლებიც არ მოითხოვს მუდმივი ძალადობის მუქარით მოქმედებას. ისტორია გვიჩვენებს, რომ დიდი ქონებრივი უთანასწორობა, მონობის მსგავსი ინსტიტუციები, პეონაჟი (**მონობა, კაბალური დამოკიდებულება ვალის გამო. რედ.**) თუ დაქირავებული

შრომა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუკი მათ ზურგს უმაგრებს არმია, ციხე და პოლიცია. უფრო ღრმა სტრუქტურული უთანასწორობებიც კი, როგორიცაა რასიზმი და გენდერული დისკრიმინაცია (უფრო ემპაკური და მზაკვრული), საბოლოოდ, ძალის გამოყენების მუქარას ემყარება. ამგვარად, ანარქისტებს სამყარო თანასწორობასა და სოლიდარობაზე დამყარებული წარმოდგენიან, რომელშიც ადამიანები თავისუფლად უკავშირდებიან ერთმანეთს, რათა უსასრულოდ მრავალფეროვანი პოზიციებიდან, პროექტებიდან და კონცეფციებიდან აირჩიონ ის, რასაც ცხოვრებაში ყველაზე ფასეულად თვლიან. როცა ხალხი მეკითხება, თუ რა სახის ორგანიზაციები არსებობს ანარქისტულ საზოგადოებაში, ყოველთვის ვპასუხობ: ნებისმიერი ფორმის ორგანიზაცია, როგორც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, და ისეთებიც, როგორის წარმოდგენაც ახლა შეუძლებელია, ოღონდ მხოლოდ ერთი პირობით – ისინი უნდა გამორიცხავდნენ ისეთი პირების არსებობას, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს მოუწოდონ შეირაღებულ პირებს, რომ გამოცხადდნენ და უთხრან მათ: „არ მაინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხის შესახებ! გაჩუმდით და გააკეთეთ, რასაც გეუბნებიან!“

ამ გაგებით, ანარქისტები ყოველთვის არსებობდნენ: ნებისმიერ დროს დიდი რაოდენობით აღმოაჩენთ მათ იმ ადამიანთა ჯგუფში, რომელიც უპირისპირდება ხელისუფლების ან ბატონობის სისტემას, თუკი ეს უკანასკნელნი თავიანთ მიზნებს ისეთი ძალადობის გამოყენებით მოახვევენ თავს ადამიანებს, რომ ხალხი იწყებს ფიქრს, თუ რა საშუალებით შეძლებენ ერთმანეთთან ურთიერთობას ისე, რომ თავისუფალნი იყვნენ ამგვარი ხელისუფლებისა და, ზოგადად, ბატონობის ნებისმიერი ფორმისაგან. ამგვარი პროექტების უმრავლესობა ისტორიაში ჩაიკარგა, მაგრამ დროდადრო მათი ნიშნები აქა-იქ თავს იჩენს ხოლმე. მაგალითად, ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წელს არსებობდა ფილოსოფიური მოძრაობა, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „მინათმოქმედთა სკოლა“. ის თვლიდა, რომ როგორც ვაჭრები, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები, უსარგებლო პარაზიტები იყვნენ; ამიტომ ცდილობდნენ, შეექმნათ თანასწორთა თემები, რომლებშიც იქნებოდა ერთადერთი სახის მართვის ფორმა – მაგალითის მიცემა, ხოლო ეკონომიკური საკითხები

დემოკრატიული ფორმით დარეგულირდებოდა დიდ სახელმწიფოებს შორის არსებულ თავისუფალ ტერიტორიებზე, რომლებზეც პრეტენზიას არავინ აცხადებდა. ამკარაა, რომ მოძრაობა შექმნილი იყო ამგვარ თავისუფალ სოფლებში გაქცეული რაციონალისტი რენეგატებისა და დამხვდური გლეხების (ასევე რაციონალისტების) ალიანსის მიერ. მათ საბოლოო მიზანს, როგორც აღმოჩნდა, წარმოადგენდა მიმდებარე სამეფოებიდან განდგომილთა, დაუმორჩილებელთა თანდათანობით გამოყვანა, რაც, საერთო ჯამში, ამ სახელმწიფოების დაშლას გამოიწვევდა. მასობრივი დეზერტირობის ამგვარი ნახალისება კლასიკური ანარქისტული სტრატეგიაა. რა თქმა უნდა, მათ წარმატებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ მათმა მოსაზრებებმა უზარმაზარი ზეგავლენა იქონია შემდგომი თაობების იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც მართვის ფილოსოფიას იკვლევდნენ. ხოლო დიდ ქალაქებში ანარქისტულმა იდეებმა დასაბამი მისცა წარმოდგენებს, რომ ინდივიდი არ უნდა ემორჩილებოდეს არავითარ საზოგადოებრივ პირობითობებს, უარყოფილ უნდა იქნეს ყველანაირი ტექნოლოგია, რათა დაეუბრუნდეთ წარმოსახვით პრიმიტიულ უტოპიას – მოდელს, რომელიც მრავალჯერ განმეორდა მთელი ისტორიის მანძილზე. ამ ინდივიდუალისტურმა და პრიმიტივისტულმა იდეებმა, თავის მხრივ, უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა ლაო-ძისა და ჩჟუან-ძის დაოსისტურ ფილოსოფიაზე.²³

რამდენი მსგავსი მოძრაობა შექმნილა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე? ამის დადგენა შეუძლებელია („მინათმოქმედთა“ შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევის წყალობით ვიცით, რომ მათ სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიის ისეთი კარგი სახელმძღვანელოები შეადგინეს, რომ ხალხი საუკუნეების განმავლობაში იყენებდა და მათ ასლებს ქმნიდა). მაგრამ ყველაფერი, რასაც „მინათმოქმედები“ აკეთებდნენ, ინტელექტუალური თვალსაზრისით, შთამბეჭდავი ვერსია იყო იმისა, რასაც, ჯეიმს სკოტის „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ანარქისტული ისტორიის“ მიხედვით, საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს ამ ნაწილში მილიონობით ადამიანი აკეთებდა – მიმდებარე სამეფოების კონტროლისგან გაქცევა და მცდელობა თემების დაარსებისა, რომლებიც უარყოფდნენ ყოველივე იმას, რასაც ეს სახელმწიფოები წარმოადგენდნენ; შემდეგ კი ცდილობდნენ, სხვებიც დაერწმუნე-

ბინათ, რომ ისინიც ასე მოქცეულიყვნენ.²⁴ სავარაუდოდ, ბევრი ამგვარი მოძრაობა იქნებოდა, რომლებიც მოიპოვებდნენ ამა თუ იმ ტიპის თავისუფალ ტერიტორიებს სხვადასხვა ქვეყანაში. იმის თქმა მინდა, რომ ასეთი ინიციატივები ყოველთვის არსებობდა. კაცობრიობის ისტორიაში რაღაცის უარყოფა, სავარაუდოდ, უფრო გაქცევის, დეზერტირობისა და ახალი თემების შექმნის სახეს იღებდა, ვიდრე მაშინდელ ხელისუფლებებთან რევოლუციური დაპირისპირების ფორმას. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის გაკეთება გაცილებით იოლია, როცა შორიახლოს არსებობს მთები, სადაც შეგიძლია, თავი შეაფარო, და ქვეყნები, რომლებსაც უძნელდებოდათ თავიანთი ვრცლად გადაჭიმული ტერიტორიების გაკონტროლება. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, როცა მუშათა რადიკალური მოძრაობები მთელი ევროპის მასშტაბით წარმოიშვა და ზოგიერთი ქარხნის მუშებმა ისეთ ადგილებში, როგორიცაა საფრანგეთი და ესპანეთი, საჯაროდ დაუჭირეს მხარი ანარქისტულ იდეებს, ეს ვარიანტი უკვე აღარ გამოდგებოდა. სამაგიეროდ, ანარქისტებმა უამრავი სტრატეგია განავითარეს, დანყებული ალტერნატიული ეკონომიკური საწარმოების ჩამოყალიბებით (კოოპერატივები, ურთიერთსასარგებლო საბანკო მომსახურებები), სამუშაო ადგილებზე გაფიცვებითა და საბოტაჟით, საყოველთაო გაფიცვებით, დამთავრებული ნამდვილი აჯანყებით.

მარქსიზმი, როგორც პოლიტიკური ფილოსოფია, დაახლოებით ამავე დროს ჩამოყალიბდა; განსაკუთრებით სანყის ეტაპზე, ის იმავე საბოლოო მიზნისკენ ისწრაფოდა, რომლისკენაც ანარქიზმი: თავისუფალი საზოგადოება, სოციალური უთანასწორობის ყველანაირი ფორმის გაუქმება, მუშების ჩართვა ქარხნების მართვაში, სახელმწიფოს დაშლა. თუმცა პირველი ინტერნაციონალის შექმნასთან დაკავშირებით გამართული დებატების დროიდან, და შემდეგაც, მათ შორის არსებითი განსხვავება შეიმჩნეოდა. მარქსისტების უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო, პირველ რიგში, არჩევნების (ფარული კენჭისყრის) საშუალებით ან რაიმე სხვა გზით, ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო ხელისუფლება და გამოეყენებინათ მისი მექანიზმები საზოგადოების გარდასაქმნელად, იქამდე, ვიდრე, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, ამგვარი მექანიზმები, საბოლოოდ, ზედმეტი გახდებოდა და, უბრალოდ, მოისპობოდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ანარქისტები აღნიშნავდ-

ნენ, რომ ეს აუხდენელი ოცნება იყო. ისინი აცხადებდნენ, რომ არავის შეუძლია დაამყაროს მშვიდობა ომისათვის მზადებით, თანასწორობა – მმართველობის იერარქიული ჯაჭვის შექმნით, ან, ადამიანთა ბედნიერება – პირქუშ და რევოლუციონერებად მათი გადაქცევით, რომლებიც მთელ თავიანთ პირად ცხოვრებას, თვითრეალიზაციასა თუ თვითგანვითარებას მსხვერპლად სწირავენ საქმეს. ანარქისტები ამტკიცებდნენ, რომ ეს არ იყო ის შემთხვევა, როცა შედეგი არ ამართლებს საშუალებას (თუმცა შედეგი, რა თქმა უნდა, არ ამართლებს საშუალებას), არამედ: შედეგს საერთოდ ვერ მიაღწევ, თუ საშუალება თვითონ არ იქნება ნიმუში იმ სამყაროსი, რომელიც გსურს, რომ შექმნა. აქედან მომდინარეობდა ცნობილი ანარქისტული მოწოდება, დაწყებულიყო „ახალი საზოგადოების მშენებლობა ძველ ჩარჩოში“, ეგალიტარული ექსპერიმენტებით, არაიერარქიული სკოლებით დაწყებული (ესპანეთის Escuela Moderna-ს ან შეერთებულ შტატების „თავისუფალი სკოლის მოძრაობის“ მსგავსი), რადიკალური პროფკავშირებით (CGT საფრანგეთში, CNT ესპანეთში, IWW ჩრდილოეთ ამერიკაში), უამრავი სხვადასხვა ტიპის კომუნით დამთავრებული (1851 წელს დაარსებული ნიუ-იორკის Modern Times-ის კოლექტივი, 1971 წელს ჩამოყალიბებული დანიური „ქრისტიანია“; კიბუცის მოძრაობა ისრაელში, რომელიც თავდაპირველად, მნიშვნელოვანწილად, ანარქისტების მიერ იყო ინსპირირებული და, სავარაუდოდ, ამგვარი ექსპერიმენტების ყველაზე ცნობილ და წარმატებულ თანმდევ შედეგს წარმოადგენდა).

XIX საუკუნის ბოლოს ცალკეული ანარქისტები მკვლევლობებითა და აფეთქებებით ზოგჯერ პირდაპირ დარტყმას აყენებდნენ ხოლმე მსოფლიო ლიდერებს ან „ავაზაკ ბარონებს“ **(XIX საუკუნის მეორე ნახევარში ასე უწოდებდნენ ამერიკელ კაპიტალისტებს, რომლებსაც ქონება უპატიოსნო გზით ჰქონდათ ნაშოვნი. რედ.)**: განსაკუთრებით ინტენსიური ტალღა იყო დაახლოებით 1894-1901 წლებში, რის შედეგადაც დაიღუპა საფრანგეთის პრეზიდენტი, ესპანეთის პრემიერ-მინისტრი და შეერთებული შტატების პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი; გარდა ამისა, თავს ესხმოდნენ მეფეებს, უფლისწულებს, საიდუმლო პოლიციის უფროსებს, მრეწველებსა და სახელმწიფოთა მეთაურებს. ეს ის პერიოდი, როცა შეიქმნა ბომბის მსროლელი ანარქისტის პოპულარული

ყბადღებული იმიჯი, რომელიც მას შემდეგ ჩაბეჭდილია ხალხის წარმოსახვაში. პეტრე კროპოტკინისა და ემა გოლდმანის მსგავს-მა ანარქისტმა მოაზროვნეებმა ხშირად აღარ იცოდნენ, რა უნდა ეთქვათ ამგვარი თავდასხმების შესახებ, რომლებსაც ხშირად ის-ეთი ცალკეული ინდივიდები ახორციელებდნენ, რომლებიც, ფაქ-ტობრივად, არავითარი ანარქისტული კავშირისა თუ ასოციაციის წევრები არ იყვნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ანარქისტები წარმოადგენდნენ ალბათ პირველ თანამედროვე პოლიტიკურ მოძრაობას, რომელმაც გააცნობიერა (ეტაპობრივად), რომ ტერ-ორიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია, მაშინაც კი, როცა ის არ არის მიმართული უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ, არ ამართლებს. დაახლოებით საუკუნის მანძილზე, ანარქიზმი, არსებითად, ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან პოლიტიკურ ფი-ლოსოფიებს შორის, რომელთა წარმომადგენლებსაც არასოდეს არავინ აუფეთქებიათ (მართლაც, მეოცე საუკუნის პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც ანარქისტების ტრადიციიდან ყველაზე მეტი ისწავლა, მაჰათმა განდი იყო). ჯერ კიდევ დაახლოებით 1914-1989 წლებში, როდესაც მსოფლიო განუწყვეტლივ იბრძოდა, ან ემზადებოდა მსოფლიო ომებისთვის, ანარქიზმმა ერთგვარად დაკარგა ხიბლი სწორედ ამ მიზეზის გამო: ასეთ აგრესიულ ეპოქაში რომ „რეალისტური“ სახე ჰქონოდა, პოლიტიკურ მოძ-რაობას უნდა შეძლებოდა სატანკო არმიების, ავიამზიდებისა და ბალისტიკური სარაკეტო სისტემების ორგანიზება; და ეს იყო ერთადერთი, რაშიც მარქსისტები, შესაძლოა, ხშირად სხვებს აღემატებოდნენ, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ანარქისტები (ჩემი აზრით, მათდა სასახელოდ) ვერასოდეს შეძლებდნენ, ზე-მოხსენებულ ამოცანას გამკლავებოდნენ. მხოლოდ 1989 წლის შემდეგ, როცა დიდი ომებისთვის მობილიზაციის ერა თითქოს დასასრულს მიუახლოვდა, დიდი რევოლუციური მოძრაობა, რო-მელიც ანარქისტულ პრინციპებს ეყრდნობოდა – „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობა“ – ხელახლა გამოჩნდა ასპარეზზე.

ანარქიზმის უამრავი სახეობა, შეფერილობა და ტენდენცია არსებობს. ჩემი მხრივ, მე საკუთარ თავს a ანარქისტს ვუწოდებ. ნაკლებად მაინტერესებს იმის გარკვევა, თუ რომელი ტიპის ან-არქისტი გახლავართ; უფრო მეტად მიზიდავს მუშაობა იმ ფართო

კოალიციებში, რომლებიც ანარქისტული პრინციპების შესაბამისად მოქმედებენ: ეს ის მოძრაობებია, რომლებიც არ ცდილობენ მთავრობასთან თანამშრომლობას ან ხელისუფლებაში მოსვლას; რომლებიც არ არიან დაინტერესებული, მიიღონ დე ფაქტო სახელისუფლებო ინსტიტუტების სახე, სავაჭრო ორგანიზაციების ან კაპიტალისტური ფირმების მსგავსად; ეს ის ჯგუფებია, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ, ჩვენი ერთმანეთთან ურთიერთობა აქციონ მოდელად იმ სამყაროსი, რომლის შექმნაც გვწადია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ის ხალხია, რომელიც მუშაობს ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოების შექმნაზე. ბოლოს და ბოლოს, ძნელია, გაარკვიო, ზუსტად რომელი სახეობის ანარქიზმი უფრო ამართლებს, როცა უამრავ კითხვას მხოლოდ მომავალში შეიძლება გაეცეს პასუხი. დაეკისრებოდათ რაიმე როლი ბაზრებს ჭეშმარიტად თავისუფალ საზოგადოებაში? როგორ შეიძლება ეს ვიცოდეთ? თავად მე, ისტორიაზე დაყრდნობით,²⁵ დარწმუნებული ვარ: კიდევაც რომ გვეცადა საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნება ამგვარ თავისუფალ საზოგადოებაში (აქ არ იქნებოდა არავითარი სახელმწიფო, რომელიც ვინმეს ხელშეკრულებების დადებას აიძულებდა; შეთანხმებები დაემყარებოდა მხოლოდ ნდობას), ეკონომიკური ურთიერთობები გადაიზრდებოდა ისეთ რამეში, რაც მალე სრულიად აღარ ემსგავსებოდა იმას, ჩვენ რომ „ბაზრად“ მოვიაზრებთ (ეს ალბათ ლიბერტარიანელებისთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნებოდა). ვერაფრით წარმომიდგენია, ვინმე დათანხმდეს დაქირავებულ შრომაზე, თუკი ალტერნატივა გააჩნია. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ვცდები. მე ნაკლებად მაინტერესებს მომავლის თავისუფალი საზოგადოების სტრუქტურის დეტალების გარკვევა; ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, შეიქმნას პირობები, რომლებიც ამის გაანალიზების საშუალებას მოგვცემდა.

ჩვენ ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ რა სახის ორგანიზაციები, ან, ამ შემთხვევაში, ტექნოლოგიები წარმოიქმნებოდა, თავისუფალ ადამიანებს თავისუფლად რომ შეიძლებოდათ თავიანთი თეორიული მოსაზრებების ხორცშესხმა, რათა კოლექტიური პრობლემები კი არ დაემძიმებინათ, არამედ მოეგვარებინათ. მაგრამ აქ, უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: როგორ უნდა მივალნიოთ იქამდე? რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები გახდეს კოლექტიური

პრობლემის გადაწყვეტის საშუალება, და არა კოლექტიური ომისა (როგორც ეს ამჟამად ხდება)?

ანარქისტებსაც კი ძალიან დიდი დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ პრობლემის მასშტაბები დაედგინათ. როცა ანარქიზმი უფრო ფართო მიმართულების, მაგალითად, მუშათა მოძრაობის ნაწილს წარმოადგენდა, ის ცდილობდა, გაეზიარებინა მოსაზრება, რომ „დემოკრატია“ ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პრინციპსა და „რობერტის რეგლამენტის წესებს“ **(ამერიკელი სამხედრო ინჟინრის, ჰენრი მარტინ რობერტის მიერ 1876 წელს დაწერილი წიგნი საპარლამენტო პროცედურების შესახებ, რომელიც ეყრდნობა წარმომადგენელთა პალატის მიერ შემუშავებულ წესებს. რედ.)** გულისხმობდა, იმედს ამყარებდა უმცირესობის მიმართ უმრავლესობის მოწოდებებზე სოლიდარობისაკენ. სოლიდარობისაკენ მოწოდებები შესაძლოა, ძალიან შედეგიანი იყოს მაშინ, როცა ვინმე ამა თუ იმ სახის კონფლიქტშია ჩათრეული, რომლის დროსაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება (როგორშიც, ჩვეულებრივ, რევოლუციონერები იყვნენ ხოლმე). 1920 და 1930-იანი წლების ესპანეთის მუშათა ანარქისტული პროფკავშირი (CNT) ეფუძნებოდა პრინციპს: როცა ფაბრიკაში ან ქარხანაში კენჭს უყრიდნენ გაფიცვას, გადაწყვეტილება არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა არც ერთ იმ წევრს, რომელიც მხარს არ დაუჭერდა გაფიცვის ორგანიზებას; შედეგი კი, თითქმის ყოველთვის, 100%-იანი თანხმობა იყო. და მაინც, გაფიცვები თითქოს სამხედრო ოპერაციებს წარმოადგენდა. ადგილობრივი სოფლის კომუნები, როგორც სოფლის თემებს სჩვევიათ, მიმართავდნენ ფორმას, რომელიც, ერთგვარი დე ფაქტო კონსენსუსი იყო.

მეორე მხრივ, შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, რომლებიც ანარქისტები აშკარად არ იყვნენ, კონსენსუსის მეთოდით უფრო ხშირად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, ვიდრე ხმათა უმრავლესობით. მათგან შეიძლება დავასახელოთ SNCC, „სტუდენტთა არაძალადობრივი საკოორდინაციო კომიტეტი“, რომელიც სამოქალაქო უფლებების დამცველი მოძრაობის ჰორიზონტალურ განშტოებას წარმოადგენდა და კონსენსუსის პრინციპს იყენებდა, ასევე SDS, „სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, რომელიც თავის ფუძემდებლურ პრინციპებში აცხადებდა, რომ საპარლამენტო პროცედურებით

მოქმედებდა, თუმცა სინამდვილეში ცდილობდა, პრაქტიკაში კონსენსუსს დაყრდნობოდა. ამგვარ შეხვედრებში მონაწილეთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ პროცედურა, რომელსაც იმ დროს იყენებდნენ, იყო უხეში, სახელდახელო და, ხშირ შემთხვევაში, უკიდურესად გამაღიზიანებელი. ეს ნაწილობრივ იმის ბრალი იყო, რომ ამერიკელებს, მიუხედავად მათი დემოკრატიული სულისკვეთებისა, საკითხის დემოკრატიული ფორმით განხილვის თითქმის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ. არსებობს ცნობილი ამბავი სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობის აქტივისტთა პატარა ჯგუფის შესახებ, რომლის წევრებიც საგანგებო სიტუაციაში ცდილობდნენ, კოლექტიურ გადანწყვეტილებამდე მისულიყვნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს, კონსენსუსისთვის მიეღწიათ. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა მოთმინება დაკარგა, ამოიღო იარაღი, დაუმიზნა პირდაპირ ფასილიტატორს და უთხრა: „ან ჩვენ მაგივრად მიიღებ გადანწყვეტილებას, ან გესვრი“. ფასილიტატორმა უპასუხა: „მაშინ ვფიქრობ, უნდა მესროლო“. ძალიან დიდი დრო დასჭირდა იმის განვითარებას, რასაც დემოკრატიის კულტურა შეიძლება ვუწოდოთ; ხოლო მის საბოლოოდ ჩამოყალიბებას ისეთმა მიმართულებებმა შეუწყო ხელი, როგორიცაა სასულიერო ტრადიციები, მაგალითად, კვაკერიზმი, და ფემინიზმი, რაც სრულიად მოულოდნელი შეიძლება მოგვეჩვენოს.

მაგალითად, „მეგობართა ამერიკული საზოგადოება“, ანუ კვაკერები, საუკუნეების მანძილზე ავითარებდნენ კონსენსუსის საშუალებით გადანწყვეტილების მიღების მათთვის დამახასიათებელ ფორმას და მას სულიერი ვარჯიშის სახეს აძლევდნენ. კვაკერები, აბოლიციონიზმიდან მოყოლებული, ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული მასობრივ ამერიკულ საზოგადოებრივ მოძრაობებში, მაგრამ 1970-იან წლებამდე ისინი უარს ამბობდნენ სხვებისთვის თავიანთი მეთოდების სწავლებაზე, სწორედ იმ მიზეზით, რომ ისინი ამ მეთოდებს სასულიერო საკითხად, თავიანთი რელიგიის ნაწილად თვლიდნენ. ცნობილმა კვაკერმა, პაციფისტმა და აქტივისტმა, ჯორჯ ლეკიმ ერთხელ განმარტა: „თქვენ იმედებს ამყარებთ კონსენსუსზე მაშინ, როდესაც ღვთისმეტყველების ჩვენეულ გაგებას იზიარებთ. ეს არ არის ის, რაც შეიძლება ხალხს დააძალო. კვაკერები, ყოველ შემთხვევაში, 1950-იან წლებში, პროზელიტიზმის წინააღმდეგნი იყვნენ“.²⁶ სინამდვილეში ფემი-

ნისტური მოძრაობის კრიზისმა (ამ მოძრაობამ არაფორმალური კონსენსუსის მეთოდის გამოყენება დაიწყო პატარა, როგორც წესი, დაახლოებით 10-12-კაციან ჯგუფებში, რომლებიც მონოდებულნი იყვნენ საკუთარი საჭიროებების გასააზრებლად; მაგრამ, როცა ეს ჯგუფები რაოდენობრივად გაიზარდა, დაპირისპირებულმა ფრაქციებმა და ფარული ლიდერობის სტრუქტურამ მოძრაობას სხვადასხვა სახის პრობლემები შეუქმნა) აიძულა დისიდენტი კვაკერები (რომელთაგან ყველაზე ცნობილი თვით ლეკი გახლდათ), წვლილი გაეღოთ და ზოგიერთი თავიანთი მეთოდის გავრცელება დაეწყოთ. თავის მხრივ, ამ მეთოდებმა ახლა უკვე ფემინიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა და უფრო დიდ, მრავალფეროვან ჯგუფებში დანერგვისას ცვლილებები განიცადა.²⁷

ეს მხოლოდ ერთი ნიმუშია იმისა, თუ როგორ წარმოიშვა, როგორც ამჟამად მას უწოდებენ, „ანარქისტული პროცესი“ (ფასილიტაციის, კონსენსუსის ძიებისა და ჟესტების ნიშნების ყველა ის კარგად დამუშავებული მეთოდი) რადიკალური ფემინიზმიდან, კვაკერიზმიდან და ამერიკელი ინდიელების ტრადიციებიდანაც კი. ფაქტობრივად, იმ მრავალფეროვანი საშუალებების განსაკუთრებულ ერთობლიობას, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკაში იყენებდნენ, მართლაც შეიძლება, უფრო „ფემინისტური პროცესი“ ეწოდოს, ვიდრე „ანარქისტული პროცესი“. ეს მეთოდები ანარქიზმთან სწორედ იმიტომ ასოცირდებოდა, რომ ანარქისტებმა აღიარეს ისინი, როგორც ფორმები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალ საზოგადოებაში, სადაც ფიზიკური ზეწოლით ვერავის აიძულებდნენ, მისთვის პრინციპულად მიუღებელ გადაწყვეტილებას დათანხმებოდა.*

* რამდენიმე კონსერვატორული გამონაკლისით. აქ უნდა აღვნიშნო, რომ კონსენსუსის პროცესის პირველ მასობრივ გამოყენებას 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების ანტიბირთვულ მოძრაობებში ხშირად საკმაოდ არამდგრადი ხასიათი ჰქონდა (ნაწილობრივ, უბრალოდ, გამოუცდელი გამოცდა, ნაწილობრივ, პურიზმის მიზეზით (უფრო დიდ ჯგუფებზე მორგებული კონსენსუსის მასობრივად გამოყენება მოგვიანებით დაიწყო). ბევრმა, ვინც პრაქტიკული გამოცდილება მიიღო ამ სფეროში (მათგან ყველაზე აღსანიშნავია ლიბერტარიანელი სოციალისტი მიურეი ბუკჩინი, რომელიც კომუნალიზმის (საზოგადოების თემაზე ორგანიზების პრინციპი. რედ.) იდეას უჭერდა მხარს), კონსენსუსის იდეის მიმართ კატეგორიული წინააღმდეგობა გამოხატა და მხარი დაუჭირა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პრინციპს.

კონსენსუსი მხოლოდ მეთოდების ნაკრებს არ წარმოადგენს. როცა ჩვენ ვსაუბრობთ პროცესზე, ის, რასაც სინამდვილეში განვიხილავთ, არის დემოკრატიის კულტურის ეტაპობრივი შექმნა. ეს კი გვაიძულებს, გადავხედოთ ჩვენს ზოგიერთ ძირითად ვარაუდს იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს, საერთოდ, დემოკრატია.

თუკი ნაშრომებს ისეთი ადამიანებისა, როგორიცაა ადამსი და მედისონი, ან თუნდაც ჯეფერსონი, ამ კუთხით მივუბრუნდებით, დავრწმუნდებით, რომ ისინი ელიტისტები **(ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს ელიტა უნდა მართავდეს. რედ.)** კი იყვნენ, მათ მიერ დემოკრატიის შესახებ გამოთქმული ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება სერიოზულ მიდგომას იმსახურებს. უპირველეს ყოვლისა, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხმათა უმრავლესობის პრინციპზე დაფუძნებული უშუალო დემოკრატიის სისტემის შემოღება ზრდასრულ თეთრკანიან მამაკაცებს შორის, ისეთ საზოგადოებაში, რომელიც უკიდურესად გათიშულია ქონებრივი უთანასწორობით, სავარაუდოდ, ხმაურიან, არასტაბილურ, საბოლოო ჯამში კი, სისხლიან შედეგებამდე, დემაგოგებისა და ტირანების გაჩენამდე მიგვიყვანს. ამაში ალბათ ისინი მართლები იყვნენ.

მათ მიერ ჩამოყალიბებული მეორე არგუმენტი იყო ის, რომ მხოლოდ განსაზღვრული საკუთრების მფლობელ მამაკაცებს შეეძლოთ ხმის მიცემა და თანამდებობის დაკავება, რამდენადაც მხოლოდ ისინი იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელნი და, აქედან გამომდინარე, უანგარონი საიმისოდ, რომ საკუთარი თავისთვის საზოგადოების კეთილდღეობაზე ფიქრის უფლება მიეცათ. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი არგუმენტია და იმაზე მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე მას, ჩვეულებრივ, უთმობენ.

ცხადია, ამგვარი ფორმულირება სხვა არაფერი იყო, თუ არა ელიტისტური. აბსოლუტური სიყალბეა იმის მტკიცება, რომ უბრალო ხალხს აკლია განათლება და კეთილგონიერება, რაც ნათლად აისახა ისეთი ადამიანების წერილებში, როგორიც გოვერნერ მორისი იყო. ის მზად იყო, ელიარებინა, ყოველ შემთხვევაში, „არისტოკრატი“ კოლეგისათვის მიწერილ პირად წერილში მაინც, რომ სინამდვილეში საქმე პირიქით იყო – ჩვეულებრივმა ხალხმა მიიღო განათლება დაგონივრული არგუმენტების ჩამოყალიბებაც შეეძლო (რაც თავად მას ყველაზე მეტად აფრთხობდა).

მაგრამ რეალური პრობლემა იმ არგუმენტებისა, რომლებიც ეყრდნობოდა ვარაუდს, რომ ჩვეულებრივი ხალხი „კეთილგონიერი არაა“, მომდინარეობდა თავად ძირითადი ვარაუდებიდან იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს „კეთილგონიერება“. რესპუბლიკის საწყის ეტაპზე გავრცელებული ერთი არგუმენტი, რომელიც სახალხო ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა, ასეთი იყო: „იმ რვა თუ ცხრა მილიონ ადამიანს, რომელიც არავითარ ქონებას არ ფლობდა“, როგორც ადამისი აღნიშნავდა, არ შესწევდა კეთილგონიერულად მსჯელობის უნარი, რადგან მათ არ ჰქონდათ საკუთარი საქმეების წარმართვის, მოგვარების ჩვევა. მოსამსახურეები და დაქირავებული მუშები, ქალებსა და მონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მიჩვეულნი იყვნენ, შეესრულებინათ ბრძანებები. ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევდა, რომ ეს იმის გამო ხდებოდა, რომ მათ მეტი არაფერი შეეძლოთ; ზოგიერთი კი ამას, უბრალოდ, მათი ჩვეული ცხოვრების წესის ლოგიკურ შედეგად განიხილავდა. მაგრამ თითქმის ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ თუ ამგვარ ხალხს ექნებოდა ხმის მიცემის უფლება, მაშინ ისინი იმაზე კი არ იფიქრებდნენ, თუ რა იქნებოდა უკეთესი ქვეყნისთვის, არამედ მაშინვე რომელიმე ლიდერს შეუერთდებოდნენ – ან იმიტომ, რომ ლიდერი რაღაც საშუალებით მოისყიდდა მათ (დაჰპირდებოდა რომ გაუუქმებდა დავალიანებებს, ან, საერთოდ, დაუფარავდა ამ ვალებს), ანდა, უბრალოდ, იმიტომ, რომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც მათ იცოდნენ, იყო ის, რომ სხვებს გაჰყოლოდნენ. ამიტომ თავისუფლების სიჭარბე მათ მხოლოდ ტირანიაში მიიყვანდა, რადგან ხალხი ქარიზმატული ლიდერების მოწყალების მოლოდინში აღმოჩნდებოდა. საუკეთესო შემთხვევაში, ეს გამოიწვევდა „ფრაქციულობას“, პოლიტიკურ სისტემას, რომელსაც პოლიტიკური პარტიები მართავენ (სახელმწიფოს დამფუძნებელი „მამებიდან“ თითქმის ყველა მკაცრად ეწინააღმდეგებოდა პარტიული სისტემის წარმოშობას) და საკუთარი ინტერესების შესაბამისად იბრძვიან. ამ შემთხვევაშიც ისინი სწორად მსჯელობდნენ: მართალია, მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის კონფლიქტი არ წარმოქმნილა (ნაწილობრივ იმის გამო, რომ მათ საერთო პრობლემები ჰქონდათ მოსაგვარებელი ქვეყნის საზღვრებთან დაკავშირებით), მაგრამ დაპირისპირებულმა ფრაქციებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა

მაშინვე წამოყვეს თავი, როგორც კი 1820-იან და 1830-იან წლებში არჩევნებში მონაწილეობის უფლების რეალიზების ფარგლები, მართალია, ზომიერად, მაგრამ მაინც გაფართოვდა. ელიტის შიში მთლად უსაფუძვლო არ აღმოჩნდა.

მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ქონების მფლობელი მამაკაცი შეიძლება იყოს კეთილგონიერი, ხოლო ყველა დანარჩენი იმისთვის არსებობს, რომ, ძირითადად, ბრძანებები შეასრულოს, უკან, სულ მცირე, ათენის ხანამდე მაინც მივყავართ. არისტოტელე თავისი „პოლიტიკის“ დასაწყისში ამ საკითხის შესახებ საკმაოდ არაორაზროვნად საუბრობს. ის ამტკიცებს, რომ მხოლოდ თავისუფალი ზრდასრული მამაკაცები შეიძლება იყონ სავსებით კეთილგონიერი არსებანი, რომლებიც, როგორც თავიანთ სხეულს მართავენ, ისე მართავენ სხვებსაც: თავიანთ ქალებს, ბავშვებსა და მონებს. აი, აქ არის რეალური ნაკლი „კეთილგონიერების“ ტრადიციული გაგებისა, რომელიც ამერიკის სახელმწიფოს ფუძემდებლებმა მემკვიდრეობით მიიღეს. საბოლოო ჯამში, ის არ გულისხმობს დამოუკიდებლობას უანგარო ადამიანისა, რომელსაც მატერიალური დაინტერესება არ გააჩნია. ამ ტრადიციის მიხედვით, კეთილგონიერება გაიგივებულია განკარგულებების გაცემის უნართან, რაც მოიაზრებს სიტუაციისგან განზე დგომას და გარკვეული დისტანციიდან მის შეფასებას, შესაბამისი გათვლების გაკეთებას და შემდეგ სხვებისთვის იმის თქმას, თუ რა უნდა გააკეთონ.²⁸ არსებითად, ეს არის გათვლები, რომელსაც მავანი მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა შეუძლია, სხვებს უთხრას, გაჩუმდნენ და ის აკეთონ, რასაც მათ ეუბნებიან, და არა მაშინ, როცა მათთან, როგორც თავისუფალ ადამიანებთან, თავის თანასწორებთან ერთად მუშაობს, როცა მათთან ერთად ეძიებს პრობლემის გადაჭრის გზებს. ეს მხოლოდ ბრძანების გაცემის ჩვევაა, რომელიც ადამიანს წარმოადგენინებს, რომ სამყარო შეიძლება მათემატიკური ფორმულის ეკვივალენტამდე დაიყვანო, ფორმულისა, რომელსაც ნებისმიერ სიტუაციას მიუსადაგებ, მასთან დაკავშირებული რეალური ადამიანური პრობლემების გაუთვალისწინებლად.

სწორედ ამის გამო, ნებისმიერი ფილოსოფია, რომელიც იწყებს მოსაზრებით, რომ ადამიანები არიან, ან უნდა იყვნენ, რაციონალურნი, ანუ ისეთივე ცივი და ანგარიშიანი, როგორიც

ფეოდალები, ყოველთვის ამთავრდებს დასკვნით, რომ სინამდვილეში ჩვენ ამის საპირისპირონი ვართ – იმ მიზეზის გამო, რომელზეც იუმმა გონებამახვილურად მიუთითა: ადამიანი ყოველთვის „ვნებების მონაა“ და მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს. ჩვენ ვეძებთ სიამოვნებას; აქედან გამომდინარე, ვეძებთ ქონებას, რათა უზრუნველვყოთ, რომ სიამოვნება ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყოს; ამიტომ ვეძიებთ ძალაუფლებას, რათა უზრუნველვყოთ ქონების ხელმისაწვდომობა. არც ერთ ამ პროცესს არ ექნება ბუნებრივი დასასრული; ჩვენ სულ ვიქნებით მეტის და მეტის ძიებაში. ეს თეორია ადამიანის ბუნების შესახებ უკვე წარმოდგენილია ანტიკური ხანის ფილოსოფოსების ნაშრომებში (ეს ავტორები მისი საშუალებით ხსნიან, თუ რატომ შეიძლება დემოკრატიას კატასტროფული შედეგები მოჰყვეს) და მეორდება პირველქმნილი ცოდვის სახით ნეტარი ავგუსტინეს ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და ათეისტ თომას ჰობსის თეორიაში იმის შესახებ, თუ რატომ შეიძლება იყოს ბუნებრივი მდგომარეობა მხოლოდ ძალადობა და „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“; ჰობსიც, რა თქმა უნდა, აღნიშნავს, თუ რატომ უნდა მოჰყოლოდა დემოკრატიას აუცილებლად კატასტროფული შედეგები. XVIII საუკუნის რესპუბლიკური კონსტიტუციის შემქმნელები ამ მოსაზრებებსაც იზიარებდნენ – ადამიანები მართლაც გამოუსწორებელნი არიან. ასე რომ, ამ თემისთვის საგანგებოდ შერჩეული ქედმაღლური ტონით მსჯელობის მიუხედავად, ამ ფილოსოფოსების უმრავლესობა, საბოლოო ჯამში, მზად იყო, ელიარებინა, რომ არსებობდა ერთადერთი რეალური არჩევანი ბობოქარ ვნებებსა და ელიტარული კლასის ინტერესების რაციონალურ გათვლებს შორის; შესაბამისად, იდეალური იქნებოდა კონსტიტუცია, რომელიც შემუშავდებოდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამგვარ ინტერესებს ერთმანეთი გაეკონტროლებინათ და, საბოლოო ჯამში, დაებლანსებინათ.

ამას ერთგვარად უჩვეულო შედეგები მოჰყვა. ერთი მხრივ, საყოველთაოდ მიღებულია, რომ დემოკრატია, თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი პრესისა და საჯარო პოლიტიკური დისკუსიებისა და დებატების მონაცემების საშუალებების გარეშე, ბევრს არაფერს წარმოადგენს. ამავე დროს, ლიბერალური დემოკრატიის თეორეტიკოსების უმეტესობა (ჟან-ჟაკ რუსოდან ჯონ როლ-

ზამდე) ფიქრობს, რომ მსჯელობის სფეროს არეალი ძალიან შეზღუდულია, რადგან მიაჩნიათ, რომ ის მოიაზრებს პოლიტიკურ ფიგურებს (პოლიტიკოსებს, ამომრჩევლებს, საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფებს), რომლებმაც უკვე პოლიტიკურ არენაზე გამოსვლამდე იციან, რაც უნდათ. ისინი, იმის მაგივრად, რომ პოლიტიკური სფერო ერთმანეთის საწინააღმდეგო ფასეულობების დასაბალანსებლად ან საუკეთესო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად გამოიყენონ, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ (თუკი ფიქრობენ საერთოდ რაიმეზე), უკეთ როგორ შეასხან ხორცი საკუთარ ინტერესებს.²⁹

ასე რომ, ხელში შეგვრჩება „რაციონალურთა“ დემოკრატია, სადაც „რაციონალურობას“ განვსაზღვრავთ, როგორც ცალკე აღებულ მათემატიკურ გაანგარიშებას, რომელსაც წარმოშობს ძალაუფლება ბრძანებების გასაცემად; ესაა „რაციონალურობის“ ერთგვარი სახეობა, რომელიც აუცილებლად წარმოქმნის მონსტრებს. თუ ამ პირობებს ჭეშმარიტად დემოკრატიული სისტემის საფუძვლად განვიხილავთ, მაშინ ისინი ნამდვილად კატასტროფულ შედეგებს გამოიღებს. მაგრამ რა არის ალტერნატივა? ამის ნაცვლად, როგორ დავაფუძნოთ დემოკრატიის თეორია თანასწორობა შორის მსჯელობაზე, რომელიც კიდევ უფრო განვითარდება?

ამის განხორციელების რთულია, რის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ამგვარი კოლექტიური მსჯელობა სინამდვილეში უფრო რთული და დახვეწილია, ვიდრე მარტივი მათემატიკური გაანგარიშება და, აქედან გამომდინარე, იგი არ იყენებს რაოდენობრივ მოდელებს, რომლებიც ასე უყვართ პოლიტოლოგებსა და იმ პირებს, საგრანტო განაცხადებს რომ განიხილავენ. ბოლოს და ბოლოს, როცა რომელიმე ადამიანის შესახებ ვკითხულობთ, „რაციონალურია“ თუ არა იგი, ბევრს არ ვითხოვთ: რეალურად, გვაინტერესებს, შეუძლია თუ არა მას ძირითადი ლოგიკური კავშირების დამყარება. საკითხს ასე იშვიათად სვამენ, ყოველ შემთხვევაში, იქამდე არა, თუ მავანს ეჭვი არ გაუჩნდა, რომ ვინმე შესაძლოა, მართლა გიჟი იყოს, ან, სავარაუდოდ, ვნებებისგან ისე დაბრმავებული, რომ მის მიერ წამოყენებულ არგუმენტებს აზრი არ ჰქონდეს. ახლა განვიხილოთ საპირისპირო შემთხვევა, როცა კითხვას ვსვამთ ვინმეს შესახებ, „გონიერია“ ის თუ არა.

აქ უფრო მაღალ სტანდარტებთან გვაქვს საქმე. გონიერება გულისხმობს გაცილებით დახვეწილ უნარს, რომლის მეშვეობითაც დამყარდება ბალანსი სხვადასხვა ხედვას, ფასეულობებსა და ბრძანებებს შორის, რომელთაგან, როგორც წესი, მათემატიკურ ფორმულამდე ვერც ერთი ვერ დაიყვანება. ეს ნიშნავს კომპრომისის პოვნას ისეთ პოზიციებს შორის, რომლებიც, ფორმალური **(მათემატიკური. რედ.)** ლოგიკის თანახმად, არათანაზომადია, სწორედ ისე, როგორც არ არსებობს რაიმე ფორმალური მეთოდი, რომლითაც, როცა სადილის მომზადებას გადაწყვეტთ, წინასწარ შევაფასებდით კონტრასტულ უპირატესობებს მომზადების სიმარტივეს, საკვების სიჯანსაღესა და გემოს შორის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ სულ გვინევს ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება. ცხოვრების უმეტესი ნაწილი (განსაკუთრებით სხვებთან თანაცხოვრებისა) გონიერული კომპრომისების გამოძებნისგან შედგება, რომლებიც ვერასოდეს დაიყვანება მათემატიკურ მოდელებამდე.

სხვანაირად რომ ვთქვათ, პოლიტიკის თეორეტიკოსები, როგორც წესი, მსჯელობენ იმ პიროვნებების მაგალითზე, რომლებიც რვა წლის ბავშვის ინტელექტუალურ დონეზე მოქმედებენ. ასაკობრივი ფსიქოლოგიის სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ ბავშვები ლოგიკური არგუმენტების მოყვანას იწყებენ არა პრობლემების გადაჭრისას, არამედ მაშინ, როცა იგონებენ მიზეზებს, რომელთა შესახებაც უკვე უფიქრიათ. ვისაც ყოველდღიურად უწევს ურთიერთობა პატარა ბავშვებთან, აუცილებლად შეამჩნევს, რომ ეს სიმართლეა. ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვათა შედარებისა და კოორდინირების უნარი კი, მეორე მხრივ, მოგვიანებით მოდის და მოწიფული ასაკის ადამიანის ინტელექტის არსებით ნაწილს წარმოადგენს. ამავე დროს, ეს სწორედ ისაა, რასაც ბრძანების გაცემის უფლებამოსილებით აღჭურვილი ადამიანები იშვიათად იყენებენ.

ფილოსოფოსმა სტივენ ტულმინმა, უკვე ცნობილმა თავისი წიგნით, რომელშიც მორალის შესახებ მსჯელობის მაგალითებზე საუბრობდა, 1990-იან წლებში ერთგვარი ინტელექტუალური სენსაცია მოახდინა, როცა სცადა, ანალოგიურად დაეპირისპირებინა ერთმანეთისთვის „რაციონალურობა“ და „გონიერება“; თუმცა მისი ანალიზი ემყარებოდა რაციონალიზმს, რომელიც ბრძანების გაცემის ძალაუფლებიდან კი არ მომდინარეობს, არ-

ამედ აბსოლუტური სიზუსტის საჭიროებიდან წარმოიქმნება. ისეთი კეთილშობილური სულისკვეთებით გამორჩეული ესეისტი, როგორიც მონტენია, რომელიც XVI საუკუნის ექსპანსიურ ევროპაში მოღვაწეობდა, მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის სიტუაციურია; თითქმის პარანოიდული სიმკაცრით ცნობილი რენე დეკარტი, ერთი საუკუნის შემდეგ, როცა ევროპა სისხლიანმა რელიგიურმა ომებმა დააუძლურა, საზოგადოებას წმინდა „რაციონალურ“ საფუძველზე დამყარებულად აღიქვამდა. მათგან განსხვავებით, ტულმინი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მომდევნო ეპოქის ყველა პოლიტიკური შეხედულება დამახინჯებული იყო აბსტრაქტული რაციონალურობის რეალობას მოწყვეტილი სტანდარტების გამოყენების მცდელობებით ცხოვრებისეული კონკრეტული, რეალური შემთხვევების მიმართ. მაგრამ ტულმინი პირველი არ ყოფილა, ვინც ეს განსხვავება შემოგვთავაზა. მე თვითონ პირველად მას ბრიტანელი პოეტის, რობერტ გრეივის 1960 წელს დაბეჭდილ საკმაოდ უცნაურ ესეში გადავანყდი, სახელწოდებით „ქსანთიპეს საქმე“.

მათ, ვისთვისაც ნიუ-იორკის ადრეული ხანის ყასბებისა და ხაბაზების* კლასიკური განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომია, შევახსენებთ: ქსანთიპე იყო სოკრატეს ცოლი, რომელიც ისტორიაში შესულია, როგორც საშინლად კაპასი და ანჩხლი ქალი. სოკრატეს კეთილშობილური ხასიათის დასტურად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ იგი ოლიმპიური სიმშვიდით უძლებდა (ყურადღებას არ აქცევდა) მას. გრეივისი ინყებს შეკითხვით: რატომ არავინ დაინტერესდა ორი ათასი წლის მანძილზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სოკრატეს ცოლობა? წარმოიდგინეთ, რომ ტვირთად გაწვეთ ქმარი, რომელიც თითქმის არაფერს აკეთებს ოჯახის სარჩენად, მთელ დროს იმაში ატარებს, რომ ყველას, ვისაც კი გადაეყრება, უმტკიცებს, როგორ ცდებიან ისინი ყველაფერში, და მიაჩნია, რომ ნამდვილი სიყვარული მხოლოდ მამაკაცებსა და არასრულწლოვან ბიჭებს შორის არის შესაძლებელი. ნუთუ ამ ყველაფრის შესახებ თქვენს მოსაზრებას არ გამოხატავდით? იმ დროიდან მოყოლებული, სოკრატე მიჩნეულია მკაცრი ლოგი-

* მსოფლიოს გოვერნერ მორისები, სამწუხაროდ, ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ ამგვარი ცოდნა მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო.

კური თანმიმდევრულობის შესახებ ურყევი წარმოდგენისა და არ-გუმენტების ლოგიკურ დასკვნამდე მიყვანისკენ დაუცხრომელი სწრაფვის სრულყოფილ ნიმუშად, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეუ-ლი თვალსაზრისით, ფრიად საქებარია, მაგრამ იგი სწორედ „კეთილგონიერი“ ადამიანი არ იყო, და მათ, ვინც დიდებით ამ-კობდა სოკრატეს, ძალაუწევდა შექმნეს „მექანიზებული, უსუ-ლო, არაჰუმანური, აბსტრაქტული რაციონალურობა“, რომელ-მაც მსოფლიოს უზარმაზარი ზიანი მიაყენა. გრეივსი წერს, რომ მას, როგორც პოეტს, სხვა არჩევანი აღარ დარჩენია, თუ არა საკუთარი თავის გაიგივება ბერძნული ქალაქის „რაციონალური“ სივრცისგან განცალკევებით მდგარ იმ ადამიანებთან, ქსანთიპეს მსგავსი ქალებით დაწყებული, რომლებისთვისაც გონიერება ლოგიკას არ გამოორიცხავს (სინამდვილეში ლოგიკის წინააღმდე-გი არავინაა), მაგრამ უხამებს მას იუმორის გრძნობას, პრაქტი-ციზმს, და უბრალო ადამიანურ თავაზიანობას.

ამის გათვალისწინებით, გასაგები ხდება, რომ დემოკრატი-ული პროცესის ახალი ფორმების შექმნის ინიციატივების დიდი ნაწილი (როგორიცაა კონსენსუსი) წარმოიშვა ფემინიზმის მიმარ-თულებიდან, რომელიც ნიშნავს (სხვა საკითხებთან ერთად) ინტელექტუალურ ტრადიციას იმ ადამიანებისა, რომელთაც ბრძანების გაცემის უფლებამოსილება ისტორიულად მინიჭებუ-ლი არასოდეს ჰქონიათ. კონსენსუსი არის მცდელობა, შეიქმნას პოლიტიკა, რომელიც დამყარებული იქნება კეთილგონიერების პრინციპზე – პოლიტიკა, რომელიც ფემინისტი ფილოსოფო-სის, დებორა ჰეიკსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოითხოვს არა მხოლოდ ლოგიკურ თანმიმდევრულობას, არამედ „გარკვეული დოზით – გამჭრიახობას, ჯანსაღი განსჯის, თვითკრიტიკის, სოციალური ინტერაქციის უნარს და ადამიანთა მზაობას, ეძი-ოს და განიხილოს მოტივები, ჩამოაყალიბოს მოსაზრებები.“³⁰ მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პოლიტიკა გულისხმობს ჭეშმარიტ გან-სჯას. ფასილიტაციის ტრენერი, სავარაუდოდ, იტყოდა, რომ ის მოითხოვს კარგი მოსმენის უნარს, რათა ჩავწვდეთ შეხედულე-ბებს, რომლებიც არსებითად განსხვავებულია ჩვენი პოზიციის-გან და შემდეგ როგორმე ვიპოვოთ პრაგმატული საერთო ინ-ტერესები ისე, რომ არ ვეცადოთ, თანამოსაუბრეები მთლიანად ჩვენს მხარეს გადმოვიყვანოთ. ეს ნიშნავს, დემოკრატია აღიქვა,

როგორც საერთო პრობლემის გადაჭრის პროცესი იმ ადამიანებს შორის, რომლებიც პატივს სცემენ ფაქტს, რომ მათ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, ყოველთვის ექნებათ გარკვეულწილად არათანაზომადი შეხედულებები.

სავარაუდოდ, კონსენსუსმა ასე უნდა იმუშაოს: პირველ რიგში, ჯგუფი თანხმდება გარკვეულ საერთო მიზანზე. ეს საშუალებას მისცემს მას, გადანყვეტილების მიღება საერთო პრობლემების გადაჭრად განიხილოს. ამგვარად აღქმულმა რაკურსთა მრავალფეროვნებამ (თუნდაც რადიკალურად განსხვავებულმა რაკურსებმა) შეიძლება სიძნელეებიც წარმოშვას, მაგრამ შესაძლოა, ის უზარმაზარ რესურსსაც წარმოადგენდეს. ბოლოს და ბოლოს, სავარაუდოდ, ვინ უფრო შემოქმედებითად გადანყვეტს პრობლემას: ჯგუფი, რომელშიც ადამიანები საკითხებს, გარკვეულწილად, განსხვავებულად აღიქვამენ, თუ ჯგუფი, რომელშიც ყველას ზუსტად ერთნაირი ხედვა აქვს?

როგორც უკვე შევნიშნე, დემოკრატიული კრეატიულობის სივრცეებად მოიაზრება სწორედ ის ადგილები, სადაც სხვადასხვა ტიპის ადამიანებს, რომლებიც ძალიან განსხვავებული ტრადიციების წარმომადგენლები არიან, მოულოდნელად იმპროვიზებას მოსთხოვენ. ერთი მიზეზი ამისა იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარ სიტუაციებში ადამიანები იძულებულნი არიან, შეეგუონ საპირისპირო შეხედულებებს იმის თაობაზეც კი, თუ რას წარმოადგენს თვითონ პოლიტიკა. 1980-იან წლებში პარტიზანების ჯგუფი (პოტენციური მაოისტები) მეხიკოდან მექსიკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთებში გაიქცა, სადაც რევოლუციური ქსელის შექმნას შეუდგნენ და თავდაპირველად ქალებისთვის წერა-კითხვის სწავლების კამპანიით დაიწყეს. ბოლოს ეს ჯგუფი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ზაპატისტურ არმიად გადაიქცა, რომელმაც 1994 წელს ამბოხება წამოიწყო (ის დიდხანს არ გაგრძელებულა), თუმცა არა ხელისუფლების დამხობის მიზნით, არამედ გათავისუფლებული ტერიტორიის შესაქმნელად, სადაც ადგილობრივი თემები (ძირითადად) შეძლებდნენ ექსპერიმენტის ჩატარებას დემოკრატიის ახალ ფორმებზე. თავდაპირველად მუდმივი აზრთა სხვადასხვაობა იყო წარმოშობით ქალაქელ ინტელექტუალებს შორის, როგორიცაა ცნობილი სუბკომანდანტე მარკოსი, რომლის აზრითაც, დემოკრატია ხმათა უმრავლესო-

ბით გადაწყვეტილების მიღებას და არჩეულ წარმომადგენლებს ნიშნავდა და მემის, ჩოლტის, ცელტალისა და ცოცილის ენებზე მოლაპარაკე ხალხების (საუბარია მექსიკელ აბორიგენებზე. რედ.) თემური შეკრებები ყოველთვის კონსენსუსის საფუძველზე მოქმედებდა; აქ უპირატესობა ისეთ სისტემას ენიჭებოდა, რომლის მიხედვითაც, თუ დელეგატებს აირჩევდნენ, მათი უკან განვევა შესაძლებელი ხდებოდა მაშინვე, როგორც კი თემები ჩათვლიდნენ, რომ დელეგატები ხალხის ნებას აღარ გამოხატავდნენ. როგორც მარკოსი იხსენებს, მათ მალე აღმოაჩინეს, რომ არ არსებობდა არავითარი შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში „დემოკრატია“:

„თემების არსებობა ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას. მაგრამ, როგორც ჩანს, ცნება ბუნდოვანია. მრავალი სახის დემოკრატია არსებობს. ესაა ის, რასაც მე მათ ვეუბნები. ვცდილობ, ავუხსნა: „თქვენ შეგიძლიათ კონსენსუსით იმოქმედოთ, რადგან კოლექტიურად ცხოვრობთ“. როცა ისინი თავს იყრიან შეკრებაზე, ყველა ერთმანეთს იცნობს; ისინი საერთო პრობლემების გადასაჭრელად იკრიბებიან. „მაგრამ სხვა ადგილებში ასე არ ხდება“, ვეუბნები მათ, „ადამიანები ცალ-ცალკე ცხოვრობენ; ისინი შეკრებებს სხვა რამეებისთვის იყენებენ, და არა პრობლემების გადასაჭრელად“.

ისინი ამბობენ: „არა“, მაგრამ ეს ნიშნავს: „დიახ, ეს ამართლებს ჩვენთან“.

ეს სწორედ რომ ამართლებს მათთან – ისინი აგვარებენ პრობლემას. ასე რომ, ისინი ქვეყანასა და მსოფლიოს მეთოდს სთავაზობენ. მსოფლიო ასე უნდა მოეწყოს... ძალიან ძნელია, ამას შეეწინააღმდეგო, ვინაიდან სწორედ ასე ახერხებენ ისინი თავიანთი პრობლემების გადაჭრას“.³¹

მოდით, სერიოზულად განვიხილოთ ეს წინადადება. რატომ არ შეიძლება, დემოკრატია საერთო პრობლემის გადაჭრის საშუალება იყოს? შესაძლოა, მრავალი განსხვავებული მოსაზრება გვექონდეს იმის თაობაზე, ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ცხოვრება, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ადამიანებს ამ პლანეტაზე უამრავი საერთო პრობლემა აქვთ (პირველი, რაც მახსენდება, კლიმატის ცვლილებაა, როგორც ყველაზე მწვავე და გადაუდებელი საკითხი, თუმცა ბევრი სხვაც არსებობს), რომ-

ლებსაც წარმატებით გავართმევთ თავს, თუკი მათ მოგვარებას ერთობლივად მუშაობით ვეცდებით. როგორც ჩანს, ყველა თანხმდება, რომ, პრინციპში, უკეთესი იქნება თუ ამას დემოკრატიულად გავაკეთებთ, თანასწორუფლებიანობისა და გონივრული მსჯელობის სულისკვეთებით. მაშინ რატომღა გვეჩვენება მოსაზრება, რომ ჩვენ ამის გაკეთება მართლა შეგვიძლია, ასეთ უტოპიურ, აუხდენელ ოცნებად?

ალბათ, ნაცვლად იმისა, თუ რომელი პოლიტიკური სისტემაა საუკეთესო ჩვენი ამჟამინდელი საზოგადოებრივი წყობის მხარდასაჭერად, უნდა ვიკითხოთ: რა სოციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ გვექონდეს ქვეყნის, თანამონაწილეობაზე დამყარებული, დემოკრატიული სისტემა, რომელიც მონოღებული იქნებოდა, კოლექტიური პრობლემები გადაეჭრა?*

როგორც ჩანს, კითხვა თავისთავად გულისხმობს პასუხს. თუ აქამდე ამ კითხვას არ ვსვამდით, ეს იმიტომ, რომ ადრეული ასაკიდანვე გვასწავლიდნენ: პასუხი მასზე „არაკეთილგონივრულია“; რადგან პასუხი, რა თქმა უნდა, არის ანარქიზმი.

სინამდვილეში არსებობს საფუძველი, ვირწმუნოთ, რომ „ფუძემდებლები“ მართალნი იყვნენ: შეუძლებელია, ვინმემ უშუალო, თანამონაწილეობრივ დემოკრატიაზე დამყარებული პოლიტიკური სისტემა შექმნას ისეთ საზოგადოებაში, როგორიც მათ ჰქონდათ, რომელიც დიდი ქონებრივი უთანასწორობით იყო გათიშული, საერთოდ გამორიცხავდა მოსახლეობის დიდ ნაწილს (ადრეულ ამერიკაში ამ ნაწილს მიეკუთვნებოდნენ ქალები, მონები და აბორიგენები) და ხალხის უმეტესობის ცხოვრება ბრძანებების გაცემასა და მათ შესრულებაზე იყო აგებული. მისი შექმნა ჩვენს საზოგადოებაშიც შეუძლებელია, რომელშიც მოსახლეობის 1% სიმდიდრის 42%-ს აკონტროლებს.

თუ ჩვეულებრივი ადამიანებით სავსე ოთახში წამოაყენებთ

* სხვათა შორის, ის არ უნდა იყოს დამყარებული მკაცრად განსაზღვრული კონსენსუსის სისტემაზე, რადგანაც, როგორც ვხედავთ, აბსოლუტური კონსენსუსი არარეალურია დიდ ჯგუფებში, რომ აღარაფერი ვთქვათ კონსენსუსზე პლანეტის მასშტაბით! რაზეც ახლა ვსაუბრობ, სწორედ ის არის, რაც ზემოთაც აღვნიშნე: პოლიტიკისადმი მიდგომა (რა კონკრეტულ ინსტიტუციურ ფორმასაც არ უნდა იღებდეს ის), რომელიც პოლიტიკურ დისკუსიასაც პრობლემის გადაჭრად მიიჩნევს და არა ინტერესებს შორის ბრძოლად.

ანარქიზმის იდეას, ვინმე აუცილებლად გააპროტესტებს: მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავაუქმებთ სახელმწიფოს, ციხეებსა და პოლიციას. ეს რომ გავაკეთოთ, ადამიანები, უბრალოდ, ერთმანეთს დახოცავენ. უმრავლესობა ამას, უბრალოდ, ჯანსაღ აზრად მიიჩნევს. უცნაური ამ პროგნოზში ისაა, რომ მისი ემპირიულად შემოწმება შესაძლებელია; ხშირადაც შეუძლებელია ემპირიულად და აღმოჩნდა, რომ ის მცდარია. მართალია, არსებობს ერთი-ორი შემთხვევა, როგორიცაა, მაგალითად, სომალი, სადაც სახელმწიფო დაიშალა, როცა ხალხი უკვე სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში იყო ჩაბმული და სამხედრო მეთაურებს მაშინვე არ შეუწყვეტიათ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა (თუმცა სომალიშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უარესი შედეგების მოლოდინში იყვნენ, ცენტრალური მმართველობის გაუქმებიდან ოცი წლის შემდეგ განათლება, ჯანდაცვა და სხვა სოციალური მაჩვენებლები რეალურად გაუმჯობესდა!).³² რასაკვირველია, ჩვენ სომალის მსგავს გარემოებათა შესახებ სწორედ იმ მიზეზის გამო ვიგებთ, რომ იქ ძალადობა ხდება. თუმცა უმეტეს შემთხვევაში, მაგალითად, მადაგასკარის სოფლების ნაწილში, საკუთარი დაკვირვებით შემიძლია, ვთქვა, ძალადობა ძალიან იშვიათია.

ცხადია, სტატისტიკა ხელმისაწვდომი არ არის, ვინაიდან სახელმწიფოების არარსებობა იმთავითვე გულისხმობს, რომ არ არსებობს პირი, რომელიც სტატისტიკურ აღრიცხვას აწარმოებს. თუმცა მრავალ ანთროპოლოგსა და სხვა ადამიანებსაც გავსაუბრებდით, რომლებიც ამგვარ ადგილებში არიან ნამყოფი და მათი მონათხრობი საოცრად ჰგავს ერთმანეთს. პოლიცია უქმდება თუ არა, ხალხი წყვეტს გადასახადების გადახდას, სხვა მხრივ, კვლავაც ისევე განაგრძობს ცხოვრებას, როგორც მანამდე. რა თქმა უნდა, ისინი მოულოდნელად არ იწყებენ ჰობსისეულ „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“.

აქედან გამომდინარე, ჩვენ თითქმის ვერასოდეს ვერაფერს ვიგებთ ამგვარი ადგილების შესახებ. 1990 წელს, როცა ქალაქ არივონიამოში (**ქალაქი მადაგასკარზე. რედ.**) ვცხოვრობდი და ახლომდებარე სოფლებში დავხეტიალებდი, თავდაპირველად მეც კი არ მქონდა წარმოდგენა, რომ ისეთ ადგილას ვცხოვრობდი, სადაც სახელმწიფოს კონტროლი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა (ვფიქრობ, ნაწილობრივ, ჩემი შთაბეჭდილება გამოიწვია იმან,

რომ ყველანი ისე საუბრობდნენ და იქცეოდნენ, თითქოს სახელმწიფო ინსტიტუტები კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას და იმედოვნებდნენ, რომ ვერავინ შეამჩნიევდა, თუ სინამდვილეში რა ხდებოდა). შემდეგ, როცა 2010 წელს იქ კვლავ დავბრუნდი, პოლიცია ამოქმედებული იყო, გადასახადებს ისევ კრეფდნენ, მაგრამ, ამასთან, ყველა ამჩნევდა, რომ ძალმომრეობით ჩადენილი დანაშაულის რიცხვი მკვეთრად იყო გაზრდილი.

ამგვარად, კითხვა, რომელიც უნდა დავსვათ, რეალურად, ასე ჩამოყალიბდება: რას უნდა გრძნობდეს ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფოში, ანუ საზოგადოებაში, სადაც წესებს კანონის ძალა ციხეებისა და პოლიციის საშიშროების მეშვეობით ეძლევა, რაც უთანასწორობისა და გაუცხოების ყველანაირ ფორმას ამკვიდრებს; ერთი რამ ცხადი ხდება: განა ადამიანებს ეს პირობები აიძულებს, არ ჩაიდინონ იმგვარი საქციელი, როგორსაც ისედაც არასოდეს ჩაიდენდნენ?

ანარქისტის პასუხი მარტივია. თუ ადამიანებს ისე მოექცევი, როგორც ბავშვებს, მაშინ ისინიც ბავშვებივით მოიქცევიან. ერთადერთი წარმატებული მეთოდი, რომელიც კი ოდესმე შემუშავებულა იმისათვის, რომ სხვებს სტიმული მისცე, ზრდასრულებივით მოიქცნენ, შემდეგია: მოეპყრო მათ ისე, თითქოს ისინი უკვე ზრდასრულები არიან. ეს უტყუარი მეთოდი არ არის. უტყუარი არაფერი არ არის. მაგრამ არც ერთ სხვა მიდგომას წარმატების რეალური შანსი არ გააჩნია. ისტორიული გამოცდილება იმისა, თუ რა ხდება რეალურად კრიზისულ სიტუაციებში, ადასტურებს, რომ ისინიც კი, ვინც თანამონაწილეობითი დემოკრატიული კულტურის პირობებში არ აღზრდილა, შეიძლება უცებ უაღრესად კეთილგონიერნი გახდნენ, თუ მათ ჩამოვართმევთ იარაღს, ან არ მივცემთ ადვოკატებთან დარეკვის საშუალებას.³³ ეს არის ის, რის გაკეთებასაც, ფაქტობრივად, ანარქისტები გვთავაზობენ.

მეოთხე

როგორ სორციალდება ცვლილებები

წინა თავი ვრცელი ფილოსოფიური მსჯელობით დასრულდა; ეს თავი შედარებით პრაქტიკული ხასიათისა იქნება.

შეუძლებელია, დაინეროს თანამედროვე *ნესები რადიკალები-სთვის*, ანუ სახელმძღვანელო, რომელშიც მითითებული იქნება, თუ როგორ უნდა მოენყოს ამბოხებები ძალმომრეობის გარეშე. თუ არსებობს ერთი *ნესი*, რომელიც ყოველთვის გამოდგება სამოქალაქო წინააღმდეგობის დროს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არსებობს მკაცრად განსაზღვრული *ნესები*. მოძრაობა მაშინ წარიმართება ყველაზე უკეთ, როცა ის კონკრეტულ სიტუაციას მოერგება. საუკეთესო დემოკრატიული პროცესი დამოკიდებულია პროცესში ჩართული საზოგადოების ბუნებაზე, მის კულტურულ და პოლიტიკურ ტრადიციებზე, მონაწილეთა რაოდენობაზე, მონაწილეთა გამოცდილების დონეზე, და, რა თქმა უნდა (სხვა მრავალ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემასთან ერთად), იმაზე, თუ რის მიღწევას ცდილობს ხალხი. ტაქტიკა მოქნილი უნდა დარჩეს: თუ მოძრაობები მუდმივ განახლებას არ განიცდის, ისინი მალე იფიტება და კვდება.

ამკარაა, რომ ერთი ტიპის ტაქტიკა, რომელიც მოერგება ერთ საზოგადოებას, შესაძლოა შეუფერებელი აღმოჩნდეს მეორისთვის, მაგრამ ხშირად ეს არასწორად ესმით. OWS-ის ბანაკების ძალის გამოყენებით დაშლის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნე, მწვავე დებატები გაიმართა „შავი ბლოკების“ თაობაზე. „შავი ბლოკები“ წარმოადგენს ფორმირებებს, რომლებიც, ძირითადად, ანარქისტების ან ავტორიტარული ხელისუფლების სხვა მონი-ნააღმდეგეებისაგან არის დაკომპლექტებული; ისინი აქციებზე ნიღბებითა და ერთნაირი კაპიუშონებიანი მაისურებით მოდიან, რათა, ერთი მხრივ, რევოლუციური სოლიდარობის დემონსტრირება მოახდინონ, მეორე მხრივ, ზაზი გაუსვან იმ გარემოებას, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, მიიღონ მონაწილეობა უფრო აგრესიულ ქმედებებშიც, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს. ამერიკაში ისინი საკუთარ თავს ძალმომრეობის მომხრეებად არ მიიჩნევენ, ხოლო „ძალადობას“ განსაზღვრავენ,

როგორც ცოცხალი არსებებისათვის საზიანოს; ხშირად მზად არიან, ჩაერთონ კორპორატიულ საკუთრებაზე განხორციელებულ სიმბოლურ შეტევებში და ზოგჯერ, როგორც შეუძლიათ, წინააღმდეგობასაც კი უწევენ პოლიციას, თუ ეს უკანასკნელი პირდაპირ თავს ესხმის მათ. თუმცა ხშირად „აგრესიული ტაქტიკა“ მხოლოდ საღებავებიანი პულვერიზატორებით სლოგანების დაწერით, ხელიხელჩაკიდებული დგომით ან უმწეო დემონსტრანტებისათვის პოლიციისგან დამცავი კედლის აგებით შემოიფარგლება.

როგორც აღვნიშნე, თავად „შავი ბლოკების“ არსებობაც კი ხშირად ლიბერალი მიმომხილველების მიერ ძალადობის ფორმად აღიქმებოდა. მათ საერთო არგუმენტი ჰქონდათ – ამგვარი ფორმირებების არსებობა ძალაუწებურად განაპირობებდა იმას, რომ მსხვილმასშტაბიან მოძრაობებს ზურგს აქცევდნენ მუშათა კლასის სწორედ ის ჯგუფები, რომელთა ჩართვასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა; ან საბაბს აძლევდა პოლიციას, მშვიდობიან დემონსტრანტებზე შეტევა განეხორციელებინა. მაგრამ სინამდვილეში, „ოკუპაციების“ 90%-ს „შავი ბლოკების“ ტაქტიკა საერთოდ არ გამოუყენებია, ხოლო იმ ყველაზე დიდი ბლოკირების შემთხვევას – „დაიკავე ოკლენდი!“ – თავისი კონკრეტული, ლოკალური მნიშვნელობის მიზეზები ჰქონდა. ოკლენდი არის ქალაქი, რომელიც ათწლეულების მანძილზე პოლიციის უკიდურესი სისასტიკითა და ღარიბთა (განსაკუთრებით აფრო-ამერიკული თემის) მხრიდან (ბოლოს და ბოლოს, „შავი პანტერები“ ხომ ოკლენდიდან არიან) აგრესიული დაპირისპირებით გამოირჩეოდა. თუ ბევრ ქალაქში „შავი ბლოკის“ ტაქტიკას შეიძლება მუშათა კლასი ფართომასშტაბიანი მოძრაობისგან ჩამოეშორებინა, ოკლენდში საბრძოლო ტაქტიკა უფრო მეტად მშრომელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად უნდა მიჩნეულიყო.

როგორც 2000 წელს „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობაში“ ყოფნისას შევიტყვე, ტაქტიკის შესახებ მწვავე კამათი ხშირად, სიმაღლე რომ ვთქვათ, ეხება, არსებითად, შენიღბულ სტრატეგიას. მაგალითად, სიეტლში 1999 წლის ნოემბერში WTO-ს მიერ ჩატარებული აქციების შემდეგ ყველანი განვიხილავდით საკითხს: „შეიძლება ოდესმე ვიტრინის ჩამსხვრევა მისაღები იყოს?“ მაგრამ ამ კითხვას სინამდვილეში საფუძვლად

ედო კიდევ ერთი თემა: ვისი მობილიზება უნდა მოეხდინა რეალურად „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობას“ შეერთებულ შტატებში და რა მიზნით: ეს იქნებოდნენ განათლებული საშუალო ფენის მომხმარებლები, რომელთა დარწმუნებაც იმაში, რომ მხარი დაეჭირათ ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის პოლიტიკისთვის, სავარაუდოდ, შესაძლებელი იყო (ეს ადამიანთა ის კატეგორიაა, რომელიც ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევაში განზე გადგებოდა), თუ პოტენციურად რევოლუციური ელემენტები, რომელთაც არ სჭირდებოდათ იმის ახსნა, რომ სისტემა ძალმომრეობასა და და კორუფციას ეფუძნება, მაგრამ სჭირდებოდათ დარწმუნება იმაში, რომ შესაძლებელი იყო ამის წინააღმდეგ წარმატებული გაფიცვის ორგანიზება (ეს კი იმ ტიპის ხალხია, რომლისთვისაც ერთი-ორი ვიტრინის ჩამსხვრევა, შესაძლოა, შთაგონების წყარო ყოფილიყო). ამ კამათს ბოლო არასოდეს მოეღებოდა და ამგვარი სტრატეგიული კითხვების დასმაც აქ უადგილოდ მეჩვენება – ყოველ შემთხვევაში, სულაც არ ვაპირებ, ჩავება დისკუსიაში სულაც იმის თაობაზე, თუ მოსახლეობის რომელი ნაწილის მობილიზება უნდა მოხდეს, ანდა იმის თქმას, რომ ყველა, ვინც თავის თემში ორგანიზებას ახორციელებს (ვინც არ უნდა იყვნენ ისინი), იმაზე უნდა ფიქრობდეს, 99%-ის დანარჩენ წევრებთან სოლიდარობის სულისკვეთებით იმოქმედოს.

მე უფრო მეტად ყურადღებას გავამახვილებ პრაქტიკულ იდეებსა და რჩევებზე, რომლებიც ჰორიზონტალურ ორგანიზებაში ჩემი ათწლიანი გამოცდილებისას და თვით „ოკუპაციაში“ უშუალო მონაწილეობის დროს დამიგროვდა.

კონსენსუსი

ბევრი დებატი იმართება იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა კონსენსუსის მეთოდის გამოყენება უფრო დიდ ჯგუფებშიც და რა მიზნით – კონსენსუსის მეთოდზე დაფუძნებული ჯგუფები ხომ ხშირად მიმართავენ კენჭისყრას. მაგრამ ამ დებატებში ხშირად თავს იჩენს გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში კონსენსუსი. ბევრი, მაგალი-

თად, მიიჩნევს (და საკმაოდ ჯიუტად ამტკიცებს ამას), რომ კონსენსუსის პროცესი, უბრალოდ, ერთსულოვანი კენჭისყრის სისტემაა, და შემდეგ აგრძელებენ მსჯელობას იმის თაობაზე, „მუშაობს“ თუ არა ამგვარი სისტემა, სავარაუდოდ, იმ სისტემისგან განსხვავებით, სადაც ყველა გადანყვეტილებას, ფაქტობრივად, ხმათა უმრავლესობით იღებენ (ყოველ შემთხვევაში, ჩემი გადასახედიდან, ამგვარი დებატები საქმის არსს ასცდება ხოლმე). კონსენსუსის პროცესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გამოხატოს თავისი მოსაზრება გადანყვეტილების მიღებისას და არავინ უნდა დაემორჩილოს იმ გადანყვეტილებას, რომელიც მისთვის სრულიად მიუღებელია. პრაქტიკაში შეიძლება იგი 4 პრინციპამდე დავიყვანოთ:

- ყველამ, ვინც თვლის, რომ შემოთავაზებულ წინადადებასთან დაკავშირებით რაღაც სათქმელი აქვს, დეტალურად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება და იმსჯელოს მასზე.

- თუკი ვინმეს პრობლემა აქვს შემოთავაზებულ წინადადებასთან დაკავშირებით, ან ეწინააღმდეგება მას, ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და, თუ შესაძლებელია – გათვალისწინებულიც წინადადების საბოლოო ვარიანტში.

- თუკი ვინმეს გაუჩნდება განცდა, რომ შემოთავაზებული წინადადება არღვევს იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელსაც მთელი ჯგუფი იზიარებს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ვეტო დაადოს მას („დაბლოკოს“).

- არავინ უნდა დათანხმდეს იძულებით ისეთ გადანყვეტილებას, რომელიც მისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

წლების განმავლობაში ამ ამოცანების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ჯგუფებისა თუ ცალკეული ადამიანების მიერ შემუშავებულ იქნა ფორმალური კონსენსუსის პროცესის სისტემები. მათ შესაძლოა, მრავალი სხვადასხვანაირი ფორმა მიიღონ. მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, რომელიმე მათგანი ფორმალურ პროცესს საჭიროებდეს. ზოგჯერ ამან შეიძლება გარკვეული სამსახური გაგინიოს, ზოგჯერ – არა. მცირე ჯგუფები ხშირად ყველანაირი ფორმალური პროცედურების გარეშე მოქმედებენ. სინამდვილეში უამრავი გზა არსებობს, რომელთა საშუალებითაც და ამ ოთხი პრინციპის

გათვალისწინებით შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება. ისიც კი მეორეხარისხოვანი საკითხია, რაზეც ხშირად კამათობენ, ანუ შემოთავაზებული წინადადების განხილვის პროცესი მთავრდება თუ არა კენჭისყრით (როცა მაღლა ხელს ფორმალურად სწევენ), ან კონსენსუსის სხვაგვარი გამოხატულებით. ყველაზე მნიშვნელოვანი არის პროცესი, რომელსაც გადაწყვეტილებამდე მივყავართ. კენჭისყრით დასრულება პრობლემატურია არა იმიტომ, რომ ხელების აწევაში არის რაიმე არსებითად არასწორი, არამედ იმიტომ, რომ ნაკლებ სავარაუდოა, ყველას მოსაზრება სრულყოფილად დაფიქსირდეს. მაგრამ, თუკი ისეთი პროცესის მოდელი შეიქმნება, რომელიც დამთავრდება კენჭისყრით, სადაც ყველა პოზიცია დამაკმაყოფილებლად იქნება გათვალისწინებული, ამაში ცუდი არაფერია.

ნება მომეცით, მოვიყვანო რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი იმისა, რასაც ზემოთქმულში ვგულისხმობ.

საერთო პრობლემა, რომელსაც ახალი ჯგუფები აწყდებიან ხოლმე, მდგომარეობს იმაში, თუ რით იწყებს ჯგუფი გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ეს შეიძლება ცოტათი ქათმისა და კვერცხის თავსატეხს დაემსგავსოს. სჭირდება თუ არა ჯგუფს კენჭისყრა იმისათვის, რომ მიიღოს კონსენსუსით მოქმედების შესახებ გადაწყვეტილება, თუ კონსენსუსს მიმართავს იმისათვის, რომ ხმათა უმრავლესობის პრინციპით, ანუ კენჭისყრით იმოქმედოს? რა არის გამოსავალი?

ამის გასარკვევად კარგი იქნება, თუ ერთი ნაბიჯით უკან დავიხევთ და თავად ჯგუფის ბუნებაზე დავფიქრდებით. ჩვენ ჯგუფებს განვიხილავთ, როგორც ერთობლიობას ადამიანებისა, რომლებსაც წევრობის ფორმალური სტატუსი აქვთ. თუ თანახმა ხართ, შეუერთდეთ ჯგუფს, რომელსაც უკვე დადგენილი წესები აქვს, მაგალითად, პროფკავშირები ან სოფტბოლის მოყვარულთა ლიგა, ამით გამოხატავთ მზადყოფნას, დაემორჩილოთ მის წესებს. თუ ეს ისეთი ჯგუფია, რომელიც ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პრინციპით მოქმედებს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ თქვენ თანახმა ხართ, დაემორჩილოთ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. თუ ესაა ვერტიკალური ჯგუფი ლიდერობის სტრუქტურით, მაშინ ეს გულისხმობს, რომ

თქვენ თანახმა ხართ, დაემორჩილოთ იმას, რასაც ლიდერები ამბობენ. თუმცა არჩევანი მაინც გაქვთ: თუ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებით, შეგიძლიათ, უარი განაცხადოთ მის შესრულებაზე, ან დატოვოთ ჯგუფი, რამაც შეიძლება აიძულოს ეს უკანასკნელი, მიღებულ გადაწყვეტილებას გადახედოს; თუმცა უფრო საგარაუდოა, რომ თქვენ რაიმე ფორმით დაგაჯარიმონ, ან გაგაძევონ. მთავარია, რომ რაღაც სანქცია იქნება. დასჯის საშიშროება ჯგუფის მხრიდან აიძულებს მის ერთ-ერთი წევრს, მოიქცეს სიტუაციის შესაბამისად.

მაგრამ თუ ფორმალური წევრებისგან შედგენილი ჯგუფისგან განსხვავებით, საუბარია აქტივისტების შეხვედრაზე ან საყოველთაო-სახალხო შეკრებაზე, მაშინ, რაც ზემოთ ვთქვით, მართებული არ იქნება. საჯარო შეხვედრაზე არავინ გამოხატავს რაიმეზე თანხმობას. ეს, უბრალოდ, ერთად თავმოყრილი ადამიანები არიან, რომლებიც სხედან ოთახში (ან დგანან დიდ მოედანზე). ისინი არ ემორჩილებიან უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუ თავად არ შეთანხმდებიან ამაზე. და შეთანხმების შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მონაწილე მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებას და შეიცვლის აზრს, ჯგუფს მასთან მიმართებით არაფრის გაკეთება არ შეუძლია. რეალურად, ვერავინ დაატანს ძალას ვინმეს, რამეს გააკეთოს. და თუ ეს ჰორიზონტალური ან ანარქისტული ჯგუფია, მაშინ არც არავის გაუჩნდება სურვილი, ამგვარი შესაძლებლობა ჰქონდეს.

მაშინ როგორ წვეცეს ამგვარი ჯგუფი, ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პრინციპით იმოქმედოს თუ კონსენსუსის სხვა რომელიმე ფორმით? უპირველეს ყოვლისა, ყველა უნდა შეთანხმდეს ამაზე. თუ ამგვარ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, მაშინ სწორი იქნება, ვთქვათ, რომ „ყველას უნდა ჰქონდეს სიტყვის თანაბარი უფლება და არავის არ უნდა დაატანონ ძალა, ისეთი რამე გააკეთოს, რასაც თვითონ კატეგორიულად ეწინააღმდეგება“. ეს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების ძირითადი პრინციპი ხდება.

ეს არ ნიშნავს, რომ, საერთოდ, ხელის აწევით უმრავლესობის დადგენის მეთოდს არასოდეს არ უნდა მივმართოთ. ყველაზე ხშირად ეს წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ისეთი მნიშ-

ენელოვანი ინფორმაციის მოპოვებისა, როგორიცაა, მაგალითად: „ორშაბათს რომ დავგეგმოთ შეხვედრა 13:00 საათზე, რამდენი თქვენგანი შეიძლება მოსვლას?“ ანალოგიურად, თუ არსებობს ფორმალური საკითხი, სადაც ნათლად ჩანს, რომ არავითარი პრინციპული კითხვა არ წარმოიშობა („ახლა გამოვიტანოთ ეს საკითხი განსახილველად?“ ან: „სამშაბათს შევიკრიბოთ თუ ოთხშაბათს?“), ფასილიტატორს შეუძლია, უბრალოდ, დასვას კითხვა, ყველა თანახმაა თუ არა ამ საკითხის შესახებ გადწყვეტილების მიღებაზე ხმათა უმრავლესობით და ამით დაასრულოს. თუმცა უფრო ხშირად ფასილიტატორი, უბრალოდ, ითხოვს ხელის აწევით ხმის მიცემას, რაც „საზოგადოებრივი აზრის არასავალდებულო, არაოფიციალური გამოკითხვის“ ან ე.წ. „ტემპერატურის გაზომვის“ მაგივრობას ასრულებს; ეს მას იმისთვის სჭირდება, რომ, უბრალოდ, წარმოდგენა შეექმნას, თუ როგორია ოთახში შეკრებილი ხალხის განწყობა. ეს შეიძლება იყოს მარტივად ხელის აწევა ან უფრო დახვეწილი სისტემა, სადაც ხელს მაღლა სწევენ მომხრეები, დაბლა – მოწინააღმდეგეები, ხოლო ხელს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აჩერებენ ისინი, ვისაც პოზიცია ჩამოყალიბებული არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტესტები არასავალდებულოა, მათ ხშირად შეიძლება მთელი ის ინფორმაცია მოგცეთ, რომლის ცოდნაც თქვენთვის აუცილებელია: თუ დამოკიდებულება შემოთავაზებული წინადადების მიმართ უკიდურესად უარყოფითია, მაშინ პირმა, რომელმაც ის განსახილველად წარმოადგინა, შესაძლოა, წინადადება უკანვე გამოითხოვოს.

როცა საქმე საკვანძო საკითხებს ეხება, ეს ოთხი პრინციპი უფრო მნიშვნელოვანი ხდება. როგორ მიაღწევთ კონსენსუსს უფრო რთულ საკითხებზე? არსებობს საკმაოდ სტანდარტიზებული ოთხეტაპიანი პროცედურა, რომელიც წლების განმავლობაში შემუშავდა, რათა მუდმივად შესაძლებელი ყოფილიყო შემოთავაზებული წინადადებების ფორმის ცვლილება კომპრომისისა და კრეატიულობის სულისკვეთებით, ვიდრე მიღწეული არ იქნებოდა ყველასათვის მისაღები ფორმა. ამას დიდი გულმოდგინება არ სჭირდება: უამრავი შესაძლო ვარიანტი არსებობს. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ადამიანები, რომლებიც შეხვედრაზე მოდიან, შესაძლოა, სავარაუდოდ, ეთანხმებოდნენ ძირითად პრინციპებს, მაგრამ არ ეთანხმებოდნენ პროცედურის რომელიმე

კონკრეტულ ფორმალურ წესს; ასე რომ, პროცედურები უნდა მოერგოს ჯგუფის სურვილებს; მოკლედ, პროცესი დაახლოებით ასე გამოიყურება:

1. ვინმე წარმოადგენს **წინადადებას** მოქმედების გარკვეული გეგმის შესახებ;

2. ფასილიტატორი ითხოვს, დაუსვან **დასაზუსტებელი შეკითხვები**, რათა დარწმუნდეს, რომ ყველამ სწორად გაიგო, თუ რას სთავაზობენ;

3. ფასილიტატორი სვამს კითხვებს, ხომ არა აქვს ვინმეს რაიმე **პრობლემა** წინადადებასთან დაკავშირებით;

ა. დისკუსიის დროს პირებმა, რომლებსაც წინადადებასთან დაკავშირებით აქვთ პრობლემები, შესაძლოა **მეგობრულად, გულითადად** შესთავაზონ **შესწორებების** შეტანა წინადადებაში და ამ სახით ხსენებული პრობლემების გათვალისწინება, რაც წინადადების წარმდგენი პირისთვის ან აღმოჩნდება მისაღები, ან – არა;

ბ. შეიძლება განხორციელდეს (ან არ განხორციელდეს) ხალხის განწყობის კვლევა წინადადების, შესწორებებისა თუ პრობლემის სერიოზულობის შესახებ;

გ. პროცესის მსვლელობისას შესაძლოა: წინადადების შეჩერება, ხელახლა ფორმულირება, სხვა წინადადებებთან კომბინირება, ნაწილებად დაყოფა; ან შეიძლება განხილვა გადაიდოს.

4. ფასილიტატორი კონსენსუსს ამოწმებს შემდეგნაირად:

ა. კითხულობს, თუ არიან ისეთები, ვინც **განზე გადგა, პასიურობს**. განზე გადგომით, პასიურობით პირი აცხადებს: „ მე არ მომწონს ეს მოსაზრება და არ მივიღებ მონაწილეობას აქციაში, თუმცა არ ვაპირებ, ხელი შევუშალო სხვებს“. ყოველთვის მნიშვნელოვანია, მივცეთ საშუალება ასეთ ადამიანებს, ახსნან, თუ რატომ იქცევიან ასე.

ბ. კითხულობს, ხომ არ არსებობს რაიმე სახის **ბლოკი („ბარიერის“, „წინააღმდეგობის“ მნიშვნელობით. რედ.)**. ბლოკი არ ნიშნავს წინააღმდეგ ხმის მიცემას. ის უფრო ვეტოს ჰგავს. ალბათ საუკეთესო განმარტება იქნება, რომ ბლოკი ჯგუფიდან ნებისმიერს აძლევს საშუალებას, დროებით მოისხას უზენაესი სამართლოს მოსამართლის მანტია და ჩააგდოს, არ მიიღოს წინადადების ის ნაწილი, რომელსაც არაკონსტიტუციურად თვლის; ან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ჯგუფის ერთიანობის ან მისი**

მიზნის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევად მიიჩნევა.*

ბლოკის საკითხის მოგვარების რამდენიმე გზა არსებობს. ყველაზე მარტივი გზაა შემოთავაზებულ წინადადებაზე, უბრალოდ, უარის თქმა. ფასილიტატორს შეუძლია, დაეხმაროს ბლოკის ინიციატორს, შეხედეს წინადადების ავტორს, შეუერთდეს შესაბამის სამუშაო ჯგუფს და მოსინჯოს, შეუძლიათ თუ არა მათ რაიმე გონივრულ კომპრომისამდე მისვლა. ზოგჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვები მიიჩნევენ, რომ ბლოკი გამართლებული არაა (მაგალითად: „არ ვფიქრობ, რომ ანტისემიტიზმის გამოვლინება იქნება, თუ მომავალ შეხვედრას პარასკევს დავნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს ებრაელების დღესასწაულია. ჩვენი უმრავლესობა ებრაელია და ჩვენივეს სულერთია.“**); შეიძლება არსებობდეს გარკვეული პროცესი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ბლოკს: მაგალითად, დასვამენ კითხვას: ჯგუფის, სულ მცირე, კიდეც ორი სხვა წევრი თუ მოიძებნება ისეთი, ვინც მხარს დაუჭერს მას (როცა ასეთი სიტუაციის დახასიათება გვინდა, ზოგჯერ ვამბობთ: „კონსენსუსს მინუს ერთი“ ან „კონსენსუსს მინუს ორი“). ან თუკი საქმე დიდ ჯგუფს ეხება, მაშინ უკან დახევა, ჩვეულებრივ, კარგი აზრია: თუ ამკარად იგრძნობა, რომ, მიუხედავად ბლოკისა, ხალხის უმრავლესობას მაინც სურს შემოთავაზებული წინადადების მიღება, მაშინ შეიძლება მიმართონ კენჭისყრას კვალიფიციური უმრავლესობით (**კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა გულისხმობს პირობას, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა დაახლოებით 67-90%. რედ.**). მაგალითად, 2 აგვისტოს, „დაიკავე უოლ

* უნდა აღვნიშნო: Occupy Wall Street-ში მიღებულია, რომ ბლოკი უნდა ეფუძნებოდეს „მორალურ, ეთიკურ ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შემოთავაზებული წინადადების მიღების შემთხვევაში თქვენ შეიძლება მოძრაობის დატოვების გადაწყვეტილებაც კი მიიღოთ“.

** როგორც მკითხველი ალბათ თავადაც ხვდება, ეს მაგალითი კონკრეტულ შემთხვევას უკავშირდება: უშუალო მოქმედების ქსელის შეხვედრაზე ერთი ახალმოსული ორთოდოქსი ებრაელი, შეხვედრის რამდენიმე შემოთავაზებულ თარიღს იმ მოტივით არ დაეთანხმა, რომ ეს თარიღები ებრაულ დღესასწაულებს ემთხვეოდა. ამან ძალიან გააღიზიანა ჯგუფის სხვა წევრები (ძალზე ხანგრძლივი შეხვედრის შემდეგ ჩვენ შორის ასეთი თორმეტი დარჩა); ერთმა აფრო-ამერიკელმა აქტივისტმა განაცხადა, რომ ის აპირებდა, დაებლოკა ეს შემოთავაზება იმ მოტივით, რომ აღნიშნული თარიღით შეხვედრის ჩატარება, რელიგიური თვალსაზრისით, დისკრიმინაციული იქნებოდა. საბოლოოდ, რომელიღაც იძულებული გახდა, მშვიდად აეხსნა მისთვის, რომ ის ერთადერთი არაებრაელი იყო, რომელიც ოთახში დარჩა.

სტრიტის“ თემაზე ჩვენი პირველი შეხვედრის დროს, შევთანხმდით „მოდულიზირებული კონსენსუსის“ ვარიანტზე, რომლის დროსაც, ჩინში მოხვედრის შემთხვევაში, შეგვეძლო, მიგვემართა ორი მესამედით წარმოდგენილი უმრავლესობის პრინციპისთვის, მაგრამ „ოკუპაციაში“ რამდენიმე დღის განმავლობაში ყოფნის შემდეგ, „გენერალური ასამბლეა“ შეთანხმდა 90%-იან სათადარიგო ვარიანტზე იმ მოტივით, რომ წინა სისტემა, ასე სწრაფად მზარდი მოძრაობის არსებობის ფონზე, ხელს შეუწყობდა ისეთი წინადადებების გატანას, რომლებსაც ასობით და ათასობითაც კი მოწინააღმდეგე ჰყავდა. თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ სისტემაზე ავტომატურად გადასვლა არ შეიძლება: თუ ვინმე ბლოკირებას ახდენს, ეს სავარაუდოდ, იმის გამოა, რომ პროცესი მარცხს განიცდის, ანუ წინა პლანზე წამოსწიეს საჭირობოროტო საკითხი, მაგრამ ის სათანადოდ არ განუხილავთ. ასეთ შემთხვევაში ჯგუფის საუკეთესო სვლა იქნება, თუ უკან დაბრუნდება და წინადადებას თავიდან განიხილავს. ამგვარ ხერხებს დროდადრო უნდა მიმართონ, განსაკუთრებით ძალიან დიდმა ჯგუფებმა.

არსებობს კონსენსუსის პროცესის რამდენიმე საკითხი, რომლებიც ხშირად პრობლემებსა თუ გაურკვევლობას წარმოშობს; შევეცდები, მოკლედ განვმარტო, რასაც ვგულისხმობ.

ერთი ის არის, რომ შეუძლებელია, ვინმემ ძალიან კარგად დაასაბუთოს ბლოკირება ჯგუფის ერთიანობის პრინციპებით, თუ ჯგუფს სინამდვილეში არ გააჩნია ისინი. ამრიგად, ყოველთვის უმჯობესია, არსებობდეს გარკვეული შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რატომ არსებობს ჯგუფი და რის მიღწევას ცდილობს იგი უმოკლეს დროში. ძალიან კარგია, თუ ეს პრინციპები მარტივი იქნება. მათი ჩამოყალიბებისას ასევე მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს: აქტივისტთა ნებისმიერი ჯგუფი იმისთვის არსებობს, რომ რაღაც გააკეთოს, გარკვეულწილად შეცვალოს სამყარო. ამგვარად, პრინციპები უნდა ასახავდეს, თუ რის მიღწევას ცდილობს ჯგუფი, ასევე იმასაც, თუ რა საშუალებით ცდილობს ის ამის გაკეთებას – და ეს ორი რამ (შედეგები და საშუალებები) ერთმანეთთან მაქსიმალურ ჰარმონიაში უნდა იყოს. რაც შეეხება ჯგუფის მიზნების განსაზღვრას, უკეთესია, ისინი მარტივად ჩამოყალიბდეს. ბევრად იოლია დაწერო, მაგალითად: „ჩვენ ვენინააღმდეგებით სოციალური იერარქიისა და ჩაგვრის ყველანაირ

ფორმას“, ვიდრე ეცადო, ჩამოწერო სოციალური იერარქიისა და ჩაგვრის ყველა სახეობა, რომელთა შესახებაც კი გსმენია.

ჯგუფისთვის ერთიანობის პრინციპების არსებობას, გარდა იმისა, რომ ნათელს ჰფენს ბლოკირებას, კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს. ის შესაძლებლობას აძლევს კეთილი ზრახვებით აღსავსე წევრებს, დროდადრო ყველას შეახსენონ, თუ რატომ შეიკრიბნენ ისინი ერთად. ამან შეიძლება ფასდაუდებელი დახმარება გასწიოს კონფლიქტების მოგვარებისას, რადგან გაცხარებული კონფლიქტის დროს ადამიანები ავლენენ არაჩვეულებრივ უნარს, დაივნიყონ, უპირველეს ყოვლისა, რისთვის შეიკრიბნენ. ამას სხვა საკითხამდე მივყავართ: კონფლიქტში ცუდი არაფერია, თუკი ის ადამიანებს შეახსენებს, თუ რა მიზნით მოიყარეს თავი. ეს კონსენსუსის კიდევ ერთი მცდარი გაგებაა. ხშირად გაიგონებთ: „კი მაგრამ, კონფლიქტი ხომ პოლიტიკის არსია. როგორ შეძლებთ მის აღმოფხვრას?“ ცხადია, ვერ შეძლებთ და არც უნდა ეცადოთ. ზოგიერთი გაურკვეველობა იმ ფაქტიდან მომდინარეობს, რომ ამერიკაში (ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით) აქტივისტებს კონსენსუსი თავდაპირველად კვაკერიზმის ტრადიციის საშუალებით გააცნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ აქტივისტთა უმრავლესობისათვის კონსენსუსთან პირველი შეხება უკავშირდებოდა წარმოდგენებს ზედაფენებზე და, სიმართლე გითხრათ, ბურჟუაზიაზე. ფიქრობდნენ, რომ, გარეგნულად მაინც, ყველა უაღრესად თავაზიანი უნდა ყოფილიყო. 1960-იანი წლების ბოლოს, რადიკალთა ძეგლბიჭური „დრამატული“ სანახაობების შემდეგ, სადაც სკამებზე შეხტომა და მუშტი-კრივი ნორმალურ ქცევად ითვლებოდა, კვაკერიზმითა და ფემინიზმით შთაგონებულ კონსენსუსს სანაქებო მაგალითის ძალა ჰქონდა. მაგრამ სულ მალე უაღრესად საჭირო ფემინისტური ტენდენცია, რომელიც მოიაზრებდა ერთმანეთის მოსმენას, ურთიერთპატივისცემასა და არაძალმომრეობით კომუნიკაციას, თანდათან, ნელ-ნელა, ამკარად, შეცვალა შეძლებულთა ფენის კოქთეილის წვეულების სტილმა, რომელიც მეტ მნიშვნელობას თავაზიანობასა და ევფემიზმებს ანიჭებდა და არასასიამოვნო ემოციების საჯაროდ გამოხატვას არ იწონებდა; ეს მანერა, თავის მხრივ, ისეთივე დამთრგუნველი იყო, როგორიც ადრინდელი ძეგლბიჭური ქცევა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც შეძლებულ ფენას არ მიეკუთვნებოდა.

თავიდან თუ „ბურჟუაზიულ“ სტილს ხალხი ვერაფრით შეეღია, ამ ბოლო წლებში ნელ-ნელა ხელი აიღო მასზე. მაგალითად, ფასილიტაციის საუკეთესო ტრენერები მიხვდნენ, რომ მართლაც უკეთესი იყო, ეთქვათ: „დიახ, ჩვენ მგზნებარე ადამიანები ვართ; აქ იმიტომ მოვედით, რომ ძალიან გვანუხებს, რაც ხდება, და ძლიერი ემოციები გვეუფლება; აღშფოთებისა და იმედგაცრუების გამოხატვა ისევე მნიშვნელოვანია (და ლოგიკურია), როგორც იუმორის და სიყვარულისა. უნდა გვესმოდეს, რომ თუ მიზნის მიღწევა გვინდა, ეს ყველაფერი კი არ უნდა ჩავახშოთ, არამედ პირიქით, მეგობრებსა და თანამოაზრეებს შორის კონფლიქტის გაღვივებასაც კი უნდა შევუწყოთ ხელი, ოღონდ, რა თქმა უნდა, ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ის, საბოლოო ჯამში, შეყვარებულებს შორის ჩხუბს ჰგავს. პრაქტიკაში ეს შემდეგნაირად ხორციელდება: მიუხედავად იმისა, რომ სავსებით კანონზომიერია, ეჭვი შეგეპაროს, მიზანშეწონილია თუ არა შეხვედრის მონაწილე სხვა ადამიანების სიტყვა ან საქმე, ან თუნდაც აღშფოთება გამოხატო მათი ნათქვამისა თუ მოქმედების გამო, მაინც ყოველთვის უნდა იცავდე უდანაშაულობის პრეზუმფციას, დარწმუნებული უნდა იყო მათ პატიოსნებასა და კეთილ ზრახვებში. ამის გაკეთება ზოგჯერ უკიდურესად რთულია. ხანდახან შეიძლება ყოველგვარი საფუძველი გქონდეს, ეჭვი შეგეპაროს იმაში, რომ შენი თანამოსაუბრეები არ იქცევიან პატიოსნად და არა აქვთ კეთილი ზრახვები. ვინმემ შეიძლება ისიც კი იფიქროს, რომ ისინი ფარულად მოქმედებენ და სინამდვილეში პოლიციელები არიან. მაგრამ შესაძლოა, იგი ცდებოდეს. და როგორც იმ შემთხვევაში, როცა გინდათ, რომ ადამიანები ბავშვებივით იქცეოდნენ, მაშინ ისე უნდა მოექცეთ მათ, როგორც ბავშვებს, აქაც ზუსტად იგივე პრინციპი მოქმედებს: თუ გინდათ, ადამიანებმა შეხვედრაზე უპასუხისმგებლობა გამოიჩინონ, ამისთვის საუკეთესო საშუალებაა, ისე მოექცეთ მათ, თითქოს ეს თვისება უკვე გამოავლინეს. ამიტომ, მართალია, ამის გაკეთება საკმაოდ ძნელია, ყველა ფიზილად უნდა იყოს, რომ ამგვარი ქცევა არ გამოეპაროს და აღმოჩენისთანავე გამოავლინოს ის. არაფერი დაშავდება, თუ ვინმეს ეტყვი, რომ ის იდიოტია, თუ თქვენ მართლა ასე ფიქრობთ მასზე; მაგრამ არ შეიძლება ვინმეს დააბრალოთ, რომ ის მიზანმიმართულად ცდილობს მოძრაობის დაშლას.

თუ გაირკვევა, რომ მავანნი მართლაც განზრახ ცდილობენ მოძრაობის დაშლას, მაშინ არსებობს გზები, რომელთა საშუალებითაც ამას შეეწინააღმდეგებით. თუ აღმოჩნდება, რომ ვინმე არის პოლიციელი ან ნაციისტი, ანდა აქტიურად ცდილობს, დაბლოკოს ჯგუფი და ხელი შეუშალოს მას მიზნის მიღწევაში, ან სრულიად შეურაცხადია, მაშინ უნდა არსებობდეს მათი უვნებელყოფის გარკვეული საშუალებები; თუმცა ეს შეხვედრის ფარგლებს გარეთ უნდა მოხდეს. ნიუ-იორკში ასეთი პრობლემა შეგვექმნა: მაშინაც კი, როცა ადამიანები აცხადებდნენ, რომ მათ მიზანს შეხვედრის ჩაშლა წარმოადგენდა, ხშირ შემთხვევაში, მათ მაინც ვერაფერი უშლიდა ხელს, ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიეღოთ. ბოლოს და ბოლოს, მივედით დასკვნამდე, რომ ასეთ ადამიანებს იოლად გაუმკლავდები, თუ მათგან შორს დაიჭერ თავს: ყოველგვარი რეაგირების გარეშე ტოვებ ყველაფერს, რასაც არ უნდა ამბობდნენ, ან აკეთებდნენ ისინი. ეს მიდგომა თავდაპირველად საკმაოდ სპონტანურად, „სახალხო მიკროფონის“ გამოყენებისას შემუშავდა: თუ ვინმე იტყოდა ისეთ რამეს, რასაც სხვები შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ, უბრალოდ, შეწყვეტდნენ მის გამეორებას და, საბოლოო ჯამში, თუკი სპიკერი კვლავ ისეთივე შეურაცხყოფელი ტონით აგრძელებდა ლაპარაკს, აღმოაჩენდა, რომ მისი ნათქვამი უკვე აღარავის ესმოდა.

ყოველთვის არსებობს საზღვარი, საყოველთაოდ აღიარებული ან კიდევ სხვაგვარი. თუ საზღვრები საყოველთაოდ აღიარებული არ არის, მაშინ მათი არსებობა იმ წამიდან ხდება შესამჩნევი, როცა მათ ვინმე დაარღვევს. როგორც „ტაქტიკის სახეობათა მრავალფეროვნება“ **(კონცეფცია, რომლის თანახმად, ტაქტიკის მშვიდობიან და „არამშვიდობიან“ სახეობებს შორის არჩევანი უნდა გაკეთდეს სიტუაციის შესაბამისად. რედ.)** ემყარება იმას, რომ თავისთავად იგულისხმება – არავინ არასოდეს მივა დემონსტრაციაზე მანქანის ასაფეთქებელი ბომბითა თუ ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარამტყორცნით, ზუსტად ასევე, იმის მტკიცებაც, რომ არც ერთი აქტივისტი არ უნდა გააძევონ შეხვედრიდან, გარკვეულ პარამეტრებს უნდა გულისხმობდეს.

ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში წარმომადგენლობით საბჭოს დავესწარი, სადაც დიდხანს კამათობდნენ საკითხზე, უნდა არსებობდეს თუ არა „საზოგადოებრივი შეთანხმება“, და საერთო

პრინციპი იმის თაობაზე, რომ თუ ვინმე დაარღვევს ამ შეთანხმებას, მას უნდა ეთხოვოს, ნებაყოფლობით დატოვოს შეხვედრა. ამ წინადადებას ყველა ერთობლივად ეწინააღმდეგებოდა. უეცრად ვილაცამ შენიშნა ერთ-ერთი დელეგატი, რომელსაც ხელში ეჭირა დაფა წარწერით: „არიული იდენტობის სამუშაო ჯგუფი“. მას ხალხი მაშინვე გარს შემოეხვია (მათ შორის ისეთებიც, ვინც ცოტა ხნის წინ ხმამაღლა ამტკიცებდა, რომ ზემოხსენებული წესი მეტისმეტად სასტიკი იყო) და აიძულა, შეხვედრა დაეტოვებინა.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმ მრავალთაგან, რომლებიც აქტივისტთა ჯგუფებმა წლების განმავლობაში შეიმუშავეს, რომ კონსენსუსის პროცესს ფუნქციონირება გაეგრძელებინა. კიდევ მრავალი მეთოდი არსებობს („განმმუხტავი შენიშვნები“, „როტაციები“, „პოპკორნი“, „სიტუაციის განხილვა ფართო მასების მიერ“ და ა. შ.) და მათი გამოყენების შესახებ დეტალური ინსტრუქციებიც ხელმისაწვდომია (ძალიან მარტივად – ჩოგლე-ის საძიებო სისტემის საშუალებით). ფასილიტაციისა და კონსენსუსის პროცესის შესახებ ჩემი საყვარელი სახელმძღვანელოს ავტორია აქტივისტი და მწერალი სტარჰოკი, თუმცა კიდევ ბევრი შეიძლება ნახოთ, ყველანაირ გემოვნებას რომ შეესაბამება. ასევე არსებობს ორგანიზების სხვადასხვა მოდელი (მაგალითად, „გენერალური ასამბლეები“ და წარმომადგენლობითი საბჭოები), რომელთაგან თითოეულს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. არ არსებობს ერთი სწორი მიმართულება, ან მოქმედების გეგმა, რომელიც განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა გაფართოვდეს ამ მოდელების მასშტაბები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მთელი საზოგადოების ორგანიზება უშუალო დემოკრატიის საფუძველზე. კონსენსუსის პროცესის ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ის მრავალფეროვანია და შეიძლება ადვილად მოარგო სხვადასხვა ტიპის შეკრებას. აქ მოყვანილია ზოგიერთი პრაქტიკული მოსაზრება და საყოველთაოდ გავრცელებული მცდარი წარმოდგენები კონსენსუსის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით, რაც, იმედია, დაინტერესებულ მკითხველს ამგვარ საკითხებში გარკვევას გაუადვილებს.

კითხვები, რომლებსაც სწრაფი კონსენსუსის შესახებ ხშირად სვამენ

კ: განა მთელი ეს „კონსენსუსის პროცესი“ თავისთავად ნაგულისხმევ ან ფარულ ლიდერთა დაპირისპირებული დაჯგუფების მეშვეობით მანიპულირებამდე არ დაიყვანება?

პ: თუ მოქმედებთ კონსენსუსით ყოველგვარი წესების გარეშე, მაშინ დიახ, ფარული ლიდერობის გაჩენა გარდაუვალი იქნება – ყოველ შემთხვევაში, იმ დროისთვის მაინც, როცა თქვენი ჯგუფი გაიზრდება და მისი რიცხვი 8-9 ადამიანს გადააჭარბებს. მწერალი და აქტივისტი ჯო ფრიმანი ამაზე ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, ფემინისტური მოძრაობის საწყის ეტაპზე მიუთითებდა. ის, რასაც ახლა ჩვენ „კონსენსუსის პროცესს“ ვუწოდებთ, ძირითადად, ამ პრობლემაზე რეაგირების მიზნით შეიქმნა, ფრიმანის კრიტიკული შენიშვნის შემდეგ.

ფასილიტატორის როლი აქ მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს. თუ (ა) შეხვედრის წარმმართველიცა და (ბ) წინადადებების წარმდგენიც ერთი და იგივე პირია, მაშინ ნათელია, რომ საქმე ცუდად ორგანიზებულ პროცესთან გვაქვს. ნებისმიერ ჰორიზონტალურ ჯგუფში დადგენილია პირობა, რომ ფასილიტატორმა წინადადება თვითონ არ უნდა წარადგინოს. იგი შეხვედრას ესწრება იმისათვის, რომ მოუსმინოს, შეასრულოს შუამავლის როლი, რომლის დახმარებითაც ჯგუფი შეძლებს, იაზროვნოს. ჩვეულებრივ, ამასთან, ფასილიტატორის ფუნქცია რამდენიმე ადამიანზე შეიძლება გადანაწილდეს: ერთი პირი უძღვება შეხვედრას, მეორე პასუხისმგებელია გამომსვლელთა თანმიმდევრობის რეგულირებაზე (აღნუსხავს, ვინ ითხოვა სიტყვით გამოსვლა), მესამე აკონტროლებს დროს, მეოთხე თვალყურს ადევნებს განწყობას და ზრუნავს, რომ ენერგია „არ შესუსტდეს“ და ვინმემ თავი გარიყულად არ იგრძნოს. ეს კი ფასილიტატორისთვის დებატების მანიპულირებას უფრო ართულებს (თუმცა ამას ის შეიძლება ვერც აცნობიერებდეს). ფასილიტატორები ერთმანეთს ენაცვლებიან, რაც ჯგუფს საშუალებას აძლევს, მუდმივად შეინარჩუნოს გენდერული ბალანსი როგორც ფასილიტატორებს, ისე გამომსვლელთა შორის.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაპირისპირებული დაჯგუფებები არ წარმოიშობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე დიდ ჯგუფებს ეხება; ან – ზოგიერთებს ძალაუფლებად გაცილებით მეტი ზეგავლენა არ ექნებათ, ვიდრე სხვებს. ერთადერთი გამოსავალი ისაა, ჯგუფმა სიფხიზლე არ მოადუნოს, რომ ამგვარი დაჯგუფების წარმოშობა არ გამოეპაროს.

კ: თუ თქვენ ამბობთ, რომ ამგვარი გავლენიანი დაჯგუფებები მაინც წარმოიქმნება, ხომ არ აჯობებს, უბრალოდ, ვალიაოთ ის ფაქტი, რომ ლიდერები მართლა არსებობენ და, აქედან გამომდინარე, უკეთესია, ლიდერობის სტრუქტურა ოფიციალურად შეიქმნას, ვიდრე არსებობდეს ფარული, გაუგებარი ლიდერობა, რომელსაც არავინ აღიარებს?

პ: რაც არ უნდა გასაკვირი იყოს – არა. იმ ადამიანებს, რომლებიც მეტ სამუშაოს ასრულებენ, რა თქმა უნდა, მეტი ზეგავლენა ექნებათ. ეს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მათ, ვისაც მეტი დრო აქვს. ზოგიერთები აუცილებლად დაიწყებენ კოორდინირებულად მოქმედებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ ადამიანს მეტად მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე. ეს რეალური პრობლემაა. ნებისმიერ ეგალიტარულ ჯგუფში ინფორმაცია უფრო შეზღუდული რესურსი ხდება: თუ იერარქიები ვითარდება, ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთ ადამიანს აქვს სიტუაციაში გარკვევის საშუალებები, სხვებს კი – არა. ინფორმაციაზე პრივილეგირებული წვდომის მქონე პირთა „ლიდერებად“ გამოცხადებით ამ ფაქტს ოფიციალურად დავადასტურებთ, რაც პრობლემას, მოგვარების ნაცვლად, კიდევ უფრო გაამწვავებს. ერთადერთი გზა, რომლითაც შესაძლებელი იქნება, ვაკონტროლოთ, რომ ამ ჯგუფმა საკუთარი ნება თავს არ მოახვიოს სხვებს, არის ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის რაც შეიძლება ფართო ხელმისაწვდომობას და მუდმივად შეახსენებს ყველაზე აქტიურ წევრებს, რომ არ არსებობს არავითარი ოფიციალური ლიდერობის სტრუქტურა და არავის აქვს უფლება, საკუთარი ნება თავს მოახვიოს სხვას.

ანალოგიურად, არაოფიციალური ლიდერული დაჯგუფების წევრების „საკოორდინაციო კომიტეტის“ წევრებად გამოცხადება,

რომელთა ხელახლა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ყველა დანარჩენს დაახლოებით ყოველ ექვს თვეში ერთხელ შეუძლია, მათ „უფრო მეტად ანგარიშვალდებულს“ არ გახდის, რასაც ხშირად ვარაუდობენ ხოლმე (მიუხედავად მთელი მათი გამოცდილებისა); არამედ პირიქით, ამით მათ, აშკარად, კიდევ უფრო შეუმცირდებათ ანგარიშვალდებულება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ უნდა ეფიქრა ვინმეს, რომ ასე არ მოხდებოდა?*

კ: დავუშვათ, რომ კონსენსუსი საკმაოდ კარგად მუშაობს პატარა ჯგუფში, კვარტალში ან თემში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, მაგრამ როგორ იმუშავებს ის ერთმანეთისთვის უცხო ადამიანებისგან დაკომპლექტებულ დიდ ჯგუფში, რომლის წევრებსაც თავდაპირველად არა აქვთ საფუძველი, ერთმანეთს ენდონ?

პ: თემი არ უნდა გავაიდევლოთ. მართალია, ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება ერთად გაატარეს, ვთქვათ, რომელიმე სოფელში, სავარაუდოდ, უფრო გაიზიარებენ ერთმანეთის ხედვას, ვიდრე ისინი, ვინც გაუცხოებულ მეგაპოლისებში ცხოვრობს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მჭიდროდ დასახლებულ არეალში მცხოვრები ინდივიდები, სავარაუდოდ, უფრო სასტიკი მტრებიც იქნებიან ერთმანეთის მიმართ. ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მათ შეუძლიათ, კონსენსუსს

* სინამდვილეში ამის მიზეზი ლიბერალური პოლიტიკის თეორიაში წარმოშობილი, ფართოდ გავრცელებული მცდარი მოსაზრებაა, რომელიც უპირისპირდება ნებისმიერ რამეს, რაც შეიძლება წააგავდეს „დისკრეციულ უფლებამოსილებას“ (ესაა თვითნებობაზე დამყარებული ხელისუფლება, რომელიც არაა შეზღუდული ნორმატიული აქტებით ან ქვევის წინასწარ დადგენილი ნორმებით. რედ.). სულ მცირე, ერთი საუკუნის მანძილზე მთავრობის მიერ საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობის განხორციელების ძირითად გასამართლებელ მიზეზად ითვლებოდა მოსაზრება, თითქოს ქმედება კანონსაწინააღმდეგოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეტალურად შემუშავებულ, ფართოდ გავრცელებულ წესებს არღვევს. აქ იგულისხმება, რომ ძალაუფლების ნებისმიერი გამოყენება, გავლენის სახითაც კი, გამართლებული არ არის, თუ ის ოფიციალურად აღიარებული არაა და უფლებამოსილებებიც დეტალურად არ არის განვრჩილი. შედეგად, არაოფიციალური ძალაუფლება (იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის ძალადობრივი არ არის) რატომღაც უფრო მეტ საფრთხედ მიიჩნევა ადამიანთა თავისუფლებისათვის, ვიდრე თავად ძალადობა. საბოლოო ჯამში, ეს რაღაც უტოპიაა: შეუძლებელია მკაფიო და გარკვეული წესების არსებობა, რომლებიც ყველა სახის პოლიტიკურ ქმედებას მოიცავს.

მიაღწიონ, ადასტურებს, რომ ადამიანს გააჩნია უნარი, დაძლიოს სიძულვილი საერთო კეთილდღეობის გულისთვის.

რაც შეეხება უცხო ადამიანების შეხვედრებს: თუ ვინმე შემთხვევითი შერჩევით ქუჩიდან შეკრებს ხალხს და აიძულებს, დაესწრონ შეხვედრას, მათი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, მაშინ ეს ადამიანები, სავარაუდოდ, ბევრი საერთოს გამონახვას ვერ მოახერხებენ (გარდა გაქცევის შეთქმულების მომზადებისა). მაგრამ არავინ მიდის შეხვედრაზე საკუთარი სურვილით, თუ ამ შეხვედრისგან რაღაცას არ მოელის – ეს ის საერთო მიზანია, რომლის მიღწევასაც იქ ყველა ცდილობს. თუ ისინი შეხვედრის მთავარი გეზს არ ასცდებიან და მუდმივად ემახსოვრებათ, რისთვისაც შეიკრიბნენ, მაშინ, ზოგადად რომ ვთქვათ, განსხვავებები მათ ხელს ვერ შეუშლის.

კ: თუ დიდი შეხვედრების დროს გინევთ, მიმართოთ 66, 75 ან 90%-იან კენჭისყრასაც კი, რატომ უნოდებთ ამას „მოდელიზირებულ კონსენსუსს“? განა ეს კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა არაა? რატომ არ უნდა იყოს, უბრალოდ, გულწრფელი და დააარქვავთ ამას თავისი სახელი?

პ: ეს არ არის, ფაქტობრივად, ერთი და იგივე. კონსენსუსში ყველაზე მნიშვნელოვანია სინთეზის პროცესი, როცა შემოთავაზებული წინადადებების გადამუშავების პროცესი იქამდე გრძელდება, სანამ მისაღები არ იქნება მონაწილეთა ყველაზე დიდი პროცენტული ნაწილისთვის და მიუღებელი – მხოლოდ უმცირესი პროცენტული ნაწილისთვის. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ დიდ ჯგუფებში მაინც ხდება, რომ ვიღაც ახდენს ბლოკირებას და არსებითი უთანხმოება წარმოიშობა იმის თაობაზე, ნამდვილად გამოხატავს თუ არა ეს ბლოკირება ჯგუფის ძირითად პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში გაქვთ არჩევანი, მიმართოთ კენჭისყრას. მაგრამ ვინც დასწრებია, ვთქვათ, ორი მესამედის უმრავლესობით კენჭისყრაზე დამყარებულ შეხვედრას, დაადასტურებს შემდეგს: თუ დაუყოვნებლივ მიმართავთ კენჭისყრას, მაშინ მთელი დინამიკა განსხვავებული იქნება, რადგან არასოდეს არსებობს გარანტია იმისა, რომ ყველას ხედვა თანაბრად დაფასდება. ის შეხედულებები, რომლებიც შეხვედრის მონაწილეთა ერთ

მესამედზე ნაკლების პოზიციას წარმოადგენს, შესაძლებელია, უბრალოდ, უგულებელყოფილ იქნეს.

კ: როგორ მოვიქცეთ, თუ ადამიანები ბოროტად იყენებენ სისტემას?

პ: არსებობენ ადამიანები, რომელთა მონაწილეობაც დემოკრატიულ შეკრებას, გარკვეული მიზეზების გამო, ძალიან დიდ ზიანს აყენებს ან ხელის უშლის. არიან ისეთებიც, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია, თუმცა ისინი ზოგჯერ ისეთ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან, მათთან ურთიერთობა იმდენად რთულია და მუდმივად იმდენ ყურადღებას ითხოვენ, მათ რომ სურვილები აუსრულოთ, მათ აზრებსა და გრძნობებს რომ ანგარიში გაუწიოთ, ამ ადამიანებისთვის გაცილებით მეტი დროის დათმობა მოგიხდებათ, ვიდრე ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის. ეს იმთავითვე ეწინააღმდეგება პრინციპს, რომ ყველას მოსაზრებებს და გრძნობებს თანაბარი ფასი უნდა ჰქონდეს. თუ მავანი მუდმივად არღვევს წესრიგს და ჯგუფისთვის საზიანო საქმეს სჩადის, მაშინ უნდა არსებობდეს საშუალება, რომ ვთხოვოთ მას, დატოვოს შეხვედრა. თუ უარს განაცხადებს, მაშინ შემდეგი ნაბიჯი იქნება, ხმა მივანვდინოთ მის მეგობრებსა თუ თანამოაზრეებს და ვთხოვოთ, დაგვეხმარონ მის დარწმუნებაში. თუ არც ეს მოხერხდება, მაშინ საუკეთესო მიდგომა იქნება, მივიღოთ კოლექტიური გადაწყვეტილება მათი სისტემატური იგნორირების შესახებ.

კ: არის თუ არა კონსენსუსის დაჟინებული მოთხოვნა ინდივიდუალობისა და კრეატიულობის ჩახშობა? განა ეს ხელს არ უწყობს გარკვეული ნორმებისადმი ბრმა მორჩილებას?

პ: დიახ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ყველაფერი ცუდად გაკეთდება. ყველაფერი შეიძლება ცუდად გააკეთო. კონსენსუსის პროცესი ხშირად ძალიან ცუდად წარიმართება ხოლმე. მაგრამ ეს, ძირითადად, იმიტომ ხდება, რომ ბევრი ჩვენგანისთვის ის სიახლეს წარმოადგენს. ჩვენ დემოკრატიულ კულტურას, ფაქტობრივად, ნულიდან ვაშენებთ. თუ ყველაფერს სწორად წარვმარ-

თავთ, მაშინ არც ერთი სხვა პროცესი არ დაუჭერს მხარს ინ-
დივიდუალიზმსა და კრეატიულობას ისე, როგორც კონსენსუსი,
რადგან ის ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც, არც კი
უნდა სცადო, სხვები მთლიანად შენს პოზიციაზე გადმოიყვანო;
რომ ჩვენ შორის არსებული განსხვავებები წარმოადგენს საერთო
რესურსს, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ და დაბრკოლება არ
უნდა შეეუქმნათ საერთო მიზნებისკენ სწრაფვას.

რეალური პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როცა კონსენ-
სუსი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესს ისეთ
ჯგუფებში, სადაც ძალაუფლება (აღიარებული ან არააღიარებ-
ული) უკვე მკვეთრად არათანაბარია, ან სადაც უკვე არსებობს
კონფორმიზმის კულტურა (როგორი სახით აღწევნ კონსენსუსს,
ამის განსაკუთრებული მაგალითია იაპონური კორპორაციები, ან
თუნდაც ისეთი ამერიკული კორპორაცია, როგორიცაა Harley-
Davidson). ასეთ შემთხვევებში, ეჭვგარეშეა, რომ „კონსენსუსის“
მოთხოვნა საქმეს უფრო გააუარესებს. მაგრამ აქ კონსენსუსი იმ
თვალსაზრისით, რომელიც ამ წიგნშია ასახული, საერთოდ არ
არსებობს; ეს უფრო იძულებითი ერთსულოვნებაა. არ მოიძებ-
ნება სხვა უფრო ეფექტური საშუალება ამგვარი დემოკრატიული
პროცედურების რადიკალური პოტენციალის დანგრევისა, ვიდრე
ის, რომ ადამიანებს მოაჩვენო, თითქოს მათ იყენებენ, მაშინ,
როცა ეს ასე არ არის.

**კ: გონივრულია, გვჯეროდეს, რომ ადამიანები ყოველთვის
დაესწრებიან თოთხმეტსათიან შეხვერებს?**

პ: არა, სრულიად არაგონივრულია. ცხადია, ძალა არავის უნდა
დავატანოთ (თუნდაც ეს მორალური ზეწოლა იყოს), დაესწრონ
შეხვედრებს, თუ ეს მათი სურვილი არ იქნება. მაგრამ არც ის
გვინდა, რომ ხალხი დაიყოს ლიდერების ფენად, რომელსაც აქვს
დრო, დაესწროს ხანგრძლივ შეხვედრებს, და „მიმდევართა“ ფე-
ნად, რომელიც არასოდეს გამოხატავს თავის მოსაზრებას მნიშ-
ვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. ტრადიციულ
საზოგადოებებში, რომელთაც კონსენსუსის მრავალსაუკუნოვანი
გამოცდილება აქვთ, ჩვეულებრივ, გამოსავალს ხედავენ შეხვე-
დრის გართობად გადაქცევაში: შემოაქვთ იუმორი, მუსიკა, პოე-

ზია, რომ ხალხმა მართლა ისიამოვნოს დახვეწილი რიტორიკული თამაშებისა და მათი თანმდევი დრამების ცქერით (მადაგასკარი ამ შემთხვევაშიც ჩემი საყვარელი მაგალითია. ერთგვარ რიტორიკას, რომელსაც შეხვედრებზე იყენებენ, იქ ძალიან აფასებენ; მე ვუსმენდი უმაღლესი რანგის დახელოვნებულ ორატორებს, რომლებიც მუსიკალური ფესტივალის მონაწილე როკ-ჯგუფების მსგავსად ასრულებდნენ ერთგვარ გასართობ ნომრებს); მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ის საზოგადოებებია, რომელთაც მეტი დრო აქვთ (ალარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ არა აქვთ ტელევიზორი და სოციალური მედია, რომლებიც მათ ყურადღებას დაიპყრობდა). თანამედროვე ურბანულ კონტექსტში (რომელშიც გამოორიციხულია საწყისი ეტაპი, როცა ყველა ღელავს, ბოლომდე არ იციან, მიიღებენ თუ არა, საერთოდ, მონაწილეობას) საუკეთესო გამოსავალია, თოთხმეტსაათიანი შეხვედრები, უბრალოდ, არ გაიმართოს. სიფრთხილით მოეკიდეთ დროის ლიმიტებს: ათი წუთი გამოყავით ერთი თემის განხილვისთვის, ხუთი – მეორისთვის და არაუმეტეს ოცდაათი წამისა – თითოეული გამომსვლელისთვის. მუდმივად შეახსენეთ გამომსვლელებს, რომ არ არის საჭირო იმის გამეორება, რაც სხვამ უკვე თქვა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: არ წარადგინოთ შეთავაზებები დიდი ჯგუფის წინაშე, თუ ამისათვის მყარი საფუძველი არ იქნება. ეს არსებითია. ეს მართლაც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ცალკე ნაწილს დავუთმობ.

ნუ გაიტანთ განსახილველად წინადადებას კონსენსუსზე, თუ ამისთვის მყარი საფუძველი არ გექნებათ

კონსენსუსის პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, თუ რადიკალური დეცენტრალიზაციის პრინციპთან არის შერწყმული.

ნამდვილად არ შემოიძლია სათანადო ყურადღება არ მივაქციო ამას. თუ არსებობს რაიმე ნათელი წერტილი ფორმალური კონსენსუსის პროცესის რთულ ბუნებაში, მაშინ ის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გადააფიქრებინოს ადამიანებს, გაიტანონ წი-

ნადადეგები გენერალური ასამბლეის, წარმომადგენლობითი საბჭოების ან სხვა დიდი ჯგუფების წინაშე განსახილველად, თუ ამის აუცილებლობა მართლა არ დგას. ყოველთვის სჯობს, თუ შესაძლებელია, გადაწყვეტილებები უფრო მცირე ჯგუფებში მიიღონ: სამუშაო ჯგუფებში, თანამოაზრეთა ჯგუფებში, კოლექტივებში. ინიციატივა ქვემოდან უნდა მოდიოდეს. არ უნდა გაჩნდეს განცდა, რომ საჭიროა ვინმეს ნებართვა, თუნდაც „გენერალური ასამბლეისა“ (რომელიც თითოეული „ვინმეს“ ერთობლიობაა), თუკი ნებართვის გარეშე პროცესის გაგრძელება რაიმე სახის ზიანის მომტანი არ იქნება.

ნება მომეცით, მოვიყვანო მაგალითი.

როცა ჩვენ ჯერ კიდევ ტომპკინსის მოედანზე, სკვერში ვიყავით შეკრებილი, ვიდრე ფაქტობრივი „ოკუპაცია“ დაიწყებოდა, პროპაგანდის ჯგუფმა კინალამ არსებობა შეწყვიტა, როდესაც მან წარმოადგინა „დაიკავე უოლ სტრიტის“ ჯგუფის ბუნებისა და მიზნების ორსტრიქონიანი აღწერა ფლაერების ტექსტისთვის, რომელიც მაშინვე დაიბლოკა „გენერალურ ასამბლეაზე“. ქალი, რომელიც პროპაგანდის ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი იყო, გაღიზიანებას ვერ მალავდა და მეძებდა მე, როგორც, სავარაუდოდ, კონსენსუსის პროცესის კარგ მცოდნეს, რათა გაერკვია, არსებობდა თუ არა შუამდგომლობის რაიმე საშუალება. დავფიქრდი და ვკითხე: „კარგი, საერთოდ, რატომ გაიტანეთ ტექსტი ჯგუფის წინაშე განსახილველად?“

„იმიტომ, რომ ჩავთვალე, უკეთესი იქნებოდა, თუ ყველა დაეთანხმებოდა იმ ფორმას, რომლითაც მათ სხვებს წარუდგენდით. მაგრამ, ეტყობა, როგორი ტექსტიც არ უნდა შესთავაზოთ, რაოდენ მინიმალისტურიც არ უნდა იყოს ის, მაინც გამოჩნდება ვინმე, ვინც მისი წინააღმდეგი იქნება. იმას ვგულისხმობ, რომ განცხადება, რომელიც ჩვენ მათ შევთავაზეთ, მართლა არ იმსახურებდა გაპროტესტებას!“

„დარწმუნებული ხართ, ისინი იმ ფაქტს არ აპროტესტებენ, რომ თქვენ, საერთოდ, ჯგუფის წინაშე განსახილველად გაიტანეთ ტექსტი?“

„ამის საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონდეთ?“

„კარგი, მოდი, დავფიქრდეთ ამაზე. თქვენ ხართ პროპაგანდის ჯგუფი, სამუშაო ჯგუფი, რომელსაც „გენერალურმა ასამ-

ბლემ“ დაავალა ინფორმაციის გავრცელება. ვფიქრობ, თქვენ შეიძლება განაცხადოთ, რომ მონიჭებული გაქვთ ინფორმაციის გავრცელების უფლებამოსილება, მაშინ, შესაბამისად, უფლებამოსილი ხართ, აკეთოთ, რაც ინფორმაციის გასავრცელებლად გჭირდებათ, როგორცაა, ვთქვათ, ჯგუფის აღწერის ერთგვარი ფორმის მოფიქრება. ასე რომ, არა მგონია, რეალური მიზეზი არსებულიყო საიმისოდ, ჯგუფისთვის შესათანხმებლად მიგემართათ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ თავად არ მიგაჩნიათ, რომ არსებობს რალაც, რაც საკმაოდ საკამათოა და რისი შემონმებაც გასურთ. იმის თქმა მინდა, რომ მე იქ არ ვყოფილვარ. ამიტომ გეკითხებით: იყო რაიმე საკამათო?“

„არა. ვფიქრობდი, რომ თუკი მას რაიმე ნაკლი ჰქონდა, ის იყო, რომ სიმძაფრე აკლდა“.

სწორედ ასე ხდება მაშინ, როცა ფიქრობთ, რომ ყველაფერზე თანხმობა გჭირდებათ.

ამ საუბრის შემდეგ მე მოვძებნე ის პირი, რომელმაც თავდაპირველად დაბლოკა ტექსტი და აღმოვაჩინე, რომ იგი სავსებით ეთანხმებოდა ჩემს ვარაუდს. მან დაბლოკა ტექსტი, რადგან სურდა, დაენერგა, რომ სამუშაო ჯგუფებს თავად მიეღოთ გადაწყვეტილებები მსგავს თემებზე (მთავარ პრობლემას მაშინ პროცესის განსხვავებულობა სულაც არ წარმოადგენდა; ბლოკატორმა ვერ შეძლო, სათანადოდ განემარტა, თუ რატომ მოიქცა ასე).

ნაცადი ზოგადი წესია: გადაწყვეტილებების მიღება სჯობს მცირე მასშტაბით და რაც შეიძლება დაბალ დონეზე.* არ მოითხოვოთ მათი დადასტურება მაღალ დონეზე, თუ ამის გადაუდებელი საჭიროება არ არსებობს. მაგრამ როდის ხდება საჭიროება გადაუდებელი? რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ, რეალურად, ვის უნდა მიეცეს საკითხის შესახებ მოსაზრების გამოთქმის საშუალება და ვის – არა?

თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, აღმოვაჩინეთ, რომ რადიკალური აზროვნების ისტორიის უმეტესი ნაწილი (განსაკუთრებით

* ევროკავშირის ფარგლებში ამ პრინციპს საშინელი, გაუგებარი ტერმინით მოიხსენიებენ: „ინიციატივის დელეგირება აღმასრულებელი ხელისუფლების ქვედა რგოლებზე“. რამდენადაც ვიცი, ამ პრინციპის გამოსახატავად უკეთესი გამოთქმა არ არსებობს, უბრალოდ, მე არ მინდოდა მისი გამოყენება.

– რადიკალური დემოკრატიული აზროვნება) სწორედ ამ კითხვაზე არის კონცენტრირებული. ვინ იღებს გადაწყვეტილებებს და რატომ? ამან, ძირითადად, ორ პრინციპს შორის დაპირისპირების ფორმა მიიღო: ერთს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მუშათა თვითორგანიზებას, ან, უბრალოდ, მუშათა კონტროლს; ხოლო მეორეს შეგვიძლია, უშუალო დემოკრატია ვუწოდოთ.

წარსულში უფრო ხშირად იყენებდნენ ტერმინს „მუშათა კონტროლი“, რადგან ეს სიტყვა სამუშაო ადგილების ორგანიზებას გულისხმობდა, მაგრამ, როგორც ძირითადი პრინციპი, ნებისმიერ კონტექსტში შეიძლება ჩავსვათ. ძირითადი პრინციპი დაიყვანება იდეამდე, რომ ადამიანებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული აქციის გარკვეულ პროექტში, თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეთ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი. ეს ის პრინციპია, რომელიც, მაგალითად, თეორეტიკოს მაიკლ ალბერტის მიერ შემოთავაზებულ მონაწილეობითი ეკონომიკის სისტემას (parecon) უდევს საფუძვლად. მან სცადა, პასუხი გაეცა კითხვაზე: შრომის ორგანიზების რომელი ფორმა უზრუნველყოფს ჭეშმარიტად დემოკრატიულ სამუშაო გარემოს? მისი პასუხი იყო: „დაბალანსებული სამუშაო კომპლექსები“ – ორგანიზაციები, რომლებშიც ყველა გარკვეულ წილ ფიზიკურ, გონებრივ და ადმინისტრაციულ სამუშაოს შეასრულებდა. მუშათა კონტროლის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თუ ჩართული ხარ პროექტში, მაშინ სრული უფლება გაქვს, გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, როგორ მიმდინარეობს ის.

მეორე, ანუ უშუალო დემოკრატიის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ყველას, ვისზეც აქციის პროექტი უშუალო ზემოქმედებას მოახდენს, მისი განხორციელების შესახებ მოსაზრების გამოხატვის საშუალება უნდა ჰქონდეს. ცხადია, აქ ჩართულობის ხარისხი საკმაოდ განსხვავებულია. ამგვარ ხედვას გარკვეული წესის სახე რომ მისცემოდა, მაშინ იგი დემოკრატიული თემური შეკრებების ერთგვარ ფორმამდე მიგვიყვანდა, რათა თავი მოეყარა ყველა იმ პირის მოსაზრებებისათვის, რომლებისთვისაც პროექტს გარკვეული სარგებლობა უნდა მოეტანა. მაგრამ ყველაფრის ჩარჩოებში მოქცევა საჭირო არაა. ბევრი გარემოებაა ისეთი, სადაც ალბათ მნიშვნელოვანია, რომ ეს არ მოხდეს.

მადგასკარზე, სადაც ხალხი ძალიან დიდი ხანია, კონსენსუსის სულისკვეთებით მოქმედებს, არსებობს პრინციპი, რომელსაც „ფოკონოლონ“ ეწოდება, რომლის შინაარსის ახსნა ძნელია, რადგან ის ხან ითარგმნება, როგორც „საჯარო შეკრება“, ხან კი – როგორც, უბრალოდ, „ყველა ადამიანი“. ფრანგი კოლონისტები თვლიდნენ, რომ „ფოკონოლონ“ ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტია იყო, რომელიც შეიძლებოდა მათი ადმინისტრაციის გაფართოებულ ნაწილად გადაქცეულიყო; მოგვიანებით მადგასკარის მთავრობები ხშირად ცდილობდნენ, ისინი ადგილობრივი დემოკრატიის საფუძვლად ექციათ. სინამდვილეში ეს არასოდეს ამართლებს და, ძირითადად, იმიტომ, რომ ისინი არ წარმოადგენენ ოფიციალურ ორგანოებს, არამედ – შეკრებებს, რომლებიც ეწყობა ისეთი კონკრეტული პრობლემის გამო, როგორიცაა: დავის მოგვარება, სარწყავი წყლის განაწილება, გზის მშენებლობის დაწყება; ის იმ ხალხს აერთიანებს, რომლის ცხოვრებაზეც მიღებული გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, ზეგავლენას მოახდენს.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ეს ორი პრინციპი – უშუალო დემოკრატია და მუშათა კონტროლი – ერთმანეთს დაუპირისპირონ და საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს მათგან აუცილებლად ერთ-ერთი უნდა აირჩიო; ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება კი, სავარაუდოდ, ორივეს კომბინაციას უნდა ემყარებოდეს. წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე პატარა ქალაქში არის ქალაქის ქარხანა; იქაურ მცხოვრებლებს, რომელთა ცხოვრებაზეც ქარხანა ალბათ, გარკვეულწილად, ზეგავლენას ახდენს, არაფერში არ უნდა სჭირდებოდეთ და არც უნდა უნდოდეთ ქარხნის საშვებულებო სისტემის განხილვაში ჩარევა; თუმცა ყველანაირი საფუძველი აქვთ იმისათვის, რომ დაინტერესდნენ, რას ღვრის ქარხანა ადგილობრივ მდინარეში.

აქტივისტთა ჯგუფის შემთხვევაში, როცა ამ კითხვას ვსვამთ, სინამდვილეში ჩვენ მცირე სამუშაო ჯგუფების როლის შესახებ ვკითხულობთ. Occupy-ს ყველა „გენერალურ ასამბლეას“ ჰყავს სამუშაო ჯგუფები; 2011 წლის ნოემბრისთვის ნიუ-იორკის „გენერალურ ასამბლეას“ უკვე ოცდაათზე მეტი ასეთი ჯგუფი ჰყავდა. ზოგი მუდმივი და სტრუქტურული იყო: მედია, ფასილიტაცია, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ბუღალტერია, უშუალო მოქმედება; ზოგიც – მუდმივი და თემატური: ალტერნატიული სა-

ბანკო ოპერაციები, ეკოლოგია, ტრანსსექსუალთა პრობლემა; ზოგის ორგანიზებაც უკავშირდებოდა კონკრეტულ აქციასა თუ კამპანიას და, შესაბამისად, შეიძლება ყოფილიყო მუდმივი ან დროებითი. მათ მაგალითებად გამოდგება: „დაიკავე ჩამორთმეული სახლები!“ და „ოკლენდის სოლიდარობის დემონსტრაცია“. მოქმედების სამუშაო ჯგუფებს თავიანთი სტრუქტურული სამუშაო ჯგუფები ჰყავთ ხოლმე: მედიის ჯგუფი, პროპაგანდის ჯგუფი, ტრანსპორტირების ჯგუფი და ა.შ.

სამუშაო ჯგუფებს „გენერალური ასამბლეა“ ან დიდი ჯგუფი ქმნის, რათა კონკრეტული დავალება ან რაიმე სახის სამუშაო შესრულდეს – კვლევის, ინფორმაციის გავრცელების, ან ნებისმიერ სხვა სფეროში. ზოგჯერ ეს იმიტომ ხდება, რომ არსებობს საჭიროება, რომელსაც ყველა აღიარებს („არის ვინმე მსურველი, ბანაკის დასუფთავების საკითხებზე პასუხისმგებლობა აიღოს?“); ზოგჯერ კი იმიტომ, რომ ადამიანების გარკვეულ ჯგუფს აქვს იდეა („ზოგიერთ ჩვენგანს სურს, შექმნას ჯგუფი, რომელიც იფიქრებს იმაზე, თუ როგორ იმუშავებდა დასუფთავების სისტემები ეგალიტარულ საზოგადოებაში“). ნიუ-იორკის „გენერალური ასამბლეა“ მოქმედებს პრინციპით, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნის მსურველებმა უნდა შეკრიბონ წევრობის, სულ მცირე, ხუთი მსურველი და შეიტანონ განაცხადი ჯგუფის შექმნის თაობაზე. ზოგიერთი განაცხადი შესაძლოა, დაიბლოკოს.

რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია, შეიკრიბოს ოთახში და იმსჯელოს, რაზეც უნდა. სამუშაო ჯგუფის დამტკიცებით „გენერალური ასამბლეა“ უფლებამოსილებას ანიჭებს მას, იმოქმედოს „გენერალური ასამბლეის“ სახელით. ეს, არსებითად, დელეგირების ფორმას წარმოადგენს. ის არ ქმნის ვერტიკალურ იერარქიას, რადგან სამუშაო ჯგუფების კარი ყველასთვის ღიაა. როცა „გენერალური ასამბლეა“ ან აქციის დაგეგმვის მიზნით გამართული შეხვედრა სამუშაო ჯგუფებად დაიშლება, ეს, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს, რომ ძალიან დიდი ზეგავლენა ვერავინ მოიპოვოს, რადგან ფიზიკურად შეუძლებელი ხდება, ერთსა და იმავე დროს მონაწილეობა მიიღო ერთზე მეტი ჯგუფის მუშაობაში. პრინციპში, უფლებამოსილი წევრებიც კი, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, სამუშაო ჯგუფის წევრებთან დაკავშირების მსურველთათვის საკონტაქტო პირების ფუნქცია შეას-

რულონ, დროდადრო უნდა იცვლებოდნენ. წარმომადგენლობით საბჭოებში, რომლებშიც ოფიციალური განხილვის დროს თითო სამუშაო ჯგუფიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას (დანარჩენ წევრებს ეძლევათ საშუალება, დაესწრონ და მხოლოდ გადაჩურჩულებითა და ტაქტიანი რჩევების მიცემით შემოიფარგლონ), არავის აქვს უფლება, ერთი და იმავე ჯგუფის სახელით ორჯერ ზედიზედ გამოვიდეს სიტყვით. თუმცა მას შემდეგ, რაც სამუშაო გადანაწილდება, ან არსებულ ჯგუფს დაევალება, განახორციელოს რამდენიმე პროექტი, ისმის კითხვა: რა სიხშირით უნდა შევათანხმოთ და დავაზუსტოთ დეტალები? ზოგადი წესი ნამდვილად უნდა არსებობდეს, ოღონდ იმ შემთხვევისთვის, როცა აშკარაა, რომ სხვაგვარად მოქცევა არასწორი იქნებოდა. თუ გაქვთ ეჭვის საფუძველი, რომ საჭიროა რაღაცის გადამოწმება, უბრალოდ, იმოქმედეთ თქვენი შეხედულებისამებრ და გააკეთეთ ეს, მაგრამ, მგონი, თქვენ ამას არ იზამთ.

უშუალო მოქმედება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და ბანაკები

Occupy Wall Street-ის თავდაპირველი შთაგონების წყარო იყო არა მარტო უშუალო დემოკრატიის, არამედ უშუალო მოქმედების ტრადიციები. ანარქისტული გადასახედიდან, უშუალო დემოკრატია და უშუალო მოქმედება წარმოადგენს (ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა წარმოადგენდეს) ერთი და იმავე მიმართულების ორ ასპექტს: ის იდეა, რომ თავად ჩვენი ქმედების ფორმა უნდა გამხდარიყო ნიმუში იმისა, ანდა, სულ მცირე, ზოგადი წარმოდგენა მაინც შეექმნა ხალხისთვის, თუ როგორი ორგანიზება უნდა შეძლონ თავისუფალმა ადამიანებმა და, შესაბამისად, როგორი უნდა იყოს თავისუფალი საზოგადოება. XX საუკუნის დასაწყისში ამას „ძველ ჩარჩოში ახალი საზოგადოების მშენებლობას“ უწოდებდნენ, 1980-იან და 1990-იან წლებში კი ის ცნობილი გახდა, როგორც „პრეფიგურატიული პოლიტიკა“. მაგრამ, როდესაც ბერძენი ანარქისტები აცხადებენ: „ჩვენ ვართ გზავნილი მომავლიდან!“ ან, როდესაც ამერიკელი ანარქისტები ამტკიცებენ, რომ

ქმნიან „მეამბოხე ცივილიზაციას“, ეს, უბრალოდ, ერთი და იმავე სათქმელის სხვადასხვაგვარად გამოხატვის გზებია. ჩვენ ვსაუბრობთ იმ სფეროზე, რომელშიც თავად ქმედება უკვე წინასწარმეტყველებათ.

OWS-ის თავდაპირველ კონცეფციაში ეს ანარქისტული გააზრება სხვადასხვანაირად იყო ასახული. ამკარაა, რომ მოთხოვნების წამოყენებაზე უარის თქმა წინასწარგანზრახული ნაბიჯი იყო. ეს ნიშნავდა, რომ არსებულ პოლიტიკურ სისტემას არ ცნობდნენ, როგორც კანონიერს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი მოთხოვნების წაყენება. ანარქისტები ხშირად აღნიშნავენ, რომ სწორედ ესაა განსხვავება საპროტესტო აქციებსა და უშუალო მოქმედებას შორის: საპროტესტო აქცია, რამდენად მებრძოლი ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, არის მთავრობისადმი წაყენებული მოთხოვნა, რომ ის სხვაგვარად მოიქცეს; უშუალო მოქმედება, იქნება ეს საზოგადოების მიერ ალტერნატიული საგანმანათლებლო სისტემის დაარსება თუ მარილის გამოხდა კანონის საწინააღმდეგოდ (მაგალითი გულისხმობს განდის მიერ მოწყობილ ცნობილ მარილის ლაშქრობას), შეხვედრის ჩაშლის მცდელობა თუ ქარხნის დაკავება – ეს სწორედ ისაა, რასაც ადამიანი გააკეთებდა სახელისუფლებო სტრუქტურების არარსებობის პირობებში. უშუალო მოქმედება, პირველ რიგში, არის ქედუხრელი წინააღმდეგობის განევა იმ ფორმით, თითქოს შენ უკვე თავისუფალი ხარ (ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ სახელისუფლებო სტრუქტურა არსებობს, მაგრამ ასეთი ქმედებით ჩვენ ვართმევთ ამ სახელმწიფო მანქანას მორალურ უფლებას, საპასუხოდ ძალა გამოიყენოს, რაც მისგან სავსებით მოსალოდნელია).

ნებართვის აღებაზე უარის თქმაც ამავე სულისკვეთებით იყო გამოწვეული. ტომპკინსის მოედნის პარკში გამართული შეხვედრების პირველ დღეებში ერთმანეთს ვუხსნიდით: ნიუ-იორკის კანონები იმდენად შემზღუდველია, რომ თორმეტ კაცზე მეტი ადამიანის ნებისმიერი უნებართვო თავშეყრა საზოგადოებრივ პარკში, ფორმალურად, უკანონოდ ითვლება (ეს სწორედ ის კანონებია, რომლებსაც არავის მიმართ არ იყენებენ, გარდა პოლიტიკური აქტივისტებისა). შესაბამისად, ჩვენი შეხვედრებიც კი, სულ მცირე, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფორმა იყო.

ამ ყველაფერს კიდევ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებამდე მივყავართ – სამოქალაქო დაუმორჩილებლობასა და უშუალო მოქმედებას შორის, რომლებიც ხშირად შეცდომით მოიაზრება, უბრალოდ, საბრძოლო ხასიათის მიხედვით განსხვავებულ ცნებებად (ითვლება, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გულისხმობს ბლოკადას, უშუალო ქმედება კი – განადგურებას). სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ნიშნავს უსამართლო კანონებისადმი, ან იურიდიულად კანონიერი, მაგრამ უსამართლო სისტემისადმი მორჩილებაზე უარის თქმას. თავისთავად, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტი შეიძლება უშუალო მოქმედებაც იყოს: როგორცაა, მაგალითად, სამხედრო სამსახურში განვევის უწყების დანვა, იმ პრინციპით, რომ თავისუფალ საზოგადოებაში სამხედრო სამსახურში განვევის უწყება საერთოდ არ უნდა არსებობდეს; ან მოთხოვნა, დაიცვან შენი „უფლება“ და განცალკევებულ სასადილო დახლთან მოგემსახურონ. მაგრამ აუცილებელი არ არის, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა უშუალო მოქმედებას გულისხმობდეს; როგორც წესი, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტები ეჭვქვეშ თავად სამართლებრივ რეჟიმს კი არ აყენებს, არამედ მხოლოდ კონკრეტულ კანონებსა და პოლიტიკას. სინამდვილეში ისინი ხშირად, სრულიად არაორაზროვნად, მიზნად ისახავს სწორედ ამ სამართლებრივი სისტემის შიგნით მუშაობას. ამიტომაც, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში ჩართული ადამიანები ხშირად დაპატიმრებას მიესალმებიან კიდევაც: ეს მათ აძლევს საფუძველს, სამართლებრივ ან საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანონ რომელიმე კანონი ან პოლიტიკა.

ამის ილუსტრირებაში შეიძლება ისტორიის ნაკლებად ცნობილი მონაკვეთები დაგვეხმაროს. შთაგონების ერთ-ერთი წყარო იმ მობილიზაციისათვის, რომელმაც, საბოლოოდ, 1999 წელს სიეტლში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართული აქციები გამოიწვია, იყო ინდოეთის შტატში, კარნატაკაში, დაფუძნებული განდის მიმდევარ ფერმერთა ჯგუფი KRRS (კარნატაკას შტატის ფერმერთა ასოციაცია), რომელსაც კარგად იცნობდნენ 1995 წელს მის მიერ მოწყობილი აქციის გამო, როცა ასობით ფერმერმა დაანგრია Kentucky Fried Chicken-ის ადგილობრივი ფრანშიზა, რომელიც მათ ინდოეთის სოფლის მეურნეობის განადგურების მიზნით გენმოდირეცირებული იაფი და

უვარგისი საკვების პირველ შემოტევად ჩათვალეს. ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ მათ საკუთრების განადგურება არაძალადობრივი წინააღმდეგობის სრულიად ლეგიტიმურ გზად მიიჩნიეს. 1990-იანი წლების ბოლოს მათმა პრეზიდენტმა, მ. დ. ნანიუნ-დასვამიმ, მასობრივი მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ევროპასა და ამერიკაში გავრცელების კამპანია გააჩაღა და საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობასთან“ თანამშრომლობდა. KRRS-ის აქცია Kentucky Fried Chicken-ის წინააღმდეგ გახდა შთამაგონებელი იმ ქმედებისა, რომელიც ცნობილია, როგორც „McDonald’s-ის რიტუალური ნგრევა“. პროტესტის ეს ფორმა ევროპაში განხორციელებული აქციების ერთ-ერთი მუდმივი მახასიათებელი გახდა, ისევე, როგორც საბოლოოდ Starbucks-სა და სიეტლში არსებულ სხვა ქსელებზე თავდასხმისა. თუმცა სვამი (ასე იცნობდნენ მას აქტივისტები) იძულებული გახდა, ამგვარი ტაქტიკისთვის კატეგორიული წინააღმდეგობა გაენია; არა იმიტომ, რომ მალაზიის ფასადებზე იერიშს ძალადობის ფორმად მიიჩნევდა. ცხადია, არა: ის თვლიდა, რომ, როგორც Kentucky Fried Chicken-ის აქცია, ისე მათი სხვა ქმედებები სავსებით ეთანხმებოდა განდისეულ ტრადიციებს. მას აღაშფოთებდა ის ფაქტი, რომ აქტივისტები, რომლებიც შენობებს აზიანებდნენ, იქ პოლიციელების მოსვლამდე აღარ რჩებოდნენ და ნებაყოფლობით არ ბარდებოდნენ მათ. „თქვენ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ უსამართლო კანონს!“ – ამბობდა იგი. მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც თავს ესხმოდნენ სწრაფი კვების ობიექტებს ევროპასა და ამერიკაში, ანარქისტები იყვნენ. ისინი სავსებით ეთანხმებოდნენ KRRS-ის კრიტიკას იმის თაობაზე, რომ სწრაფი კვება ეკოლოგიური და სოციალური განადგურების მექანიზმია, რომელსაც მხარს უჭერს მთავრობა; რომ ამ ობიექტების დაარსებას ხელი შეუწყო სავაჭრო ხელშეკრულებების მთელმა სამართლებრივმა აპარატმა და კანონმდებლობამ „თავისუფალი ვაჭრობის“ შესახებ; მაგრამ ანარქისტებს არც უფიქრიათ, რომ ამ ყველაფრის მოგვარების შესაძლებლობა, ან თუნდაც რაიმე სახის სამართლიანობა არსებულ კანონმდებლობაში ეძიათ. თავდაპირველი „ოკუპაციები“ წარმოადგენდა როგორც უშუალო მოქმედებას, ასევე სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტებსაც. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ

ხომ კარგად ვიცოდით, რომ მშვენიერი სასამართლო საქმე შეიძლებოდა აღძრულიყო იმის გამო, რომ წესები შეკრებათა შესახებ, რომლებიც ჩვენ დავარღვიეთ, არაკონსტიტუციური იყო. უფლებათა ბილი, გარკვეულწილად, ბრიტანეთის ძველი კოლონიური პოლიტიკის, ადამიანის ღირსების შეურაცხყოფელი დადგენილებების საპასუხოდ შეიქმნა, როგორიც იყო, მაგალითად, სახალხო შეკრებათა აკრძალვა, და კონსტიტუციურმა კონვენტმა, არსებითად, ხალხის ზენოლის შედეგად, იძულების წესით მიიღო ის სწორედ ასეთი პოლიტიკური აქტივობის დასაცავად. კონსტიტუციის პირველი შესწორების შინაარსიც საკმაოდ არაორაზროვანია. „კონგრესი არ მიიღებს კანონს... რომელიც შეზღუდავს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას; ან ხალხის უფლებას, მშვიდობიანად შეიკრიბოს და მიმართოს მთავრობას უსამართლობის გამოსწორების თხოვნით“. რაკი იძულებულნი ვართ, პოლიციას ლაპარაკის უფლება ვთხოვოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გვაქვს სიტყვის თავისუფლება; რაკი პოლიციას უნდა ვთხოვოთ ნებართვა რაიმეს გამოქვეყნებაზე, ეს ნიშნავს, რომ არ გვაქვს პრესის თავისუფლება. ძნელია, გაიგო ის ლოგიკა, რომლის თანახმადაც, კანონი, რომელიც განმარტავს, რომ შეკრების ნებართვა პოლიციისგან უნდა მიიღო, არ არღვევს შეკრების თავისუფლებას.* ამერიკის არსებობის მანძილზე ეს ნებართვა არავის აუღია. ნებართვის შესახებ კანონები 1880-იან წლებამდე არა-

* განსაკუთრებით მაშინ, თუკი კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი შესაბამის უფლებებზე, როგორიცაა ტრანსპორტის ნაკადის თავისუფლად მოძრაობის უფლება, ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისაგან ადამიანთა დაცვის უფლება; არადა, ეს ის მორალური ნორმებია, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ შეკრების თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად: მაგალითად, ცნობილი „დროის, ადგილისა და ქცევის წესის“ შეზღუდვა, რომელსაც სასამართლო პოლიციის მიერ შეკრების თავისუფლების აკრძალვის გასამართლებლად იყენებს. კონსტიტუციის პირველი შესწორების ტექსტი კონგრესს მიმართავს, მაგრამ ის, 1925 წელს სასამართლო საქმეზე *Gitlow v. New York* მიღებული გადაწყვეტილების თანახმად (იგულისხმება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „გიტლოუ ნიუ-იორკის შტატის წინააღმდეგ“; მასში განსაზღვრულია, რომ სიტყვის თავისუფლება და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, რომლებმაც ასახვა პოვა კონსტიტუციის პირველ შესწორებაში, „მიეკუთვნება ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც კონსტიტუციის მე-14 შესწორების შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის შესახებ დებულების თანახმად, არ შეიძლება, შეიზღუდოს შტატების მიერ“. ეს იყო უზენაესი სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება, რომელიც აცხადებდა, რომ უფლებათა ბილის დებულებები სავალდებულო იყო შტატებისთვის. რედ.), ვრცელდება როგორც აშშ-ის ყველა საკანონმდებლო ორგანოზე, ისევე მუნიციპალურ დადგენილებებზე.

კონსტიტუციურად ითვლებოდა, სწორედ იმ პერიოდამდე, როდესაც თანამედროვე კორპორაციული კაპიტალიზმის წარმოშობა დაიწყო. ასეთი კანონები შეიქმნა საგანგებოდ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ გამოსაყენებლად, რომელიც მაშინ ყალიბდებოდა. ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ მოსამართლეებმა კონსტიტუციის პირველი შესწორების მიზანზე აზრი შეიცვალეს. მათ, უბრალოდ, გადაწყვიტეს, რომ ეს თემა აღარ აინტერესებდათ. კანონები კიდევ უფრო გამკაცრდა 1980-იან და 1990-იან წლებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ 1960-იანი და 1970-იანი წლების ომის საწინააღმდეგო მობილიზაცია აღარასოდეს განმეორებულყო.

თუკი არსებობდა რაიმე სახის სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც, რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ანარქისტი შეიძლება დასთანხმებოდა, ეს იყო მოთხოვნა ადგილის გამოყოფის შესახებ – სადაც შესაძლებელი იქნებოდა თვითორგანიზებული პოლიტიკური აქტივობის განხორციელება – რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს, უბრალოდ, არის მოთხოვნა მთავრობისადმი, რომ თავი დაგვანებოს. თვით ჯორჯია საგრის, რომელიც ნამდვილი ანარქისტია, ამ თემის წამოჭრა ძალიან უნდოდა, როდესაც თავდაპირველად ვცდილობდით, მოგვეფიქრებინა, თუ რა უნდა შეგვეტანა მოთხოვნათა სავარაუდო ჩამონათვალში.

საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილის დაკავების იდეა უშუალოდ ახლო აღმოსავლეთის რევოლუციებიდან მოდიოდა – ყველაზე მეტად შთაგვაგონებდა ტაჰრირის მოედანი, ისევე, როგორც სინტაგმას მოედანი ათენში, ასევე მადრიდისა და ბარსელონის საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილები, რომლებიც კვლავ აქტივისტებმა დაიბრუნეს. ეს მოდელი სტრატეგიულადაც საუკეთესო იყო, რადგან საშუალებას იძლეოდა, საერთო ენა გამონახულიყო ლიბერალებსა და დანარჩენებს შორის, რომლებიც სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტრადიციებით მოქმედებდნენ და სისტემის დემოკრატიზაცია სურდათ; ასევე ანარქისტებსა და ავტორიტარიზმის სხვა მოწინააღმდეგეებს შორის, რომლებსაც უნდოდათ, შეექმნათ სივრცე, რომელიც აბსოლუტურად სისტემის კონტროლის მიღმა იქნებოდა. ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ ეს ქმედება ლეგიტიმური იქნებოდა უფრო მორალური თვალსაზრისით, ვიდრე სამართლებრივად, რადგან

ისინი, ვინც სამოქალაქო დაუმორჩილებლობას ახორციელებდა, თვლიდნენ, რომ აკმაყოფილებდნენ საყოველთაო სამართლიანობის პრინციპებს, რომლებსაც თავად კანონი ეფუძნებოდა; ანარქისტები კი მიიჩნევდნენ, რომ თავად კანონი იყო „არაკანონიერი“. უცნაური ის არის, რომ სწორედ ბუნება ამ უმნიშვნელოვანესი მორალური ნორმებისა (რომელთა მიხედვითაც, ჩვენ ვაცხადებთ, რომ რომელიმე ან ყველა კანონი უსამართლოა), ზოგადად, ყველა მონაწილისათვის მთლად ნათელი არ გახლავთ. იშვიათად თუ შეძლებს ვინმე, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ისინი. შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი მოთხოვნის ლეგიტიმურობას ეს მკვეთრად ასუსტებს, მაგრამ, ფაქტობრივად, ისინი, ვინც საკანონმდებლო სისტემის სადარაჯოზე დგას, იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, და ზოგჯერ უარეს მდგომარეობაშიც კი, რადგან, სამართლებრივ თეორიათა უმეტესობის თანახმად, მთლიანად სისტემის კანონიერება ემყარება არა მხოლოდ აშკარად ბუნდოვან წარმოდგენას სამართლიანობის შესახებ, არამედ შეიარაღებული ამბოხებების წარსულ გამოცდილება-საც. სწორედ ეს არის თანამედროვე სახელმწიფოს საფუძვლების ძირეული შეუსაბამობა. მას ხშირად „უზენაესი ხელისუფლების პარადოქსსაც“ უწოდებენ. არსებითად, ის ასე ჟღერს: პოლიციას შეუძლია გამოიყენოს ძალა, მაგალითად, მოქალაქეთა გასაძევებლად საზოგადოებრივი პარკიდან, რადგან ის მოქმედებს სათანადო წესით შემუშავებული კანონების შესაბამისად. კანონები იძენს ლეგიტიმურობას კონსტიტუციის თანახმად. კონსტიტუცია იძენს ლეგიტიმურობას იმ რაღაცისგან, რასაც „ხალხს“ უწოდებენ. მაგრამ როგორ ანიჭებს „ხალხი“ ამ ლეგიტიმურობას კონსტიტუციას? როგორც ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციები ცხადყოფს, ფაქტობრივად, ეს ხდება უკანონო ძალადობის გზით (ბოლოს და ბოლოს, ვაშინგტონიცა და ჯეფერსონიც შეიძლება დაგვედანამულებინა სახელმწიფო ლალატში იმ კანონების მიხედვით, რომელთა სულისკვეთებითაც ისინი აღიზარდნენ). მაშ, რა აძლევს პოლიციას უფლებას, ძალა გამოიყენოს სწორედ იმ სახალხო ამბოხის ჩასახშობად, რომელმაც მათ, პირველ რიგში, ძალის გამოყენების უფლება მისცა?

ანარქისტებისათვის პასუხი მარტივია: არაფერი. სწორედ ამიტომ ამტკიცებენ ისინი, რომ ძალაუფლების სახელმწიფო

მონოპოლიაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა გაუგებარია. ლიბერალებისათვის ძალაუფლების სახელმწიფო მონოპოლიის იდეა რეალურ პრობლემას წარმოადგენს. დამწყებთათვის ეს პრაქტიკული ხასიათის სირთულეა. თუ ჩავთვლით, რომ „ხალხს“ აქვს უფლება, წინ აღუდგეს უსამართლო მმართველობას, რასაც, ბოლოს და ბოლოს, მიყვარათ იქ, თუ როგორ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები, მაშ, როგორ გავარჩიოთ ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში „ხალხი“ გაცოფებული ბრბოსგან? ისტორიული თვალსაზრისით, პასუხი, როგორც წესი, ასეთია: „თვალი გადავავლოთ წარსულს: გააჩნია, ვინ გაიმარჯვა“. მაგრამ თუკი ამ პრინციპს ყოველთვის გამოვიყენებთ, ეს ნიშნავს: თუკი ის ადამიანები, რომლებიც პარკებიდან გამოაძევეს, წარმატებით გაუნევენ ნინაალმდეგობას პოლიციას ავტომატური იარაღით, მაშინ მათ უფრო მეტი უფლება ექნებოდათ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ამას ვერ შეძლებდნენ (ან, ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ნინაალმდეგობა ნაციონალურ აჯანყებაში გადაიზრდებოდა) – ეს ის ფორმულირებაა, რომელიც ალბათ კონსტიტუციის მეორე შესწორების ბევრ მომხრეს მოეწონებოდა, მაგრამ ქვეტექსტი, რომელიც ამ უკანასკნელთა მოქმედებაში იკითხება – „ძალა საუკეთესო არგუმენტი“ – ლიბერალთა უმეტესობისთვის მიუღებელია. რა გასაკვირია, რომ ისინი საპირისპირო მიმართულებას ირჩევენ.

ეს ყველაფერი კიდევ ერთ მორალურ პრობლემას წარმოშობს. ლიბერალები, მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით, ხშირად ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ რამეს, რაც შეიძლება თუნდაც წაგავდეს გაცოფებულ ბრბოს, ნებისმიერ პირობებში. მაშ, როგორ გაუწიოს ხალხმა ნინაალმდეგობა უსამართლო მმართველობას (რაზედაც ყველანი ვთანხმდებით, რომ ასეც უნდა მოხდეს); ან როგორ უწევდა მას ნინაალმდეგობას წარსულში? საუკეთესო გამოსავალი, რაც კი ოდესმე ვინმეს შემოუთავაზებია, იქნებოდა იმის თქმა, რომ შესაძლებელია ძალადობრივი რევოლუციების თავიდან აცილება (და, შესაბამისად, აგრესიული ბრბოს კანონიერი გზით შეჩერებაც), თუკი „ხალხი“ აცნობიერებს, რომ აქვს უფლება, ეჭვქვეშ დააყენოს კანონები მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზით. ამგვარად, მასა, რომელსაც ეყოფა გამბედაობა, დაუპირისპირდეს არსებულ სამართლებრივ რეჟიმს

სინდისის კარნახით, ხდება „ხალხი“.* როგორც კონსტიტუციის ლიბერალი ექსპერტები (მაგალითად, ბრიუს აკერმანი) მიუთითებენ, სწორედ ამგვარად ხორციელდებოდა ძირეული საკონსტიტუციო ცვლილებები აშშ-ში და, სავარაუდოდ, ბევრ იმ ქვეყანაში, რომლებიც, პოლიტიკური წყობის თვალსაზრისით, ლიბერალურ დემოკრატიებს წარმოადგენდნენ – იმ საზოგადოებრივი მოძრაობების მეშვეობით, რომლებიც მზად იყვნენ, დაერღვიათ კანონი. ან, უფრო ანარქისტული ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ: არც ერთ მთავრობას ხალხისთვის, რომელსაც თვითონ მართავდა, რაიმე ახალი თავისუფლება საკუთარი ნებით არ მიუნიჭებია. ამგვარ თავისუფლებას ყოველთვის მოიპოვებდნენ ის ადამიანები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ისინი მოქმედებდნენ პრინციპებით, რომლებსაც იმდროინდელი კანონიერი ხელისუფლება არ აღიარებდა.

ამ გადასახედიდან, შესაძლოა, თანდათან ცხადი გახდეს, თუ რატომ იქცა კოლექტიური გენიის სტიქიურ გამოვლინებად „ოკუპაციის“ სტრატეგია. ეს გახლდათ დემონსტრაციული დაუმორჩილებლობის იმგვარი აქტი, რომელიც მისაღები იყო ყველასათვის, ლიბერალებიდან დანყებულებამდე, ანარქისტებით დამთავრებული; ისევე, როგორც „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ ერთდროულად ჩატარებული დიდი აქციების დროს (სიეტლში, პრაღაში, ვაშინგტონში, კვებეკში) ის მიზნად ისახავდა ჭეშმარიტი დემოკრატიის დაპირისპირებას იმ დეგრადირებულ ძალაუფლების სისტემასთან, რომელიც იმჟამად ცდილობდა, თავი ჭეშმარიტ დემოკრატიად გაესაღებინა (ამ შემთხვევაში სისტემის განსახიერებას წარმოადგენდა მსოფლიო ვაჭრობის ბიუროკრატიული აპარატი, რაზეც მაშინ არავინ დაფიქრებულა). მაგრამ მათ შორის მაინც არსებობდა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი განსხვავება. 1999-2001 წლების დიდი მობილიზაციები, ძირითადად, პარტიებს მოიცავდა. ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავს ისინი აღიქვამდნენ, როგორც „კაპიტალიზმის სანინალმდეგო კარნავალებს“ და „წინააღმდეგობის ფესტივალებს“. რაც არ უნდა

* თითქმის იმავე პრინციპით, ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებას კისრულობენ ისინი, ვისაც ყოფნის გამბედაობა, კონსენსუსის შეხვედრის დროს დაბლაკოს წინადადება, რომელსაც უმრავლესობა იწონებს.

ილაპარაკონ სიეტლის „შავი ბლოკის“ მიერ Starbucks-ის ვიტრინების ჩამსხვრევაზე, ხალხს ამ მოძრაობიდან მაინც ყველაზე მეტად დაამახსოვრდა გიგანტური მარიონეტები, რომლებსაც თან მოჰყვებოდნენ ჯამბაზეები, სასულე ორკესტრები, წარმართი ქურუმი ქალები, რადიკალთა მხარდამჭერები, ბალერინის კაბე-ში გამოწყობილი „ვარდისფერი ბლოკები“ (რომლებიც ბუმბულის მტვერსაწმენდებით უღივინებდნენ პოლიციელებს) და კომიკური ოპერის რომელიც ჯარისკაცები, რომლებიც, გასაბერი იარაღით აღჭურვილნი, ბარიკადებს შორის მოხარბაცებდნენ. ისინი დას-ცინოდნენ ელიტის წარმომადგენელთა პრეტენზიებს სიბრძნეზე, ყოვლისმცოდნეობაზე, სურდათ, მომხმარებლური იდეოლოგიის „ჯადო მოეხსნათ“ და რაღაც უფრო მიმზიდველი შემოეთავაზებინათ. მობილიზაციის ახალ რაუნდთან შედარებით, ის უფრო მეტძოლი სულისაც იყო და უფრო ექსცენტრიკულიც. მისგან განსხვავებით, OWS არაა პარტია, ის არის საზოგადოება, თემი. ის ნაკლებად მხიარულია; ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისთვის მთავარი იმდენად გართობა არაა, რამდენადაც – დახმარება, ყურადღება, ზრუნვა.

თითოეულ ბანაკში სწრაფად იქმნებოდა რამდენიმე ძირითადი ინსტიტუტი: რა ზომისაც არ უნდა ყოფილიყო ბანაკი, მასში აუცილებლად იყო უფასო სამზარეულო, სამედიცინო კარავი, ბიბლიოთეკა, მედია/კომუნიკაციის ცენტრი (სადაც ხშირად იყრიდნენ თავს აქტივისტები ლეპტოპებით) და საინფორმაციო ცენტრი სტუმრებისა და ახალმოსულთათვის. „გენერალური ასამბლეები“ ერთსა და იმავე დროს ტარდებოდა: მაგალითად, ყოველდღიურად, დღის 3 საათზე – ზოგადი დისკუსიებისათვის და ყოველ 9 საათზე, საღამოობით – ბანაკისათვის სპეციფიკური ტექნიკური საკითხების განსახილველად. ამას გარდა, იყო სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა დანიშნულებით, რომლებიც დღის ნებისმიერ მონაკვეთში საქმიანობდნენ და იკრიბებოდნენ: ხელოვნებისა და გართობის სამუშაო ჯგუფი, სანიტარიის სამუშაო ჯგუფი, უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი და ა.შ. ის საკითხები, რომლებიც ორგანიზების პროცესში წამოიჭრებოდა ხოლმე, იმდენად რთული იყო, რომ მხოლოდ ამ თემაზე მთელი წიგნი შეიძლება დაიწეროს (დარწმუნებული ვარ, ოდესმე ამის შესახებ ვინმე აუცილებლად დაწერს).

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ყველაფერს ორი ცენტრი ჰქონდა: სამზარეულო და ბიბლიოთეკა. სამზარეულოებს ძალიან დიდი ყურადღება ეთმობოდა. ეს გამოწვეული იყო, გარკვეულწილად, იმით, რომ რამდენიმე თვით ადრე ეგვიპტის მუშათა პროფკავშირებმა ვისკონსინის შტატის საკანონმდებლო ორგანოს შენობის „ოკუპაციისათვის“ შეკრებილ კოლეგებს, პროფკავშირების აქტივისტებს, პიცები გაგუგზავნეს; ამ მაგალითით შთაგონებულმა ასობით ადამიანმა ჩრდილოეთ ამერიკის მასშტაბით და იმათაც, ვისი საკრედიტო ბარათების მოქმედების არეალიც ჩვენამდე არ ვრცელდებოდა, სატელეფონო შეკვეთებით გამოგზავნეს პიცა (მესამე კვირისათვის ერთმა პიცერიამ საგანგებოდ ჩვენთვის ღვეზელიც კი შექმნა სახელწოდებით Occu-pie, რომელშიც, როგორც თავად პიცერიის წარმომადგენლებმა აგვისსნეს, 99% ყველი იყო და 1% – ღორის ხორცი). შემოთავაზებული საკვების უმეტესობა გაფუჭებული იყო და უფასოდ გვანვდიდნენ.

ბიბლიოთეკები, რომლებსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებოდით, კიდევ უფრო შთამბეჭდავ სიმბოლოებს განასახიერებდა, განსაკუთრებით იმ მოსახლეობისათვის, რომლის ძირითად ნაწილს ვალებში ჩავარდნილი ყოფილი სტუდენტები წარმოადგენდნენ. ბიბლიოთეკების არსებობა ძალიან პრაქტიკულიც იყო და, ამავე დროს, ძალიან სიმბოლურიც: ბიბლიოთეკა „უფასოდ“ გასცემს სესხს, ყოველგვარი პროცენტისა და შენატანის გარეშე. ღირებულება სესხისა, რომელსაც ის გასცემს სიტყვების, წარმოდგენების და, რაც მთავარია, იდეების სახით, არ ემყარება შეზღუდული სიკეთის პრინციპს; სიკეთე გავრცელების შედეგად კიდევ უფრო იზრდება.

ახალი, ალტერნატიული ცივილიზაციის შექმნა ძალიან რთული საქმეა, განსაკუთრებით – ცივ და პირქუშ ქუჩებში (როგორიცაა ისინი ამერიკის დიდ ქალაქებში), რომლებიც სავსეა ავადმყოფი, უსახლკარო და ფსიქიკაშერყეული ადამიანებით; ისინი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის ნების საწინააღმდეგოდ არიან ქუჩაში, ამ ელიტის ათასობით შეიარაღებული პოლიციელი კი ამ პირებს გარკვევით მიაწვდენს, რომ არ სურთ მათი იქ ყოფნა.

მალე წინა პლანზე წამოინია რამდენიმე უსიამოვნო საკითხმა. ასეთი იყო, მაგალითად, თემის ტერიტორიის დაპირისპირება კერძოსთან: როცა პარკი გადატვირთულია პერსონალური კარვე-

ბით, ხშირად თემის სივრცე აღარ ჩანს. გადასაწყვეტი იყო ასევე, რასაკვირველია, უსაფრთხოების საკითხებიც, მაგრამ ჩვენ წინაშე იდგა მწვავე პრობლემა – როგორ გავმკლავებოდით კრიმინალური ფენის საშიშ ელემენტებს, რომლებიც ცდილობდნენ, პარკში დაედოთ ბინა, ან იქ მყოფი ხალხი გაეძარცვათ. ყოველივე ამის სტიმულირების სტრატეგია სახელისუფლებო ორგანოებიდან მოდიოდა. გვინდოდა, მოგვეწესრიგებინა გამოთავისუფლებული ტერიტორიებისა და პარკის მიმდებარე დასახლებული პუნქტების ურთიერთობა და გამოგვეყენებინა ისინი პოლიტიკურ აქციათა უფრო მასშტაბური პროექტების პლატფორმად. ეს საკითხები იმდენად ბევრია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმდენად განსხვავებული, რომ, წინამდებარე წიგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, ყურადღება გავამახვილო ყველასათვის საერთო, ზოგად პრობლემებზე, რომლებიც რაიმე ფორმით ყოველთვის და ყველგან იჩენს ხოლმე თავს.

მაშასადამე, ვინცებ ერთ-ერთი მათგანით – ამერიკის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი განუშორებელი შტრიხით – პოლიციით.

ტაქტიკა: პოლიციასთან ურთიერთობა

ეგ ზღაპარი მეზღვაურებს უამბეთ (Tell it to the marines). – ამერიკული ანდაზა

(ითვლებოდა, რომ მეზღვაურებს ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდათ, უამრავი რამ ენახათ ცხოვრებაში, შესაბამისად, არცთუ მიამიტები იყვნენ და ადვილად არაფერს იჯერებდნენ. მთარგმ.)

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადანწყვეტილება, რომელიც „ოკუპაციების“ დაგეგმვის სანყის ეტაპზე მივიღეთ, იყო შემდეგი: არავითარი ფორმალური კავშირი არ გვქონოდა პოლიციასთან და არ შექმნილიყო პოლიციასთან ურთიერთობისათვის რაიმე ჯგუფი. ამ პრინციპმა, რომელიც კარგად მოერგო ჩვენს უშუალო მოქმედების სტრატეგიას, მოამზადა ნიადაგი ყოველივე იმისათვის, რაც შემდეგ მოხდა. დანარჩენმა „ოკუპაციებმა“ განსხვავებული მიმართულება აირჩიეს და ჩამოაყალიბეს ჯგუფები

პოლიციასთან კონტაქტის დასამყარებლად. რამდენადაც ვიცი, ყველა ასეთი შემთხვევა სავალალო შედეგით დამთავრდა.

რატომ მოხდა ასე? შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ისეთ მოძრაობაში, რომელიც ხაზგასმით უარყოფს ძალადობას, კომუნიკაციის აკრძალვის აუცილებლობა არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ სინამდვილეში იმისათვის, რომ ავტონომიური ტერიტორია შექმნა (ეს ეხება არა მარტო ისეთ ხანგრძლივი დროით დაკავებულ ტერიტორიებს, როგორიც ბანაკებია, არამედ ნებისმიერი სახისას, რომელშიც ადამიანებს განზრახული აქვთ, საკუთარი წესები დაამკვიდრონ და წესრიგიც თავად დაამყარონ), გარკვეული მკვეთრი საზღვრების გავლება საჭიროა.

ისინი, ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, ხშირად აცხადებენ, რომ „პოლიცია 99%-ის ნაწილია“, და თუკი ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყოველ მათგანს წარმოვადგენთ, მაშინ ფარისევლობა იქნებოდა, უარი გვეთქვა ნებისმიერი სახის ურთიერთობაზე ამერიკელ მუშა-მოსამსახურეთა ამ კონკრეტული ნაწილისათვის. დიახ, წმინდა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, თითქმის ყველა პოლიციელი მართლაც არის „99%-ის ნაწილი“. ძალიან იშვიათია პოლიციელი, თვით ყველაზე კორუმპირებულ მაღალჩინოსნებს შორისაც კი, რომელიც წელიწადში \$340 000-ზე მეტს გამოიმუშავებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მათი დაახლოებით 15% ამერიკელ მშრომელთა იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც პროფკავშირების წევრია, ხშირად შემინიშნავს, რომ პოლიციელები თითქმის ყოველთვის განსხვავებულად ეკიდებიან იმ ორგანიზაციების მიერ გამართულ პიკეტებსა და ქუჩის აქციებს (ნებისმიერ სხვა სახის საპროტესტო ღონისძიებასთან შედარებით), რომლებიც, მათი აზრით, მუშათა მოძრაობის წევრების მიერ არის მოწყობილი. მე საკმაოდ აქტიურად ვიყავი ჩართული IWW-ში (Industrial Workers of the World – მსოფლიოს ინდუსტრიული მშრომელები), რომელიც, წლების განმავლობაში, ძირითადად, ანარქისტულ კავშირს წარმოადგენს, და ყოველთვის მაოცებდა, რომ ზუსტად ერთსა და იმავე ახალგაზრდებს მაშინვე თავს ესხმიან ან პრევენციის მიზნით აპატიმრებენ, როცა ისინი ნიღბებით ცხადებიან გლობალიზაციის სანინაღმდეგო გამოსვლებზე, მაგრამ დიდი სიფრთხილით, ტაქტიკიანად ექცევიან, როცა ისინი გაცილებით აგრესიულ პიკეტირებაში მიიღებენ მონაწილეობას, თუნდაც

თითქმის ისეთივე ტანსაცმელი ეცვათ, იმავე ატრიბუტიკით. განსაკუთრებით დამამახსოვრდა შემთხვევა ამერიკის ერთ-ერთი დიდი ქალაქის კვარტალში, სადაც განლაგებული იყო საწყობები: ჩვენ მიერ რამდენიმე სატვირთო მანქანის საბოტაჟის **(ტერმინი გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით: რაიმე სახის ქონების წინასწარგანზრახული დაზიანება ან განადგურება, განსაკუთრებით – პოლიტიკური მოტივით, ან ომის დროს. რედ.)** განხორციელების შემდეგ IWW-ს პიკეტის ხაზს პოლიციის ოფიცერი მიუახლოვდა და გავიგონე, როგორ თქვა: „ჰეი, ბიჭებო, საწყობის მეპატრონე ამტკიცებს, რომ თქვენ მისი მანქანები დასვარეთ, მაგრამ ამბობს, რომ ზუსტად არ დაუნახავს, რომელი თქვენგანი იყო. იქნებ, ცოტა ხნით წახვიდეთ და ერთ ნახევარ საათში დაბრუნდეთ; მაშინ, თუ ის იტყვის, რომ იცის, ვინ არის დამნაშავე, მე შემეძლება, ვუთხრა: „ახლა საიდან იცი, თუ მაშინ არ იცოდი?“ (პარადოქსი ის არის, რომ იმ კონკრეტულ შემთხვევაში პიკეტის მონაწილეები უმეტესად „შავი ბლოკის“ ვეტერანი წევრები იყვნენ და ტანსაცმელიც შესაბამისი ეცვათ, ზოგიერთი მათგანი კი ანარქო-სინდიკალისტურ დროშებს აფრიალებდა **(სინდიკალიზმი – თეორია, რომლის თანახმადაც, მუშები თავად უნდა ფლობდნენ და მართავდნენ ფაბრიკა-ქარხნებს. რედ.)**). თუმცა მეორე დღეს საწყობის მეპატრონემ, უბრალოდ, ფული გადაუხადა პოლიციის ოფიცერს და მისმა ხელკეტებით შეიარაღებულმა ბიჭებმა ძალით წაგვიყვანეს კანონის სრული დაცვით მოწყობილი პიკეტიდან, რის შედეგადაც რამდენიმე ჩვენგანი ფიზიკურად დაზიანდა). ფაბრიკა-ქარხნების ირგვლივ გაშენებულ ქალაქებში, რომელიც, ძირითადად, ამ საწარმოებში დასაქმებული ადამიანებითაა დასახლებული (როგორცაა, მაგალითად, ნიუ-ჰეივენი), სტუდენტ აქტივისტებსაც კი განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობიან, თუნდაც ისინი პროტესტს უცხადებდნენ ადგილობრივ უნივერსიტეტს, რადგან ითვლება, რომ ისინი პროფკავშირებთან თანამშრომლობენ.

თუმცა ეს ყველაფერი სიმართლეს, ძირითადად, იმ შემთხვევაში შეესაბამება, როცა პოლიციას მოქმედების მეტი თავისუფლება აქვს: როცა საპროტესტო აქციის მონაწილეები მხოლოდ ცალკეულ პოლიციელებს ან რომელიმე დაბალჩინოსანს უპირისპირდებიან, რომლის დაქვემდებარებაშიც მხოლოდ რამდენიმე პოლიციელია. ნიუ-იორკში „ოკუპანტებმა“ აღმოაჩინეს,

რომ თვით პოლიციის შიგნით მკვეთრი „კლასობრივი“ განსხვავება არსებობდა. ძალიან ბევრი ქუჩაში მომუშავე პოლიციელი, ანუ ცისფერპერანგიანები, თანაგრძნობასა და მხარდაჭერას გამოხატავდა. სულ სხვანაირად იყო საქმე თეთრპერანგიანების, ანუ მეთაურების შემთხვევაში; ძალიან ბევრს ჯამაგირს სინამდვილეში უშუალოდ უოლსტრიტის კორპორაციები უხდიდნენ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ თეთრპერანგიანებიც კი ზენოლას განიცდიან და ისინი, უბრალოდ, ბრძანებებს ემორჩილებიან.

„პოლიციასთან ურთიერთობა“ არ ნიშნავს ცალკეულ პოლიციელთან საუბარს; ზოგიერთი დემონსტრანტი, „ოკუპანტი“ და თვით „შავი ბლოკის“ ანარქისტიც კი ხშირად ასე იქცევა და ამას მათ ვერავინ დაუშლის; არც არსებობს მიზეზი საამისოდ. მაგრამ „პოლიცია“ არ გახლავთ ინდივიდთა ნაკრები, რომელიც პირადი გრძნობების, მოსაზრებებისა და მორალური შეფასებების კარნახით მოქმედებს. ეს არის ჯგუფი სახელმწიფო ფუნქციონერებისა, რომლებიც, თავიანთი სამსახურიდან გამომდინარე, თანახმანი არიან, გვერდზე გადადონ საკუთარი შეხედულებები და გრძნობები (ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როცა ისინი ბრძანებებს იღებენ) და ისე მოიქცნენ, როგორც ეტყვიან. ისინი ადმინისტრაციული ბიუროკრაციის ნაწილს წარმოადგენენ, რომელსაც ახასიათებს იერარქიულობა, ანუ ბრძანებები ზემოდან ქვემოთ გადმოეცემა. უმაღლესი რანგის პოლიციის ჩინოვნიკებიც კი, რომლებსაც მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ, იქ მხოლოდ იმისთვის არიან, რომ იმ პოლიტიკურ ხელისუფალთა ბრძანებები შეასრულონ, რომლებსაც ემორჩილებიან. ასეთ პირობებში მათ პირად გრძნობებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სიეტლში, WTO-ს საპროტესტო დემონსტრაციებზე, ძალიან ბევრ აქტივისტს ვესაუბრე, რომლებმაც საკუთარი თვალთა ნახეს, როგორ ტიროდნენ ჩაფხუტებიანი პოლიციელები, რადგან უზომოდ წუხდნენ, რომ მიიღეს ბრძანება, ამკარად მშვიდობიან ახალგაზრდა იდეალისტებზე შეტევა განეხორციელებინათ. მაგრამ შეტევაზე მაინც გადავიდნენ. ხშირად ზედმინევით კარგად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა, ბრძანებას არ დამორჩილებოდა.

პოლიციელები კარგად არიან განვრთნილი და შემოწმებული, რომ ამ მდგომარეობაში სანდონი იყვნენ, რადგან არსე-

ბული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა მთლიანად ამ კეთილსაიმედოობაზეა დამოკიდებული. მკითხველი ჩემს ნათქვამს ბოლო თავში გაიხსენებს, რომელიც ორგანიზაციების ან-არქისტულ ფორმებს ეხება: პოლიცია – ეს არის ორგანიზების ფორმა, რომელიც არ ეფუძნება შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში გამოიძახოს იარაღიანი ადამიანები და უთხრას მათ: „ხმა გაკმინდე და ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან“. პოლიციელები სწორედ ეს იარაღიანი ადამიანები არიან, უფრო ზუსტად – შეიარაღებული ოფიციალური პირები, თოფიანი ბიუროკრატები. მათი ეს როლი – არსებული ინსტიტუციური მექანიზმის, განსაკუთრებით, ქონებრივი სტრუქტურის მხარდაჭერა და ზოგიერთი ადამიანის უფლებამოსილება, გასცეს ბრძანებები, რომლებიც უსიტყვოდ უნდა შესრულდეს – საბოლოოდ, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე, სავარაუდოდ, საზოგადოებრივ წესრიგზე ან თუნდაც საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ზრუნვა. შეიძლება, ერთი შეხედვით, ასე არ ჩანდეს, მაგრამ ყველაფერი აშკარა ხდება, როცა ინსტიტუციურ მოწყობას რაიმე სახის უშუალო საფრთხე დაემუქრება. როცა სისტემა ისეთი პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დგას, როგორიცაა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია, უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ უკიდურეს ზომებს – ის შეიძლება იყოს აგენტი პროვოკატორების გამოყენება, რომლებიც აქეზებენ დემონსტრანტებს, თავს დაესხან პოლიციას და ამ უკანასკნელს მათი დაპატიმრების საბაბი მიეცეს; ვარაუდების გამოთქმა, თითქოს დემონსტრანტები ასაფეთქებელ ნივთიერებებს ყიდულობენ, რომ ხიდები მწყობრიდან გამოიყვანონ; პოლიციის ქმედებები, რომლებიც ხალხში პანიკისა და განხეთქილების დათესვას ემსახურება; მასობრივი თავდასხმები და ძალმომრეობა ხალხზე, როცა მათგან მხოლოდ ერთი-ორი ადამიანი თუ არღვევს კანონს, ისიც იმ ფორმით, რომელიც პარკირების წესების დარღვევის ტოლფასია; მასობრივი დაპატიმრებები, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ამ პროცესში უდანაშაულო გამელებებიც მოყვებიან; საზოგადოებრივ ადგილებში ცრემლსადენი გაზისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების გამოყენება. ყველა ეს ქმედება შემდეგზე მეტყველებს: როდესაც საპროტესტო გამოსვლები მართლაც შთამბეჭდავ მასშტაბებს იძენს, პოლიციას

ყოველთვის უბრძანებენ, იმოქმედოს, როგორც პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას, თუნდაც ამან ცალკეული ადამიანების სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეუქმნას, დაახიანოს ან მძიმე ფიზიკური ტრავმა მიაყენოს მათ.

ამრიგად, პოლიცია, როგორც ცალკეული პირების ერთობლიობა, 99%-ის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ინსტიტუციური სტრუქტურა, ის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერია იმ ინსტიტუციური მმართველობის მთელი სისტემისა, რომელიც 1%-ის სიმდიდრესა და ძალაუფლებას უზრუნველყოფს. აბსოლუტურად არაფერია ცუდი იმაში, რომ პოლიციელებს, როგორც პიროვნებებს, მეგობრულად და პატივისცემით მოვეკიდოთ – პირიქით, სწორედ ასეც უნდა მოვიქცეთ და არამარტო იმიტომ, რომ ყველას მიმართ კეთილგანწყობილნი უნდა ვიყოთ, არამედ თუნდაც სტრატეგიული თვალსაზრისით: როცა რეჟიმები ემხობა, როცა რევოლუციონერები საბოლოოდ იმარჯვებენ, ეს ყოველთვის იმის გამო ხდება, რომ ჯარი ან პოლიცია უარს აცხადებენ, ესროლონ მათ. მაგრამ, ამავე დროს, კარგად უნდა გვახსოვდეს: ეს უკვე ბრძოლის უკანასკნელი ეტაპია. ჩვენ ვერასოდეს მივაღწევით იქამდე, თუკი ურთიერთობა გვექნებოდა პოლიციასთან, როგორც ინსტიტუციურ სტრუქტურასთან, და განვაგრძობდით არსებობას ძალაუფლების იმ ერთიანი სტრუქტურის შიგნით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

მიაქციეთ ყურადღება: მე ვამბობ „ძალაუფლების სტრუქტურას“ და არა „კანონიერ სტრუქტურას“. ასეთ შემთხვევებში, კანონიერებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი, თეორიული თვალსაზრისით, იმ კანონებისა და დადგენილებების მეშვეობით იმართება, რომელთა შესახებაც ბევრ ჩვენგანს მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვს; ამერიკაში თითქმის ყოველი ადამიანი დღეში ათჯერ ან ოცჯერ მაინც არღვევს კანონს; პოლიციელს რომ ნამდვილად უნდოდეს, პირველივე შემხვედრ მოქალაქეს მივარდეს და წიხლი ამოარტყას, კბილები ჩაუმტვრიოს ან თითები მოსტეხოს, ის ალბათ ამის გასამართლებელ მიზეზს ნებისმიერ შემთხვევაში იპოვოდა (სხვათა შორის, აქტივისტურ სამყაროში ცნობილი პარადოქსია, რომ პოლიციელები გაცილებით თავი-

სუფლად იყენებენ ძალას, როცა მათ საბოლოო მიზანს „კანონ-იერების დამცველთა“ რომელიმე დანაშაულის მსხვერპლის მსჯავრდებულის სკამზე მოხვედრა არ წარმოადგენს, რადგან, თუკი ის მართლაც დამნაშავეა და სასამართლოს წინაშე წარდგება, დაპატიმრების დროს პოლიციელის მიერ ქცევის ნორმების რაიმე დარღვევა თუ გამოაშკარავდა, განსასჯელისთვის განაჩენის გამოტანისას ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს; თუკი პოლიცია მიზნად არ ისახავს, რომ ესა თუ ის პირი განსასჯელის სკამზე მოხვდეს, მაშინ, სამართლებრივი თვალსაზრისით, არავითარი საფუძველი არა აქვს, მასზე ძალა არ გამოიყენოს. ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს მასშტაბური სკანდალის შემთხვევაში, ისაა, რომ პოლიციელი რამდენიმე კვირის ხელფასს დაკარგავს). სწორედ ამიტომ, თუკი პოლიციელებს სურთ, მიმართონ დაუწერელ რასისტულ კანონებს (მაგალითად, „შეანუხონ“ აფრო-ამერიკელები, რომლებიც „შეცდომით“ აღმოჩნდებიან იმ უბანში, სადაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ) მათ სრულიად კანონიერად შეუძლიათ, ასე მოიქცნენ; უბრალოდ, იმ კანონებს გამოიყენებენ, რომლებიც, როგორც წესი, თეთრკანიანებზე არ ვრცელდება. იგივე ეხება აქტივისტებსაც.

ის, რომ კანონი აქ არაფერ შუაშია, სრულიად აშკარა ხდება იმ წუთიდან, როცა ჯგუფის წევრები მაინც გადაწყვეტენ ურთიერთობას პოლიციასთან, როგორც ინსტიტუციურ სტრუქტურასთან, ნიშნავენ შუამავალს პოლიციასთან დასაკავშირებლად და იწყებენ მოლაპარაკებებს. ბოლოს და ბოლოს, ორივე მხარე რომ კანონის ფარგლებში მოქმედებდეს, რა შეიძლება იყოს მოლაპარაკების საგანი? ეს იქნებოდა, უბრალოდ, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა იმის შესახებ, თუ როგორია იურიდიული წესები, რის გაკეთებას გეგმავენ „ოკუპანტები“ თუ დემონსტრანტები; ამის შემდეგ პოლიციას საშუალება მიეცემოდა, დაეცვა საზოგადოების ის წევრები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ პროტესტის გამოხატვა. მაგრამ ასე არასოდეს ხდება. სინამდვილეში, უპირველესად, პოლიციის მეთაურები ქმნიან იმპროვიზებულ წესებს, რომლებიც მათ აბსოლუტურ ძალაუფლებას სრულიად განუზომელ უფლებამოსილებაში გადაზრდის (მათ აქვთ უფლება, დაგარტყან, შენ კი არ გაქვს ამის უფლება; მათ აქვთ უფლება, დაგაპატიმრონ, შენ კი არ შეგიძლია ამის გაკეთება).

ნება მომეცით, ერთი უჩვეულოდ ნათელი მაგალითი წარმოგიდგინოთ. ნიუ-იორკში პოლიცია ჩვეულ ხერხს იყენებს – მეტალის ბარიერებით ვიწრო მოედანს შემოფარგლავს და შემდეგ ცდილობს, პიკეტისა და საპროტესტო აქციების მონაწილეები ამ შემოსაზღვრულ არეალში მოაქციოს. დემონსტრანტთა დემორალიზებისათვის ეს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ეს ქმედება, აშკარად, არაკონსტიტუციურიცაა. უფრო მეტიც, პოლიციის მეთაურებმა ეს კარგად იციან: ყოველ შემთხვევაში, არ მსმენია, ვინმე დაეპატიმრებინოთ იმის გამო, რომ მან უარი თქვა, ამ შემოღობილ ტერიტორიაზე შესულიყო (თუმცა რამდენიმე დემონსტრანტი, რომლებმაც უარი თქვეს იქ შესვლაზე, ადრე თუ გვიან, რაღაც გამოგონილი ბრალდებებით მაინც დაუკავებიათ). იმ შემთხვევაში, თუ დემონსტრაციას თავისი მარშლები ჰყავს, პოლიცია, უპირველეს ყოვლისა, ეუბნება მათ, რომ არ ავალდებულებს, ამ შემოღობილ ტერიტორიაზე თავად შევიდნენ, მაგრამ მიიჩნევს, რომ მარშლები პასუხისმგებელნი არიან, უზრუნველყონ, რომ ყველა დანარჩენი შემოფარგლული ტერიტორიის შიგნით დარჩეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი არსებობს მმართველობის სტრუქტურა, პოლიცია დაუყოვნებლივ მიანიჭებს მასში შემავალ ადამიანებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს (რომლებსაც კანონის აღმასრულებელნი სახელდახელოდ თვითონ მოიგონებენ) და შეეცდება, ისინი საკუთარი უფლებამოსილების დამატებად აქციოს (ფაქტობრივად, ესაა არაოფიციალური რგოლი მათი იერარქიული ჯაჭვისა, რომელიც ბრძანებებს ასრულებს). ეს საკუთარ თავზე გამოვცადე, როცა სურვილი გამოვთქვი, მარშალი ვყოფილიყავი. საკმარისია, უარი თქვა იმაზე, რომ მუდარით, მუქართა თუ იძულებით შეყარო დემონსტრანტები შემოღობილ ტერიტორიაზე, მაშინვე ბრალს დაგდებენ, რომ „შენ შენს სამუშაოს ვერ ასრულებ!“ – თითქოს, როცა თანხმდები, იყო მარშალი, ეს, ფაქტობრივად, გულისხმობს იმას, რომ გამოთქვამ სურვილს, იმუშაო პოლიციისთვის.

თუკი ჯგუფის შიგნით მმართველობის სტრუქტურა არ არსებობს, პოლიციის მაღალჩინოსანი აუცილებლად მოსინჯავს, შეიძლება თუ არა მისი შექმნა. შუამავლებს მიენიჭებათ განსაკუთრებული პრივილეგიები და პოლიციის ჩინოვნიკები შეეცდებიან, დადონ მათთან არაოფიციალური გარიგებები, რომ-

ლებიც კანონით გათვალისწინებული არაა; მათ განხორციელებას (რასაკვირველია, იმ პრინციპის საფუძველზე, რომ მეორე მხარეს თავს, მორალური თვალსაზრისით, ვალდებულია აგრძნობინებენ) ისინი შეეცდებიან იმ მოსაზრებით, რომ დე ფაქტო უფლებამოსილი პირები იძულებულნი იქნებიან, მხარი დაუჭირონ მათ და, ამგვარად, თანდათანობით ჩამოყალიბდება იერარქიული სტრუქტურა. კიდევ ერთი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, ამჯერად მეორე მხრიდან: „დაიკავე ოსტინის“ სანყის პერიოდში ერთმა აქტივისტმა (კარგად დამამახსოვრდა ეს დრედებიანი ლიბერტარიანელი ჰიპი, რომელიც ხშირად ეძლეოდა მედიტაციას და ფასილიტაციის ჯგუფის თითქმის ყველა წევრს ძალიან დაუახლოვდა) „გენერალური ასამბლეის“ დასაწყისში სურვილი გამოთქვა, პოლიციასთან შუამავლობა გაენია, ანუ ყოფილიყო, როგორც თავად უწოდებდა, „მშვიდობის ოფიცერი“. ეს შემოთავაზება არ დაამტკიცეს, მაგრამ მან მაინც გადანყვიტა, აღნიშნული როლის შესრულება საკუთარ თავზე აეღო. პირველი საკითხი, რომელიც „ოკუპანტების“ მიერ ქალაქის მერიის წინ დამკვიდრების შემდეგ წარმოიშვა, კარვებს ეხებოდა: შეგვეძლო თუ არა, გაგვეშალა კარვები? კანონი ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ბუნდოვანი იყო. როგორც კი რამდენიმე „ოკუპანტი“ კარვის გაშლა სცადა, პოლიციელები მაშინვე ავისმომასწავებლად გამოჩნდნენ იქ; კარავს გარს შემოვერტყით და მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობისათვის მოვემზადეთ. ჩვენი თვითმარქვია შუამავალი მაშინვე ამოქმედდა, მოძებნა პოლიციის მეთაური, ცოტა ხანში ისევე გამოჩნდა და განაცხადა, რომ მოლაპარაკების გზით კომპრომისის მიღწევა მოახერხა: შეგვეძლო, სიმბოლურად შეგვენარჩუნებინა ის ერთი კარავი, ოღონდ იმ პირობით, რომ მეტ კარავს აღარ დავდგამდით.

ძალიან ბევრი (მე ვიტყვოდი, რომ უმეტესობა) „ოკუპანტი“ მიიჩნევდა, რომ ეს იყო, უბრალოდ, რეპუტაციის გადარჩენის მცდელობა, რადგან პოლიციელებს აშკარად არ უნდოდათ მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმა პირველსავე დღეს და ცდილობდნენ, მოესინჯათ ჩვენი განწყობა, ვიყავთ თუ არა მზად, რომ წინააღმდეგობა გაგვეწია. ასე რომ, მეორე დღეს შედარებით გამოცდილ აქტივისტთა მცირე ჯგუფმა გადანყვიტა, რომ აუცილებელი იყო, ჩვენ მიერ გათავისუფლებული ტერიტორია

რაც შეიძლება მშვიდად, დიპლომატიური გზით, თანდათან გაგვე-
 ფართოებინა; ამიტომ წინა დღეს დადგმული კარვის გვერდით
 კიდევ ერთი პატარა კარავი გაეშალეთ. „ბანაკი თანდათანობით
 იზრდება და ნელ-ნელა აწევა არსებულ საზღვრებს“ – სწორედ
 ეს მიდგომა ავირჩიეთ ზუკოტის პარკის შემთხვევაშიც და ის საკ-
 მაოდ წარმატებული გამოდგა. აქ კი იმ აქტივისტებს, რომლებიც
 კარავს შლიდნენ, თვითმარქვია შუამავლის მეგობრებმა ალყა შე-
 მოარტყეს და განაცხადეს, რომ ეს იყო ბოროტად გამოყენება იმ
 ნდობისა, შუამავალს პოლიციის მაღალჩინოსანმა წინა დღეს რომ
 გამოუცხადა. აქტივისტმა, რომელსაც „გენერალურ ასამბლეაზე“
 ხალხის განწყობის კვლევა ევალებოდა, „ცოცხალი მიკროფონი“
 გამოიყენა, რათა ერთობლივად მოეთხოვათ ჩვენთვის, კარავი
 დაგვეშალა, ერთმა ქალმა პოლიციას გამოუძახა (რომელსაც,
 როგორც გაირკვა, კარავი ნაკლებად აინტერესებდა) ჩვენს დასა-
 პატიმრებლად; საიდანაც გამოჩნდა კაცი, რომელმაც განაცხა-
 და: „მე ომის ვეტერანი ვარ და ამ კარავს ნაფლეთებად ვაქცევ!“
 მან მხოლოდ მაშინ შეწყვიტა გზის გაკვლევა იმ აქტივისტებს შო-
 რის, რომლებიც კარავს გადაეფარნენ (ისინი ამ დროისთვის უკვე
 ცდილობდნენ, პასიური წინააღმდეგობის განწევის მიზნით ხელ-
 ჩაკიდებულნი დამდგარიყვნენ), როცა გაირკვა, რომ ის საფრთხ-
 ეს უქმნიდა კარავში მყოფ პატარა ბავშვს. მიუხედავად იმისა,
 რომ ბანაკის უსაფრთხოების რაზმმა საბოლოოდ მოახერხა,
 დაძაბული სიტუაცია გაენეიტრალებინა, კარავი მაინც აიღეს და
 ამის მერე კარვის გაშლა არავის უცდია. შემდგომი ძალისხმევა,
 დაემკვიდრებინათ პრინციპი, რომ მშვიდობიან „ოკუპანტებს“,
 სულ მცირე, ძალის გამოყენებითა და დაპატიმრებით არ უნდა
 დამუქდებოდნენ, ფასილიტაციის გუნდის მიერ უარყოფილ იქნა
 (ზოგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგობაც კი გაუწიეს შემდეგი
 მოტივით: ისინი, ვინც ისე მოქმედებდა, რომ პოლიციის მხრი-
 დან ბანაკზე თავდასხმის პროვოცირებას იწვევდა და საფრთხეს
 უქმნიდა ბავშვებს, თავად იყვნენ მოძალადეები!). როგორც კი
 ქალაქის მმართველობამ და პოლიციამ შენიშნეს, რომ ბანაკში
 ერთიანობა დაირღვა (და ისინი, ვინც უფრო მეტად ემხრობოდა
 სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, გარიყულნი აღმოჩნდნენ),
 მიხვდნენ, რომ ინიციატივა ისევ მათ ხელთ იყო და უამრავი ახ-
 ალი შეზღუდვის დაწესება გადაწყვიტეს: ეს ეხებოდა მაგიდებს,

რომლებზედაც საკვებს ვაწყობდით, ღამით დარჩენას და ა.შ., სანამ იქამდე არ მივიდნენ, რომ რამდენიმე კვირაში ქალაქის მერიის წინ არსებული „საოკუპაციო“ ბანაკი მთლიანად აიღეს.

ამ ისტორიის დეტალურად მოყოლა ნამდვილად ღირს, რადგან ის კარგად გამოხატავს შემდეგ გარემოებას: ჩვენ სამართლებრივ რეჟიმზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ პოლიტიკური ძალების ბალანსზე, სადაც თითოეული მხარე შეიძლება, არსებითად, იმპროვიზაციას მიმართავდეს, რათა ამ თამაშის არსს ჩასწვდეს და დაადგინოს, თუ რა სარგებელი შეიძლება ნახოს მან კონკრეტულ შემთხვევაში. კანონზე აპელირება (რომელიც იშვიათად თუ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული) ერთ-ერთი იყო იმ უამრავი საშუალებიდან, რომელთა გამოყენებაც ორივე მხარეს შეეძლო; ისევე, როგორც ხალხისადმი მიმართვა (მედიის მეშვეობით თუ უშუალოდ), ძალის გამოყენების მუქარა (ხელკეტები, ხელბორკილები, ქიმიური იარაღი – პოლიციის შემთხვევაში, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, როგორიცაა, მაგალითად, ბლოკადები – ოკუპანტების მხრიდან), სხვადასხვა სახის პოლიტიკური მოკავშირეებისა და თავად სინდისის მოხმობაც კი.

პოლიციის სტრატეგია თავიდანვე გამოკვეთილად პოლიტიკური იყო და, სავარაუდოდ, ზემოდან წამოსულ ინსტრუქციებს ეფუძნებოდა: მათ მიზნად დაისახეს, მინიმუმამდე დაეყვანათ ბანაკისაგან მიყენებული ზიანი და იქაურობა რაც შეიძლება სწრაფად გაენმინდათ ხალხისგან (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფარული აგენტებიც შემოგზავნეს ბანაკში, რომლებსაც დაავალეს, „ოკუპანტები“ დაერწმუნებინათ, რომ მათ უფრო მეტად აგრესიული ტაქტიკა უნდა გამოეყენებინათ, მაგალითად, მეტალის მძიმე საფოსტო ყუთებით მოწყობილი ბლოკადა, რადგან იცოდნენ, რომ ტექსასში ცოტა ხნით ადრე მიიღეს კანონი, რომლის საშუალებითაც გაცილებით უფრო ადვილი იყო მძიმე დანაშაულში ბრალის დადება ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამ ტაქტიკას გამოიყენებდა). ერთ სტრატეგიულ დათმობაზე წასვლა (ერთი კარვის დატოვებაზე ნებართვის მიცემა) და შემდეგ მისი, როგორც „სოლის“, გამოყენება მათი მხრიდან შესანიშნავი ტაქტიკა იყო, რადგან ხელისუფლებას ამით შესაძლებლობა მიეცა, „ოკუპაციის“ შიგნით შეექმნა კადრი, რომელიც, არსებითად, მზად იყო, ემოქმედა, როგორც პოლიციის ძალაუ-

ფლების დანამატს, პოლიციის თავდასხმის საფრთხე („პოლიცია ჩვენზე შეტევას განახორციელებს!“) „ეთარგმნა“ მორალურ ვალდებულებად („ჩვენ პირობა დავდეთ!“) და, ამგვარად, საბოლოო ჯამში, ან ადვილად ეკონტროლებინათ, ან საერთოდ დაეშალათ „ოკუპაცია“. არასოდეს არ უნდა დავუშვათ, რომ ვინმემ ძალადობის მუქარა მორალურ სფეროს მიაკუთვნოს. ფიზიკურ ძალასთან დაპირისპირების ერთადერთი საშუალება მორალური ძალაა, ხოლო მორალური ძალა, პირველ რიგში, სოლიდარობას უნდა ეფუძნებოდეს. როგორც კი აქციის მონაწილე ზოგიერთ ადამიანს გაუჩნდება განცდა, რომ უფრო მეტი მორალური პასუხისმგებლობა აკისრია იმ ძალის წინაშე, რომელიც მათზე თავდასხმით იმუქრება, ვიდრე ნებისმიერი სხვა აქტივისტის წინაშე, თამაში, ფაქტობრივად, დამთავრებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ყველა „ოკუპაცია“ და ქუჩის აქცია განგვეხილა, როგორც ომი. მესმის, ეს შეიძლება გადაჭარბებულად ჟღერდეს, მაგრამ დაკვირვებამ და გამოცდილებამ, რომელიც წლების განმავლობაში დამიგროვდა, მიმიყვანა დასკვნამდე, რომ იმის აღსაწერად, რაც ხდება, უფრო შესაფერი გზა არ არსებობს. ხაზს ვუსვამ: ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ძალადობისაკენ მოწოდება. ყოველთვის სჯობს, არაფერი დავუშავოთ სხვა ადამიანებს, თუკი შეიძლება, ამას თავი ავარიდოთ; თანამედროვე შეერთებულ შტატებში ადამიანი იშვიათად თუ აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, სადაც ძალადობა ერთადერთი არჩევანია.* თუმცა ნებისმიერ კონფლიქტს ორი მხარე აქვს და ნებისმიერი ქუჩის აქციის ერთ-ერთი მხარე აუცილებლად მზად არის ომისთვის: შეიარაღებულია, ზურგს უმაგრებს SWAT რაზმები, ვერტმფრენები და ჯავშნოსანი მანქანები, რაც იმთავითვე ცხადყოფს, რომ ის მომზადებულია საკუთარი პოლი-

* ერთხელ კვებეკში დავესწარი აქტივისტთა შეხვედრას „მრგვალ მაგიდასთან“, რომელიც ძალადობრივი და არაძალადობრივი მეთოდების განხილვას მიეძღვნა. ერთი ექსტრემისტული შეხედულებების აქტივისტი საუბარში ჩაერია და ასეთი შეკითხვა დასვა: „რატომ მიგვაჩნია, რომ მშვიდობიანი ქმედება ყოველთვის უკეთესია, ვიდრე ძალადობრივი, თუკი არჩევანის შესაძლებლობა არსებობს?“ მე ვუპასუხე: „იმიტომ რომ, ნამდვილად ძნელია, როცა იძულებული ხარ, მთელი ცხოვრება ფეხების გარეშე რაღაცის მიღწევას ცდილობდე“. ეს კი თითქმის გარდაუვალი შედეგი იქნება, თუკი საქმეში ბომბები ჩაერთვება.

ტიკური მიზნების მისაღწევად ძალის გამოყენებისათვის. ზოგადად, ეს ძალა გამოყენებული იქნება თუ არა, ის არ წყვეტს, ვინც დემონსტრაციას ნებართვის გარეშე მართავს. რასაკვირველია, თუკი დემონსტრანტები მანქანებს დალენწავენ ან რამეს ცეცხლს წაუკიდებენ, სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პოლიცია ხალხს კედელთან მიაყენებს და ხელბორკილებს დაადებს. მაგრამ ხშირად ნებისმიერ შემთხვევაში ასე ხდება. შეიძლება მოვლენები სხვაგვარად წარიმართოს; მაგალითად, იმ დემონსტრაციაზე, სადაც, პოლიციელების ვარაუდით, შეიძლება დემონსტრანტების მხრიდან მოულოდნელად მართლაც იფეთქოს ძალადობამ, ასე არ ხდება; და პირიქითაა, როცა ფიქრობენ, რომ ნაკლებად სავარაუდოა, დემონსტრანტებმა, საერთოდ, რაიმე სახის წინააღმდეგობის განევა შეძლონ. ეს დამოკიდებულია უამრავ გათვლაზე, რომლებიც გულისხმობს სავარაუდო რეაქციებს დემონსტრანტების, საზოგადოების, მედიისა და მნიშვნელოვანი ინსტიტუტების მხრიდან. მუდმივად იმართება მოლაპარაკებები (და ხელახალი მოლაპარაკებები), რომლებზედაც განიხილება წესები, თუ რა ვალდებულებები აკისრიათ ერთმანეთის წინაშე „ოკუპანტებსა“ და პოლიციას.

ზუკოტის პარკის რამდენიმე შემთხვევა ალბათ თვალსაჩინო მაგალითი იქნებოდა:

- ერთი ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ცნობის თანახმად, რომელმაც Occupy Wall Street-ის საწყის პერიოდში პოლიციასა და ქალაქის მესვეურებთან უამრავი ინტერვიუ ჩაწერა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მათთვის, ვინც ქუჩაში პოლიციელებს ბრძანებებს აძლევდა, იყო გაი ფოქსის ნილბიანი ჰაკერების ჯგუფ Anonymou-ის წევრების ყოფნა ზუკოტის პარკში. მისი თქმით, უმეტესობას მართლაც ეშინოდა, რომ თუკი ბანაკზე შეტევას განახორციელებდნენ და დემონსტრანტებს გაყრიდნენ, Anonymous მათ საბანკო და საკრედიტო ბარათის ანგარიშებზე შეაღწევდა. მეტწილად სწორედ ამ შიშმა განაპირობა, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება, ბანაკზე შეტევისაგან თავი შეეკავებინათ.

- ნიუ-იორკის მერის, ბლუმბერგის პირველმა მცდელობამ, 2011 წლის 14 ოქტომბერს „ოკუპანტები“ ლიბერტი პარკიდან (ეს სახელი პარკს სულ ცოტა ხნით ადრე დაარქვეს) გამოეძევებინა,

სამარცხვინო მარცხი განიცადა. მას შემდეგ, რაც მან განაცხადა თავისი გეგმის შესახებ, გაეთავისუფლებინათ ტერიტორია „დასუფთავების“ მიზნით, ერთდროულად მოხდა აქტივისტების მობილიზაცია ყველა სავარაუდო ფრონტზე: ათასობით აქტივისტი გამოცხადდა, რომლებიც მზად იყვნენ, დაეცვათ ბანაკი მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზით; ამავე დროს სამართლებრივმა ჯგუფებმა მოამზადეს სასამართლო აკრძალვითი ნორმები; მოიწვიეს მედიის წარმომადგენლები, რომლებიც, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად თანაგვიგრძნობდნენ, პროფესიულმა კავშირებმა და სხვა მომხრეებმა მოახდინეს პოლიტიკური მოკავშირეების მობილიზაცია ქალაქის საკანონმდებლო ორგანოებში. საბოლოოდ, მერმა უკან დაიხია. არა მარტო ერთმა ცალკეულმა, არამედ ერთობლივად უამრავმა სხვადასხვა მიდგომამ აიძულა ის, ასე მოქცეულიყო.

- 2012 წლის 12 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე განხორციელებული რეიდი, რომლის შედეგადაც, ბოლოს და ბოლოს, „ოკუპაცია“ ძალის გამოყენებით მაინც დაშალეს, როგორც ჩანს, ემყარებოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და ის დაიგეგმა, როგორც მოულოდნელი, საიდუმლო შეტევა უზარმაზარი ძალის გამოყენებით, მედია კი ამ ტერიტორიაზე საერთოდ არ დაუშვეს. ესეც, უბრალოდ, კანონის უგულვებელყოფა იყო. ღამის 2 საათისთვის „ოკუპანტთა“ სამართლებრივ ჯგუფს უკვე ჰქონდა სასამართლოს განჩინება ტერიტორიის წმენდის შეჩერების შესახებ, სანამ ყველა იურიდიული საკითხი არ გაირკვეოდა; ბლუმბერგმა არ გაითვალისწინა სასამართლოს განჩინება, ვიდრე ისეთი მოსამართლე არ მოძებნა, რომელიც მისთვის მისაღებ დადგენილებას გამოიტანდა. სწორედ დროის ამ მონაკვეთში, როცა რეიდი ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო იყო, ლიბერტი პარკის ბიბლიოთეკა აიღეს და მთლიანად გაანადგურეს.

ამ მაგალითებით აშკარა ხდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკურ ძალთა იმგვარ ბალანსთან, რომელსაც კანონთან თითქმის არაფერი აქვს საერთო. თუკი პოლიციას აქვს ამის შესაძლებლობა, ის მოლაპარაკებებს აწარმოებს იმ ძალის მუქარით, რომელიც არავითარ კანონებსა და ნორმებს არ ექვემდებარება, როგორც ეს

ოსტინში მოხდა. თუკი არა აქვს ამის შესაძლებლობა, როგორც, მაგალითად, ნიუ-იორკის შემთხვევაში, პირველ რიგში, ყველასთვის ნათელყოფს, რომ მზადაა უკანონო დაპატიმრებებისთვის. Anonymous-თან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი მაგალითი კარგად გვჩვენებს, რომ ძალწირები შესაძლოა, უმეტესწილად წარმოსახვაშიც არსებობდეს (ჰაკერებს სინამდვილეში იმდენი ხომ არ შეუძლიათ, რასაც ფილმებში ვუყურებთ), მაგრამ პოლიტიკური თამაშები, ძირითადად, ბლეფისა და ფანდების ფსიქოლოგიური ომია; ამავე დროს, ეს არის მორალური კონფლიქტიც. და როგორც ბოლო მაგალითშიც კარგად ჩანს, ლოკალური გამარჯვებები შეიძლება ეფემერული აღმოჩნდეს, თუკი ვერ შევძლებთ ამავე სახის ძალების მობილიზებას ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბითაც კი.

მოძრაობის შიგნით დებატები თითქმის არასდროს იმართება იმის თაობაზე, უნდა მივმართოთ თუ არა ძალადობას, არამედ იმაზე, თუ მშვიდობიანი ქმედების რა ფორმები გამოვიყენოთ (რელიგიური ნიშნით შექმნილ თემებში ამ დებატებს მოიხსენიებენ, როგორც განსხვავებებს განდისეულ/მარტინ ლუთერ კინგისეულ არაძალადობრივ ტრადიციებსა და დენიელ ბერიგანის, ანუ Plowshares Eight-ის („სახნისთა რვიანი“) ტენდენციებს შორის (**Plowshares Eight არის მოძრაობა ბირთვული იარაღის წინააღმდეგ, რომელიც ანტისაომარ აქტიურ ქმედებებს უჭერს მხარს. ჯგუფის წევრები ხშირად აწყობენ სიმბოლურ საპროტესტო ღონისძიებებს, რომელთა დროსაც აზიანებენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იარაღს. სახელწოდება ისაია წინასწარმეტყველის სიტყვებიდან მოდის, რომ მოვა დრო და ხალხი მახვილებს სახნისებად გადაადნობს. მოძრაობას 1980 წელს საფუძველი ჩაუყარა დენიელ ბერიგანმა, თავის ძმასთან, ფილიპთან და კიდევ ექვს ადამიანთან (რვიანი) ერთად. რედ.**). მათგან პირველი უარყოფს ქონების, საკუთრების დაზიანებას, მეორე კი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ან კორპორაციის ქონების გარკვეული კატეგორიის დაზიანება ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს, თუკი მის მიზანს კიდევ უფრო დიდი ზიანის თავიდან აცილება წარმოადგენს). მინდა, შემოგთავაზოთ რამდენიმე პრინციპი, რომლებზეც უფრო მეტად უნდა დაგფიქრდეთ, როდესაც ტაქტიკაზე ვმსჯელობთ.

პირველ რიგში, არსებობს რამდენიმე პრინციპი, რომლებიც

უფრო ფართო მასშტაბით უნდა განვიხილოთ: უნდა განვსაზღვროთ, რა საზოგადოებრივი ღონისძიებები შეგვიწყობს ხელს, შევექმნათ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება, ასევე, კარგად უნდა დავფიქრდეთ, რა სახის ტაქტიკა მოგვცემს საშუალებას, შევინარჩუნოთ მოძრაობის დემოკრატიული ხასიათი. ამ კუთხით საკითხს იშვიათად სვამენ, მაგრამ ეს აუცილებელია. ერთ-ერთი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ამ საკითხს საკმაოდ არაორაზროვნად განიხილავდა, იყო 2006 წლის სახალხო ამბოხება ოაქსაკაში, მექსიკაში, სადაც მივიდნენ დასკვნამდე, რომ როგორც შეიარაღებული ამბოხება, ასევე წმინდა განდისეული არაძალადობრიობა, აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ქარიზმატულ ლიდერებსა და სამხედრო ტიპის დისციპლინას; ეს კი საბოლოოდ ძირს გამოუთხრის ნებისმიერ ჭეშმარიტ, მონაწილეობის პრინციპზე დამყარებულ დემოკრაციას. ამის საპირისპიროდ, სავსებით ბუნებრივია, რომ მემარჯვენე პოლიტიკური მოძრაობები, როგორიცაა „ჩაის სმის მოძრაობა“ (რომელსაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო იერარქიული მმართველობისა), სკრუპულოზური ყურადღებით ეკიდებოდნენ, რომ ამკარა შეიარაღებულ ამბოხებას კანონიერების დაცვისთვის საფრთხე არ შეექმნა.

მეორე არის პრაქტიკული საკითხი. შუა ზონა ნამდვილ ამბოხებასა და განდისეულ რიტუალიზებულ არაძალადობრიობას შორის, ამავე დროს, არის მაქსიმალური შემოქმედებითობისა და იმპროვიზაციის ასპარეზი; ეს კი მთლიანად ჩვენს უპირატესობას წარმოადგენს. შემოქმედებითობა ქუჩებში ჩვენთვის უდიდესი ტაქტიკური პლუსია. სწორედ ამიტომაც, რომ ჯამბაზები, სპირალური ცეკვების რიტუალები და ბალერინისკაბიანი ბუმბულის მტვერსაწმენდებით შეიარაღებული ქალები ასეთი ეფექტური იყო „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობის“ დროს. პოლიცია (აქ ისევ და ისევ ვგულისხმობთ პოლიციას, როგორც ინსტიტუტს, და არა ცალკეულ პოლიციელს) დიდ გამჭრიახობას ვერ იჩენს. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება, როცა უამრავი პოლიციელი, დამცავ სამოსში გამოწყობილი და სპეციალური იარაღით აღჭურვილი, რიგებად მწკრივდება. ასეთ პირობებში პოლიციასთან ურთიერთობის ყველაზე ეფექტური მეთოდია, მუდმივად აკეთო ის, რის წინააღმდეგ რეაგირებაშიც მათ წვრთნა არ გაუვლიათ.

ეს გახლავთ საფასური იმ სამხედრო დისციპლინისა, რომელიც სხვათაგანს წესიერ ადამიანებს საშუალებას აძლევს, მშვიდობიან დემონსტრაციებს ხელკეტებით დაესხან თავს; იმისათვის, რომ შეძლო, აკეთო ის, რასაც გეუბნებიან, თანახმა უნდა იყო, *მხოლოდ* ის აკეთო, რასაც გეუბნებიან. ისინი, ვინც პასუხისმგებელია ამბოხის ჩამხშობი პოლიციის სპეცდანაყოფების წვრთნაზე, როგორც ჩანს, დარწმუნებულნი არიან ერთ რამეში: იმისათვის, რომ პოლიციელები ფსიქოლოგიურად მზად იყვნენ, მონაწილეობა მიიღონ აქტივისტებზე ძალმომრეობაში, აუცილებელია მათი განვრთნა არა იმგვარ ტაქტიკაზე რეაგირებისათვის, როგორსაც, სავარაუდოდ, ისინი წააწყდებიან, არამედ უკიდურესი ძალადობის ფორმებზე რეაგირებისათვის, როგორსაც აქტივისტები სინამდვილეში არასოდეს მიმართავენ. მაგალითად, სიეტლის ამბების შემდეგ მთელ ამერიკაში მოგზაურობდნენ პოლიციის ტრენერთა ჯგუფები, რომლებიც პოლიციელებს იმ ქალაქებისა, სადაც სავაჭრო სამიტები უნდა გამართულიყო, მითითებებს აძლევდნენ, თუ როგორ გამკლავებოდნენ აქტივისტებს, რომლებიც ისროდნენ მოლოტოვის კოქტეილებს, ფეკალიებს, მტავითა და ამიაკით სავსე ელექტრონათურებს, შურდულით ტყორცნიდნენ ბურთულსაკისრებს, ან შეიარაღებულნი იყვნენ შარდითა და ქლორით სავსე წყლის თოფებით. სინამდვილეში არც ერთ აქტივისტს არც სიეტლში და არც რომელიმე შემდგომი სამიტის დროს მსგავსი არაფერი ჩაუდენია. მაგრამ, როგორც ჩანს, მაღალჩინოსნები მიიჩნევდნენ: უფრო მნიშვნელოვანი იყო პოლიციელების დარწმუნება იმაში, რომ აქტივისტები, მორალური თვალსაზრისით, ბონდიანას ბოროტმოქმედებს უტოლდებოდნენ, ვიდრე იმ ტაქტიკისათვის მომზადება, რომლის პირისპირაც მათ სინამდვილეში დადგომა მოუწევდათ. ამან ბევრი პოლიციელი სრულიად დააბნია და ისინი იძულებულნი იყვნენ, სისტემატურად დაკავშირებოდნენ თავიანთ ზემდგომებს ბრძანებების მისაღებად. იმ წლების განმავლობაში არაერთხელ გავმხდარვარ მონმე, როგორ დააღწიეს თავი დაპატიმრებას ალყაშემორტყმულმა აქტივისტთა ჯგუფებმა, რადგან ისარგებლეს პოლიციელთა დაბნეულობით, რომლებიც მაღალ ველოსიპედებზე შემომსხდარი ჯამბაზებისა და თეატრალური დასების პირისპირ აღმოჩნდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ვნახე, რომ პოლიციელები, რომლებიც მიზან-

მიმართული ცემა-ტყეპით ერეკებოდნენ აქტივისტებს, უეცრად რობოტებივით ადგილზე გაქეზდნენ, როცა უეცრად ყველა დემონსტრანტი ერთდროულად დასხდა ასფალტზე.

მესამე: კარგი იქნება, თუ ძალაუფლების პოლიტიკურ საკითხს და ძალთა იმ ბალანსს, რომელიც მე აღვწერე, ერთიანობაში განვიხილავთ, რაც დაგვეხმარება იმის გააზრებაში, როგორ შევექმნათ გარემო, სადაც შესაძლებელი იქნება ამგვარი შემოქმედებითი არაძალადობრივი (მშვიდობიანი) ქმედება. ალბათ მრავლისმეტყველი მაგალითი იქნება კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ახლახან მექსიკაში მოხდა: ესაა 1994 წლის ზაპატისტების ამბოხი ჩიაპასში. აქ საუუუნეების განმავლობაში ასე იყო: როგორც კი ადგილობრივი მოსახლეობა პოლიტიკური მობილიზების რაიმე ფორმას მიმართავდა, მის ორგანიზატორებს აპატიმრებდნენ, აწამებდნენ ან ხოცავდნენ. 1994 წლის იანვარში ამბოხებამ, რომელშიც, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობდა, მთელი ადმინისტრაციული ცენტრი მოიცვა, შემდეგ კი გადაიზარდა თორმეტდღიან შეიარაღებულ კონფლიქტში მექსიკის არმიის წინააღმდეგ; ეს იყო ომი, რომელიც ზავით დამთავრდა, რის შემდეგაც მემამბოხეებმა უღრან ტყეში დამალეს თავიანთი იარაღი და წამოიწყეს ავტონომიური, თვითმმართველი თემების ჩამოყალიბება; მას შემდეგ ისინი მექსიკის სახელმწიფოსა და ადგილობრივი ელიტის წინააღმდეგ უშუალო მოქმედების ტაქტიკით იბრძვიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ სწორედ იმ დოზით გამოიყენეს ამკარა ძალადობა, რამდენიც ესაჭიროებოდათ, რომ მდგომარეობა ისე გაემყარებინათ, ძალის გამოყენება აღარასოდეს დასჭირვებოდათ. გარდა იმისა, რომ ძალადობას უამრავი თვალშისაცემი ნაკლი აქვს, ის მოსაწყენი და ადვილად პროგნოზირებადია. ჰოლივუდის ფილმები და გართობის ანალოგიური ფორმები ცდილობენ, ჩვენ საპირისპიროში დაგვარწმუნონ, მაგრამ, ფაქტობრივად, სიმართლე ესაა. ისტორიულად, ის სულებების ტაქტიკად ითვლებოდა. ძალადობა, არსებითად, აქტიური სიბრყევის ფორმაა, ყურებზე ხელების აფარება და გონივრულ განსჯაზე უარის თქმა. სწორედ ამიტომ, როცა სახელმწიფოს ლეგიტიმურობა რაიმე ფორმით ეჭვქვეშ დგება, ის უპირატესობას ყოველთვის ძალადობას ანიჭებს. მაგრამ როგორც კი ძალწირების მიმართულება და სიმძლავრე იმგვარად

შეიცვლება, რომ რეალურ კონფლიქტს, უბრალოდ, ძალადობის სახე აღარ ექნება, გამარჯვების სასწორი ჩვენკენ გადმოიხრება.

თანამედროვე ამერიკაში არაძალადობრივი პოლიტიკური ქმედებებისათვის გაცილებით მეტი სივრცეა, ვიდრე 1990-იანი წლების ჩიპასში, მაგრამ ის 1960-იანი წლებიდან გამუდმებით ვიწროვდება. როდესაც კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა 1968 წელს უნივერსიტეტის კამპუსში სტუდენტების მიერ დაკავებული შენობების დასაბრუნებლად პოლიცია მოიწვია, მაშინ ეს მიჩნეულ იქნა გაუგონარ დარღვევად დაუწერელი კანონისა, რომლის თანახმადაც, უნივერსიტეტი საკუთარი სტუდენტების წინააღმდეგ სამხედრო ტიპის ძალას არ უნდა იყენებდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, როცა 2009 წელს სტუდენტების მცირე ჯგუფმა სცადა New School-ისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის „ოკუპირება“, მათ თითქმის მყისიერად დაუპირისპირდა პოლიციის უამრავი ანტიტერორისტული სპეცრაზმი მაღალტექნოლოგიური იარაღითა და აღჭურვილობით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამას მედიის მხრიდან არავითარი ხმამაღალი პროტესტი არ მოჰყოლია. ფაქტობრივად, ნაციონალურ მედიას ეს ამბები, საერთოდ, არც კი უხსენებია. როგორც ჩანს, ისინი ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალეს. უზარმაზარი სამხედრო ძალის გამოყენება მშვიდობიანი სტუდენტების წინააღმდეგ მათივე უნივერსიტეტში იმ დროისთვის სრულიად ნორმალურ მოვლენად იქნა მიჩნეული.

მაშასადამე, მთავარი პოლიტიკური საკითხი ასე უნდა განისაზღვროს: როგორ გავხადოთ კვლავ ხელმისაწვდომი ეს სფერო. ამ მხრივ „ოკუპაციის“ ლექსიკა ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან ბევრი ადამიანი წინააღმდეგი იყო ტერმინისა „ოკუპაცია“ მისი აშკარად სამხედრო წარმომავლობის გამო. მართალია, ევროპაში სრულიად მისაღებია ეს სიტყვა, როდესაც ვსაუბრობთ სკვოტერების მიერ საცხოვრებელი კორპუსის ბინებში დასახლებაზე ან მუშების მიერ ქარხნის დაკავებაზე, მაგრამ ამერიკაში უფრო მეტად მიჩვეულნი ვართ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: მეორე მსოფლიო ომის დროს „ოკუპირებული საფრანგეთი“, მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს „ოკუპირებული ტერიტორიები“ ან აშშ-ის შეიარაღებული ძალების მიერ „ბალდადის ოკუპაცია“. მაგრამ ჩვენ არც ერთი ეს მაგალითი არ გამოგვადგება. სინამდ-

ვილეში ოკუპაცია სწორედ ის არის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ანალოგია სამხედრო სფეროდან სრულიად შესაფერისია. ჩვენ ვიტაცებთ ტერიტორიას და სხვადასხვა ძალის (მორალური, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური) გამოყენებით ვიცავთ მას. მთავარი ის გახლავთ, რომ, როგორც კი ჩვენ ამ სივრცეს გავათავისუფლებთ, მაშინვე ვაქცევთ მას სიყვარულისა და ზრუნვის ადგილად. და მართლაც, სწორედ სიყვარულისა და ზრუნვის ძალაა ჩვენი უპირველესი იარაღი: ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ წამყვან მედიასაშუალებებს საკმაოდ ხანგრძლივი კამპანია დასჭირდათ, რათა დემოკრატიული თანამეგობრობისა და მშვიდობა გამოკვების ეს სურათი სექსუალური ძალადობისა და აგრესიის იმიჯით ჩაენაცვლებინათ, რათა შეძლებოდათ გამართლება პოლიციის კოორდინირებული თავდასხმებისა, რომელთა შედეგადაც, საბოლოოდ, „ოკუპანტები“ დაკავებული ტერიტორიიდან გამოაძევეს.

ახლა კი ტაქტიკის საკითხებიდან სტრატეგიის საკითხებზე გადავიდეთ. რასაკვირველია, როგორც დასაწყისშივე ხაზგასმით აღვნიშნე, მათი განცალკევება შეუძლებელია. ტაქტიკის საკითხები ყოველთვის მოიაზრებს სტრატეგიის საკითხებსაც.

მაგრამ, ამავე დროს, ეს იმასაც გულისხმობს, რომ შეუძლებელია ამ თემებზე დაზუსტებით მსჯელობა, რადგან მოძრაობის შიგნით არ არსებობს სრული შეთანხმება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სტრატეგიული ჰორიზონტი. ჩვენს გუნდში ყველა ჯურის ადამიანები არიან, დანყებული ლიბერალებით, რომლებსაც დემოკრატიული პარტიის მემარცხენე მიმართულებით წაყვანა აინტერესებთ, რათა ქვეყანა New Deal-ის ტიპის კაპიტალიზმის მსგავს რეალობაში დააბრუნონ (**New Deal – ახალი კურსი – პრეზიდენტ ფ. დ. რუზველტის (1933-45) რეფორმატორული პოლიტიკა, ეკონომიკური ცვლილებების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა დიდი დეპრესიის დაძლევას. რედ.**), დამთავრებული ან არქისტებით, რომელთაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოსა და კაპიტალიზმის სრულიად დაშლა სურთ. თავად ის ფაქტი, რომ მათ შეძლეს, ერთად ასე კარგად ემუშავათ, ნამდვილი საოცრებაა. გარკვეულ ეტაპზე გადანყვეტილებების მიღება ალბათ საკმაოდ რთული იქნება.

რაც ტაქტიკის შესახებ ვთქვი, ცხადყოფს, რომ Occupy-ს

მოძრაობა, საბოლოო ჯამში, ემყარება იმას, რასაც რევოლუციურ თეორიაში ხშირად „ორხელისუფლებიანობის“ **(ტერმინი ეკუთვნის ლენინს. რედ.)** სტრატეგიას უწოდებენ: ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ გათავისუფლებული ტერიტორიები არსებული პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიკური სისტემის მიღმა, იმ პრინციპით, რომ აღნიშნული სისტემა ისეთი კორუფციულია, მისი გამოსწორება წარმოუდგენელი ხდება. ეს არის სივრცე, რომელიც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ფუმქციონირებს მთავრობის აპარატისგან დამოუკიდებლად და არ ცნობს მის მტკიცებას, რომ ძალის გამოყენების ლეგიტიმურობაზე მონოპოლიას სახელმწიფო ფლობს. მაგრამ თანამედროვე ჩრდილოეთ ამერიკაში ჯერ შორს ვართ იმ მდგომარეობიდან, როცა შეგვეძლება, გათავისუფლებულად გამოვაცხადოთ რაიონები ან ტერიტორიები, სადაც მოვახერხებთ ჩვენი პრობლემების გადაჭრას მხოლოდ დემოკრატიული საშუალებებით. მაშ, როგორ შევძლებთ, მივდიოთ აღნიშნულ სტრატეგიას ისეთი ფორმით, რომელიც კონკრეტულ სარგებელს მოუტანს იმ ტიპის ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი ისტორიები გამოაქვეყნეს ვებგვერდზე „ჩვენ ვართ 99%“.

ნაწილობრივ, ეს არის ალიანსების საკითხიც. ერთია, თქვა, რომ არ ითანამშრომლებ თავისი არსით კორუმპირებულ სისტემასთან, და სულ სხვაა, როცა ამბობ, რომ ურთიერთობაც კი არ გექნება მათთან, ვინც ასე იქცევა. ეს უკანასკნელი გულისხმობს, შემოვიფარგლოთ ერთი ციდა უტოპიური ანკლავების შექმნით, რომლებსაც დანარჩენი ადამიანების ცხოვრებაზე არავითარი გავლენა არ ექნება. თუმცა, როგორც კი ვინცებთ ურთიერთობას ინსტიტუციურად ძლიერ მხარდამჭერებთან – პროფკავშირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პოლიტიკური პარტიებთან ან მათი ფილიალებთან, ანდა თუნდაც ცნობილ ადამიანებთან – საკუთარ შიდა დემოკრატიაში კომპრომეტაციის საფრთხე ჩნდება. ის მაშინვე წარმოიშვა, როგორც კი ზუკოტის პარკში მხარდაჭერის გამოსახატავად ისეთი ადამიანები გამოჩნდნენ, როგორიცაა როზანა ბარი, ჯოზეფ სტიგლიცი და მაიკლ მური. რასაკვირველია, მათი დანახვა ყველას ძალიან გაუხარდა, მაგრამ ამჟამად იყო, რომ მათი მონაწილეობა „სახალხო მიკროფონის“ საშუალებით დისკუსიებში ჩართვით არ შემოიფარგლებოდა. სიტყვით გამოსვლა მათი სტილია. თავდაპირველად ძალიან

ძნელი იყო პრევენცია იმისა, რომ ეს ორატორობა გადამდები არ გამხდარიყო. ეს თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ის გვეხმარება, პრობლემების არსში გავერკვეთ. დაძაბულობა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა ჩვენი მხარდაჭერა გადაწყვიტეს ისეთმა ლიბერალურმა ჯგუფებმა, როგორიცაა, მაგალითად, MoveOn.org – ანაზღაურებადი, გამოცდილი და მთელ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებით, „ვერტიკალური“ ჩვევებითა და ხშირად თავისი პოლიტიკური და საკანონმდებლო პროგრამებით, რომელთა შესახებ საუბარი მათ დიდად არ უყვართ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მხარდაჭერაზე უარი არ უნდა ვთქვათ, როდესაც მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოძრაობის გაფართოებისა და კოორდინაციის ინსტრუმენტების შექმნისათვის, მაგრამ უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული იმის უზრუნველყოფა, რომ კოორდინირების ამ სტრუქტურებმა ჰორიზონტალურობა შეინარჩუნოს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ კეთილი ზრახვებით აღსავსე ორგანიზატორებს, რომლებსაც არაფერი სმენიათ „ჰორიზონტალურობის“ შესახებ და შეიძლება შიდა დემოკრატიის ნებისმიერი დელიკატური საკითხი ახირებად მიიჩნიონ. ფულიც კი შეიძლება პრობლემად იქცეს. უოლსტრიტის „ოკუპაციის“ სანყისი ერთი-ორი თვის განმავლობაში დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარის შემოწირულება შემოვიდა. ამ ფულს იმდენი კამათი და პრობლემა მოჰყვა, რომ ძალიან ბევრ აქტივისტს სურდა, ის როგორმე საერთოდ თავიდან მოეშორებინათ: ბევრი გვთავაზობდა, რომ ეს ფული მთლიანად ერთ დიდ გიგანტურ პროექტზე დახარჯულიყო („აეროსტატი Occupy“?). საბოლოოდ, ბანაკების დაშლის შემდეგ, იძულებული გავხდით, ეს თანხა თითქმის მთლიანად გადაგვეხადა ეკლესიებისთვის, რომ ასობით გამოძევებულისთვის დროებითი თავშესაფარი მიეცათ. ის ფაქტი, რომ ფულმა ასეთი კოროზიული ეფექტი მოახდინა, იმას კი არ გულისხმობს, რომ მსგავსი პრობლემები დემოკრატიული პროცესებისთვის დამახასიათებელია; ჩემი აზრით, ეს უფრო იმან გამოიწვია, რომ აქტივისტების ადრინდელი გამოცდილება ფულთან და იმგვარ ორგანიზაციებთან ურთიერთობისა, რომელთა მამოძრავებელ ძალას ფული წარმოადგენს, დაკავშირებული იყო სრულიად განსხვავებულ ჩვევებთან და ვალდებულებებთან. მიუხედავად ამისა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ფულის სამყაროსათვის სრულიად თავის არიდება შესაძლებელია.

ამ პრობლემათა უმეტესობის გადაჭრა მოხერხდება (და საბოლოოდ ასეც მოხდება) ერთგვარი დამცავი კედლების (მენტალური და ორგანიზაციული) შექმნის საშუალებით. უფრო დიდი სტრატეგიული საკითხები გაცილებით ძნელად მოსაგვარებელია, მაგრამ იმაში გასარკვევად, თუ რა მიმართულებები უნდა ავირჩიოთ, შეიძლება დაგვეხმაროს რამდენიმე მაგალითი იმ მიდგომებისა, რომელთა გამოყენება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სხვაგანაც სცადეს და ისინი მეტ-ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა.

მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ იმგვარმა მოძრაობამ, როგორიცაა Occupy, მართლაც მიაღწია წარმატებას და შექმნა თავისუფალი ტერიტორიების მთელი ქსელი. ეს მოახერხა ან იმ ბანაკების ხელახლა მოწყობით, რომლებსაც 2011 წლის განმავლობაში სისტემატურად შლიდნენ ძალის გამოყენებით (თუმცა აშკარაა, რომ ამჟამინდელ სიტუაციაში მთავრობა ამას არასოდეს დაუშვებს), ან სრულიად ახალი, განსხვავებული სივრცის, მაგალითად, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ათვისებით. ორივე შემთხვევაში საბოლოო მიზანი იქნებოდა ყველა ქალაქსა და კვარტალში ადგილობრივი „ასამბლეების“ ჩამოყალიბება, ასევე „ოკუპირებული“ საცხოვრებელი სახლების, „ოკუპირებული“ ფაბრიკა-ქარხნებისა და „ოკუპირებული“ ფერმების ქსელის შექმნა, რომელიც შესაძლოა, ალტერნატიული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის საფუძველი გამხდარიყო. ასეთ შემთხვევაში რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ამ გათავისუფლებული ტერიტორიების ქსელსა და ალტერნატიულ ინსტიტუტებს არსებულ საკანონმდებლო და პოლიტიკურ სისტემასთან?

არსებობს რამდენიმე პოტენციური მოდელი. არც ერთი არ შეესაბამება ზუსტად იმას, რაც, სავარაუდოდ, ამერიკაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ ისინი გვაძლევენ გარკვეულ მიმართულებას, თუ რა გზით შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება.

- **ქალაქ სადრის სტრატეგია:** თავისთავად იგულისხმება შეკითხვა: რაკი სისტემატურად ეცდებიან ამ ტერიტორიების ლიკვიდაციას, როგორ უნდა დავიცვათ ისინი? მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს პერიოდში თანამედროვე აშშ-ში ეს ნაკლებად მოსალოდნელია (ყოველ შემთხვევაში, მემარცხენე ჯგუფების მხრიდან), ერაყელი სადრისტების მსგავსი ჯგუფების გამოცდილება მაინც ბევრს გვასწავლის. სადრისტები წარმოადგენს

ისლამისტურ სახალხო მოძრაობას, რომელსაც მხარს უჭერენ მშრომელთა მასები; მან აშშ-ის სამხედრო ოკუპაციის დროსაც კი მოახერხა, ერაყის დიდ და მცირე ქალაქებში თვითმმართველობის ზონები ჩამოეყალიბებინა. სადრისტებმა ასეთ შედეგებს იმიტომ მიაღწიეს, რომ მათ კარგად ესმოდათ ერთი რამ: ორხელისუფლებიანობის ნებისმიერი სტრატეგიის გასაღები შემდეგში მდგომარეობს – დაიწყო ისეთი ინსტიტუტების შექმნით, რომელთა წინააღმდეგაც ვერავინ იქნება (მათ შემთხვევაში ეს იყო უფასო კლინიკების ქსელი ორსული და მეძუძური დედებისათვის) და შემდეგ, მათი დაცვის მიზნით, თანდათანობით გადახვიდე უსაფრთხოების აპარატისა და უფრო დიდი სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე. მომდევნო ეტაპზე კი უნდა ეცადო, გამართო მოლაპარაკებები მკვეთრი და კარგად დაცული საზღვრების გავლების შესახებ შენს კონტროლს დაქვემდებარებულ ზონებსა და იმ ტერიტორიებს შორის, რომლებსაც ჯერ კიდევ დე-ფაქტო მთავრობა აკონტროლებს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური სამხედრო ოკუპაციის ფონზე მათ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს ავტონომიური ინსტიტუტების შექმნის სფეროში, სადრისტების მაგალითი (ან ჰეზბოლასი – ლიბანში, რომელმაც თითქმის იგივე მიდგომა აირჩია) ცხადყოფს იმასაც, რომ ორხელისუფლებიანობის ნებისმიერი მოდელი ძალიან მალე მოულოდნელად გარკვეულ შეზღუდვებს აწყდება. დავიწყოთ იმით, რომ თუკი ვინმე ჩართულია შეიარაღებულ წინააღმდეგობაში (თუნდაც მისი სტრატეგია, არსებითად, თავდაცვითი იყოს), მის მიმდევრებსაც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევთ, რაიმე სახის ძალადობას მიმართონ – ძალადობას საკუთარი ლოგიკა აქვს. აუცილებელია სამხედრო დისციპლინა, რომელიც, რასაკვირველია, ზღუდავს ნებისმიერი სახის დემოკრატიულ ექსპერიმენტს და აქცენტს ქარიზმატულ ლიდერებზე აკეთებს; ნებისმიერ ამგვარ მოძრაობას კი ახასიათებს ტენდენცია, მინიმალური წინააღმდეგობის კურსი აირჩიოს და რომელიმე კონკრეტული, კულტურული თვალსაზრისით საკმაოდ ერთგვაროვანი ჯგუფის პოლიტიკურ ხმად გადაიქცეს. ყველა ეს ფაქტორი, ისევე, როგორც სხვა სახის დაუსრულებელი პრობლემები, რომლებიც ამ „თავისუფალი ტერიტორიების“ მართვას მოსდევს, საბოლოოდ, შეუძლებელს ხდის, ოფიციალურ

პოლიტიკაში ჩართვის ცდუნებას გაუძლო. ბოლოს და ბოლოს, თუკი უარს არ ვიტყვით ორგანიზებულ ძალადობაზე, ან თავს შევიკავებთ ჰორიზონტალური პრინციპების გამოყენებისგან, მაშინ რაიმე კონკრეტული მიზეზიც არ გვექნება, სახელმწიფო ინსტიტუტების შემადგენლობაში არ შევიდეთ. საბოლოო ჯამში, ამგვარი მიდგომის თითქმის ყველა გამოვლინება ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური პარტიის შექმნით დასრულდა.

რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ რომელიმე ზემოაღწერილი შემთხვევა Occupy-სთვის შეიძლება ნიმუშად გამოდგეს, მაგრამ ეს არის ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ დავინყოთ; ნაწილობრივ იმის გამო, რომ თავდაპირველი სტრატეგია (ქალთა კლინიკების შექმნა) მართლაც სრულიად გენიალური იყო, მაგრამ – ძირითადად, იმიტომ, რომ ის გვიჩვენებს: სწორედ ის ჯგუფები, რომლებიც უარს არ აცხადებენ თოფებისა და ბომბების გამოყენებაზე, ყველაზე ადვილად შთაინთქმებიან სახელისუფლებო სტრუქტურებში.

- **სან-ანდრესის სტრატეგია:** სრულიად განსხვავებული მიდგომა აირჩიეს ზაპატისტებმა 1994 წლის დეკემბერში მოწყობილი თორმეტდღიანი ამბოხების შემდგომ პერიოდში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ამბოხება მალევე დასრულდა ზავით და, მიუხედავად თავდაპირველი მიზნებისა, შედეგი ძირითადად, შემდეგი ჰქონდა: მემამბოხე თემებს საშუალება მიეცათ, საკუთარი ავტონომიური ინსტიტუტები შეექმნათ და არაძალადობრივი უშუალო მოქმედების სხვადასხვა მიმართულებაში ჩართულიყვნენ (ზაპატისტებმა მალე სახელი გაითქვეს ისეთი ღონისძიებების ორგანიზებით, როგორიც იყო, მაგალითად, ათასობით შეუიარაღებელი ადგილობრივი ბავშვიანი ქალის „შეჭრა“ მექსიკური არმიის ბანაკებში).

ზაპატისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მექსიკის ოფიციალურ პოლიტიკურ პროცესებში კი არ ჩართულიყვნენ, არამედ დაეწყათ სრულიად განსხვავებული სახის მთლიანი პოლიტიკური სისტემის შექმნა. მაგრამ საკითხავი ის იყო, ფორმალურად როგორი ურთიერთობა უნდა დაემყარებინათ ხელისუფლების არსებულ სტრუქტურებთან. ეს პრობლემა გადაიჭრა სამშვიდობო ზავის შესახებ ოფიციალურ მოლაპარაკებებში ჩართვის გზით (ეს მოლაპარაკებები შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც „სან-

ანდრესის შეთანხმებები“), რომლებმაც ადგილობრივ დონეზე ახლად შექმნილი დემოკრატიული სტრუქტურების კომპრომეტირების ნაცვლად, შექმნა მათი ლეგიტიმაციის, განვითარებისა და გაფართოების საფუძველი, რადგან ზაპატისტების მხრიდან მოლაპარაკებაზე წარგზავნილი პირები (რომლებიც შეარჩიეს მათივე თემებმა და მათი, როგორც დელეგატების, უკან გაწვევა შესაძლებელი იყო) დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მოლაპარაკებების ყველა ეტაპის ყოველი პუნქტი ყოვლისმომცველი დემოკრატიული კონსულტაციების, განხილვისა და დამტკიცების საგანი უნდა ყოფილიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლაპარაკებების პროცესი თავად იქცა საუკეთესო „დამცავ კედლად“. ყველამ თითქმის დანამდვილებით იცოდა, რომ მთავრობა არაკეთილსინდისიერი განზრახვით ანარმოებდა ამ მოლაპარაკებებს და სრულებით არ აპირებდა ზავის პირობების შესრულებას, მაგრამ ეს თითქოს მეორეხარისხოვანი საკითხი იყო.

საინტერესოა, დაფიქრდეთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო პარალელური სტრატეგია Occupy Wall Street-ისათვის: ეს იქნებოდა არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურასთან ურთიერთობის მოდელი, რომელიც, მისი უშუალო დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული პროცესების კომპრომეტირების ნაცვლად, ფაქტობრივად, ხელს შეუწყობდა მათ სტიმულირებასა და განვითარებას. ერთი ყველაზე მეტად სავარაუდო მიდგომა შეიძლებოდა ყოფილიყო მცდელობა, კონსტიტუციაში ერთი ან მეტი შესწორების შეტანის პროპაგანდა განგვეხორციელებინა, რაც უკვე შემოგვთავაზეს გარკვეულმა წრეებმა: მაგალითად, პოლიტიკური კამპანიებისთვის ფულის გამოყოფის, ან იურიდიული პირის სტატუსის გაუქმება. არსებობს ანალოგიური მაგალითები: მაგალითად, ეკვადორში ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფებმა, რომლებმაც მობილიზაციის გზით შეძლეს, ხელისუფლებაში მოეყვანათ ზომიერად მემარცხენე-ცენტრისტი ეკონომისტი რაფაელ კორეა, ამის საფასურად დაჟინებით მოითხოვეს, რომ მათ ახალი კონსტიტუციის შექმნაში მთავარი როლი უნდა ეთამაშათ. შეიძლება გვეფიქრა, რომ მსგავს შემთხვევაში უამრავი პრობლემა წარმოიქმნებოდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მუშაობა მოგვიხდებოდა არსებული კონსტიტუციური სტრუქტურის ფარგლებში, კონსტიტუცია

კი, უმეტესწილად, იმისთვისაა შემუშავებული, რომ უშუალო დემოკრატიას დაბრკოლება შეუქმნას; მაგრამ, სხვა თუ არაფერი, ამგვარ პროცესში გაცილებით ადვილი იქნებოდა „დამცავი კედლების“ შექმნა, ვიდრე იმ პირობებში, ურთიერთობა რომ გვექონოდა უშუალოდ არჩეულ ოფიციალურ პირებთან.

• **ელ-ალტოს სტრატეგია:** ბოლივიის შემთხვევა ჩემთვის ცნობილი მცირერიცხოვანი მაგალითებიდან ერთ-ერთია, როცა ორხელისუფლებიანობის ორი მიდგომა – ავტონომიური ინსტიტუტების გამოყენება ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად და მათი შენარჩუნება უშუალო დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ალტერნატივის სახით (რომელიც ხელისუფლებისაგან სრულიად განცალკევებით დგას) – ასე ეფექტურად შეერწყა ერთმანეთს. მე მას „ელ-ალტოს სტრატეგიას“ ვუწოდებ, დედაქალაქის მახლობლად მდებარე, უმეტესად აბორიგენებით დასახლებული ქალაქის საპატივცემულოდ, რომელიც ცნობილია თავისი უშუალო დემოკრატიის ტრადიციებითა და ინსტიტუტებით (მაგალითად, ელ-ალტოს სახალხო შეკრებებმა ხელში აიღეს მართვის სადავეები და აკონტროლებდნენ როგორც ქალაქის წყალმომარაგების სისტემას, ისე სხვა კომუნალურ დანესებულებებსაც). ამჟამად ელ-ალტოში მდებარეობს ქვეყნის პირველი აბორიგენი პრეზიდენტის, ფერმერთა პროფკავშირების ყოფილი ლიდერის, ევო მორალესის რეზიდენცია. იგივე საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ მორალესი ხელისუფლებაში მოვიდა (მათ მოაწყვეს უმეტესად მშვიდობიანი ამბოხებების მთელი სერია მისი წინამორბედების წინააღმდეგ და არჩევნებში მისი გამარჯვებისათვის ელექტორატის მობილიზება მოახდინეს), დაჟინებით მოითხოვენ, შეუნარჩუნდეთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ მოაწყონ ამბოხება და ნებისმიერ დროს ჩამოაგდონ პრეზიდენტი. ეს ლოგიკა სავსებით მარტივია და ის ხშირად ლაიტმოტივად გასდევს თავად მორალესის პარტიის არჩევითი თანამდებობის პირების გამოსვლებსაც: მთავრობა არ არის და ვერც იქნება ჭეშმარიტად დემოკრატიული ინსტიტუტი. მას აქვს საკუთარი, იერარქიული ლოგიკა, რომელიც საერთაშორისო კაპიტალისა და სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნებიდან მომდინარეობს, ან თავად ბიუროკრატიული

აპარატის ბუნებიდან, რომელსაც ზურგს უმაგრებს პოლიციის ძალები. შესაბამისად, არჩევითი თანამდებობის პირები აუცილებლად აღმოჩნდებიან უზარმაზარი წნეხის ქვეშ (ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ გარემოებებში მაინც), რომლის გავლენითაც ისინი იძულებულნი იქნებიან, სწორედ იმის საწინააღმდეგოდ მოიქცნენ, რისთვისაც ისინი ხალხმა აირჩია. ორხელისუფლებიანობის ინსტიტუტების შენარჩუნება სწორედ ამის დადასტურებაა და ის, შეიძლება ითქვას, მორალესის მსგავს პოლიტიკოსებს გაცილებით უმყარებს პოზიციას მოლაპარაკებების დროს, მაგალითად, უცხოურ მთავრობებთან და კორპორაციებთან, ან საკუთარ ბიუროკრატიულ აპარატთან, რადგან სრულიად გულწრფელად შეუძლია, განაცხადოს, რომ გარკვეულ საკითხებში ხელ-ფეხი შეკრული აქვს – მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ პასუხი გასცეს თავის ამომრჩევლებს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აშშ-ში ამ პოზიციამდე ჯერ ბევრი გვიკლია, მაგრამ კარგია, გავითვალისწინოთ ის, როგორც ერთ-ერთი სამომავლო შესაძლებლობა. ვფიქრობ, ამ მაგალითიდან შეიძლება, ერთი რამ გვესწავლა: გონივრული არ იქნებოდა, გვეფიქრა საარჩევნო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანაზეც კი, ვიდრე არ დაენერგავთ პრინციპს, რომ უშუალო მოქმედების აქტიური ფორმები პოლიტიკური პოზიციის გამოხატვის ლეგიტიმური და მისაღები ვარიანტია.

- **ბუნოს-აირესის სტრატეგია:** კიდევ ერთი მიდგომა ასეთია: საერთოდ არ ვიქონიოთ რაიმე სახის ურთიერთობა პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან, არამედ ვცადოთ, რომ მას მთელი თავისი ლეგიტიმურობა „შემოვაძარცვოთ“. ამას შეიძლება „არგენტინის მოდელი“, ან „დელეგიტიმაციის მიდგომა“ ვუწოდოთ და ეს, მეტნაკლებად, სწორედ ისაა, რაც ამ წიგნის დანერის დროისთვის საბერძნეთში ხდებოდა. მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღვნიშნოთ: ეს მოდელი არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო აპარატის საშუალებით მდგომარეობის გამოსწორების იმედი არ ვიქონიოთ; პირიქით, ის არის ერთგვარი გამოწვევა პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების მიმართ მათი რელევანტურობის დემონსტრირების მიზნით და ხშირად ახერხებს კიდევ, გააღვიძოს მათში სურვილი, რადიკალური ზომები მიიღონ არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად, რის გაკეთებაც თავად მათ აზრად არასოდეს მოუვიდოდათ.

არსებითად, ეს სტრატეგია გულისხმობს ჰორიზონტალურ პრინციპებზე დაფუძნებული ალტერნატიული ინსტიტუტების შექმნას, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო ხელისუფლებასთან; ეს სტრატეგია მთლიანად პოლიტიკურ სისტემას აბსოლუტურად კორუფციულ, იდიოტურ და ხალხის ცხოვრებისათვის სრულიად უმნიშვნელო წარმონაქმნად აცხადებს, ჯამბაზების შოუდ, რომელიც გასართობ სანახაობადაც კი ვერ გამოდგება და ცდილობს, პოლიტიკოსები პარიების (*ყველაზე დაბალი კასტა ინდოეთში. მთარგმ.*) ფენად წარმოადგინოს. ამიტომაც 2001 წელს, არგენტინის ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ, სახალხო ამბოხებამ, რომელმაც სულ რაღაც რამდენიმე თვის განმავლობაში სამი სხვადასხვა მთავრობა გააძევა, შეიმუშავა ალტერნატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების სტრატეგია; ეს ინსტიტუტები იმ პრინციპებს ეფუძნებოდა, რომლებსაც თავად მეთაურობები „ჰორიზონტალურობის“ სახელით მოიხსენიებდნენ: სახალხო შეკრებები, რომლებსაც უნდა ემართათ ქალაქის რაიონები, აღდგენილი ქარხნები და სხვა დაწესებულებები (რომელთა ბოსებმაც მიატოვეს ისინი), თვითორგანიზებული უმუშევართა ასოციაციები (რომლებიც თითქმის მუდმივ უშუალო მოქმედებაში იყვნენ ჩართულნი). ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ალტერნატიული სავალუტო სისტემაც კი ჰქონდათ.

პოლიტიკური ელიტის მიმართ ეს დამოკიდებულება შეჯამებული იყო ცნობილ სლოგანში: *“Que se vayan todos!”*, რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება: „ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ!“ იმასაც ამბობენ, რომ 2002 წლის დასაწყისისათვის იქამდე მივიდნენ, რომ პოლიტიკოსები (ნებისმიერი პოლიტიკური პარტიიდან) რესტორანშიც კი ველარ შედიოდნენ ყალბი უღვაშების ან შენიღბვის რაიმე მსგავსი საშუალებების გარეშე, რადგან, თუკი იცნობდნენ, იქ მყოფი გაბრაზებული ხალხი მათ გარს შემოერთებოდა ან საჭმელს ესროდა. საბოლოოდ, ხელისუფლებაში მოვიდა სოციალურ-დემოკრატიული მთავრობა პრეზიდენტის (ნესტორ კირჩნერის) ხელმძღვანელობით, რომელიც მანამდე რაც შეიძლება ზომიერი რეფორმების მხარდამჭერი იყო, მაგრამ ის აცნობიერებდა: აუცილებლად უნდა მიეღო რაიმე სახის რადიკალური ზომები, რათა ხალხში აღედგინა რწმენა, რომ მთავრობა მართლაც შეიძლება წარმოადგენდეს ლეგიტიმურ ინსტიტუტს.

მან გადაწყვიტა, არგენტინას საგარეო ვალის საკმაოდ დიდი ნაწილი არ გადაეხადა (საუბარია დეფოლტზე). ამით სათავე დაუდო შემდგომ მოვლენებს, რომლებმაც თითქმის გაანადგურა სამართალშეფარდების უფლებამოსილების მქონე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და, ფაქტობრივად, ბოლო მოუღო მესამე სამყაროს ვალის კრიზისს. საბოლოო შედეგი იყო მსოფლიოს მილიარდობით ღარიბი ადამიანისათვის უზომოდ დიდი სარგებელი, არგენტინის ეკონომიკამ კი, გაუმჯობესების თვალსაზრისით, მკვეთრი ნახტომი გააკეთა, მაგრამ ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, არგენტინის პოლიტიკური ელიტის „უზნებელყოფის“ კამპანია რომ არ განხორციელებულიყო. უფრო მეტიც, ზემოაღწერილმა სტრატეგიამ განაპირობა ის, რომ, როდესაც მთავრობამ სტატუსკვო აღიდგინა, გადატრიალების საწყის პერიოდში შექმნილმა ბევრმა თვითმმართველმა ინსტიტუტმა არსებობა განაგრძო.

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად რეალური ამბოხება ნაკლებად სავარაუდოა (მართლაც, ამბოხება ყოველთვის ნაკლებად სავარაუდოა იმ მომენტამდე, ვიდრე ის, ფაქტობრივად, არ დაიწყება; მაგრამ ალბათ გონივრული იქნება, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც წარმოვიდგინოთ, როდის შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს ეკონომიკური მდგომარეობა), ჩვენ ალბათ ვდგავართ ზემოაღწერილი ვარიანტების ერთგვარი „სამამულო წარმოების“ კომბინაციის პირისპირ, ან ესაა განსხვავებული რამ, რაც ძალიან ჰგავს მას. ყოველ შემთხვევაში, სტრატეგიების ამ ჩამონათვალმა შესაძლოა, გვიჩვენოს გზა, ვიფიქროთ სამომავლო შესაძლებლობებზე. ის ასევე დაგვეხმარება, გავერკვეთ იმაში, რომ აქამდე Occupy Wall Street ბოლო ვარიანტის კურსს მიჰყვებოდა, ანუ დელეგიტიმაციის სტრატეგიას. თანამედროვე აშშ-ში არსებული პოლიტიკური განწყობების გათვალისწინებით, ეს ალბათ გარდაუვალი იყო. ბოლოს და ბოლოს, უფრო ადრეც კი, ვიდრე ჩვენი მოძრაობა დაიწყებოდა, ჩვენ უკვე თითქმის ამ პოზიციაზე ვიდექით. ამერიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა უკვე ხედავდა პოლიტიკური სისტემის კორუმპირებულობას და უვარგისობას. ფაქტობრივად, ის ზაფხული, როდესაც „ოკუპაცია“ პირველად დაიგეგმა, ჩვენ სახელმწიფო ვალის მაქსიმალურ ზღვართან დაკავშირებით უჩვეულოდ უცნაური, ბავშვური და

ყოვლად უაზრო პოლიტიკური სპექტაკლის მოწმენი გავხდით, რის შედეგადაც კონგრესის პოპულარობის რეიტინგი ერთნიშნა ციფრამდე (9%-მდე) დაეცა – ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, რაც კი მას ოდესმე ჰქონია.

მაშინ, როცა ამერიკელთა უმეტესობა გამანადგურებელი ეკონომიკური კრიზისის დროს სულს ლაფავდა, როცა მილიონობით ადამიანი უიმედო მდგომარეობაში იყო (რადგან პოლიტიკურმა სისტემამ, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ მას არ სურდა, ან არ შეეძლო, რამე ელონა ამასთან დაკავშირებით), რესპუბლიკელი კონგრესმენები იმუქრებოდნენ, რომ იძულებულს გახდიდნენ აშშ-ის მთავრობას, დეფოლტი გამოეცხადებინა და მასობრივად შეემცირობინა სოციალური მომსახურების ხარჯები; ამგვარად, თითქოს თავიდან აიცილებდა უმეტესწილად წარმოსახვაში არსებულ ვალის კრიზისს, რომელიც, უარეს შემთხვევაში, რამდენიმე წლის შემდეგ აიძულებდა აშშ-ის მთავრობას, გამოეცხადებინა დეფოლტი ყველა დონეზე. პრეზიდენტმა ობამამ, თავის მხრივ, გადანყვიტა, რომ შედარებით გონივრული საქციელი იქნებოდა (და, ამგვარად, როგორც მის მრჩეველებს უყვართ თქმა, ის აღმოჩნდებოდა „ერთადერთი ჭკუასაკითხავი ადამიანი სხვებს შორის“), თუკი ის (იმის ნაცვლად, რომ გამოეაშკარაებინა, თუ რა მცდარ ეკონომიკურ ვარაუდებს ეფუძნებოდა მთელი ეს პოლიტიკური დებატები), მოამზადებდა შედარებით ზომიერ, „კომპრომისულ“ ვერსიას ზუსტად იმავე პროგრამისა – იმ პრინციპით, რომლის თანახმადაც, გიჟის გამოაშკარაების საუკეთესო გზა არის თავის მოჩვენება, თითქოს მისი ბოდვის ნახევარი, ფაქტობრივად, სიმართლეს შეესაბამება. ამ კონტექსტში მართლაც ერთადერთი გონივრული საქციელი იქნებოდა ყურადღების გამახვილება სწორედ იმაზე, რომ მთელ ამ დებატებს არავითარი აზრი არ ჰქონდა და პოლიტიკურმა სისტემამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ საკუთარი თავის დელეგიტიმაციას შეუწყო ხელი. სწორედ ამიტომ მოახერხა ათასი ჯურის ანარქისტების, ჰიპების, კოლეჯის უმუშევარი სტუდენტების, ველურებივით ხეზე მსხდომებისა და მშვიდობიანი აქტივისტების ჯგუფმა ასე უცებ თავის დამკვიდრება, როგორც, პირველ რიგში, ამერიკელმა „ჭკუასაკითხავმა“ ადამიანებმა, რადგან ოპოზიცია, როგორც ასეთი, არ არსებობდა. დგება ცხოვრებაში მომენტი, როდესაც რადი-

კალური პოზიციის მონიშვნა ერთადერთი სწორი არჩევანია.

როგორც აღვნიშნე, არ მინდა, გრძელვადიანი სტრატეგიების შესახებ რაიმე სახის კონკრეტული რჩევები, წინადადებები ჩამოვაყალიბო, მაგრამ ვფიქრობ, უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: ამერიკული პოლიტიკა იქცა თამაშად იმ მოთამაშეებს შორის, რომლებიც დიდი ხანია, აღარ მიიჩნევენ, რომ პოლიტიკა შეიძლება იყოს რამე სხვა, გარდა კოლექტიური ილუზიისა და იმ რეალობისა, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების მიერ არის შექმნილი. ხოლო „ხელისუფლება“ როგორც, ჩვეულებრივ, საბოლოოდ აღმოჩნდება ხოლმე, ორგანიზებული ძალადობის გამომხატველი ეფემიზმია. სწორედ ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, განვაგრძოთ იმგვარი სივრცეების შექმნა, სადაც შეგვეძლება მოქმედება ჭეშმარიტად გონივრულ, საფუძვლიან, ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით, და, ამავე დროს, კომპრომისზე წასვლაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ ამით გამოვააშკარავებთ სრულიად უგუნური, სასტიკი, უხეში ძალის აპარატს, რომელიც იმალება პოლიტიკოსთა განცხადებების მიღმა, როცა ისინი ამტკიცებენ, რომ შეუძლიათ „შექმნან რეალობა“ არაფრისაგან. ეს ალბათ აუცილებლად გულისხმობს ამ უგუნურ, სასტიკ, უხეშ ძალასთან დაპირისპირებას არა რაიმე სახის „გონივრული“ კომპრომისის ფორმით, არამედ მოქნილი, ჯანსაღად მოაზროვნე სანინააღმდეგო ძალის სახით, რომელიც შეიმუშავებს რადიკალურ ალტერნატივას და თანაც გამუდმებით, ყოველგვარი ბუნდოვანი ტერმინების გარეშე, შეახსენებს ყველას, თუ რას ეფუძნება ეს ხელისუფლება სინამდვილეში.

მეხუთე

ჯადოს მოხსნა

2011 წლის შემოდგომაზე უკვე მივხვდით, რომ ჩვენ გლობალური რევოლუციის ცენტრში ვიყავით. მოვლენები წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდებოდა მღელვარების იმ ტალღასთან ერთად, რომელიც ტუნისში აგორდა, მთელი მსოფლიო მოიცვა და ყველა ქვეყანას დაემუქრა. თვალს ვადევნებდით სოლიდარობის გამომხატველ დემონსტრაციებს ჩინეთში და თითქმის ყოველდღიურად ახალი „ოკუპაციების“ წარმოშობას ისეთ ადგილებში, როგორიცაა ნიგერია და პაკისტანი. როცა წარსულს თვალს გადავავლებთ, რასაკვირველია, დავინახავთ, რომ შეუძლებელი იყო, ყველაფერი ასეთი ტემპით გაგრძელებულიყო. თითქოს საერთაშორისო უსაფრთხოების ყველა სტრუქტურამ, რომლებიც შექმნილი იყო სწორედ ამგვარი მასობრივი წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად (და რომლებიც 2008 წლის ეკონომიკური კატასტროფის შემდეგ დაუსრულებლად აცხობდნენ ახალ-ახალ კვლევებს და ქმნიდნენ ნაშრომებს იმის შესახებ, რამდენად მოსალოდნელი იყო მშვიერი ხალხის ამბოხებები და გლობალური მღელვარება), საბოლოოდ, თავი დაირწმუნა იმაში (თუმცა ბოლომდე არ სჯეროდა ამის), რომ სინამდვილეში მნიშვნელოვანი არაფერი მოხდებოდა. ბოლოს ეს მაინც მოხდა. ახლა კი, როცა ფაქტის წინაშე დადგნენ, მათ განცვიფრებისაგან პირი დააღეს, თითქოს მართლა ვერ იჯერებდნენ, რომ ეს სიმართლე იყო.

და მაინც, როდესაც ყოველივე ამას გარდაუვალი რეპრესიების ტალღა მოჰყვა, ბევრი ჩვენგანი უცებ დაიბნა. ჩვენ ველოდით, რომ ბოლოს ხელკეტები ამოქმედდებოდა. გაგვაოცა ჩვენი ლიბერალი მოკავშირეების რეაქციამ. ხაზს ვუსვამ, ამერიკა საკუთარ თავს აღიქვამს არა იმ ერად, რომელიც ერთი რომელიმე ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით ერთიანდება, არამედ ხალხად, რომელსაც თავისუფლება აერთიანებს; ლიბერალები სწორედ ის ხალხი იყო, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთარ თავს სხვადასხვა სახის თავისუფლების თავგამოდებულ დამცველად წარმოგვიდგენდა. ამის ნაცვლად, მათ თითქოს კიდევაც უხაროდათ, რომ

სამოქალაქო თავისუფლებებს „კოზირად“ იყენებდნენ, რომლებიც მხოლოდ მაშინ უნდა დაიცვა, თუკი ეს სტრატეგიულად მომგებიანია. ეს ფაქტი საკმაოდ მწარე გაკვეთილი აღმოჩნდა ისეთი ანარქისტებისთვისაც კი, როგორიც მე ვარ, და რომლებიც ლიბერალური ისტებლიშმენტისაგან სხვას არც არაფერს ელიან. თუმცა შედეგი მით უმეტეს სამწუხარო იყო იმის გამო, რომ ძალიან ბევრმა, ვინც გასაჭირში მიატოვეს, ძალადობა საკუთარ თავზე გამოსცადა. ესენი იყვნენ ახალგაზრდა ქალები და კაცები, რომლებიც ჯერ განუსაზღვრელი შესაძლებლობების ეიფორიაში ჩაითრიეს, ახლა კი ისინი თავს ველარ აღწევდნენ მკაფიო მოგონებებს – ვერ ივინყებდნენ, როგორ ანგრევდნენ ბიბლიოთეკებს საპატრულო პოლიციელები და სიცილით ყრიდნენ ნაგვის დასაწვავ ღუმელში მათ მიერ სიყვარულით შეგროვებულ წიგნებს; როგორ სცემდნენ ხელკეტებით და ხელბორკილებს ადებდნენ მათ უძვირფასეს მეგობრებს (და ამ დროს წამყვანი მედიის წარმომადგენლები მორჩილად ამბობდნენ უარს, ბანაკის მიჯნა გადაელახათ), მათ კი არაფერი შეეძლოთ თავისიანების დასახმარებლად; როგორ ასხურებდნენ სახეში Mace-ს (გამაღიზიანებელი, ცრემლმდენი მოქმედების სპრეი), რის გამოც მათ მთელი ცხოვრება რესპირატორული პრობლემები ექნებოდათ; როგორ უწევდათ სირბილი თავშესაფრის მოძებნად მათთვის, ვისი ქონებაც, რაც არ უნდა მცირე ყოფილიყო ის, პოლიციის აგენტებმა გაანადგურეს – ამ ყველაფერმა კი ზედაპირზე გამოიჩანა ყოველგვარი შესაძლო დაძაბულობა და მტრული დამოკიდებულება, რაც ჩახშული ან იგნორირებული იყო წინა კვირების განმავლობაში, როცა ბანაკების ორგანიზებამ და დაცვამ აშკარად საერთო მიზნით ასე დაგვაკავშირა. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ნიუ-იორკის „გენერალური ასამბლეა“ და წარმომადგენელთა საბჭო თითქმის სრულიად უფუნქციო დარჩა. ზოგიერთ შეხვედრაზე ლამის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა... ისტერიკული წივილ-კივილი... შეძახილები რასიზმის შესახებ... დაუსრულებელი გაურკვევლობა ტაქტიკის, ორგანიზებისა და ფულის ერთმანეთში გადახლართული კრიზისების გამო... და ბრალდებები ყველასა და ყველაფრის მიმართ, პოლიციის ჯაშუშობიდან დაწყებული, ნარცისისტული პიროვნული აშლილობით დამთავრებული. ასეთ მომენტებში ჩემნაირი პროფესიონალი ოპტიმისტიც კი გრძნობს ცდუნებას,

ცინიკური იყოს. მაგრამ პერიოდულად (სხვათა შორის, საოცარი რეგულარულობით) მახსენდებოდა, რომ რამდენი რამ მივიღე ისე, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

ბანაკების დაშლიდან რამდენიმე თვე იქნებოდა გასული, რომ მორიგი, ჩვეულებრივ, გამალიზიანებული შეკრების შემდეგ, რომელიც კორიდორში ჩატარდა, შევხვდი ერთ სერიოზულ, წვერმოშვებულ კაცს; ალბათ ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, კონსერვატიულად ეცვა. მან მითხრა: „იცით, უკვე მნიშვნელობა აღარც აქვს, საპირველმისო აქციები შედგება თუ არა საერთოდ – იმის თქმა მინდა, რომ, როგორც ყველა დანარჩენს, მეც იმედი მაქვს, რომ ისინი შედგება; მაგრამ თუკი ეს ასე არ მოხდება, თუკი ჩვენ ველარასოდეს შევძლებთ კვლავ „ოკუპირებას“, ყველაფერი დღესაც რომ დამთავრდეს, ვფიქრობ, თქვენ, ბიჭებო, ისედაც უკვე ყველაფერი შეცვალეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. ჩემი აზრით, ჩვენ მომსწრენი გავხდით, როგორ იწყება ამერიკული კულტურის ტრანსფორმაცია“.

„მართლა? და, თქვენი აზრით, რამდენ ადამიანს შეეხო ის?“

„საქმე ისაა, რომ ნებისმიერს, ვისაც შეეხო, უკვე აღარ შეუძლია, იაზროვნოს ისე, როგორც წინათ. ეს ჩემს სამსახურში შევნიშნე. შეიძლება ბევრი ვინუნუნოთ მიტინგების გამო, მაგრამ, აბა, სცადეთ და ისევ დაუბრუნდით რეალურ სამყაროს, როცა პირველად გამოსცადეთ, რას ნიშნავს დემოკრატიულ შეხვედრაზე ყოფნა; მიდიხართ ისევ სამსახურში და უეცრად ფიქრობ, მოიცა! ეს ხომ, საერთოდ, საოცარია. ესაუბრები შენს მეგობრებს, შენს დას, შენს მშობლებს და გულში ამბობ: ნეტავ, არის ცხოვრებაში კიდეც რამე ისეთი, რაზეც მიფიქრია, რომ ეს ერთადერთი სწორი გზა იყო? და რაც სრული სისულელე გვეგონებოდა, ისე რომ არ ვიღებდეთ მას, თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო? შეიძლება გაგიკვირდეთ. მაგრამ ასეთ შეკითხვებს ბევრი ადამიანი უსვამს საკუთარ თავს“.

გავიფიქრე: იქნებ სწორედ ესაა რევოლუცია? როცა ასეთი რამ ხდება? ანუ, თუკი ასეთი რამ მართლა ხდება...

ძალიან სადავო საკითხია: რა არის რევოლუცია?

გვეგონა, რომ ვიცოდით. რევოლუციები იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდება რომელიმე სახის სახალხო ძალების მიერ და

მიზნად ისახავდა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის ხასიათის გარდაქმნას იმ ქვეყანაში, სადაც რევოლუცია ხდებოდა; ჩვეულებრივ, ეს სამართლიანი საზოგადოების დიდი ხნის აუხდენელი ოცნება იყო. დღესდღეობით ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა ამბოხებულთა ჯარები შეიძლება მართლაც შეიჭრან რომელიმე ქალაქში, ან მასობრივი აჯანყების გზით ჩამოაგდონ დიქტატორი, მაგრამ ამ ყველაფერს ნაკლებად თუ ექნება იგივე შედეგი, რაც ადრე. როცა ძირეული სოციალური გარდაქმნა მართლაც ხორციელდება (როგორც, მაგალითად, ფემინიზმის აღმავლობის შემთხვევაში), ის, სავარაუდოდ, სრულიად განსხვავებულ ფორმას იღებს. საქმე ის კი არ არის, რომ რევოლუციური ოცნებები აღარავის აქვს; უბრალოდ, თანამედროვე რევოლუციონერები იშვიათად ფიქრობენ, რომ მოახერხებენ მათ ხორცშესხმას იმ საშუალებებით, რომლებსაც შეიძლება ბასტილიის აღების შესატყვისი თანამედროვე ვერსია შეიძლება ეწოდოს.

ასეთ მომენტებში, ზოგადად, ღირს, დავუბრუნდეთ ისტორიას, რომელიც ყველამ ვიცით, და ვიკითხოთ: იყო კი რევოლუციები ოდესმე ის, რაც ჩვენ გვეგონა? ჩემი აზრით, ამ კითხვას ყველაზე შთამბეჭდავი პასუხი გასცა მსოფლიოს უდიდესმა ისტორიკოსმა იმანუელ ვალერსტაინმა. ის ამტკიცებს, რომ ათასწლეულის დაახლოებით ბოლო მეოთხედის განმავლობაში რევოლუციები, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა პოლიტიკური აზრის გაჯანსაღებას მთელი პლანეტის მასშტაბით.

ვალერსტაინი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის დროისთვის უკვე არსებობდა ერთიანი მსოფლიო ბაზარი და სულ უფრო მზარდი ერთიანი პოლიტიკური სისტემა, რომელშიც წარმმართველ როლს ასრულებდა უზარმაზარი კოლონიური იმპერიები. ამის გამო ბასტილიის აღებას პარიზში შესაძლოა, ისეთივე მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა დანიაზეც, ან თუნდაც ეგვიპტეზე, როგორიც თავად საფრანგეთზე (ზოგ შემთხვევაში – შეიძლება უფრო მეტიც კი). აქედან გამომდინარე, ის საუბრობს „1789 წლის მსოფლიო რევოლუციაზე“, რომელსაც მოჰყვა „1848 წლის მსოფლიო რევოლუცია“. ამ ხანებში რევოლუციამ თითქმის ერთსა და იმავე დროს იფეთქა ორმოცდაათ ქვეყანაში, ვლახეთით დაწყებული, ბრაზილიით დამთავრებული. რევოლუციონერებმა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოახერხეს, და-

ლაუფლება ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ შემდგომში, საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე შექმნილი ინსტიტუტები (როგორიცაა საყოველთაო დაწყებითი განათლების სისტემა) თითქმის ყველგან შეიქმნა და ამოქმედდა. 1917 წლის რუსეთის რევოლუციაც მსოფლიო რევოლუცია იყო, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ისეთივე ზეგავლენა იქონია აშშ-ის „ახალ კურსსა“ და ევროპის განვითარებული სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოებზე, როგორც საბჭოთა კომუნიზმზე. რევოლუციათა ამ სერიებში უკანასკნელი გახლდათ 1968 წლის მსოფლიო რევოლუცია, რომელიც, 1848 წლის რევოლუციის მსგავსად, გავრცელდა თითქმის ყველგან – ჩინეთიდან მექსიკამდე, ძალაუფლების ხელში ჩაგდება ვერსად შეძლო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი შეცვალა. ეს იყო რევოლუცია სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ და ერთმანეთისაგან განუყოფელი პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისათვის, რომლის ალბათ ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი მემკვიდრეობა თანამედროვე ფემინიზმია.

ამგვარად, რევოლუციები პლანეტარული მასშტაბის მოვლენაა. უფრო მეტიც. ისინი, ზოგადად, პოლიტიკის რაობის შესახებ არსებულ მოსაზრებებს ძირეულად გარდაქმნიან ხოლმე. რევოლუციის კვალდაკვალ ის იდეები, რომლებიც ექსტრემისტულად და ფანატიკურად ითვლებოდა, სწრაფად გადაიქცა დებატებისათვის მისაღებ და აქტუალურ თემებად. საფრანგეთის რევოლუციამდე ის აზრი, რომ ცვლილებები კარგია, რომ მთავრობის პოლიტიკა არის სათანადო საშუალება მათი განხორციელებისათვის, რომ მთავრობა თავის უფლებამოსილებას იღებს იმ სუბიექტისგან, რომელსაც „ხალხი“ ეწოდება, იმგვარ შეხედულებებად ითვლებოდა, რომლებსაც, როგორც წესი, შეშლილისგან ან დემაგოგისგან თუ მოისმენდა კაცი, ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთი მუჭა თავისუფლად მოაზროვნე ინტელექტუალებისაგან, რომლებიც მთელ თავისუფალ დროს კაფეებში გამართულ დებატებზე ხარჯავენ. ერთი თაობის შემდეგ კი საქმე ისე წავიდა, ყველაზე უფრო კონსერვატორ თანამდებობის პირებს, მღვდლებს და სკოლის დირექტორებსაც კი, სულ მცირე, ცარიელი სიტყვით მაინც უნდა დაეჭირათ მხარი ამ იდეებისათვის. ცოტა ხანში კი დღევანდელ მდგომარეობამდეც მივედით: როცა საჭიროა, დაწვრილებით ახსნა ყველა ტერმინი (როგორც მე ახლახან გავა-

კეთე), რომ მათ არსებობას ყურადღება მაინც მიაქციონ. ისინი იქცა ჩვეულებრივ მოვლენად, ჯანსაღი აზრის გამოხატულებად, პოლიტიკური დისკუსიების საფუძვლად.

1968 წლამდე მსოფლიოს რევოლუციების უმეტესობამ მრავალი სფეროს გაუმჯობესების, სრულყოფის თვალსაზრისით მართლაც ბევრი რამ გააკეთა: არჩევნებში მონაწილეობის უფლების გაფართოება, საყოველთაო დაწყებითი განათლების სისტემის შემოღება, განვითარებული სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბება. 1968 წლის მსოფლიო რევოლუციას სხვადასხვა ადგილას გამოხატვის კონკრეტული ფორმა ეძლეოდა – მაგალითად, ჩინეთში, კულტურული რევოლუციის მოწყობისკენ მაოს მონოდების მხარდამჭერი ახალგაზრდა კადრებისა და სტუდენტების მიერ; ბერკლისა და ნიუ-იორკში, სადაც მისთვის დამახასიათებელი იყო ალიანსები სტუდენტებისა, ახალგაზრდებისა, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, სწავლა მიეტოვებინათ, და იმ ადამიანებისა, რომლებიც კულტურული სტერეოტიპების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ; პარიზში, სადაც ერთიანდებოდნენ სტუდენტები და მუშები. ყველა მათგანის თავდაპირველი სულისკვეთება, წინა რევოლუციებისაგან განსხვავებით, ერთი და იგივე იყო: ამბოხი ბიუროკრატიული აპარატის, არსებული ნორმებისადმი ბრმა მორჩილების ან ნებისმიერი ისეთი რამის წინააღმდეგ, რაც ადამიანის წარმოსახვის უნარს ზღუდავს. ეს იყო არა მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური სფეროს, არამედ, ზოგადად, ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტის რევოლუციური გარდაქმნის პროექტი. ამის გამო, უმეტეს შემთხვევაში ამბოხებულებს არც კი უცდიათ სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდება; ისინი თავად ამ აპარატს მიიჩნევდნენ პრობლემად.

დღესდღეობით მოდურად ითვლება, მიიჩნიონ, რომ 1960-იანი წლების ბოლოს დაწყებულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ამ მოსაზრებას შეიძლება გარკვეული საფუძველი მოეძებნოს. რასაკვირველია, პოლიტიკურ სფეროში მიმდინარე ცვლილებები მართლაც საერთო პოლიტიკური განწყობის გაჯანსაღებას უკავშირდებოდა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა ისეთი იდეალების პრიორიტეტიზაციას, როგორიცაა პიროვნული თავისუფლება, წარმოსახვის უნარი, ბიუროკრატიული აპარატის სიძულვილი და მთავრობის როლში ეჭვის შეტა-

ნა. ნებისმიერი სახის ამ ფართომასშტაბიანი ცვლილების უშუალო ბენეფიციარები პოლიტიკური მემარჯვენეები იყვნენ. რაც მთავარია, 1960-იანი წლების მოძრაობებმა შექმნა თავისუფალი ბაზრის თეორიის მასობრივი აღორძინების შესაძლებლობა, იმ თეორიისა, რომელიც XIX საუკუნის შემდეგ თითქმის არავის გახსენებია. სულაც არ გახლავთ უბრალო დამთხვევა, რომ იგივე თაობა, რომელმაც ოც წლამდე ასაკში ჩინეთის კულტურული რევოლუცია მოაწყო, ორმოცი წლის ასაკში უკვე კაპიტალიზმის დამკვიდრების ინიციატორად მოგვევლინა. 1980-იანი წლებიდან „თავისუფლება“ „ბაზრის“ მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო „ბაზარი“ აღიქმება, როგორც კაპიტალიზმის იდენტური ცნება, თუმცა პარადოქსია, მაგრამ ისეთ ადგილებშიც კი, როგორიც, მაგალითად, ჩინეთია, სადაც ათასწლეულების მანძილზე საკმაოდ დახვეწილი ბაზრები არსებობდა, იშვიათად თუ მოიძებნებოდა ისეთი რამ, რომელიც შეიძლება აღწერო, როგორც კაპიტალიზმი.

პარადოქსებს ბოლო არა აქვს. მაშინ, როცა ახალი თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიამ საკუთარი არსი განსაზღვრა, პირველ რიგში, როგორც ბიუროკრატიული აპარატის უარყოფა, ფაქტობრივად, სწორედ მან განაპირობა პირველი იმგვარი ადმინისტრაციული სისტემის შექმნა, რომელიც პლანეტის მასშტაბით მოქმედებს საზოგადოებრივი და კერძო ბიუროკრატიული აპარატების ცალკეულ შრეებად უსასრულო დაყოფის გზით: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, სავაჭრო ორგანიზაციები, ფინანსური ინსტიტუტები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს სწორედ ის სისტემაა, რომელმაც თავისუფალი ბაზრის თეორია მოგვახვია თავს, როგორც საყოველთაოდ მიღებული, და შესაძლებელი გახადა მსოფლიოს ფინანსური ძარცვა ამერიკული იარაღის ფხიზელი მეთვალყურეობითა და მხარდაჭერით. მხოლოდ ამ ფონზე ხდება გასაგები, რომ გლობალური რევოლუციური მოძრაობის აღდგენის პირველი მცდელობები, კერძოდ, „მსოფლიო სამართლიანობის მოძრაობა“, რომელმაც პიკს 1998-2003 წლებში მიაღწია, ფაქტობრივად, იყო ამბოხება სწორედ ამ პლანეტარული ბიუროკრატიული აპარატის მმართველობის წინააღმდეგ.

თუმცა, როდესაც წარსულს თვალს გადავავლებ, ვფიქრობ, რომ მოგვიანებით ისტორიკოსები დაასკვნიან: 1960-იანი წლების

რევოლუციის მემკვიდრეობა უფრო იდუმალი და ძნელად შესა-
ცნობი იყო, ვიდრე ჩვენ ახლა წარმოგვიდგენია, და კაპიტალ-
ისტური ბაზრების, მათი სხვადასხვა სახის პლანეტარული
მმართველებისა და სამართალშეფარდების უფლებამოსილების
მქონე ორგანიზაციათა ტრიუმფი, რომელიც საბჭოთა კავშირის
დაშლის (1991 წ.) შემდეგ თითქოს ეპოქალური და მარადიული
უნდა ყოფილიყო, არსებითად, გაცილებით ზედაპირული და ნაკ-
ლებად მყარი აღმოჩნდა.

მოვიყვან ამის აშკარა მაგალითს. ხშირად გვესმის, რომ 1960-
იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში (მთელი
ათწლეულის მანძილზე) ომის საწინააღმდეგო გამოსვლებმა, საბ-
ოლოო ჯამში, მარცხი განიცადა, რადგან მათ ვერ შეძლეს, დაე-
ჩქარებინათ აშშ-ის ჯარების გამოყვანა ინდოჩინეთიდან. მაგრამ
მოგვიანებით აშშ-ის საგარეო პოლიტიკას წარმმართველები იმ-
დენად შეაშფოთა იმან, რომ წინ სახალხო მღელვარება გადაე-
ღობათ (უფრო მეტიც, მღელვარება თავად შეიარაღებულ ძა-
ლებს შორის, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყისისათვის,
ფაქტობრივად, ცალკეულ ნაწილებად დაიშალა), რომ თითქმის
ოცდაათი წლის განმავლობაში ისინი უარს აცხადებდნენ აშშ-ის
ჯარების ჩართვაზე რომელიმე დიდ სახმელეთო კონფლიქტში.
ცნობილი „ვიეტნამის სინდრომის“ სრულად დაძლევა 9/11 დას-
ჭირდა, თავდასხმა, რომლის დროსაც აშშ-ის მიწაზე ათასობით
სამოქალაქო პირი დაიღუპა – და მაშინაც კი მათ, ვინც ომებს
გეგმავდა, ლამის მანიაკალური სიჯიუტე გამოიჩინეს, რომ ამ
ომებს საპროტესტო გამოსვლების ზენოლისათვის გაეძლო და
გაგრძელებულიყო. პროპაგანდა უწყვეტად მიმდინარეობდა, მე-
დიამოკავშირეები წინდახედულად იქნა შერჩეული, ექსპერტებმა
ზუსტად გამოითვალეს, თუ რამდენი ელვამესაკრავიანი ტომა-
რა იქნებოდა საჭირო გვამების გადასატანად (ანუ რა რაოდე-
ნობის დაღუპული იქნებოდა საკმარისი აშშ-ის მხრიდან მასო-
ბრივი ოპოზიციის წარმოშობისათვის), და საომარ მოქმედებათა
წარმართვის წესები დიდი სიფრთხილით შემუშავდა, რომ ამ
რიცხვისთვის არ გადაეჭარბებინათ.

საქმეს ის ართულებდა, რომ რაკი ზემოხსენებული წესებით
ომის წარმოებას ძალაუვნებურად მოჰყვებოდა „თანმდევი ზარა-
ლი“ ათასობით დაღუპული და დასახიჩრებული ქალის, ბავშვისა

და მოხუცის სახით, რაც გარდაუვალი იქნებოდა, რათა აშშ-ის ჯარისკაცების დალუპვისა და დაშავების რიცხვი შეემცირებინათ; ეს კი ნიშნავდა, რომ ერაყსა და ავღანეთში დამპყრობელი ძალების მიმართ სიძულვილი იმდენად გამძაფრდებოდა, აშშ სამხედრო ობიექტების ხელში ჩაგდებას ვერაფრით შეძლებდა. გასაკვირია, რომ მათ, ვინც ომს გეგმავდა, სავარაუდოდ, კარგად იცოდნენ ამის შესახებ. მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. მათი აზრით, გაცილებით მნიშვნელოვანი იყო მოქმედი ოპოზიციისთვის ხელის შეშლა შინ, ვიდრე, რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ომის მოგება. ამერიკის ჯარები ერაყში საბოლოოდ თითქოს ები ჰოფმანის აჩრდილმა დაამარცხა (**ებოტ ჰოვარდ („ები“) ჰოფმანი (1936-1989) – ამერიკელი მემარცხენე პოლიტიკური და სოციალური აქტივისტი, ახალგაზრდობის საერთაშორისო პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. რედ.**).

აშკარაა, რომ 1960-იანი წლების ომის საწინააღმდეგო მოძრაობები, რომლებიც დღემდე, 2012 წლამდე, ხელ-ფეხს უკრავს მათ, ვინც აშშ-ის სამხედრო მოქმედებებს გეგმავს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება წარუმატებლად. მაგრამ ჩნდება საკმაოდ დამაინტრიგებელი შეკითხვა: რა მოხდება, თუკი ამ წარუმატებლობის შეგრძნების გაჩენა, იმ აზრის ჩანერგვა ხალხისთვის, რომ სისტემის წინააღმდეგ პოლიტიკური ქმედება სრულიად უშედეგოა, ხელისუფლების სათავეში მყოფთათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად იქცევა?

ეს აზრი პირველად მომივიდა თავში 2002 წელს, ვაშინგტონში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საწინააღმდეგო აქციებში მონაწილეობის დროს. ვინაიდან ეს აქციები 9/11-ის შემდეგ ძალიან მალე მოეწყო, შედარებით ცოტანი ვიყავით და ჩვენს შეკრებებს შედეგი დიდად არ მოჰყოლია, პოლიციელების რიცხვი კი უზარმაზარი იყო. ამიტომ არ გვეგონა, რომ შეხვედრების ჩაშლას შევძლებდით. ბევრი ჩვენგანი ცოტათი დათრგუნულიც კი იყო. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ერთ ადამიანს ვესაუბრე, რომლის მეგობრებიც ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ, გავიგე, რომ თურმე მართლაც შევძელით მათი ჩაშლა: პოლიციამ ისეთი მკაცრი უსაფრთხოების ზომები მიიღო და გადადო შეხვედრების ნახევარზე მეტი, რომ მათი უმეტესობა ინტერნეტის საშუალებით, რეალური დროის (online) რეჟიმში ჩატარდა. სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, ხელისუფლებისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, დემონსტრანტები წარუმატებლობის შეგრძნებით დაშლილიყვნენ, ვიდრე ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეხვედრები ჩატარებულიყო. თუ ამ ყველაფერს დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ დემონსტრანტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

იქნებ ეს მოქმედებები – რომლებიც საზოგადოებრივი მოძრაობებისთვის წინსწრებას ისახავს მიზნად, ანუ ომებისა და სავაჭრო სამიტების იმგვარად დაგეგმვა, რომ მოქმედ ოპოზიციას დაბრკოლება შეექმნას; ან დამოკიდებულება, როცა ოპოზიციისთვის ხელის შეშლა უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევა, ვიდრე თვით ომისა თუ სამიტის წარმატება – რეალურად, უფრო ზოგადი პრინციპის გამოხატულებაა? იქნებ ისინი, ვინც ამჟამად სისტემას მართავს (რომელთაგან უმეტესობამ 1960-იანი წლების მღელვარება უშუალოდ განიცადა, როცა უალრესად მგრძნობიარე ახალგაზრდები იყვნენ), შეპყრობილნი არიან შიშით, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად (ვეჭვობ, რომ უფრო შეგნებულად), რომ რევოლუციური საზოგადოებრივი მოძრაობა კიდევ ერთხელ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს გაბატონებულ „ჯანსაღ აზრს“?

ამით ძალიან ბევრი რამ აიხსნება. მსოფლიოს უმეტეს ნაწილში უკანასკნელი ოცდაათი წელიწადი ცნობილია, როგორც ნეოლიბერალიზმის ხანა – ხანა, რომელშიც აღდგა და დომინირებს დიდი ხნის წინ მივიწყებული, XIX საუკუნის დროინდელი მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაც, თავისუფალი ბაზრები და ადამიანის თავისუფლება, ზოგადად, საბოლოო ჯამში, ერთი და იგივე ცნებაა. ნეოლიბერალიზმს ყოველთვის ანგრევდა ერთი უმთავრესი პარადოქსი. ნეოლიბერალები აცხადებენ, რომ ეკონომიკის მოთხოვნები ყველა სხვა დანარჩენზე უფრო მნიშვნელოვანია. თავად პოლიტიკა კი არის „ეკონომიკის ზრდისთვის“ შესაბამისი პირობების შექმნის საშუალება, რომელიც ბაზარს შესაძლებლობას აძლევს, სასწაული მოახდინოს. ყველა სხვა ოცნება და იმედი, უსაფრთხოებასა და თანასწორობას რომ გულისხმობს, მსხვერპლად უნდა შეეწიროს ეკონომიკური პროდუქტიულობის უპირველეს მიზანს. მაგრამ სინამდვილეში გლობალური ეკონომიკური მაჩვენებელი ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე გადაჭრით შეიძლება შეფასდეს, როგორც ყოვლად უღიმღამო და საშუალო. გარდა რამდენიმე

შთამბეჭდავი გამოწვევისა (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩინეთი, რომელიც ხაზგასმით უგულებელყოფდა ნეოლიბერალიზმის დაუნერგელ კანონთა უმეტესობას), ზრდის ტემპი გაცილებით ნელი იყო, ვიდრე 1950-იანი, 1960-იანი და თვით 1970-იანი წლების ძველმოდური, მთავრობის მიერ მართული, განვითარებული სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული კაპიტალიზმის პერიოდში.¹ მაშასადამე, ჯერ კიდევ 2008 წლის კოლფსამდე, თავად მისივე სტანდარტებითაც კი, ამ პროექტმა კოლოსალური მარცხი განიცადა.

მეორე მხრივ, თუკი მსოფლიო ლიდერებს სიტყვაზე არ დავიჭერთ და ამის ნაცვლად ნეოლიბერალიზმს პოლიტიკურ პროექტად აღვიქვამთ, ის უეცრად მიმზიდველი და ქმედობაუნარიანი მოგვეჩვენება. პოლიტიკოსებმა, კორპორაციების აღმასრულებელმა დირექტორებმა, ვაჭრობის სფეროს ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებმა და ყველა იმ ადამიანმა, რომლებიც რეგულარულად იკრიბებიან ისეთ სამიტებზე, როგორიც დავოსი და დიდი ოცეულია, მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, როცა შექმნეს მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკა, რომელიც, ფაქტობრივად, ვერ აკმაყოფილებს მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობის მოთხოვნებს (რომ აღარაფერი ვთქვათ იმედის მიცემაზე, ბედნიერების მინიჭებაზე, უსაფრთხოების გარანტიაზე ან მიზნების დასახვაზე). სამაგიეროდ, უზარმაზარ წარმატებას მიაღწიეს – დაარწმუნეს მსოფლიო, რომ კაპიტალიზმი (და არა, უბრალოდ, კაპიტალიზმი, არამედ სწორედ ის ფინანსიზირებული, ნახევრად ფეოდალური კაპიტალიზმი, რომელიც დღეს ჩვენ გვერგო წილად) არის ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური სისტემა. თუ კარგად დაფუძკვირდებით, ეს გამაოგნებელი მიღწევაა.

როგორ მოახერხეს ამის გაკეთება? ის დამოკიდებულება საზოგადოებრივი მოძრაობების მიმართ, როცა მმართველი ძალა ყოველთვის ცდილობს, დაასწროს მათ, აშკარად, ამ ყველაფრის ნაწილია; არ არსებობს გარემოება, რომლის დროსაც ალტერნატივა (ან ნებისმიერი ადამიანისაგან ალტერნატივის შემოთავაზება) შეიძლება აღიარონ. ამით აიხსნება წარმოუდგენლად დიდძალი ფულის ჩადება სხვადასხვა სახის „უსაფრთხოების სისტემებში“: ფაქტია, რომ აშშ, რომელსაც, პრაქტიკულად, სერიოზული მეტოქე არც კი ჰყავს, გაცილებით უფრო მეტ თანხებს ხარჯავს

შეიარაღებულ ძალებსა და საიდუმლო დაზვერვაზე ახლა, ვიდრე ცივი ომის პერიოდში, რომ აღარაფერი ვთქვათ კერძო პირების უსაფრთხოების სააგენტოების, სადაზვერვო სააგენტოების, გასამხედროებული პოლიციის, დაცვისა და დაქირავებული ჯარის გამოგნებელ დაფინანსებაზე. გარდა ამისა, არსებობს პროპაგანდის ორგანოები, მათ შორის პოლიციის მეხოტბე მასობრივი მედიაინდუსტრია, რომელიც 1960-იან წლებამდე არც კი არსებობდა. ეს სისტემები, ძირითადად, პირდაპირ კი არ ესხმიან თავს დისიდენტებს, არამედ დიდი წვლილი შეაქვთ შიშის, შოვინისტური კონფორმიზმის, დაუცველობისა და სასონარკვეთის ატმოსფეროს გამეფებაში, რომლის წყალობითაც ფიქრიც კი სამყაროს შეცვლაზე უნაყოფო, ამაო ფანტაზიად გვეჩვენება. გარდა ამისა, ეს უსაფრთხოების სისტემები უაღრესად ძვირად ღირებულია. ზოგიერთი ეკონომისტის შეფასებით, ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი რომელიმე ტიპის „დაცვის სამსახურში“ მუშაობს – იცავს ვინმეს ქონებას, ზედამხედველობას უწევს რაიმე სამუშაოს, ან კიდევ სხვა გზით უზრუნველყოფს თავისი თანამემამულეების „ფორმაში ყოფნას“.² ეკონომიკური თვალსაზრისით, მთელი ეს დისციპლინარული აპარატი მძიმე ტვირთია.

ფაქტობრივად, უკანასკნელი ოცდაათი წლის ეკონომიკურ ინოვაციათა უმეტესობა პოლიტიკურად უფრო გამართლებულია, ვიდრე ეკონომიკურად. არასაიმედო კონტრაქტების მიხედვით გაუქმება სამსახურისა, რომელსაც „საგარანტიო ვადა“ აქვს, უფრო ეფექტიანი სამუშაო ძალის შექმნის საშუალება სულაც არ არის, მაგრამ საოცარ შედეგს იძლევა პროფკავშირების განადგურებისა და მუშათა კლასის სხვადასხვა ფორმით დეპოლიტიზაციის საქმეში. იგივე შეგვიძლია, ვთქვათ სამუშაო საათების დაუსრულებელ ზრდაზეც. პოლიტიკური აქტივობისთვის ბევრი დრო აღარავის დარჩება, თუკი ხალხი იძულებული გახდება, კვირაში სამოცი საათი იმუშაოს. როდესაც არსებობს არჩევანი ორ ვარიანტს შორის, რომელთაგან პირველი კაპიტალიზმს ერთადერთ ეკონომიკურ სისტემად წარმოგვიჩენს, ხოლო მეორე კაპიტალიზმს უფრო მეტად სიცოცხლისუნარიან ეკონომიკურ სისტემად აქცევს, ხშირად გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ნეოლიბერალიზმი ყოველთვის პირველს ამჯობინებს. ამ ყველაფრის ერთობლივი შედეგი კი გახლავთ სასტიკი და დაუნდობელი კამ-

პანია ადამიანის წარმოსახვის წინააღმდეგ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: ეს იყო კამპანია შემოქმედებითი წარმოსახვის, კეთილშობილური მისწრაფებების, პიროვნული თავისუფლების და ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც უკანასკნელმა დიდმა მსოფლიო რევოლუციამ გასაქანი მისცა, მაგრამ შემდეგ მათ მკაცრად განესაზღვრა საარსებო არეალი მომხმარებლურ იდეოლოგიაში, ან, უკიდურეს შემთხვევაში – ინტერნეტის ვირტუალურ რეალობაში. ყველა სხვა დანარჩენ სფეროში ისინი სასტიკად იკრძალებოდა. მხედველობაში მაქვს ოცნებების ჩაკვლა და სასოწარკვეთილების მექანიზმის ამოქმედება, რაც ალტერნატიული მომავლის ნებისმიერი წარმოდგენის გასასრესად იყო შექმნილი. გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნულმა ძალებმა, ფაქტობრივად, მთელი ძალისხმევა მოახმარეს პოლიტიკურ კალათში ბურთის ჩაგდებას, რის შედეგადაც ჩვენ უცნაურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით – ვხედავთ, როგორ გვენგრევა თვალწინ კაპიტალისტური სისტემა სწორედ მაშინ, როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველამ დაასკვნა, რომ სხვა სისტემის არსებობა შეუძლებელია.

ალბათ სხვა არც არაფრის მოლოდინი შეიძლებოდა გვექონოდა იმ სამყაროში, სადაც, როგორც მეორე თავში აღვნიშნე, აშკარა პოლიტიკური წყალგამყოფის ორივე მხარეს მდგარმა მმართველმა ძალებმა მართლაც დაიჯერეს, რომ არ არსებობდა სხვა რეალობა იმის მიღმა, რის შექმნაც მათი ძალაუფლებით შეიძლებოდა. „ბუშტების ეკონომიკა“ ერთ-ერთი შედეგი გახლავთ იმავე პოლიტიკური პროგრამისა, რომელმაც მექრთამეობა არა მარტო ჩვენი პოლიტიკური სისტემის მთავარ მამოძრავებელ პრინციპად, არამედ მასში მომუშავე ადამიანებისათვის თავად რეალობის ქეშმარიტ პრინციპადაც კი აქცია. ამ სტრატეგიამ თითქმის ყველაფერი შთანთქა.

მაგრამ ეს ნიშნავს, რომ, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ნებისმიერ რევოლუციას დღეს ხელისუფლებაში მყოფთათვის გამანადგურებელი შედეგი ექნება. ჩვენმა მმართველმა ძალებმა სასწორზე დადეს ყველაფერი, ოღონდ ადამიანის წარმოსახვის ამგვარი ამოფრქვევა წარმოუდგენელი ყოფილიყო. თუ მათ ეს ბრძოლა წააგეს, შედეგები დამლუპველი იქნება (მათთვის).

ჩვეულებრივ, როდესაც საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებას – რომ ამჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ერთადერთი შესაძლო სისტემაა – კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ, პირველი რეაქცია, რომელსაც, სავარაუდოდ, გადავანყდებით, იქნება დეტალური პროექტის მოთხოვნა, თუ როგორ იმუშავებს ალტერნატიული სისტემა, რა სტრუქტურა ექნება, მისი ფინანსური ინსტრუმენტების ხასიათის, ენერგომომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის ტექნიკური მომსახურების ჩათვლით. შემდეგი საკითხი ალბათ იქნება დეტალური პროგრამის მოთხოვნა იმის შესახებ, თუ როგორ ამოქმედდება ეს ახალი სისტემა. ისტორიული თვალსაზრისით, ასეთი დამოკიდებულება, სასაცილოა. როდის განხორციელებულა რაიმე სახის სოციალური ცვლილება ვინმეს პროექტის შესაბამისად? ისე ხომ არაა, თითქოს მავან მეოცნებეთა პატარა ჯგუფმა რენესანსის დროინდელ ფლორენციაში მოიფიქრა რაღაც, რომელსაც „კაპიტალიზმი“ უწოდა, დეტალურად გათვალა, თუ როგორ იმუშავებდნენ ოდესმე საფონდო ბირჟა, ქარხნები და შემდეგ ამ ხედვის რეალობაში განხორციელების პროგრამა შეიმუშავა. ფაქტობრივად, ეს იდეა იმდენად აბსურდულია, შეიძლება საკუთარ თავს ვკითხოთ, საერთოდ, როგორ მოგვივიდა აზრად, წარმოგვედგინა, რომ ცვლილებების განხორციელება სწორედ ასე იწყება.

ვეჭვობ, რომ ყოველივე ეს სინამდვილეში განმანათლებლების იდეებიდან მოდის, რომლებიც, ამერიკის გარდა, ფაქტობრივად, დიდი ხანია, ყველგან მიივიწყეს. XVIII საუკუნეში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ სახელმწიფოები უდიდესი კანონმდებლების (ლიკურგეს, სოლონის და ა.შ.) მიერ დაფუძნდა, რომლებმაც შეიმუშავეს მათთვის ტრადიციები და ინსტიტუტები ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, დაახლოებით ისე, როგორც ღმერთმა შექმნა სამყარო, და შემდეგ გვერდზე გადგნენ (კვლავ ღმერთის მსგავსად), რათა მთელ ამ მექანიზმს, არსებითად, თავისით ემუშავა. შესაბამისად, „კანონის სულისკვეთება“ თანდათანობით განსაზღვრავდა სახელმწიფოს ხასიათს. ეს უცნაური ფანტაზია იყო, მაგრამ აშშ-ის კონსტიტუციის ავტორებს სჯეროდათ, რომ დიდი სახელმწიფოები სწორედ ასე დაარსდა და მართლაც სცადეს პრაქტიკაში ამის დანერგვა. სწორედ ამიტომ შეერთე-

ბული შტატები, „კანონების და არა ადამიანების სახელმწიფო“, ალბათ ერთადერთია დედამიწაზე, რომელთან მიმართებითაც შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ზემოაღწერილი სურათი სიმართლეს, სავარაუდოდ, ნებისმიერი კუთხით შეესაბამება. მაგრამ თვით შეერთებულ შტატებშიც კი, როგორც დავინახეთ, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც მოხდა. ხოლო შემდგომმა მცდელობებმა ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და ზემოთ აღწერილი პოლიტიკური ან ეკონომიკური სისტემების დამკვიდრებისა (აშშ-ის უდიდესი კონკურენტი XX საუკუნეში, სსრკ, მეორე უდიდესი სახელმწიფო დედამიწაზე, რომელიც, არსებითად, აკრონიმი იყო, ამ კონტექსტში მაგალითის სახით ყველაზე უფრო ხშირად მოჰყავთ) დიდად ვერ გაამართლა.

ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უტოპიური ხედვა ცუდია. ან თუნდაც პროექტები. მათ საკუთარი ადგილი უნდა მიუჩიონოთ. თეორეტიკოსმა მაიკლ ალბერტმა დეტალური გეგმა შეიმუშავა იმისა, თუ როგორ შეიძლება ვმართოთ თანამედროვე ეკონომიკა დემოკრატიულ საფუძველზე, ფულის გარეშე, თანამონაწილეობის პრინციპით. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა – არა იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ოდესმე შესაძლებელი იქნება ზუსტად ამ მოდელის ხორცშესხმა სწორედ ისე, როგორც ამას ის აღწერს, არამედ იმიტომ, რომ თავად ეს ფაქტი შეუძლებელს ხდის, ვთქვათ, რომ ასეთი რამ წარმოუდგენელია. თუმცა ასეთი მოდელები მხოლოდ ექსპერიმენტებად თუ შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენ სათანადოდ ვერ აღვიქვამთ პრობლემებს, რომლებიც მაშინ წარმოიქმნება, როცა მართლა ვცდილობთ, თავისუფალი საზოგადოების შენება დავიწყოთ. ის, რაც ახლა შესაძლოა ყველაზე მწვავე პრობლემად გვესახებოდეს, შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს პრობლემა; სხვა საკითხი კი, რომელიც არც კი გაგვხსენებია, შესაძლოა, საშინლად რთული აღმოჩნდეს. არსებობს უამრავი X-ფაქტორი. მათ შორის ყველაზე მეტად თვალსაჩინოა ტექნოლოგიები. სწორედ ამიტომაც ასეთი აბსურდული, რენესანსის დროინდელ იტალიაში წარმოვიდგინოთ აქტივისტები, რომლებიც საფონდო ბირჟისა და ქარხნების ახლებური მოდელების იდეებით გამოდიან – ის, რაც განხორციელდა, უამრავ ისეთ ტექნოლოგიაზე იყო დაფუძნებული, რომლებსაც ისინი ვერასოდეს განსაზღვრავდნენ; მაგრამ ეს ტექნოლოგიები, ნაწილობრივ, მხ-

ოლოდ იმიტომ წარმოიშვა, რომ საზოგადოებამ დაიწყო წინსვლა გარკვეული მიმართულებით. ამით შეიძლება აიხსნას, მაგალითად, ის, თუ რატომ შეიქმნა ანარქისტული საზოგადოების ასეთი საინტერესო მოდელები სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში (ურსულა კ. ლე გუინი, სტარჰოუკი, კიმ სტენლი რობინსონი). მხატვრულ ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში, შეგიძლია დაუშვა ტექნოლოგიური ასპექტი, როგორც ვარაუდი.

ჩემდათავად, ნაკლებად მაინტერესებს, რა სახის ეკონომიკური სისტემა უნდა გვექონდეს თავისუფალ საზოგადოებაში; უფრო მეტად იმ საშუალებების შექმნით ვარ დაინტერესებული, რომელთა დახმარებითაც ადამიანები თავად შეძლებენ გადაწყვეტილებების მიღებას დემოკრატიული გზით. სწორედ ამიტომ დავუთმე წიგნის უმეტესი ნაწილი ამ თემაზე საუბარს. სწორედ გადაწყვეტილების მიღების ამგვარ ახალ ფორმებში მონაწილეობის გამოცდილება უბიძგებს ადამიანს, ახლებურად შეხედოს სამყაროს.

როგორი შეიძლება იყოს სინამდვილეში ჯანსაღი აზრი რევოლუციის შესახებ? არ ვიცი, მაგრამ შემიძლია, ვიმსჯელო საყოველთაოდ მიღებულ ნებისმიერ შეხედულებაზე, რომლებიც ნამდვილად უნდა გახდეს მსჯელობის საგანი, თუკი ვაპირებთ, რაიმე სახის სიცოცხლისუნარიანი თავისუფალი საზოგადოება შევექმნათ. ამ სფეროსთან დაკავშირებული ერთი საკითხის – ფულისა და ვალის ბუნების – ზოგიერთი ასპექტი წინა წიგნში გამოვიკვლიე. იდეაც კი წამოვაცენე, ვალის იუბილე მისი საყოველთაო ანულირებით აღნიშნულიყო, რათა განემარტა, რომ ფული სინამდვილეში მხოლოდ ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტია, ესაა მთელი წყება დაპირებებისა, რომელთა გადახედვაც, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის შესაძლებელია. ქვემოთ კი დანარჩენ ოთხ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებას განვიხილავ:

სამუშაო 1: პროდუქტივისტული გარიგება

მრავალი მავნე მოსაზრება, რომლებიც ზიანს აყენებს ჩვენი პოლიტიკური შესაძლებლობების აღქმას, სამუშაოს ბუნებას უკავშირდება.

მათგან ყველაზე გავრცელებულია აზრი, რომ მუშაობა

ნამდვილად კარგია; რომ ადამიანები, რომლებიც არ ექვემდებარებიან შრომით დისციპლინას, არსებითად, პატივისცემას არ იმსახურებენ და უზნეონი არიან; რომ ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისისა თუ პრობლემის მოგვარება ყოველთვის შეიძლება უფრო მეტი და გულმოდგინე მუშაობით. ეს ერთ-ერთია იმ მოსაზრებათაგან, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ დისკუსიებზე, სავარაუდოდ, ყველამ უნდა მიიღოს, როგორც მსჯელობის საფუძველი. მაგრამ, როგორც კი ამ ვარაუდს ჩაუღრმავდებით, მიხვდებით, რომ ის აბსურდია. უპირველეს ყოვლისა, ეს მორალური პოზიციაა და არა ეკონომიკური. უამრავი სამუშაო არსებობს, რომლებიც სრულდება, მაგრამ მათ გარეშე შეიძლება ჩვენ, ყველანი, უკეთესად ვყოფილიყავით; ასევე, ზემოთ თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი, ვინც სამუშაოზე ბოლომდე „ინვის“, აუცილებლად უკეთესი ადამიანები არიან. სინამდვილეში, ვფიქრობ, რომ მსოფლიოს მდგომარეობის ნებისმიერი ობიექტური შეფასება მიგვიყვანდა დასკვნამდე: რეალურად, არა მეტი, არამედ ნაკლები მუშაობაა საჭირო. და ეს ჭეშმარიტებაა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეკოლოგიურ პრობლემებს – ანუ იმ ფაქტს, რომ გლობალური მუშაობის მექანიზმის დღევანდელი ტემპის წყალობით ძალიან მალე პლანეტა სიცოცხლისთვის გამოუსადეგარი გახდება.

ძნელია, ამ მოსაზრების სისწორეში ეჭვი შევიტანოთ. ვფიქრობ, ნაწილობრივ, ამის მიზეზი მუშათა მოძრაობების ისტორიაში უნდა ვეძიოთ. XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი პარადოქსია, რომ პოლიტიკურად მობილიზებული მუშათა კლასი მცირეოდენი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებასაც კი ყოველთვის იმ ბიუროკრატი კადრების ხელმძღვანელობით ახერხებდა, რომლებიც მხოლოდ ამგვარი პროდუქტივისტული პათოსის ერთგულნი იყვნენ – პათოსისა, რომელსაც ნამდვილი მუშების უმრავლესობა არასოდეს იზიარებდა.* ამას შეიძლება „პროდუქტივისტული გარიგება“ ეწოდოს – თუ თქვენთვის მისაღებია ძველი პურიტან-

* როგორც ერთმა ინდოელმა ანარქისტმა აღნიშნა, განდიდან დაწყებული, ჰიტლერით დამთავრებული, ყველას გამონათქვამებში შეიძლება ვიპოვოთ აზრი, რომ მუშაობა წმიდათაწმიდაა (holy), მაგრამ როცა ნამდვილი მშრომელები წმინდა დღეს, ანუ დღესასწაულს (holy-day) ახსენებენ, ისინი სწორედ იმ დღეს გულისხმობენ, როცა მუშაობა არ უხდებათ.

ული იდეალი, რომ შრომა თავისთავად წარმოადგენს სიკეთესა და სათნოებას, მაშინ თქვენ მომხმარებელთა სამოთხით დაჯილდოვდებით. საუკუნის დასაწყისში სწორედ ეს წარმოადგენდა მთავარ განსხვავებას სოციალისტურ და ანარქისტულ გაერთიანებებს შორის, რის გამოც პირველნი ყოველთვის ითხოვდნენ უფრო მაღალ ხელფასებს, ხოლო მეორენი – სამუშაო საათების შემცირებას (ცნობილია, რომ რვასაათიანი სამუშაო დღის დანაკანონება ანარქისტული გაერთიანებების დამსახურებაა). სოციალისტებისთვის მისაღები აღმოჩნდა მათი მტრის, ბურჟუაზიის მიერ შემოთავაზებული მომხმარებელთა სამოთხე; თუმცა სანარმოო (პროდუქტივისტული) სისტემის მართვა მათ თავად უნდოდათ; ანარქისტებს კი, მათგან განსხვავებით, სურდათ დრო, და ამ დროში ისეთი ფასეულობებით ცხოვრება, როგორიც კაპიტალისტებს არც კი დაესიზმრებოდათ. და მაინც, ვინ ამზადებდა რევოლუციებს? სწორედ ანარქისტი ამომრჩეველები, რომლებმაც უარი თქვეს პროდუქტივისტულ გარიგებაზე; ფაქტობრივად, ისინი აწყობდნენ ამბოხებებს: ესპანეთში, რუსეთში, ჩინეთში და თითქმის ყველგან, სადაც რევოლუცია ნამდვილად მოხდა. თუმცა ისინი ყოველთვის ექცეოდნენ სოციალისტი ბიუროკრატების მმართველობის ქვეშ, რომლებისთვისაც მისაღები იყო ოცნება მომხმარებლური უტოპიის შესახებ, თუმცა მის უზრუნველყოფას ისინი ალბათ ვერასოდეს შეძლებდნენ. პარადოქსულია ფაქტი, რომ ძირითადი სოციალური სარგებელი, რომელსაც საბჭოთა კავშირი და მსგავსი რეჟიმები უზრუნველყოფდა – უფრო მეტი დრო (რადგან შრომითი დისციპლინა სრულიად განსხვავებული რამ გახდა: ფაქტობრივად, ადამიანს სამუშაოდან ვერავინ გაათავისუფლებდა; ყველას შეეძლო, სამუშაო საათების მხოლოდ ნახევარი ემუშავა და ამის გამო პასუხს არავინ მოსთხოვდა) – გახლდათ სწორედ ის, რასაც თავად ისინი ვერ აცნობიერებდნენ; მას „სამსახურში გამოუცხადებლობის პრობლემა“ შეიძლება ეწოდოს. ის წინ ეღობებოდა მომავალს, რომელშიც ფეხსაცმელები და საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონელი „დაყრილი“ იქნებოდა (რის განხორციელებაც, რეალურად, შეუძლებელია). მაგრამ ამ შემთხვევაში თვით პროფკავშირებიც თავს ვალდებულად მიიჩნევენ, შეითვისონ ბურჟუაზიული ტერმინები (რომელთა თანახმადაც პროდუქტიულობა და შრომის დისციპლინა აბსოლუტურ ფასეუ-

ლობებს წარმოადგენს) და აღიარონ, რომ მშენებლობაზე აქეთ-იქით ბოდილის თავისუფლება ბრძოლით მოპოვებული უფლება კი არაა, არამედ – რეალური პრობლემა. ცხადია, ბევრად უკეთესი იქნებოდა, უბრალოდ, დღეში ოთხი საათი გვემუშავა, ვიდრე ოთხ საათში გასაკეთებელი საქმე რვა საათში გაგვეკეთებინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სულ არაფერს ისევ ეს სჯობს.

სამუშაო 2: რა არის შრომა?

შრომითი დისციპლინის მორჩილება (ზედამხედველობის, კონტროლის ქვეშ ყოფნა, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა საკუთარი ბიზნესი გაქვს, მიზნისკენ ისწრაფვი და საკუთარ თავს ბევრ რამეზე უარს ეუბნები) არავის აქცევს უკეთეს ადამიანად; პირიქით, ხშირად უარესადაც კი გადააქცევს მას. საკუთარ თავზე ამის გამოცდა უბედურებაა, რაც ზოგჯერ შეიძლება საჭირო იყოს. თუმცა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დავსვათ კითხვა, თუ რა არის, რეალურად, კეთილშობილური შრომაში, თუკი უარგყოფთ მოსაზრებას, რომ ამგვარი შრომა თავისთავად კეთილშობილურია. ამ კითხვაზე პასუხი კი ნათელია. შრომა მაშინაა კეთილშობილური, თუ ის დახმარებას უწევს სხვებს. პროდუქტივიზმზე უარის თქმამ უნდა გააადვილოს იმის ხელახლა გააზრება, თუ რას წარმოადგენს შრომის ბუნება, რადგანაც, სხვა მრავალთან ერთად, ეს გულისხმობს, რომ ტექნოლოგიური განვითარება ახლა ნაკლებად იქნება მიმართული მეტი სამომხმარებლო პროდუქციის შექმნისა და კიდევ უფრო დისციპლინირებული შრომისკენ, პირიქით, ის განაპირობებს შრომის ამ ფორმების სრულად აღმოფხვრას.

ხოლო რომელი ფორმებიც დარჩება, იქნება შრომის ის სახეობები, რომელთა შესრულებასაც მხოლოდ ადამიანები შეძლებენ: ზრუნვისა და დახმარების ფორმები, რომლებიც, როგორც აღვნიშნე, იმ კრიზისის ცენტრს წარმოადგენს, რომელმაც Occupy Wall Street-ის დაწყება გამოიწვია. რა მოხდება, თუ შრომის თავდაპირველ ფორმად განვიხილავთ არა საწარმოო ხაზს, პურის ყანას, რკინის სამსხმელოს, ან თუნდაც პატარა ოფისს, არამედ, ამის ნაცვლად, დავიწყებთ დედიდან, მასწავლებლიდან ან მომვლელიდან? შესაძლოა, იძულებული გავხდეთ, მივიღეთ დასკვნამდე, რომ ადამიანის ცხოვრების რეალურ საქმიანობას

წარმოადგენს არა წვლილის შეტანა ისეთ რამეში, რასაც „ეკონომიკას“ უწოდებენ (ცნება, რომელიც სამასი წლის წინ არც კი არსებობდა), მთავარია ის გარემოება, რომ ჩვენ ყველანი ვართ, და ყოველთვის ვიყავით, ერთობლივი შემოქმედების პროექტები.

ამ ეტაპზე ყველაზე მწვავე საჭიროებას პროდუქტიულობის ძრავების ტემპის შენელება წარმოადგენს. შესაძლოა, ჩემი ნათქვამი უცნაურადაც მოგეჩვენოთ (ყველანაირ კრიზისზე ჩვენს სპონტანურ რეაქციას წარმოადგენს ის, რომ ვივარაუდებთ: პრობლემა გადაიჭრება, თუ ყველა უფრო მეტს იმუშავებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, სინამდვილეში სწორედ თავად ამგვარი რეაქციაა პრობლემა), მაგრამ თუ მსოფლიოს საერთო მდგომარეობას გაითვალისწინებთ, მაშინ ზემოაღნიშნული დასკვნაც ნათელი გახდება. ჩვენ ორი მართლაც გადაუჭრელი პრობლემის წინაშე ვდგავართ. ერთი მხრივ, მოწმენი ვართ გლობალური დავალიანების კრიზისების დაუსრულებელი წყებისა, რომლებიც 1970-იანი წლების შემდეგ მხოლოდ უფრო და უფრო გაიზარდა, გამწვავდა და იქამდე მივიდა, რომ სახელმწიფო, მუნიციპალური, კორპორაციული, პირადი ვალის მთელი სიმძიმე აშკარად გაუსაძლისი გახდა. მეორე მხრივ, გვაქვს ეკოლოგიური კრიზისი, კლიმატის ცვლილების სწრაფი პროცესი, რაც მთელ პლანეტას გვაღვებით, წყალდიდობებით, ქაოსით, შიმშილობითა და ომებით ემუქრება. შეიძლება ეს ორი რამ ერთმანეთთან ვერ დააკავშიროთ; მაგრამ, საბოლოო ჯამში, ორივე ერთი და იგივეა. ბოლოს და ბოლოს, ვალი სხვა არაფერია, თუ არა სამომავლოდ პროდუქტიულობის, მწარმოებლურობის დაპირება. იმის თქმა, რომ გლობალური ვალი სულ უფრო იზრდება, ნიშნავს, განაცხადო, რომ ადამიანები, როგორც ერთიანი კოლექტივი, ერთმანეთს ჰპირდებიან, უფრო დიდი მოცულობით აწარმოონ საქონელი და მეტი მომსახურება გასწიონ მომავალში. მაგრამ ვალის ამჟამინდელი დონეებიც კი აშკარად არამდგრადია. სწორედ ესაა, რაც პლანეტას მუდმივად მზარდი ტემპით ანადგურებს. ისინიც კი, ვინც სისტემის სათავეში დგას, იძულებულნი არიან, დაასკვნან, რომ ზოგიერთი სახის მასობრივი ვალის ანუღიერება („იუბილეს“ აღნიშვნა გარკვეული ფორმით) გარდაუვალია. ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს იმის გამო, თუ რა ფორმით მოხდება ეს. განა ცხადი არ არის, რომ ორივე პრობლემა ერთდროულად უნდა მოვაგვაროთ? რატომ არ გან-

ვიხილავთ ვალის გაუქმებას ფართო, მთელი პლანეტის მასშტაბით (რამდენადაც შესაძლებელია ეს პრაქტიკული თვალსაზრისით), რასაც მოჰყვება სამუშაო საათების მასობრივი შემცირება, მაგალითად, ოთხსაათიანი სამუშაო დღე ან გარანტირებული ხუთთვიანი შვებულება? ამან შესაძლოა, არა მარტო პლანეტა გადაარჩინოს, არამედ (რადგან გამოთავისუფლებული საათების განმავლობაში ყველა ტყუილუბრალოდ, უსაქმოდ არ იჯდება) ძირითადი წარმოდგენებიც კი შეგვაცვლევინოს იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს სინამდვილეში შრომა, რომელიც ფასეულობას ქმნის.

Occupy-ს მიზანს მოთხოვნების წამოყენება წამდვილად არ წარმოადგენდა, მაგრამ ჩემთვის რომ მათი ფორმულირება დაევალებინათ, სწორედ ასე ჩამოვაყალიბებდი. ბოლოს და ბოლოს, ეს იქნებოდა შეტევა გაბატონებულ იდეოლოგიასა და მის ყველაზე ძლიერ მხარეებზე. ვალისა და შრომის ეთიკა, მორალური პრინციპები ყველაზე მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენს იმ ადამიანების ხელში, რომლებიც ამჟამინდელ სისტემას მართავენ. სწორედ ამიტომ ებლაუჭებიან ისინი ამ პრინციპებს, მაშინაც კი, როცა, ფაქტობრივად, ყველაფერს ანადგურებენ. ამიტომაც შეუწყობდა ეს ხელს საუკეთესო რევოლუციური მოთხოვნის ჩამოყალიბებას.

სამუშაო 3: ბიუროკრატიული აპარატი

ძირითადი მემარცხენე პარტიების ერთი მართლაც დამღუპველი მარცხი გამოიწვია იმან, რომ მათ ვერ მოახერხეს, ბიუროკრატიული აპარატი სერიოზულად გაეკრიტიკებინათ. ვფიქრობ, ეს ყველაზე კარგად განმარტავს, თუ რატომ ვერ შეძლეს მემარცხენეებმა (თითქმის ყველგან), 2008 წელს კაპიტალიზმის კატასტროფული მარცხი თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ევროპის იმ პარტიებიდან, რომლებმაც საყოველთაო სახალხო უკმაყოფილებით ისარგებლეს, თითქმის ყველა მემარჯვენე იყო. ეს იმან განაპირობა, რომ ზომიერმა სოციალ-დემოკრატმა მემარცხენეებმა დიდი ხანია, მიიღეს როგორც ბაზარი, ისე ბიუროკრატიული აპარატი; ხოლო მემარჯვენეებმა (განსაკუთრებით კი უკიდურესმა მემარჯვენეებმა) არა მხოლოდ იოლად თქვეს უარი, ბრმად ერწმუნათ, რომ ბაზრის მეშვეობით

პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, არამედ ბიუროკრატია ც გააკრიტიკეს. ეს გაუაზრებელი, ძველმოდური და ბევრი კუთხით შეუსაბამო კრიტიკაა. მაგრამ მაინც კრიტიკაა. ძირითადად მემარცხენე პარტიებმა 1960-იან წლებში ჰიპებსა და კომუნებზე უარის თქმით თავადვე მოიჭრეს გზა ყოველგვარი კრიტიკისკენ.

თუმცა ბიუროკრატია ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში ისეთი სახით აღწევს, როგორითაც ადრე არასოდეს შეგვხვდრიო. უცნაურია, მაგრამ მას, შეიძლება ითქვას, ვერც ვხედავთ და არც შეგვიძლია მასზე საუბარი. ნაწილობრივ, იმიტომ, რომ ბიუროკრატია ალვიქვამთ, როგორც, უბრალოდ, მთავრობის იერსახეს, და უგულებელვყოფთ ხშირად გაცილებით ფართო და მძლავრ კერძო ბიუროკრატია, ან, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იმას, თუ როგორ გადახლართულია ერთმანეთში საჯარო და კერძო (კორპორაციული, ფინანსური და საგანმანათლებლოც კი) ბიუროკრატიული აპარატები და მათი ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელია.

ერთხელ სადაც ამოვიკითხე, რომ საშუალო ამერიკელი ცხოვრების მანძილზე დაახლოებით ნახევარ წელიწადს შუქნიშნის ფერის ცვლილების მოლოდინში ატარებს. არ ვიცი, ვინმემ ოდესმე თუ გამოითვალა, რა დროს ხარჯავს იგი ფორმების შევსებაში (მეექვება, ვინმეს ეს გაეკეთებინა), მაგრამ არა მგონია, არსებითად, ნაკლები დრო გამოსულიყო. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ისტორიის მანძილზე არც ერთ თაობას არ ეხარჯებოდა ამდენი დრო დოკუმენტაციის წარმოებაზე. სახელისუფლებო აპარატი ცდილობს, ისეთი ფორმები შექმნას, რომლებიც განსაკუთრებით დატანჯავს ადამიანს, მაგრამ ნებისმიერმა, ვინც დიდ დროს ატარებს ინტერნეტში, კარგად იცის, რომ დოკუმენტებზე მუშაობა სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ფულის გაცემა და მიღება. ასეა სისტემის სათავიდან მოყოლებული (უზარმაზარი ადმინისტრაციული სისტემა, რომელიც იმისთვის არსებობს, რომ დაარეგულიროს გლობალური ვაჭრობა „თავისუფალი ბაზრის“ სახელით), ყოველდღიური საქმიანობის ყველაზე სიღრმისეულ დეტალებამდე, სადაც ტექნოლოგიებმა, რომლებიც თავდაპირველად შრომის შემსუბუქებისთვის იყო გამიზნული, ჩვენ, ყველანი, მოყვარულ ბუღალტრებად, იურიდიული სფეროს მოხელეებად და ტურისტულ აგენტებად გვაქცია.

და რატომღაც, 1960-იანი წლებისაგან განსხვავებით, როცა პრობლემა გაცილებით ნაკლები იყო, დოკუმენტების ეს უპრეცედენტო კასკადი პოლიტიკურ საკითხად აღარ განიხილება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სამყარო ჩვენ გარშემო კვლავ ხილული უნდა გავხადოთ; განსაკუთრებით მაშინ, როცა აპოლიტიკურ ხალხს ინსტინქტურად გაუჩნდა ეჭვი მემარცხენეებზე, რომ ისინი, სავარაუდოდ, ბიუროკრატიზაციის ზრდას უწყობენ ხელს. პირიქით. თითქმის შეუძლებელია უკვე არსებულზე უფრო მეტი ბიუროკრატიზაცია. ნებისმიერი რევოლუციური გარდაქმნა (თუკი ის მთლიანად სახელმწიფოს არ აღმოფხვრის), თითქმის უდავოდ, გაცილებით ნაკლები ბიუროკრატიის მომასწავებელია.

სამუშაო 4: კომუნიზმის აღდგენა

აქ ყველაზე რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ რაკი აქამდე მოვედით, რატომ არ გავრისკოთ?

1980-იან წლებში მართლაც რაღაც უცნაური მოვლენები დაიწყო. ეს ალბათ კაპიტალიზმის ისტორიაში პირველად იყო, როცა კაპიტალისტებმა საკუთარ თავს „კაპიტალისტები“ უწოდეს. მისი არსებობის წინა ორი საუკუნის მანძილზე ეს სიტყვა, ძირითადად, შეურაცხყოფელ ტერმინად ითვლებოდა. კარგად მახსოვს, The New York Times-მა (რომელიც მაშინ ნამდვილ იდეოლოგიურ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა იმის პოპულარიზაციისა, რასაც შემდგომში საყოველთაოდ მიღებული ნეოლიბერალური შეხედულებები ეწოდა) როგორ უჩვენა მაგალითი სხვებს და მისი ფურცლები აჭრელდა საგაზეთო სათაურებით, რომლებიც ნიშნის მოგებით ამცნობდნენ მკითხველს, თუ როგორ გახდა იძულებული ზოგიერთი კომუნისტური რეჟიმი, სოციალისტური პარტია, კოოპერაციული სანარმო თუ სხვა ვითომდა მემარცხენე ინსტიტუტი (და სრულიად მიზანშეწონილადაც), „კაპიტალიზმის“ ესა თუ ის ელემენტი მიეღო. სათაურები მიბმული იყო გაცვეთილ ლოზუნგზე, რომელსაც დაუსრულებლად იმეორებდნენ: „კომუნიზმმა, უბრალოდ, არ გაამართლა!“, მაგრამ ისინი ასევე ასახავდა იდეოლოგიური პოზიციის მკვეთრ ცვლილებას, რომლის პიონერებიც ისეთი მემარჯვენე ფანატიკოსები იყვნენ, როგორიცაა აინ რენდი; სწორედ ამ ხანებში „კაპიტალიზმმა“ და „სო-

ციალიზმმა“, არსებითად, ადგილები გაცვალეს. კაპიტალიზმი ერთ დროს „ჭყეტელა“ რეალობა გახლდათ, ხოლო სოციალიზმი – განუხორციელებელი იდეალი; ამჯერად ისინი პირიქით ხასიათდებოდა. ყველაფერი კიდევ უფრო უკიდურეს ფორმას იღებდა „კომუნიზმის“ შემთხვევაში, რომელიც ყოველთვის გამოიყენებოდა ბუნდოვანი უტოპიური მომავლის აღსაწერად (იმ რეჟიმების შემთხვევაშიც კი, რომლებიც საკუთარ თავს „კომუნისტურს“ უწოდებდნენ), რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სახელმწიფოს გამოფიტვის შემდეგ. რა თქმა უნდა, ის ცოტათი წააგავდა „სოციალისტურ“ სისტემას, რომელიც იმ დროს არსებობდა. 1989 წლის შემდეგ „კომუნიზმის“ მნიშვნელობა შეიცვალა და კომუნიზმი გახდა „ის, რა ორგანიზაციული სისტემაც გაბატონდა „კომუნისტურ“ რეჟიმში.“ ამას კი, თავის მხრივ, მოჰყვა მართლაც თავისებური რიტორიკული ცვლილება, რომლის მიხედვითაც ამგვარ რეჟიმებს (რომლებიც ერთ დროს ჩამოწერილი ჰყავდათ, როგორც „უმონყალოდ“ კვალიფიციურნი ჯარებისა და საიდუმლო პოლიციის შენახვაში, მაგრამ შესაბრაღისად უუნარონი სამომხმარებლო პროდუქციის წარმოებაში) განიხილავდნენ, როგორც იმდენად უტოპიურ სისტემას, რომელშიც სრულიად იგნორირებული იყო ადამიანის ბუნების ძირითადი რეალობა (როგორც ეკონომიკამ გამოავლინა), რომ ისინი, უბრალოდ, საერთოდ „არ ამართლებდნენ“ და სინამდვილეში მათი არსებობაც შეუძლებელი იყო – მართლაც შესანიშნავი დასკვნაა, როცა, ვთქვათ, საუბარია სსრკ-ზე, რომელიც სამოცდაათი წლის მანძილზე აკონტროლებდა დედამიწის უდიდეს ნაწილს; რომელმაც დაამარცხა ჰიტლერი და კოსმოსში ჯერ პირველი თანამგზავრი, შემდეგ კი პირველი ადამიანი გაუშვა. თითქოს საბჭოთა კავშირის კრახის მაგალითი იმას ამტკიცებს, რომ მას პირველი ადგილი არც არასოდეს ეჭირა!

გაოცებას იწვევს ტერმინ „კომუნიზმის“ იდეოლოგიური თვალსაზრისით გამოყენება ხალხში. ამაზე არავინ საუბრობს. კარგად მახსოვს, როდესაც ყმანვილობაში რესტორნის სამზარეულოებსა და მსგავს ადგილებში ვმუშაობდი, საკმარისი იყო, ვინმეს წამოეყენებინა სამსახურში რომელიმე სფეროს უფრო ეფექტურად ან უფრო გონივრულად ორგანიზების იდეა, მას მაშინვე ასე უპასუხებდნენ: „ეს ხომ დემოკრატია არ არის“, ან: „ეს

ხომ კომუნიზმი არ არის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბოსების გადასახედიდან, ეს ორი სიტყვა ურთიერთმონაცვლე გახდა. კომუნიზმი ნიშნავდა სამუშაო ადგილის (ოფისის, ფაბრიკის, ქარხნის, რესტორნის და ა.შ.) დემოკრატიულობას და სწორედ ამის გამო მას არასასურველად მიიჩნევდნენ. ეს იყო 1970-იან და 1980-იან წლებში. მოსაზრება, რომ კომუნიზმი (ან დემოკრატია) ქმედობაუნარიანი არ იყო (რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მისი ხორცშესხმა, არსებითად, შეუძლებელი იყო), რეალურად, დამკვიდრდა. მიმდინარე ათწლეულისათვის ჩვენ იქამდე მივყავით, რომ პირადად გავხდი მონმე, თუ როგორ იყენებენ ამ ტერმინს საშუალო ფენის ლონდონელები (ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს გამოკვეთილ მემარცხენეებად მიიჩნევენ) თვით საკუთარ შვილებთან ურთიერთობის დროსაც კი. მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა საკუთარი ქალიშვილის შემოთავაზებას ძალის გასეირნების განრიგის უფრო დემოკრატიულად გადანაწილების შესახებ ასე უპასუხა: „არა, ეგ ხომ კომუნიზმი იქნებოდა და ყველამ ვიცით, რომ კომუნიზმი არ ამართლებს“.

პარადოქსი ის არის, რომ თუკი ტერმინ „კომუნიზმის“ უფრო რეალისტურ განმარტებას გავიხსენებთ, სწორედ რომ საპირისპირო მტკიცდება. სავსებით შესაძლებელია, განვაცხადოთ, რომ ახლა ვიმყოფებით აბსოლუტურად საპირისპირო მდგომარეობაში იმისა, რასაც ასე ასხამდნენ ხოტბას 1980-იან წლებში. კაპიტალიზმი, ათასი სხვადასხვა გზით და ათას სხვადასხვა ადგილას, იძულებული გახდა, ისევ კომუნიზმისთვის მიემართა, რადგან ის ერთადერთია, რაც ამართლებს.

ეს არგუმენტი ადრეც რამდენჯერმე წამოვაცენე და ის საკმაოდ მარტივია – აღარ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს „კომუნიზმი“ არ ცნობდეს კერძო საკუთრებას და დავუბრუნდეთ მის თავდაპირველ დეფინიციას: „თითოეულისგან – მისი შესაძლებლობების მიხედვით და თითოეულს – მისი საჭიროების მიხედვით“.* თუკი რომელიმე სოციალურ სისტემას, რომელიც ეფუძნება და

* ამ ფორმით ეს დეფინიცია წერილობითი სახით პირველად ჩამოაყალიბა ლუი ბლანშა 1840 წელს, მაგრამ მისი უფრო ადრინდელი ვერსია ეკუთვნის ფრანგ კომუნისტ მწერალს, მორელის (მისი 1755 წელს დაწერილი ნაწარმოები „ბუნების კოდექსი“). ყოველ შემთხვევაში, ის პოპულარული იყო რადიკალურ წრეებში იქამდე, სანამ კარლ მარქსი გამოიყენებდა მას თავის ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკა“.

მოქმედებს ამგვარ პრინციპზე, შეგვიძლია, ვუწოდოთ „კომუნიზმი“, ჩვენი ყველა ძირეული წარმოდგენა სოციალური რეალობის შესახებ სრულიად შეიცვლება. ამკარა გახდება, რომ კომუნიზმი (ყოველ შემთხვევაში, მისი ყველაზე უფრო „გაზავებული“ ფორმა) ყველა სახის მშვიდობიანი, მეგობრული სოციალური ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს, რადგან ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი კომუნიკაცია ყოველთვის გულისხმობს კომუნიზმის გარკვეულ საბაზისო დონეს, იმის გაგებას, რომ, ყველა შემთხვევაში, საჭიროება მეტისმეტად დიდია (მაგალითად, დახრჩობის საშიშროების წინაშე მყოფი ადამიანის გადარჩენა), თუ თხოვნა საკმაოდ უმნიშვნელოა (მაგალითად, განათება, გზის ჩვენება) – სწორედ კომუნისტურ სტანდარტებს ვიყენებთ. ჩვენ, ყველანი, კომუნისტები ვართ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ყველაზე მეტად გვიყვარს, რომლებსაც ყველაზე მეტად ვენდობით; თუმცა კომუნისტურად არავინ იქცევა ყველას მიმართ ყველანაირ პირობებში, ალბათ არც მოქცეულა და არც მოიქცევა ასე. რაც მთავარია, სამუშაო კომუნისტურ საფუძველზე უნდა იქნეს ორგანიზებული, რადგან თანამშრომლობის პრაქტიკულ სიტუაციაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოთხოვნა აუცილებელი და გადაუდებელია, პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზას იმის დადგენა წარმოადგენს, თუ ვის აქვს უნარი, მისცეს მეორე ადამიანს ის, რაც ამ უკანასკნელს სჭირდება. თუ ორი ადამიანი ცდილობს, შეაკეთოს მილი, მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ფონდ „მემკვიდრეობისთვის“ (Heritage Foundation) მუშაობენ თუ Goldman Sachs-ისთვის (მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, ფინანსური კონგლომერატი, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ნიუ-იორკში, ქვემო მანჰეტენზე. რედ.); თუ ერთი ამბობს: „მომანოდე ქანჩი“, მეორე ალბათ არ ეტყვის: „მერე მე რას მივიღებ ამის სანაცვლოდ?“ ამიტომ აზრი არა აქვს რაღაც იდეალური მომავალი „კომუნიზმის“ წარმოდგენას და იმაზე დავას, შესაძლებელი იქნება თუ არა მისი არსებობა. ყველა საზოგადოება საფუძველშივე კომუნისტურია, ხოლო კაპიტალიზმი უმჯობესია, განვიხილოთ, როგორც კომუნიზმის ორგანიზების ცუდი გზა (ის ცუდია, გარდა სხვა მრავალი მიზეზისა, იმიტომაც, რომ სტიმულს აძლევს კომუნიზმის უკიდურესად ავტორიტარულ ფორმას სამუშაო ადგილების დონეზე. ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური

საკითხი ასეთია: როგორ შეიძლება კომუნიზმის უკეთ ორგანიზება, რაც უფრო მეტად დემოკრატიული ფორმის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს? ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ისეთ ფორმას გამოვნახავთ, რომელიც მთლიანად გააუქმებს ამჟამად არსებულ „სამუშაო ადგილების“ ინსტიტუტს).

საკითხის ამ სახით გადმოცემა შეიძლება გასაკვირდაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ის ნამდვილად ჯანსაღი აზრის შესაბამისი და გასაგებია, თანაც კომუნიზმის ცნებას მოაშორებს უამრავ ნა-ნაზარდს, რომლებიც მას გაუჩნდა ორივე მხარის წყალობით – ვინც მისი სახელით ლაპარაკობდა, და ვინც მას ლანძღავდა. ეს ნიშნავს, რომ ველარასოდეს იარსებებს „კომუნისტური“ სისტემა, როგორც ასეთი, რამდენადაც ყველაფერი ისედაც კომუნისტური პრინციპების მიხედვით არის ორგანიზებული. ეს იმასაც გულისხმობს, რომ, ყველაზე მნიშვნელოვანი გაგებით, ჩვენ უკვე ვცხოვრობთ კომუნიზმში.

მკითხველს ალბათ უკვე შეექმნა წარმოდგენა იმ საერთო მიმართულებაზე, რომელიც მხედველობაში მაქვს. ჩვენ უკვე დიდი ხანია, პრაქტიკაში ვახორციელებთ კომუნიზმს. ჩვენ ანარქისტები ვართ, ან, ყოველ შემთხვევაში, ვიქცევით, როგორც ანარქისტები, ყოველთვის, როცა ვაღწევთ ურთიერთგაგებას ფიზიკური მუქარისა და ძალის გამოყენების გარეშე. საკითხი ისე კი არ დგას, რომ ავაშენოთ სრულიად ახალი საზოგადოება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ის უნდა აშენდეს იმაზე, რასაც ჩვენ უკვე ვაკეთებთ – ვაფართოებთ თავისუფლების ზონებს, ვიდრე თავისუფლება ორგანიზების უპირველესი პრინციპი არ გახდება. სიმართლე გითხრათ, დიდ პრობლემად არ მივიჩნევ ტექნიკურ საკითხებს, მაგალითად, როგორ უნდა დავაარსოთ მრავალი სამრეწველო ობიექტი, თუმცა გამუდმებით გვარწმუნებენ, რომ პრობლემა მხოლოდ ესაა. მსოფლიოში ძალიან ბევრი რამ არის დეფიციტური. მაგრამ ერთი რამ, რისიც სრულიად შეუზღუდავი მარაგი გვაქვს, ესაა გონიერი, შემოქმედებითი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ ძალა, ასეთი საკითხები მოაგვარონ. პრობლემა წარმოსახვის უნარის ნაკლებობა არ გახლავთ. პრობლემაა ვალისა და ძალადობის სულისშემხუთავი სისტემები, რომლებიც იმის უზრუნველსაყოფად შეიქმნა, რომ წარმოსახვის

ძალა არავინ არასოდეს გამოიყენოს – ან, ყოველ შემთხვევაში, არ გამოიყენონ არაფრის შესაქმნელად, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, იარაღის ახალი სისტემებისა, ან ფორმების შესავსები კომპიუტერული პლატფორმებისა. რა თქმა უნდა, სწორედ ყოველივე ამან მიიყვანა ამდენი ადამიანი ზუკოტის პარკის მსგავს ადგილებში.

ისიც კი, რაც ჯერ კიდევ ყველაზე უფრო რთულ იდეოლოგიურ ბარიერებად გვეჩვენება, პრაქტიკაში ადვილად შეიძლება გადაილახოს. 1990-იან წლებში ხშირად ვსტუმრობდი ინტერნეტფორუმებს, რომლებიც იმ დროისთვის სავსე იყო უცნაური ადამიანებით, საკუთარ თავს „ანარქოკაპიტალისტებს“ რომ უწოდებდნენ (ისინი, როგორც ჩანს, მხოლოდ ინტერნეტში არსებობდნენ; დღემდე დარწმუნებული არ ვარ, რომ ოდესმე ასეთ ხალხს ცხოვრებაში შევხვედრივარ). მათი უმეტესობა გამუდმებით ლანძღავდა მემარცხენე ანარქისტებს, როგორც ძალადობის მომხრეებს: „როგორ შეიძლება მხარს უჭერდე თავისუფალ საზოგადოებას და თან ეწინააღმდეგებოდე დაქირავებულ შრომას? თუკი მე მინდა დავიქირაო ვინმე პომიდვრის საკრეფად, როგორ აპირებთ, ამაში ხელი შემეშალოთ, თუ ძალას არ გამოიყენებთ?“ ლოგიკურია, რომ დაქირავებული შრომის სისტემის გაუქმების ნებისმიერი მცდელობა შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს მხოლოდ სუკ-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) რაღაც ახალი ვარიანტის დახმარებით. ასეთ არგუმენტებს ხშირად მოისმენთ.* მაგრამ, რაც მთავარია, ვერასოდეს გაიგებთ, რომ ვინმემ თქვას: „თუკი მინდა, ვინმემ დამიქირაოს პომიდვრის საკრეფად, როგორ აპირებთ, ამაში ხელი შემეშალოთ, თუ ძალას არ გამოიყენებთ?“ ეტყობა, ყველას წარმოუდგენია, რომ მომავალ საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფო არ იარსებებს, ყველა დამქირავებული ფენის წარმომადგენელი იქნება. არავინ ფიქრობს, რომ შეიძლება ის თავად იყოს პომიდვრის მკრეფავი. მაგრამ მაშინ, მათი აზრით, საიდან უნდა მოვიდნენ ეს პომიდვრის მკრეფავები? აქ შეგვიძლია, ერთი პატარა წარმოსახვითი, სააზროვნო ექსპერიმენტი ჩავატაროთ: მოდი, მას „გაყოფილი კუნძულის

* ისინი ხშირად შეგხვდებოდა მეთიუ კონტინეტის სტატიაში, რომლის ციტატაც მესამე თავის დასაწყისში მოვიყვანე.

იგავი“ ვუნოდოთ. გვყავს იდეალისტთა ორი ჯგუფი, რომელთაგან თითოეული კუნძულის ნახევარს ფლობს. ისინი თანხმდებიან, იმგვარად გაავლონ საზღვარი, რომ კუნძულის თითოეულ მხარეს დაახლოებით თანაბარი რესურსები აღმოჩნდეს. ერთი ჯგუფი იწყებს ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელშიც ზოგიერთ წევრს აქვს საკუთრება, ზოგს კი საერთოდ არაფერი გააჩნია; ამ უკანასკნელთ არა აქვთ არავითარი სოციალური გარანტია: ისინი შიმშილით დაიხოცებიან, თუკი რაიმე სახის სამუშაო არ მოძებნეს, იმ პირობებით, რომლებსაც მათ მდიდარი დამქირავებლები შესთავაზებენ. მეორე ჯგუფი ქმნის სისტემას, სადაც ყველას გარანტირებული აქვს, სულ მცირე, ძირითადი საარსებო საშუალებები მაინც, და აქ მიესაღწევიან ყველა ახალმოსულს. რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეთ კუნძულის ანარქო-კაპიტალისტურ მხარეს მცხოვრებ ლამის დარაჯებს, მედეებს და ბოქსიტის მემალაროეებს, რომ ისევ იქ დარჩნენ? კაპიტალისტებს მშრომელი ძალა სულ რამდენიმე კვირაში შემოეცლებათ. შესაბამისად, ისინი იძულებულნი გახდებიან, თავად უყარაულონ თავიანთ მიწებს, თავად დაცალონ ლამის ქოთნები, თვითონ მართონ საკუთარი ბუღდოზერები და ავტოგრეიდერები – ასე იქნება, თუკი მდიდრები თავიანთ მუშებს სწრაფად არ შესთავაზებენ საუკეთესო გარიგებას, რომელიც ამ უკანასკნელთ ისეთ პირობებს შეუქმნის, თითქოს ისინიც, ბოლოს და ბოლოს, სოციალისტურ უტოპიაში ცხოვრობდნენ.

სწორედ ამ და უამრავი სხვა მიზეზის გამო, დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი პრაქტიკული მცდელობა, შეიქმნას საბაზრო ეკონომიკა, მისი მხარდამჭერი ჯარების, პოლიციისა და საპატიმროების გარეშე, მალე დასრულდება იმიტომ, რაც სრულიად განსხვავებული იქნება კაპიტალიზმისაგან. ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან სწრაფად ის სულ ცოტათი თუ ემსგავსება ბაზარს დღევანდელი გაგებით. რასაკვირველია, შეიძლება ვცდებოდე. შეიძლება ვინმემ მოსინჯოს კიდეც, და შედეგები სრულიად განსხვავებული იყოს იმისგან, რაც მე წარმომიდგენია. ასეთ შემთხვევაში, დაე, ვცდებოდე! მე, ძირითადად, იმ პირობების შექმნა მაინტერესებს, რომლებიც ხელს შეგვიწყობს, ეს ყველაფერი გავარკვიოთ.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, როგორი იქნება თავისუფალი საზოგადოება. და მაინც, რაკი ვთქვი, რომ ის, რაც ჩვენ დღეს ნამდვილად გვჭირდება, არის პოლიტიკური მისწრაფებების ნებაზე მიშვება, ალბათ შემიძლია, დავასრულო იმის აღწერით, რის ნახვასაც პირადად ვისურვებდი.

ვისურვებდი, მენახა რალაც იმის მსგავსი, რაც კონსენსუსის პრინციპის უკან დგას – რომელშიც რადიკალური, არათანაზომიერად განსხვავებული აზრის პატივისცემა ერთიანობის საფუძველს წარმოადგენს – კონსენსუსისა, რომელიც მთლიანად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე განზოგადდება. რას ნიშნავს ყველაფერი ეს სინამდვილეში?

პირველ რიგში, არა მგონია, ხალხმა მთელი დღეები მიტინგებზე გაატაროს. უმეტესობა დამეთანხმება, რომ ასეთი პერსპექტივა ბევრ ჩვენგანს ისევე გააგიჟებს, როგორც ეს არსებული სისტემის დროს ხდება. რასაკვირველია, არსებობს გზები, შეხვედრები სახალისო გავხადოთ. როგორც წინა თავში აღვნიშნავდი, მთავარი ფორმა კი არ გახლავთ, არამედ სულისკვეთება. სწორედ ამიტომ ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ ორგანიზების ანარქისტულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს ყველაფერი, რაც არ გულისხმობს ძალოვანი ბიუროკრატიული სტრუქტურის ჩართვას. ხშირად კითხულობენ, თუ როგორ შეძლებს უშუალო დემოკრატია, გაზარდოს მასშტაბები ადგილობრივი შეხვედრებიდან მთელი ქალაქის, რეგიონის თუ ქვეყნის დონემდე. რასაკვირველია, მათ ადრინდელი ფორმა არ ექნებათ. მაგრამ უამრავი სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს. ზოგიერთი ვარიანტი, რომლებიც წარსულში სცადეს, დღეს ჩვენ არ გამოგვადგება;* გამუდმებით იგონებენ ახალ მეთოდოლოგიურ ფორმებს. ყველაზე მეტი ექსპერიმენტი ჩატარებულა იმ დელეგატებთან მიმართებით,

* რამდენიმე მათგანი დღეს აღარც არსებობს. ანტიკურ ათენში, ერთ-ერთი გზა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამსახურებრივად თავიანთ თანასწორთა შორის ინსტიტუციური ძალაუფლებისათვის არ მიეღწიათ ისეთ მოხელეებს, რომელთა სამუშაო ადგილების როტაციაც (მიდგომა, რომელიც გულისხმობს ერთი ორგანიზაციის, ერთი სამსახურის ფარგლებში თანამშრომლის ერთი სამუშაოდან, ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანას გამოცდილების მიღების, მოტივაციის გაზრდისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიზნით. რედ.) არ შეიძლებოდა, იყო გარანტირება იმისა, რომ ისინი თანაბარუფლებიანნი არ ყოფილიყვნენ: საჯარო მოსამსახურეთა უმეტესობა, თვით პოლიციელებიც კი, მონები იყვნენ. თუმცა ძალიან ბევრ შესაძლებლობას ჯერ კიდევ არ ვიცნობთ.

რომელთა უკან გამოწვევაც შესაძლებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, გაცილებით მეტი ჯერ კიდევ შეუსწავლელი პოტენციალი არსებობს იმგვარ ლატარიის სისტემებში (თუ მათ აღვადგენთ), რომელთა შესახებაც მესამე თავში ვისაუბრე – ესაა რალაც, რაც ნაფიცი მსაჯულის საქმიანობას ნააგავს, იმ განსხვავებით, რომ სავალდებულო არ არის და მას აქვს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება აკვიატებული იდეებით შეპყრობილთა, ფსიქოპათებისა და დედამინის ღრუს თეორიის მიმდევართა გაცხრილვა, თუმცა ყველა მსურველს ეძლევა თანაბარი შანსი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩაერთოს. ალბათ იარსებებს მექანიზმები, რომლებიც რომელიმე მეთოდის ბოროტად გამოყენების აღკვეთას უზრუნველყოფს. მაგრამ რომელი ბოროტად გამოყენება შეიძლება იყოს იმაზე უარესი, ვიდრე შერჩევის ის მოდელი, რომელსაც ჩვენ დღესდღეობით მივმართავთ.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ის, რის ნახვასაც ნამდვილად ვისურვებდი, არის სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტიის გარკვეული ფორმა, რომელიც საშუალებას მისცემდა ხალხს, იმგვარი ფასეულობები შეენარჩუნებინა, რომელთა დაცვასაც საჭიროდ ჩათვლიდა – ინდივიდუალურად თუ სხვებთან ერთად. ჩემი დაკვირვებით, სწორედ ეს გახლავთ ის მიზეზი, რომლის გამოც ადამიანებს ფულის შოვნა უნდათ – რათა საშუალება მიეცეთ, რალაც სხვა ეძიონ, რალაც, რასაც ისინი კეთილშობილურ, ამაღლებულ, მშვენიერ, მთავარ, ან, უბრალოდ, კარგ მიზნად მიიჩნევენ. რა შეიძლება ეძიონ მათ თავისუფალ საზოგადოებაში? სავარაუდოდ, ბევრი რამ, რასაც დღეს მხოლოდ თუ წარმოვიდგენთ, თუმცა შეიძლება ეს ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფასეულობებიც იყოს, როგორიცაა, მაგალითად, ხელოვნება, სულიერება, სპორტი, დეკორატიული მებაღეობა, ვიდეოთამაშები, სამეცნიერო კვლევები, ან ინტელექტუალური თუ პედონისტური სიამოვნება – ათასგვარი კომბინაციის მოფიქრება შეიძლება.

ალბათ საკმაოდ რთული ამოცანა იქნება, თუ როგორ გადავანაწილოთ რესურსები იმ მიზნებზე, რომელთა შეფარდება სრულიად წარმოუდგენელია, ანუ ფასეულობათა იმ სახეებზე, რომელთა ერთმანეთთან მისადაგება, უბრალოდ, შეუძლებელია. ამას კი, თავის მხრივ, კიდევ ერთ შეკითხვამდე მივყავართ,

რომელსაც ზოგჯერ მისვამენ: რას ნიშნავს, საერთოდ, „თანასწორობა“?

ამგვარი შეკითხვები ხშირად მომისმენია. ჩვეულებრივ, ძალიან მდიდარი ადამიანებისგან. „მაშ, რისკენ მოუწოდებთ? სრული თანასწორობისაკენ? ეს შესაძლებელია? თქვენ მართლა გინდათ, იცხოვროთ ისეთ საზოგადოებაში, სადაც ყველა ერთნაირი იქნება?“ კვლავ იგულისხმება, რომ ნებისმიერი ასეთი პროექტი საქმეში აუცილებლად სუკ-ის ჩართვას მოიაზრებს. ესაა 1%-ის საზრუნავი. პასუხი კი ასეთია: „მინდა ვიცხოვრო ისეთ სამყაროში, სადაც ასეთი კითხვის დასმაც კი სისულელე იქნებოდა“.

ახლა, იგავის ნაცვლად, ისტორიულ მაგალითს მოვიყვან. ამ რამდენიმე წლის წინ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს რაღაც, რამაც კაცობრიობის ისტორიის შესახებ არსებული ყველა მოსაზრება თავდაყირა დააყენა. როგორც მესოპოტამიის, ასევე ინდოეთის ურბანული ცივილიზაციები პირველი ათასი წლის მანძილზე განუხრელად ეგალიტარული იყო. შეიძლება ითქვას, ეს ურყევი ჭეშმარიტებაა. აბსოლუტურად არ არსებობს სოციალური უთანასწორობის არავითარი მტკიცებულება: არც სასახლეების ნანგრევები, არც მდიდრული სამარხები; მხოლოდ მონუმენტური ნაგებობები, რომლებიც იმგვარად იყო აგებული, რომ ყველას თანასწორად შეიძლებოდა მათი მოხმარება (მაგალითად, გიგანტური საზოგადოებრივი აბანოები). ხშირად ურბანულ დასახლებებში ყველა სახლი ზუსტად ერთი და იმავე ზომისა იყო. გრჩება შთაბეჭდილება, რომ პრობლემას სწორედ ეს აკვიატებული ერთგვაროვნება წარმოადგენდა. როგორც ჩემს მეგობარს, ბრწყინვალე არქეოლოგს, დევიდ უენგროუს უყვარს თქმა, ურბანული ცივილიზაციის დაბადება უშუალოდ მოჰყვა იმას, რაც, შესაძლოა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინოვაცია იყო – მასობრივი წარმოების წარმოშობა, როცა პირველად ისტორიაში შესაძლებელი გახდა, ათასობით ზუსტად ერთი და იმავე ზომის შესაფუთი მასალის შექმნა ზეთის ან მარცვლეულისთვის, რომელთაგან თითოეულს ერთნაირი ბეჭედი ერტყა. ცხადია, ყველამ მაშინვე გააცნობიერა ამის მნიშვნელობა და თავზარი დაეცა. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ მაშინ, თუკი თუნდაც ერთხელ მაინც გქონია ასეთი ერთნაირად დაფასოებული პროდუქტი, შეიძლება, რომ შეადარო, ერთ ადამიანს ზუსტად რამდენით მეტი აქვს ის მეორეზე. როგორც

დღეს უკვე კარგად ვიცით, სწორედ თანასწორობის უზრუნველყოფის ასეთი მეთოდები ხდის შესაძლებელს უთანასწორობას. პირველი ქალაქების მცხოვრებლებმა შეძლეს, ათასწლეულობით შეეჩერებინათ ის, რაც გარდაუვალი იყო. ეს გაუტყეხელი, მტკიცე ნების საოცარი დასტურია, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და მას შემდეგ ჩვენ ამ მემკვიდრეობასთან ურთიერთობა გვინევს.

ნაკლებად სავარაუდოა, ოდესმე ექვსი ათასი წლის წინანდელი ინოვაციის დაბრუნება შევძლოთ; ან, საერთოდ, რა აზრი აქვს ამის გაკეთებას? დიდი, უსახური ნაგებობები, ისევე, როგორც ერთნაირი პროდუქტები, ყოველთვის იარსებებს. გადასაჭრელი ის საკითხი კი არაა, როგორ გავანადგუროთ ასეთი რამეები, არამედ, როგორ მივანიჭოთ მათ სრულიად სანინალმდეგო დანიშნულება. ეს ნიშნავს, ჩავაყენოთ ისინი იმ სამყაროს სამსახურში, სადაც თავისუფლება ყოვლად წარმოუდგენელი მიზნებისკენ სწრაფვის საშუალება ხდება. ჩვენი ამჟამინდელი მომხმარებლური საზოგადოება ამტკიცებს, რომ სწორედ ესაა მისი უმთავრესი იდეალი, მაგრამ სინამდვილეში საქმე გვაქვს ფარისევლობასა და სიმულაციასთან.

ხშირად აღნიშნავენ, რომ თანასწორობა ადამიანმა შეიძლება შეიცნოს ორი გზით: ან უნდა თქვას, რომ ორი რამ ზუსტად ერთი და იგივეა (ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანწილად ერთნაირი მაინც); ან თქვას: ისინი იმდენად განსხვავებულია, რომ მათი შედარებაც კი, უბრალოდ, შეუძლებელია. სწორედ ამ უკანასკნელი ლოგიკის თანახმად, შეგვიძლია, ასე ვიმსჯელოთ: რაკი ჩვენ, ყველანი, უნიკალური ინდივიდები ვართ, შეუძლებელია, ითქვას, რომ რომელიმე ჩვენგანი, არსებითად, სხვაზე უკეთესია; ისევე, როგორც შეუძლებელი იქნებოდა, გვეთქვა, რომ არსებობენ მთავარი და მეორეხარისხოვანი ფიფქები. თუკი ვინმე აპირებს, ეგალიტარული პოლიტიკა ამგვარ ხედვაზე დააფუძნოს, ლოგიკა ასეთი უნდა იყოს: რაკი არ არსებობს ასეთი უნიკალური ინდივიდების დახარისხების საფუძველი მათი ღირსებებისა და ნაკლოვანებების შესაბამისად, მაშასადამე, ყველა მათგანი თანაბარი რაოდენობით იმსახურებს ყოველივე იმას, რისი გაზომვაც შეიძლება: თანაბარ შემოსავალს, თანაბარი რაოდენობის ფულს, ან სიმდიდრის თანაბარ წილს.

თუმცა, თუ დავუკვირდებით, ეს ყველაფერი საკმაოდ უცნაურია. ვთანხმდებით იმაზე, რომ ჩვენ, ყველანი, განსხვავებულნი ვართ, მაგრამ ერთნაირი სურვილები გვაქვს. რა მოხდება, საკითხს საპირისპირო მხრიდან რომ შევხედოთ? სასაცილოა, მაგრამ კაპიტალიზმის თანამედროვე ფეოდალიზებული ვარიანტი, რომლის დროსაც ფული და ძალაუფლება, ფაქტობრივად, ერთი და იგივე რამ გახდა, ამას გაცილებით გვიადვილებს. იმ 1%-მა, რომელიც სამყაროს მართავს, ორივეს ძიება პათოლოგიურ თამაშად აქცია, რომელშიც ფული და ძალაუფლება თავად მიზანია, მაგრამ დანარჩენებმა, ჩვენ, ვისაც გვაქვს ფული, გვაქვს შემოსავალი და არ გვაქვს ვალი, მიზნად დავისახეთ ძალაუფლების მოპოვება, რათა ვეძიოთ სულ სხვა რამ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფულია. რასაკვირველია, ჩვენ, ყველას, გვინდა უზრუნველყოთ ჩვენი საყვარელი ადამიანების უსაფრთხოება და დაცულობა. ჩვენ, ყველას, გვინდა ვცხოვრობდეთ ჯანსაღ და მშვენიერ გარემოში. მაგრამ გარდა ამისა, კიდევ რისი მიღწევაც გვინდა, ალბათ ზემოთ აღწერილისგან უზომოდ განსხვავდება – რა მოხდებოდა, რომ თავისუფლება იყოს შესაძლებლობა იმისა, ვწყვეტდეთ, თუ რის კეთება გვსურს, ვისთან ერთად გვსურს მისი კეთება და რა სახის ვალდებულებების აღება გვსურს მათ წინაშე ამ პროცესში? ასეთ შემთხვევაში თანასწორობა იქნებოდა, უბრალოდ, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმ რესურსებზე, რომლებიც საჭიროა ამ ფასეულობათა უსასრულოდ მრავალფეროვანი ფორმების ძიებისას. ასეთ შემთხვევაში დემოკრატია, უბრალოდ, იქნებოდა ჩვენი უნარი, ერთად შევკრებილიყავით, როგორც გონიერი, გამჭრიახი ადამიანები, და გადაგვეჭრა წარმოქმნილი საერთო პრობლემები (რადგან პრობლემები ყოველთვის იქნება); ამ უნარის ქვეშაირიტად რეალიზებაც მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა იძულების ბიუროკრატიულ აპარატს, რომელიც დღეს არსებულ ხელისუფლების სტრუქტურებს ადუღაბებს, ძალა გამოეცლება, ან თანდათანობით გაქრება.

ეს ყველაფერი შეიძლება ჯერ კიდევ ძალიან შორეულ მომავლად გვეჩვენებოდეს. ამჟამად პლანეტა თითქოს უფრო მეტად არის მზად უპრეცედენტო კატასტროფების სერიისთვის, ვიდრე ფართომასშტაბიანი მორალური და პოლიტიკური ტრანსფორმა-

ციისთვის, რომელიც გზას გაუკაფავს ასეთ სამყაროს. მაგრამ თუკი გვინდა, გვექონდეს შანსი, თავიდან ავიცილოთ ამგვარი კატასტროფები, აზროვნების ჩვეულ წესს უნდა შეველიოთ. როგორც 2011 წლის მოვლენებმა ცხადყო, რევოლუციების ხანა ჯერ დასრულებული ნამდვილად არ არის. შემოქმედებითი წარმოსახვა არ ნებდება და ჯიუტად აცხადებს უარს სიკვდილზე. და როგორც კი საკმაო რაოდენობის ადამიანები ერთსა და იმავე დროს გათავისუფლდებიან იმ ბორკილებისგან, რომლებიც მათ კოლექტიურ წარმოსახვას დაადეს, ჩვენი სტერეოტიპული შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა არის პოლიტიკური საშუალებებით შესაძლებელი და რა – არა, ერთი ხელის დაკვრით გაცამტვერდება.

ვუძღვნი მამას

მადლიერების გრძნობით

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას ამ მოძრაობიდან,
ვინც მასწავლა ყველაფერი, რაც ვიცი.

დევიდ გრებერის ავტორობით გამოვიდა ასევე

„ვალი: პირველი 5 000 წელიწადი“

ავტორის შესახებ

დევიდ გრებერი ასწავლის ანთროპოლოგიას გოლდსმითსში, ლონდონის უნივერსიტეტში. ის გახლავთ ავტორი რამდენიმე წიგნისა; მათ შორისაა „ვალი: პირველი 5 000 წელიწადი“; წერს ისეთი გამოცემებისთვის, როგორიცაა Harper's, The Nation და სხვა ჟურნალ-გაზეთები.

NOTES

INTRODUCTION

1. Charles Pierce, "Why Bosses Always Win if the Game Is Always Rigged," *Esquire.com*, October 18, 2012.

CHAPTER 1: THE BEGINNING IS NEAR

1. The information has appeared all over the Internet but it originally appeared in Christopher Helman, "What the Top U.S. Companies Pay in Taxes," *Forbes*, April 2, 2010.

2. Joseph E. Stiglitz, "Of the 1%, by the 1%, for the 1%," *Vanity Fair*, May 2011.

CHAPTER 2: WHY DID IT WORK?

1. Ginia Bellafante, "Gunning for Wall Street, With Faulty Aim," *The New York Times*, September 23, 2011.

2. China Study Group, "Message from Chinese Activists and Academics in Support of Occupy Wall Street," *chinastudygroup.net*, October 2, 2011.

3. Amanda Fairbanks, "Seeking Arrangement: College Students Seeking 'Sugar Daddies' to Pay Off Loan Debt," *huffingtonpost.com*, July 29, 2011. While we don't have figures for the United States, a recent British survey revealed that a staggering 52 percent of female undergraduates had engaged in some sort of sex work to help fund their education, with just under a third having resorted to outright prostitution.

4. David Graeber, "Occupy Wall Street Rediscovered the Radical Imagination," *The Guardian*, September 25, 2011.

5. "Tea Party supporters are likely to be older, white and male. Forty percent are age 55 and over, compared with 32 percent of all poll respondents; just 22 percent are under the age of 35, 79 percent are white, and 61 percent are men. Many are also Christian fundamentalists, with 44 percent identifying themselves as 'born-again,' compared with 33 percent of all respondents." Heidi Przybyla, "Tea Party Advocates Who Scorn Socialism Want a Government Job," *Bloomberg*, March 26, 2010, citing a poll by Selzer & Company taken in March 2010.

6. Malcolm Harris, "Bad Education," *n+1* magazine, April 25, 2001.
7. The debate was kicked off by a post on August 19 on the Freakonomics blog: Justin Wolfers, "Forgive Student Loan Debt? Worst Idea Ever," www.freakonomics.com.
8. Some excellent case histories can be found in Anya Kamenz, *Generation Debt: Why Now Is a Terrible Time to Be Young* (New York: Riverhead Books, 2006). Interestingly, this phenomenon was also very much in the news right around the time the occupation began, for instance in an article in *The New York Times*: "College Graduation Rates Are Stagnant Even as Enrollment Rises, a Study Finds" (Tamar Lewin, September 27, 2011, p. A15). A sample paragraph: "The numbers are stark: In Texas, for example, of every 100 students who enrolled in a public college, 79 started at a community college, and only 2 of them earned a two-year degree on time; even after four years, only 7 of them graduated. Of the 21 of those 100 who enrolled at a four-year college, 5 graduated on time; after eight years, only 13 had earned a degree." According to a Pew study, about two-thirds of dropouts reported they did so because of the impossibility of both financing their education and helping support a family. (Pew Research Center, "Is College Worth It?" May 16, 2011)
9. A dramatic case is Stockton, California, which declared bankruptcy in early 2012. The city announced it intended to find the revenue to pay its creditors through massively increasing "code enforcement": essentially, through parking tickets, and fines for unkempt lawns or not removing graffiti quickly enough; such penalties will inevitably fall disproportionately on the working poor. See "Stockton Largest U.S. City Going Bankrupt," *Daily News*, June 26, 2012.
10. "Parsing the Data and Ideology of the We Are 99% Tumblr," <http://rortybomb.wordpress.com/2011/10/09/parsing-the-data-and-ideology-of-the-we-are-99-tumblr/>.
11. See, for example, <http://lhote.blogspot.com/2011/10/solidarity-first-then-fear-for-this.html>, <http://attempter.wordpress.com/2011/10/12/underlying-ideology-of-the-99/>, and the accompanying comment section.
12. Linda Lowen, "Women Union Members: The Changing Face of Union Membership," womensissues.about.com, updated December 17, 2008.

13. Giovanni Arrighi, *The Long Twentieth Century: Money, Power, and the Origins of Our Times* (London: Verso, 1994).

14. Michael Hudson *Super Imperialism: The Economic Strategy of American Empire* (London: Pluto, 2006), p. 288.

15. Pam Martens, "Financial Giants Put New York City Cops on Their Payroll," October 10, 2011, Counterpunch. Technically during those hours they are working as private security, but they do so in their uniforms, with guns and badges and full power of arrest.

16. Andrew Ross Sorkin, "On Wall Street, a Protest Matures," *New York Times*, Dealbook, October 3, 2011.

17. Ron Suskind, "Faith, Certainty and the Presidency of George W. Bush," *New York Times Magazine*, October 17, 2004.

18. George Gilder, *Wealth and Poverty* (New York: Basic Books, 1981), and Pat Robertson quote both cited in Melinda Cooper, "The Un-born Born Again: Neo-Imperialism, the Evangelical Right and the Culture of Life," *Postmodern Culture*, 17 (1), Fall 2006; Robertson 1992:153.

19. Rebecca Solnit, "Why the Media Loves the Violence of Protestors and Not of Banks," *Tomdispatch.com*, February 21, 2012. The KTVU story can be found at: <http://www.ktvu.com/news/news/emails-exchanged-between-oakland-opd-reveal-tensio/nGMkF/>. On the issue of sexual assault, inflated figures appeared, but these were based largely on tabulating all reports of sexual assault that occurred anywhere near occupations, whether or not those accused had ever set foot in the camps.

20. Those interested might consult Norman Finkelstein's recent *What Gandhi Says: About Nonviolence, Resistance and Courage* (New York: OR Books, 2012), which contains numerous quotes making clear Gandhi felt the worst crime was passivity. He also, most famously, wrote that in the face of manifest injustice "if the only choice is between violence and cowardice, I would recommend violence."

CHAPTER 3: "THE MOB BEGIN TO THINK AND TO REASON": THE COVERT HISTORY OF DEMOCRACY

1. Matthew Continetti, "Anarchy in the U.S.A.: The Roots of American Disorder," *Weekly Standard*, November 28, 2011.

2. John Adams, *The Works of John Adams* (Boston: Little, Brown, 1854), Volume 6, p. 481.

3. R. C. Winthrop, *The Life and Letters of John Winthrop* (Boston: Little, Brown, 1869).

4. James Madison, "Federalist #10," in *The Federalist Papers*, p. 103. Note that while Madison calls this "pure democracy," and Adams, "simple democracy," rule by popular assembly is the only form of government to which they are willing to give the name.

5. *Federalist Papers*, No. 10, p. 119.

6. For a good description of how parliamentary elections worked under Henry VII, see P. R. Cavill, *The English Parliaments of Henry VII, 1485-1504* (Oxford: Oxford University Press, 2009), pp. 117-31. Generally the electorate was a local council of worthies; in London, for instance, such a group might consist of 150 out of 3,000 local inhabitants.

7. Bernard Manin, *The Principles of Representative Government* (Cambridge: The Cambridge University Press, 1992), p. 38. In ancient Greece, for instance, democracies tended to choose holders of executive positions by lot, from among a pool of volunteers, while election was considered the oligarchic approach.

8. See John Markoff, "Where and When Was Democracy Invented?," *Comparative Studies in Society and History* 41, no.4 (1991): 663-65.

9. Gouverneur Morris to [John] Penn, May 20, 1774, in Jared Sparks, *The Life of Gouverneur Morris: With Selections from His Correspondence and Miscellaneous Papers: Detailing Events in the American Revolution, the French Revolution, and in the Political History of the United States* (Boston: Grey & Bowen, 1830), p. 25.

10. Both quoted from Morris in E. James Ferguson, *The Power of the Purse: A History of American Public Finance, 1776-1790* (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1961), p. 68.

11. Adams, *The Works*, Volume 6, pp. 8-9.

12. Madison, *Federalist Papers*, No. 10, pp. 54-55.

13. Jennifer Tolbert Roberts, *Athens on Trial* (Princeton: Princeton University Press, 1994), p. 183.

14. Benjamin Rush, *Medical Inquiries and Observations*, vol. 1 (Philadelphia: J. Conrad, 1805), pp. 292-93.

15. Francis Dupuis-Déri, "History of the Word 'Democracy' in Canada and Québec: A Political Analysis of Rhetorical Strategies," *World Political Science Review*, 6, no. 1 (2010): 3-4.

16. John Markoff, "Where and When Was Democracy Invented?," *Comparative Studies in Society and History*, no. 41 (1999): 673.

17. As reconstructed by Marcus Rediker in *Villains of All Nations: Atlantic Pirates in the Golden Age* (Boston: Beacon Press, 2004).

18. *Ibid.*, p. 53.

19. Colin Calloway, *New Worlds for All* (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1997). (cf. Axtell 1985)

20. Cotton Mather, *Things for a Distress'd People to Think Upon* (Boston, 1696).

21. Ron Sakolsky and James Koehnline, *Gone to Croatan: Origins of North American Dropout Culture* (Oakland: AK Press, 1993).

22. Mediker, *Many-Headed Hydra* (Boston: Beacon Press, 2001).

23. Angus Graham, *The Inner Chapters* (Indianapolis: Hackett Publishing Co., 2001).

24. James Scott, *The Art of Not Being Governed: An Anarchist History of Upland Southeast Asia* (New Haven: Yale University Press, 2010).

25. Many of the historical reasons for my thinking on this are outlined in *Debt: The First 5,000 Years* (Brooklyn: Melville House, 2011), particularly chaps. 10–12.

26. Quoted in Francesca Polletta, *Freedom Is an Endless Meeting: Democracy in American Social Movements* (Chicago: University of Chicago Press, 2004), p. 39.

27. I am offering only a very brief summary of what happened because I have written about it at greater length elsewhere. See, for instance, *Direct Action: An Ethnography* (Oakland: AK Press, 2009), pp. 228–37.

28. As Aristotle puts it: "Here the very constitution of the soul has shown us the way; in it one part naturally rules, and the other is subject, and the virtue of the ruler we maintain to be different from that of the subject; the one being the virtue of the rational, and the other of the irrational part. Now, it is obvious that the same principle applies generally, and therefore almost all things rule and are ruled according to nature. But the kind of rule differs; the freeman rules over the slave after another manner from that in which the male rules over the female, or the man over the child; although the parts of the soul are present in any of them,

they are present in different degrees. For the slave has no deliberative faculty at all; the woman has, but it is without authority, and the child has, but it is immature.” Politics 1.30. I’m grateful to Thomas Gibson for pointing out how odd this view of human nature is compared to almost any other agrarian society.

29. I owe this reflection to a brilliant essay by the French political philosopher Bernard Manin.

30. Deborah K. Heikes, *Rationality and Feminist Philosophy* (London: Continuum, 2010), p. 146.

31. Samuel Blixen and Carlos Fazio, “Interview with Marcos About Neoliberalism, the National State and Democracy,” *Struggle archive*, Autumn 1995, http://www.struggle.ws/mexico/ezln/inter_marcos_aut95.html.

32. The evidence has recently been surveyed in a working paper by economist Peter Leeson, who concluded that “while the state of development remains low, on nearly all of 18 key indicators that allow pre- and post-stateless welfare comparisons, Somalis are better off under anarchy than they were under government.” See Leeson, “Better Off Stateless: Somalia Before and After Government Collapse,” *Journal of Comparative Economics*, vol. 35, no. 4, 2007. You can find the full essay at www.peterleeson.com/Better_Off_Stateless.pdf.

33. Rebecca Solnit, for instance, has written a brilliant book, *A Paradise Built in Hell: The Extraordinary Communities That Arise in Disaster* (New York, Viking Books, 2009), about what actually happens in natural disasters: people almost invariably invent forms of spontaneous cooperation and, often, democratic decision making that dramatically contrasts with the way they are used to behaving in their ordinary lives.

CHAPTER 5: BREAKING THE SPELL

1. David Harvey, *A Brief History of Neoliberalism* (London: Oxford University Press, 2007).

2. Arjun Jayadev and Samuel Bowles, “Guard Labor,” *Journal of Development Economics* 79 (2006): 328–48. Some of the figures here could easily be contested - the authors include in the count not just members of the security forces but the “reserve army” of unemployed and prisoners, the logic being that insofar as they contribute to the economy

at all, it's by driving down wages and through other "disciplinary functions." Still, even if you eliminate the contestable categories the numbers are striking, and even more, the fact that the numbers vary dramatically between countries: with Greece, the United States, United Kingdom, and Spain having roughly 20-24 percent of workers doing some sort of guard labor, and Scandinavian countries a mere 1 in 10. The key factor seems to be social inequality: the more wealth is in the hands of the 1 percent, the larger a percentage of the 99 percent they will employ in one way or another to protect it.



saungeo@gmail.com
facebook.com/saunje publishing
Tel: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88